Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

31

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა

რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1950

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

ვ. ი. ლენინი

ტომი
31

1920 აპრილი — დეკემბერი

წინასიტყვაობა

ოცდამეთერთმეტე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებთ, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაწერა 1920 წლის აპრილ-დეკემბერში, ინტერვენციის ძირითადი ძალების საბოლოო განადგურების, ანტანტის უკანასკნელ აგენტებთან — თეთრ პოლონელებთან და ვრანგელთან ომის პერიოდში.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ ნაწარმოებნი, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისადმი, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებისადმი.

ტომში შედის წიგნი ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», რომელშიც ლენინმა ბოლშევიზმის ისტორიის, რუსეთის სამი რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი წლების გამოცდილების საფუძველზე შემდგომ განავითარა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, ლენინიზმის სტრატეგია და ტაქტიკა; ცხადყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობა. ლენინმა ნათელყო, რომ საერთაშორისო ოპორტუნიზმი მთავარი მტერია მუშათა მოძრაობის შიგნით, და სამარცხვინო ბოძზე გააკრა II ინტერნაციონალის ლიდერები როგორც იმპერიალისტური ბანდიტიზმის თანამონაწილენი; მან საფუძვლიანად გააკრიტიკა «მემარცხენე» კომუნისტების ანტიმარქსისტული სექტანტური ტაქტიკა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

ტომში დიდი ადგილი უჭირავს დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის მომზადებას, აგრეთვე მოხსენებებსა და სიტყვებს კონგრესზე. მათ მიეკუთვნება: «თავდაპირველი მონასახი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე», «თავდაპირველი მონასახი თეზისებისა აგრარულ საკითხზე», «თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ», «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები», «მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ» 1920 წლის 19 ივლისს და სხვები. ამ დოკუმენტებში დასაბუთებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პროგრამული, ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპები.

დოკუმენტები: «წერილი ავსტრიელ კომუნისტებს», «წერილი გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო», «იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლის შესახებ» ასახავენ ლენინის ბრძოლას კომინტერნის ძირითად გადაწყვეტილებათა გატარებისათვის საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

სიტყვებში საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციაზე, მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე და პროფესიული კავშირების ყრილობებზე ლენინი ამხელს ანტანტის ახალ გეგმას — ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთისა და ვრანგელის დახმარებით დაახრჩოს საბჭოთა რუსეთი; მოუწოდებს მუშათა კლასს და მშრომელ მასებს მთელი ძალების დაძაბვისაკენ ინტერვენტებზე გამარჯვების ორგანიზაციისათვის; აჯამებს წითელი არმიის წარმატებათა შედეგებს ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთისა და ვრანგელის სამხედრო ძალთა განადგურებაში.

დოკუმენტების ჯგუფი: «მოხსენება კონცესიების შესახებ საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე»

1920 წ. 21 დეკემბერს, «მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ» 1920 წ. 22 დეკემბერს, «პროექტი საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციისა ელექტროფიკაციის შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო» და სხვები მიძღვნილია სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის საკითხებისადმი: ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური განვითარების საქმეში ელექტროფიკაციის მნიშვნელობის დასაბუთებისადმი.

პროლეტკულტის ყრილობისათვის დაწერილ პროექტში რეზოლუციისა «პროლეტარული კულტურის შესახებ» და «სიტყვაში სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე 1920 წ. 3 ნოემბერს» ლენინი აკრიტიკებს პროლეტკულტის მიერ პარტიის ხაზის დამახინჯებას კულტურის დარგში; ცხადყოფს პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს როლს სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, გვიჩვენებს მარქსიზმის დამოკიდებულებას ადამიანის აზრისა და კულტურის საუკეთესო მონაპოვრებისადმი, განსაზღვრავს განათლებისა და ხელოვნების ამოცანებს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სიტყვაში «ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები», რომელიც წარმოთქმულია რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს, ლენინი აყენებს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძირითად ამოცანებს — ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ განათლებას და აღზრდას; ცხადყოფს კომუნისტური განათლების განუყრელ კავშირს პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის ბრძოლასთან კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის; ასაბუთებს კომუნისტური მორალის პრინციპებს.

ტომში შეტანილია 21 დოკუმენტი, რომლებიც წინათ არ შედიოდა ვ. ი. ლენინის თხზულებებში. სიტყვაში პოლონეთის ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებისადმი 1920 წ. 5 მაისს და გამოსვლაში მუშათა და წითელარმიელთა ფართო

კონფერენციაზე როგოჟსკ-სიმონოვის რაიონში 1920 წ. 13 მაისს ლენინი მოუწოდებს მუშებსა და წითელარმიელებს დაძაბონ მთელი ძალები თეთრ პოლონელთა გასანადგურებლად.

დოკუმენტები: «ინდოეთის რევოლუციურ ასოციაციას», «პასუხი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი შეერთებული დროებითი კომიტეტის წერილზე», «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების მეოცე მუხლი» მიძღვნილია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობია საკითხებისადმი.

ტომში შედის დოკუმენტების ჯგუფი, რომლებიც გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ერთობლივ მოღვაწეობასა და მჭიდრო თანამეგობრობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისადმი ხელმძღვანელობისა და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. მათ მიეკუთვნება: «დეპეშა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 17 ივლისს, «დეპეშა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 2 აგვისტოს, «დეპეშა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 4 აგვისტოს, «დეპეშა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 11 აგვისტოს, «დეპეშა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 29 ოქტომბერს, «დეპეშა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 13 ნოემბერს, «პირდაპირი მავთულით ლაპარაკიდან ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის».

მთელ რიგ დოკუმენტებში: «სიტყვა განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წ. 1 მაისს», «უკრაინის ღარიბ სოფლელებს», «დეპეშა უკრაინის საბჭოთა მთავრობას და სამხრეთის ფრონტის შტაბს», «სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედთა მდივნების კრებაზე 1920 წ. 26 ნოემბერს», საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო ზამოსკვორეჩიეს კომუნისტთა საერთო კრებაზე 1920 წ. 29 ნოემბერს, «დეპეშა სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს» ვ. ი. ლენინი სახავს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მშენებლობის ამოცანებს.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში შეტანილ დოკუმენტთა რიცხვში პირველად ქვეყნდება: «ტელეფონოგრამა ი. ბ. სტალინს» 1920 წ. 12 ან 13 ივლისს პოლონეთთან ზავის საკითხზე, «პროექტი რეზოლუციისა «პროფესიული კავშირების ამოცანები და მათი განხორციელების მეთოდები»», «სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე მოსკოვის კომიტეტის არჩევნების გამო 1920 წ. 21 ნოემბერს». ეს ნაწარმოებნი მიძღვნილია პარტიული და პროფესიული მშენებლობის ამოცანებისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკისადმი.



ვ. ი. ლენინი

1920 წ. მაისი

«მემარცხენეობის» საუმაწვილო ხენი კომუნიზმში [1]

დაწერილია 1920 წ. აპრილ-მაისში

დაიბეჭდა ცალკე წიგნად
1920 წ. ივნისში

იბეჭდება წიგნის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

(1)

Детский [illegible] в коммунизме.

I. В каком смысле первые шаги к международной революции?

Первые месяцы после революционного пролетариата нашей страны в России (25-7 II 1917) можно назвать, что пролетариат России оказался единственным международным революционным пролетариатом в тех условиях опыт нашего пролетариата на нашу теперь мы можем уже перед собой иметь первый достаточный международный опыт, который говорит о наличии определенных, в некоторой степени полных черт нашей революции между не нами, не капиталистическими, не русскими людьми, а международными классами. И в этом деле международная роль нашей не в широком смысле слова не некоторых, а во всех странах и многих пролетариатов черты нашей революции имеют международное значение в смысле возможности их на всем деле, в самом деле смысле слова, с полной мой международно значение международную значимость их пролетариату капиталистов в международном масштабе дела, что а. в 3 ни, пролетарий [illegible] пролетарий дает решение в нашем деле основные черты нашей революции.

Конечно, это за белогвардейский отличный предвосхищение этого пути, распространение его на деле на международную основу черт нашей революции. Можно даже это отметить дело за отличное дело в виду, что после победы пролетарской революции это за в одной у чрезвычайно сложной, не всей пролетариат, крупной черной, можно было сделать вывод что это не образцовый, а опыт образцовый (в „совершенно". В сомнительном смысле) опытной.

Расшифровка ленинского рукописного «Детского [illegible] в коммунизме»
«Воспоминания» Ленина о коммунизме»
Первый абзац. — 1920 г. апрель — май.
Расшифрована

I

რა აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე?

რუსეთში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის (25. X — 7. XI 1917) პირველ თვეებში შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა, რომ, რადგან ჩამორჩენილი რუსეთი დიდად განსხვავდება დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებისაგან, ამიტომ პროლეტარიატის რევოლუციას ამ ქვეყნებში ძალიან ნაკლები მსგავსება ექნება ჩვენს რევოლუციასთან. ახლა ჩვენ უკვე თვალწინ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც სავსებით გარკვეულად მოწმობს, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას არა ადგილობრივი, არა ეროვნულ-განსაკუთრებული, არა მარტო რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. და მე აქ ვლაპარაკობ საერთაშორისო მნიშვნელობაზე არა ამ სიტყვის ფართო აზრით: ჩვენი რევოლუციის არა ზოგიერთ, არამედ ყველა ძირითად და ბევრ მეორეხარისხოვან თვისებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყანაზე ამ რევოლუციის ზემოქმედების თვალსაზრისით. არა, მე ვლაპარაკობ ამ მნიშვნელობაზე სიტყვის სრულიად ვიწრო აზრით, ე. ი., თუ საერთაშორისო მნიშვნელობად ვიგულისხმებთ საერთაშორისო მასშტაბით იმის გამეორების საერთაშორისო მნიშვნელობას ან ისტორიულ გარდუვალობას, რაც ჩვენში მოხდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას ასეთი მნიშვნელობა აქვს.

რა თქმა უნდა, უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ ჭეშმარიტების გაზვიადება, მისი განვრცობა ჩვენი რევოლუციის არა მარტო ზოგიერთ ძირითად თვისებაზე. სწორედ ასევე შეცდომა იქნებოდა იმის მხედველობიდან გაშვება, რომ მას შემდეგ, რაც პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს თუნდაც ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანაში, ალბათ მოხდება მკვეთრი გარდატეხა, სახელდობრ: რუსეთი ამის შემდეგ მალე გახდება არა სანიმუშო, არამედ ისევ ჩამორჩენილი («საბჭოთა» და სოციალისტური აზრით) ქვეყანა.

მაგრამ ახლანდელ ისტორიულ მომენტში საქმის ვითარება სწორედ ისეთია, რომ რუსული ნიმუში ყ ვ ე ლ ა ქვეყანას უჩვენებს ზოგიერთ, ფრიად მნიშვნელოვან, რამეს მათი გარდუვალი და არცთუ შორეული მომავლიდან. ყველა ქვეყნის მოწინავე მუშებმა დიდი ხანია შეიგნეს ეს, — ხოლო კიდევ უფრო ხშირად არა იმდენად შეიგნეს, რამდენადაც რევოლუციური კლასის ინსტინქტით მიხვდნენ, ალღო აუღეს ამას. აქედან წარმოსდგება საბჭოთა ხელისუფლების, აგრეთვე ბოლშევიკური თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლების საერთაშორისო «მნიშვნელობა» (ამ სიტყვის ვიწრო აზრით). ეს ვერ გაიგეს II ინტერნაციონალის «რევოლუციურმა» ბელადებმა, როგორიც არიან კაუცკი გერმანიაში, ოტო ბაუერი და ფრიდრიხ ადლერი ავსტრიაში, რომლებიც სწორედ ამიტომ რეაქციონერები, ყველაზე უარესი ოპორტუნიზმისა და სოციალ-გამცემლობის დამცველები აღმოჩნდნენ. სხვათა შორის ანონიმური ბროშურა «მსოფლიო რევოლუცია» («Weltrevolution»), რომელიც 1919 წელს გამოვიდა ვენაში (Sozialistische Bücherei, Heft 11; Ignaz Brand *, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს აზროვნების მთელ მსვლელობას და აზროვნების მთელ სფეროს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მთელ უსაზღვრო უგუნურებას, პედანტობას, უხიმსობას და მუშათა კლასის ინტერესებისადმი ღალატს — თანაც ვითომდა «მსოფლიო რევოლუციის» იდეის «დასაცავად».

* — სოციალისტური ბიბლიოთეკა, ნაკვეთი 11; იგნაც ბრანდი. რ ე დ.

მაგრამ ამ ბროშურაზე უფრო დაწვრილებით შეჩერება როდისმე შემდეგ მოგვიხდება. აქ კი აღვნიშნავთ კიდევ მხოლოდ ერთ რამეს: ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა კაუცკი ჯერ კიდევ მარქსისტი იყო და არა რენეგატი, იგი უდგებოდა საკითხს როგორც ისტორიკოსი და ითვალისწინებდა ისეთი სიტუაციის დადგომის შესაძლებლობას, როცა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურობა ნიმუშად გახდებოდა დასავლეთ ევროპისათვის. ეს იყო 1902 წელს, როცა კაუცკი რევოლუციურ «ისკრაში» წერდა სტატიას: «სლავები და რევოლუცია». აი რას წერდა იგი ამ სტატიაში:

«ამჟამად კი» (წინააღმდეგ 1848 წლისა) «შეიძლება ვიფიქროთ, რომ არა მარტო სლავები ჩადგნენ რევოლუციურ ხალხთა რიგეაი, არამედ რევოლუციური აზრისა და რევოლუციური საქმის სიმძიმის ცენტრიც სულ უფრო და უფრო გადადის სლავებთან. რევოლუციური ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადადის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს ცენტრი საფრანგეთში იყო, ზოგჯერ ინგლისში. 1848 წელს გერმანიაც ჩადგა რევოლუციური ერების რიგებში... ახალი საუკუნე იწყება ისეთი მოვლენებით, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ მოხდება რევოლუციური ცენტრის შემდგომი ადგილგადანაცვლება, სახელდობრ: მისი გადასვლა რუსეთში... რუსეთი, რომელმაც ესოდენი რევოლუციური ინიციატივა აითვისა დასავლეთისაგან, ახლა, შესაძლოა, თვითონ არის მზად მისთვის რევოლუციური ენერგიის წყარო გახდეს. რუსეთში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობა, შესაძლოა, ყველაზე ძლიერი საშუალება აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ამოწვას უნიათო ფილისტერობისა და ზომიერი პოლიტიკანობის ის სულისკვეთება, რომლის გავრცელებაც იწყება ჩვენს რიგებში, და კვლავ მძლავრად აღაგზნოს ბრძოლის წყურვილი და ჩვენი დიადი იდეალებისადმი მგზნებარე ერთგულება. რუსეთი უკვე დიდი ხანია აღარ არის დასავლეთ ევროპისათვის რეაქციისა და აბსოლუტიზმის უბრალო დასაყრდენი. ახლა საქმის ვითარება, თითქოს, სწორედ საწინააღმდეგოა. დასავლეთი ევროპა ხდება რუსეთში რეაქციისა და აბსოლუტიზმის დასაყრდენი... რუსეთის რევოლუციონერები, შესაძლოა, დიდი ხანია მოერეოდნენ მეფეს, მათ რომ ამავე დროს მისი მოკავშირის — ევროპის კაპიტალის წინააღმდეგაც არ უხდებოდეთ ბრძოლა. იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ისინი შეძლებენ ორივე მტრის დაძლევას, და რომ ახალი «საღვთო კავშირი» უფრო მალე დაემხობა, ვიდრე მისი წინამორბედნი. მაგრამ, როგორც უნდა დამთავრდეს ახლანდელი ,ბრძოლა რუსეთში, იმ წამებულთა სისხლი და ბედნიერება, რომლებსაც იგი, სამწუხაროდ, საკმაოზე

მეტს წარმოშობს, ამაოდ არ ჩაივლის. ისინი გაანაყოფიერებენ სოციალური გადატრიალების ჯეჯილს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, გაზრდიან მას უფრო ლაღად და უფრო სწრაფად. 1848 წელს სლავები სუსხიანი ყინვა იყვნენ, რომელმაც დააზრო ხალხთა გაზაფხულის ყვავილები. შესაძლოა, ახლა მათ წილად ხვდეთ იქცნენ იმ ქარიშხლად, რომელიც დაამსხვრევს რეაქციის ყინულს და აუცილებლად მოიყვანს ახალ, ბედნიერ გაზაფხულს ხალხებისათვის». (კარლ კაუცკი, «სლავები და რევოლუცია», სტატია «ისკრაში», რუსულ ს.-დ. რევოლუციურ გაზეთში, 1902 წ. № 18, 1902 წლის 10 მარტი.)

კარგად წერდა კარლ კაუცკი 18 წლის წინათ!

II

ბოლშევიკების წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობა

ახლა, ალბათ, თითქმის ყველა ხედავს, რომ ბოლშევიკები 2½ წელიწადს კი არა, 2½ თვესაც ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას, ჩვენს პარტიაში რომ არ ყოფილიყო უმკაცრესი, ჭეშმარიტად რკინისებური დისციპლინა, მისთვის სავსებით და თავდადებით რომ არ დაეჭირა მხარი მუშათა კლასის მთელ მასას, ე. ი. ყოველივე იმას, რაც ამ კლასში არის მოაზროვნე, პატიოსანი, თავდადებული, გავლენიანი, იმის უნარის მქონე, რომ გაიყოლიოს ან გაიტაცოს ჩამორჩენილი ფენები.

პროლეტარიატის დიქტატურა არის ახალი კლასის ყველაზე თავდადებული და ყველაზე ულმობელი ომი უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი მტრის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგობა გ ა ა თ კ ე ც ე ბ უ ლ ი ა მისი დამხობით (თუნდაც ერთ ქვეყანაში) და რომლის ძლიერება მდგომარეობს არა მარტო საერთაშორისო კაპიტალის ძალაში, ბურჟუაზიის საერთაშორისო კავშირურთიერთობის ძალასა და სიმტკიცეში, არამედ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს ძ ა ლ ა შ ი ც, წ ვ რ ი ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ძალაში. ვინაიდან წვრილი წარმოება, სამწუხაროდ, ქვეყნად ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრია დარჩენილი, ხოლო წვრილი წარმოება წ ა რ მ ო შ ო ბ ს

კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველ-დღიურად, ყოველსაათობით, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით. ყველა ამ მიზეზით პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელია, და ბურჟუაზიაზე გამარჯვება შეუძლებელია ისე, თუ არ გავაჩაღეთ ხანგრძლივი, შეუპოვარი, თავგანწირული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, — ბრძოლა, რომელიც მოითხოვს გამძლეობას, დისციპლინას, სიმტკიცეს, შეუდრეკლობას და ნებისყოფის ერთიანობას.

ვიმეორებ, რუსეთში პროლეტარიატის ძლევამოსილი დიქტატურის გამოცდილებამ თვალნათლივ დაანახვა იმათ, ვისაც არ ეხერხება ფიქრი ან ვისაც შემთხვევა არ ჰქონია ეფიქრნა ამ საკითხზე, რომ პროლეტარიატის უცილობელი ცენტრალიზაცია და უმკაცრესი დისციპლინა ბურჟუაზიაზე გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა./

ამას ხშირად ეხებიან. მაგრამ სრულიადაც არასაკმაოდ ფიქრობენ იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს? რა პირობებშია ეს შესაძლებელი? უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების მიმართ მისალმების შეძახილებს უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ თან ახლდეს უ ა ღ რ ე ს ა დ ს ე რ ი ო ზ უ ლ ი ა ნ ა ლ ი ზ ი იმის მიზეზებისა, თუ რ ა ტ ო მ შეძლეს ბოლშევიკებმა შეემუშავებინათ რევოლუციური პროლეტარიატისათვის საჭირო დისციპლინა?

/ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს. მხოლოდ ბოლშევიზმის ისტორიით, მისი არსებობის მ თ ე ლ ი პერიოდის ისტორიით შეიძლება დამაკმაყოფილებლად ავხსნათ, თუ რატომ შეძლო მან შეემუშავებინა და უძნელეს პირობებში შეენარჩუნებინა რკინისებური დისციპლინა, რომელიც საჭიროა პროლეტარიატის გამარჯვებისათვის.

და, უწინარეს ყოვლისა, იბადება კითხვა: რას ემყარება პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის დისციპლინა? რით მოწმდება იგი? რით მაგრდება? ჯერ-ერთი, პროლეტარული ავანგარდის შეგნებულობით და რევოლუციისადმი

მისი ერთგულებით, მისი სიმტკიცით, თავგანწირულებით, გმირობით. მეორე, მისი უნარით — დაუკავშირდეს, დაუახლოვდეს, თუ გნებავთ, რამდენადმე შეუდუღდეს მშრომელთა უფართოეს მასას, უწინარეს ყოვლისა პროლეტარულ, მაგრამ აგრეთვე არაპროლეტარულ მშრომელ მასასაც. მესამე, სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობით, რომელსაც ეს ავანგარდი ახორციელებს, მისი სწორი პოლიტიკური სტრატეგიითა და ტაქტიკით, მაგრამ იმ პირობით, რომ უფართოესი მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ სისწორეში. თუ ეს პირობები არ იქნა, ისე შეუძლებელია განხორციელდეს დისციპლინა რევოლუციურ პარტიაში, რომელსაც ნამდვილად შესწევს უნარი იყოს პარტია იმ მოწინავე კლასისა, რომელმაც უნდა დაამხოს ბურჟუაზია და გარდაქმნას მთელი საზოგადოება. თუ ეს პირობები არ იქნა, ისე დისციპლინის შექმნის ცდები აუცილებლად იქცევა ლიტონ სიტყვად, ფრაზად, მანჭვა-გრეხად. ეს პირობები კი, მეორე მხრივ, არ შეიძლება ერთბაშად გაჩნდეს. მათი შემუშავება ხდება მხოლოდ ხანგრძლივი შრომით, მძიმე გამოცდილებით; მათს შემუშავებას აადვილებს სწორი რევოლუციური თეორია, რომელიც, თავის მხრივ, დოგმა კი არ არის, არამედ საბოლოოდ ყალიბდება მხოლოდ ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

თუ 1917 — 1920 წლების უმაგალითოდ მძიმე პირობებში ბოლშევიზმმა შეძლო შეემუშავებინა და წარმატებით განეხორციელებინა უსასტიკესი ცენტრალიზაცია და რკინისებური დისციპლინა, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მთელ რიგ ისტორიულ თავისებურებებშია.

ერთი მხრივ, ბოლშევიზმი 1903 წელს წარმოიშვა მარქსიზმის თეორიის უაღრესად მტკიცე ბაზაზე. ხოლო ამ — და მხოლოდ ამ — რევოლუციური თეორიის სისწორე დაამტკიცა არა მარტო მთელი XIX საუკუნის მსოფლიო გამოცდილებამ, არამედ განსაკუთრებით რუსეთში რევოლუციური აზრის მერყეობისა და ქანაობის, შეცდომებისა და

იმედგაცრუების გამოცდილებამ. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, დაახლოებით გასული საუკუნის 40-იანიდან 90-იან წლებამდე, რუსეთის მოწინავე აზროვნება, უმაგალითოდ მხეცური და რეაქციული ცარიზმის უღელქვეშ, ხარბად ეძებდა სწორ რევოლუციურ თეორიას, განსაცვიფრებლად გულმოდგინედ და ბეჯითად ადევნებდა თვალყურს ევროპისა და ამერიკის ყველა და ყოველ «უკანასკნელ სიტყვას» ამ დარგში. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჭეშმარიტად ტანჯვით მოიპოვა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით. ცარიზმის მიერ იძულებით გამოწვეული ემიგრანტობის მეოხებით, რევოლუციურ რუსეთს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისეთი მდიდარი ინტერნაციონალური კავშირი ჰქონდა, ისე საუცხოოდ იცნობდა რევოლუციური მოძრაობის მსოფლიო ფორმებსა და თეორიებს, როგორც მსოფლიოს არც ერთი სხვა ქვეყანა.

მეორე მხრივ, ამ გრანიტისებურ თეორიულ ბაზაზე წარმოშობილმა ბოლშევიზმმა განვლო თხუთმეტი წლის (1903 — 1917) პრაქტიკული ისტორია, რომელსაც გამოცდილების სიმდიდრის მხრივ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ვინაიდან ამ 15 წლის განმავლობაში არც ერთ ქვეყანას დაახლოებითაც კი არ განუცდია ესოდენ ბევრი რამ რევოლუციური გამოცდილების მხრივ, მოძრაობის სხვადასხვა ფორმების — ლეგალური და არალეგალური, მშვიდობიანი და ბობოქარი, ფარული და აშკარა, წრეობრივი და მასობრივი, პარლამენტური და ტერორისტული მოძრაობის ფორმების ურთიერთცვლის სისწრაფისა და მრავალფეროვნების მხრივ. არც ერთ ქვეყანაში დროის ასეთ მოკლე მანძილზე ასე უხვად არ ყოფილა თავმოყრილი თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასის ბრძოლის ფორმები, ელფერი, მეთოდები, ამასთანავე ბრძოლისა, რომელიც, ქვეყნის ჩამორჩენილობის

და ცარიზმის უღლის სიმძიმის გამო, განსაკუთრებით სწრაფად მწიფდებოდა, განსაკუთრებით ხარბად და წარმატებით ითვისებდა ამერიკისა და ევროპის პოლიტიკური გამოცდილების სათანადო «უკანასკნელ სიტყვას».

III

ბოლშევიზმის ისტორიის მთავარი ეტაპები

რევოლუციის მომზადების წლები (1903 — 1905). ყველგან იგრძნობა დიდი ქარიშხლის მოახლოება. ყველა კლასში დუღილი და მზადებაა. საზღვარგარეთ ემიგრანტული პრესა თეორიულად აყენებს რევოლუციის ყ ვ ე ლ ა ძირითად საკითხს. სამი ძირითადი კლასის, სამი მთავარი პოლიტიკური მიმდინარეობის, ლიბერალურ-ბურჟუაზიულ, წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ («სოციალ-დემოკრატიულ» და «სოციალ-რევოლუციურ» მიმართულებათა აბრებით დაფარულ) და პროლეტარულ-რევოლუციურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები საპროგრამო და ტაქტიკურ შეხედულებათა გააფთრებული ბრძოლით წინასწარ ითვალისწინებენ და ამზადებენ კლასთა მომავალ აშკარა ბრძოლას. ყ ვ ე ლ ა საკითხი, რომელთა გამო წარმოებდა მასების შეიარაღებული ბრძოლა 1905 — 1907 და 1917 — 1920 წლებში, შეიძლება (და უნდა) დავინახოთ, ჩანასახი ფორმით, მაშინდელ პრესაში. ხოლო სამ მთავარ მიმართულებას შორის, ცხადია, არის რამდენიც გნებავთ შუალედური, გარდამავალი, ორჭოფული წარმონაქმნი. უფრო სწორად რომ ვთქვათ: პრესის ორგანოების, პარტიების, ფრაქციების, ჯგუფების ბრძოლაში ყალიბდებიან ის იდეურ-პოლიტიკური მიმართულებანი, რომლებიც ნამდვილად კლასობრივი არიან; კლასები სჭედავენ თავისთვის სათანადო იდეურ-პოლიტიკურ იარაღს მომავალი ბრძოლებისათვის.

რევოლუციის წლები (1905 — 1907). ყველა კლასი აშკარად გამოდის. ყველა საპროგრამო და ტაქტიკური შეხედულება მასების მოქმედებით მოწმდება. საგაფიცვო ბრძოლა

უმაგალითოდ ფართოვდება და მწვავდება. ეკონომიური გაფიცვა პოლიტიკურ გაფიცვად გადაიზრდება და პოლიტიკური გაფიცვა — აჯანყებად. პრაქტიკულად მოწმდება თანაფარდობა ხელმძღვანელ პროლეტარიატსა და ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ, მოყოყმანე, მერყევ გლეხობას შორის. იბადება, ბრძოლის სტიქიურ განვითარებაში, ორგანიზაციის საბჭოთა ფორმა. მაშინდელი დავა საბჭოების მნიშვნელობის შესახებ წინასწარ წარმოგვისახავს 1917 — 1920 წლების დიად ბრძოლას. ბრძოლის პარლამენტური და არაპარლამენტური ფორმების, პარლამენტარიზმის ბოიკოტის ტაქტიკისა და პარლამენტარიზმში მონაწილეობის ტაქტიკის, ბრძოლის ლეგალური და არალეგალური ფორმების, აგრეთვე მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და კავშირის ურთიერთცვლა — ყოველივე ეს შინაარსის განსაცვიფრებელი სიმდიდრით განირჩევა. ამ პერიოდის ყოველი თვე — როგორც მასების, ისე ბელადებისათვის, როგორც კლასების, ისე პარტიებისათვის — პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების სწავლების თვალსაზრისით, «მშვიდობიანი» «კონსტიტუციური» განვითარების წელიწადს უდრიდა. 1905 წლის «გენერალური რეპეტიცია» რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

რეაქციის წლები (1907 — 1910). ცარიზმმა გაიმარჯვა. ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტია დამარცხებულია. დაცემულობა, დემორალიზაცია, განხეთქილებანი, გზააბნეულობა, რენეგატობა, პორნოგრაფია პოლიტიკის ნაცვლად. ფილოსოფიური იდეალიზმისადმი მიდრეკილების გაძლიერება; მისტიციზმი, როგორც კონტრრევოლუციურ განწყობილებათა სამოსელი. მაგრამ ამავე დროს სწორედ დიდი დამარცხება აძლევს რევოლუციურ პარტიებსა და რევოლუციურ კლასს ნამდვილ და უაღრესად სასარგებლო გაკვეთილს, ისტორიული დიალექტიკის გაკვეთილს, პოლიტიკური ბრძოლის გაგების, მისი წარმოების უნარისა და ოსტატობის გაკვეთილს. მეგობარი უბედურებაში გამოიცნობა. დამარცხებული არმიები კარგად სწავლობენ.

გამარჯვებული ცარიზმი იძულებულია დაჩქარებით მოსპოს რუსეთში წინაბურჟუაზიული, პატრიარქალური ყოფის ნაშთები. რუსეთის ბურჟუაზიული განვითარება შესანიშნავი სისწრაფით მიდის წინ. იფანტება გარეკლასობრივი, ზეკლასობრივი ილუზიები, იმის ილუზიები, რომ შესაძლოა კაპიტალიზმის თავიდან აცილება. კლასობრივი ბრძოლა სულ ახალ და მით უფრო მკაფიო სახეს იღებს.

რევოლუციურმა პარტიებმა სწავლა უნდა დაამთავრონ. ისინი შეტევას სწავლობდნენ. ახლა საჭირო ხდება იმის გაგება, რომ ამ ცოდნას აუცილებელია დაემატოს იმის ცოდნა, თუ უფრო სწორად როგორ უნდა უკანდახევა. საჭირო ხდება იმის გაგება, — და რევოლუციური კლასი საკუთარი მწარე გამოცდილებით სწავლობს იმის გაგებას, — რომ არ შეიძლება გაიმარჯვო, თუ არ ისწავლე სწორად შეტევა და სწორად უკანდახევა. დამარცხებულ ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიათაგან ბოლშევიკებმა უკან დაიხიეს ყველაზე მეტი წესრიგით, ყველაზე ნაკლები ზიანით თავიანთ «არმიაში», ყველაზე მეტად შეინარჩუნეს ამ არმიის ბირთვი, ყველაზე ნაკლები ჰქონდათ (სიღრმისა და განუკურნაობის მხრივ) განხეთქილებანი, ყველაზე ნაკლებად იყვნენ დემორალიზებულნი, ყველაზე მეტად შეინარჩუნეს მუშაობის ფართოდ, სწორად და ენერგიულად განახლების უნარი. და ამას ბოლშევიკებმა მიაღწიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ულმობლად ამხილეს და განდევნეს ფრაზის რევოლუციონერები, რომლებსაც არ სურდათ გაეგოთ, რომ საჭიროა უკანდახევა, რომ საჭიროა შეგწევდეს უკანდახევის უნარი, რომ საჭიროა აუცილებლად ისწავლო ლეგალურად მუშაობა ყველაზე რეაქციულ პარლამენტებში, ყველაზე რეაქციულ პროფესიულ, კოოპერაციულ, დაზღვევის და სხვა მსგავს ორგანიზაციებში.

აღმავლობის წლები (1910 — 1914). ჯერ აღმავლობა წარმოუდგენლად ნელი იყო, მერმე, ლენის 1912 წლის ამბების შემდეგ, რამდენადმე უფრო სწრაფი. ბოლშევიკებმა დაძლიეს უმაგალითო სიძნელენი, გარიყეს მენშევიკები, რომელთა როლი როგორც ბურჟუაზიის აგენტებისა მუშათა

მოძრაობაში, ჩინებულად გაიგო მთელმა ბურჟუაზიამ 1905 წლის შემდეგ და რომლებსაც ამიტომ ყოველნაირად უჭერდა მხარს ბოლშევიკების წინააღმდეგ მთელი ბურჟუაზია. მაგრამ ბოლშევიკები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ამას, რომ არ განეხორციელებინათ სწორი ტაქტიკა არალეგალური მუშაობის შეერთებისა «ლეგალურ შესაძლებლობათა» აუცილებლად გამოყენებასთან. ყოვლად რეაქციულ სათათბიროში ბოლშევიკებმა მიიმხრეს მთელი მუშათა კურია.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი (1914 — 1917). ლეგალური პარლამენტარიზმი, «პარლამენტის» უკიდურესი რეაქციულობის პირობებში, უალრესად სასარგებლო სამსახურს უწევს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიას, ბოლშევიკებს. ბოლშევიკი დეპუტატები ციმბირში მიდიან. ემიგრანტულ პრესაში ასახული სოციალ-იმპერიალიზმის, სოციალ-შოვინიზმის, სოციალ-პატრიოტიზმის, არათანმიმდევრული და თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის შეხედულებების, პაციფიზმისა და პაციფისტურ ილუზიათა რევოლუციური უარყოფის ყველა ელფერი სრულ გამოხატულებას პოულობს ჩვენში. II ინტერნაციონალის სწავლულმა რეგვენებმა და დედაბრებმა, რომლებიც აგდებულად და ქედმაღლურად ცხვირს იბზუებდნენ რუსეთის სოციალიზმში «ფრაქციების» სიმრავლისა და მათ შორის გააფთრებული ბრძოლის გამო, ვერ შეძლეს, როცა ომმა მოსპო ნაქები «ლეგალობა» ყ ვ ე ლ ა მოწინავე ქვეყანაში, მოეწყოთ შეხედულებათა თუნდაც დაახლოებით ისეთი თავისუფალი (არალეგალური) გაცვლა და სწორ შეხედულებათა ისეთი თავისუფალი (არალეგალური) შემუშავება, როგორიც მოაწყეს რუსმა რევოლუციონერებმა შვეიცარიასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. სწორედ ამიტომ ყველა ქვეყნის აშკარა სოციალ-პატრიოტებიც და «კაუცკელებიც» პროლეტარიატის ყველაზე უარესი მოღალატენი აღმოჩნდნენ. ხოლო თუ ბოლშევიზმმა შეძლო გაემარჯვნა 1917 — 1920 წლებში, ამ გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ბოლშევიზმი უკვე 1914 წლის დამლევიდან ულმობლად ამხელდა სოციალ-შოვინიზმისა და

«კაუცკელობის» (რომელსაც შეესაბამება ლონგეტიზმი[2] საფრანგეთში, დამოუკ. მუშ. პარტიის[3] ბელადებისა და ფაბიელების[4] შეხედულებანი ინგლისში, ტურატისა იტალიაში და ა. შ.) საზიზღრობას, სისაძაგლესა და გათახსირებას, მასები კი შემდეგ საკუთარი გამოცდილებით სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ ბოლშევიკების შეხედულებათა სისწორეში.

მეორე რევოლუცია რუსეთში (1917 წ. თებერვლიდან ოქტომბრამდე). ცარიზმის წარმოუდგენელმა დრომოჭმულობამ და დახავსებულობამ შექმნა (უაღრესად მტანჯველი ომით გამოწვეული გაჭირვებისა და სიმძიმის შემწეობით) ნგრევის წარმოუდგენელი ძალა, რაც მიმართული იყო მის წინააღმდეგ. რამდენიმე დღეში რუსეთი გადაიქცა დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკად, უფრო თავისუფალ რესპუბლიკად — ომის ვითარებაში, — ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანა. მთავრობის შექმნას შეუდგნენ ოპოზიციური და რევოლუციური პარტიების ბელადები — როგორც ყველაზე «წმინდა-პარლამენტურ» რესპუბლიკებში, ამასთან თუნდაც ყველაზე რეაქციულ პარლამენტში ოპოზიციური პარტიის ბელადის წოდება ა ა დ ვ ი ლ ე ბ დ ა ასეთი ბელადის შემდგომ როლს რევოლუციაში.

მენშევიკებმა და «სოციალისტ-რევოლუციონერებმა» რამდენიმე კვირაში საუცხოოდ შეითვისეს II ინტერნაციონალის ევროპელი გმირების, მინისტერიალისტებისა და სხვა ოპორტუნისტული ვიგინდარების მთელი ხერხები და მანერები, .საბუთები და სოფიზმები. ყოველივე, რასაც ახლა ვკითხულობთ შეიდემანებსა და ნოსკეებზე, კაუცკისა და ჰილფერდინგზე, რენერსა და აუსტერლიცზე, ოტო ბაუერსა და ფრიც ადლერზე, ტურატისა და ლონგეზე, ინგლისში ფაბიელებსა და დამოუკ. მუშ. პარტიის ბელადებზე, ყოველივე ეს გვეჩვენება (და ნამდვილადაც ასეა) ნაცნობ და ძველი მოტივის მოსაწყენ განმეორებად, გადამღერებად. ყოველივე ეს უკვე გვინახავს მენშევიკებში. ისტორიამ იხუმრა და აიძულა ჩამორჩენილი ქვეყნის ოპორტუნისტები

დაესწროთ მთელი რიგი მოწინავე ქვეყნების ოპორტუნისტებისათვის.

თუ II ინტერნაციონალის ყველა გმირი გაკოტრდა, შერცხვა საბჭოებისა. და საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობისა და როლის საკითხში, თუ განსაკუთრებით «მკაფიოდ» შერცხვნენ და დაიბნენ ამ საკითხში ამჟამად II ინტერნაციონალიდან გასული სამი მეტად მნიშვნელოვანი პარტიის (სახელდობრ გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის[5], საფრანგეთის ლონგეტისტური და ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის) ბელადები, თუ ისინი ყველანი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენათა მონები აღმოჩნდნენ (სწორედ ისე, როგორც 1848 წლის წვრილი ბურჟუები, რომლებიც თავს «სოციალ-დემოკრატებს» უწოდებდნენ), ჩვენ უკვე მენშევიკების მაგალითით ვნახეთ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ე ს. ისტორიამ ისე იხუმრა, რომ რუსეთში 1905 წელს წარმოიშვა საბჭოები, რომ ისინი გააყალბეს 1917 წლის თებერვალ-ოქტომბერში მენშევიკებმა, რომლებიც გაკოტრდნენ იმის გამო, რომ უნარი არ ჰქონდათ გაეგოთ საბჭოების როლი და მნიშვნელობა, და რომ ახლა მ თ ე ლ მ ს ო ფ ლ ი ო შ ი იშვა საბჭოთა ხელისუფლების იდეა, რომელიც უმაგალითო სისწრაფით ვრცელდება ყველა ქვეყნის პროლეტარიატში, ამასთან II ინტერნაციონალის ძველი გმირები ყ ვ ე ლ გ ა ნ. ისევე კოტრდებიან, როგორც ჩვენი მენშევიკები, იმის გამო, რომ არ შესწევთ უნარი გაიგონ საბჭოების როლი და მნიშვნელობა. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ პროლეტარული რევოლუციის ზოგიერთ ფრიად არსებით საკითხში ყ ვ ე ლ ა ქვეყანას გარდუვალად მოელის ის, რაც განვლო რუსეთმა.

თავიანთი ძლევამოსილი ბრძოლა პარლამენტური (ფაქტიურად) ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკებმა ძალიან ფრთხილად დაიწყეს და ამზადებდნენ სრულიადაც არა მარტივად — წინააღმდეგ იმ შეხედულებისა, რომელიც იშვიათად როდი

გვხვდება ახლა ევროპასა და ამერიკაში. ჩვენ არ მოვუწოდებ-
დით აღნიშნული პერიოდის დასაწყისში მთავრობის დამხო-
ბისაკენ, არამედ განვმარტავდით, რომ მისი დამხობა შეუ-
ძლებელი იყო, თუ წინასწარ არ მოხდებოდა ცვლილებანი
საბჭოების შემადგენლობასა და განწყობილებაში. ჩვენ ბოი-
კოტს არ ვუცხადებდით ბურჟუაზიულ პარლამენტს, დამფუძ-
ნებელ კრებას, არამედ ვამბობდით — ჩვენი პარტიის
აპრილის (1917) კონფერენციიდან მოყოლებული ოფიციალუ-
რად ვამბობდით პარტიის სახელით, — რომ დამფუძნებელ-
კრებიანი ბურჟუაზიული რესპუბლიკა სჯობია უდამფუძნებელ-
კრებო ასეთსავე რესპუბლიკას; ხოლო «მუშურ-გლეხური».
საბჭოთა. რესპუბლიკა ყოველ ბურჟუაზიულ-დემოკრა-
ტიულ, პარლამენტურ, რესპუბლიკას სჯობია. ასეთი ფრთხი-
ლი, საფუძვლიანი, წინდახედული და ხანგრძლივი მომზადება
რომ არა, ჩვენ ვერც გამარჯვებას მოვიპოვებდით 1917
წლის ოქტომბერში და ვერც შევინარჩუნებდით ამ გამარჯ-
ვებას.

IV

მუშათა მოძრაობის შიგნით რომელ მტრებთან ბრძოლაში გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო ბოლშევიზმი?

უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად ბრძოლაში ოპორ-
ტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც 1914 წელს საბოლოოდ
გადაიქცა სოციალ-შოვინიზმად, საბოლოოდ გადავიდა ბურ-
ჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს, ბუნებრი-
ვია, ბოლშევიზმის მთავარი მტერი იყო მუშათა მოძრაობის
შიგნით. ეს მტერი მთავარ მტრად რჩება საერთაშორისო
მასშტაბითაც. ამ მტერს ბოლშევიზმი ყველაზე მეტ ყურად-
ღებას აქცევდა და აქცევს. ბოლშევიკების მოღვაწეობის ეს
მხარე ახლა უკვე საკმაოდ კარგადაა ცნობილი საზღვარ-
გარეთაც.

სულ სხვა უნდა ითქვას ბოლშევიზმის მეორე მტერზე მუშათა მოძრაობის შიგნით. საზღვარგარეთ ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოდ იციან, რომ ბოლშევიზმი გაიზარდა, ჩამოყალიბდა და გამოიწრთო მრავალი წლის ბრძოლაში წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობის წინააღმდეგ, რომელიც ანარქიზმს წააგავს ან ზოგ, რამეს სესხულობს მისგან, რომელიც ყოველსავე იმაში, რაც კი არსებითია, უხვევს მტკიცე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის პირობებისა და მოთხოვნილებებისაგან. თეორიულად მარქსისტებისათვის სავსებით დადგენილია, — და ევროპის ყველა რევოლუციისა და რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით სავსებით დადასტურებულია, — რომ წვრილი ბესაკუთრე, წვრილი მეპატრონე (სოციალური ტიპი, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაში ძალიან ფართოდ, მასობრივად არის წარმოდგენილი), მუდმივად განიცდის რა კაპიტალიზმის დროს ჩაგვრას და ძალიან ხშირად ცხოვრების წარმოუდგენლად მკვეთრ და სწრაფ გაუარესებასა და გაჩანაგებას, ადვილად გადადის უკიდურეს რევოლუციურობაზე, მაგრამ უნარი არ შესწევს გამოიჩინოს გამძლეობა, ორგანიზებულობა. დისციპლინა, სიმტკიცე. კაპიტალიზმის საშინელებათაგან «გაცოფებული» წვრილი ბურჟუა — ეს სოციალური მოვლენაა, რომელიც, ისევე როგორც ანარქიზმი, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას ახასიათებს. ასეთი რევოლუციურობის მერყეობა, მისი უნაყოფობა, თვისება — სწრაფად გადაიქცეს მორჩილებად, აპათიად, ფანტასტიკად, ამა თუ იმ ბურჟუაზიული «მოდური» მიმდინარეობით «გაცოფებულ» გატაცებადაც კი, — ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ამ ჭეშმარიტებათა თეორიული, აბსტრაქტული, აღიარება ოდნავაც ვერ აზღვევს რევოლუციურ პარტიებს ძველი შეცდომების გამეორებისაგან, რომლებიც თავს იჩენენ ყოველთვის მოულოდნელი საბაბით, ოდნავ ახალი ფორმით, წინათ უნახავ საძოსელში ან გარემოცვაში, ორიგინალურ — ძეტად თუ ნაკლებად ორიგინალურ — ვითარებაში.

ანარქიზმი არცთუ იშვიათად თავისებური სასჯელი იყო მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტული ცოდვებისათვის. ორივე სიმახინჯე ურთიერთს ავსებდა. და თუ რუსეთში, მიუხედავად მისი მოსახლეობის უფრო წვრილბურჟუაზიული შემადგენლობისა ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ანარქიზმი ორივე რევოლუციის (1905 და 1917) პერიოდში და ამ რევოლუციებისათვის მოსამზადებელ პერიოდში შედარებით უმნიშვნელო გავლენით სარგებლობდა, ეს, უეჭველია, ნაწილობრივ უნდა ჩაეთვალოს დამსახურებად ბოლშევიზმს, რომელიც ყოველთვის აწარმოებდა უაღრესად ულმობელ და შეურიგებელ ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ვამბობ: «ნაწილობრივ», ვინაიდან რუსეთში ანარქიზმის შესუსტების საქმეში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა წარსულში (XIX საუკუნის 70-იანი წლები) არაჩვეულებრივად ძლიერ განვითარებულიყო და ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი მცდარობა, თავისი უვარგისობა, როგორც რევოლუციური კლასის ხელმძღვანელი თეორიისა.

ბოლშევიზმმა თავისი წარმოშობისას 1903 წელს აითვისა წვრილბურჟუაზიულ, ნახევრადანარქისტულ (ან ანარქიზმთან ლაქუცის უნარის მქონე) რევოლუციურობასთან ულმობელი ბრძოლის ტრადიცია, ტრადიცია, რომელიც ყოველთვის ჰქონდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას და განსაკუთრებით განმტკიცდა ჩვენში 1900—1903 წლებში, როცა საფუძველი ეყრებოდა რუსეთში რევოლუციური პროლეტარიატის მასობრივ პარტიას. ბოლშევიზმმა აითვისა და განაგრძო ბრძოლა იმ პარტიასთან, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავდა წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობის ტენდენციებს, სახელდობრ «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტიასთან, სამ მთავარ პუნქტში. ჯერ-ერთი, ამ პარტიას, რომელიც უარყოფდა მარქსიზმს, დაჟინებით არ სურდა (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: არ შეეძლო) გაეგო, რომ ყოველი პოლიტიკური მოქმედების წინ აუცილებლად საჭიროა

კლასობრივი ძალებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ზუსტი ობიექტური გათვალისწინება. მეორე, ეს პარტია თავის განსაკუთრებულ «რევოლუციურობას» თუ «მემარცხენეობას» იმაში ხედავდა, რომ იგი აღიარებდა ინდივიდუალურ ტერორს, თავდასხმებს, რასაც ჩვენ, მარქსისტები, გადაჭრით უარვყოფდით. ცხადია, ჩვენ უარვყოფდით ინდივიდუალურ ტერორს მხოლოდ მიზანშეწონილობის მოსაზრებებით, იმ ადამიანებს კი, რომლებსაც შეუძლიათ «პრინციპულად» დაგმონ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ტერორი ან საერთოდ ტერორი გამარჯვებული რევოლუციური პარტიის მხრივ, რომელიც ალყაშემორტყმულია მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის მიერ, ასეთ ადამიანებს ჯერ კიდევ პლეხანოვი 1900 — 1903 წლებში, როცა პლეხანოვი მარქსისტი და რევოლუციონერი იყო, მასხარად იგდებდა და მიწასთან ასწორებდა. მესამე, «სოციალისტ-რევოლუციონერები» «მემარცხენეობას» იმაში ხედავდნენ, რომ ხითხითი აეტეხათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შედარებით მცირე ოპორტუნისტულ შეცოდებათა გამო, ხოლო ამავე დროს ბაძავდნენ ამავე პარტიის უკიდურეს ოპორტუნისტებს, მაგალითად, აგრარულ საკითხში ან პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში.

ისტორიამ, აქვე უნდა ვთქვათ, ახლა დიდი, მსოფლიო-ისტორიული მასშტაბით დაადასტურა ის აზრი, რომელსაც ჩვენ მუდამ ვიცავდით, სახელდობრ ის, რომ გერმანიის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატია (მხედველობაში იქონიეთ, რომ ჯერ კიდევ 1900 — 1903 წლებში პლეხანოვი მოითხოვდა ბერნშტეინის გარიცხვას პარტიიდან, ხოლო ბოლშევიკები, რომლებიც მუდამ განაგრძობდნენ ამ ტრადიციას, 1913 წელს ამხელდნენ ლეგინის მთელ სიმდაბლეს, საზიზღრობასა და გამცემლობას), — რომ გერმანიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ყ ვ ე ლ ა ზ ე ა ხ ლ ო ს იყო ისეთ პარტიასთან, რომელიც სჭირდება რევოლუციურ პროლეტარიატს, რათა მან გამარჯვება შეძლოს. ახლა, 1920 წელს, ომის ეპოქისა და ომისშემდგომი პირველი წლების ყველა-

სამარცხვინო კრახისა და კრიზისის შემდეგ, ნათლად ჩანს, რომ დასავლეთის ყველა პარტიიდან სწორედ გერმანიის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მოგვცა ყველაზე უკეთესი ბელადები, აგრეთვე სხვებზე ადრე მოჯობინდა, განიკურნა, კვლავ განმტკიცდა. ეს ჩანს სპარტაკელების[6] პარტიის მაგალითითაც და «გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის» მემარცხენე, პროლეტარული ფრთის მაგალითითაც, რომელიც განუხრელად ებრძვის კაუცკების, ჰილფერდინგების, ლედებურების, კრისპინების ოპორტუნიზმსა და უხერხემლობას. თუ ახლა საერთოდ გადავავლებთ თვალს სავსებით დამთავრებულ ისტორიულ პერიოდს, სახელდობრ: პარიზის კომუნიდან პირველ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკამდე, სავსებით გარკვეული და უდავო სახით წარმოგვიდგება საერთოდ მარქსიზმის დამოკიდებულება ანარქიზმისადმი. მარქსიზმი ბოლოს და ბოლოს მართალი აღმოჩნდა, და თუ ანარქისტები სამართლიანად აღნიშნავდნენ სახელმწიფოზე იმ შეხედულებათა ოპორტუნისტულობას, რომლებიც გაბატონებული იყო მეტწილ სოციალისტურ პარტიებში, ჯერერთი, ეს ოპორტუნისტულობა დაკავშირებული იყო სახელმწიფოზე მარქსის შეხედულებათა დამახინჯებასთან და პირდაპირ დამალვასთანაც კი (ჩემს წიგნში «სახელმწიფო და რევოლუცია» მე აღვნიშნე, რომ ბებელი 36 წელიწადს, 1875-დან 1911-მდე, მალავდა ენგელსის წერილს, რომელმაც განსაკუთრებით რელიეფურად, მკვეთრად, პირდაპირ, მკაფიოდ ამხილა სახელმწიფოზე მოარულ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა ოპორტუნიზმი); მეორე, ამ ოპორტუნისტულ შეხედულებათა გამოსწორება, საბჭოთა ხელისუფლების აღიარება, ბურჟუაზიულ პარლამენტურ დემოკრატიაზე მისი უპირატესობის აღიარება, ყოველივე ეს ყველაზე სწრაფად და ფართოდ მომდინარეობდა ევროპისა და ამერიკის სოციალისტური პარტიების სწორედ ყველაზე მარქსისტულ მიმდინარეობათა წიაღიდან.

ორ შემთხვევაში მიიღო განსაკუთრებით დიდი მასშტაბი ბოლშევიზმის ბრძოლამ მისი საკუთარი პარტიის «მარცხნით»

გადახრებთან: 1908 წელს ყოვლად რეაქციულ «პარლამენტში» და ყოვლად რეაქციულ კანონებზე აგებულ ლეგალურ მუშათა საზოგადოებებში მონაწილეობის საკითხის გამო და 1918 წელს (ბრესტის ზავი) იმ საკითხის გამო, თუ რამდენად დასაშვები იყო ესა თუ ის «კომპრომისი».

1908 წელს «მემარცხენე» ბოლშევიკები გარიცხულ იქნენ ჩვენი პარტიიდან, რადგან არამც და არამცარ სურდათ გაეგოთ ყოვლად რეაქციულ «პარლამენტში» მონაწილეობის აუცილებლობა. «მემარცხენენი» — რომელთაგან ბევრნი საუცხოო რევოლუციონერები იყვნენ, რომლებიც შემდეგში ღირსეულად იყვნენ (და კვლავ არიან) კომუნისტური პარტიის წევრები — განსაკუთრებით ეყრდნობოდნენ 1905 წლის ბოიკოტის დადებით გამოცდილებას. როცა მეფემ 1905 წლის აგვისტოში სათათბირო «პარლამენტის» მოწვევა გამოაცხადა, ბოლშევიკებმა — წინააღმდეგ ყველა ოპოზიციური პარტიისა და წინააღმდეგ მენშევიკებისა — მას ბოიკოტი გამოუცხადეს, და 1905 წლის ოქტომბრის რევოლუციამ მართლაც აღგავა იგი. მაშინ ბოიკოტი სწორი აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ საერთოდ რეაქციულ პარლამენტებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა მართებულია, არამედ იმიტომ, რომ სწორად იქნა გათვალისწინებული ობიექტური მდგომარეობა, რომელიც იწვევდა მასობრივი გაფიცვების სწრაფად გადაქცევას პოლიტიკურ, შემდეგ რევოლუციურ გაფიცვად და შემდეგ აჯანყებად. თანაც მაშინ ბრძოლა წარმოებდა იმის გამო, მეფის ხელში დაგვეტოვებინა პირველი წარმომადგენლობითი დაწესებულების მოწვევა თუ ვცდილიყავით გამოგვეგლიჯა ეს მოწვევა ძველი ხელისუფლების ხელიდან. რადგან დარწმუნებული არ ვიყავით და არც შეიძლებოდა დარწმუნებული ვყოფილიყავით ანალოგიური ობიექტური მდგომარეობის არსებობაში და, აგრეთვე, მისი განვითარების მიმართულებისა და ტემპის ერთიანობაში, ამიტომ ბოიკოტი სწორი აღარ იყო.

ბოლშევიკების მიერ 1905 წელს «პარლამენტისათვის» ბოიკოტის გამოცხადებამ გაამდიდრა რევოლუციური

პროლეტარიატი უაღრესად ძვირფასი პოლიტიკური გამოცდილებით, ცხადყო, რომ ბრძოლის ლეგალური და არალეგალური, პარლამენტური და პარლამენტგარეშე ფორმების შეხამებისას ზოგჯერ სასარგებლო და სავალდებულოც კია შეგვეძლოს უარი ვთქვათ პარლამენტურ ფორმებზე. მაგრამ ამ გამოცდილების ს ხ ვ ა პირობებში, ს ხ ვ ა ვითარებაში ბრმად, მიბაძვით, არაკრიტიკულად გადატანა უდიდესი შეცდომაა. შეცდომა, თუმცა მცირე, ადვილად გამოსასწორებელი *, იყო უკვე 1906 წელს ბოლშევიკების მიერ «სათათბიროსათვის» ბოიკოტის გამოცხადება. უაღრესად სერიოზული და ძნელად გამოსასწორებელი შეცდომა იყო ბოიკოტი 1907, 1908 და შემდგომ წლებში, როცა, ერთი მხრივ, მოსალოდნელი არ იყო რევოლუციური ტალღის ძალიან სწრაფი აზვირთება და მისი გადაქცევა აჯანყებად, და როცა, მეორე მხრივ, ლეგალური და **არალეგალური მუშაობის ერთმანეთთან შეხამების აუცილებლობა** გამომდინარეობდა განახლების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული მონარქიის მთელი ისტორიული ვითარებიდან. ახლა, როცა თვალს გადაავლებ სავსებით დამთავრებულ ისტორიულ პერიოდს, რომლის კავშირი შემდგომ პერიოდებთან უკვე სავსებით გამოაშკარავდა, — განსაკუთრებით ცხადი ხდება, რომ ბოლშევიკები 1908 — 1914 წლებში ვ ე რ შ ე ძ ლ ე ბ დ ნ ე ნ შეენარჩუნებინათ (რომ აღარ ვთქვა: განემტკიცებინათ, განევითარებინათ, გაეძლიერებინათ) პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის მტკიცე ბირთვი, უსასტიკეს ბრძოლაში რომ არ დაეცვათ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ობ ა ბრძოლის ლეგალური ფორმების შეერთებისა არალეგალურ

---

* პოლიტიკასა და პარტიებს შეესაბამება — სათანადო ცვლილებებით — ის, რაც ცალკეულ ადამიანებს შეეხება. ჭკვიანი ის კი არ არის, ვისაც შეცდომები არ მოსდის. ასეთი ადამიანები არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენ. ჭკვიანი ის არის, ვინც ძალიან არსებით შეცდომებს არ უშვებს და ვისაც უნარი აქვს ადვილად და მალე გამოასწოროს ისინი.

ფორმებთან, ყოვლად რეაქციულ პარლამენტში და რეაქციულ კანონებზე აგებულ მთელ რიგ სხვა დაწესებულებებში (დამზღვევი სალაროები და სხვ.) აუცილებელ მონაწილეობასთან.

1918 წელს საქმე განხეთქილებამდე არ მისულა. «მემარცხენე» კომუნისტებმა მაშინ მხოლოდ განსაკუთრებული ჯგუფი თუ «ფრაქცია» შექმნეს ჩვენი პარტიის შიგნით და ისიც არა დიდი ხნით. იმავე 1918 წელს «მემარცხენე კომუნიზმის» ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, მაგალითად, ამხ. რადეკმა და ბუხარინმა, აშკარად აღიარეს თავიანთი შეცდომა. მათ ეგონათ, რომ ბრესტის ზავი პრინციპულად შეუწყნარებელი და რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის მავნე კომპრომისი იყო იმპერიალისტებთან. ეს მართლაც კომპრომისი იყო იმპერიალისტებთან, მაგრამ სწორედ ისეთი და ისეთ ვითარებაში, რომ აუცილებელი იყო.

ამჟამად, როცა მე მესმის თავდასხმები იმ ტაქტიკაზე, რომელსაც ჩვენ ვადექით ბრესტის ზავის ხელმოწერის დროს, მაგალითად, «სოციალისტ-რევოლუციონერების» მხრივ, ან როცა მესმის ამხანაგ ლენსბერის შენიშვნა, რაც მან ჩემთან საუბარში გამოთქვა: «ტრედ-უნიონების ჩვენი ინგლისელი ბელადები ამბობენ, რომ კომპრომისები მათთვისაც დასაშვებია, თუ ისინი ბოლშევიზმისათვის იყო დასაშვებიო», მე ჩვეულებრივ ვუპასუხებ უწინარეს ყოვლისა მარტივი და «პოპულარული» შედარებით:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ავტომობილი გააჩერეს შეიარაღებულმა ბანდიტებმა. თქვენ მათ აძლევთ ფულს, პასპორტს, რევოლვერს, ავტომობილს. თქვენ თავს აღწევთ ბანდიტებთან სასიამოვნო მეზობლობას. კომპრომისი აქ უეჭველად არის. «Do ut des» («გაძლევ» ფულს, იარაღს, ავტომობილს, «რომ შენ მომცე» საშუალება წავიდე, თავს ვუშველო). მაგრამ ძნელია იპოვნო ისეთი ადამიანი, რომელიც, თუ ჭკუაზე შეშლილი არ არის, ასეთ კომპრომისს

«პრინციპულად შეუწყნარებელს» უწოდებდა ან ასეთი კომპრომისის დამდებ პირს ბანდიტების თანამონაწილედ გამოაცხადებდა (თუმცა ბანდიტები, ავტომობილში რომ ჩასხდნენ, შეძლებდნენ გამოეყენებინათ ის და იარაღი ახალი ყაჩაღობისათვის). გერმანიის იმპერიალიზმის ბანდიტებთან ჩვენი კომპრომისი ასეთ კომპრომისს ჰგავდა.

ხოლო როცა შენშევიკები და ესერები რუსეთში, შეიდემანელები (და მნიშვნელოვანწილად კაუცკელები) გერმანიაში, ოტო ბაუერი და ფრიდრიხ ადლერი (ბ-ნ რენერებსა და კომპანიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ავსტრიაში, რენოდელები, ლონგეები და კომპანია საფრანგეთში, ფაბიელები, «დამოუკიდებლები» და «ტრუდოვიკები» (ლაბურისტები»[7]) ინგლისში 1914 — 1918 და 1918 — 1920 წლებში კ ო მ პ რ ო მ ი ს ე ბ ს დებდნენ თავიანთი საკუთარი, ზოგჯერ კი აგრეთვე «მოკავშირე» ბურჟუაზიის ბანდიტებთან თავიანთი ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, აი მაშინ მთელი ეს ვაჟბატონები იქცეოდნენ როგორც ბ ა ნ დ ი ტ ი ზ მ ი ს თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი.

დასკვნა ცხადია: კომპრომისების «პრინციპულად» უარყოფა, იმის უარყოფა, რომ საერთოდ დასაშვებია რაიმე კომპრომისი, — ბალღობაა, რომელსაც ძნელიც კია სერიოზული ანგარიში გაუწიო. პოლიტიკოსს, რომელსაც სურს სასარგებლო იყოს რევოლუციური პროლეტარიატისათვის, უნარი უნდა ჰქონდეს გამოჰყოს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი შემთხვევები სწორედ ისეთი კომპრომისებისა, რომლებიც შეუწყნარებელია, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს ოპორტუნიზმი და გ ა მ ც ე მ ლ ო ბ ა, და წარმართოს კრიტიკის მთელი ძალა, ულმობელი მხილებისა და შეურიგებელი ბრძოლის მთელი მახვილი **ამ კონკრეტული** კომპრომისების წინააღმდეგ, არ დაანებოს ფრიად გამოცდილ «საქმოსან» სოციალისტებსა და პარლამენტის იეზუიტებს გაექცნენ და დაუძვრნენ პასუხისმგებლობას «საერთოდ კომპრომისებზე» მსჯელობის საშუალებით. ბატონი ინგლისელი «ბელადები»

ტრედ-უნიონებისა, აგრეთვე ფაბიელთა საზოგადოებისა და «დამოუკიდებელი» მუშათა პარტიისა სწორედ ასე გაურბიან პასუხისმგებლობას მათ მიერ ჩადენილი გამცემლობისათვის, მათ მიერ ჩადენილი ასეთი კომპრომისისათვის, რომელიც ნამდვილად ნიშნავს ყველაზე უარეს ოპორტუნიზმს, ღალატსა და გამცემლობას.

კომპრომისიც არის და კომპრომისიც. უნარი უნდა გვქონდეს ანალიზი გავუკეთოთ ყოველი კომპრომისის ან კომპრომისის ყოველი ნაირსახეობის ვითარებასა და კონკრეტულ პირობებს. უნდა ვისწავლოთ იმ ადამიანის გარჩევა, რომელმაც ბანდიტებს ფული და იარაღი მისცა, რათა შეემცირებინა ბოროტება, რასაც ბანდიტები გვაყენებენ, და გაეადვილებინა ბანდიტების შეპყრობისა და დახვრეტის საქმე, იმ ადამიანისაგან, რომელიც ბანდიტებს ფულსა და იარაღს აძლევს იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ბანდიტური ნადავლის გაყოფაში. პოლიტიკაში ეს სრულიადაც არაა ყოველთვის ისე იოლი, როგორც ბავშვურად მარტივ მაგალითში. მაგრამ ის, ვინც მოისურვებდა გამოეგონა მუშებისათვის ისეთი რეცეპტი, რომელიც მზამზარეულ გადაწყვეტილებებს იძლეოდეს ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის, ან ვინც დაგვპირდებოდა, რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკაში არავითარი სიძნელე და არავითარი დახლართული მდგომარეობა არ იქნებაო, ის მხოლოდ შარლატანი იქნებოდა.

ყოველგვარი მითქმა-მოთქმის შესაძლებლობა რომ მოვსპო, შევეცდები დავსახო, თუნდაც სრულიად მოკლედ, რამდენიმე ძირითადი დებულება კონკრეტული კომპრომისების ანალიზისათვის.

პარტია, რომელმაც გერმანელ იმპერიალისტებთან დადო კომპრომისი, რაც ბრესტის ზავის ხელმოწერაში მდგომარეობდა, თავის ინტერნაციონალიზმს საქმით იმუშავებდა 1914 წლის დამლუვიდან. მას არ ეშინოდა გამოეცხადებინა მეფის მონარქიის დამარცხების ლოზუნგი და დაეგმო «სამშობლოს დაცვა» ორ იმპერიალისტ მტაცებელს შორის წარმოებულ ომში. ამ პარტიის პარლამენტარი დეპუტატები ბურჟუაზიულ

მთავრობაში მინისტრების პორტფელებისაკენ მიმავალ ბილიკს კი არ დასდგომიან, არამედ ციმბირში წავიდნენ. რევოლუციამ, რომელმაც დაამხო ცარიზმი და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, მოგვცა ამ პარტიის ახალი და უდიდესი შემოწმება: იგი არ დაადგა «თავის» იმპერიალისტებთან შეთანხმების არავითარ გზას, არამედ მოამზადა მათი დამხობა და დაამხო ისინი. პოლიტიკური ძალაუფლება რომ აიღო, ამ პარტიამ ქვა ქვაზეც აღარ დატოვა არც მემამულეთა და არც კაპიტალისტთა საკუთრებისაგან. ამ პარტიამ გამოაქვეყნა და გააუქმა იმპერიალისტთა ფარული ხელშეკრულებანი, ზავი შესთავაზა ყველა ხალხს და მხოლოდ მას შემდეგ დაემორჩილა ბრესტის მტაცებელთა ძალადობას, რაც ინგლისი-საფრანგეთის იმპერიალისტებმა ზავი ჩაშალეს, ბოლშევიკებმა კი ყველაფერი გააკეთეს, რაც ადამიანს ძალუძს, რათა დაეჩქარებინათ რევოლუცია გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. სრული სისწორე ასეთი პარტიის მიერ ასეთ ვითარებაში დადებული ასეთი კომპრომისისა დღითიდღე უფრო ნათელი და ცხადი ხდება ყველასათვის.

მენშევიკებმა და ესერებმა რუსეთში (ისევე როგორც II ინტერნაციონალის ყველა ბელადმა მთელ მსოფლიოში 1914 — 1920 წლებში) გამცემლობით დაიწყეს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამართლებდნენ რა «სამშობლოს დაცვას», ე. ი. თავისი მძარცველური ბურჟუაზიის დაცვას. მათ განაგრძეს გამცემლობა იმით, რომ თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან კოალიციაში შევიდნენ და თავის ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოდნენ თავისი ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ. მათი ბლოკი ჯერ კერენსკისთან და კადეტებთან, შემდეგ კოლჩაკთან და დენიკინთან რუსეთში, ისევე როგორც მათ საზღვარგარეთელ თანამოაზრეთა ბლოკი თავიანთი ქვეყნების ბურჟუაზიასთან, იყო ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლა პროლეტარიატის წინააღმდეგ. მათი კომპრომისი იმპერიალიზმის ბანდიტებთან თავიდან ბოლომდე იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი იმპერიალისტური ბანდიტიზმის თანამონაწილენი ხდებოდნენ.

V

«მემარცხენე» კომუნიზმი გერმანიაში. ბელადები — პარტია — კლასი — მასა

გერმანელი კომუნისტები, რომლებზეც ახლა უნდა ვილაპარაკოთ, თავიანთ თავს «მემარცხენეებს» კი არ უწოდებენ, არამედ — თუ არ ვცდები — «პრინციპულ ოპოზიციას». მაგრამ რომ მათ სავსებით ახასიათებთ «მემარცხენეობის საყმაწვილო სენის» ნიშნები, ამას ქვემოთ დავინახავთ.

ამ ოპოზიციის თვალსაზრისზე მდგომ ბროშურაში «გერმანიის კომუნისტური პარტიის (სპარტაკელთა კავშირის) გათიშვა», რომელიც «მაინის ფრანკფურტის ადგილობრივმა ჯგუფმა» გამოსცა, უაღრესად რელიეფურად, ზუსტად, მკაფიოდ, მოკლედ არის გადმოცემული ამ ოპოზიციის შეხედულებათა არსი. რამდენიმე ციტატა იკმარებს იმისათვის, რომ მკითხველებს გავაცნოთ ეს არსი:

«კომუნისტური პარტია ყველაზე გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლის პარტიაა...»

«...პოლიტიკურად ეს გარდამავალი დრო» (კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის) «პროლეტარული დიქტატურის პერიოდია...»

«...იბადება კითხვა: ვინ უნდა იყოს დიქტატურის მატარებელი: **კომუნისტური პარტია თუ პროლეტარული კლასი?.. პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ** კომუნისტური პარტიის დიქტატურისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ თუ პროლეტარული კლასის დიქტატურისაკენ?»...

(ხაზგასმა ციტატაში ყველგან ორიგინალიდან გვაქვს აღებული.)

შემდეგ ბროშურის ავტორი გერმანიის კომ. პ. «ცეკას» ბრალს სდებს იმაში, რომ ეს «ცეკა» ეძებს **გ ე რ მ ა ნ ი ი ს** დ ა მ ო უ კ ი დ. ს.-დ. პ ა რ ტ ი ა ს თ ა ნ კ ო ა ლ ი ც ი ი ს გზას, რომ ბრძოლის «**ყ ვ ე ლ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ა ღ ი ა რ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი**», მათ შორის პარლამენტარიზმის აღიარებისა, ამ «ცეკას» მიერ წამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ დაფაროს თავისი ნამდვილი და მთავარი მისწრაფებანი დამოუკიდებლებთან კოალიციისაკენ. და ბროშურა განაგრძობს:

«ოპოზიციამ სხვა გზა აირჩია. იგი იმ აზრისაა, რომ კომუნისტური პარტიის ბატონობისა და პარტიის დიქტატურის საკითხი მხოლოდ ტაქტიკის საკითხია. ყოველ შემთხვევაში კომუნისტური პარტიის ბატონობა არის პარტიის ყოველი ბატონობის უკანასკნელი ფორმა. პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ად უნდა მივისწრაფოდეთ პროლეტარული კლასის დიქტატურისაკენ. და პარტიის, მისი ორგანიზაციის ყველა ღონისძიება, მისი ბრძოლის ფორმა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა ამასთან უნდა იყოს შეფარდებული. ამის შესაბამისად გადაჭრით უნდა უარვყოთ ყოველგვარი კომპრომისი სხვა პარტიებთან, ყოველგვარი დაბრუნება პარლამენტარიზმის ბრძოლის ისტორიულად და პოლიტიკურად დრომოჭმული ფორმებისაკენ, ყოველგვარი პოლიტიკა მანევრირებისა და შემთანხმებლობისა». «რევოლუციური ბრძოლის სპეციფიკურად პროლეტარულ მეთოდებს განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი. ხოლო უაღრესად ფართო პროლეტარული წრეებისა და ფენების ჩასაბმელად, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლაში უნდა გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უნდა შეიქმნას ახალი ორგანიზაციული ფორმები უაღრესად ფართო საფუძველზე და უაღრესად ფართო ფარგლებით. ყველა რევოლუციური ელემენტის შეკრების ეს ადგილი — საფაბრიკო ორგანიზაციების ბაზაზე აგებული მ უ შ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ი ა. აქ უნდა შეერთდეს ყველა მუშა, რომლებიც გაჰყვნენ ლოზუნგს: შორს პროფკავშირებიდან! აქ ყალიბდება მებრძოლი პროლეტარიატი უაღრესად ფართო მებრძოლ რიგებში. აქ შესასვლელად საკმარისია კლასობრივი ბრძოლის, საბჭოთა სისტემისა და დიქტატურის აღიარება. მებრძოლი მასების მთელი შემდგომი პოლიტიკური აღზრდა და ბრძოლაში პოლიტიკური ორიენტაციის მიცემა ამოცანაა კომუნისტური პარტიისა, რომელიც მუშათა კავშირს გარეთ დგას...»

«...მაშასადამე, ახლა ერთმანეთის წინააღმდეგ დგას ორი კომუნისტური პარტია:

ერთი — ბელადების პარტია, რომელიც ცდილობს მოაწყოს რევოლუციური ბრძოლა და წარმართოს ის ზ ე მ ო დ ა ნ; იგი მიმართავს კომპრომისებსა და პარლამენტარიზმს, რათა შექმნას ისეთი სიტუაციები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა მათ შესულიყვნენ კოალიციურ მთავრობაში, **რომლის ხელშიც იქნებოდა დიქტატურა.**

მეორე — მახობრივი პარტია, რომელიც მოელის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობას ქ ვ ე მ ო დ ა ნ; იგი ამ ბრძოლისათვის იცნობს და იყენებს მხოლოდ ერთ, მიზნისაკენ გარკვეულად მიმავალ მეთოდს, უარყოფს ყოველგვარ პარლამენტურ და ოპორტუნისტულ მეთოდებს. ეს ერთადერთი მეთოდი არის ' მეთოდი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს უ თ უ ო დ დ ა მ ხ ო ბ ი ს ა, რათა შემდეგ შეიქმნას პროლეტარული კლასობრივი დიქტატურა სოციალიზმის **განსახორციელებლად...»**

«...იქ ბელადების დიქტატურაა — აქ მასების დიქტატურა! ასეთია ჩვენი ლოზუნგი».

ასეთია ყველაზე არსებითი დებულებანი, რომლებითაც ხასიათდება გერმანიის კომუნისტური პარტიის ოპოზიციის შეხედულებანი.

ყოველი ბოლშევიკი, რომელმაც შეგნებულად განვლო ან ახლოს ადევნებდა თვალყურს ბოლშევიზმის განვითარებას 1903 წლიდან, წაიკითხავს თუ არა ამ მსჯელობას, მაშინვე იტყვის: «რა ძველი, დიდი ხნის ნაცნობი ლაყბობაა! რა «მემარცხენე» ბალღობაა!»

მაგრამ უფრო ახლოს დავაკვირდეთ მოყვანილ მსჯელობას.

უკვე მარტო დაყენება საკითხისა: «პარტიის დიქტატურა თუ კლასის დიქტატურა? ბელადების დიქტატურა (პარტია) თუ მასების დიქტატურა (პარტია)? — მოწმობს აზრის ყოვლად წარმოუდგენელ და გამოუვალ აბნეულობას. ეს ადამიანები ამაოდ ცდილობენ რაღაც სრულიად განსაკუთრებული გ ა მ ო ი გ ო ნ ო ნ, ჭკუას ძალას ატანენ და ამით სასაცილონი ხდებიან. ყველამ იცის, რომ მასები იყოფიან კლასებად; — რომ მასებისა და კლასების ერთმანეთისათვის დაპირისპირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ უდიდეს უმრავლესობას, წარმოების საზოგადოებრივ წყობილებაში მდგომარეობის მიხედვით დაუნაწილებელს, დაუპირისპირებ იმ კატეგორიებს, რომლებსაც განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავთ წარმოების საზოგადოებრივ წყობილებაში; — რომ კლასებს ჩვეულებრივად და მეტწილად ხელმძღვანელობენ, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიები; — რომ პოლიტიკურ პარტიებს, ჩვეულებრივ, მართავენ მეტად თუ ნაკლებად მტკიცე ჯგუფები ყველაზე ავტორიტეტული, გავლენიანი, გამოცდილი, ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩეული პირებისა, რომლებსაც ბელადები ეწოდებათ; ყოველივე ეს ანბანია. ყოველივე ეს მარტივი და ნათელია. რისთვის დასჭირდათ ამის ნაცვლად რაღაც აბდაუბდა?

რაღაც ახალი ვოლაპიუკი? [ერთი მხრივ, ეტყობა, ადამიანები დაიბნენ, რაკი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, როცა პარტიის ლეგალური და არალეგალური მდგომარეობის სწრაფი ურთიერთცვლა არღვევს ჩვეულებრივ, ნორმალურ, მარტივ დამოკიდებულებას ბელადებსა, პარტიებსა და კლასებს შორის. გერმანიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, მეტისმეტად მიეჩვივნენ ლეგალობას, «ბელადების» თავისუფლად და წესისამებრ არჩევას პარტიების რეგულარული ყრილობების მიერ, პარტიების კლასობრივი შემადგენლობის მოხერხებულად შემოწმებას პარლამენტის არჩევნებით, მიტინგებით, პრესით, პროფკავშირებისა და სხვა კავშირების განწყობილებით და სხვ.. როცა, რევოლუციის მძაფრი მსვლელობისა და სამოქალაქო ომის გაჩაღების გამო, ამ ჩვეულებრივისაგან მოუხდათ სწრაფად გადასვლა ლეგალობისა და არალეგალობის ურთიერთცვლაზე, მათს შეერთებაზე, «წინამძღოლთა ჯგუფების» გამოყოფის ან შექმნის, ანდა შენარჩუნების «უხერხულ», «არადემოკრატიულ» ხერხებზე, — ადამიანები დაიბნენ და ყოვლად წარმოუდგენელი სისულელის ჩმახვა დაიწყეს. ალბათ, ჰოლანდიელი «ტრიბუნისტები»[8], რომელთა უბედურება ის არის, რომ პატარა ქვეყანაში დაიბადნენ, რომლებსაც განსაკუთრებით პრივილეგიური და განსაკუთრებით მყარი ლეგალური მდგომარეობის ტრადიციები აქვთ, ადამიანები, რომლებსაც სრულებით არ უნახავთ ლეგალური და არალეგალური მდგომარეობის ურთიერთცვლა, თვითონ გაიხლართნენ და დაიბნენ, ხელი შეუწყეს უაზრო ჩმახვას.

[მეორე მხრივ, შესამჩნევია, რომ მხოლოდ მოუფიქრებლად, უთავბოლოდ წმარობენ ჩვენს დროში «მოდურ» სიტყვებს «მასისა» და «ბელადების» შესახებ. ამ ადამიანებს ბევრი გაუგონიათ და კარგად დაუზეპირებიათ საყვედურები «ბელადებზე», მათი დაპირისპირება «მასისადმი», მაგრამ რომ დაუფიქრდნენ ვითარებას, გაერკვენ საქმეში, — ეს ვერ მოუხერხებიათ.]

«ბელადებისა» და «მასების» გათიშვამ განსაკუთრებით ცხადად და მკვეთრად იჩინა თავი იმპერიალისტური ომის ბოლოს და მის შემდეგ, ყველა ქვეყანაში. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი ბევრჯერ განუმარტავთ მარქსსა და ენგელსს 1852 — 1892 წლებში ინგლისის მაგალითით. ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობა «მასიდან» გამოჰყოფდა ნახევრადმეშჩანურ, ოპორტუნისტულ «მუშათა არისტოკრატიას». ამ მუშათა არისტოკრატიის ბელადები მუდამ გადადიოდნენ ბურჟუაზიის მხარეზე, რომელიც მათ ინახავდა — პირდაპირ თუ არაპირდაპირ. მარქსმა ამ არამზადების მხრივ საპატიო სიძულვილი დაიმსახურა იმით, რომ აშკარად უწოდებდა მათ გამცემლებს. უახლესმა (XX საუკუნის) იმპერიალიზმმა მონოპოლიურ-პრივილეგიური მდგომარეობა შეუქმნა რამდენიმე მოწინავე ქვეყანას, და ამ ნიადაგზე II ინტერნაციონალში ყველგან ჩამოყალიბდა ტიპი გამცემი ბელადებისა, ოპორტუნისტებისა, სოციალ-შოვინისტებისა, რომლებიც იცავენ თავიანთი საამქროს, მუშათა არისტოკრატიის თავიანთი ფენის ინტერესებს. ოპორტუნისტული პარტიები მოსწყდნენ «მასებს», ე. ი. მშრომელთა ყველაზე ფართო ფენებს, მათს უმრავლესობას, იმ მუშებს, რომლებიც ყველაზე მცირე ხელფასს იღებენ. რევოლუციური პროლეტარიატის გამარჯვება შეუძლებელია ისე, თუ ამ ბოროტებას არ ებრძოლე, თუ ოპორტუნისტი, სოციალ-გამცემი ბელადები არ ამხილე, არ შეარცხვინე და არ განდევნე; სწორედ ასეთ პოლიტიკას დაადგა III ინტერნაციონალი.

ამის გამო იქამდე მისვლა, რომ **საერთოდ** მასების დიქტატურა დაუპირისპირო ბელადების დიქტატურას, სასაცილო უაზრობა და სისულელეა. განსაკუთრებით სასეიროა, რომ სინამდვილეში ნაცვლად ძველი ბელადებისა, რომლებსაც საერთო-ადამიანური შეხედულებები აქვთ მარტივ საგნებზე, სინამდვილეში გამოჰყავთ (რასაც ფარავენ ლოზუნგით: «ძირს ბელადები») ა ხ ა ლ ი ბ ე ლ ა დ ე ბ ი, რომლებიც ყოვლად წარმოუდგენელ სისულელესა და აბდაუბდას ჩმახავენ.

ასეთები არიან გერმანიაში ლაუფენბერგი, ვოლფჰეიმი, ჰორნერი [9], კარლ შრედერი, ფრიდრიხ ვენდელი, კარლ ერლერი *. ამ უკანასკნელის ცდები, რომ «გააღრმაოს» საკითხი და გამოაცხადოს, პოლიტიკური პარტიები «საერთოდ» ზედმეტი და «ბურჟუაზიული» არიანო, უკვე ისეთი სრულიად უკიდურესი უაზრობაა, რომ დაგვრჩენია ხელებიღა გავშალოთ. ჭეშმარიტად: მცირე შეცდომიდან ყოველთვის შეიძლება გააკეთო საშინლად დიდი შეცდომა, თუ მის დაჟინებით დაცვას, გაღრმავებულად დასაბუთებას შეუდგები, თუ მას «ბოლომდე მიიყვანო».

/ პარტიულობისა და პარტიული დისციპლინის უარყოფა— ა ი რ ა გ ა მ ო უ ვ ი დ ა ოპოზიციას. ეს კი უდრის პროლეტარიატის სრულ განიარაღებას ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. ეს უდრის სწორედ იმ წვრილბურჟუაზიულ დაქსაქსულობას, მერყეობას, გამძლეობის, გაერთიანების, მწყობრი მოქმედების უუნაროობას, რომელიც ყოველ პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობას აუცილებლად დაღუპავს, თუ მას გასაქანი მიეცი. პარტიულობის უარყოფა კომუნიზმის თვალსაზრისით ნიშნავს ნახტომის გაკეთებას კაპიტალიზმის კრახის წინადღიდან (გერმანიაში) კომუნიზმის არა დაბალი და არა საშუალო, არამედ უმაღლესი ფაზისაკენ.

---

* «კომ. მუშ. გაზეთი» [10] (ჰამბურგისა 1920 წ. 7. II, № 32: კ ა რ ლ ე რ ლ ე რ ი ს სტატია «პარტიის დაშლა»): «მუშ. კლასი ვერ დაანგრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, თუ არ მოსპო ბურჟუაზიული დემოკრატია, და იგი ვერ მოსპობს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თუ არ დაანგრია პარტიები».

რომანული ქვეყნების ყველაზე თავგზააბნეულ სინდიკალისტებსა და ანარქისტებს შეუძლიათ «კმაყოფილი» იყვნენ: დარბაისელი გერმანელები, რომლებიც ალბათ თავს მარქსისტებად თვლიან (კ. ერლერი და კ. ჰორნერი თავიანთი სტატიებით ხსენებულ გაზეთში განსაკუთრებით დარბაისლურად ამტკიცებენ, რომ თავი მიაჩნიათ დარბაისელ მარქსისტებად, და განსაკუთრებით სასაცილოდ ჩმახავენ წარმოუდგენელ სისულელეს, ცხადყოფენ, რომ მარქსიზმის ანბანი არ ესმით), სრულიად შეუსაბამო რამეებს ამბობენ. მარქსიზმის მარტო აღიარება როდი აგაცილებს შეცდომებს. რუსებმა ეს განსაკუთრებით კარგად იციან, ვინაიდან ჩვენში მარქსიზმი განსაკუთრებით ხშირად ყოფილა «მოდა».

ჩვენ რუსეთში (ბურჟუაზიის დამხობის მესამე წელს) პირველ ნაბიჯებს ვდგამთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ანუ კომუნიზმის დაბალ საფეხურზე გადასასვლელად. კლასები დარჩნენ და წლების განმავლობაში ყველგან დარჩებიან. პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ შესაძლებელია, რომ მხოლოდ ინგლისში, სადაც გლეხები არ არიან (მაგრამ წვრილი მეპატრონენი მაინც არიან!), ეს ვადა უფრო მცირე აღმოჩნდეს. კლასების მოსპობა მარტო მემამულეთა და კაპიტალისტთა განდევნას როდი ნიშნავს — ეს ჩვენ შედარებით ადვილად გავაკეთეთ — ეს ნიშნავს აგრეთვე საქონლის წვრილ მწარმოებელთა მოსპობას, **განდევნა** კი მათი **არ შეიძლება**, არ შეიძლება მათი დათრგუნვა, მათთან უნდა შეეწყო, მათი გარდაქმნა, ხელახლა აღზრდა შეიძლება (და სავალდებულოცაა) მხოლოდ მეტად ხანგრძლივი, აუჩქარებელი, ფრთხილი ორგანიზატორული მუშაობით. ისინი პროლეტარიატს ყოველი მხრიდან გარემოიცავენ წვრილბურჟუაზიული სტიქიით, გამსჭვალავენ, რყვნიან მას ამ სტიქიით, მუდამ იწვევენ პროლეტარიატის შიგნით წვრილბურჟუაზიული უხერხემლობის, დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის, გატაცებიდან გულგატეხილობაზე გადასვლის რეციდივებს. საჭიროა უსასტიკესი ცენტრალიზაცია და დისციპლინა პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის შიგნით, რომ ის ამას გაუმკლავდეს, რომ მან პროლეტარიატის ორგანიზატორული როლი (ეს კი მისი მთავარი როლია) გაატაროს სწორად, წარმატებით, ძლევამოსილად. პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლისმღვრელი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონების და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა. ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია, თუ არა გყავს რკინისებური და ბრძოლაში გამოწრთობილი პარტია, ისეთი პარტია, რომელიც სარგებლობს თავისი კლასის ყველა

პატიოსანი ელემენტის ნდობით, თუ არა გყავს პარტია, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასის განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე. ათასჯერ უფრო ადვილია დაამარცხო მსხვილი ცენტრალიზებული ბურჟუაზია, ვიდრე «დაამარცხო» მილიონობით და მილიონობით წვრილი მეპატრონენი, ისინი კი თავიანთი ყოველდღიური, წვრილმანი, უხილავი, მოუხელებელი, გამხრწნელი საქმიანობით სწორედ იმ შედეგებს ახორციელებენ, რომლებიც ბურჟუაზიას ესაჭიროება, რომლებიც ბურჟუაზიის რესტავრაციას ახდენს. ვინც თუნდაც ოდნავ ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით მისი დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ბელადების — პარტიის — კლასის — მასის საკითხის გვერდით უნდა დავაყენოთ საკითხი «რეაქციული» პროფკავშირების შესახებ. მაგრამ ჯერ თავს ნებას შივცემ გავაკეთო კიდევ ორიოდე დასკვნითი შენიშვნა ჩვენი პარტიის გამოცდილების საფუძველზე. გალაშქრება «ბელადთა დიქტატურის» წინააღმდეგ ყოველთვის იყო ჩვენს პარტიაში: პირველი ასეთი გალაშქრება, მაგონდება, იყო 1895 წელს, როცა პარტია ფორმალურად კიდევ არ არსებობდა, მაგრამ ცენტრალურმა ჯგუფმა პიტერში ჩამოყალიბება იწყო და უნდა ეკისრნა რაიონული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა. ჩვენი პარტიის მე-9 ყრილობაზე (IV. 1920) იყო მცირე ოპოზიცია, რომელიც აგრეთვე ლაპარაკობდა «ბელადების დიქტატურის», «ოლიგარქიის» წინააღმდეგ და ა. შ.. ამიტომ გერმანელთა «მემარცხენე კომუნიზმის» «საყმაწვილო სენში» არც გასაკვირველია რამე, არც ახალი, არც საშიში. ეს სენი უვნებლად ჩაივლის ხოლმე, და მის შემდეგ ორგანიზმი უფრო მაგრდება კიდეც. მეორე მხრივ, ლეგალური და არალეგალური მუშაობის სწრაფი ურთიერთცვლა, რაც დაკავშირებული იყო იმის აუცილებლობასთან, რომ განსაკუთრებით «დაგვემალნა», განსაკუთრებით კონსპირაციულად დაგვეფარა სწორედ მთავარი შტაბი, სწორედ ბელადები, ჩვენში

ზოგჯერ უაღრესად საშიშ მოვლენებს იწვევდა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ 1912 წელს ბოლშევიკების ცენტრალურ კომიტეტში შევიდა პროვოკატორი, მალინოვსკი. მან შეაპყრობინა, კატორღაში გააგზავნინა ათობით და ათობით საუკეთესო და უერთგულესი ამხანაგი და დააჩქარა ბევრი მათგანის სიკვდილი. თუ მან უფრო მეტი ზიანის მოყენება ვერ შეძლო, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ სწორად გვქონდა დაყენებული ლეგალური და არალეგალური მუშაობის თანაფარდობა. ჩვენი ნდობა რომ მოეპოვებინა, მალინოვსკი, როგორც პარტიის ცეკას წევრი და სათათბიროს დეპუტატი, უნდა დაგვხმარებოდა ლეგალური ყოველდღიური გაზეთების შექმნაში, რომლებიც ახერხებდნენ ცარიზმის დროსაც ეწარმოებინათ ბრძოლა მენშევიკების ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ექადაგნათ ბოლშევიზმის საფუძვლები ჯეროვნად დაფარული ფორმით. ერთი ხელით კატორღაში და სასიკვდილოდ რომ გზავნიდა ბოლშევიზმის ათობით და ათობით საუკეთესო მოღვაწეს, მალინოვსკი მეორე ხელით უნდა დახმარებოდა ათეულ და ათეულ ათასობით ახალი ბოლშევიკის აღზრდას ლეგალური პრესის მეშვეობით. ზედმეტი არ იქნება ამ ფაქტს კარგად ჩაუფიქრდნენ ის გერმანელი (აგრეთვე ინგლისელი და ამერიკელი, ფრანგი და იტალიელი) ამხანაგები, რომელთა წინაშე დგას ამოცანა ისწავლონ რევოლუციური მუშაობის წარმოება რეაქციულ პროფკავშირებში *.

* მალინოვსკი ტყვედ იყო გერმანიაში. როცა იგი რუსეთში დაბრუნდა ბოლშევიკების ხელისუფლების დროს, ჩვენმა მუშებმა იგი მაშინვე სამართალში მისცეს და დახვრიტეს. მენშევიკები განსაკუთრებით ბოროტად გვესხმოდნენ თავს ჩვენი შეცდომისათვის, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი პარტიის ცეკაში პროვოკატორი იყო. მაგრამ როცა ჩვენ, კერენსკის დროს, მოვითხოვდით სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს დაპატიმრებას და გასამართლებას, ვინაიდან როძიანკომ ჯერ კიდევ ომამდე შეიტყო მალინოვსკის პროვოკატორობა და ა რ ა ც ნ ო ბ ა ეს სათათბიროს ტრუდოვიკებსა და მუშებს, მაშინ არც მენშევიკებმა და არც ესერებმა, რომლებიც მთავრობაში მონაწილეობდნენ კერენსკისთან ერთად, მხარი არ დაუჭირეს ჩვენს მოთხოვნას, და როძიანკო თავისუფალი დარჩა, თავისუფლად წავიდა დენიკინთან.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ყველაზე მოწინავეებშიც, ბურჟუაზია უეჭველად გზავნის ახლა და კვლავაც გაგზავნის პროვოკატორებს კომუნისტურ პარტიებში. ამ საფრთხესთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა არალეგალური და ლეგალური მუშაობის უნარიანად შეხამება ერთმანეთთან.

VI

უნდა იმუშაონ თუ არა რევოლუციონერებმა რეაქციულ პროფკავშირებში?

გერმანელ «მემარცხენეებს» თავიანთთვის გადაწყვეტილად მიაჩნიათ აუცილებლად უარყოფითი პასუხი გასცენ ამ კითხვაზე. მათი აზრით, «რეაქციული» და «კონტრრევოლუციური» პროფკავშირების წინააღმდეგ დეკლამაციები და მრისხანე შეძახილები საკმარისია იმის «დასამტკიცებლად» (ეს განსაკუთრებით «დარბაისლურად» და განსაკუთრებით სულელურად გამოუდის კ. ჰორნერს), რომ საჭირო არ არის და დაუშვებელიც კია რევოლუციონერების, კომუნისტების მუშაობა ყვითელ, სოციალ-შოვინისტურ, შემთანხმებლურ, ლეგინურ, კონტრრევოლუციურ პროფკავშირებში.

მაგრამ, რაც უნდა დარწმუნებული იყვნენ გერმანელი «მემარცხენეები» ასეთი ტაქტიკის რევოლუციურობაში, ნამდვილად იგი ძირეულად მცდარია და ფუჭი ფრაზების მეტს არაფერს შეიცავს.

ეს რომ განვმარტო, დავიწყებ ჩვენი გამოცდილებით — იმ საერთო გეგმის შესაბამისად, რაც საფუძვლად უდევს ამ სტატიას, რომლის მიზანია დასავლეთ ევროპას შეუფარდოს ის, რაც საყოველთაოდ გამოსაყენებელი, საყოველთაო მნიშვნელობისა და საყოველთაოდ სავალდებულოა ბოლშევიზმის ისტორიაში და თანამედროვე ტაქტიკაში.

ბელადების — პარტიის — კლასის—მასების თანაფარდობა, ამასთანავე პროლეტარიატის დიქტატურისა და პროლეტარიატის პარტიის დამოკიდებულება პროფკავშირებისადმი ჩვენში ახლა კონკრეტულად შემდეგი სახით წარმოგვიდგება. დიქტატურას ახორციელებს საბჭოებში ორგანიზებული

პროლეტარიატი; ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა, რომლის რიგებშიც უკანასკნელი პარტიული ყრილობის (IV. 1920) ცნობებით 611 ათასი წევრი ითვლება. წევრთა რიცხვი ოქტომბრის რევოლუციამდეც და მის შემდეგაც მეტად ძლიერ მერყეობდა და უწინ გაცილებით ნაკლები იყო, 1918 და 1919 წლებშიც კი[11]. ჩვენ გვეშინია პარტიის მეტისმეტი გაფართოებისა, ვინაიდან მთავრობის პარტიასთან მიტმასნებას აუცილებლად ცდილობენ კარიერისტები და ვიგინდარები, რომლებიც მხოლოდ დახვრეტის ღირსნი არიან. უკანასკნელად ჩვენ ფართოდ გავაღეთ პარტიის კარი— მხოლოდ მუშებისა და გლეხებისათვის — იმ დღეებში (1919 წ. ზამთარი), როცა იუდენიჩი იყო რამდენიმე ვერსზე პიტერიდან, ხოლო დენიკინი — ორიოლში (დაახლოებით 350 ვერსზე მოსკოვიდან), ე. ი. როცა საბჭოთა რესპუბლიკას საშინელი, მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრებოდა და როცა ავანტიურისტებს, კარიერისტებს, ვიგინდარებს და საერთოდ მერყევ ადამიანებს არამც და არამც არ შეეძლოთ ხელსაყრელი კარიერის იმედი ჰქონოდათ (უფრო კი სახრჩობელისა და წამების მოლოდინი უნდა ჰქონოდათ) კომუნისტებთან შეერთებით. პარტიას, რომელიც ყოველწლიურ ყრილობებს იწვევს (უკანასკნელი: 1 დელეგატი 1 000 წევრისაგან), ხელმძღვანელობს ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი 19 კაცის შემადგენლობით, ამასთან მიმდინარე მუშაობას მოსკოვში ეწევიან კიდევ უფრო ვიწრო კოლეგიები, სახელდობრ ეგრეთწოდებული «ორგბიურო» (ორგანიზაციული ბიურო) და «პოლიტბიურო» (პოლიტიკური ბიურო), რომლებსაც ირჩევენ ცეკას პლენარულ სხდომებზე ცეკას ხუთი წევრის შემადგენლობით თვითეულ ბიუროში. მაშასადამე, სავსებით ნამდვილი «ოლიგარქია» გამოდის. ჩვენს რესპუბლიკაში არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ორგანიზაციულ საკითხს არ წყვეტს არც ერთი სახელმწიფო დაწესებულება ისე, თუ პარტიის ცეკას სახელმძღვანელო მითითებანი არ ექნა.

პარტია თავის მუშაობაში უშუალოდ ეყრდნობა პროფესიულ კავშირებს, რომლებშიც ახლა, უკანასკნელი ყრილობის (IV. 1920) ცნობებით, 4 მილიონზე მეტი წევრი ითვლება და რომლებიც ფორმალურად უპარტიო არიან. ფაქტიურად კავშირების უდიდესი უმრავლესობის და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სრულიად რუსეთის საერთო პროფესიული ცენტრის ანუ ბიუროს (პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭო) ყველა ხელმძღვანელი დაწესებულება კომუნისტებისაგან შედგება და პარტიის ყველა დირექტივას ახორციელებს. საერთოდ და მთლიანად გამოდის ფორმალურად არა კომუნისტური, მოქნილი და შედარებით ფართო, ფრიად მძლავრი, პროლეტარული აპარატი, რომლის საშუალებითაც პარტია მჭიდროდ არის დაკავშირებული კლასთან და მასასთან და რომლის საშუალებითაც, პარტიის ხელმძღვანელობით, ხორციელდება კლასის დიქტატურა. რომ არ ყოფილიყო უმჭიდროესი კავშირი პროფკავშირებთან, მათი მხურვალე მხარდაჭერა, მათი უალრესად თავდადებული მუშაობა არა მარტო სამეურნეო, არამედ აგრეთვე სამხედრო მშენებლობაში, ისე ქვეყნის მართვასა და დიქტატურის განხორციელებას ჩვენ, რა თქმა უნდა, არათუ 2½ წლის, არამედ 2½ თვის განმავლობაშიც ვერ შევძლებდით. გასაგებია, რომ ეს უმჭიდროესი კავშირი პრაქტიკულად ნიშნავს მეტად რთულ და სხვადასხვაგვარ საპროპაგანდო და სააგიტაციო მუშაობას, თავისდროულ და ხშირ თათბირებს პროფკავშირთა არა მარტო ხელმძღვანელ, არამედ აგრეთვე საერთოდ გავლენიან მოღვაწეებთან, გადამწყვეტ ბრძოლას მენშევიკებთან, რომლებსაც დღემდე ჰყავთ გარკვეული, თუმცა სულ მცირე, რიცხვი მომხრეებისა, რომელთაც კიდევაც ასწავლიან ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ოინებს, დაწყებული (ბურჟუაზიული) დემოკრატიის იდეური დაცვით, პროფკავშირთა «დამოუკიდებლობის» ქადაგებით (დამოუკიდებლობა — პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლებისაგან!) და დამთავრებული პროლეტარული დისციპლინის საბოტაჟით და სხვ. და ა. შ.

«მასებთან» პროფკავშირების საშუალებით კავშირი ჩვენ არასაკმარისად მიგვაჩნია. პრაქტიკამ ჩვენში, რევოლუციის მსვლელობაში, შექმნა ისეთი დაწესებულება, როგორიც არის მ უ შ ა თ ა დ ა გ ლ ე ხ თ ა უ პ ა რ ტ ი ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ე-ბ ი, და ჩვენ ვცდილობთ ყოველნაირად შევუწყოთ მას ხელი, განვავითაროთ, გავაფართოოთ იგი, რათა თვალი ვადევნოთ მასების განწყობილებას, დავუახლოვდეთ მათ, დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებანი, დავაწინაუროთ მათგან საუკეთესო მუშაკები სახელმწიფო თანამდებობებზე და სხვ.. ერთ-ერთ უკანასკნელ დეკრეტში სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის «მუშათა და გლეხთა ინსპექციად» გარდაქმნის შესახებ ასეთ უპარტიო კონფერენციებს უფლება აქვთ მინიჭებული აირჩიონ სახელმწიფო კონტროლის წევრები სხვადასხვაგვარი რევიზიებისათვის და სხვ.

შემდეგ, რა თქმა უნდა, პარტიის მთელი მუშაობა მიმდინარეობს საბჭოების საშუალებით, რომლებიც მშრომელ მასებს აერთიანებენ განურჩევლად პროფესიებისა. საბჭოების სამაზრო ყრილობები ისეთი დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დაწესებულებაა, როგორიც ჯერ კიდევ არ სცოდნიათ ბურჟუაზიული სამყაროს ყველაზე უკეთეს დემოკრატიულ რესპუბლიკებს, და ამ ყრილობების საშუალებით (რომლებსაც პარტია ცდილობს რაც შეიძლება მეტი ყურადღებით ადევნოს თვალი), აგრეთვე სოფლად ყოველგვარ თანამდებობაზე შეგნებული შუშების მუდმივ მივლინებათა საშუალებით, ხორციელდება პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი გლეხობის მიმართ, ხორციელდება ქალაქის პროლეტარიატის დიქტატურა, სისტემატური ბრძოლა მდიდარი, ბურჟუაზიული, ექსპლოატატორული და სპეკულანტი გლეხობის წინააღმდეგ და ა. შ.

ასეთია პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების ზოგადი მექანიზმი, თუ მას «ზემოდან», დიქტატურის განხორციელების პრაქტიკის თვალსაზრისით განვიხილავთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, მკითხველი მიხვდება, რატომ არ შეიძლება რუს ბოლშევიკს, რომელიც ამ მექანიზმს იცნობს და თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ იზრდებოდა 25 წლის განმავლობაში

ეს მექანიზმი პატარა, არალეგალური, ფარული წრეებიდან, — რატომ არ შეიძლება, რომ მას მთელი ლაპარაკი იმაზე — «ზემოდან» თუ «ქვემოდან», ბელადების დიქტატურა თუ მასის დიქტატურა და ა. შ., არ მიაჩნდეს სასაცილო ბალღურ სისულელედ, რაღაც კამათად იმის შესახებ, თუ რა უფრო სასარგებლოა ადამიანისათვის — მარცხენა ფეხი თუ მარჯვენა ხელი.

ასეთსავე სასაცილო ბალღურ სისულელედ არ შეიძლება არ მიგვაჩნდეს გერმანელი მემარცხენეების დარბაისლური, სავსებით მეცნიერული და საშინლად რევოლუციური ლაპარაკიც იმ თემაზე, რომ კომუნისტები არ შეიძლება მუშაობდნენ და მათ არც უნდა იმუშაონ რეაქციულ პროფკავშირებში, რომ დასაშვებია ამ სამუშაოზე უარის თქმა, რომ საჭიროა პროფკავშირებიდან გამოსვლა და ფრიად კარგი (და მეტწილად, ალბათ, ფრიად ახალგაზრდა) კომუნისტების მიერ გამოგონებული აუცილებლად სავსებით ახალი, სავსებით სუფთა «მუშათა კავშირის» შექმნა და სხვ. და ა. შ.

კაპიტალიზმი აუცილებლად უტოვებს, მემკვიდრეობად სოციალიზმს, ერთი მხრივ, ძველ, საუკუნეებით შექმნილ, პროფესიულ და ხელოსნურ განსხვავებას მუშებს შორის, მეორე მხრივ, პროფკავშირებს, რომლებიც მხოლოდ მეტად ნელა, წლობით და წლობით შეიძლება ვითარდებოდნენ და განვითარდებიან უფრო ფართო, ნაკლებად ამქრულ, საწარმოო კავშირებად (რომლებიც მოიცავენ მთელ წარმოებებს, და არა მარტო საამქროებს, ხელობებსა და პროფესიებს) და შემდეგ, ამ საწარმოო კავშირების საშუალებით, გადავლენ ადამიანთა შორის შრომის განაწილების მოსპობაზე, ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი და ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ მომზადებული ადამიანების აღზრდასა, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომლებსაც ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა ე ც ო დ ი ნ ე ბ ა თ. კომუნიზმი აქეთკენ მიდის, უნდა მიდიოდეს და მ ი ვ ა, მაგრამ მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ. იმის ცდა, რომ დღეს პრაქტიკულად მივიღოთ სავსებით განვითარებული, სავსებით განმტკიცებული და ჩამოყალიბე-

ბული, სავსებით გაშლილი და მომწიფებული კომუნიზმის ეს მომავალი შედეგი, იგივე იქნება, რომ ოთხი წლის ბავშვს უმაღლესი მათემატიკა ვასწავლოთ.

ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ (და უნდა დავიწყოთ) სოციალიზმის შენება არა ფანტასტიკური და არა ჩვენ მიერ სპეციალურად შექმნილი ადამიანთა მასალით, არამედ იმ მასალით, რომელიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა კაპიტალიზმმა. ეს, თქმა არ უნდა, ძალიან «ძნელია», მაგრამ ამოცანისადმი ყოველი სხვაგვარი მიდგომა იმდენად არასერიოზულია, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

პროფკავშირები მუშათა კლასის გიგანტური პროგრესი იყო კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისში, როგორც მუშების დაქსაქსულობიდან და უმწეობიდან კლასობრივი გაერთიანების საწყისებზე გადასვლა. როდესაც აღმოცენება იწყო პროლეტარების კლასობრივი გაერთიანების უმაღლესმა ფორმამ, პროლეტარიატის რევოლუციურმა პარტიამ (რომელიც თავისი სახელწოდების ღირსი არ იქნება, ვიდრე არ ისწავლის ბელადების შეკავშირებას კლასთან და მასებთან ერთ მთელ, რაღაც განუყრელ კავშირად), მაშინ პროფკავშირებმა გარდუვალად იწყეს გამომჟღავნება ერთგვარი რეაქციულობისა, ერთგვარი ამქრული შეზღუდულობისა, ოპოლიტიკიზმისადმი ერთგვარი მიდრეკილებისა, ერთგვარი უძრაობისა და სხვ.. მაგრამ თუ არ პროფკავშირების საშუალებით, თუ არ მუშათა კლასის პარტიასთან მათი თანამოქმედების საშუალებით, ისე პროლეტარიატის განვითარება მსოფლიოში არსად არ შომხდარა და ვერც მოხდებოდა. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა არის პროლეტარიატის, როგორც კლასის, გიგანტური წინგადადგმული ნაბიჯი, და პარტიას უხდება უფრო მეტად და ახლებურად, და არა მარტო ძველებურად, აღზარდოს პროფკავშირები, უხელმძღვანელოს მათ, მაგრამ ამასთანავე არ დაივიწყოს, რომ ისინი რჩებიან და დიდხანს დარჩებიან აუცილებელ «კომუნიზმის სკოლად» და პროლეტარების მიერ თავიანთი დიქტატურის

განხორციელებისათვის მოსამზადებელ სკოლად, მუშების აუცილებელ გაერთიანებად იმისათვის, რომ ქვეყნის მთელი მეურნეობის მმართველობა თანდათანობით გადავიდეს მუშათა კ ლ ა ს ი ს (და არა ცალკე პროფესიების), შემდეგ კი ყველა მშრომელთა ხელში.

პროფკავშირთა ე რ თ გ ვ ა რ ი «რეაქციულობა», აღნიშნული აზრით, გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ამის გაუგებლობა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გ ა დ ა ს ვ ლ ი ს ძირითადი პირობების სრული გაუგებლობაა. ა მ «რეაქციულობის» შიში, მისთვის გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ი ს, მასზე გადახტომის ცდა უდიდესი სისულელეა, ვინაიდან ეს ნიშნავს გვეშინოდეს პროლეტარული ავანგარდის იმ როლისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მუშათა კლასისა და გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებსა და მასებს, გავანათლოთ, აღვზარდოთ ისინი, ჩავაბათ ახალ ცხოვრებაში. მეორე მხრივ, პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების გადადება მანამდე, სანამ არ დარჩება არც ერთი პროფესიონალისტურად შეზღუდული მუშა, არც ერთი მუშა, რომელსაც ამქრული და ტრედ-უნიონისტური ცრურწმენები არ ექნება, კიდევ უფრო დიდი შეცდომა იქნებოდა. პოლიტიკოსის ოსტატობა (და კომუნისტის მიერ თავისი ამოცანების სწორი გაგება) სწორედ ის არის, რომ მართებულად გაითვალისწინოს პირობები და მომენტი, როდის შეუძლია პროლეტარიატის ავანგარდს წარმატებით აიღოს ძალაუფლება, როდის შეძლებს იგი, რომ მას ამასთან და ამის შემდეგ ჰქონდეს მუშათა კლასისა და არაპროლეტარული მშრომელი მასების საკმაოდ ფართო ფენების საკმაო მხარდაჭერა, როდის შეძლებს ამის შემდეგ დაიცვას, განამტკიცოს, გააფართოოს თავისი ბატონობა, აღზარდოს, ასწავლოს, მიიზიდოს მშრომელთა სულ უფრო და უფრო ფართო მასები.

შემდეგ. რუსეთზე უფრო მოწინავე ქვეყნებში პროფკავშირების ერთგვარმა რეაქციულობამ თავი იჩინა და კიდევაც

უნდა ეჩინა თავი, უეჭველია, გაცილებით უფრო ძლიერ, ვიდრე ჩვენში. ჩვენში მენშევიკებს პროფკავშირებში დასაყრდენი ჰქონდათ (ნაწილობრივ მეტად მცირეოდენ პროფკავშირებში ახლაც აქვთ) სწორედ ამქრული შეზღუდულობის, პროფესიული ეგოიზმისა და ოპორტუნიზმის მეოხებით. დასავლეთში იქაურმა მენშევიკებმა გაცილებით უფრო მტკიცედ «მოიკალათეს» პროფკავშირებში, იქ გამოიყო გაცილებით უფრო ძლიერი ფენა პროფესიონალისტური, ვიწრო, საკუთარი თავის მოყვარე, უგულო, ანგარებიანი, მეშჩანური, იმპერიალისტურად განწყობილი და იმპერიალიზმის მიერ მოსყიდული, იმპერიალიზმის მიერ გარყვნილი «მუშათა არისტოკრატიისა», ვიდრე ჩვენში. ეს უდავოა. ჰომპერსების, ბატონ ჟუოების, ჰენდერსონების, მერგეიმების, ლეგინებისა და კომპანიის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთ ევროპაში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ბრძოლა ჩვენი მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც სოციალურად და პოლიტიკურად სავსებით ერთგვაროვან ტიპს წარმოადგენენ. ეს ბრძოლა ულმობლად უნდა წარმოებდეს და აუცილებლად მიყვანილ უნდა იქნას, როგორც ჩვენ მივიყვანეთ იგი, ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის ყველა გამოუსწორებელი ბელადისათვის სახელის სრულ გატეხამდე და პროფკავშირებიდან მათ განდევნამდე. პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება შეუძლებელია (და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღების ცდა საჭირო არ არის), ვიდრე ეს ბრძოლა არაა მიყვანილი გარკვეულ დონემდე, ამასთან სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა პირობებში ეს «გარკვეული დონე» ერთნაირი როდია, და მისი სწორად გათვალისწინება შეუძლიათ პროლეტარიატის მხოლოდ დაკვირვებულ, გამოცდილ და მცოდნე პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ყოველ ცალკე ქვეყანაში. (ჩვენში ამ ბრძოლის წარმატების საზომი იყო, სხვათა შორის, დამფუძნებელი კრების არჩევნები 1917 წლის ნოემბერში, რამდენიმე დღის შემდეგ 1917 წლის 25 ოქტომბრის პროლეტარული

გადატრიალებიდან, ამასთან ამ არჩევნებში მენშევიკები სასტიკად დამარცხდნენ, მათ მიიღეს 0,7 მილ. ხმა — 1,4 მილ. ამიერკავკასიის დამატებით — მაშინ როცა ბოლშევიკებმა შეაგროვეს 9 მილ. ხმა: იხ. ჩემი სტატია «დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა» [12] «კომუნ. ინტერნაციონალის» 7 — 8 ნომერში).

მაგრამ «მუშათა არისტოკრატიის» წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ ვეწევით მუშათა მასის სახელით და იმისათვის, რომ იგი მივიმხროთ; ოპორტუნისტი და სოციალ-შოვინისტი ბელადების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ ვეწევით იმისათვის, რომ მუშათა კლასი მივიმხროთ. ამ სრულიად ელემენტარული და სავსებით ცხადი ჭეშმარიტების დავიწყება სისულელე იქნებოდა. და სწორედ ასეთ სისულელეს სჩადიან «მემარცხენე» გერმანელი კომუნისტები, რომლებიც პროფკავშირთა ზ ე დ ა ფ ე ნ ი ს რეაქციულობისა და კონტრრევოლუციურობის გ ა მ ო ასკვნიან... პროფკავშირებიდან გავიდეთო!! პროფკავშირებში მუშაობაზე უარი ვთქვათო!! მუშათა ორგანიზაციის ახალი, **გამოგონილი**, ფორმები შევქმნათო!! ეს ისეთი მიუტევებელი სისულელეა, რომელიც კომუნისტების მიერ ბურჟუაზიისათვის უდიდესი სამსახურის გაწევას უდრის, ვინაიდან ჩვენი მენშევიკები, ისევე როგორც პროფკავშირთა ყველა ოპორტუნისტი, სოციალ-შოვინისტი, კაუცკელი ბელადები, სხვა არაფერი არიან, თუ არ «ბურჟუაზიის აგენტები მუშათა მოძრაობაში» (როგორც ჩვენ მუდამ ვამბობდით მენშევიკების წინააღმდეგ) ან «კაპიტალისტთა კლასის მუშა ნოქრები» (**labor lieutenants of the capitalist class**), როგორც ეს ჩინებულად და უაღრესად სწორად აღნიშნეს ამერიკაში დანიელ დე-ლეონის მიმდევრებმა. რეაქციული პროფკავშირების შიგნით მუშაობისათვის თავის დანებება ნიშნავს არასაკმაოდ განვითარებული ან ჩამორჩენილი მუშათა მასების დატოვებას რეაქციული ბელადების, ბურჟუაზიის აგენტების, მუშა არისტოკრატების ან «გაბურჟუებული მუშების» გავლენაში (შეად. ენგელსი ინგლისის მუშების შესახებ მარქსისათვის 1858 წ. გაგზავნილ წერილში [13]).

რეაქციულ პროფკავშირებში კომუნისტების მიერ მონაწილეობის მიუღებლობის სწორედ ეს უაზრო «თეორია» ყველაზე ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ქარაფშუტულად ეკიდებიან ეს «მემარცხენე» კომუნისტები «მასებზე» გავლენის საკითხს, რა ბოროტად იყენებენ ისინი თავიანთ შეძახილებს «მასის» შესახებ. რომ შეგეძლოს დაეხმარო «მასას» და მოიპოვო «მასის» სიმპათია, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, არ უნდა გეშინოდეს სიძნელეების, არ უნდა გეშინოდეს «ბელადების» მხრივ (რომლებიც ოპორტუნისტები და სოციალ-შოვინისტები არიან და მეტწილ შემთხვევებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან და პოლიციასთან) შარის მოდების, ფეხის გამოდების, შეურაცხყოფის, დევნის, და აუცილებლად უნდა მუშაობდე იქ, სადაც მასა არის. უნარი უნდა შეგწევდეს გაიღო ყოველგვარი მსხვერპლი, დასძლიო უდიდესი დაბრკოლებანი, რათა სისტემატურად, შეუპოვრად, მტკიცედ, მოთმინებით გასწიო პროპაგანდა და აგიტაცია სწორედ იმ დაწესებულებებში, საზოგადოებებში, კავშირებში, თუნდაც ყველაზე რეაქციულებში, სადაც კი არის პროლეტარული ან ნახევრადპროლეტარული მასა. ხოლო პროფკავშირები და მუშათა კოოპერატივები (ეს უკანასკნელნი, ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ) სწორედ ისეთ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, სადაც მასა არის. ინგლისში, შვედური გაზეთის «Folkets Dagblad Politiken» * (10. III. 1920) ცნობებით, ტრედ-უნიონების წევრთა რიცხვი 1917 წლის დამლევიდან 1918 წლის დამლევამდე 5,5 მილიონიდან გაიზარდა 6,6 მილიონამდე, ე. ი. გადიდდა 19%-ით. 1919 წლის დამლევისათვის კი 7½ მილიონამდე ანგარიშობენ. მე ხელთ არა მაქვს სათანადო ცნობები საფრანგეთისა და გერმანიის შესახებ, მაგრამ სავსებით უდავო და საყოველთაოდ ცნობილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ პროფკავშირების წევრთა რიცხვის დიდ ზრდას ამ ქვეყნებშიც.

---

* — «სახალხო პოლიტიკური ყოველდღიური». რ ე დ.

ეს ფაქტები ცხადზე უცხადესად მოწმობენ იმას, რასაც ადასტურებს აგრეთვე ათასობით სხვა ცნობა: შეგნების ზრდას და ორგანიზებისადმი მისწრაფებას სწორედ პროლეტარულ მასებში, «ქვედა ფენებში», ჩამორჩენილთა შორის. მილიონობით მუშები ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში სრული არაორგანიზებულობიდან პ ი რ ვ ე ლ ა დ გადადიან ორგანიზაციის ელემენტარულ, დაბალ, უმარტივეს, ყველაზე მისაწვდომ (იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ მთლიანად გაჟღენთილია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენებით) ფორმაზე, სახელდობრ პროფკავშირებზე, — ხოლო რევოლუციური, მაგრამ უგუნური, მემარცხენე კომუნისტები გვერდით დგანან, გაჰყვირიან «მასა», «მასაო»!—და უ ა რ ს ა მ ბ ო ბ ე ნ **პროფკავშირების** შ ი გ ნ ი თ მ უ შ ა ო ბ ა ზ ე!! უარს ამბობენ მათი «რეაქციულობის» საბაბით!! იგონებენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენების მხრივ უმწიკვლო, ამქრული და ვიწრო-პროფესიონალისტური ცოდვებისაგან თავისუფალ, ახალთახალ, სუფთა «მუშათა კავშირს», რომელიც თითქოს ფართო იქნება (იქნება!) და რომელში მონაწილეობისთვისაც საჭიროა მხოლოდ (მხოლოდ!) «აღიარება საბჭოთა სისტემისა და დიქტატურისა» (იხილე ციტატა ზემოთ)!!

უფრო მეტი უგუნურება, რევოლუციისათვის იმაზე უფრო მეტი ზიანი, რაც «მემარცხენე» რევოლუციონერებს მოაქვთ, წარმოუდგენელიც კია! რუსეთშიც კი ახლა, რუსეთისა და ანტანტის ბურჟუაზიაზე 2½ წლის უმაგალითო გამარჯვებათა შემდეგ, პროფკავშირებში შესვლის პირობად «დიქტატურის აღიარება» რომ წამოგვეყენებინა, სისულელეს ჩავიდენდით, ძირს გამოვუთხრიდით ჩვენს გავლენას მასებზე, დავეხმარებოდით მენშევიკებს. ვინაიდან კომუნისტების მთელი ამოცანაა — შ ე ე ძ ლ ო თ დ ა ა რ წ მ უ ნ ო ნ ჩამორჩენილები, შ ე ე ძ ლ ო თ იმუშაონ მათ შ ო რ ი ს, დ ა ა რ ა ი ს, რომ გ ა ე მ ი ჯ ნ ო ნ მათ გამოგონილი ბალღურ-«მემარცხენე» ლოზუნგებით.

უეჭველია, ბატონი ჰომპერსები, ჰენდერსონები, ჟუოები, ლეგინები ძალიან მადლობელნი არიან ასეთი «მემარცხენე»

რევოლუციონერებისა, რომლებიც, მსგავსად გერმანული «პრინციპული» ოპოზიციისა (ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი «პრინციპულობისაგან»!) ან ზოგიერთი რევოლუციონერისა ამერიკელი «მსოფლიოს სამრეწველო მუშების»[14] რიცხვიდან, ქადაგებენ რეაქციული პროფკავშირებიდან გამოსვლას და იქ მუშაობაზე უარისთქმას. უეჭველია, ბატონი «ბელადები» ოპორტუნიზმისა მიმართავენ ბურჟუაზიული დიპლომატიის ყოველგვარ ხრიკებს, ბურჟუაზიული მთავრობების, ხუცების, პოლიციის, სასამართლოების დახმარებას, რათა კომუნისტები არ დაუშვან პროფკავშირებში, ყოველნაირად გააძევონ ისინი იქიდან, პროფკავშირებს შიგნით მუშაობა მათთვის რაც შეიძლება უფრო უსიამოვნო გახადონ, შეურაცხყონ ისინი, შეავიწროონ, სდევნონ. უნარი უნდა შეგვწევდეს წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველივე ამას, გავიღოთ ყველა და ყოველგვარი მსხვერპლი, მივმართოთ — საჭიროების შემთხვევაში — თუნდაც ყოველგვარ ფანდებს, ეშმაკობას, არალეგალურ ხერხებს, დავფაროთ ზოგი რამ, დავმალოთ სიმართლე, ოღონდ კი შევაღწიოთ პროფკავშირებში, დავრჩეთ იქ, რადაც უნდა დაგვიჯდეს ვაწარმოოთ პროფკავშირებში კომუნისტური მუშაობა. ცარიზმის დროს 1905 წლამდე ჩვენ არ გვქონდა არავითარი «ლეგალური შესაძლებლობანი», მაგრამ როცა ზუბატოვი, ოხრანიკი, რევოლუციონერების შესაპყრობად და მათთან საბრძოლველად შავრაზმულ მუშათა კრებებსა და მუშათა საზოგადოებებს აწყობდა, ჩვენ ამ კრებებზე და ამ საზოგადოებებში ვგზავნიდით ჩვენი პარტიის წევრებს (მათგან პირადად მე მახსოვს ამხ. ბაბუშკინი, ცნობილი პიტერელი მუშა, რომელიც მეფის გენერლებმა 1906 წელს დახვრიტეს), რომლებიც კავშირს ამყარებდნენ მასასთან, ახერხებდნენ თავიანთი აგიტაციის წარმოებას და ზუბატოველთა გავლენისაგან იხსნიდნენ მუშებს*. რა თქმა უნდა, დასავლეთ

* ჰომპერსები, ჰენდერსონები, ჟუოები, ლეგინები იგივე ზუბატოვები არიან, რომლებიც ჩვენი ზუბატოვისაგან განსხვავდებიან ევროპული კოს-

ევროპაში, რომელიც განსაკუთრებით გაჟღენთილია განსაკუთრებით ღრმად ჩანერგილი ლეგალისტური, კონსტიტუციური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენებით, ასეთი რამის გაკეთება უფრო ძნელია. მაგრამ ეს შეიძლება გაკეთდეს და სისტემატურად კიდევაც უნდა კეთდებოდეს.

III ინტერნაციონალის აღმასკომმა, ჩემი პირადი შეხედულებით, პირდაპირ უნდა დაგმოს და კომუნისტური ინტერნაციონალის შემდგომ ყრილობას წინადადება უნდა მისცეს დაგმოს როგორც რეაქციულ პროფკავშირებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა საერთოდ (მონაწილეობის ასეთი მიუღებლობის უგუნურობისა და პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის მისი უკიდურესი მავნეობის დაწვრილებითი დასაბუთებით), ისე კერძოდ საქციელი ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ზოგიერთი წევრისა, რომლებიც — სულერთია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, სავსებით თუ ნაწილობრივ — მხარს უჭერდნენ ამ არასწორ პოლიტიკას. III ინტერნაციონალმა კავშირი უნდა გაწყვიტოს II ინტერნაციონალის ტაქტიკასთან და გვერდი კი არ აუაროს მტკივნეულ საკითხებს, კი არ მიჩქმალოს ისინი, არამედ პირდაპირ დააყენოს. მთელი სიმართლე პირში ვუთხარით «დამოუკიდებლებს» (გერმანიის დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიას), მთელი სიმართლე პირში უნდა ვუთხრათ «მემარცხენე» კომუნისტებსაც.

VII

მივილოთ თუ არა მონაწილეობა ბურჟუაზიულ პარლამენტებში?

გერმანელი «მემარცხენე» კომუნისტები უაღრესი ათვალისწუნებით — და უაღრესად ფუქსავატურად — უარყოფითად

ტიუმით, პეწით, თავიანთი საზიზღარი პოლიტიკის განხორციელების ცივილიზებულად, დახვეწილად, დემოკრატიულად შელამაზებული ხერხებით.

უპასუხებენ ამ კითხვაზე. როგორია მათი საბუთები? ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩვენ ვნახეთ:

«...გადაჭრით უარყოთ ყოველგვარი დაბრუნება პარლამენტარიზმი. ბრძოლის ისტორიულად და პოლიტიკურად დრომოჭმული ფორმებისაკენ...»

ეს პირდაპირ სასაცილო პრანჭვით და აშკარად არასწორად არის ნათქვამი. პარლამენტარიზმისაკენ «დაბრუნება»! იქნებ გერმანიაში უკვე არსებობს საბჭოთა რესპუბლიკა? თითქოს არ არსებობს! მაშინ როგორღა შეიძლება ლაპარაკი «დაბრუნებაზე»? განა ეს ფუჭი ფრაზა არ არის?

პარლამენტარიზმი «ისტორიულად დრომოჭმულია». ეს სწორია პროპაგანდის აზრით. მაგრამ ყველამ იცის, რომ აქედან პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ დაძლევამდე ჯერ კიდევ ძალიან შორს არის. კაპიტალიზმი უკვე მრავალი ათეული წლის წინათ შეიძლებოდა. და სავსებით სამართლიანად, გამოგვეცხადებინა როგორც «ისტორიულად დრომოჭმული», მაგრამ ეს ოდნავაც არ ა სპობს კაპიტალიზმის ნ ი ა დ ა გ ზ ე მეტად ხანგრძლივი და მეტად შეუპოვარი ბრძოლის საჭიროებას. პარლამენტარიზმი «ისტორიულად დრომოჭმულია» მ ს ო ფ ლ ი ო-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი აზრით, ე. ი. ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ე პ ო ქ ა დამთავრებულია, პროლეტარიატის დიქტატურის ე პ ო ქ ა დ ა ი წ ყ ო. ეს უდავოა. მაგრამ მსოფლიო-ისტორიული მასშტაბი სათვალავს ათეული წლობით ეწევა. 10 — 20 წლით ადრე თუ გვიან, მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის თვალსაზრისით ეს სულერთია, ეს — მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით — წვრილმანია, რომლის მიახლოებით აღრიცხვაც კი შეუძლებელია. მაგრამ სწორედ ამიტომ პრაქტიკული პოლიტიკის საკითხში მსოფლიო-ისტორიულ მასშტაბზე მითითება უდიდესი თეორიული უმართებულობაა.

პარლამენტარიზმი «პოლიტიკურად დრომოჭმულია»? აი ეს სხვა საქმეა. ეს რომ მართალი იყოს, «მემარცხენეთა» პოზიცია მტკიცე იქნებოდა. მაგრამ ეს უნდა დამტკიცდეს უაღრესად სერიოზული ანალიზით, «მემარცხენეებმა» კი ისიც არ იციან, როგორ მიუდგნენ მას. «თეზისებში პარლამენტარიზმის

შესახებ», რომლებიც დაბეჭდილია «კომუნისტური ინტერნაციონალის ამსტერდამის დროებითი ბიუროს ბიულეტენის» № 1-ში («Bulletin of the Provisional Bureau in Amsterdam of the Communist International», February *. 1920) და რომლებიც ჰოლანდიურ-მემარცხენე ან მემარცხენე-ჰოლანდიურ მისწრაფებას გამოხატავენ, ანალიზი, როგორც ვნახავთ, აგრეთვე მეტად ცუდია.

პირველი. გერმანელ «მემარცხენეებს», როგორც ცნობილია, პარლამენტარიზმი ჯერ კიდევ 1919 წლის იანვარში მიაჩნდათ «პოლიტიკურად დრომოჭმულად», წინააღმდეგ ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელების აზრისა, როგორიც იყვნენ როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი. ცნობილია, რომ «მემარცხენეები» შეცდნენ. უკვე მარტო ეს ერთბაშად და ძირეულად არღვევს იმ დებულებას, თითქოს პარლამენტარიზმი «პოლიტიკურად დრომოჭმულია». «მემარცხენეების» ვალდებულებაა დაამტკიცონ, მათი მაშინდელი უდავო შეცდომა ახლა რატომ აღარ არის შეცდომა. ამის არავითარი საბუთი მათ არ მოჰყავთ და ვერც მოიყვანენ. პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება თავისი შეცდომებისადმი იმის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და სწორი კრიტერიუმია, თუ რაოდენ სერიოზულია პარტია და როგორ ასრულებს იგი ს ა ქ მ ი თ თავის მოვალეობებს თავისი კ ლ ა ს ი ს ა და მშრომელთა მ ა ს ე ბ ი ს ა დ მ ი. შეცდომის აშკარად აღიარება, მისი მიზეზების გამორკვევა, მისი გამომწვევი ვითარების ანალიზი, შეცდომის გასწორების საშუალებათა ყურადღებით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულება, აი ეს არის კ ლ ა ს ი ს, ხოლო შემდეგ აგრეთვე მ ა ს ი ს აღზრდა და სწავლება. არ ასრულებენ რა ამ თავიანთ მოვალეობას, უაღრესი ყურადღებით, გულმოდგინებითა და სიფრთხილით არ ეკიდებიან რა თავიანთი აშკარა შეცდომის შესწავლას, «მემარცხენეები» გერმანიაში (და ჰოლანდიაში) სწორედ ამით

* — თებერვალი. რ ე დ.

ამტკიცებენ, რომ ისინი არიან არა კლასის პარტია, არამედ წრე, არა მასების პარტია, არამედ ჯგუფი ინტელიგენტებისა და იმ მცირერიცხოვანი მუშებისა, რომლებიც ინტელიგენტურობის უარეს მხარეებს იმეორებენ.

მეორე. «მემარცხენეთა» ფრანკფურტის ჯგუფის იმავე ბროშურაში, რომლიდანაც ზემოთ დაწვრილებითი ციტატები მოვიყვანეთ, ვკითხულობთ:

«...მილიონობით მუშები, რომლებიც ჯერ კიდევ მისდევენ ცენტრის» («ცენტრის» კათოლიკური პარტიის) «პოლიტიკას, კონტრრევოლუციურები არიან. სოფლის პროლეტარებს გამოჰყავთ კონტრრევოლუციური ჯარების ლეგიონები» (ზემოდასახელებული ბროშურის გვ. 3).

ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს მეტისმეტად გაბედულად და გაზვიადებით არის ნათქვამი. მაგრამ აქ მოყვანილი ძირითადი ფაქტი უდავოა, და «მემარცხენეების» მიერ მისი აღიარება განსაკუთრებით ცხადად მოწმობს მათს შეცდომას. აბა როგორ შეიძლება ლაპარაკი, რომ თითქოს «პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოჭმულია», თუ პროლეტართა «მილიონები» და «ლეგიონები» ჯერ კიდევ არათუ ემხრობიან საერთოდ პარლამენტარიზმს, არამედ პირდაპირ «კონტრრევოლუციურებიც» კი არიან!? ცხადია, რომ პარლამენტარიზმი გერმანიაში პოლიტიკურად ჯერ კიდევ არ არის დრომოჭმული. ცხადია, რომ «მემარცხენეებმა» გერმანიაში თავიანთი სურვილი, თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დამოკიდებულება ობიექტურ სინამდვილედ მიიღეს. ეს რევოლუციონერებისათვის ყველაზე საშიში შეცდომაა. რუსეთში, სადაც ცარიზმის მხრივ უაღრესად ველური და მძვინვარე ჩაგვრა განსაკუთრებით დიდხანს და განსაკუთრებით სხვადასხვა ფორმით წარმოშობდა სხვადასხვა ჯურის რევოლუციონერებს, საოცარი თავდადების, ენთუზიაზმის, გმირობის, ნებისყოფის რევოლუციონერებს, რუსეთში რევოლუციონერების ამ შეცდომას ჩვენ განსაკუთრებით ახლო ვხედავდით, განსაკუთრებით ყურადღებით ვსწავლობდით, განსაკუთრებით კარგად ვიცნობთ და ამიტომ მას განსაკუთრებით ნათლად ვამჩნევთ სხვებსაც. კომუნისტებისათვის გერმანიაში

პარლამენტარიზმი, რა თქმა უნდა, «პოლიტიკურად დრომოჭმულია», მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ჩვენ თვის დრომოჭმული არ მივიღოთ კლასისათვის დრომოჭმულად, მასებისათვის დრომოჭმულად. სწორედ აქ ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ «მემარცხენეებს» უნარი არ შესწევთ ისე იმსჯელონ, უნარი არ შესწევთ ისე მოიქცნენ, როგორც კლასის პარტიას, როგორც მასების პარტიას შეეფერება. თქვენ მოვალენი ხართ არ დაქვეითდეთ მასების დონემდე, კლასის ჩამორჩენილი ფენების დონემდე. ეს უდავოა. თქვენ მოვალენი ხართ უთხრათ მათ მწარე სიმართლე. თქვენ მოვალენი ხართ მათს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პარლამენტურ ცრურწმენებს უწოდებდეთ ცრურწმენებს. მაგრამ ამასთანავე თქვენ მოვალენი ხართ ფხიზლად ადევნებდეთ თვალს სწორედ მთელი კლასის (და არა მარტო მისი კომუნისტური ავანგარდის), სწორედ მთელი მშრომელი მასის (და არა მარტო მისი მოწინავე ადამიანების) შეგნებისა და მომზადების ნამდვილ მდგომარეობას.

«ბილიონები» და «ლეგიონები» კი არა, სამრეწველო მუშების თუნდაც მხოლოდ საკმაოდ მნიშვნელოვანი უმცირესობაც კი თუ მიჰყვება კათოლიკე ხუცებს, ხოლო სოფლის მუშებისა — მემამულეებსა და კულაკებს (Grossbauern), — აქედან უკვე უეჭველად გამომდინარეობს, რომ პარლამენტარიზმი გერმანიაში პოლიტიკურად ჯერ კიდევ არ არის დრომოჭმული, რომ საპარლამენტო არჩევნებში და პარლამენტის ტრიბუნაზე ბრძოლაში მონაწილეობა საკვალდებულოა რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის სწორედ იმ მიზნით, რომ აღზარდოს თავისი კლასის ჩამორჩენილი ფენები, სწორედ იმ მიზნით, რომ გამოაღვიძოს და გაანათლოს სოფლის განუვითარებელი, დაბეჩავებული, ბნელი მასა. სანამ თქვენ არ ძალგიძთ გარეკოთ ბურჟუაზიული პარლამენტი და სხვა ტიპის რომელიც გნებავთ რეაქციული დაწესებულებანი, თქვენ მოვალენი ხართ იმუშაოთ მათ შიგნით სწორედ იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევ არიან ხუცების მიერ გაბრიყვებული, სოფლის

ჩამორჩენილობით გამოყრუებული მუშები, უამისოდ თქვენ უბრალო მოლაყბეებად გადაქცევა მოგელით.

მესამე. «მემარცხენე» კომუნისტები ძალიან ბევრს კარგს ლაპარაკობენ ჩვენზე, ბოლშევიკებზე. ზოგჯერ გინდა თქვა: უმჯობესი იქნება, უფრო ნაკლებად გვაქებდნენ ჩვენ და უფრო მეტად უკვირდებოდნენ ბოლშევიკების ტაქტიკას.. უფრო მეტად ეცნობოდნენ მას! ჩვენ მონაწილეობას ვიღებ-დით რუსეთის ბურჟუაზიული პარლამენტის, დამფუძნებელი კრების, არჩევნებში 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში. სწორი იყო თუ არა ჩვენი ტაქტიკა? თუ სწორი არ იყო, საჭიროა ამის ნათლად თქმა და დამტკიცება: ეს აუცილებელია იმისათვის, რომ საერთაშორისო კომუნიზმმა სწორი ტაქტიკა შეიმუშაოს. თუ სწორი იყო, საჭიროა აქედან გარკვეული დასკვნების გამოტანა. რა თქმა უნდა, რუსეთის პირობების დასავლეთ ევროპის პირობებთან შეფარდებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ სპეციალურად იმ საკითხში, თუ რას ნიშ-ნავს ცნება: «პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოჭმუ-ლია», სავალდებულოა ჩვენი გამოცდილების ზუსტად გათვა-ლისწინება, ვინაიდან კონკრეტული გამოცდილების გაუთვა-ლისწინებლად ასეთი ცნებები ძალიან ადვილად იქცევა ფუჭ ფრაზებად. განა ჩვენ, რუსეთის ბოლშევიკებს, 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში უ ფ რ ო მ ე ტ ი უფლება არ გვქონდა, ვიდრე რომელსაც გნებავთ დასავლეთელ კომუნისტს, ჩაგვე-თვალა, რომ რუსეთში პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოჭმული იყო? რა თქმა უნდა, გვქონდა. რადგან საქმე ის ხომ არ არის, დიდი თუ ცოტა ხანია რაც ბურჟუაზიული პარლამენტები არსებობენ, არამედ ის, თუ მშრომელთა ფარ-თო მასები რამდენად ა რ ი ა ნ მ ზ ა დ (იდეურად, პოლიტი-კურად, პრაქტიკულად) მიიღონ საბჭოთა წყობილება და გარე-კონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტი (ან დაუშვან მისი გარეკვა). რუსეთში 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში ქალაქების მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები, მთელი რიგი სპეციალური პირობების გამო, საუცხოოდ რომ იყვნენ მომზადებულნი საბჭოთა წყობილების მისაღებად და ყველაზე

დემოკრატიული ბურჟუაზიული პარლამენტის გასარეკად, ეს სრულიად უდავო და სავსებით დადგენილი ისტორიული ფაქტია. და ბოლშევიკებს მაინც ბოიკოტი არ გამოუცხადებიათ დამფუძნებელი კრებისათვის, არამედ მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობამდეც და დაპყრობის **შემდეგაც**. ამ არჩევნებს მეტისმეტად ძვირფასი (და პროლეტარიატისათვის უაღრესად სასარგებლო) პოლიტიკური შედეგი რომ მოჰყვა, ეს მე, ვბედავ იმედი ვიქონიო, დავამტკიცე ზემოდასახელებულ სტატიაში, სადაც დაწვრილებითაა გარჩეული მონაცემები რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ.

აქედან გამომდინარე დასკვნა სრულიად უდავოა: დამტკიცებულია, რომ საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებამდე რამდენიმე კვირით ადრეც კი, ასეთი გამარჯვების შ ე მ დ ე გ ა ც კი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარლამენტში მონაწილეობა არათუ არა ვნებს რევოლუციურ პროლეტარიატს, არამედ უადვილებს მას შესაძლებლობას დ ა უ მ ტ კ ი ც ო ს ჩამორჩენილ მასებს, თუ რატომ არიან ასეთი პარლამენტები გარეკვის ღირსი, ა ა დ ვ ი ლ ე ბ ს მათი გარეკვის წარმატებას, ა ა დ ვ ი ლ ე ბ ს იმას, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი «პოლიტიკურად დრომოჭმული» გახდეს. ანგარიშს არ უწევდე ამ გამოცდილებას და ამავე დროს პრეტენზია გქონდეს, რომ ეკუთვნი კომუნისტურ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს, რომელიც ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ა დ უნდა იმუშავებდეს თავის ტაქტიკას (არა როგორც ვიწრო ან ცალმხრივ ნაციონალურ, არამედ სწორედ როგორც ინტერნაციონალურ ტაქტიკას), ეს იმას ნიშნავს, რომ უდიდეს შეცდომას სჩადიოდე და საქმით სწორედ ღალატობდე ინტერნაციონალიზმს, როცა მას სიტყვით სცნობ.

ახლა გადავხედოთ პარლამენტებში მონაწილეობის მიუღებლობის სასარგებლო «ჰოლანდიურ-მემარცხენე» საბუთებს. აი ზემოდასახელებული «ჰოლანდიური» თეზისებიდან

უმნიშვნელოვანესი თეზისის, მე-4 თეზისის თარგმანი (ინგლისურიდან):

«როცა წარმოების კაპიტალისტური სისტემა დაძლეულია და საზოგადოება რევოლუციის მდგომარეობაში იმყოფება, საპარლამენტო მოღვაწეობა თანდათანობით კარგავს მნიშვნელობას თვით მასების მოქმედებასთან შედარებით. როცა, ასეთ პირობებში, პარლამენტი კონტრრევოლუციის ცენტრი და ორგანო ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, მუშათა კლასი სჭედს თავისი ხელისუფლების იარაღებს საბჭოების სახით, — შეიძლება აუცილებელიც კი აღმოჩნდეს საპარლამენტო მოღვაწეობაში ყოველგვარ და ყოველი სახის მონაწილეობაზე უარისთქმა».

პირველი ფრაზა აშკარად არასწორია, ვინაიდან მასების მოქმედება — მაგალითად, დიდი გაფიცვა — საპარლამენტო მოღვაწეობაზე უფრო მნიშვნელოვანია ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს და სრულიადაც არა მხოლოდ რევოლუციის დროს ან რევოლუციური სიტუაციის დროს. ეს აშკარად უნიადაგო, ისტორიულად და პოლიტიკურად არასწორი, საბუთი მხოლოდ განსაკუთრებული სიცხადით ამტკიცებს, რომ ავტორები აბსოლუტურად არ უწევენ ანგარიშს არც საერთოდ ევროპის (საფრანგეთისას 1848, 1870 წლების რევოლუციების წინ; გერმანიისას 1878 — 1890 წლებში და ა. შ.), არც რუსეთის (იხ. ზემოთ) გამოცდილებას იმ მხრივ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლეგალური და არალეგალური ბრძოლის შ ე ე რ თ ე ბ ა ს. ამ საკითხს როგორც საერთოდ, ისე სპეციალურად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ყ ვ ე ლ ა ცივილიზებულ და მოწინავე ქვეყანაში სწრაფად ახლოვდება დრო, როცა ასეთი შეერთება სულ უფრო და უფრო ხდება — ნაწილობრივ უკვე გახდა — რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის საკალდებულო იმის გამო, რომ მწიფდება და ახლოვდება პროლეტარიატის სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ კომუნისტებს სასტიკად სდევნიან რესპუბლიკური და საერთოდ ბურჟუაზიული მთავრობები, რომლებიც ყოველნაირად არღვევენ ლეგალობას (რად ღირს მარტო ამერიკის მაგალითი) და ა. შ.. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი სრულიად ვერ გაუგიათ ჰოლანდიელებს და საერთოდ მემარცხენეებს.

მეორე ფრაზა, ჯერ-ერთი, ისტორიულად არასწორია. ჩვენ, ბოლშევიკები, მონაწილეობას ვიღებდით ყველაზე კონტრ-რევოლუციურ პარლამენტებში, და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მონაწილეობა რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის არა მარტო სასარგებლო, არამედ საჭიროც იყო სწორედ რუსეთის 1-ლი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ (1905) მე-2 ბურჟუაზიული (II. 1917) და მერმე სოციალისტური (X. 1917) რევოლუციის მოსამზადებლად. მეორე, ეს ფრაზა საოცრად ულოგიკოა. პარლამენტი რომ კონტრრევოლუციის ორგანო და «ცენტრი» ხდება (ნამდვილად იგი «ცენტრი» არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს გაკვრით), ხოლო მუშები თავიანთი ხელისუფლების იარაღს სჭედენ საბჭოების სახით, აქედან ის გამომდინარეობს, რომ მუშები უნდა ემზადონ — ემზადონ იდეურად, პოლიტიკურად, ტექნიკურად — პარლამენტის წინააღმდეგ საბჭოების ბრძოლისათვის, საბჭოების მიერ პარლამენტის გარეკვისათვის. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ასეთი გარეკვა ძნელდება ან არ ადვილდება იმის გამო, რომ კონტრრევოლუციური პარლამენტის შიგნით საბჭოთა ოპოზიცია არის. დენიკინისა და კოლჩაკის წინააღმდეგ ჩვენი ძლევამოსილი ბრძოლის დროს ერთხელაც არ შეგვიმჩნევია, რომ მათთან საბჭოთა, პროლეტარული, ოპოზიციის არსებობა სულერთი ყოფილიყოს ჩვენი გამარჯვებისათვის. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ 1918 წლის 5 იანვარს ჩვენ მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა კი არ გააძნელა, არამედ გააადვილა იმან, რომ გასარეკი კონტრრევოლუციური დამფუძნებელი კრების შიგნით იყო როგორც თანმიმდევრული, ბოლშევიკური, ისე არათანმიმდევრული, მემარცხენე-ესერული, საბჭოთა ოპოზიცია. თეზისის ავტორები სულ დაიბნენ და დაავიწყდათ, თუ ყველასი არა, მთელი რიგი რევოლუციების გამოცდილება, რომელიც მოწმობს, რა განსაკუთრებით სასარგებლოა რევოლუციის დროს რეაქციული პარლამენტის გარეთ მასობრივი მოქმედების შეერთება ამ პარლამენტის შიგნით არსებულ ოპოზიციასთან,

რომელიც თანაუგრძნობს რევოლუციას (ხოლო უფრო უკეთ: პირდაპირ უჭერს მხარს რევოლუციას). ჰოლანდიელები და საერთოდ «მემარცხენეები» აქ მსჯელობენ როგორც რევოლუციის დოქტრინიორები, რომლებსაც არასოდეს არ მიუღიათ მონაწილეობა ნამდვილ რევოლუციაში ან არ დაფიქრებიან რევოლუციების ისტორიას ან გარკვეული რეაქციული დაწესებულების სუბიექტურ «უარყოფას» გულუბრყვილოდ იღებენ მის ნამდვილ დანგრევად მთელი რიგი ობიექტური ფაქტორების ერთობლივი ძალებით. ახალი პოლიტიკური (და არა მარტო პოლიტიკური) იდეისათვის სახელის გატეხის და მისთვის ზიანის მიყენების ყველაზე ნამდვილი საშუალება ის არის, რომ იგი, მისი დაცვის გულისათვის, აბსურდამდე მივიყვანოთ. ვინაიდან ყოველი ჭეშმარიტება, თუ მას «წრეგადასულს» (როგორც ამბობდა დიცგენი-მამა) გავხდით, თუ მას გავაზვიადებთ, თუ მას გავავრცელებთ მისი ნამდვილი გამოყენების შესაძლებლობის ფარგლებს გარეთ, აბსურდამდე შეიძლება მივიყვანოთ, და იგი, აღნიშნულ პირობებში, გარდუვალადაც კი აბსურდად იქცევა. სწორედ ასეთ დათვურ სამსახურს უწევენ ჰოლანდიელი და გერმანელი მემარცხენეები ახალ ჭეშმარიტებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარლამენტებთან შედარებით საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობის შესახებ. რა თქმა უნდა, ვინც ძველებურად და საერთოდ დაიწყებდა ლაპარაკს, ბურჟუაზიულ პარლამენტებში მონაწილეობაზე უარისთქმა არავითარ პირობებში არ არის დასაშვებიო, ის მართალი არ იქნებოდა. იმ პირობების ფორმულირების მოცემას, რომელთა დროსაც ბოიკოტი სასარგებლოა, აქ ვერ შევეცდები, რადგან ამ სტატიის ამოცანა გაცილებით უფრო ვიწროა: რუსეთის გამოცდილების გათვალისწინება ინტერნაციონალური კომუნისტური ტაქტიკის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის გამოცდილებამ მოგვცა ბოლშევიკების მიერ ბოიკოტის ერთი მარჯვე და სწორი (1905), მეორე მცდარი (1906) გამოყენება. პირველ შემთხვევას ანალიზს რომ ვუკეთებთ, ვხედავთ: მოვახერხეთ ა რ დ ა გ ვ ე შ ვ ა რეაქციული

ხელისუფლების მიერ რეაქციული პარლამენტის მოწვევა ისეთ ვითარებაში, როცა განსაკუთრებული სისწრაფით იზრდებოდა მასების პარლამენტგარეშე (კერძოდ საგაფიცვო) რევოლუციური მოქმედება, როცა პროლეტარიატისა და გლეხობის არც ერთ ფენას არ შეეძლო რაიმენაირად დაეჭირა მხარი რეაქციული ხელისუფლებისათვის, როცა ფართო, ჩამორჩენილ მასებზე თავის გავლენას რევოლუციური პროლეტარიატი უზრუნველყოფდა საგაფიცვო ბრძოლითა და აგრარული მოძრაობით. სავსებით ცხადია, რომ ეს გამოცდილება შეუფერებელია ევროპის თანამედროვე პირობებისათვის. აგრეთვე სავსებით ცხადია, — ზემომოყვანილი საბუთების საფუძველზე, — რომ ჰოლანდიელებისა და «მემარცხენეების» მიერ პარლამენტებში მონაწილეობაზე უარისთქმის დაცვა, თუნდაც პირობით, ძირეულად უმართებულო და რევოლუციური პროლეტარიატის საქმისათვის საზიანოა.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში პარლამენტი განსაკუთრებით საძულველი გახდა მუშათა კლასიდან გამოსული მოწინავე რევოლუციონერებისათვის. ეს უდავოა. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ომის დროს და ომის შემდეგ პარლამენტში სოციალისტი და სოც.-დემ. დეპუტატების გიგანტური უმრავლესობის საქციელზე უფრო საძაგელი, საზიზღარი, ზოლალატური რამის წარმოდგენა ძნელია. მაგრამ არა მარტო უგუნურება, არამედ პირდაპირ დანაშაული იქნებოდა ავყოლოდით ამ განწყობილებას იმ საკითხის გადაჭრისას, თუ როგორ უნდა ბრძოლა საყოველთაოდ აღიარებული ბოროტების წინააღმდეგ. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში რევოლუციური განწყობილება ახლა, შეიძლება ითქვას, «სიახლე» ან «იშვიათობაა», რომელსაც ძლიერ დიდხანს, ამაოდ, მოუთმენლად ელოდნენ, და იქნებ ამიტომ ასე ადვილად აჰყვებიან ხოლმე განწყობილებას. რა თქმა უნდა, თუ მასებში რევოლუციური განწყობილება არ არის, თუ არ არის პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი განწყობილების ზრდას, რევოლუციური ტაქტიკა სინამდვილედ ვერ იქცევა, მაგრამ

რუსეთში ჩვენ ერთობ ხანგრძლივი, მძიმე, სისხლიანი გამოცდილებით დავრწმუნდით იმ ჭეშმარიტებაში, რომ მარტო რევოლუციურ განწყობილებაზე რევოლუციური ტაქტიკის აგება არ შეიძლება. ტაქტიკა აგებულ უნდა იქნას მოცემული სახელმწიფოს (და მის გარშემო მდებარე სახელმწიფოების, და ყველა სახელმწიფოს, მსოფლიო მასშტაბით) ყ ვ ე ლ ა კლასობრივი ძალების ფხიზელ, ზუსტ ობიექტურ გათვალისწინებაზე, აგრეთვე რევოლუციურ მოძრაობათა გამოცდილების გათვალისწინებაზე. «რევოლუციურობის» გამოჩენა პარლამენტური ოპორტუნიზმის მხოლოდ ლანძღვით, პარლამენტებში მონაწილეობის მხოლოდ უარყოფით ძალიან ადვილია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ძალიან ადვილია, ეს არ არის ძნელი და უძნელესი ამოცანის გადაჭრა. ევროპის პარლამენტებში ნამდვილად რევოლუციური საპარლამენტო ფრაქციის შექმნა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე რუსეთში. რა თქმა უნდა. მაგრამ ეს მხოლოდ კერძო გამოხატულებაა იმ ზოგადი ჭეშმარიტებისა, რომ რუსეთისათვის 1917 წლის კონკრეტულ, ისტორიულად მეტისმეტად ორიგინალურ სიტუაციაში ადვილი იყო დ ა ე წ ყ ო სოციალისტური რევოლუცია, მაშინ როცა შისი გ ა ნ გ რ ძ ო ბ ა და ბოლომდე მიყვანა რუსეთისათვის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ევროპის ქვეყნებისათვის. მე ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში მომიხდა აღმენიშნა ეს გარემოება, და ორი წლის გამოცდილებამ მას შემდეგ სავსებით დაადასტურა ასეთი მოსაზრების სისწორე. ისეთი სპეციფიკური პირობები, როგორიც არის: 1) იმის შესაძლებლობა, რომ საბჭოთა გადატრიალება შეგვეერთებინა იმპერიალისტური ომის დამთავრებასთან, რაც ამ გადატრიალების მეოხებით იყო გამოწვეული, იმპერიალისტური ომისა, რომელმაც საშინლად გააწამა მუშები და გლეხები; 2) იმის შესაძლებლობა, რომ გარკვეული დროით გამოგვეყენებინა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმპერიალისტ მტაცებელთა ორი, მსოფლიოში უძლიერესი ჯგუფისა, რომლებსაც არ შეეძლოთ შეერთებულიყვნენ საბჭოთა მტრის წინააღმდეგ; 3) იმის შესაძლებლობა, რომ გაგვეძლო

შედარებით ხანგრძლივი სამოქალაქო ომისათვის, ნაწილობრივ ჩვენი ქვეყნის გიგანტური სივრცისა და მიმოსვლის ცუდი საშუალებების მეოხებით; 4) გლეხობაში ისეთი ღრმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის არსებობა, რომ პროლეტარიატის პარტიამ რევოლუციური მოთხოვნები აიღო გლეხთა პარტიიდან (ს.-რ., პარტიიდან, რომლის უმრავლესობა უაღრესად მტრულად იყო განწყობილი ბოლშევიზმის მიმართ) და ერთბაშად განახორციელა ისინი პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის მეოხებით; — ასეთი სპეციფიკური პირობები დასავლეთ ევროპაში ახლა არ არის და ასეთი ან მათი მსგავსი პირობების გამეორება ძალიან ადვილი როდია. აი ამიტომ, სხვათა შორის, — გარდა მთელი რიგი სხვა მიზეზებისა, — სოციალისტური რევოლუციის დ ა წ ყ ე ბ ა დასავლეთ ევროპაში უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენში იყო. რევოლუციური მიზნებისათვის რეაქციული პარლამენტების გამოყენების ძნელ საქმეზე «გადახტომა», ამ სიძნელისათვის «გვერდის ავლის» ცდა ნამდვილი ბალღობაა. თქვენ გინდათ შექმნათ ახალი საზოგადოება? და თქვენ გეშინიათ სიძნელეებისა, რომ დარწმუნებული, ერთგული, გმირი კომუნისტებისაგან შექმნათ კარგი საპარლამენტო ფრაქცია რეაქციულ პარლამენტში! განა ეს ბალღობა არ არის? თუ კარლ ლიბკნეხტს გერმანიაში და ზ. ჰეგლუნდს შვეციაში შეეძლოთ ქვემოდან მასობრივი მხარდაჭერის გარეშეც კი მოეცათ რეაქციული პარლამენტების ნამდვილად რევოლუციური გამოყენების ნიმუშები, როგორ მოხდა, რომ სწრაფად მზარდ მასობრივ რევოლუციურ პარტიას, ომისშემდგომი იმედგაცრუებისა და მასების გაბოროტების ვითარებაში, არ ძალუძს გ ა მ ო ს ჭ ე დ ო ს თავისთვის კომუნისტური ფრაქცია უარეს პარლამენტებში?! სწორედ იმიტომ, რომ მუშების და — უფრო მეტად — წვრილი გლეხების ჩამორჩენილი მასები დასავლეთ ევროპაში გაცილებით უფრო ძლიერ არიან გაჟღენთილნი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენებით, ვიდრე რუსეთში იყვნენ, სწორედ ამიტომ მ ხ ო ლ ო დ ისეთი დაწესებულებების შიგ-

ნით, როგორიც ბურჟუაზიული პარლამენტებია, შეუძლიათ კომუნისტებს ამ ცრურწმენათა გამოსააშკარავებლად, გასაფანტავად, დასაძლევად აწარმოონ (და კიდევაც უნდა აწარმოონ) ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც არავითარ სიძნელეთა წინაშე არ უნდა ჩერდებოდეს.

გერმანელი «მემარცხენეები» უჩივიან თავიანთი პარტიის ცუდ «ბელადებს» და სასოწარკვეთილებას ეძლევიან, იქამდეც კი მიდიან, რომ სასაცილოდ «უარყოფენ» «ბელადებს». მაგრამ ისეთ პირობებში, როცა ხშირად ხდება საჭირო «ბელადების» არალეგალურ მდგომარეობაზე გადაყვანა, კარგი, საიმედო, ნაცადი, ავტორიტეტიანი «ბელადების» გ ა მ ო მ უ შ ა ვ ე ბ ა განსაკუთრებით ძნელი საქმეა, და ამ სიძნელეთა წარმატებით დაძლევა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეერთების გარეშე, ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს, ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს საპარლამენტო ასპარეზზე გ ა მ ო ც დ ი ს გ ა რ ე შ ე. კრიტიკა — და ყველაზე მკვეთრი, ულმობელი, შეურიგებელი კრიტიკა — მიმართულ უნდა იქნას არა პარლამენტარიზმისა დ საპარლამენტო მოღვაწეობის წინააღმდეგ, არამედ იმ ბელადების წინააღმდეგ, რომლებსაც უნარი არა აქვთ — და უფრო მეტად იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც ა რ ა ს უ რ თ — პარლამენტის არჩევნები და პარლამენტის ტრიბუნა რევოლუციურად, კომუნისტურად გამოიყენონ. მხოლოდ ასეთი კრიტიკა — რა თქმა უნდა, უვარგისი ბელადების განდევნასა და ვარგისებით მათ შეცვლასთან შეერთებული, — იქნება სასარგებლო და ნაყოფიერი რევოლუციური მუშაობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღზრდის «ბელადებსაც», რათა ისინი მუშათა კლასის და მშრომელი მასების შესაფერი იყვნენ, — და მასებსაც, რათა მათ ისწავლონ პოლიტიკურ მდგომარეობაში სწორად გარკვევა და ხშირად მეტად რთული და დახლართული ამოცანების გაგება, რომლებიც ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობენ *.

* მე მეტად მცირე შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი იტალიის «მემარცხენე» კომუნიზმს. უეჭველია, ამხ. ბორდიგა და «კომუნისტ-ბოიკოტისტთა» (Comunista astensionista) მისი ფრაქცია მართალი არ არის, პარ-

VIII

არავითარი კომპრომისი?

ფრანკფურტის ბროშურიდან ამოღებულ ციტატაში ჩვენ ვნახეთ, რა მტკიცედ აყენებენ «მემარცხენეები» ამ ლოზუნგს. სამწუხარო სანახავია, როგორ დავიწყებიათ ადამიანებს, რომლებსაც თავი უეჭველია მარქსისტებად მიიჩნიათ და სურთ მარქსისტები იყვნენ, მარქსიზმის ძირითადი ჭეშმარიტებანი. აი რას წერდა 1874 წელს 33 კომუნარი-ბლანკისტის მანიფესტის წინააღმდეგ ენგელსი, რომელიც, მარქსის მსგავსად, იმ იშვიათ და უიშვიათეს მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ყოველი დიდი ნაშრომის ყოველ ფრაზას შესანიშნავი ღრმა შინაარსი აქვს:

ლამენტში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას რომ იცავს. მაგრამ ერთ პუნქტში იგი, ჩემი აზრით, მართალია — რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ მისი გაზეთის «სოვეტ»-ის ორი ნომრის (**«Il Soviet»**, № № 3 და 4, 18. I და 1. II. 1920), ამბ. სერატის მშვენიერი ჟურნალის «კომუნიზმის» ოთხი წიგნაკის (**«Comunismo»**, № № 1 — 4, 1. X — 30. XI. 1919) და იტალიის ბურჟუაზიული გაზეთების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნომრების მიხედვით, რომელთა გაცნობაც შევძელი. სახელდობრ, ამბ. ბორდიგა და მისი ფრაქცია მართალი არიან, როცა ილაშქრებენ ტურატის და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ, რომლებიც რჩებიან პარტიაში, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა სცნო, რჩებიან პარლამენტის წევრებად და განაგრძობენ თავიანთ უაღრესად მავნე, ძველ, ოპორტუნისტულ პოლიტიკას. ამას რომ ითმენენ, ამბ. სერატი და იტალიის მთელი სოციალისტური პარტია [15], რა თქმა უნდა, სჩადიან შეცდომას, რომელიც ისევე დიდად საზიანო და საშიშია, როგორც უნგრეთში, სადაც უნგრელი ბატონი ტურატები შიგნიდან უწევდნენ საბოტაჟს პარტიასაც და საბჭოთა ხელისუფლებასაც. ოპორტუნისტ-პარლამენტარებისადმი ასეთი მცდარი, არათანმიმდევრული ან უხერხემლო, დამოკიდებულება, ერთი მხრივ, წარმოშობს «მემარცხენე» კომუნიზმს, მეორე მხრივ, ე რ თ გ ვ ა რ ა დ ამართლებს მის არსებობას. ამბ. სერატი აშკარად არ არის მართალი, დეპუტატ ტურატის «არათანმიმდევრულობაში» რომ დებს ბრალს (**«Comunismo»**, № 3), მაშინ როცა არათანმიმდევრულია სწორედ იტალიის სოციალისტური პარტია, რომელიც ითმენს ისეთ ოპორტუნისტ-პარლამენტარებს, როგორიც ტურატი და კომპანიაა.

««...ჩვენ კომუნისტები ვართ» (წერდნენ თავიანთ მანიფესტში კომუნარი-ბლანკისტები) «იმიტომ, რომ გვსურს მივაღწიოთ ჩვენს მიზანს შუალედ სადგურებზე შეუჩერებლად, კომპრომისებზე დაუთანხმებლად, რომლებიც მხოლოდ გვაშორებენ გამარჯვების დღეს და ახანგრძლივებენ მონობის პერიოდს».

გერმანელი კომუნისტები იმიტომ არიან კომუნისტები, რომ ისინი არა მათ მიერ, არამედ ისტორიული განვითარების მსვლელობით შექმნილ ყველა შუალედ სადგურებსა და კომპრომისებს იქით ნათლად ხედავენ და მუდამ ისახავენ საბოლოო მიზანს: კლასების მოსპობას და ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნას, რომლის დროსაც აღარ იქნება მიწისა და არავითარ საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება. 33 ბლანკისტი იმიტომ არიან კომუნისტები, რომ წარმოუდგენიათ, რაკი მ ა თ სურთ გადაახტნენ შუალედ სადგურებსა და კომპრომისებს, საქმეც გაჩარხულია, და თუ — რაშიც ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი — ამ დღეებში «დაიწყება» და ძალაუფლება მათ ხელში აღმოჩნდება, ზეგ «კომუნიზმი შემოღებულ იქნება». მაშასადამე, თუ ამის გაკეთება ახლავე არ შეიძლება, ისინი კომუნისტებიც აღარ არიან.

რა ბალღური გულუბრყვილობაა — საკუთარი მოუთმენლობის წამოყენება თეორიულ არგუმენტად!» (ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, «კომუნარ-ბლანკისტების პროგრამა»[16], გერმანულ ს.-დ. გაზეთ «Wolksstaat»-იდან *, 1874, № 73, კრებულში: «1871 — 1875 წლების სტატიები», რუს. თარგმ., პეტრ. 1919, გვ. 52 — 53).

ენგელსი იმავე სტატიაში გამოთქვამს თავის დიდ პატივისცემას ვალიანისადმი და ლაპარაკობს ვალიანის (რომელიც, მსგავსად გედისა, საერთაშორისო სოციალიზმის უაღრესად გამოჩენილი ბელადი იყო, სანამ ისინი სოციალიზმს უღალატებდნენ 1914 წლის აგვისტოში) «უდავო დამსახურებაზე».

---

* — «სახალხო სახელმწიფო». რ ე დ.

მაგრამ აშკარა შეცდომას ენგელსი არ ტოვებს ისე, რომ დაწვრილებით არ გააარჩიოს. რა თქმა უნდა, ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელ რევოლუციონერებს, აგრეთვე ძალიანაც მხცოვან და ძალიან გამოცდილ წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერებს, მეტისმეტად «სახიფათოდ», გაუგებრად, არასწორად მიაჩნიათ «კომპრომისების ნების დართვა». და ბევრი სოფისტი (არის რა უაღრესად ან ძალიან «გამოცდილი» პოლიტიკანი) მსჯელობს სწორედ ისე, როგორც ამხ. ლენსბერის მიერ მოხსენიებული ოპორტუნიზმის ინგლისელი ბელადები: «თუ ბოლშევიკებს აქვთ ნება დათანხმდნენ ამა და ამ კომპრომისზე, რატომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს ყველა კომპრომისზე დათანხმების ნება?». მაგრამ პროლეტარები, რომლებიც აღზრდილი არიან მრავალ გაფიცვაზე (კლასობრივი ბრძოლის მარტო ეს გამოვლინება რომ ავიღოთ), ჩვეულებრივ საუცხოოდ ითვისებენ ენგელსის მიერ მოყვანილ უღრმეს (ფილოსოფიურ, ისტორიულ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ) ჭეშმარიტებას. თვითეულ პროლეტარს განუცდია გაფიცვა, განუცდია «კომპრომისები» საძულველ მჩაგვრელებთან და ექსპლოატატორებთან, როცა მუშები იძულებული გამხდარან შესდგომოდნენ მუშაობას ისე, რომ ან არავითარი შედეგისთვის არ მიუღწევიათ, ან დათანხმებულან თავიანთი მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე. თვითეული პროლეტარი მასობრივი ბრძოლის და კლასობრივ წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავების იმ ვითარების მეოხებით, რომელშიც ცხოვრობს, ხედავს, რომ ობიექტური პირობების გამო მიღებული კომპრომისი (გაფიცულთა სალარო ღარიბია, გარედან არავინ უჭერს მხარს, ისინი დაიმშნენ და უკიდურესად დაიტანჯნენ), რომელიც ოდნავაც არ ამცირებს ასეთი კომპრომისის დამდები მუშების რევოლუციურ ერთგულებასა და შემდგომი ბრძოლისათვის მზადყოფნას, განსხვავდება გამცემთა კომპრომისისაგან, რომელნიც ობიექტურ მიზეზებს აბრალებენ თავიანთ თავკერძაობას (შტრაიკბრეხერებიც სდებენ «კომპრომისს»!), თავიანთ ლაჩრობას, თავიანთ სურვილს აამონ კაპიტალისტებს, თავიანთ

დამთმობლობას კაპიტალისტების მხრივ დაშინების, ზოგჯერ შეგონების, ზოგჯერ ნასუფრალის მიგდების, ზოგჯერ პირფერობის ზეგავლენით (გამცემთა ასეთ კომპრომისებს განსაკუთრებით ბევრს იძლევა ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორია ინგლისის ტრედ-უნიონების ბელადთა მხრივ, მაგრამ ამა თუ იმ ფორმით ყველა ქვეყნის თითქმის ყველა მუშას უნახავს ანალოგიური მოვლენა).

რა თქმა უნდა, არის ხოლმე ერთეული, განსაკუთრებით ძნელი და რთული შემთხვევები, როცა ძალების მხოლოდ უდიდესი დაძაბვით ხერხდება ამა თუ იმ «კომპრომისის» ნამდვილი ხასიათის სწორად განსაზღვრა, — როგორიც არის ხოლმე მკვლელობის შემთხვევები, როცა ძალიან ძნელია გადაწყვიტო, სავსებით სამართლიანი და აუცილებელი იყო მკვლელობა (მაგალ., აუცილებელი თავდაცვა) თუ მიუტევებელი დაუდევრობა ან თვით ოსტატურად განხორციელებული ვერაგული გეგმა. რა თქმა უნდა, პოლიტიკაში, სადაც ზოგჯერ საქმე ეხება კლასებსა და პარტიებს შორის მეტად რთულ — ნაციონალურ და ინტერნაციონალურ — ურთიერთობას, ძალიან ბევრი შემთხვევა გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე საკითხი გაფიცვის დროს კანონიერი «კომპრომისის» შესახებ ან შტრაიკბრეხერის, მოღალატე ბელადის გამცემლური «კომპრომისის» შესახებ და ა. შ.. ისეთი რეცეპტის ან ისეთი საერთო წესის («არავითარი კომპრომისი»!) შეთხზვა, რომელიც ყველა შემთხვევისათვის გამოდგება, სისულელეა. იმისათვის, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გაერკვე, საკუთარი თავი უნდა გებას. მნიშვნელობა პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული ბელადებისა, რომლებიც ამ წოდების ღირსი არიან, სხვათა შორის, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული კლასის * ყველა მოაზროვნე

---

* ყოველ კლასში, თვით უაღრესად განათლებული ქვეყნის პირობებშიც კი, თვით ყველაზე მოწინავე და მომენტის პირობებით მთელი სულიერი ძალების განსაკუთრებით დიდი აღმავლობის მდგომარეობაში ჩაყენებულ კლასშიც კი, მუდამ არიან და — სანამ კლასები არსებობენ, სანამ

წარმომადგენლის ხანგრძლივი, შეუპოვარი, მრავალფეროვანი, ყოველმხრივი მუშაობით შეიმუშაონ საჭირო ცოდნა, საჭირო გამოცდილება, საჭირო — გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა — პოლიტიკური ალღო, რათა სწრაფად და სწორად გადაჭრან რთული პოლიტიკური საკითხები.

გულუბრყვილო და სრულიად გამოუცდელი ადამიანების წარმოდგენით საკმარისია აღიარო, რომ ს ა ე რ თ ო დ კომპრომისები დასაშვებია, — და წაიშლება ყოველგვარი ზღვარი ოპორტუნიზმსა, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ შეურიგებლად ვიბრძვით და უნდა ვიბრძოლოთ, და რევოლუციურ მარქსიზმსა ანუ კომუნიზმს შორის. მაგრამ ასეთ ადამიანებს, თუ მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ ბუნებაში და საზოგადოებაში ყ ვ ე ლ ა ზღვარი მოძრავია და ერთგვარად პირობითი, ვერაფრით ვერ ვუშველით, გარდა იმისა, რომ ხანგრძლივად ვასწავლოთ, აღვზარდოთ, გავანათლოთ, შევძინოთ პოლიტიკური და ცხოვრების გამოცდილება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველი ცალკეული ან სპეციფიკური ისტორიული მომენტის პოლიტიკის პრაქტიკულ საკითხებში შეგვეძლოს იმ საკითხების გამოყოფა, რომლებშიც თავს იჩენს უმთავრესი სახე დაუშვებელი, გამცემლური კომპრომისებისა, რევოლუციური კლასისათვის დამღუპველი ოპორტუნიზმის განმახორციელებელი კომპრომისებისა, და მთელი ძალ-ღონე მივმართოთ მათი განმარტებისაკენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს თანაბრად ყაჩაღური და მტაცებლური ქვეყნების ორ ჯგუფს შორის, ოპორტუნიზმის ასეთი უმთავრესი, ძირითადი სახე იყო სოციალ-შოვინიზმი, ე. ი. «სამშობლოს დაცვისათვის» მხარდაჭერა, რაც ა ს ე თ ომში ნამდვილად უდრიდა

მთლიანად არ დამკვიდრებულა, არ განმტკიცებულა, თავის საკუთარ საფუძველზე არ განვითარებულა უკლასო საზოგადოება, — აუცილებლად იქნებიან კლასის წარმომადგენლები, რომლებიც ა რ აზროვნებენ და აზროვნების უნარი არ შესწევთ. ეს რომ ასე არ იყოს, კაპიტალიზმი არ იქნებოდა მასების მჩაგვრელი კაპიტალიზმი.

«საკუთარი» ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვას. ომის შემდეგ — მძარცველური «ერთა ლიგის» დაცვა; თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირის დაცვა რევოლუციური პროლეტარიატისა და «საბჭოთა» მოძრაობის წინააღმდეგ; ბურჟუაზიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის დაცვა «საბჭოთა ხელისუფლების» წინააღმდეგ; — ასეთი იყო უმთავრესი გამოვლინებანი იმ დაუშვებელი და გამცემლური კომპრომისებისა, რომლებიც, ერთად აღებულნი, იძლეოდნენ რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი საქმისათვის დამღუპველ ოპორტუნიზმს.

«...გადაჭრით უკუვაგდოთ ყოველგვარი კომპრომისი სხვა პარტიებთან... ყოველგვარი პოლიტიკა მანევრირებისა და შემთანხმებლობისა» —

წერენ გერმანელი მემარცხენეები ფრანკფურტის ბროშურაში.

საკვირველია, რომ ეს მემარცხენეები, რომლებსაც ასეთი შეხედულებანი აქვთ, გადაჭრით არ გმობენ ბოლშევიზმს! ხომ არ შეიძლება არ იცოდნენ გერმანელმა მემარცხენეებმა, რომ ბოლშევიზმის მთელი ისტორია, ოქტომბრის რევოლუციამდეც და მის შემდეგაც, ს ა ვ ს ე ა მანევრირების, შემთანხმებლობის, სხვა პარტიებთან და მათ შორის ბურჟუაზიულ პარტიებთან კომპრომისების შემთხვევებით!

ეწეოდე ომს საერთაშორისო ბურჟუაზიის დამხობისათვის, სახელმწიფოებს შორის ჩვეულებრივი ომებიდან ყველაზე შეუპოვარ ომზე ასჯერ უფრო ძნელ, ხანგრძლივ, რთულ ომს, და ამასთან წინასწარ უარს ამბობდე მანევრირებაზე, მტრებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის (თუნდაც დროებითს) გამოყენებაზე, შემთანხმებლობაზე და შესაძლო (თუნდაც დროებითს, არამტკიცე, მერყევ, პირობითს) მოკავშირეებთან კომპრომისებზე, განა ეს უსაზღვროდ სასაცილო რამ არ არის? განა ეს იმას არა ჰგავს, რომ ჯერ კიდევ გამოუკვლეველ და დღემდე მიუწვდომელ მთაზე ძნელი ასვლის დროს წინასწარ უარი ვთქვათ იმაზე, რომ ზოგჯერ ვიაროთ

მიხვეულ-მოხვეული გზებით, ზოგჯერ დავბრუნდეთ უკან, ხელი ავიღოთ ერთხელ არჩეულ მიმართულებაზე და ვსინჯოთ სხვადასხვა მიმართულებანი? და ესოდენ მცირე შეგნებისა და გამოუცდელი ადამიანებისათვის (კიდევ კარგი, თუ ეს აიხსნება მათი ახალგაზრდობით: ახალგაზრდობას გარკვეული დროის განმავლობაში ეპატიება ასეთი სისულელეების ლაპარაკი) შეეძლო მხარი დაეჭირა — სულერთია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, მთლიანად თუ ნაწილობრივ, — ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ზოგიერთ წევრს!!

პროლეტარიატის პირველი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ერთ ქვეყანაში ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ, ამ ქვეყნის პროლეტარიატი დიდხანს რჩება უფრო სუსტი, ვიდრე ბურჟუაზია, ამ უკანასკნელის უკვე მარტო უდიდესი ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის გამო, ხოლო შემდეგ კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის სტიქიური და მუდმივი აღდგენის, აღორძინების გამო, რასაც ეწევიან იმ ქვეყნის წვრილი საქონელმწარმოებელნი, რომელმაც ბურჟუაზია დაამხო. უფრო მძლავრი მოწინააღმდეგის დამარცხება შეიძლება ძალების მხოლოდ უდიდესი დაძაბვით, ამასთან თუ აუცილებლად, უაღრესად გულდასმით, მზრუნველობით, ფრთხილად, უნარიანად გამოვიყენებთ როგორც ყოველგვარ, თუნდაც სულ ოდნავ, «ბზარს» მტრებს შორის, ინტერესთა ყოველგვარ წინააღმდეგობას სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიას შორის, ცალკეული ქვეყნების შიგნით ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებსა თუ სახეებს შორის, — ისე ყოველგვარ, თუნდაც სულ ოდნავ, შესაძლებლობას შევიძენთ მასობრივი მოკავშირე, თუნდაც დროებითი, მერყეევი, არამტკიცე, არასაიმედო, პირობითი მოკავშირე. ვინც ამას ვერ მიმხვდარა, მას იოტის ოდენაც ვერა გაუგია რა მარქსიზმში და საერთოდ მეცნიერულ, თანამედროვე, სოციალიზმში. ვისაც პრაქტიკულად, საკმაოდ მნიშვნელოვანი დროის მანძილზე და საკმაოდ სხვადასხვა პოლიტიკურ მდგომარეობაში, არ დაუმტკიცებია, რომ უნარი შესწევს საქმით გამოიყენოს ეს ჭეშ-

მარიტება, მას ჯერ კიდევ ვერ უსწავლია, თუ როგორ გაუწიოს დახმარება რევოლუციურ კლასს ექსპლოატატორებისაგან მთელი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. და ნათქვამი თანაბრად შეეხება პერიოდს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების **დაპყრობამდეც** და დაპყრობის **შემდეგაც.**

ჩვენი თეორია დოგმა კი არ არის, არამედ ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — ამბობდნენ მარქსი და ენგელსი [17], და ისეთი «პატენტიანი» მარქსისტების, როგორიც იყვნენ კარლ კაუცკი, ოტო ბაუერი და სხვ., უდიდესი შეცდომა, უდიდესი დანაშაული ის არის, რომ მათ ეს ვერ გაიგეს, ვერ შეძლეს გამოეყენებინათ პროლეტარიატის რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში. «პოლიტიკური მოღვაწეობა ნევის პროსპექტის ტროტუარი როდია» (პეტერბურგის სავსებით სწორი მთავარი ქუჩის სუფთა, ფართო, გლუვი ტროტუარი), ამბობდა ჯერ კიდევ მარქსამდელი პერიოდის დიდი რუსი სოციალისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი [18]. რუსეთის რევოლუციონერებს, ჩერნიშევსკის დროიდან, ამ ჭეშმარიტების უგულებელყოფა თუ დავიწყება აურაცხელ მსხვერპლად დაუჯდათ. აუცილებლად საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მემარცხენე კომუნისტებს და მუშათა კლასის ერთგულ რევოლუციონერებს ი ს ე ძ ვ ი რ ა დ არ დაუჯდეთ ამ ჭეშმარიტების შეთვისება, როგორც ჩამორჩენილ რუსებს.

რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს ცარიზმის დამხობამდე არა ერთხელ უსარგებლიათ ბურჟუაზიული ლიბერალების სამსახურით, ე. ი. დაუდვიათ მათთან მრავალი პრაქტიკული კომპრომისი, ხოლო 1901 — 1902 წლებში, ჯერ კიდევ ბოლშევიზმის წარმოშობამდე, «ისკრის» ძველი რედაქცია (ამ რედაქციაში შევდიოდით: პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, მარტოვი, პოტრესოვი და მე) ფორმალურ პოლიტიკურ კავშირს სდებდა (მართალია, არა დიდი ხნით) სტრუვესთან, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოლიტიკურ ბელადთან, და ამავე დროს ახერხებდა შეუწყვეტლივ

ეწარმოებინა უაღრესად ულმობელი იდეური და პოლიტიკური ბრძოლა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ და მუშათა მოძრაობის შიგნით მისი გავლენის ოდნავ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ბოლშევიკები მუდამ იმავე პოლიტიკას განაგრძობდნენ. 1905 წლიდან ისინი სისტემატურად იცავდნენ მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან ლიბერალური ბურჟუაზიისა და ცარიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს არასოდეს არ ამბობდნენ უარს ცარიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერაზე (მაგალ., არჩევნების მე-2 სტადიაში ან ხელახალი კენჭისყრისას) და არ წყვეტდნენ უაღრესად შეურიგებელ იდეურ და პოლიტიკურ ბრძოლას ბურჟუაზიულ-რევოლუციური გლეხური პარტიის, «სოციალისტ-რევოლუციონერების» წინააღმდეგ, ამხელდნენ მათ, როგორც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, რომლებიც ყალბად მიაკუთვნებდნენ თავს სოციალისტებს. 1907 წელს ბოლშევიკებმა სათათბიროს არჩევნებში ფორმალური პოლიტიკური ბლოკი შეკრეს, მოკლე ხნით, «სოც.-რევოლუციონერებთან». 1903 — 1912 წლებში მენშევიკებთან ჩვენ რამდენიმე წლობით ფორმალურად ვიყავით ერთიან ს.-დ. პარტიაში, ამასთან არასოდეს არ შეგვიწყვეტია იდეური და პოლიტიკური ბრძოლა მათ წინააღმდეგ, როგორც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ომის დროს ჩვენ ერთგვარ კომპრომისს ვდებდით «კაუცკელებთან», მემარცხენე მენშევიკებთან (მარტოვი) და «სოც.-რევოლუციონერთა» ნაწილთან (ჩერნოვი, ნატანსონი), სხდომები გვქონდა მათთან ერთად ციმერვალდში და კინტალში და ვუშვებდით საერთო მანიფესტებს, მაგრამ არასოდეს არ შეგვიწყვეტია და არ შეგვისუსტებია იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა «კაუცკელებთან», მარტოვთან და ჩერნოვთან (ნატანსონი გარდაიცვალა 1919 წელს, იგი ჩვენთან სავსებით დაახლოებული, თითქმის ჩვენი თანამოაზრე «რევოლუციონერი კომუნისტი»-ნაროდნიკი იყო). თვით ოქტომბრის გადატრიალების მომენტში ჩვენ შევკარით არა ფორმალური, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი (და მეტად

წარმატებითი) პოლიტიკური ბლოკი წვრილბურჟუაზიულ გლეხობასთან, მ თ ლ ი ა ნ ა დ, სრულიად უცვლელად, მივიღეთ ე ს ე რ ე ბ ი ს აგრარული პროგრამა, ე. ი. უეჭველი კომპრომისი დავდეთ, რათა გლეხებისათვის დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ გვსურს არა უფროსობა მათ მიმართ, არამედ მათთან შეთანხმება. იმავე დროს ჩვენ შევთავაზეთ (და მალე განვახორციელეთ) ფორმალური პოლიტიკური ბლოკი, მთავრობაში მათი მონაწილეობით, «მემარცხენე ესერებს», რომლებმაც ბრესტის ზავის დადების შემდეგ დაარღვიეს ეს ბლოკი ჩვენთან, მერმე 1918 წლის ივლისში დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება ჩვენს წინააღმდეგ და შემდეგ — შეიარაღებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ.

ამიტომ გასაგებია, რომ გერმანელ მემარცხენეთა გალაშქრება გერმანიის კომუნისტთა პარტიის ცეკას წინააღმდეგ «დამოუკიდებლებთან» («გერმანიის დამოუკიდ. ს.-დ. პარტია», კაუცკელები) ბლოკის განზრახვისათვის, ჩვენი აზრით, სრულიად არასერიოზულია და ცხადყოფს, რომ «მემარცხენეები» მ ა რ თ ა ლ ი ა რ ა რ ი ა ნ. რუსეთშიც იყვნენ მემარჯვენე მენშევიკები (შედიოდნენ კერენსკის მთავრობაში), რომლებიც გერმანელ შეიდემანებს შეესაბამებოდნენ, და მემარცხენე მენშევიკებიც (მარტოვი), რომლებიც ოპოზიციაში ედგნენ მემარჯვენე მენშევიკებს და შეესაბამებოდნენ გერმანელ კაუცკელებს. მენშევიკებიდან ბოლშევიკების მხარეზე მუშათა მასების თანდათან გადასვლას ნათლად ვხედავდით 1917 წელს: საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე, 1917 წ. ივნისში ჩვენ მხარეზე იყო სულ 13%. უმრავლესობა ესერებსა და მენშევიკებს უჭერდა მხარს. საბჭოების მეორე ყრილობაზე (25. X. 1917 ძვ. სტ.) ჩვენ გვქონდა ხმების 51%. რატომ იყო, რომ გერმანიაში მუშების ა ს ე თ ს ა ვ ე, სავსებით ა მ გ ვ ა რ მისწრაფებას მარჯვნიდან მარცხნისაკენ შედეგად მოჰყვა არა ერთბაშად კომუნისტების გაძლიერება, არამედ გაძლიერება ჯერ «დამოუკიდებელთა» შუალედი პარტიისა, თუმცა არავითარი დამოუკიდებელი პოლიტიკური იდეები, არავითარი დამოუკიდებელი პოლიტიკა ამ პარტიას არასოდეს

არა ჰქონია, არამედ მხოლოდ მერყეობდა შეიდემანებსა და კომუნისტებს შუა?

ცხადია, ერთ-ერთი მიზეზი იყო მ ც დ ა რ ი ტაქტიკა გერმანელი კომუნისტებისა, რომლებმაც უშიშრად და პატიოსნად უნდა აღიარონ ეს შეცდომა და ისწავლონ მისი გამოსწორება. შეცდომა ის იყო, რომ ისინი უარყოფდნენ რეაქციულ, ბურჟუაზიულ, პარლამენტში და რეაქციულ პროფკავშირებში მონაწილეობას; შეცდომა იყო იმ «მემარცხენე» საყმაწვილო სენის მრავალი გამოვლინება, რომელიც ახლა ცხადი გახდა და მით უფრო უკეთ, მით უფრო მალე, ორგანიზმისათვის მით უფრო მეტი სარგებლობით იქნება განკურნებული.

გერმანიის «დამოუკიდებელი ს.-დ. პარტია» აშკარად არაერთგვაროვანია შიგნით: ძველი ოპორტუნისტი ბელადების გვერდით (კაუცკი, ჰილფერდინგი, მნიშვნელოვანწილად, ეტყობა, კრისპინი, ლედებური და სხვ.), რომლებმაც დაამტკიცეს, რომ უნარი არ შესწევთ გაიგონ საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა, უნარი არ შესწევთ უხელმძღვანელონ მის რევოლუციურ ბრძოლას, ამ პარტიაში შეიქმნა და შესანიშნავი სისწრაფით იზრდება მემარცხენე, პროლეტარული ფრთა. ამ პარტიის (რომელშიც, ვგონებ, ¾ მილიონამდე წევრია) ასეულ ათასობით წევრი პროლეტარებია, რომლებიც შეიდემანს შორდებიან და სწრაფად მიდიან კომუნიზმისაკენ. ამ პროლეტარულმა ფრთამ დამოუკიდებელთა ლაიპციგის (1919) ყრილობაზე უკვე წამოაყენა წინადადება III ინტერნაციონალთან დაუყოვნებლივ და უთუოდ შეერთების შესახებ. პარტიის ამ ფრთასთან «კომპრომისის» შიში პირდაპირ სასაცილოა. პირიქით, კომუნისტებმა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა ეძებონ და გ ა მ ო ნ ა ხ ო ნ მათთან კომპრომისის შესაფერი ფორმა, ისეთი კომპრომისისა, რომელიც, ერთი მხრივ, გააადვილებდა და დააჩქარებდა ამ ფრთასთან საჭირო სრულ შეერთებას, ხოლო მეორე მხრივ, არაფრით არ შეზღუდავდა კომუნისტებს მათს იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში «დამოუკიდებელთა» ოპორტუნისტული მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ. ალბათ,

კომპრომისის შესაფერი ფორმის შემუშავება იოლი როდი იქნება, მაგრამ მხოლოდ შარლატანი თუ დაჰპირდებოდა გერმანელ მუშებსა და გერმანელ კომუნისტებს გამარჯვების «იოლ» გზას.

კაპიტალიზმი კაპიტალიზმი არ იქნებოდა, «წმინდა» პროლეტარიატი გარემოცული რომ არ იყოს უამრავი უაღრესად ჭრელი გარდამავალი ტიპებით — პროლეტარიდან ნახევრადპროლეტარამდე (ვინც საარსებო საშუალებებს სანახევროდ შოულობს სამუშაო ძალის გაყიდვით), ნახევრადპროლეტარიდან წვრილ გლეხამდე (და წვრილ ხელოსნამდე, შინამრეწველამდე, საერთოდ წვრილ მეპატრონემდე), წვრილი გლეხიდან საშუალომდე და ა. შ.; — თვით პროლეტარიატის შიგნით რომ არ იყოს დაყოფა მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ ფენებად, დაყოფა სათვისტომო, პროფესიულ, ზოგჯერ რელიგიურ ფენებად და სხვ.. ხოლო ყოველივე აქედან პროლეტარიატის ავანგარდისათვის, მისი შეგნებული ნაწილისათვის, კომუნისტური პარტიისათვის აბსოლუტური აუცილებლობით გამომდინარეობს აუცილებლობა — და უთუო აუცილებლობა — მიმართოს მანევრირებას, შემთანხმებლობას, კომპრომისებს პროლეტართა სხვადასხვა ჯგუფებთან, მუშათა და წვრილ მეპატრონეთა სხვადასხვა პარტიებთან. მთელი საქმე ის არის, რომ შ ე გ ვ ე ძ ლ ო ს გამოვიყენოთ ეს ტაქტიკა იმ მიზნით, რომ დაბლა კი არ დავწიოთ, არამედ ა ვ ა მ ა ღ ლ ო თ პროლეტარული შეგნებულობის, რევოლუციურობის, ბრძოლისა და გამარჯვების უნარის ს ა ე რ თ ო დონე. უნდა შევნიშნოთ, სხვათა შორის, რომ ბოლშევიკების გამარჯვება მენშევიკებზე მოითხოვდა არა მარტო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე, ა რ ა მ ე დ მ ი ს შ ე მ დ ე გ ა ც, მანევრირების, შემთანხმებლობის, კომპრომისების ტაქტიკის გამოყენებას, ცხადია, ისეთისა და ისეთებისას, რომელიც აადგილებდა, აჩქარებდა, განამტკიცებდა, აძლიერებდა ბოლშევიკებს მენშევიკების ხარჯზე. წვრილბურჟუაზიული დემოკრატები (ხოლო მათ შორის მენშევიკებიც) გარდუვალად

მერყეობენ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და საბჭოთა წყობილებას შორის, რეფორმიზმსა და რევოლუციურობას შორის, მუშებისადმი სიყვარულსა და პროლეტარული დიქტატურისადმი შიშს შორის და ა. შ.. კომუნისტების სწორი ტაქტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გამოიყენონ ეს მერყეობა, და სრულებითაც არა იმაში, რომ უგულებელყონ იგი; გამოყენება მოითხოვს დათმობებს იმ ელემენტებისადმი, მაშინ და იმდენად, რომლებიც, როცა და რამდენადაც პირს იბრუნებენ პროლეტარიატისაკენ — იმათ წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, რომელნიც პირს იბრუნებენ ბურჟუაზიისაკენ. ჩვენ მიერ სწორი ტაქტიკის გამოყენების შედეგად მენშევიზმი სულ უფრო ირღვეოდა და ირღვევა, ხდება ჯიუტი ოპორტუნისტი ბელადების იზოლაცია და ჩვენს ბანაკში გადმოდიან საუკეთესო მუშები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის საუკეთესო ელემენტები. ეს ხანგრძლივი პროცესია, და ნაჩქარევი «გადაწყვეტილებით»: «არავითარი კომპრომისი, არავითარი მანევრირება» შეიძლება მხოლოდ ზიანი მიაყენო რევოლუციური პროლეტარიატის გავლენის გაძლიერებისა და მისი ძალების გადიდების საქმეს.

დასასრულ, გერმანიაში «მემარცხენეთა» ერთ-ერთი უეჭველი შეცდომაა ის, რომ ისინი პირდაპირ დაჟინებით მოითხოვენ არ ვიცნოთ ვერსალის ზავი. რაც უფრო «სოლიდურად» და «დარბაისლურად», რაც უფრო «გადაჭრით» და უაპელაციოდ აყალიბებს ამ შეხედულებას, მაგალითად, კ. ჰორნერი, მით უფრო ნაკლებად ჭკვიანური გამოდის ეს. საკმარისი არ არის უარყო აშკარა უაზრობა «ნაციონალური ბოლშევიზმისა» (ლაუფენბერგისა და სხვ.), რომელიც იქამდე მივიდა, რომ საჭიროდ თვლის ბლოკს გერმანიის ბურჟუაზიასთან ანტანტის წინააღმდეგ ომისათვის, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის თანამედროვე პირობებში. საჭიროა გავიგოთ, რომ ძირიანად მცდარია ტაქტიკა, რომელიც დაუშვებლად თვლის იმას, რომ საბჭოთა გერმანიისათვის (გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკა მალე რომ წარმოიშვას)

საკალდებულო იქნება ერთ ხანს ცნოს ვერსალის ზავი და დაემორჩილოს მას. აქედან როდი გამომდინარეობს, რომ «დამოუკიდებლები» მართალი იყვნენ, აყენებდნენ რა, როცა მთავრობაში შეიდემანები ისხდნენ, როცა ჯერ კიდევ დამხობილი არ იყო საბჭოთა ხელისუფლება უნგრეთში, როცა ჯერ კიდევ გამორიცხული არ იყო იმის შესაძლებლობა, რომ ვენის საბჭოთა რევოლუცია მიეშველებოდა საბჭოთა უნგრეთს, — აყენებდნენ რა მ ა შ ი ნ დ ე ლ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ვერსალის ზავზე ხელმოწერის მოთხოვნას. მაშინ «დამოუკიდებლები» ძალიან ცუდად ეწეოდნენ ლავირებას და მანევრირებას, ვინაიდან თვითონ კისრულობდნენ მეტ თუ ნაკლებ პასუხისმგებლობას გამცემ შეიდემანებისათვის, მეტად თუ ნაკლებად ეშვებოდნენ შეიდემანების წინააღმდეგ ულმობელი (და დაუნდობელი) კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისიდან «უკლასო» ან «ზეკლასობრივ» თვალსაზრისზე.

მაგრამ ახლა მდგომარეობა აშკარად ისეთია, რომ გერმანიის კომუნისტებმა ხელ-ფეხი არ უნდა შეიბოჭონ და არ უნდა აღუთქვან ხალხს, რომ აუცილებლად და უსათუოდ უარყოფენ ვერსალის ზავს კომუნიზმის გამარჯვების შემთხვევაში. ეს სისულელეა. უნდა თქვან: შეიდემანებმა და კაუცკელებმა ჩაიდინეს მთელი რიგი გამცემლობანი, რომლებმაც გააძნელეს (ნაწილობრივ: პირდაპირ დაღუპეს) საბჭოთა რუსეთთან, საბჭოთა უნგრეთთან კავშირის საქმე. ჩვენ, კომუნისტები, ყველა საშუალებით გ ა ვ ა ა დ ვ ი ლ ე ბ თ და მ ო ვ ა მ ზ ა დ ე ბ თ ასეთ კავშირს, ამასთან ჩვენ სრულებითაც არა ვართ ვალდებულნი აუცილებლად და თანაც დაუყოვნებლივ უარვყოთ ვერსალის ზავი. ამ ზავის წარმატებით უარყოფის შესაძლებლობა დამოკიდებულია საბჭოთა მოძრაობის წარმატებებზე არა მარტო გერმანიაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ამ მოძრაობას შეიდემანები და კაუცკელები ხელს უშლიდნენ, ჩვენ მას ვეხმარებით. აი რაშია საქმის არსი, აი რაშია ძირეული განსხვავება. და თუ ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა, ექსპლოატატორებმა, მათმა ლაქიებმა, შეიდემანებმა და კაუცკელებმა, ხელიდან გაუშვეს

როგორც გერმანიაში, ისე საერთაშორისო მასშტაბით საბჭოთა მოძრაობის გაძლიერების შესაძლებლობანი, როგორც გერმანიაში, ისე საერთაშორისო მასშტაბით საბჭოთა რევოლუციის გაძლიერების მთელი რიგი შესაძლებლობანი, ამისათვის მათ ედებათ ბრალი. გერმანიის საბჭოთა რევოლუცია გააძლიერებს საერთაშორისო საბჭოთა მოძრაობას, რომელიც არის უძლიერესი დასაყრდენი (და ერთადერთი საიმედო, უძლეველი, საქვეყნოდ-ძლიერი დასაყრდენი) ვერსალის ზავის წინააღმდეგ, საერთოდ საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ვერსალის ზავისაგან განთავისუფლების აუცილებლად, უსათუოდ და დაუყოვნებლივ პირველ ადგილზე დაყენება იმ საკითხის წინ, რომ იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული სხვა ქვეყნები განთავისუფლებულ იქნან იმპერიალიზმის უღლისაგან, მეშჩანური ნაციონალიზმია (რომელიც შეეფერება კაუცკეებს, ჰილფერდინგებს, ოტო ბაუერებსა და კომპანიას), და არა რევოლუციური ინტერნაციონალიზმი. ბურჟუაზიის დამხობა ევროპის რომელიც უნდა იყოს დიდ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაშიც, საერთაშორისო რევოლუციის ისეთი პლუსია, რომ მისი გულისათვის შეიძლება შევურიგდეთ და უნდა შევურიგდეთ — თუ ეს საჭირო იქნება — ვერსალის ზავის უფრო ხანგრძლივ არსებობას. თუ მარტო რუსეთმა გაუძლო, რევოლუციისათვის სასარგებლოდ, ბრესტის ზავის რამდენიმე თვის არსებობას, არაფერი არ არის შეუძლებელი იმაში, რომ საბჭოთა გერმანია, საბჭოთა რუსეთთან კავშირში, რევოლუციისათვის სასარგებლოდ გაუძლებს ვერსალის ზავის უფრო დიდხანს არსებობას.

საფრანგეთის, ინგლისის და სხვ. იმპერიალისტები პროვოკაციას უწყობენ გერმანელ კომუნისტებს, მახეს უგებენ მათ: «თქვით, რომ ვერსალის ზავს ხელს არ მოაწერთო». მემარცხენე კომუნისტები კი ბავშვებივით ებმებიან მათთვის დაგებულ მახეში, ნაცვლად იმისა, რომ მარჯვე მანევრებს აკეთებდნენ ვერაგი და ამჟამად უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ნაცვლად იმისა, რომ უთხრან მას: «ახლა ჩვენ

ვერსალის ზავს ხელს მოვაწერთ». წინასწარ შევიბოჭოთ ხელ-ფეხი, აშკარად ვუთხრათ მტერს, რომელიც ახლა ჩვენზე უკეთ არის შეიარაღებული, ვიომებთ თუ არა მის წინააღმდეგ და როდის, სისულელეა, და არა რევოლუციონერობა. ბრძოლის მიღება, როცა ეს აშკარად ხელსაყრელია მტრისათვის, და არა ჩვენთვის, დანაშაულია, და ყოვლად უვარგისი არიან რევოლუციური კლასის ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც ვერ მოახერხებენ მოაწყონ «მანევრირება, შემთანხმებლობა, კომპრომისები», რათა თავი აარიდონ აშკარად არახელსაყრელ შებრძოლებას.

IX

«მემარცხენე» კომუნიზმი ინგლისში

ინგლისში ჯერ კიდევ არ არის კომუნისტური პარტია, მაგრამ არის ახალგაზრდა, ფართო, ძლიერი, სწრაფად მზარდი, საუკეთესო იმედების მომცემი კომუნისტური მოძრაობა მუშათა შორის; არის რამდენიმე პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია («ბრიტანეთის სოციალისტური პარტია» [19], «სოციალისტური მუშათა პარტია», «სამხრეთ უელსის სოციალისტური საზოგადოება», «მუშათა სოციალისტური ფედერაცია» [20]), რომლებსაც სურთ შექმნან კომუნისტური პარტია და უკვე აწარმოებენ ამის შესახებ მოლაპარაკებას ერთმანეთს შორის. გაზეთ «მუშათა დრედნოუტში» (ტომი VI, № 48, 21. II. 1920), დასახელებულ ორგანიზაციათაგან უკანასკნელის ყოველკვირეულ ორგანოში, რომელსაც ამხ. სილვია პანკჰერსტი რედაქტორობს, მოთავსებულია მისი სტატია: «კომუნისტური პარტიისაკენ». სტატია გადმოგვცემს, თუ როგორ მიმდინარეობს ოთხ დასახელებულ ორგანიზაციას შორის მოლაპარაკება ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნის შესახებ იმ საფუძველზე, რომ შეუერთდნენ III ინტერნაციონალს, პარლამენტარიზმის ნაცვლად

აღიარონ საბჭოთა სისტემა და პროლეტარიატის დიქტატურა. თურმე, ერთიანი კომუნისტური პარტიის დაუყოვნებლივ შექმნის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ყოფილა უთანხმოება იმ საკითხში, მონაწილეობა მიიღოს თუ არა ახალმა კომუნისტურმა პარტიამ პარლამენტში და შეუერთდეს თუ არა იგი ძველ, პროფესიონალისტურ, უმთავრესად ტრედ-უნიონებისაგან შემდგარ, ოპორტუნისტულ და სოციალ-შოვინისტურ «მუშათა პარტიას». «მუშათა სოციალისტური ფედერაცია» — ისევე როგორც «სოციალისტური მუშათა პარტია»* — წინააღმდეგი არიან მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის არჩევნებში და პარლამენტში, წინააღმდეგი არიან «მუშათა პარტიასთან» შეერთებისა და ამ მხრივ უთანხმოება აქვთ ბრიტ. სოც. პარტიის ყველა წევრთან ან წევრთა უმრავლესობასთან; ბრიტ. სოც. პარტია, მათს თვალში, წარმოადგენს «კომუნისტური პარტიების მემარჯვენე ფრთას» ინგლისში (გვ. 5, სილვია პანკჰერსტის დასახელებული სტატია).

ამრიგად, გამოდის, რომ ძირითადი დაყოფა იგივეა, რაც გერმანიაში, — მიუხედავად უდიდესი განსხვავებისა უთანხმოების გამოვლინების ფორმისა (გერმანიაში ეს ფორმა გაცილებით უფრო ახლოა «რუსულთან», ვიდრე ინგლისში) და მთელ რიგ სხვა გარემოებათა მხრივ. მაშ ვნახოთ «მემარცხენეთა» საბუთები.

პარლამენტში მონაწილეობის საკითხში ამხ. სილვია პანკჰერსტი იმოწმებს იმავე ნომერში მოთავსებულ ამხ. ვ. გალახერის (W. Gallacher) სტატიას, რომელიც წერს გლაზგოს «შოტლანდიის მუშათა საბჭოს» სახელით:

«ეს საბჭო — წერს იგი — გარკვევით ანტიპარლამენტარისტულია და მის უკან დგას სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის მემარცხენე ფრთა. ჩვენ წარმოვადგენთ შოტლანდიის რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც

* ვგონებ, ეს პარტია წინააღმდეგია «მუშ. პარტიასთან» შეერთებისა, მაგრამ მთელი პარტია როდია წინააღმდეგი პარლამენტში მონაწილეობისა.

მიისწრაფვის იქითკენ, რომ შეიქმნას რევოლუციური ორგანიზაცია წარმოებებში (წარმოების სხვადასხვა დარგში) და სოციალურ კომიტეტებზე დამყარებული კომუნისტური პარტია მთელ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ დიდხანს გვქონდა ჩხუბი ოფიციალურ პარლამენტარებთან. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნდა აშკარა ომი გამოგვეცხადებინა მათთვის, მათ კი ე შ ი ნ ი ა თ იერიში დაიწყონ ჩვენს წინააღმდეგ.

მაგრამ საქმის ასეთი ვითარება არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ მთელ ხაზზე ვიმარჯვებთ.

შოტლანდიის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მასობრივ წევრებს სულ უფრო და უფრო ჰგვრის ზიზღს პარლამენტზე ფიქრი, და თითქმის ყველა ადგილობრივი ჯგუფი საბჭოების (ნახმარია რუსული სიტყვა «სოვეტი» ინგლისური ტრანსკრიპციით) ან მუშათა საბჭოების მომხრეა. ცხადია, ამას ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმ ვაჟბატონებისათვის, რომლებიც პოლიტიკას უყურებენ როგორც არსებობის წყაროს (როგორც პროფესიას), და ისინი ყველა და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ დაარწმუნონ თავიანთი წევრები დაბრუნდნენ უკან — პარლამენტარიზმის წიაღში. რევოლუციონერმა ამხანაგებმა მხარი ა რ უ ნ დ ა (ხაზგასმა ყველგან ავტორისაა) დაუჭირონ ამ ბანდას. ჩვენი ბრძოლა აქ ძალიან ძნელი იქნება. მისი ერთ-ერთი ყველაზე უარესი ნიშანი იქნება იმათი ღალატი, ვისაც პირადი ინტერესები უფრო ძლიერ ამოძრავებს, ვიდრე რევოლუციის ინტერესი. პარლამენტარიზმის ყოველგვარი მხარდაჭერა მხოლოდ იმისათვის არის ხელშეწყობა, რომ ძალაუფლება ხელში ჩაუვარდეთ ჩვენს ბრიტანელ შეიდემანებსა და ნოსკეებს. ჰენდერსონი, კლაინსი (Clynes) და კომპანია გამოუსწორებელი რეაქციონერები არიან. ოფიციალური დამოუკიდ. მუშ. პარტია სულ უფრო უვარდება ხელში ბურჟუაზიულ ლიბერალებს, რომლებმაც სულიერი თავშესაფარი ჰპოვეს ბატონების მაკდონალდის, სნოუდენისა და კომპანიის ბანაკში. ოფიციალური დამოუკიდ. მუშ. პარტია III ინტერნაციონალის სასტიკი მტერია, მასა კი ამ ინტერნაციონალის მომხრეა. პარლამენტარ-ოპორტუნისტებისათვის რაიმე საშუალებით მხარდაჭერა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ ხელს უწყობდე ზემოხსენებულ ვაჟბატონებს. ბრიტ. სოც. პარტიას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... აქ საჭიროა ჯანსაღი რევოლუციური საწარმოო (ინდუსტრიული) ორგანიზაცია და ნათელი, ზუსტად განსაზღვრული, მეცნიერული საფუძვლების თანახმად მოქმედი კომუნისტური პარტია. თუ ჩვენს ამხანაგებს შეუძლიათ დაგვეხმარონ როგორც ერთის, ისე მეორის შექმნაში, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ მათს დახმარებას; თუ არ შეუძლიათ, — დაე, ღვთის გულისათვის, სრულებით ნუ ჩაერევიან საქმეში, თუ არ სურთ გასცენ რევოლუცია იმ რეაქციონერებისათვის მხარის დაჭერით, რომლებიც ესოდენ გულმოდგინედ ცდილობენ მოიპოვონ პარლამენტური

«საპატიო» (? — კითხვის ნიშანი ავტორისაა) წოდება და რომლებსაც უაღრესად სწადიათ დაამტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ მართონ ისევე წარმატებით, როგორც თვით «მეპატრონეებს», კლასობრივ პოლიტიკოსებს».

ეს წერილი რედაქციისადმი, ჩემი აზრით, საუცხოოდ გამოხატავს ახალგაზრდა კომუნისტების ან იმ რიგითი მუშების განწყობილებას და თვალსაზრისს, რომლებიც ეს არის ახლა ადგებიან კომუნიზმის გზას. ეს განწყობილება უაღრესად სასიხარულო და ძვირფასია; უნდა შეგვეძლოს მისი დაფასება და მხარდაჭერა, ვინაიდან უამისოდ პროლეტარიატის რევოლუციის გამარჯვება ინგლისში — და ყოველ სხვა ქვეყანაშიც — უიმედო საქმე იქნებოდა. იმ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ მასების ასეთი განწყობილება, შეუძლიათ გამოიწვიონ მასებში ასეთი განწყობილება (ძალიან ხშირად მთვლემარე, შეუგნებელი, გაუღვიძებელი), უნდა გავუფრთხილდეთ და მზრუნველობით გავუწიოთ ყოველნაირი დახმარება. მაგრამ ამავე დროს პირდაპირ, გულახდილად უნდა ვეუბნებოდეთ მათ, რომ მარტოოდენ განწყობილება არ კმარა დიად რევოლუციურ ბრძოლაში მასებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, და რომ ასეთი და ასეთი შეცდომები, რომელთა ჩადენასაც აპირებენ ან სჩადიან რევოლუციის საქმისადმი უაღრესად ერთგული ადამიანები, ისეთი შეცდომებია, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ რევოლუციის საქმეს. ამხ. გალახერის წერილი რედაქციისადმი უეჭველად გვიჩვენებს ყველა იმ შეცდომის ჩანასახებს, რომლებსაც გერმანელი «მემარცხენე» კომუნისტები სჩადიან და რომლებსაც რუსეთის «მემარცხენე» ბოლშევიკები სჩადიოდნენ 1908 და 1918 წლებში.

წერილის ავტორი გამსჭვალულია უაღრესად კეთილშობილური პროლეტარული სიძულვილით (რომელიც, ამავე დროს, გასაგები და მახლობელია არა მარტო პროლეტარებისათვის, არამედ ყველა მშრომელისთვისაც, ყველა «პატარა ადამიანისათვის», გერმანული გამოთქმა რომ ვიხმაროთ) ბურჟუაზიული «კლასობრივი პოლიტიკოსებისადმი». ჩაგრული

და ექსპლოატირებული მასების წარმომადგენლის ეს სიძულვილი ჭეშმარიტად «ყოველი სიბრძნის სათავეა», ყოველი სოციალისტური და კომუნისტური მოძრაობისა და მისი წარმატებების საფუძველია. მაგრამ ავტორი, ეტყობა, ვერ ითვალისწინებს იმას, რომ პოლიტიკა არის მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც ციდან როდი ვარდება, მუქთად როდი შეიძინება, და რომ პროლეტარიატმა, თუ მას სურს დაამარცხოს ბურჟუაზია, უნდა გამოზარდოს თ ა ვ ი ს ი, პროლეტარული, «კლასობრივი პოლიტიკოსები», თანაც ისეთები, რომ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს არ ჩამოუვარდებოდნენ.

წერილის ავტორს ჩინებულად გაუგია, რომ არა პარლამენტი, არამედ მხოლოდ მუშათა საბჭოები შეიძლება იყვნენ პროლეტარიატის მიზნების მიღწევის იარაღი, და, რა თქმა უნდა, ის, ვისაც ეს დღემდე ვერ შეუგნია, უბოროტესი რეაქციონერია, თუნდაც რომ ყველაზე სწავლული ადამიანი, ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსი, ყველაზე გულწრფელი სოციალისტი, ყველაზე ნაკითხი მარქსისტი, ყველაზე პატიოსანი მოქალაქე და მეოჯახე იყოს, მაგრამ წერილის ავტორი არც კი სვამს იმ საკითხს, აზრადაც არ მოსდის იმ საკითხის დასმის აუცილებლობა, შეიძლება თუ არა მიიყვანო საბჭოები პარლამენტზე გამარჯვებამდე, თუ «საბჭოთა» პოლიტიკოსები შ ი გ პარლამენტში არ შეიყვანე? თუ პარლამენტარიზმი შ ი გ ნ ი დ ა ნ არ გახრწნი? თუ პარლამენტის შიგნიდან არ მოამზადე საბჭოების წარმატება პარლამენტის გარეკვის მომავალი ამოცანის შესასრულებლად? ხოლო ამავე დროს წერილის ავტორი გამოთქვამს სავსებით სწორ აზრს, რომ კომუნისტური პარტია ინგლისში მ ე ც ნ ი ე რ უ ლ საფუძვლებზე უნდა მოქმედებდესო. მეცნიერება მოითხოვს, ჯერ-ერთი, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ სხვა, აგრეთვე კაპიტალისტური, ქვეყნები ფრიად მსგავს მდგომარეობას განიცდიან ან ცოტა ხნის წინათ განიცდიდნენ. მეორე, მოცემული ქვეყნის შიგნით მოქმედი ყ ვ ე ლ ა ძალის, ჯგუფის, პარტიის,

კლასის, მასის გათვალისწინებას და სრულებითაც არა იმას, რომ პოლიტიკა განისაზღვროს მარტო ერთი ჯგუფის ან პარტიის მხოლოდ სურვილების ან შეხედულებების, შეგნების დონის და ბრძოლისათვის მზადყოფნის საფუძველზე.

ჰენდერსონები, კლაინსები, მაკდონალდები, სნოუდენები გამოუსწორებელი რეაქციონერები რომ არიან, ეს მართალია. ასევე მართალია ისიც, რომ მათ სურთ თავიანთ ხელში აიღონ ძალაუფლება (თუმცა ურჩევნიათ ბურჟუაზიასთან კოალიცია), რომ მათ სურთ იმავე ძველისძველი ბურჟუაზიული წესებით «მართონ», რომ, როცა ხელისუფლების სათავეში იქნებიან, ისინი აუცილებლად შეიდემანებისა და ნოსკეების მსგავსად მოიქცევიან. ყოველივე ეს ასეა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ მათთვის მხარდაჭერა რევოლუციის ღალატია, არამედ ის, რომ რევოლუციის ინტერესებისათვის მუშათა კლასის რევოლუციონერებმა ამ ვაჟბატონებს ერთგვარი პარლამენტური მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ. ამ აზრის განსამარტებლად ავიღებ ორ თანამედროვე ინგლისურ პოლიტიკურ დოკუმენტს: 1) პრემიერ ლოიდ-ჯორჯის 1920 წ. 18. III-ის სიტყვას (1920 წ. 19. III-ის «The Manchester Guardian *-ის გადმოცემით) და 2) «მემარცხენე» კომუნისტის, ამხ. სილვია პანკჰერსტის, მსჯელობას მის ზემოაღნიშნულ სტატიაში.

ლოიდ-ჯორჯი თავის სიტყვაში ეკამათებოდა ასკვიტს (რომელიც სპეციალურად იყო მიწვეული კრებაზე, მაგრამ უარი თქვა მისვლაზე) და იმ ლიბერალებს, რომელთაც სურთ არა კონსერვატორებთან კოალიცია, არამედ მუშათა პარტიასთან დაახლოება. (ამხ. გალახერის წერილშიც რედაქციისადმი ჩვენ ვნახეთ მითითება იმ ფაქტზე, რომ ლიბერალები დამოუკიდ. მუშ. პარტიაში გადადიან.) ლოიდ-ჯორჯი ამტკიცებდა, რომ საჭიროა ლიბერალების კოალიცია კონსერვატორებთან და თანაც მ ჭ ი დ რ ო კოალიცია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაიმარჯვოს მუშათა პარტიამ,

* — «მანჩესტერის დარაჯი». რ ე დ.

რომელსაც ლოიდ-ჯორჯი «ამჯობინებს უწოდოს» სოციალისტური და რომელიც წარმოების საშუალებათა «კოლექტიური საკუთრებისაკენ» მიისწრაფვისო. «საფრანგეთში ამას კომუნიზმი ეწოდებოდა» — პოპულარულად განუმარტა ინგლისის ბურჟუაზიის ბელადმა თავის მსმენელებს, პარლამენტური ლიბერალური პარტიის წევრებს, რომლებმაც, ალბათ, დღემდე არ იცოდნენ ეს, — «გერმანიაში ამას სოციალიზმი ეწოდებოდა; რუსეთში ამას ბოლშევიზმი ეწოდება». ლიბერალებისათვის ეს პრინციპულად მიუღებელია, განმარტავდა ლოიდ-ჯორჯი, ვინაიდან ლიბერალები პრინციპულად კერძო საკუთრების მომხრენი არიანო. «ცივილიზაცია საფრთხეშია», აცხადებდა ორატორი, და ამიტომ ლიბერალები და კონსერვატორები უნდა გაერთიანდნენო...

«...თუ სამიწათმოქმედო ოლქებში წახვალთ, — ამბობდა ლოიდ-ჯორჯი, — თანახმა ვარ, რომ თქვენ იქ ნახავთ უწინდებურ პარტიულ დაყოფას, რაც ძველებურად არის დარჩენილი. იქ საფრთხე შორსაა. იქ საფრთხე არ არის. მაგრამ როცა საქმე მივა სასოფლო ოლქებამდე, საფრთხე იქ ისევე დიდი იქნება, როგორც დიდია იგი ახლა ზოგიერთ სამრეწველო ოლქში. ჩვენი ქვეყნის ოთხი მეხუთედი ნაწილი მრეწველობასა და ვაჭრობას უჭირავს, მაშინ როცა ერთი მეხუთედი თუ უჭირავს მიწათმოქმედებას. ეს ერთ-ერთი გარემოებაა, რომელიც მუდამ მხედველობაში მაქვს, როცა ვფიქრობ იმ საფრთხეზე, რასაც მომავალი გვიქადის. საფრანგეთში მიწათმოქმედი მოსახლეობაა, და იქ არსებობს გარკვეულ შეხედულებათა სოლიდური ბაზა, რომელიც ძალიან სწრაფად როდი იცვლება და რომელსაც ძალიან იოლად როდი აღაგზნებენ რევოლუციური მოძრაობით. ჩვენს ქვეყანაში სხვა ვითარებაა. ჩვენი ქვეყნის წაქცევა უფრო ადვილია, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყნისა, და თუ მან რყევა დაიწყო, აქ კრახი აღნიშნული მიზეზების გამო უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე სხვა ქვეყნებში».

აქედან მკითხველი ხედავს, რომ ბ-ნი ლოიდ-ჯორჯი არა მარტო ძალიან ჭკვიანი კაცია, არამედ მას ბევრი რამეც უსწავლია მარქსისტებისაგან. ცოდვა როდი იქნება, რომ ჩვენც ვისწავლოთ ლოიდ-ჯორჯისაგან.

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს შემდეგი ეპიზოდი დისკუსიიდან, რომელიც ლოიდ-ჯორჯის სიტყვის შემდეგ გაიმართა:

«ვ. ვოლესი (Wallace): მინდა ვიკითხო, როგორ უყურებს პრემიერ-მინისტრი იმას, თუ რა შედეგი ექნება მის პოლიტიკას სამრეწველო ოლქებში მრეწველობის მუშების მიმართ, რომელთაგან ძალიან ბევრი ამჟამად ლიბერალია და რომლებიც ჩვენ ესოდენ დიდად გვიჭერენ მხარს. ამის შესაძლებელი შედეგი ის ხომ არ იქნება, რომ დიდად გაიზრდება მუშათა პარტიის ძალა იმ მუშების ხარჯზე, რომლებიც ამჟამად ჩვენი გულწრფელი დამხმარენი არიან?

პრემიერ-მინისტრი: მე სულ სხვა შეხედულებისა ვარ. ის ფაქტი, რომ ლიბერალები ერთმანეთს შორის იბრძვიან, უეჭველია, ლიბერალთა მნიშვნელოვან რიცხვს უბიძგებს, სასოწარკვეთილების გამო, მუშათა პარტიისაკენ, სადაც უკვე მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ლიბერალები, ძალიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც ახლა მთავრობის დისკრედიტაციას ეწევიან. შედეგი, უეჭველია, ის არის, რომ საზოგადოებრივი განწყობილება მნიშვნელოვნად მტკიცდება მუშათა პარტიის სასარგებლოდ. საზოგადოებრივი აზრი პირს იბრუნებს არა ლიბერალებისაკენ, რომლებიც მუშათა პარტიის გარეთ დგანან, არამედ მუშათა პარტიისაკენ, ამას ცხადყოფს ნაწილობრივი ხელახალი არჩევნები».

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს მსჯელობა განსაკუთრებით ცხადყოფს, თუ როგორ აებნათ თავგზა ბურჟუაზიის ყველაზე ჭკვიან ადამიანებს და არ შეუძლიათ არ ჩაიდინონ გამოუსწორებელი სისულელე. სწორედ ამით დაიღუპება ბურჟუაზია. ჩვენმა ადამიანებმა კი შეიძლება სისულელეც ჩაიდინონ (მართალია, იმ პირობით, რომ ეს სისულელე ძალიან დიდი არ იქნეს და თავის დროზე გამოსწორდეს) და მიუხედავად ამისა საბოლოოდ გამარჯვებული აღმოჩნდებიან.

მეორე პოლიტიკური დოკუმენტია «მემარცხენე» კომუნისტის, ამხ. სილვია პანკჰერსტის შემდეგი მსჯელობა:

«...ამხ. ინკპინი (ბრიტ. სოც. პარტიის მდივანი) მუშათა პარტიას «მუშათა კლასის მოძრაობის მთავარ ორგანიზაციას» უწოდებს. მეორე ამხანაგმა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიიდან III ინტერნაციონალის კონფერენციაზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოთქვა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის შეხედულება. მან თქვა: «ჩვენ მუშათა პარტიას ვუყურებთ, როგორც ორგანიზებულ მუშათა კლასს».

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ შეხედულებას მუშათა პარტიაზე. მუშათა პარტია ძალიან დიდია რიცხობრივად, თუმცა მის წევრთა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედო და აპათიურია; ეს ის მუშები და მუშა ქალები არიან, რომლებიც ტრედ-უნიონებში შესულან, იმიტომ რომ ამხანაგები

სახელოსნოში ტრედ-უნიონისტები არიან და იმიტომ რომ მათ სურთ დახმარებას იღებდნენ.

მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ, რომ მუშათა პარტიის მრავალრიცხოვნობა გამოწვეულია »გრეთვე იმ ფაქტით, რომ იგი აზროვნების იმ სკოლის ქმნილებაა, რომლის ფარგლებსაც ბრიტანეთის მუშათა კლასის უმრავლესობა ჯერ კიდევ არ გასცილებია, თუმცა ხალხის გონებაში დიდი ცვლილებები მზადდება, და ხალხი მალე შეცვლის ამ მდგომარეობას...»

«... ბრიტანეთის მუშათა პარტია, სხვა ქვეყნების სოციალ-პატრიოტული ორგანიზაციების მსგავსად, საზოგადოების ბუნებრივი განვითარების მსვლელობაში, აუცილებლად აიღებს ძალაუფლებას. კომუნისტების საქმეა დარაზმონ ძალები, რომლებიც დაამხობენ სოციალ-პატრიოტებს, და ჩვენს ქვეყანაში ჩვენ არც უნდა გავაჭიანურეთ ეს საქმიანობა და არც ეიყოყმანოთ.

ჩვენ არ უნდა დავქსაქსოთ ჩვენი ენერგია მუშათა პარტიის ძალის გასადიდებლად; მის მიერ ძალაუფლების მოპოვება გარდუვალია. ჩვენ მთელი ძალები უნდა წარვმართოთ კომუნისტური მოძრაობის შესაქმნელად, რომელიც დაამარცხებს მას. მუშათა პარტია მალე მთავრობას შეადგენს; რევოლუციური ოპოზიცია მზად უნდა იყოს, რომ თავს დაესხას მას...».

ამრიგად, ლიბერალური ბურჟუაზია ხელს იღებს საუკუნეობრივი გამოცდილებით ისტორიულად დაკანონებულ — და ექსპლოატატორებისათვის უაღრესად ხელსაყრელ — «ორი პარტიის» (ექსპლოატატორთა პარტიების) სისტემაზე და საჭიროდ თვლის მათი ძალების გაერთიანებას მუშათა პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლიბერალთა ნაწილი, როგორც ვირთაგვები ჩასაძირავად განწირული ხომალდიდან, მუშათა პარტიაში გადადის. მემარცხენე კომუნისტები გარდუვალად თვლიან ძალაუფლების გადასვლას მუშათა პარტიის ხელში და აღიარებენ, რომ ამჟამად მას მხარს უჭერს მუშების უმრავლესობა. აქედან ისინი აკეთებენ იმ უცნაურ დასკვნას, რომელსაც ამხ. სილვია პანკჰერსტი ასე აყალიბებს:

«კომუნისტურმა პარტიამ კომპრომისები არ უნდა დადოს... თავისი დოქტრინა მან წმინდად უნდა შეინახოს, რეფორმიზმისაგან თავისი დამოუკიდებლობა — შეუბღალავად; მისი მისიაა — წაიიდეს წინ, არ შეჩერდეს, გზას არ გადაუხვიოს და პირდაპირი გზით გასწიოს კომუნისტური რევოლუციისაკენ».

პირიქით, იქიდან, რომ ინგლისში მუშების უმრავლესობა ჯერ კიდევ მიჰყვება ინგლისელ კერენსკეებს თუ შეიდემანებს, რომ მას ჯერ კიდევ არ განუცდია, თუ რას ნიშნავს ამ ადამიანებისაგან შემდგარი მთავრობა, რაც საჭირო გახდა როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში იმისათვის, რომ მუშები მასობრივად გადასულიყვნენ კომუნიზმის მხარეზე, აქედან უეჭველად გამომდინარეობს, რომ ინგლისელმა კომუნისტებმა მონაწილეობა უ ნ დ ა მიიღონ პარლამენტარიზმში, პარლამენტის შ ი გ ნ ი დ ა ნ უნდა დაეხმარონ მუშათა მასას სინამდვილეში დაინახოს ჰენდერსონისა და სნოუდენის მთავრობის შედეგები, უნდა დაეხმარონ ჰენდერსონებსა და სნოუდენებს დაამარცხონ გაერთიანებული ლოიდ-ჯორჯი და ჩერჩილი. სხვანაირად მოქცევა იმას ნიშნავს, რომ გააძნელო რევოლუციის საქმე, ვინაიდან რევოლუცია შეუძლებელია, თუ მუშათა კლასის უმრავლესობის შეხედულებები არ შეიცვალა, ეს ცვლილება კი ხდება მასების პოლიტიკური გამოცდილებით და არასოდეს არ ხდება მარტო პროპაგანდით. «უკომპრომისოდ წინ, გზიდან გადაუხვევლად», თუ ამას ამბობს მუშათა აშკარად უძლური უმცირესობა, რომელმაც იცის (ან ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდეს), რომ მოკლე ხნის შემდეგ, თუ ჰენდერსონი და სნოუდენი გაიმარჯვებენ ლოიდ-ჯორჯსა და ჩერჩილზე, უმრავლესობას გული გაუტყდება თავის ბელადებზე და მხარს დაუჭერს კომუნიზმს (ან, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალიტეტს დაიცავს და მეტწილად კომუნისტების მიმართ კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტს), — ასეთი ლოზუნგი აშკარად მცდარია. ეს იგივეა, რომ 10 000 ჯარისკაცი შეებრძოლოს მტრის 50 000 ჯარისკაცს, როცა საჭიროა «შეჩერება», «გზიდან გადახვევა», «კომპრომისის» დადებაც კი, ოღონდ დაელოდონ საშველად მოსასვლელ 100 000-ს, რომლებსაც არ შეუძლიათ ახლავე გამოვიდნენ. ეს ინტელიგენტური ბალღობაა, და არა რევოლუციური კლასის სერიოზული ტაქტიკა.

რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც დაადასტურა ყველა რევოლუციამ და კერძოდ რუსეთის სამივე რევოლუ-

ციამ XX საუკუნეში, შემდეგში მდგომარეობს: რევოლუციისათვის არ კმარა, — ექსპლოატირებულმა და ჩაგრულმა მასებმა შეიგნონ, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია და ცვლილება მოითხოვონ; რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატატორებს აღარ შეეძლოთ ძველებურად იცხოვრონ და, მართონ. მხოლოდ მაშინ, როცა «ქვედა ფენებს» აღარ სურთ ძველი და როცა «ზედაფენებს» აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლუციის გამარჯვება. სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: რევოლუცია შეუძლებელია საერთონაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ექსპლოატირებულებსაც შეეხება და ექსპლოატატორებსაც). მაშასადამე, რევოლუციისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, მივაღწიოთ იმას, რომ მუშების უმრავლესობამ (ან ყოველ შემთხვევაში შეგნებული, მოაზროვნე, პოლიტიკურად აქტიური მუშების უმრავლესობამ) სავსებით შეიგნოს გადატრიალების აუცილებლობა და მზად იყოს სიცოცხლე გასწიროს მისთვის; მეორე, რომ მმართველი კლასები განიცდიდნენ მთავრობის კრიზისს, რომელიც ყველაზე ჩამორჩენილ მასებსაც კი ითრევს პოლიტიკაში (ყოველი ნამდვილი რევოლუციის ნიშანია: აქამდე აპათიური მშრომელი და ჩაგრული მასის ისეთ წარმომადგენელთა რაოდენობის სწრაფად გაათკეცება ან ასჯერ გადიდებაც კი, რომელთაც პოლიტიკური ბრძოლის უნარი შესწევთ), აუძლურებს მთავრობას და რევოლუციონერებისათვის შესაძლებელს ხდის მის სწრაფად დამხობას.

ინგლისში, როგორც ჩანს, სხვათა შორის, სწორედ ლოიდ-ჯორჯის სიტყვიდან, აშკარად იზრდება პროლეტარული რევოლუციის წარმატების ორივე პირობა. და მემარცხენე კომუნისტების მიერ შეცდომების დაშვება ახლა განსაკუთრებით საშიშია სწორედ იმიტომ, რომ ზოგიერთი რევოლუციონერი საკმაო დაკვირვებით, საკმაო ყურადღებით, საკმაო შეგნებით, საკმაოდ ფხიზლად არ ეკიდება თვითეულ ამ პირობას. თუ ჩვენ რევოლუციური კლასის პარტია ვართ, და არა რევოლუციური ჯგუფი, თუ ჩვენ გვსურს გავიყოლიოთ მასები

(უამისოდ კი იმის საფრთხე მოგველის, რომ მხოლოდ მოლაყბენი დავრჩეთ), ჩვენ, ჯერ-ერთი, უნდა დავეხმაროთ ჰენდერსონს ან სნოუდენს დაამარცხონ ლოიდ-ჯორჯი და ჩერჩილი (უფრო სწორად რომ ვთქვათ: კიდევაც ვაიძულოთ პირველნი დაამარცხონ მეორენი, ვინაიდან პირველთ ე შ ი ნ ი ა თ თ ა ვ ი ა ნ თ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა!); მეორე, დავეხმაროთ მუშათა კლასის უმრავლესობას თავისი გამოცდილებით დარწმუნდეს ჩვენს სიმართლეში, ე. ი. ჰენდერსონებისა და სნოუდენების სრულ უვარგისობაში, მათს წვრილბურჟუაზიულ და გამცემლურ ბუნებაში, მათი გაკოტრების გარდუვალობაში; მესამე, მოვაახლოოთ მომენტი, როცა იმ ნ ი ა დ ა გ ზ ე, რომ მუშათა უმრავლესობას გული გაუტყდება ჰენდერსონებზე, შესაძლებელი იქნება წარმატების სერიოზული შანსებით ერთბაშად ჩამოვაგდოთ ჰენდერსონების მთავრობა, რომელსაც კიდევ უფრო აებნევა თავგზა, თუ უაღრესად ჭკვიანი და უაღრესად სოლიდური, არა წვრილბურჟუაზიული, არამედ მსხვილბურჟუაზიული ლოიდ-ჯორჯიც კი სრულ დაბნეულობას იჩენს და სულ უფრო და უფრო იუძლურებს თავს (და აუძლურებს მთელ ბურჟუაზიასაც) გუშინ თავისი «უთანხმოებით» ჩერჩილთან, დღეს თავისი «უთანხმოებით» ასკვიტთან.

ვილაპარაკებ უფრო კონკრეტულად. ინგლისელმა კომუნისტებმა, ჩემი აზრით, თავიანთი ოთხივე (ყველა ძალიან სუსტი, ზოგიერთი — სრულიად სუსტი) პარტია და ჯგუფი უნდა გააერთიანონ ერთ კომუნისტურ პარტიად III ინტერნაციონალის პრინციპებისა და პარლამენტში ა უ ც ი ლ ე ბ ლ ი ვ მონაწილეობის ნიადაგზე. კომუნისტური პარტია სთავაზობს ჰენდერსონებსა და სნოუდენებს «კომპრომისს», საარჩევნო შეთანხმებას: ერთად გავილაშქროთ ლოიდ-ჯორჯისა და კონსერვატორების კავშირის წინააღმდეგ, გავინაწილოთ პარლამენტში ადგილები მუშების მიერ მუშათა პარტიისა თუ კომუნისტებისათვის (არა არჩევნებში, არამედ განსაკუთრებული ენჭისყრით) მიცემული ხმების მიხედვით, შევინარჩუნოთ აგიტაციის, პროპაგანდის, პოლიტიკური მოღვაწეობის

სრული თავისუფლება. ამ უკანასკნელი პირობის დაუცველად, რა თქმა უნდა, ბლოკის დადება არ შეიძლება, ვინაიდან ეს ღალატი იქნება: ჰენდერსონებისა და სნოუდენების მხილების სრული თავისუფლება ინგლისელმა კომუნისტებმა ისევე აბსოლუტურად უნდა დაიცვან და შეინარჩუნონ, როგორც რუსეთის ბოლშევიკები იცავდნენ მას (თხუთმეტწელიწადს, 1903 — 1917) და შეინარჩუნეს რუსეთის ჰენდერსონებისა და სნოუდენების, ე. ი. მენშევიკების მიმართ.

თუ ჰენდერსონები და სნოუდენები დათანხმდებიან ბლოკზე ამ პირობებით, ჩვენ მოვიგებთ, ვინაიდან ჩვენთვის სრულებითაც არა აქვს მნიშვნელობა პარლამენტში ადგილების რაოდენობას, ჩვენ ამით როდი ვართ გატაცებული, ჩვენ ამ პუნქტში დამთმობლობას გამოვიჩენთ (ხოლო ჰენდერსონები და განსაკუთრებით მათი ახალი მეგობრები — ან მათი ახალი ბატონები — დამოუკიდ. მუშათა პარტიაში გადასული ლიბერალები ყველაზე მეტად ამით არიან გატაცებულნი). ჩვენ მოვიგებთ, ვინაიდან ჩვენს აგიტაციას გავაჩაღებთ მასებში ისეთ მომენტში, როცა ისინი თვით ლოიდ-ჯორჯმა «შეაგულიანა», და დავეხმარებით არა მარტო მუშათა პარტიას უფრო მალე შეადგინოს თავისი მთავრობა, არამედ მასებსაც — უფრო მალე გაიგონ მთელი ჩვენი კომუნისტური პროპაგანდა, რომელსაც ჰენდერსონების წინააღმდეგ გავაჩაღებთ სრულიად შეუკვეცავად, სრულიად დაუფარავად.

თუ ჰენდერსონები და სნოუდენები უარყოფენ ჩვენთან ბლოკს ამ პირობებით, ჩვენ კიდევ უფრო მოვიგებთ, ვინაიდან ჩვენ ერთბაშად დავანახვებთ მასებს (გაითვალისწინეთ, რომ წმინდა წყლის მენშევიკური, სავსებით ოპორტუნისტული დამოუკიდ. მუშათა პარტიის შიგნითაც კი მასა საბჭოების მომხრეა), რომ ჰენდერსონებს კაპიტალისტებთან თავიანთი სიახლოვე ურჩევნიათ ყველა მუშის გაერთიანებას. ჩვენ ერთბაშად მოვიგებთ მასის წინაშე, რომელიც განსაკუთრებით ლოიდ-ჯორჯის მიერ მოცემულ ბრწყინვალე და უაღრესად სწორ, უაღრესად სასარგებლო (კომუნიზმისათვის)

განმარტებათა შემდეგ მხარს დაუჭერს ყველა მუშის **გაერთიანებას ლოიდ-ჯორჯისა** და კონსერვატორების **კავშირის** წინააღმდეგ. ჩვენ ერთბაშად მოვიგებთ, ვინაიდან თვალსაჩინოდ დავანახვებთ მასებს, **რომ** ჰენდერსონებსა და სნოუდენებს ეშინიათ დაამარცხონ ლოიდ-ჯორჯი, ეშინიათ თვითონ აიღონ ძალაუფლება, ცდილობენ ფ ა რ უ ლ ა დ დაიხმარონ ლოიდ-ჯორჯი, რომელიც ა შ კ ა რ ა დ უწვდის ხელს კონსერვატორებს მუშათა პარტიის წინააღმდეგ. უნდა შეგნიშნოთ, რომ ჩვენში, რუსეთში, 1917 წ. 27. II (ძვ. სტ.) რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების პროპაგანდა მენშევიკებისა და ესერების (ე. ი. რუსეთის ჰენდერსონებისა და სნოუდენების) წინააღმდეგ სწორედ ასეთივე გარემოების ძალით იმარჯვებდა. ჩვენ ვეუბნებოდით მენშევიკებსა და ესერებს: აიღეთ მთელი ძალაუფლება უბურჟუაზიოდ, ვინაიდან საბჭოებში უმრავლესობა გყავთ (საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე ბოლშევიკებს 1917 წლის ივნისში ხმების სულ 13% ჰქონდათ). მაგრამ რუსეთის ჰენდერსონებსა და სნოუდენებს ეშინოდათ აეღოთ ძალაუფლება უბურჟუაზიოდ, და როცა ბურჟუაზია აჭიანურებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ იგი უმრავლესობას ესერებსა და მენშევიკებს * მისცემდა (ერთნიც და მეორენიც უმჭიდროეს პოლიტიკურ ბლოკში მოქმედებდნენ, სინამდვილეში ე რ თ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას წარმოადგენდნენ), ესერებსა და მენშევიკებს ძალა არ შესწევდათ ენერგიულად და ბოლომდე ებრძოლნათ ამ გაჭიანურების წინააღმდეგ.

თუ ჰენდერსონები და სნოუდენები უარს იტყოდნენ კომუნისტებთან ბლოკზე, კომუნისტები ერთბაშად მოიგებდნენ მასების სიმპათიების მოხვეჭისა და ჰენდერსონებისა და სნოუდენების დისკრედიტაციის საქმეში, ხოლო თუ ჩვენ ამით

---

* რუსეთში დამფუძნ. კრების არჩევნებმა, 1917 წ. ნოემბერში, ცნობებით, რაც 36 მილიონზე მეტ ამომრჩეველს შეეხება, ხმების 25% მისცა ბოლშევიკებს, 13% — მემამულეთა და ბურჟუაზიის სხვადასხვა პარტიებს, 62% — წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას, ე. ი. **ესერებსა და მენშევიკებს** მათ მონათესავე მცირე ჯგუფებთან ერთად.

პარლამენტში რამდენიმე ადგილს დავკარგავდით, ამას ხომ ჩვენთვის სრულებით არა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ წამოვაყენებდით ჩვენს კანდიდატებს მხოლოდ ძალიან ცოტა, აბსოლუტურად საიმედო ოლქებში, ე. ი. იქ, სადაც ჩვენი კანდიდატების წამოყენება ხელს არ შეუწყობდა ლიბერალის გაყვანას ლაბურისტის (მუშათა პარტიის წევრის) წინააღმდეგ. ჩვენ გავწევდით საარჩევნო აგიტაციას, გავავრცელებდით ფურცლებს კომუნიზმის სასარგებლოდ და წინადადებას მივცემდით ამომრჩევლებს ყ ვ ე ლ ა ოლქში, სადაც ჩვენი კანდიდატი არ არის, ხ მ ა მ ი ე ც ა თ ლ ა ბ უ რ ი ს ტ ი ს ა თ ვ ი ს ბ უ რ ჟ უ ა ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ცდებიან ამხ. სილვია პანკჰერსტი და გალახერი, თუ ამაში კომუნიზმისადმი ღალატს ან სოციალ-გამცემლებთან ბრძოლაზე ხელისაღებას ხედავენ. პირიქით, ამით კომუნისტური რევოლუციის საქმე, უეჭველად, მოიგებდა.

ინგლისელ კომუნისტებს ახლა ძალიან ხშირად ისიც კი უძნელდებათ, რომ მასასთან მივიდნენ, თუნდაც მოასმენინონ თავიანთი სიტყვა. თუ მე გამოვდივარ, როგორც კომუნისტი, და ვაცხადებ, რომ მოვუწოდებ ხმა მისცენ ჰენდერსონს ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ, უთუოდ მომისმენენ. და მე შევძლებ პოპულარულად განვმარტო არა მარტო ის, თუ რატომ სჯობია საბჭოები პარლამენტს და პროლეტარიატის დიქტატურა ჩერჩილის დიქტატურას (რომელსაც ბურჟუაზიული «დემოკრატიის» აბრით ფარავენ), არამედ ისიც, რომ მე მსურს სწორედ ისევე დავუჭირო მხარი ჰენდერსონს ჩემი ხმის მიცემით, როგორც თოკს უჭირავს ჩამოხრჩობილი; — რომ ჰენდერსონების მიახლოება მათს საკუთარ მთავრობასთან ისევე დაამტკიცებს ჩემს სიმართლეს, ისევე მოიზიდავს მასებს ჩემს მხარეზე, ისევე დააჩქარებს ჰენდერსონებისა და სნოუდენების პოლიტიკურ სიკვდილს, როგორც ეს დაემართათ მათს თანამოაზრეებს რუსეთში და გერმანიაში.

და თუ პასუხად მეტყვიან: ეს მეტად «ეშმაკური» ან რთული ტაქტიკაა, მასები ვერ გაიგებენ მას, იგი დაქსაქსავს, დააქუცმაცებს ჩვენს ძალებს, ხელს შეუშლის მათს თავმოყრას

საბჭოთა რევოლუციისათვისო და ა. შ., მე მივუგებ «მემარცხენე» მოპასუხეებს: ნუ აბრალებთ თქვენს დოქტრინიოროგას მასებს! მასები რუსეთში, უთუოდ, უფრო კულტურული კი არა, ნაკლებ კულტურული არიან, ვიდრე ინგლისში. მაგრამ მასებმა მაინც გაუგეს ბოლშევიკებს; და ბოლშევიკებს ხელი კი არ შეუშალა, არამედ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა რევოლუციის წ ი ნ ა დ ღ ე ს, 1917 წლის სექტემბერში, ისინი ბურჟუაზიული პარლამენტისათვის (დამფუძნ. კრება) თავიანთ კანდიდატთა სიებს ადგენდნენ, ხოლო საბჭოთა რევოლუციის მ ე ო რ ე დ ღ ე ს, 1917 წლის ნოემბერში, სწორედ იმ დამფუძნ. კრების დეპუტატებს ირჩევდნენ, რომელიც მათ 1918 წ. 5. I გარეკეს.

მე არ შემიძლია შევჩერდე აქ მეორე უთანხმოებაზე ინგლისელ კომუნისტებს შორის, რაც იმაში მდგომარეობს, შეუერთდნენ მუშათა პარტიას თუ არა. მე ძალიან ცოტა მასალა მაქვს ამ საკითხზე, რომელიც განსაკუთრებით რთულია ბრიტანეთის «მუშათა პარტიის» მეტისმეტი ორიგინალურობის გამო, — ეს პარტია მეტისმეტად განსხვავდება ევროპის კონტინენტის ჩვეულებრივი პოლიტიკური პარტიებისაგან თვით თავისი აგებულებით. მხოლოდ უეჭველია, ჯერ-ერთი, ის, რომ ამ საკითხშიც აუცილებლად შეცდომას ჩაიდენს ის, ვისაც აზრად მოუვა გამოიყვანოს რევოლუციური პროლეტარიატის ტაქტიკა ისეთი პრინციპებიდან, როგორიცაა: «კომ. პარტიამ თავისი დოქტრინა წმინდად უნდა შეინახოს და რეფორმიზმისაგან თავისი დამოუკიდებლობა — შეუბღალავად; მისი მოწოდებაა — წავიდეს წინ, არ შეჩერდეს, გზას არ გადაუხვიოს და პირდაპირი გზით გასწიოს კომ. რევოლუციისაკენ». ვინაიდან ასეთი პრინციპები მხოლოდ გამეორებაა ფრანგი კომუნარი-ბლანკისტების შეცდომისა, რომლებიც 1874 წელს აცხადებდნენ ყოველგვარი კომპრომისისა და ყოველგვარი შუალედი სადგურის «უარყოფას». მეორე, უეჭველია, ამოცანა აქაც, ისევე როგორც ყოველთვის, ის არის, რომ შეგვეძლოს კომუნიზმის საერთო და ძირითადი პრინციპები შევუფარდოთ კლასთა და პარტიათა ურთიერთო-

ბის იმ თავისებურებას, კომუნიზმისაკენ ობიექტური განვითარების იმ თავისებურებას, რომელიც ყოველ ცალკეულ ქვეყანას ახასიათებს და რომელიც უნდა შეგვეძლოს შევისწავლოთ, მოვნახოთ, გამოვიცნოთ.

მაგრამ ამაზე ლაპარაკი გვიხდება არა მარტო ინგლისის კომუნიზმთან, არამედ იმ საერთო დასკვნებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კომუნიზმის განვითარებას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. გადავდივართ სწორედ ამ თემაზე.

X

ზოგიერთი დასკვნა

რუსეთის 1905 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გამოააშკარავა მსოფლიო ისტორიის ერთი უაღრესად ორიგინალური მობრუნება: ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კაპიტალისტურ ქვეყანაში პირველად მიღწეულ იქნა მსოფლიოში საგაფიცვო მოძრაობის უმაგალითო გაქანება და ძალა. 1905 წლის მარტო პირველ თვეს გაფიცულთა რაოდენობამ ერთიანად გადააჭარბა წინა 10 წლის (1895 — 1904) გაფიცულთა საშუალო წლიურ რაოდენობას, ხოლო 1905 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გაფიცვები განუწყვეტლივ და დიდი მასშტაბით იზრდებოდა. ჩამორჩენილმა რუსეთმა, მთელი რიგი სრულიად თავისებური ისტორიული პირობების გავლენით, პირველმა დაანახვა მსოფლიოს არა მარტო ნახტომისებრი ზრდა ჩაგრული მასების თვითმოქმედებისა რევოლუციის დროს (ეს ყველა დიდი რევოლუციის დროს ხდებოდა), არამედ პროლეტარიატის მნიშვნელობაც, რაც განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობაში, დაანახვა ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის შეხამება, თან ამ უკანასკნელის გადაქცევა შეიარაღებულ აჯანყებად, კაპიტალიზმის მიერ ჩაგრული კლასების მასობრივი ბრძოლისა და მასობრივი ორგანიზაციის ახალი ფორმის, საბჭოების წარმოშობა.

1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა საბჭოები მიიყვანეს ყოველმხრივ განვითარებამდე

ნაციონალური მასშტაბით, შემდეგ მათს გამარჯვებამდე პროლეტარულ, სოციალისტურ გადატრიალებაში. და ორ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ გამოაშკარავდა საბჭოების ინტერნაციონალური ხასიათი, ბრძოლისა და ორგანიზაციის ამ ფორმის გავრცელება მსოფლიო მუშათა მოძრაობაზე, საბჭოების ისტორიული მოწოდება — იყვნენ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის, საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის მესაფლავე, მემკვიდრე, ადგილმონაცვლე.

უფრო მეტიც. მუშათა მოძრაობის ისტორია ახლა გვიჩვენებს, რომ ამ მოძრაობას ყველა ქვეყანაში მოელის (და მან უკვე დაიწყო) ახლად წარმოშობილი, მზარდი, გამარჯვებისაკენ მიმავალი კომუნიზმის ბრძოლა უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თ ა ვ ი ს (თვითეული ქვეყნისათვის) «მენშევიზმთან», ე. ი. ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან; მეორე — და, ასე ვთქვათ, დამატების სახით, — «მემარცხენე» კომუნიზმთან. პირველი ბრძოლა გაჩაღდა, ეტყობა, უკლებლივ ყველა ქვეყანაში, როგორც II (ამჟამად ფაქტიურად უკვე მკვდარი) და III ინტერნაციონალის ბრძოლა. მეორე ბრძოლას ვხედავთ გერმანიაშიც, ინგლისშიც, იტალიაშიც, ამერიკაშიც (ყოველ შემთხვევაში, «მსოფლიოს სამრეწველო მუშათა» და ანარქისტულ-სინდიკალისტურ მიმდინარეობათა განსაზღვრული ნ ა წ ი ლ ი იცავს მემარცხენე კომუნიზმის შეცდომებს საბჭოთა სისტემის თითქმის საყოველთაო, თითქმის განუყოფელ აღიარებასთან ერთად), საფრანგეთშიც (ყოფილ სინდიკალისტთა ნაწილის დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიისა და პარლამენტარიზმისადმი, აქაც საბჭოთა სისტემის აღიარებასთან ერთად), ე. ი., უეჭველია, არა მარტო ინტერნაციონალური, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

მაგრამ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის ყველგან არსებითად ერთნაირ მოსამზადებელ სკოლას რომ გადის, თვითეული ქვეყნის მუშათა მოძრაობა ამ განვითარებას თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ ახორციელებს. ამასთან დიდი, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები ამ გზით გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო

ს წ რ ა ფ ა დ მიდიან, ვიდრე ბოლშევიზმი, რომელმაც ისტორიისაგან თხუთმეტი წლის ვადა მიიღო თავისი, როგორც ორგანიზებული პოლიტიკური მიმდინარეობის, გამარჯვების მოსამზადებლად. III ინტერნაციონალმა ისეთ მოკლე ვადაში, როგორიცაა ერთი წელიწადი, უკვე მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება, დაამარცხა II, ყვითელი, სოციალ-შოვინისტური ინტერნაციონალი, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ III-ზე შეუდარებლად უფრო ძლიერი იყო, მტკიცე და უძლეველი ჩანდა, სარგებლობდა მსოფლიო ბურჟუაზიის ყოველმხრივი — პირდაპირი და არაპირდაპირი, მატერიალური (მინისტრების ადგილები, პასპორტები, პრესა) და იდეური დახმარებით.

მთელი საქმე ახლა ის არის, რომ თვითეული ქვეყნის კომუნისტებმა სავსებით შეგნებულად გაითვალისწინონ როგორც ოპორტუნიზმთან და «მემარცხენე» დოქტრინიორობასთან ბრძოლის ძირითადი პრინციპული ამოცანები, ისე ის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი თ ა ვ ი ს ებ ურ ებ ა ნ ი ც, რომლებსაც ეს ბრძოლა იღებს და გარდუვალად უნდა მიიღოს ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, მისი ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, მისი ეროვნული შემადგენლობის (ირლანდია და სხვ.), მისი კოლონიების, მისი რელიგიური დაყოფისა და სხვ. და სხვ. ორიგინალურ თვისებათა შესაბამისად. ყველგან იგრძნობა, ფართოვდება და იზრდება უკმაყოფილება II ინტერნაციონალით მისი ოპორტუნიზმისთვისაც და იმისთვისაც, რომ მას არ შეუძლია ან უნარი არ შესწევს შექმნას ნამდვილად ცენტრალიზებული, ნამდვილად ხელმძღვანელი ცენტრი, იმის უნარის მქონე, რომ წარმართოს რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო ტაქტიკა მის ბრძოლაში მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკისათვის. საჭიროა ნათლად გავერკვეთ იმაში, რომ ასეთი ხელმძღვანელი ცენტრი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეიქმნას ბრძოლის ტაქტიკური წესების გაშაბლონებით, მექანიკური გათანაბრებით, გაიგივებით. სანამ არსებობენ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის — ხოლო ეს

განსხვავებანი კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი — ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას (ეს სულელური ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევებში, სწორად შეუხამებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს. გამოიკვლიონ, შეისწავლონ, მონახონ, გამოიცნონ, შეიგნონ ეროვნულ-თავისებური, ეროვნულ-სპეციფიკური რამ თვითეული ქვეყნის კონკრეტულ მიდგომაში ერთიანი ინტერნაციონალური ამოცანის გადაჭრისადმი, მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნიზმსა და მემარცხენე დოქტრინიორობაზე გამარჯვებისადმი, ბურჟუაზიის დამხობისადმი, საბჭოთა რესპუბლიკისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარებისადმი — აი რა არის იმ ისტორიული მომენტის მთავარი ამოცანა, რომელსაც განიცდის ყველა მოწინავე (და არა მარტო მოწინავე) ქვეყანა. მთავარი — რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სრულებითაც, სრულებითაც არა ყველაფერი, მაგრამ მთავარი — უკვე გაკეთებულია მუშათა კლასის ავანგარდის მიმხრობით, მისი გადმოსვლით საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე პარლამენტარიზმის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის მხარეზე ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ. ახლა საჭიროა მთელი ძალები, მთელი ყურადღება მივაპყროთ შემდგომ ნაბიჯს, რომელიც ნაკლებად ძირითადი გვეჩვენება — და, გარკვეული თვალსაზრისით, მართლაც ასეთია, — მაგრამ რომელიც სამაგიეროდ პრაქტიკულად უფრო ახლოა ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტასთან, სახელდობრ: პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის თუ მისდამი მიდგომის ფორმის გამონახვას.

პროლეტარული ავანგარდი იდეურად დაპყრობილია. ეს მთავარია. უამისოდ გამარჯვებისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელია. მაგრამ აქედან გამარჯვებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა. მარტო ავანგარდით გამარჯვება შეუძლებელია. მარტო ავანგარდის ჩაბმა გადამწყვეტ ბრძოლაში, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ან ავანგარდისათვის პირდაპირი მხარდაჭერის ან, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტის პოზიცია და სანამ არ შექმნილა ისეთი მდგომარეობა, რომ მათ არ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მის მოწინააღმდეგეს არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც იქნებოდა. ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად მთელი კლასი, რომ მშრომელთა და კაპიტალის მიერ ჩაგრულთა ნამდვილად ფართო მასები ასეთ პოზიციამდე მივიდნენ, ამისათვის მარტო პროპაგანდა, მარტო აგიტაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება. ასეთია ყველა დიდი რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც ახლა განსაცვიფრებლად ძლიერ და რელიეფურად დაადასტურა არა მარტო რუსეთმა, არამედ გერმანიამაც. არა მარტო რუსეთის უკულტურო, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარ მასებს, არამედ გერმანიის უაღრესად კულტურულ, მთლიანად წერა-კითხვის მცოდნე მასებსაც დასჭირდათ საკუთარ ტყავზე გამოეცადათ მთელი უძლურება, მთელი უხერხემლობა, მთელი უმწეობა, მთელი ლაქიობა ბურჟუაზიის წინაშე, მთელი სისაძაგლე II ინტერნაციონალის რაინდთა მთავრობისა, მთელი გარდუვალობა უკიდურეს რეაქციონერთა (კორნილოვი რუსეთში, კაპი და კომპანია გერმანიაში) დიქტატურისა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის მიმართ ერთადერთი ალტერნატივისა, რათა გადაჭრით მობრუნებულიყვნენ კომუნიზმისაკენ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში შეგნებული ავანგარდის, ე. ი. კომუნისტური პარტიების, ჯგუფების, მიმდინარეობების მორიგი ამოცანაა — უნარი ჰქონდეთ მ ი ი ყ ვ ა ნ ო ნ

ფართო (ახლა ჯერ კიდევ მეტწილ შემთხვევებში მძინარე, აპათიური, რუტინული, უძრავი, გამოუღვიძებელი) მასები მათს ამ ახალ მდგომარეობასთან ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უნარი ჰქონდეთ უხელმძღვანელონ არა მარტო თავიანთ პარტიას, არამედ ამ მასებსაც ახალ პოზიციასთან მათი მისვლის, ახალ პოზიციაზე გადასვლის განმავლობაში. თუ პირველი ისტორიული ამოცანა (პროლეტარიატის შეგნებული ავანგარდის გადმოყვანა საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასის დიქტატურის მხარეზე) არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ოპორტუნიზმზე და სოციალ-შოვინიზმზე სრული, იდეური და პოლიტიკური გამარჯვების მიუღწევლად, მეორე ამოცანას, რომელიც ახლა მორიგი ხდება და რომელიც მდგომარეობს იმის უნარში, რომ მივიყვანოთ მასები ახალ პოზიციაზე, რომელსაც შეეძლება უზრუნველყოს ავანგარდის გამარჯვება რევოლუციაში, ამ მორიგ ამოცანას ვერ შევასრულებთ, თუ არ მოვახდინეთ მემარცხენე დოქტრინიორობის ლიკვიდაცია, თუ სავსებით არ დავძლიეთ მისი შეცდომები, თუ თავი არ დავაღწიეთ მათ.

სანამ საქმე ეხებოდა (და რამდენადაც საქმე ჯერ კიდევ ეხება) პროლეტარიატის ავანგარდის გადმოყვანას კომუნიზმის მხარეზე, მანამდე და იმდენად პირველი ადგილი ეთმობა პროპაგანდას; წრეებიც კი, რომლებსაც წრეობანის ყველა სისუსტე ახასიათებს, აქ სასარგებლოა და ნაყოფიერ შედეგს იძლევა. როცა საქმე ეხება მასების პრაქტიკულ მოქმედებას, მილიონიანი არმიების განლაგებას — თუ შეიძლება ასე ითქვას, მოცემული საზოგადოების **მთელი** კლასობრივი ძალების დაწყობას უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის, აქ მარტო პროპაგანდისტული ჩვევებით, «წმინდა» კომუნიზმის ჭეშმარიტებათა მარტო განმეორებით ვერაფერს გააწყობ. აქ უნდა ითვლიდე არა ათასობით, როგორც არსებითად ითვლის პროპაგანდისტი, წევრი პატარა ჯგუფისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ უხელმძღვანელნია მასებისათვის; აქ უნდა ითვლიდე მილიონობით და ათეულ მილიონობით. აქ ჩვენს თავს უნდა ვკითხოთ არა მარტო ის, და-

ვარწმუნეთ თუ არა რევოლუციური კლასის ავანგარდი, — არამედ აგრეთვე ისიც, მოცემული საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასის, აუცილებლად უკლებლივ ყველა კლასის, ისტორიულად ქმედითი ძალები განლაგებულია თუ არა ისე, რომ გადამწყვეტი ბრძოლა უკვე საესებით მომწიფებული იყოს, — ისე, რომ (1) ჩვენდამი მტრული მთელი კლასობრივი ძალები საკმაოდ აირიონ, საკმაოდ წაეკიდონ ერთმანეთს, საკმაოდ დაიუძლურონ თავი ბრძოლით, რომელიც მათ ძალას აღემატება; რომ (2) მთელმა მოყოყმანო, მერყევმა, არამტკიცე, შუალედმა ელემენტებმა, ე. ი. წვრილმა ბურჟუაზიამ, წვრილ-ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, საკმაოდ გამოამჟღავნონ თავი ხალხის წინაშე, საკმაოდ შეირცხვინონ თავი თავიანთი პრაქტიკული გაკოტრებით; რომ (3) პროლეტარიატში დაიწყოს და მძლავრად იზრდებოდეს მასობრივი განწყობილება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყველაზე გადამწყვეტი, უაღრესად გაბედული, რევოლუციური მოქმედების მხარდაჭერის სასარგებლოდ. აი მაშინ რევოლუცია მომწიფებულია, აი მაშინ ჩვენი გამარჯვება, თუ ჩვენ სწორად გავითვალისწინეთ ყველა ზემოთ დასახული, ზემოთ მოკლედ ძოხაზული პირობები და სწორად შევარჩიეთ მომენტი, ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

აზრთა სხვადასხვაობა, ერთი მხრივ, ჩერჩილებსა და ლოიდ-ჯორჯებს შორის — ეს პოლიტიკური ტიპები ყ ვ ე ლ ა ქვეყანაშია, მცირეოდენი ეროვნული განსხვავებით; შემდეგ, მეორე მხრივ, ჰენდერსონებსა და ლოიდ-ჯორჯებს შორის, — სრულიად უმნიშვნელო და წვრილმანია წმინდა, ე. ი. აბსტრაქტული კომუნიზმის თვალსაზრისით, ე. ი. ისეთი კომუნიზმის თვალსაზრისით, რომელიც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პრაქტიკულ, მასობრივ, პოლიტიკურ მოქმედებამდე. მაგრამ ძასების ამ პრაქტიკული მოქმედების თვალსაზრისით ეს განსხვავებანი მეტად, მეტად მნიშვნელოვანია. მათი გათვალისწინება, განსაზღვრა მომენტისა, როცა მთლიანად მომწიფდება ამ «მეგობრებს» შორის გარდუვალი კონფლიქტები, რომლებიც ასუსტებენ და აუძლურებენ ყ ვ ე ლ ა «მ ე გ ო ბ ა რ ს»,

ერთად აღებულს, — აი მთელი საქმე, მთელი ამოცანა კომუნისტისა, რომელსაც სურს იყოს არა მარტო შეგნებული, დარწმუნებული, იდეური პროპაგანდისტი, არამედ მასების პრაქტიკული ხელმძღვანელიც რევოლუციაში. კომუნიზმის იდეებისადმი უმტკიცესი ერთგულება უნდა შეაერთო იმის უნართან, რომ დათანხმდე ყველა საჭირო პრაქტიკულ კომპრომისზე, მანევრირებაზე, შემთანხმებლობაზე, მიხვევ-მოხვევაზე, უკანდახევაზე და სხვა ამგვარზე, რათა დააჩქარო ჰენდერსონების (II ინტერნაციონალის გმირების, თუ ვილაპარაკებთ არა ცალკე პირთა, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენელთა სახელებით, რომელნიც თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ) პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება და აღმოფხვრა; დააჩქარო მათი გარდუვალი გაკოტრება პრაქტიკაში, რაც სწორედ ჩვენებურად, სწორედ კომუნიზმის მიმართულებით ანათლებს მასებს; დააჩქარო გარდუვალი უთანხმოება, კინკლაობა, კონფლიქტები, სრული გათიშვა ჰენდერსონებს — ლოიდ-ჯორჯებს — ჩერჩილებს (მენშევიკებსა და ესერებს — კადეტებს — მონარქისტებს; შეიდემანებს — ბურჟუაზიას — კაპელებს და სხვ.) შორის; და სწორად შეარჩიო «წმიდა კერძო საკუთრების» ყველა ამ «ბურჯებს» შორის მაქსიმალური გათიშვის ისეთი მომენტი, რომ პროლეტარიატის გადამწყვეტი შეტევის შედეგად დამარცხდნენ ყველა ისინი და მოპოვებულ იქნას პოლიტიკური ძალაუფლება.

საერთოდ ისტორია, კერძოდ რევოლუციების ისტორია, მუდამ უფრო მდიდარია შინაარსით, უფრო მრავალფეროვანი, მრავალმხრივი, უფრო ცოცხალი და «დახლართულია», ვიდრე წარმოდგენილი აქვთ ყველაზე კარგ პარტიებს, ყველაზე მოწინავე კლასების ყველაზე შეგნებულ ავანგარდებს. ეს გასაგებიც არის, რადგან ყველაზე კარგი ავანგარდები გამოხატავენ ათეულ ათასობით ადამიანთა შეგნებას, ნებას, მგზნებარებას, ფანტაზიას, ხოლო რევოლუციას ახორციელებს, ადამიანის ყველა უნარის განსაკუთრებული აღმავლობისა და დაძაბვის მომენტებში, შეგნება, ნება, მგზნებარება,

ფანტაზია ათეულ მილიონობით ადამიანებისა, რომლებსაც კლასების ყველაზე მწვავე ბრძოლა ამოქმედებს. აქედან გამომდინარეობს ორი მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნა: პირველი ის, რომ რევოლუციურ კლასს, თავისი ამოცანის განსახორციელებლად, უნარი უნდა ჰქონდეს დაეუფლოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყ ვ ე ლ ა, უკლებლივ ყველა ფორმასა თუ მხარეს (პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ მოათავოს, ზოგჯერ დიდი რისკითა და უდიდესი საშიშროებით, ის, რაც ამ დაპყრობამდე არ მოუთავებია); მეორე ის, რომ რევოლუციური კლასი მზად უნდა იყოს, რათა ერთი ფორმა რაც შეიძლება სწრაფად და მოულოდნელად შეცვალოს მეორე ფორმით.

ყველა დაგვეთანხმება, რომ უგუნური და დანაშაულებრივიც კია იმ არმიის საქციელი, რომელიც არ ემზადება იმისათვის, რომ დაეუფლოს ყველა სახის იარაღს, ბრძოლის ყველა საშუალებასა და ხერხს, რომლებიც მტერს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ ეს პოლიტიკას უფრო მეტად შეეხება, ვიდრე სამხედრო საქმეს. პოლიტიკაში უფრო ნაკლებად შეიძლება წინასწარ ვიცოდეთ, ამა თუ იმ მომავალ პირობებში ბრძოლის რა საშუალება აღმოჩნდება ჩვენთვის გამოსადეგი და ხელსაყრელი. როცა ბრძოლის ყველა საშუალებას არა ვართ დაუფლებული, შეიძლება განვიცადოთ უდიდესი დამარცხება — ზოგჯერ გადამწყვეტიც კი, — თუ სხვა კლასების მდგომარეობაში ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ცვლილებანი დღის წესრიგში დააყენებენ მოღვაწეობის ისეთ ფორმას, რომელშიც ჩვენ განსაკუთრებით სუსტი ვართ. როცა დაუფლებული ვართ ბრძოლის ყველა საშუალებას, აუცილებლად გავიმარჯვებთ, რაკი წარმოვადგენთ ნამდვილად მოწინავე, ნამდვილად რევოლუციური კლასის ინტერესებს, თუნდაც გარემოებამ საშუალება არ მოგვცეს ვიხმაროთ ისეთი იარაღი, რომელიც ყველაზე უფრო საშიშია მტრისათვის, იარაღი, რომელიც ყველაზე სწრაფად აყენებს მას მომაკვდინებელ ჭრილობებს. გამოუცდელ რევოლუციონერებს ხშირად ჰგონიათ, რომ ბრძოლის ლეგალური საშუალებანი

ოპორტუნისტულია, რადგან ბურჟუაზია ამ ასპარეზზე განსაკუთრებით ხშირად (უმეტესად «მშვიდობიან», არა რევოლუციურ დროს) ატყუებდა და აბრიყვებდა მუშებს; — ბრძოლის არალეგალური საშუალებანი კი რევოლუციურია. მაგრამ ეს არ არის მართალი. მართალია ის, რომ ოპორტუნისტები და მუშათა კლასის მოღალატეები არიან ის პარტიები და ბელადები, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არა სურთ (ნუ იტყვი: არ შემიძლია, თქვი: არ მინდა) გამოიყენონ ბრძოლის არალეგალური საშუალებანი, მაგალითად, ისეთ პირობებში, როგორიც იყო 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს, როცა ყველაზე თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნების ბურჟუაზია უმაგალითოდ თავხედურად და სასტიკად ატყუებდა მუშებს, კრძალავდა სიმართლის თქმას ომის მძარცველური ხასიათის შესახებ. მაგრამ რევოლუციონერები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ ბრძოლის არალეგალური ფორმები ყველა ლეგალურ ფორმასთან შეაერთონ, მეტად ცუდი რევოლუციონერები არიან. ძნელი არ არის რევოლუციონერობა მაშინ, როცა რევოლუცია უკვე დაიწყო და გაჩაღდა, როცა რევოლუციას ემხრობა ყველა, უბრალო გატაცების გამო, მოდის გამო, ზოგჯერ პირადი კარიერის ინტერესების გამოც. ასეთი ვაი-რევოლუციონერებისაგან «განთავისუფლება» პროლეტარიატს შემდეგ, როცა გაიმარჯვებს, უმძიმეს ჯაფად, შეიძლება ითქვას, მწარე ტანჯვად უჯდება. გაცილებით უფრო ძნელია — და გაცილებით უფრო ძვირფასია—შეგეძლოს იყო რევოლუციონერი, როცა ჯერ კიდევ არ არის პირობები პირდაპირი, აშკარა, ნამდვილად მასობრივი, ნამდვილად რევოლუციური ბრძოლისათვის, შეგეძლოს დაიცვა რევოლუციის ინტერესები (პროპაგანდისტული, აგიტაციური, ორგანიზაციული მხრივ) არარევოლუციურ, ხოლო ხშირად პირდაპირ რეაქციულ დაწესებულებებში, არარევოლუციურ ვითარებაში, ისეთ მასაში, რომელსაც არ ძალუძს დაუყოვნებლივ მიხვდეს მოქმედების რევოლუციური მეთოდის საჭიროებას. შეგწევდეს იმის უნარი, რომ მიაგნო მოვლენათა კონკრეტულ გზას, გამო-

ნახო, სწორად განსაზღვრო ეს გზა ან მათი განსაკუთრებული მობრუნება, რომელსაც მასები ნამდვილ, გადამწყვეტ, უკანასკნელ, დიად რევოლუციურ ბრძოლამდე მ ი ჰ ყ ა ვ ს, — ეს არის მთავარი ამოცანა თანამედროვე კომუნიზმისა დასავლ. ევროპასა და ამერიკაში.

მაგალითი: ინგლისი. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ — და არავის არ ძალუძს წინასწარ განსაზღვროს, — რამდენად მალე გაჩაღდება იქ ნამდვილი პროლეტარული რევოლუცია და ყველაზე მეტად რ ა ს ა ბ ა ბ ი გააღვიძებს, აღაგზნებს, საბრძოლველად გამოიყვანს ძალიან ფართო მასებს, რომლებსაც ჯერ კიდევ სძინავთ. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ მთელი ჩვენი მოსამზადებელი მუშაობა ისე ვაწარმოოთ, რომ ოთხივე ფეხი დაჭედილი გვქონდეს (როგორც უყვარდა თქმა განსვენებულ პლეხანოვს, როცა იგი მარქსისტი და რევოლუციონერი იყო). შესაძლოა, «გარღვევა» გამოიწვიოს, «ყინული გატეხოს» საპარლამენტო კრიზისმა; შესაძლოა, — კრიზისმა, რომელიც გამომდინარეობს უკიდურესად დახლართულ კოლონიურ და იმპერიალისტურ წინააღმდეგობათაგან, რაც სულ უფრო მტკივნეულად იჩენს თავს და მწვავდება; შესაძლოა,— რაიმე მესამემ და ა. შ.. ჩვენ იმაზე კი არ ვლაპარაკობთ, თუ როგორი ბრძოლა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ს პროლეტარული რევოლუციის ბედს ინგლისში (ეს საკითხი არც ერთ კომუნისტს არ აეჭვებს, ეს საკითხი ყველა ჩვენგანისათვის გადაჭრილია და მტკიცედ არის გადაჭრილი), ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ს ა ბ ა ბ ზ ე, რომელიც აამოძრავებს პროლეტართა მასებს, რომლებსაც ახლა ჯერ კიდევ სძინავთ, და უშუალოდ რევოლუციამდე მიიყვანს მათ. ნუ დავივიწყებთ, რომ, მაგალ., საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ისეთ ვითარებაში, რომელიც საერთაშორისო მხრივაც და საშინაო მხრივაც ასჯერ უფრო ნაკლებ რევოლუციური იყო, ვიდრე ახლაა, ხალხის უშუალოდ მისაყვანად სამოქალაქო ომამდე საკმარისი აღმოჩნდა ისეთი «მოულოდნელი» და ისეთი «წვრილმანი» საბაბი, როგორიც იყო რეაქციული სამხედრო ხროვის ერთი

არაკეთილსინდისიერი ოინი მრავალი ათასიდან (დრეიფუსის საქმე)!

ინგლისში კომუნისტები განუწყვეტლივ, შეუნელებლად, განუხრელად უნდა იყენებდნენ პარლამენტის არჩევნებსაც, ირლანდიის, კოლონიების მიმართ ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკის, მისი მსოფლიო-იმპერიალისტური პოლიტიკის ყველა პერიპეტიასაც და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დანარჩენ დარგსაც, სფეროსაც, მხარესაც, ყველაფერში უნდა მუშაობდნენ ახლებურად, კომუნისტურად, არა II ინტერნაციონალის, არამედ III ინტერნაციონალის სულისკვეთებით. აქ დრო და ადგილი არა მაქვს იმისათვის, რომ ავწერო პარლამენტის არჩევნებსა და საპარლამენტო ბრძოლაში «რუსული», «ბოლშევიკური» მონაწილეობის ხერხები, მაგრამ შეიძლია დავარწმუნო უცხოელი კომუნისტები, რომ ეს სრულებით არ ჰგავდა დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივ საპარლამენტო კამპანიებს. აქედან ხშირად გამოჰყავთ დასკვნა: «ეგ თქვენში, რუსეთშია აგრე, ჩვენში კი სხვანაირი პარლამენტარიზმიაო». დასკვნა არასწორია. სწორედ იმიტომ არსებობენ ქვეყნად კომუნისტები, იმიტომ არსებობენ III ინტერნაციონალის მომხრეები ყველა ქვეყანაში, რომ მთელი ხაზით, ცხოვრების ყველა დარგში გარდაქმნან ძველი სოციალისტური, ტრედ-უნიონისტური, სინდიკალისტური, საპარლამენტო მუშაობა ახალ, კომუნისტურ მუშაობად. ჩვენს არჩევნებშიც ყოველთვის ძალიან და ძალიან საკმარისი იყო ხოლმე ოპორტუნისტული და წმინდა-ბურჟუაზიული, საქმოსნური, თაღლითურ-კაპიტალისტური. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში კომუნისტებმა უნდა ისწავლონ ახალი, უჩვეულო, არაოპორტუნისტული, არაკარიერისტული პარლამენტარიზმის შექმნა: რომ კომუნისტების პარტია იძლეოდეს თავის ლოზუნგებს, რომ ნამდვილი პროლეტარები დაურაზმავ და მთლად დაბეჩავებულ ღარიბთა დახმარებით ფანტავდნენ და ავრცელებდნენ ფურცლებს, დადიოდნენ მუშათა ბინებში, სოფლის პროლეტართა და მიყრუებული სოფლების გლეხთა ქოხებში, (ევროპაში, საბედნიეროდ, ბევრად უფრო

ნაკლებია მიყრუებული სოფლები, ვიდრე ჩვენში, ხოლო ინგლისში ისინი სულ ცოტაა), დადიოდნენ სამიკიტნოებში, სადაც სულ უბრალო ხალხი იყრის თავს, შედიოდნენ სულ უბრალო ხალხის კავშირებში, საზოგადოებებში, შემთხვევითს კრებებზე, ელაპარაკებოდნენ ხალხს არა მეცნიერულად (და არცთუ ძალიან პარლამენტურად), ოდნავადაც არ ისახავდნენ მიზნად პარლამენტში «ადგილის» მიღებას, არამედ ყველგან აღვიძებდნენ აზრს, იზიდავდნენ მასას, სიტყვაში იჭერდნენ ბურჟუაზიას, იყენებდნენ მის მიერ შექმნილ აპარატს, მის მიერ დანიშნულ არჩევნებს, მის მოწოდებებს მთელი ხალხისადმი, აცნობდნენ ხალხს ბოლშევიზმს ისე, როგორც არასოდეს არ ხერხდებოდა მისი გაცნობა (ბურჟუაზიის ბატონობის დროს), თუ არჩევნების ვითარება არ იყო (გარდა, რა თქმა უნდა, დიდი გაფიცვების მომენტისა, როცა საყოველთაო-სახალხო აგიტაციის ა ს ე თ ი ვ ე აპარატი ჩვენში კიდევ უფრო ინტენსიურად მუშაობდა). ამის გაკეთება დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მეტად ძნელია, ძალიან და ძალიან ძნელია, მაგრამ ეს შეიძლება გაკეთდეს და უნდა გაკეთდეს, ვინაიდან უშრომლად კომუნიზმის ამოცანები საერთოდ არ შეიძლება გადაიჭრას, ხოლო შრომა საჭიროა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც სულ უფრო ძრავალფეროვანია, სულ უფრო დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგთან, სულ უფრო ა რ თ მ ე ვ ს ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა ს დარგს დარგზე.

იმავე ინგლისში ასევე ახლებურად (არა სოციალისტურად, არამედ კომუნისტურად, არა რეფორმისტულად, არამედ რევოლუციურად) უნდა იქნას დაყენებული ჯარში და «თ ა ვ ი ს ი» სახელმწიფოს ჩაგრულ და არასრულუფლებიან ეროვნებებს შორის (ირლანდია, კოლონიები) საპროპაგანდო, სააგიტაციო, ორგანიზაციული მუშაობა. ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეს დარგი საერთოდ იმპერიალიზმის ეპოქაში, ხოლო ახლა, ომის შემდეგ, რომელმაც დატანჯა ხალხები და რომელმაც სწრაფად აუხილა თვალი სიმართლეზე (სახელდობრ: რომ ათეულ მილიონობით ადამიანი

დაიხოცა და დასახიჩრდა მხოლოდ იმ საკითხის გადასაჭრელად, თუ ვინ უფრო მეტი ქვეყნები უნდა ძარცვოს — ინგლისელმა თუ გერმანელმა მტაცებლებმა), — საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეს დარგი განსაკუთრებით ივსება საწყალი მასალით და განსაკუთრებით ბევრ საბაბს ქმნის კონფლიქტებისათვის, კრიზისებისათვის, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისათვის. ჩვენ არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ, რომელი ნაპერწკალი — იმ უამრავი ნაპერწკლებიდან, რომლებიც ახლა, ეკონომიური და პოლიტიკური მსოფლიო კრიზისის გავლენით ყოველი მხრიდან ცვივა ყველა ქვეყანაში, — შეძლებს დაანთოს ხანძარი, მასების განსაკუთრებული გამოღვიძების აზრით, და ამიტომ მოვალენი ვართ ჩვენი ახალი, კომუნისტური პრინციპებით შევუდგეთ ყველა და ყოველგვარი, თუნდაც ყველაზე ძველი, დახავსებული და თითქოს უიმედო ასპარეზების «დამუშავებას», რადგან უამისოდ არ ვიქნებით ამოცანის სიმაღლეზე, არ ვიქნებით ყოველმხრივნი, ვერ დავეუფლებით ყველა სახის იარაღს, ვერ მოვემზადებით ვერც იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ ბურჟუაზიაზე (რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე მოაწყო, — ხოლო ახლა კიდევაც დაშალა — ბურჟუაზიულად), ვერც იმისათვის, რომ ამ გამარჯვების შემდეგ მოვახდინოთ მთელი ცხოვრების მომავალი კომუნისტური რეორგანიზაცია.

მას შემდეგ, რაც რუსეთში პროლეტარული რევოლუცია მოხდა და ამ რევოლუციას მოჰყვა ბურჟუაზიისა და ფილისტერებისათვის მოულოდნელი საერთაშორისო მასშტაბის გამარჯვებანი, მთელი მსოფლიო ახლა სხვანაირი გახდა, ბურჟუაზიაც ყველგან სხვანაირი გახდა. იგი დაშინებულია «ბოლშევიზმით», თითქმის გაგიჟებამდეა გაბოროტებული მის წინააღმდეგ, და სწორედ ამიტომ იგი, ერთი მხრივ, აჩქარებს მოვლენათა განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ — მთავარ ყურადღებას აქცევს ბოლშევიზმის ძალდატანებით ჩახშობას და ამით ასუსტებს თავის პოზიციას მთელ რიგ სხვა ასპარეზებზე. ყველა მოწინავე ქვეყნის კომუნისტებმა თავიანთ ტაქტიკაში ორივე ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ.

როცა რუსმა კადეტებმა და კერენსკიმ ბოლშევიკების წინააღმდეგ გააფთრებული დევნა გააჩაღეს — განსაკუთრებით 1917 წლის აპრილიდან და უფრო მეტად 1917 წლის ივნისსა და ივლისში, — მათ «გადაამლაშეს». მილიონ ცალობით ბურჟუაზიულმა გაზეთებმა, რომლებიც ყოველნაირად გაჰყვიროდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, შეუწყეს ხელი მასების ჩაბმას ბოლშევიზმის შეფასებაში, ხოლო გაზეთებს გარდა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ხომ სწორედ ბურჟუაზიის «გულმოდგინების» მეოხებით იმსჭვალებოდა ბოლშევიზმის შესახებ კამათით. ახლა ყველა ქვეყნის მილიონერები საერთაშორისო მასშტაბით ისე იქცევიან, რომ ჩვენ სულით და გულით მადლობელი უნდა ვიყოთ მათი. ისინი ისეთივე გულმოდგინებით სდევნიან ბოლშევიზმს, როგორც სდევნიდნენ მას კერენსკი და კომპანია; ამასთან ისინი ისევე «ამლაშებენ» და ისევე გვეხმარებიან, როგორც კერენსკი. როცა საფრანგეთის ბურჟუაზია ბოლშევიზმს საარჩევნო აგიტაციის ცენტრალურ პუნქტად ხდის და ბოლშევიზმისათვის ლანძღავს შედარებით ზომიერ ან მერყევ სოციალისტებს; — როცა ამერიკის ბურჟუაზია, რომელსაც სრულიად აებნა თავგზა, აპატიმრებს ათასობით ადამიანებს, რადგან ეჭვი შეაქვს მათს ბოლშევიკობაში, და ბოლშევიკურ შეთქმულებათა შესახებ ხმების ყველგან გავრცელებით ქმნის პანიკის ატმოსფეროს; — როცა ინგლისის ბურჟუაზია, რომელიც «ყველაზე დარბაისლურია» მსოფლიოში, მთელი თავისი ჭკუისა და გამოცდილების მიუხედავად დაუჯერებელ სისულელეებს სჩადის, აარსებს უმდიდრეს «საზოგადოებებს ბოლშევიზმთან საბრძოლველად», ქმნის სპეციალურ ლიტერატურას ბოლშევიზმის შესახებ, ბოლშევიზმთან საბრძოლველად დამატებით ქირაობს მეცნიერებს, აგიტატორებს, ხუცებს, — ჩვენ თავს უნდა ვუკრავდეთ ბატონ კაპიტალისტებს და მადლობას ვუხდიდეთ მათ. ისინი ჩვენთვის მუშაობენ. ისინი გვეხმარებიან მასების დაინტერესებაში ბოლშევიზმის არსისა და მნიშვნელობის საკითხით. და ისინი სხვანაირად ვერც მოიქცევიან,

რადგან ბოლშევიზმის «მიჩქმალვა», მისი ჩახშობა მათ ვ ე ღ ა რ შეძლეს.

მაგრამ ამასთანავე ბურჟუაზია ბოლშევიზმში მის თითქმის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავს: აჯანყებას, ძალადობას, ტერორს; ამიტომ ბურჟუაზია ცდილობს წინააღმდეგობის გასაწევად განსაკუთრებით ა მ ასპარეზზე მოემზადოს. შესაძლოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ცალკეულ ქვეყნებში, დროის ამა თუ იმ მცირე მანძილზე, მან ეს მოახერხოს: ასეთ შესაძლებლობას ანგარიში უნდა გავუწიოთ, და ჩვენთვის ის გარემოება, რომ იგი ამას მოახერხებს, სრულიადაც არ არის საშინელი. კომუნიზმის «აღმოცენება» ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში, მისი ყლორტები სულ ყველგან არის, «სენი» (თუ ვიხმართ ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული პოლიციის ამოჩემებულ და მისთვის ყველაზე «სასიამოვნო» შედარებას) ძალიან მაგრად შეიჭრა ორგანიზმში და ეთელ ორგანიზმს მოედო. თუ განსაკუთრებული გულმოდგინებით «დაგმანავენ» ერთ-ერთ ხვრელს, — «სენი» სხვა, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ გამოსავალს იპოვნის. ცხოვრება თავისას გაიტანს. დაე ბურჟუაზია ბორგავდეს, ბრაზობდეს და ცოფებს ყრიდეს, ამლაშებდეს, სისულელეებს სჩადიოდეს, წინასწარ იძიებდეს შურს ბოლშევიკებზე და ცდილობდეს დამატებით გაჟლიტოს (ინდოეთში, უნგრეთში, გერმანიაში და სხვ.) ასობით, ათასობით, ასეულ ათასობით ხვალინდელი თუ გუშინდელი ბოლშევიკები: ასე რომ იქცევა, ბურჟუაზია იქცევა ისე, როგორც იქცეოდა ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული ყველა კლასი. კომუნისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მომავალი ყოველ შემთხვევაში მათ ეკუთვნით, და ამიტომ დიად რევოლუციურ ბრძოლაში უდიდესი მგზნებარება ჩვენ შეგვიძლია (და უნდა) შევაერთოთ ბურჟუაზიის გააფთრებული ბორგვის უაღრესად დინჯ და ფხიზელ გათვალისწინებასთან. რუსეთის რევოლუცია სასტიკად დაამარცხეს 1905 წელს; რუსი ბოლშევიკები დაამარცხეს 1917 წლის ივლისში; 15 000-ზე მეტი გერმანელი კომუნისტი გაჟლიტეს შეიდემანისა და ნოსკეს ოსტა-

ტური პროვოკაციისა და მოხერხებული მანევრების საშუალებით, რასაც ისინი ბურჟუაზიასთან და მონარქისტ გენერლებთან ერთად აწყობდნენ; ფინეთსა და უნგრეთში თეთრი ტერორი მძვინვარებს. მაგრამ ყველა შემთხვევაში და ყველა ქვეყანაში კომუნიზმი იწრთობა და იზრდება; მისი ფესვები იმდენად ღრმაა, რომ დევნა კი არ ასუსტებს, კი არ აუძლურებს მას, არამედ აძლიერებს. მხოლოდ ერთი რამ გვაკლია იმისათვის, რომ უფრო მეტი რწმენით და მტკიცედ წავიდეთ გამარჯვებისაკენ, სახელდობრ ის, რომ ყველგან, ყველა ქვეყნის ყველა კომუნისტს ბოლომდე მოფიქრებული და შეგნებული ჰქონდეს ძაქსიმალურად მ ო ქ ნ ი ლ ი ტაქტიკის აუცილებლობა. დიდებულად მზარდ კომუნიზმს, განსაკუთრებით მოწინავე ქვეყნებში, ახლა აკლია ეს შეგნება და პრაქტიკაში ამ შეგნების გამოყენების უნარი.

სასარგებლო გაკვეთილი შეიძლებოდა ყოფილიყო (და უნდა ყოფილიყო) ის, რაც დაემართათ II ინტერნაციონალის ისეთ დიდად განსწავლულ მარქსისტებს და სოციალიზმის ერთგულ ბელადებს, როგორიც იყვნენ კაუცკი, ოტო ბაუერი და სხვ.. მათ სავსებით შეგნებული ჰქონდათ მოქნილი ტაქტიკის აუცილებლობა, ისინი სწავლობდნენ და სხვებსაც ასწავლიდნენ მარქსის დიალექტიკას (და ბევრი რამ იქიდან, რაც მათ ამ მხრივ გააკეთეს, სამუდამოდ დარჩება სოციალისტური ლიტერატურის ძვირფას შენაძენად), მაგრამ ამ დიალექტიკის გ ა მ ო ყ ე ნ ებ ა შ ი მათ ისეთი შეცდომა დაუშვეს ანუ პრაქტიკაში ისეთი ა რ ა დიალექტიკოსები აღმოჩნდნენ, იმ ზომამდე ვერ შეძლეს გაეთვალისწინებინათ ფორმების სწრაფი ცვლილება და ახალი შინაარსით ძველი ფორმების სწრაფად ავსება, რომ მათი ბედი ცოტათი თუა ჰაინდმანის, გედისა და პლეხანოვის ბედზე უფრო სახარბიელო. მათი გაკოტრების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მათ «თვალი დარჩათ» მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის ზრდის ერთ გარკვეულ ფორმაზე, დაავიწყდათ მისი ცალმხრიობა, შეეშინდათ დაენახათ ის მკვეთრი გარდატეხა, რომელიც ობიექტური პირობების გამო გარდუვალი გახდა, და განაგრძობდნენ უბრალო,

დაზეპირებულ, ერთი შეხედვით უდავო ჭეშმარიტებათა მტკიცებას: სამი ორზე მეტია. მაგრამ პოლიტიკა ალგებრას უფრო მეტად ჰგავს, ვიდრე არითმეტიკას, და კიდევ უფრო მეტად — უმაღლეს მათემატიკას, ვიდრე უდაბლესს.] სინამდვილეში სოციალისტური მოძრაობის ყველა ძველი ფორმა ახალი შინაარსით გაივსო, ამიტომ ციფრების წინ გაჩნდა ახალი ნიშანი: «მინუსი», ჩვენი ბრძენები კი დაჟინებით განაგრძობდნენ (და განაგრძობენ) თავიანთი თავისა და სხვების დარწმუნებას, «მინუს სამი» მეტია, ვიდრე «მინუს ორია».

უნდა ვეცადოთ, რომ კომუნისტებმა არ გაიმეორონ იგივე შეცდომა, მხოლოდ მეორე მხრივ, ან, უფრო სწორად, — რომ რაც შეიძლება მალე გამოასწორონ და რაც შეიძლება სწრაფად, ორგანიზმისათვის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ აღმოფხვრან ი გ ი ვ ე შ ე ც დ ო მ ა, რასაც სჩადიან, მხოლოდ მეორე მხრივ, «მემარცხენე» კომუნისტები. არა მარტო მემარჯვენე დოქტრინიორობაა შეცდომა, მემარცხენე დოქტრინიორობაც შეცდომაა. რა თქმა უნდა, კომუნიზმში მემარცხენე დოქტრინიორობის შეცდომა, ამჟამად, ათასჯერ უფრო ნაკლებ საშიში და ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მემარჯვენე დოქტრინიორობის (ე. ი. სოციალ-შოვინიზმისა და კაუცკელობის) შეცდომა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმიტომ არის ასე, რომ მემარცხენე კომუნიზმი სრულიად ახალგაზრდა მიმდინარეობაა, რომელიც ეს-ეს არის ისახება. მხოლოდ ამიტომ შეიძლება, რომ სენი, გარკვეულ პირობებში, ადვილად განიკურნოს, და საჭიროა მის განკურნებას მაქსიმალური ენერგიით შევუდგეთ.

ძველი ფორმები დაიმსხვრა, რადგან აღმოჩნდა, რომ მათმა ახალმა შინაარსმა — ანტიპროლეტარულმა, რეაქციულმა შინაარსმა — უზომო განვითარებას მიაღწია. ჩვენში ახლა, საერთაშორისო კომუნიზმის განვითარების თვალსაზრისით, მუშაობის (საბჭოთა ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის მუშაობის) ისეთი მტკიცე, ისეთი ძლიერი, ისეთი მძლავრი შინაარსია, რომ მას შეუძლია იჩინოს და კ ი დ ე ვ ა ც უ ნ დ ა იჩინოს თავი ყოველი, როგორც ახალი,

ისე ძველი ფორმით, შეუძლია და კიდევაც უნდა გარდაქმნას, დაამარცხოს, დაიმორჩილოს ყველა, არა მარტო ახალი, არამედ აგრეთვე ძველი ფორმა — არა იმიტომ, რომ ძველს შეურიგდეს, არამედ იმიტომ, რომ შეეძლოს ყველა და ყოველგვარი, ახალი და ძველი ფორმები გახადოს კომუნიზმის სრული და საბოლოო, გადამწყვეტი და სამუდამო გამარჯვების იარაღად.

კომუნისტებმა ყველა ღონისძიება უნდა იხმარონ, რათა მუშათა მოძრაობა და საერთოდ საზოგადოებრივი განვითარება ყველაზე პირდაპირი და ყველაზე სწრაფი გზით წარმართონ საბჭოთა ხელისუფლების მსოფლიო გამარჯვებისაკენ და პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ საკმარისია შემდგომ გადაიდგას მცირე ნაბიჯი — თითქოს, ნაბიჯი იმავე მიმართულებით — და ჭეშმარიტება შეცდომად გადაიქცევა. საკმარისია ითქვას, როგორც გერმანელი და ინგლისელი მემარცხენე კომუნისტები ამბობენ, რომ ჩვენ ვცნობთ მხოლოდ ერთ, მხოლოდ პირდაპირ გზას, რომ ჩვენ დაუშვებლად ვიგვაჩნია მანევრირება, შემთანხმებლობა, კომპრომისები, და ეს უკვე შეცდომა იქნება, რომელსაც შეუძლია უაღრესად სერიოზული ზიანი მოუტანოს კომუნიზმს, ნაწილობრივ უკვე მოუტანა და მოაქვს. მემარჯვენე დოქტრინიორობა ჯიუტად იცავს მარტო ძველი ფორმების აღიარებას და ბოლომდე გაკოტრდა ისე, რომ ახალი შინაარსი არ შეუმჩნევია. მემარცხენე დოქტრინიორობა ჯიუტად იცავს გარკვეული ძველი ფორმების აუცილებელ უარყოფას და ვერ ხედავს, რომ ახალი შინაარსი გზას იკაფავს ყველა და ყოველგვარი ფორმით, რომ ჩვენი, როგორც კომუნისტების, მოვალეობაა დავეუფლოთ ყველა ფორმას, ვისწავლოთ ის, რომ მაქსიმალური სისწრაფით შევავსოთ ერთი ფორმა მეორით, შევცვალოთ ერთი ფორმა მეორით, შევუგუოთ ჩვენი ტაქტიკა ყველა ისეთ ცვლილებას, რომელიც ჩვენი კლასის მიერ ან ჩვენი ღონისძიებებით როდია გამოწვეული.

მსოფლიო რევოლუციას ისეთი მძლავრი ბიძგი აქვს მიცემული და იგი ისე დაჩქარებულია მსოფლიო იმპერიალისტური

ომის საშინელებებით, საზიზღრობითა და სისაძაგლით, ამ ომის მიერ შექმნილი გამოუვალი მდგომარეობით, — ეს რევოლუცია ფართოვდება და ღრმავდება ისეთი შესანიშნავი სისწრაფით, ფორმების ცვლის ისეთი დიდებული სიუხვით, ყოველგვარი დოქტრინიორობის ისეთი საგულისხმო პრაქტიკული უარყოფით, რომ ყველა საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა სწრაფად და სავსებით განიკურნება «მემარცხენე» კომუნიზმის საყმაწვილო სენისაგან.

27. IV. 1920.

დამატება

სანამ გამომცემლობები ჩვენს ქვეყანაში, — რომელიც პროლეტარული რევოლუციის გამო შურისსაძიებლად გაძარცვეს მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებმა და რომლის ძარცვასა და ბლოკირებას ისინი განაგრძობენ, მიუხედავად ყოველგვარი დაპირებებისა, რასაც თავიანთ მუშებს აძლევენ, — სანამ ჩვენი გამომცემლობები თავს გაართმევდნენ ჩემი ბროშურის გამოცემის ამოცანას, საზღვარგარეთიდან დამატებითი მასალა მოვიდა. მოკლედ შევეხები ზოგიერთ პუნქტს, ამასთან მე სრულიადაც არა მაქვს პრეტენზია, რომ ჩემს ბროშურაში პუბლიცისტის სახელდახელო შენიშვნებზე მეტი რამ იქნება.

I

გერმანელი კომუნისტების გათიშვა

გერმანიაში კომუნისტების გათიშვა ფაქტი გახდა. «მემარცხენეებმა» ანუ «პრინციპულმა ოპოზიციამ», «კომუნისტური პარტიისაგან» განსხვავებით, განსაკუთრებული «კომუნისტური მუშათა პარტია» შექმნეს. იტალიაშიც საქმე, ჩანს, გათიშვისაკენ მიდის, — ჩანს-მეთქი, ვამბობ, რადგან მემარცხენე გაზეთის «სოვეტის» («Il Soviet») მხოლოდ დამატებითი ნომრები (№№ 7 და 8) მაქვს, სადაც აშკარად არის მსჯელობა გათიშვის შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე, ამასთან ლაპარაკია აგრეთვე «აბსტენციონისტების» (ანუ ბოიკოტისტების, ე. ი. პარლამენტში მონაწილეობის მოწინააღმდეგეების) ფრაქციის -ყრილობაზე; ეს ფრაქცია დღემდე შედის იტალიის სოციალისტურ პარტიაში.

შეიძლება ვშიშობდეთ, რომ გათიშვა «მემარცხენეებთან», ანტიპარლამენტარებთან (ნაწილობრივ აგრეთვე ანტიპოლიტიკოსებთან, პოლიტიკური პარტიისა და პროფკავშირებში მუშაობის მოწინააღმდეგეებთან) ინტერნაციონალური მოვლენა გახდება, ისევე როგორც გათიშვა «ცენტრელებთან» (ანუ კაუცკელებთან, ლონგეტისტებთან, «დამოუკიდებლებთან» და სხვ.). დაე ასე იყოს. გათიშვა მაინც უმჯობესია, ვიდრე დაბნეულობა, რომელიც ხელს უშლის პარტიის იდეურ,

თეორიულ, რევოლუციურ ზრდას, ხელს უშლის პარტიის მომწიფებას და მის შეთანხმებულ, ნამდვილად ორგანიზებულ პრაქტიკულ მუშაობას, რომელიც ნამდვილად ამზადებს პროლეტარიატის დიქტატურას.

დაე «მემარცხენეებმა» საქმით, ნაციონალური და ინტერნაციონალური მასშტაბით, გამოსცადონ თავიანთი თავი, დაე სინჯონ პროლეტარიატის დიქტატურის მომზადება (ხოლო შემდეგ განხორციელებაც) ისე, რომ არ ჰყავდეთ მტკიცედ ცენტრალიზებული, რკინისებური დისციპლინის მქონე პარტია, არ ჰქონდეთ უნარი დაეუფლონ პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ყველა ასპარეზს, დარგს, ნაირსახეობას. პრაქტიკული გამოცდილება სწრაფად ასწავლის მათ.

ოღონდ საჭიროა მთელი ძალ-ღონის გამოყენება იმისათვის, რომ «მემარცხენეებთან» გათიშვამ არ გაძნელოს ან რაც შეიძლება ნაკლებად გააძნელოს ახლო მომავალში გარდუვალად მოსალოდნელი და აუცილებელი გაერთიანება ერთ პარტიად მუშათა მოძრაობის ყველა მონაწილისა, რომლებიც გულწრფელად და კეთილსინდისიერად ემხრობიან საბჭოთა ხელისუფლებას და პროლეტარიატის დიქტატურას. რუსეთში ბოლშევიკების განსაკუთრებული ბედნიერება ის იყო, რომ მათ 15 წელიწადი ჰქონდათ როგორც მენშევიკების (ე. ი. ოპორტუნისტებისა და «ცენტრელების») წინააღმდეგ, ისე «მემარცხენეების» წინააღმდეგ სისტემატური და ბოლომდე მიყვანილი ბრძოლისათვის, — ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის უშუალო მასობრივი ბრძოლის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე. ევროპასა და ამერიკაში ახლა საჭირო ხდება ამავე სამუშაოს შესრულება «დაჩქარებული ტემპებით». ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ბელადობის უხეირო პრეტენდენტთა რიცხვიდან, შეუძლიათ (თუ მათ არ ეყოფათ პროლეტარული დისციპლინიანობა და «საკუთარ თავთან პატიოსნება») დიდხანს ჯიუტად დაიცვან თავიანთი შეცდომები, მაგრამ როცა მომენტი მომწიფდება, მუშათა მასები ადვილად და სწრაფად გაერთიანდებიან თვითონ და გააერთიანებენ ყველა გულწრფელ კომუნისტს ერთ-

პარტიად, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს საბჭოთა წყობილება და პროლეტარიატის დიქტატურა *.

II

კომუნისტები და დამოუკიდებლები გერმანიაში

ბროშურაში მე აზრი გამოვთქვი, რომ კომუნისტებსა და დამოუკიდებელთა მემარცხენე ფრთას შორის კომპრომისი საჭირო და სასარგებლოა კომუნიზმისათვის, მაგრამ ამ კომპრომისის განხორციელება ადვილი როდი იქნება-მეთქი. გაზეთების ნომრებმა, რომლებიც მას შემდეგ მივიღე, დაადასტურეს როგორც ერთი, ისე მეორე აზრი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცეკას ორგანოს, «წითელი დროშის» № 32-ში

* «მემარცხენე» კომუნისტების, ანტიპარლამენტარების, საერთოდ კომუნისტებთან მომავალი შეერთების საკითხზე კიდევ შემდეგს აღვნიშნავ. რამდენადაც მე შევძელი გავცნობოდი გერმანიის «მემარცხენე» კომუნისტების და საერთოდ კომუნისტების გაზეთებს, პირველთ ის უპირატესობა აქვთ, რომ მათ უკეთ იციან მასებში აგიტაციის გაწევა, ვიდრე მეორეებმა. ანალოგიური რამ არა ერთხელ მინახავს — მხოლოდ ნაკლები მასშტაბით და ცალკეულ ადგილობრივ ორგანიზაციებში, და არა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით — ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში. მაგალითად, 1907—1908 წლებში «მემარცხენე» ბოლშევიკები ზოგჯერ და ადგილ-ადგილ მეტი წარმატებით, ვიდრე ჩვენ, ეწეოდნენ აგიტაციას მასებში. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ რევოლუციურ მომენტში ან რევოლუციის შესახებ ცოცხალ მოგონებათა დროს მასასთან მისვლა უფრო ადვილია «უბრალო» უარყოფის ტაქტიკით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ადასტურებს ასეთი ტაქტიკის სისწორეს. ყოველ შემთხვევაში სრულიად უეჭველია, რომ კომუნისტური პ ა რ ტ ი ა, რომელსაც სურს ნამდვილად იყოს რევოლუციური კ ლ ა ს ი ს, პროლეტარიატის ავანგარდი, მოწინავე რაზმი და რომელსაც, გარდა ამისა, სურს ისწავლოს არა მარტო პროლეტარული, არამედ აგრეთვე ა რ ა პროლეტარული ფართო მ ა ს ი ს, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასის ხელმძღვანელობა, მოვალეა იცოდეს რაც შეიძლება უფრო მისაწვდომი, რაც შეიძლება უფრო გასაგები, რაც შეიძლება უფრო ნათელი და ცოცხალი პროპაგანდაც, ორგანიზებაც, აგიტაციაც როგორც ქალაქის, ფაბრიკის «ქუჩისათვის», ისე სოფლისათვის.

(«Die Rote Fahne», Zentralorgan der Kommun. Partei Deutschlands, Spartacusbund*, 26. III. 1920) მოთავსებულია ამ ცეკას «განცხადება» კაპ-ლიუტვიცის სამხედრო «პუტშის» (შეთქმულების, ავანტიურის) და «სოციალისტური მთავრობის» საკითხზე. ეს განცხადება სავსებით სწორია ძირითადი წანამძღვრის თვალსაზრისითაც და პრაქტიკული დასკვნის თვალსაზრისითაც. ძირითადი წანამძღვარი ის არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურას ამჟამად არა აქვს «ობიექტური საფუძველი», ვინაიდან «ქალაქის მუშების უმრავლესობა» დამოუკიდებლებს ემხრობა. დასკვნა: «ლოიალური ოპოზიციის» დაპირება (ე. ი. «ძალდატანებითი დამხობის» მომზადებაზე უარისთქმა) «სოციალისტური» მთავრობისათვის, «როცა გამორიცხული არიან ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური პარტიები».

ტაქტიკა, უეჭველია, ძირითადად სწორია. მაგრამ თუ საჭირო არ არის შევჩერდეთ ფორმულირების წვრილმან უზუსტობებზე, მაინც არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმას, რომ არ შეიძლება «სოციალისტური» ეწოდოს (კომ. პარტიის ოფიციალურ განცხადებაში) სოციალ-გამცემთა მთავრობას, რომ არ შეიძლება ლაპარაკი «ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური პარტიების» გამორიცხვაზე, როცა როგორც შეიდემანების, ისე ბ-ნ კაუცკი-კრისპინების პარტიები წვრილ-ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიებია, არ შეიძლება ისეთი რამეების წერა, როგორიცაა განცხადების მე-4 პარაგრაფი, სადაც ნათქვამია:

«...კომუნიზმის მხარეზე პროლეტარული მასების შემდგომი მოზიდვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პროლეტარული დიქტატურის განვითარების თვალსაზრისით, ისეთ მდგომარეობას, როცა შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური თავისუფლების გამოყენება შეუზღუდავად და როცა ბურჟუაზიულ დემოკრატიას არ შეეძლებოდა გამოსულიყო როგორც კაპიტალის დიქტატურა...»

ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია. წვრილბურჟუაზიული ბელადები, გერმანელი ჰენდერსონები (შეიდემანები) და

* — სპარტაკის კავშირი. რ ე დ.

ნოუდენები (კრისპინები), არ სცილდებიან და ვერც გასცილ-დებიან ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებს, რომელიც, თავის მხრივ, არ შეიძლება კაპიტალის დიქტატურა არ იყოს. ეს პრინციპულად არასწორი და პოლიტიკურად მავნე რამ სულაც არ უნდა დაწერილიყო იმ პრაქტიკული შედეგის თვალსაზრისით, რომლის მიღწევასაც სავსებით სწორად ცდილობდა კომ. პარტიის ცეკა. ამისათვის საკმარისი იყო იმის თქმა (თუ გსურს პარლამენტურად თავაზიანი იყო), რომ: სანამ ქალაქის მუშების უმრავლესობა დამოუკიდებლებს მი-ჰყვება, ჩვენ, კომუნისტები, ხელს ვერ შევუშლით ამ მუშებს დაძლიონ თავიანთი უკანასკნელი მეშჩანურ-დემოკრატიული (ე. ი. იგივე «ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური») ილუზიები «თავიანთი» მთავრობის გამოცდილებით. ეს საკმარისია იმ კომპრომისის დასასაბუთებლად, რომელიც მართლაც საჭიროა და რომელიც იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გარკვეული დროით უარი ვთქვათ იმ მთავრობის ძალდატანებითი დამხო-ბის ცდებზე, რომელსაც ქალაქის მუშათა უმრავლესობა ენდობა. ყოველდღიურ, მასობრივ აგიტაციაში კი, რომელიც ოფიციალური, პარლამენტური თავაზიანობის ჩარჩოებით არ არის შებოჭილი, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა დაგვემატებინა: დაე შეიდემანებისთანა არამზადებმა და კაუცკი-კრისპინების-თანა ფილისტერებმა საქმით ცხადყონ, რამდენად გაბრიყვე-ბული არიან თვითონ და აბრიყვებენ მუშებს; მათი «სუფთა» მთავრობა «ყველაზე სუფთად» შეასრულებს სოციალიზმის, სოციალ-დემოკრატიზმის და სხვა სახეობათა სოციალ-გამცემ-ლობის ავგიოსის თავლების «დასუფთავების» ამ სამუშაოს.

«გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის» ახლანდელი ბელადების ნამდვილი ბუნება (იმ ბელადებისა, რომლებზეც უმართებულოდ ამბობენ, რომ მათ თითქოს უკვე დაკარგეს ყოველგვარი გავლენა და რომლებიც პროლეტარიატისათვის ნამდვილად უფრო საშიში არიან, ვიდრე უნგრელი სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც კომუნისტები დაირქვეს და პროლე-ტარიატის დიქტატურისათვის «მხარდაჭერის» პირობა დადეს) ერთხელ კიდევ გამომჟღავნდა გერმანული კორნილოვშჩინის,

ე. ი. ბ-ნების კაპისა და ლიუტვიცის გადატრიალების დროს *. მცირე, მაგრამ თვალსაჩინო ილუსტრაციას იძლევა კარლ კაუცკის სტატია «გადამწყვეტი წუთები» («Entscheidende Stunden»), რომელიც მოთავსებულია «Freiheit»-ში (დამოუკიდებელთა ორგანო, «თავისუფლება»), 30. III. 1920, და არტურ კრისპინის სტატია «პოლიტიკური სიტუაციის გამო» (14. IV. 1920, იქვე). ამ ვაჟბატონებს აბსოლუტურად არ შესწევთ უნარი იაზროვნონ და იმსჯელონ, როგორც რევოლუციონერებმა. ესენი არიან მოწუწუნე მეშჩანი დემოკრატები, რომლებიც პროლეტარიატისათვის ათასჯერ უფრო საშიში არიან, თუ თავიანთ თავს საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მომხრეებად აცხადებენ, ვინაიდან სინამდვილეში ისინი ყოველ მძიმე და საშიშ წუთს აუცილებლად ჩაიდენენ გამცემლობას... ამასთან «უაღრესად გულწრფელად» იქნებიან დარწმუნებულნი, რომ პროლეტარიატს ეხმარებიან! კომუნისტებად მონათლულ უნგრელ სოციალ-დემოკრატებსაც ხომ უნდოდათ «დახმარებოდნენ» პროლეტარიატს, როცა ლაჩრობისა და უხერხემლობის გამო საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა უნგრეთში უიმედოდ ჩათვალეს და აწუწუნდნენ ანტანტის კაპიტალისტთა აგენტებისა და ანტანტის ჯალათების წინაშე.

III

ტურატი და კომპანია იტალიაში

იტალიური გაზეთის «სოვეტის» ის ნომრები, რომლებიც ზემოთ არის აღნიშნული, სავსებით ადასტურებენ იმას, რაც ბროშურაში ვთქვი იტალიის სოციალისტური პარტიის შეცდომის შესახებ, პარტიისა, რომელიც თავის რიგებში ითმენს

---

* ეს მეტისმეტად ნათლად, მოკლედ და ზუსტად, მარქსისტულად გაშუქებულია, სხვათა შორის, ავსტრიის კომ. პარტიის მშვენიერ გაზეთ «წითელ დროშაში» 1920 წ. 28 და 30 მარტს («Die Rote Fahne», Wien 1920, №№ 266 u. 267; L. L.: «Ein neuer Abschnitt der deutschen Revolution») (— ლ. ლ.: «გერმანიის რევოლუციის ახალი ეტაპი». რ ე დ.).

ასეთ წევრებს და პარლამენტარების ასეთ ჯგუფსაც კი. ამას უფრო მეტად ადასტურებს ისეთი გარეშე მოწმე, როგორიცაა ინგლისური ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთის «The Manchester Guardian»-ის რომაელი კორესპონდენტი, რომელმაც 1920 12. III. №-ში მოათავსა თავისი ინტერვიუ ტურატისთან.

«...სინიორი ტურატი — წერს ეს კორესპონდენტი — ფიქრობს, რომ რევოლუციური საფრთხე ისეთი როდია, რომ გამოიწვიოს უსაფუძვლო შიში იტალიაში. მაქსიმალისტები საბჭოთა თეორიების ცეცხლს ეთამაშებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მასები აგულიანებულ და აგზნებულ მდგომარეობაში იყოლიონ. მაგრამ ეს თეორიები წმინდა ლეგენდარული ცნებებია, მოუმწიფებელი პროგრამებია, რომლებიც გამოუსადეგარია პრაქტიკული მოხმარებისათვის. ისინი მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მომუშავე კლასები მოლოდინის მდგომარეობაში იყოლიონ. სწორედ ის ადამიანები, რომლებიც მათ იყენებენ როგორც მოსატყუებელს, რათა თვალები დაუბრმავონ პროლეტარებს, იძულებული ხდებიან ყოველდღიური ბრძოლა აწარმოონ ზოგიერთი ხშირად უმნიშვნელო ეკონომიური გაუმჯობესების მოსაპოვებლად, ისე, რომ გადასწიონ იმ მომენტის დადგომა, როცა მუშათა კლასი დაკარგავს თავის ილუზიებს და თავისი საყვარელი მითების რწმენას. აქედან წარმოდგება გრძელი წყება ყოველგვარი ზომის და ყოველგვარი საბაბით გამოწვეული გაფიცვებისა საფოსტო და რკინიგზის უწყებებში მომხდარ უკანასკნელ გაფიცვათა ჩათვლით, — გაფიცვებისა, რომლებიც ქვეყნის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო მძიმეს ხდიან. იტალია გაღიზიანებულია იმ სიძნელეთა გამო, რომლებიც დაკავშირებულია მის ადრიატიკის პრობლემასთან; შეწუხებულია თავისი საგარეო ვალით, ქაღალდის ფულის უზომო გამოშვებით, ღა მაინც მას მთლიანად ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული, რომ საჭიროა შრომაში იმ დისციპლინის შეთვისება, რომელსაც ერთადერთს შეუძლია აღადგინოს წესრიგი და კეთილდღეობა...»

დღესავით ნათელია, რომ ინგლისელმა კორესპონდენტმა წამოაყრანტალა სიმართლე, რომელსაც, ალბათ, ჩქმალავს და ალამაზებს როგორც თვითონ ტურატი, ისე მისი ბურჟუაზიული დამცველები, ხელშემწყობნი, ინსპირატორები იტალიაში. ეს სიმართლე ის არის, რომ ბატონების ტურატის, ტრევესის, მოდილიანის, დუგონისა და კომპანიის იდეები და პოლიტიკური მუშაობა მართლაც ისეთი და სწორედ ისეთია, როგორც მას ინგლისელი კორესპონდენტი ხატავს. ეს მთლიანად სოციალ-გამცემლობაა. რად ღირს მარტო დაცვა წესრიგისა

და დისციპლინისა მუშებისათვის, რომლებიც დაქირავებულ მონობაში იმყოფებიან, რომლებიც კაპიტალისტთა გამდიდრებისათვის მუშაობენ! და რა ნაცნობია ჩვენთვის, რუსებისათვის, ყველა ეს მენშევიკური სიტყვები! და რა ძვირფასია ალიარება, რომ მასები საბჭოთა ხელისუფლებას ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ! რამდენად გონებაჩლუნგი და უხამსად-ბურჟუაზიულია იმ გაფიცვების რევოლუციური როლის გაუგებლობა, რომლებიც სტიქიურად ჩაღდება! დიახ, დიახ, ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთის ინგლისელმა კორესპონდენტმა დათვური სამსახური გაუწია ბატონ ტურატებსა და კომპანიას და ჩინებულად დაადასტურა, რომ სწორია მოთხოვნა ამხანაგ ბორდიგასი და მისი მეგობრებისა გაზეთ «სოვეტიდან», რომლებიც მოითხოვენ, რომ იტალიის სოციალისტურმა პარტიამ, თუ მას სურს ნამდვილად იყოს III ინტერნაციონალის მ ო მ ხ რ ე, შეარცხვინოს და გარეკოს თავისი რიგებიდან ბატონი ტურატები და კომპანია და გახდეს კომუნისტური პარტია როგორც სახელწოდებით, ისე თავისი საქმით.

IV

არასწორი დასკვნები სწორი წანამძღვრებიდან

მაგრამ ამხ. ბორდიგას და მის «მემარცხენე» მეგობრებს, ბატონ ტურატებისა და კომპანიის სწორ კრიტიკას რომ აწარმოებენ, აქედან ის არასწორი დასკვნა გამოჰყავთ, რომ საზიანოა საერთოდ პარლამენტში მონაწილეობაო. ამ შეხედულების დასაცავად იტალიელ «მემარცხენეებს» სერიოზული არგუმენტების ნასახის მოყვანაც არ შეუძლიათ. მათ პირდაპირ არ იციან (ან ცდილობენ დაივიწყონ) ბურჟუაზიული პარლამენტების ნამდვილად რევოლუციური და კომუნისტური გამოყენების, პროლეტარული რევოლუციის მოსამზადებლად უდავოდ სასარგებლო გამოყენების ინტერნაციონალური 'ნიმუშები. მათ პირდაპირ ვერ წარმოუდგენიათ «ახალი» რამ და დაუსრულებლად ერთსა და იმავეს გაჰყვირიან პარლამენტარიზმის «ძველებურ», არაბოლშევიკურ, გამოყენებაზე.

სწორედ ეს არის მათი ძირითადი შეცდომა. მოღვაწეობის არა მარტო საპარლამენტო, არამედ აგრეთვე ყ ვ ე ლ ა ასპარეზზე კომუნიზმმა უ ნ დ ა შ ე ი ტ ა ნ ო ს (და ხანგრძლივი, ბეჯითი, შეუპოვარი შრომის გაუწევლად ვ ე რ შ ე ძ ლ ე ბ ს შეიტანოს) პრინციპულად ახალი რამ, რაც ძირეულად წყვეტს კავშირს II ინტერნაციონალის ტრადიციებთან (ამავე დროს შეინარჩუნოს და განავითაროს ის, რაც ამ უკანასკნელმა კარგი მოგვცა).

ავიღოთ თუნდაც ჟურნალისტური მუშაობა. გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები ასრულებენ საჭირო მუშაობას პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის დარგში. რამდენადმე ცივილიზებულ ქვეყანაში ვერც ერთი მასობრივი მოძრაობა ვერ განვითარდება, თუ მას ჟურნალისტური აპარატი არ გააჩნია. და ვერავითარი გოდება «ბელადების» წინააღმდეგ, ვერავითარი ფიცი, რომ დავიცავთ მასების სიწმინდეს ბელადების გავლენისაგანო, ვერ გვიხსნის იმ აუცილებლობისაგან, რომ ამ მუშაობისათვის გამოვიყენოთ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური წრიდან გამოსულნი, ვერ გვიხსნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, «მესაკუთრული» ატმოსფეროსა და გარემოსაგან, რომელშიც წარმოებს ეს მუშაობა კაპიტალიზმის დროს. ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ორნახევარი წლის შემდეგაც კი ჩვენს გარშემო ვხედავთ მასობრივი (გლეხური, ხელოსნური) ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, მესაკუთრული ურთიერთობის ამ ატმოსფეროს, ამ გარემოს.

პარლამენტარიზმი მუშაობის ერთი ფორმაა, ჟურნალისტიკა — მეორე. ორივეს შინაარსი შეიძლება კომუნისტური იყოს და კომუნისტური უნდა იყოს, თუ როგორც ერთი, ისე მეორე დარგის მუშაკები ნამდვილი კომუნისტები არიან, ნამდვილად არიან პროლეტარული, მასობრივი პარტიის წევრები. მაგრამ როგორც ერთში, ისე მეორეში — დ ა მ უ შ ა ო ბ ი ს ყ ო ვ ე ლ ს ფ ე რ ო შ ი ც კაპიტალიზმის დროს და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისას — არ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ის სიძნელენი, ის თავისებური ამოცანები,

რომლებიც უნდა გადალახოს და გადაწყვიტოს პროლეტარიატმა, თავისი მიზნებისათვის რომ გამოიყენოს ბურჟუაზიული წრიდან გამოსულნი, რომ გაიმარჯვოს ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ ცრურწმენებსა და გავლენებზე, რომ შეასუსტოს წვრილბურჟუაზიული ვითარების წინააღმდეგობა (შემდეგში კი ეს ვითარება სავსებითაც გადააკეთოს).

1914 — 1918 წლების ომამდე განა ყველა ქვეყანაში არ ვხედავდით იმის უამრავ მაგალითს, რომ ძალიან «მემარცხენე» ანარქისტები, სინდიკალისტები და სხვები ანადგურებდნენ პარლამენტარიზმს, აბუჩად იგდებდნენ ბურჟუაზიულად გაუხამსებულ პარლამენტარ-სოციალისტებს, ამათრახებდნენ მათს კარიერიზმს და სხვ. და ა. შ., — თვითონ კი ჟურნალისტიკის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ, სინდიკატებში (პროფკავშირებში) მუშაობის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ ა ს ე თ ს ა ვ ე ბურჟუაზიულ კარიერას იკეთებდნენ? განა ბატონების ჟუოებისა და მერჰეიმების მაგალითი, საფრანგეთს თუ დავჯერდებით, ტიპიური არ არის?

პარლამენტარიზმში მონაწილეობის «უარყოფის» ბალღურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი «მარტივი», «იოლი», ვითომც რევოლუციური ხერხით ფიქრობენ «გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ო ნ» მუშათა მოძრაობის შ ი გ ნ ი თ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გავლენებთან ბრძოლის ძნელი ამოცანა, ნამდვილად კი მხოლოდ თავიანთ საკუთარ ჩრდილს უფრთხიან, მხოლოდ თვალს არ უსწორებენ სიძნელეს, მხოლოდ სიტყვებით იშორებენ მას. ყოვლად უსირცხვილო კარიერიზმი, პარლამენტში ადგილების ბურჟუაზიული გამოყენება, პარლამენტური მუშაობის ალმაშფოთებელი რეფორმისტული დამახინჯება, უხამსი მეშჩანური რუტინა — ეჭვს გარეშეა, რომ ყოველივე ეს ჩვეულებრივი და ჭარბი დამახასიათებელი თვისებებია, რომლებსაც წარმოშობს კაპიტალიზმი ყველგან და მუშათა მოძრაობის არა მარტო გარეთ, არამედ მის შიგნითაც. მაგრამ იგი, კაპიტალიზმი, და ბურჟუაზიული ვითარება, რომელსაც იგი ქმნის (და რომელიც ბურჟუაზიის დამხობის შემდეგაც კი ძალიან ნელა ქრება, ვინაიდან გლე-

ხობა გამუდმებით წარმოშობს ბურჟუაზიას), მუშაობისა და ცხოვრების უკლებლივ ყველა დარგში წარმოშობენ არსებითად ასეთსავე, ფორმით სრულიად უმნიშვნელო ვარიანტებით განსხვავებულ ბურჟუაზიულ კარიერიზმს, ნაციონალურ შოვინიზმს, მეშჩანურ გაუხამსებას და ა. შ.

თქვენ თქვენი თავი «საშინლად რევოლუციონერები» გგონიათ, ძვირფასო ბოიკოტისტებო და ანტიპარლამენტარისტებო, ნამდვილად კი თქვენ შეგეშინდათ მუშათა მოძრაობის შიგნიდან ბურჟუაზიულ გავლენათა წინააღმდეგ ბრძოლის შედარებით მცირე სიძნელეებისა, მაშინ როცა თქვენი გამარჯვება, ე. ი. ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, სწორედ ამ სიძნელეებს შექმნის კიდევ უფრო მეტი, განუზომლად მეტი ოდენობით. თქვენ ბავშვურად შეგეშინდათ პატარა სიძნელისა, რომელიც დღეს მოგელით, და არ გესმით, რომ ხვალ და ზეგ თქვენ მაინც მოგიხდებათ მიეჩვიოთ, ისწავლოთ გადალახვა იმავე სიძნელეებისა განუზომლად უფრო მნიშვნელოვანი ოდენობით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს თქვენსა და ჩვენს, პროლეტარულ, პარტიას კიდევ უფრო მეტნი მოაწყდებიან ბურჟუაზიიდან და ინტელიგენციიდან გამოსულნი. ისინი საბჭოებშიც გაძვრებიან, სასამართლოებშიც, ადმინისტრაციაშიც, ვინაიდან კომუნიზმის შენება სხვა რამისაგან არ შეიძლება, თუ არა კაპიტალიზმის მიერ შექმნილი ადამიანთა მასალისაგან, ვინაიდან არ შეიძლება განდევნო და მოსპო ბურჟუაზიული ინტელიგენცია, უნდა დაძლიო, გადააკეთო, გადახარშო, გარდაქმნა იგი — ისევე როგორც საჭიროა გარდაქმნა წანგრძლივ ბრძოლაში, პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, თვით პროლეტარებიც, რომლებიც თავიანთი საკუთარი წვრილბურჟუაზიული ცრურწმენებისაგან თავისუფლდებიან არა ერთბაშად, არა სასწაულით, არა ღვთისმშობლის ბრძანებით, არა ლოზუნგის, რეზოლუციის, დეკრეტის ბრძანებით, არამედ მხოლოდ ხანგრძლივი და ძნელი მასობრივი ბრძოლით მასობრივ წვრილბურჟუაზიულ გავლენებთან. საბჭოთა

ხელისუფლების დროს სწორედ ის ამოცანები, რომლებსაც ანტიპარლამენტარი ახლა ასე ამპარტავნულად, ასე ქედმაღლურად, ასე ფუქსავატურად, ასე ბალღურად უკუაგდებს ხელის ერთი აქნევით, — სწ ო რ ე დ ე ს ამოცანები კვლავ დაისმება საბჭოებს შ ი გ ნ ი თ, საბჭოთა ადმინისტრაციას შიგნით, საბჭოთა «უფლებამოსარჩლეებს» შიგნით (ჩვენ დავანგრიეთ რუსეთში, და სწორადაც მოვიქეცით, რომ დავანგრიეთ, ბურჟუაზიული ადვოკატურა, მაგრამ იგი ცოცხლდება ჩვენში «საბჭოთა» «უფლებამოსარჩლეების» საფარქვეშ[21]). საბჭოთა ინჟინრებს შიგნით, საბჭოთა მასწავლებლებს შიგნით, საბჭოთა ფაბრიკებში პრივილეგიურ, ე. ი. ყველაზე კვალიფიციურ და ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში მყოფ მ უ შ ე ბ ს შიგნით ჩვენ ვხედავთ უკლებლივ ყ ვ ე ლ ა იმ უარყოფითი თვისების მუდმივ აღორძინებას, რომლებიც დამახასიათებელია ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისათვის, და მხოლოდ პროლეტარული ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმეორებითი, დაუცხრომელი, ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლით ჩვენ ვამარცხებთ — თანდათანობით ვამარცხებთ — ამ ბოროტებას.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიის ბატონობის დროს ძალიან «ძნელია» დავძლიოთ ბურჟუაზიული ჩვეულებანი საკუთარ, ე. ი. მუშათა, პარტიაში: «ძნელია» პარტიიდან განვდევნოთ ბურჟუაზიული ცრურწმენებით უიმედოდ წამხდარი ბელადი-პარლამენტარები, რომლებსაც შეჩვეული ვართ, «ძნელია» პროლეტარულ დისციპლინას დავუმორჩილოთ ბურჟუაზიიდან გამოსულთა აბსოლუტურად აუცილებელი რიცხვი (გარკვეული, თუნდაც ძალიან შეზღუდული, რაოდენობით), «ძნელია» შევქმნათ ბურჟუაზიულ პარლამენტში მუშათა კლასის სავსებით შესაფერი კომუნისტური ფრაქცია, «ძნელია» მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტი პარლამენტარები ბურჟუაზიულ-პარლამენტურ ჩხირკედელაობას კი არ მისდევდნენ, არამედ მასებში პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის უაღრესად არსებით მუშაობას ეწეოდნენ. ყოველივე

ეს, თქმა არ უნდა, «ძნელია», ძნელი იყო რუსეთში, კიდევ უფრო შეუდარებლად ძნელია დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, სადაც გაცილებით უფრო ძლიერია ბურჟუაზია, უფრო ძლიერია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტრადიცია და სხვა.

მაგრამ ყველა ეს «სიძნელე» პირდაპირ ბავშვური სიძნელეებია სავსებით ასეთსავე ამოცანებთან შედარებით, რომელთა გადაწყვეტა პროლეტარიატს სულერთია გარდუვალად მოუხდება თავისი გამარჯვებისთვისაც, პროლეტარული რევოლუციის დროსაც, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგაც. ამ, ჭეშმარიტად გიგანტურ, ამოცანებთან შედარებით, როცა პროლეტარიატის დიქტატურის დროს საჭირო გახდება გარდავქმნათ მილიონობით გლეხი და წვრილი მეპატრონე, ასეულ ათასობით მოსამსახურე, მოხელე, ბურჟუაზიული ინტელიგენტი, დავუმორჩილოთ ისინი ყველანი პროლეტარულ სახელმწიფოსა და პროლეტარულ ხელმძღვანელობას, დავძლიოთ მათში ბურჟუაზიული ჩვეულებები და ტრადიციები, — ამ გიგანტურ ამოცანებთან შედარებით ბალღურად იოლი საქმეა ბურჟუაზიის ბატონობის დროს, ბურჟუაზიულ პარლამენტში, ნამდვილი პროლეტარული პარტიის ნამდვილად კომუნისტური ფრაქციის შექმნა.

თუ ამხანაგი «მემარცხენეები» და ანტიპარლამენტარები არ ისწავლიან ახლა თვით ასე მცირე სიძნელის დაძლევას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ან ვერ შეძლებენ განახორციელონ პროლეტარიატის დიქტატურა, ვერ შეძლებენ ფართო მასშტაბით დაიმორჩილონ და გარდაქმნან ბურჟუაზიული ინტელიგენტები და ბურჟუაზიული დაწესებულებანი, ან იძულებული იქნებიან ნაუცბათევად დაასრულონ სწავლა და ასეთი აჩქარებით უდიდეს ზიანს მოუტანენ პროლეტარიატის საქმეს, ჩვეულებრივზე მეტ შეცდომებს დაუშვებენ, საშუალოზე მეტ სისუსტესა და უუნარობას გამოიჩენენ და ასე შემდეგ და ასე ამგვარად.

სანამ ბურჟუაზია დამხობილი არ არის და შემდეგ სანამ სავსებით არ გამქრალა წვრილი მეურნეობა და წვრილი სასაქონლო წარმოება, მანამდე ბურჟუაზიული ვითარება,

მესაკუთრული ჩვეულებები, მეშჩანური ტრადიციები პროლეტარულ მუშაობას წაახდენენ მუშათა მოძრაობის როგორც გარეთ, ისე შიგნით, მოღვაწეობის არა მარტო ერთ სფეროში, პარლამენტურში, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობის გარდუვალად ყველა და ყოველგვარ დარგში, უკლებლივ ყველა კულტურულ და პოლიტიკურ სარბიელზე. და უდიდესი შეცდომა, რომელიც შემდეგში აუცილებლად ძვირად დაგვიჯდება, არის იმის ცდა, რომ მუშაობის ერთ დარგში თავიდან ავიშოროთ ე რ თ-ე რ თ ი «არასასიამოვნო» ამოცანა ან სიძნელე, გავემიჯნოთ მას. უნდა ვსწავლობდეთ და ვისწავლოთ მუშაობისა და მოღვაწეობის უკლებლივ ყველა დარგის დაუფლება, ყველგან ყველა სიძნელისა და ყველა ბურჟუაზიული ჩვევის, ტრადიციის, ჩვეულების დაძლევა. საკითხის სხვანაირი დაყენება სულაც არ არის სერიოზული, მხოლოდ ბალღობაა.

12. V. 1920.

V

ამ წიგნის რუსულ გამოცემაში მე რამდენადმე არასწორად გავაშუქე ჰოლანდიის მთელი კომუნისტური პარტიის ქცევა საერთაშორისო რევოლუციური პოლიტიკის დარგში. ამიტომ ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ გამოვაქვეყნო ჩვენი ჰოლანდიელი ამხანაგების ქვემომოყვანილი წერილი ამ საკითხზე და შემდეგ გავასწორო გამოთქმა «ჰოლანდიელი ტრიბუნისტები», რომელიც რუსულ ტექსტში ვიხმარე, და შევცვალო იგი სიტყვებით «ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ზოგიერთი წევრი».

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ᲕᲐᲘᲜᲙᲝᲞᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

მოსკოვი, 1920 წ. 30 ივნისი.

ძვირფასო ამხანაგო ლენინ,

თქვენი თავაზიანობის მეოხებით ჩვენ, ჰოლანდიის დელეგაციის წევრებს, კომინტერნის II კონგრესზე, შესაძლებლობა გვქონდა გადაგვეთვალიერებინა თქვენი წიგნი: ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი

კომუნიზმში» სანამ იგი დასავლეთევროპულ ენებზე თარგმნილი გამოქვეყნდებოდა. ამ წიგნში თქვენ რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ არ იწონებთ იმ როლს, რომელსაც ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ზოგიერთი წევრი საერთაშორისო პოლიტიკაში ასრულებდა.

ჩვენ მაინც პროტესტი უნდა განვაცხადოთ იმის წინააღმდეგ, რომ თქვენ კომუნისტურ პარტიას აკისრებთ პასუხისმგებლობას მათი საქციელისათვის. ეს მეტისმეტად არაზუსტია. უფრო მეტიც, ეს სამართლიანი არ არის, რადგან ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ეს წევრები ძალიან ცოტას ან სრულებით არ მონაწილეობენ ჩვენი პარტიის მიმდინარე მუშაობაში; ისინი აგრეთვე ცდილობენ პირდაპირ ან არაპირდაპირ გაატარონ კომუნისტურ პარტიაში ოპოზიციური ლოზუნგები, რომელთა წინააღმდეგ ჰოლანდიის კომპარტია და ყველა მისი ორგანო ეწეოდნენ და თვით დღევანდლამდე ეწევიან უაღრესად ენერგიულ ბრძოლას.

ძმური სალმით

(ჰოლანდიის დელეგაციის სახელით)

დ. ი. ვაინკოპი

სიტყვა მინა-ფაიფურის წარმოების მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1920 წ. 29 აპრილს

გუშინდელმა დღემ ორი ახალი ამბავი მოგვიტანა: პირველი მათგანი მეტად სამწუხაროა — ეს არის ცნობა პოლონეთის მთავრობის მეთაურის პილსუდსკის მიმართვის შესახებ. ამ მიმართვის ტექსტი მე ჯერ არ მინახავს, მის შესახებ ტელეფონით გადმომცეს, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ეს ნიშნავს იმას, რომ პოლონეთი ომს უცხადებს უკრაინას. აშკარაა, საფრანგეთის იმპერიალისტების გავლენამ გაიმარჯვა პოლონეთის მმართველ სფეროებში. პოლონეთის მთავრობამ გადაწყვიტა უკუაგდოს თავისი უკანასკნელი პოლიტიკა მიხვევ-მოხვევისა ჩვენთან საზავო მოლაპარაკების გარშემო და დაიწყოს საომარი მოქმედება უფრო ფართო ფრონტზე. პოლონეთმა უკვე აიღო ჟიტომირი და კიევზე მოდის. ეს მოითხოვს ჩვენგან პროლეტარიატის ინტერესების უაღრესად გადამწყვეტ და დაუყოვნებლივ დაცვას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ შევძლებთ დავიცვათ ეს ინტერესები, ეჭვი არ გვეპარება, რომ ანტანტის იმპერიალისტების ეს ახალი ცდა — დაახრჩონ საბჭოთა რუსეთი — ისეთივე კრახით დამთავრდება, როგორც დენიკინისა და კოლჩაკის ავანტიურა. აშკარაა, რომ პოლონეთი სამხედრო დახმარებას მთლიანად საფრანგეთისაგან, ინგლისისაგან და მთელი ანტანტისაგან ღებულობს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია, რომ ყირიმის შესახებ ჩვენთან მოლაპარაკების უკანასკნელ სტადიაში ინგლისის მთავრობამ საგრძნობლად შეცვალა თავისი პირ-

ვანდელი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ინგლისის წინადადებაზე — ჰუმანურობა გამოგვეჩინა ზღვასთან მიმწყვდეულ დენიკინის მებრძოლთა მიმართ, ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მზად ვართ სიცოცხლე ვაჩუქოთ ყირიმელ თეთრგვარდიელებს, თუ თავის მხრივ ანტანტა გამოიჩენს ჰუმანურობას დამარცხებულ უნგრელ კომუნისტთა მიმართ და გამოუშვებს მათ საბჭოთა რუსეთში. ჩვენ არ გვესაჭიროება ამ ყირიმელ თეთრგვარდიელთა სისხლი, შურისძიების გრძნობა ჩვენს გულში არ არის. მაგრამ ჩვენს ნოტაზე არ უპასუხნია ინგლისის მთავრობას, რომელიც, ჩანს, პოლონეთის გამოსვლასთან დაკავშირებით, არ ჩქარობს გვიპასუხოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისელ, თუნდაც ყველაზე ოპორტუნისტულად განწყობილ, მუშათა შორისაც არ აღმოჩნდებიან ინტერვენციის მომხრენი.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ თვით პოლონეთში პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელიც პოლონეთში კომუნისტებს სდევნიდა, თავის ბეჭდვით ორგანოში აცხადებს, რომ არ შეიძლება საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების ჩაშლა იმ ულტიმატური მოთხოვნის წაყენებით პოლონეთის მხრივ, რომ ეს საზავო მოლაპარაკება ბორისოვოში წარმოებდესო. ეს გაზეთი პოლონეთის მთავრობის ამგვარ მოქმედებას დანაშაულად თვლის. პოლონელებმა წინადადება მოგვცეს საომარი მოქმედების შეუწყვეტლად გვეწარმოებია საზავო მოლაპარაკება ბორისოვოში, მაშინ როდესაც მოლაპარაკების წარმოება სწორედ ამ პუნქტში ჩვენ შესაძლებლობას მოგვისპობდა განგვეგრძო მოლაპარაკების დროს საომარი მოქმედება და ამავე დროს პოლონეთს ანიჭებდა ამ მხრივ სრულ თავისუფლებას. რასაკვირველია, ასეთ პირობებში საზავო მოლაპარაკების წარმოება ჩვენ არ შეგვეძლო და წინადადება წამოვაყენეთ, პოლონეთთან ურთიერთ შეთანხმებით, ამ მოლაპარაკების ადგილი გადაგვეტანა პარიზში, რეველში, ვარშავაში, მოსკოვში ან რომელიმე სხვა ქალაქში. ამ წინადადებას პასუხად მოჰყვა პოლონეთის ჯარების ფართო შემოტევა მთელ ფრონტზე. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება,

რომ პოლონეთის მთავრობამ ეს შეტევითი ომი დაიწყო თავისი მუშების ნება-სურვილის წინააღმდეგ. აი რატომ ვეკიდებით ჩვენ სრულიად გულდამშვიდებით ამ ახალ ავანტიურას; ჩვენ ვიცით, რომ ამ ომიდან გამარჯვებული გამოვალთ, მაგრამ თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ ომს თან ახლავს უდიდესი სიძნელენი, რომელთა გადასალახავად ჩვენ არა ერთხელ მიგვიმართავს დასახმარებლად მუშათა მასებისათვის. პოლონეთთან ომი ჩვენ ძალით მოგვახვიეს თავს, არავითარი განზრახვა პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჩვენ არა გვაქვს, ისე როგორც არა გვაქვს არავითარი განზრახვა ლიტვისა და ბელორუსიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; მაგრამ, მიუხედავად მთელი ჩვენი დამთმობლობისა, მაინც გვახვევენ თავზე ომს, ხოლო რაკი ეს ასეა, ჩვენ ყველანი უნდა აღვდგეთ, როგორც ერთი კაცი, რათა დავიცვათ ჩვენი თავიც და უკრაინაც პოლონელი იმპერიალისტების შემოტევისაგან. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) ამისათვის ჩვენ ისევ უნდა მოვახდინოთ ერთგვარი გარდატეხა. რაც უნდა სასურველი იყოს ჩვენთვის რაც შეიძლება მალე დავიწყოთ და რაც შეიძლება ფართოდ გავშალოთ მშვიდობიანი მშენებლობა, რაკი ომი თავს მოგვახვიეს, ჩვენ ყველაფერი ამ ომის ინტერესებს უნდა დაკუმორჩილოთ, რათა მივაღწიოთ ჩვენთვის რაც შეიძლება წარმატებითსა და სწრაფ შედეგებს. ჩვენ უნდა განვუმარტოთ ყველა მუშასა და გლეხს, თუ რატომ დაიწყო ჩვენს წინააღმდეგ ომი ანტანტის მიერ წაქეზებულმა პოლონეთმა. ჩვენ უნდა განვუმარტოთ, რომ ეს მოახდინეს ბარიერის გასადიდებლად, იმ უფსკრულის გასაღრმავებლად, რომელიც გერმანიის პროლეტარიატს ჩვენგან ჰყოფს.

მეორე მხრივ, გუშინვე მივიღეთ ბაქოდან ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა უკეთესდება; ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მრეწველობა დგას სათბობის უქონლობის გამო, და აი ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ბაქოს პროლეტარიატმა ხელში აიღო ძალაუფლება და დაამხო აზერბაიჯანის მთავრობა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა ისეთი ეკონომიური ბაზა გვაქვს, რომელსაც შეუძლია გამოაცოცხ-

ლოს მთელი ჩვენი მრეწველობა. ბაქოში არის მილიონი ფუთი ნავთობი, რომელიც უკანასკნელ დრომდე ვერ საღდებოდა, რის გამო ნავთობის მრეწველი ნობელიც კი ცდილობდა დაეწყო ჩვენთან მოლაპარაკება ამ ნავთობის საბჭოთა რუსეთში შემოტანის შესახებ. ამრიგად, ჩვენი ტრანსპორტი და მრეწველობა ფრიად არსებით დახმარებას მიიღებენ ბაქოს ნავთობის სარეწებიდან.

დღეს სასურსათო საქმის სახალხო კომისარმა ამხ. ციურუპამ შემატყობინა, რომ ყუბანის ოლქსა და კავკასიაში არის პურის მარაგის უდიდესი რაოდენობა, და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მარაგს ჩვენ მივიღებთ. მაშასადამე, ჩვენ გვექნება სათბობი მრეწველობისათვის და პური ხალხისათვის. ტრანსპორტის აღდგენას უნდა მოვახმაროთ მთელი ძალ-ღონე და ჩვენ მივიღებთ პურსა და ნავთობს, რაც სწორ ეკონომიურ საფუძვლად დაედება მუშათა და გლეხთა ურთიერთდამოკიდებულებას. ჩვენ ვამბობთ, გლეხმა უნდა აძლიოს მუშებს თავისი პურის ნაჭარბი იმიტომ, რომ ახლანდელ პირობებში პურის ამ ნაჭარბის გაყიდვა დანაშაული იქნებოდა; და ამიტომ, როგორც კი აღვადგენთ ჩვენს მრეწველობას, ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ გლეხები დავაკმაყოფილოთ ქალაქის მზა ფაბრიკატებით.

ამ რამდენიმე სიტყვით ვსახავ რა თქვენს წინაშე, რამდენადაც ახლა დრო ხებას მაძლევს, რესპუბლიკის საერთო მდგომარეობას ამჟამად, თავს ნებას მივცემ დავამთავრო სიტყვა იმ რწმენის გამოთქმით, რომ პროფესიულ კავშირებში ორგანიზებული ოთხი მილიონი მუშა, რომელთა საშუალებით ვაწარმოებდით ჩვენ საბჭოთა პოლიტიკას, დაეყრდნობა გლეხთა ფართო ფენებს, არ ჩაიკეტება თავისი პროფესიული ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებში როგორც წინათ, ისე ამჟამადაც, პოლონეთთან ჩვენი ურთიერთობის ახალ სტადიაში, როცა ჩვენთვის უკვე მისაწვდომია ყუბანის პურიც და ბაქოს ნავთობიც, — და ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენს საერთო-პროლეტარული საქმის შემდგომ წარმატებასა და განვითარებას. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მუშათა

შეგნებულობა, მათი გაერთიანება, პროფკავშირების სრული დარაზმულობა წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელსაც ბრწყინვალე გამარჯვებები მოჰქონდა ჩვენი წითელი არმიისათვის; წითელი არმია იყო შეგნებულობის საუკეთესო გამტარებელი გლეხთა რიგებში, მან ასწავლა გლეხებს გაეძევებინათ თავიანთი რიგებიდან წამგლეჯები, რათა ძალაუფლება მუშებს შეენარჩუნებინათ. ჩვენ ახლაც გვესაჭიროება პროფკავშირების ეს შეგნებულობა, გაერთიანება და სრული დარაზმულობა პოლონეთთან ომში და მრეწველობის აღდგენის საქმეში. ახლა მოგვეთხოვება განვაგრძოთ და გავაძლიეროთ ის დისციპლინა, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება ყველა წარმოებაში. შეგნებულმა მუშებმა იციან, რომ თქვენ, მუშებს რომ არ გამოგეჩინათ ეს დისციპლინა დღემდე, ჩვენ შეიძლება უნგრეთის ბედი მოგველოდა. დაე ეს ახსოვდეთ ამხანაგებს და ადგილებზე მიაღწიონ იმას, რომ ყველანი სავსებით დაუმორჩილონ ერთ ძირითად ამოცანას: უნდა მოვსპოთ, რაც შეიძლება მალე უნდა მოვუღოთ ბოლო ამ წყეულ ლოზუნგს: თვითეული — თავისთვის, ღმერთი — ყველასთვის. პროლეტარული შრომითი დისციპლინა უმაღლეს დაძაბულობამდე უნდა ავიყვანოთ, და მაშინ უძლეველი ვიქნებით. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის გადაგდება შეუძლებელია, და რომ ჩვენ შევძლებთ მოვიმხროთ დასახმარებლად მსოფლიოს ყველა დანარჩენი რესპუბლიკა. (ამხანაგ ლენინის სიტყვა დაჰფარა ყრილობის ყველა წევრის ერთსულოვანმა, ხანგრძლივმა ტაშმა და შეძახილებმა: «გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ამხანაგ ლენინს!».)

«პრავდა» № 92,
1920 წ. 30 აპრილი

ბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის პირველი შაბათოგიდან სრულიად რუსეთის შაბათოგბა-მაისოგბამდე

სათაურში აღნიშნული მანძილი ერთ წელიწადში გავიარეთ. მანძილი ძალიან დიდია. რაც უნდა სუსტი იყოს ჯერ კიდევ ყველა ჩვენი შაბათობა, რაც უნდა დიდი იყოს ყოველი შაბათობით გამოაშკარავებული უამრავი ნაკლი მოგვარების, ორგანიზებულობის, დისციპლინიანობის მხრივ, მთავარი მაინც გაკეთებულია. უმძიმესი მანქანა ადგილიდან დაძრულია, და მთელი დედაარსიც სწორედ ამაშია.

ჩვენ სრულიადაც არ ვიტყუებთ თავს იმ მხრივ, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული და უსაზღვროდ ბევრია გასაკეთებელი; მაგრამ მხოლოდ მშრომელთა ბოროტ მტრებს, ბურჟუაზიის გაბოროტებულ მომხრეებს შეუძლიათ ათვალწუნებით ეკიდებოდნენ საპირველმაისო შაბათობას; მხოლოდ ყოვლად საზიზღარ ადამიანებს, რომელთაც საბოლოოდ მიუყიდიათ თავი კაპიტალისტებისათვის, შეუძლიათ დაგმონ დიდებული საპირველმაისო დღესასწაულის გამოყენება კომუნისტური შრომის შემოღების მასობრივი ცდისათვის.

მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების დამხობის შემდეგ მხოლოდ პირველად იწმინდება ნიადაგი სოციალიზმის ნამდვილი მშენებლობისათვის, ახალი საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის შემუშავებისათვის, საერთო შრომის ახალი დისციპლინისათვის, მთელი სახალხო (ხოლო შემდეგ აგრეთვე საერთაშორისო) მეურნეობის ახალი მსოფლიო-

ისტორიული წყობისათვის. ეს არის თვით იმ ზნე-ჩვეულებათა გარდაქმნის საქმე, რომლებიც დიდი ხნით შეურყვნია და გაუფუჭებია წარმოების საშუალებათა წყეულ კერძო საკუთრებას, ხოლო მასთან ერთად — კინკლაობის, უნდობლობის, მტრობის, დაქსაქსულობის, ურთიერთთვალთვალის მთელ იმ ატმოსფეროს, რომელსაც გარდუვალად წარმოშობს — და რომელიც მუდამ კვლავ ცოცხლდება — წვრილი განცალკევებული მეურნეობა, მესაკუთრეთა მეურნეობა მათ შორის «თავისუფალი» გაცვლა-გამოცვლის დროს. ვაჭრობის თავისუფლება, გაცვლა-გამოცვლის თავისუფლება ასეული წლების განმავლობაში ეკონომიური სიბრძნის უდიდეს აღთქმას წარმოადგენდა მილიონობით ადამიანისათვის, იგი იყო ყველაზე მტკიცე ჩვეულება ასეულ მილიონობით ადამიანისათვის. ეს თავისუფლება ისევე თავიდან ბოლომდე ყალბია, ისევე ემსახურება კაპიტალისტური მოტყუების, ძალმომრეობის, ექსპლოატაციის დაფარვას, როგორც ბურჟუაზიის მიერ გამოცხადებული და განხორციელებული სხვა «თავისუფლებანი», მსგავსად «შრომის თავისუფლებისა» (წაიკითხე: შიმშილით სიკვდილის თავისუფლებისა) და სხვ.

მესაკუთრის ეს «თავისუფლება» — იყოს მესაკუთრე, კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციის ეს «თავისუფლება» ჩვენ მოვსპეთ და ვსპობთ სამუდამოდ, ჩვენ მას ვებრძვით დაუნდობლად და თავდადებით.

ძირს ძველი საზოგადოებრივი კავშირურთიერთობა, ძველი ეკონომიური ურთიერთობა (კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა დ მ ი დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ უ ლ ი) შრომის ძველი «თავისუფლება», ძველი კანონები, ძველი ჩვევები!

ვაშენოთ ახალი საზოგადოება!

ჩვენ არ გვაშინებდა დამარცხებანი დიადი რევოლუციური ომის მსვლელობაში ცარიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მსოფლიოს უძლიერეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვერ შეგვაშინებს უდიდესი სიძნელენი და უძნელესი საქმის დასაწყისში გარდუვალი შეცდომები, ვინაიდან ყველა შრომითი ჩვევისა და ზნე-ჩვეულების გარდაქმნის საქმე — ათეული წლების საქმეა. და ჩვენ საზეიმოდ და მტკიცედ აღვუთქვამთ ერთმანეთს, რომ მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლისათვის, რომ ჩვენ გავუძლებთ და გავიმარჯვებთ ამ ყველაზე ძნელ ბრძოლაში, — ჩვეულების ძალასთან ბრძოლაში, — რომ ჩვენ ამისათვის წლებისა და ათეული წლების განმავლობაში ვიმუშავებთ შეუსვენებლივ. ჩვენ ვიმუშავებთ, რათა აღმოვფხვრათ წყეული წესი: «თვითეული — თავისთვის, ღმერთი — ყველასთვის», რათა აღმოვფხვრათ ჩვეულება, რომლის მიხედვით შრომა მხოლოდ ბეგარად ითვლება და კანონიერად მიაჩნიათ მხოლოდ განსაზღვრული ნორმით ანაზღაურებული შრომა. ჩვენ ვიმუშავებთ, რათა მასების შეგნებაში, ჩვეულებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში დავნერგოთ წესი: «ყველა — ერთისთვის და ერთი — ყველასთვის», წესი: «თვითეული — თავისი უნარის მიხედვით, თვითეულს — თავისი მოთხოვნილების მიხედვით», რათა თანდათან, მაგრამ განუხრელად შემოვიღოთ კომუნისტური დისციპლინა და კომუნისტური შრომა.

ჩვენ ადგილიდან დავძარით გაუგონარი სიმძიმის ლოდი, ლოდი უძრაობისა, უმეცრებისა, ჯიუტობისა «თავისუფალი ვაჭრობის» და ადამიანის სამუშაო ძალის, როგორც ყოველი სხვა საქონლის, «თავისუფალი» ყიდვა-გაყიდვის ჩვევათა დაცვის საქმეში. ჩვენ დავიწყეთ ძვალ-რბილში ყველაზე უფრო გამჯდარი ცრურწმენის, ყველაზე მტკიცე, საუკუნეობრივ, დახავსებულ ჩვეულებათა შერყევა და ნგრევა. ჩვენმა შაბათობებმა ერთი წლის განმავლობაში ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ეს შაბათობები ჯერ კიდევ მეტისმეტად სუსტია. ჩვენ ამით ვერ შეგვაშინებ. ჩვენ ვნახეთ, რომ «უაღრესად სუსტი» საბჭოთა ხელისუფლება ჩვენს თვალწინ, ჩვენი მეცადინეობით განმტკიცდა და დაიწყო გადაქცევა უაღრესად მძლავრ მსოფლიო ძალად. ჩვენ წლობითა და

ათეული წლობით ვიმუშავებთ შაბათობათა გამოყენებისათვის, მათი განვითარებისა, გავრცელებისა, გაუმჯობესებისა და ზნე-ჩვეულებაში დანერგვისათვის. ჩვენ მივალთ კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე!

«პერვომაისკი სუბბოტნიკ»,
1920 წ. 2 მაისი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«პერვომაისკი სუბბოტნიკის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წ. 1 მაისს

საგაზეთო ანგარიში

(ყველა დამსწრე ერთსულოვანი ტაშისცემით ეგებება ტრიბუნაზე ამხანაგ ლენინის გამოჩენას.) ამხანაგებო! ამ ადგილას წინათ მეფის ძეგლი იდგა, ახლა კი ჩვენ საძირკველს ვუყრით განთავისუფლებული შრომის ძეგლს. კაპიტალისტები შრომას თავისუფალს ეძახდნენ, როცა გლეხები და მუშები იძულებული იყვნენ მიეყიდათ მათთვის თავიანთი შრომა და ამის შედეგად თავისუფალი იყვნენ შიმშილით დახოცილიყვნენ. ასეთ შრომას ჩვენ დაქირავებულ მონობას ვუწოდებთ. ჩვენ ვიცით, რომ ადვილი როდია როგორც საჭიროა ისე მოვაწყოთ თავისუფალი შრომა და ვიმუშაოთ ახლანდელი მძიმე დროის პირობებში. დღევანდელი შაბათობა პირველი ნაბიჯია ამ გზაზე, მაგრამ ჩვენ ასე ვივლით წინ და შევქმნით ნამდვილად თავისუფალ შრომას. (ხანგრძლივი, ერთსულოვანი ტაში.)

«პრავდა» № 94,
1920 წ. 4 მაისი

იბეჭდება გაზეთ
«პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა პოლონეთის ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებისადმი 1920 წ. 5 მაისს [22]

საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ პოლონეთის მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, რომელთაც ანტანტა აქეზებს, თავს მოგვახვიეს ახალი ომი. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ პოლონეთის გლეხებთან და მუშებთან ჩვენ საჩხუბარი არაფერი გვაქვს, ჩვენ პოლონეთის დამოუკიდებლობას და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ვცნობდით და ვცნობთ. ჩვენ პოლონეთს ვთავაზობდით ზავს მისი საზღვრების ხელუხლებლობის პირობით, თუმცა ეს საზღვრები გაცილებით უფრო შორს ვრცელდებოდა, ვიდრე წმინდა-პოლონური მოსახლეობა. ჩვენ ყველა დათმობაზე მივდიოდით და დაე თვითეულ თქვენგანს ახსოვდეს ეს ფრონტზე. დაე თქვენმა მოქცევამ პოლონელების მიმართ იქ დაამტკიცოს, რომ თქვენ მუშურ-გლეხური რესპუბლიკის ჯარისკაცები ხართ, რომ თქვენ მათთან მიდიხართ არა როგორც მჩაგვრელნი, არამედ როგორც განმათავისუფლებელნი. ახლა, როდესაც პოლონელმა პანებმა, წინააღმდეგ ჩვენი მისწრაფებებისა, კავშირი შეკრეს პეტლიურასთან, როდესაც ისინი შეტევაზე გადმოვიდნენ, როდესაც ისინი კიევს უახლოვდებიან, და საზღვარგარეთის პრესაში ავრცელებენ ხმებს, რომ მათ კიევი უკვე აიღეს, — ამ წმინდა წყლის სიცრუეს, რადგან მე ჯერ კიდევ გუშინ პირდაპირი მავთულით ველაპარაკე კიევში მყოფ ფ. კონს, — ჩვენ ახლა ვამბობთ: ამხანაგებო, ჩვენ შევძელით უკუგვეგდო უფრო საშინელი მტერი, შევძელით ჩვენი მემამულეებისა და კაპიტალისტების დამარცხება, — ჩვენ დავამარცხებთ პოლო-

ნეთის მემამულეებსა და კაპიტალისტებს! ჩვენ ყველამ დღეს აქ უნდა შევფიცოთ, საზეიმო აღთქმა დავდოთ, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ვიდგომებით იმისათვის, რომ არ დავუშვათ პოლონეთის პანებისა და კაპიტალისტების გამარჯვება. გაუმარჯოს თავისუფალი დამოუკიდებელი პოლონეთის რესპუბლიკის გლეხებსა და მუშებს! ძირს პოლონეთის პანები, მემამულეები და კაპიტალისტები! გაუმარჯოს ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას! («ინტერნაციონალის» მძლავრი გუგუნი და «ვაშას» შეძახილები ჰფარავს ამხანაგ ლენინის უკანასკნელ სიტყვებს.)

«პრავდა» № 96,
1920 წ. 6 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე

1920 წ. 5 მაისს [23]

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო, მე მინდოდა თქვენი ყურადღება მიმექცია ერთი მხარისათვის, რომელიც ახლანდელ ომს საერთაშორისო თვალსაზრისით ან, უფრო სწორად, რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით განასხვავებს წინანდელი ომებისაგან. რა თქმა უნდა, არავინ თქვენგანი არ ეჭვობს და არც შეიძლება დაეჭვდეს იმაში, რომ ეს ომი წარმოადგენს იმ მოვლენათა გრძელი ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს, რომლებიც მოასწავებენ საერთაშორისო ბურჟუაზიის გააფთრებულ წინააღმდეგობას ძლევამოსილი პროლეტარიატის მიმართ, საერთაშორისო ბურჟუაზიის გააფთრებულ ცდას — რადაც უნდა დაჯდეს, რა საშუალებითაც უნდა იქნეს დაახრჩოს საბჭოთა რუსეთი, დაამხოს პირველი საბჭოთა ხელისუფლება. რა თქმა უნდა, არავითარი ეჭვი არაა, რომ ამ მოვლენებს შორის, საერთაშორისო ბურჟუაზიის წინანდელ ცდებსა და ახლანდელ ომს შორის კავშირი უთუოდ არსებობს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რა დიდი განსხვავებაა ამ ომსა და წინანდელ ომებს შორის ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით, რა უზარმაზარი ბიძგი მისცა ჩვენმა ბრძოლამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, როგორ ეპყრობა მსოფლიო პროლეტარიატი საბჭოთა რუსეთის გამარჯვებებს, როგორ ვითარდება და მტკიცდება მსოფლიო პროლეტარული ბრძოლა და რა უზარმაზარი მუშაობა ჩატარდა იმ ორ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, რაც საბჭოთა რესპუბლიკა არსებობს.

თქვენ გახსოვთ, როგორ აცხადებდნენ უძლიერეს, მსოფლიოში მოქმედ ყველაზე პასუხისმგებელი, ყველაზე ძლიერი მინისტრები არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, რომ მათ შექმნეს 14 სახელმწიფოს კავშირი რუსეთის წინააღმდეგ; თქვენ იცით, როგორ რაზმავდა ეს კავშირი იუდენიჩს, კოლჩაკსა და დენიკინს საფრანგეთისა და ინგლისის ყოვლადძლიერი კაპიტალისტების ზეგავლენით და როგორ შეიმუშავა მან სამხედრო მხრივ მართლაც გრანდიოზული და ყოვლისმომცველი გეგმა. და თუ ჩვენ ამ გეგმის ჩაშლა შევძელით, ეს მოხდა იმიტომ, რომ იმპერიალისტების მთელი ერთიანობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო და საერთაშორისო ბურჟუაზიის ძალები ერთ გამოცდასაც ვერ უძლებენ, როცა საქმე მართლა თავის გაწირვაზე მიდგება. აღმოჩნდა, რომ ოთხი წლის იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მშრომელი მასები არ ცნობენ ჩვენს წინააღმდეგ ომის სამართლიანობას, და ჩვენ მათი სახით დიდი მოკავშირე გვყავს. ანტანტის გეგმა მართლაც გამანადგურებელი იყო, მაგრამ იგი გაცამტვერდა იმის გამო, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, მიუხედავად მათი უმძლავრესი კავშირისა, ვერ შეძლეს მისი განხორციელება: უძლურნი აღმოჩნდნენ ცხოვრებაში გაეტარებინათ ის. ვერც ერთმა სახელმწიფოთაგანმა, რომელთა შორის თვითეულს შეეძლო ჩვენს წინაშე უპირატესობა ჰქონოდა, ვერ შეძლო გამოეჩინა ერთიანობა, იმიტომ რომ ორგანიზებული პროლეტარიატი მას მხარს არ უჭერს; ვერც ერთმა არმიამ — ვერც საფრანგეთისა და ვერც ინგლისის არმიამ — ვერ შეძლო ის, რომ მის ჯარისკაცებს რუსეთის ნიადაგზე ებრძოლნათ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

თუ ჩვენ გონების თვალს გადავავლებთ, რა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო ხოლმე ჩვენი რესპუბლიკა, როცა ის, მართლაც, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, განუზომლად უფრო ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგ მარტოკა იდგა, და მოვიგონებთ, რა სავსებით ძლევამოსილი გამოვედით ყველა ამ მძიმე განსაცდელიდან, — ეს მოგონება

ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმაზე, რაც დღეს ჩვენს წინაშეა. ჩვენ ვხედავთ აქ არა ახალ გეგმას, მაგრამ ამასთანავე მას არაფერი მსგავსება არა აქვს იმ მართლაცდა ყოვლისმომცველ ერთიან გეგმასთან, რომელიც ნახევარი წლის წინათ იყო. ჩვენ ვხედავთ ძველი გეგმის ნამსხვრევებს, — და ყველაზე უფრო ეს გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ძალთა საერთაშორისო თანაფარდობის თვალსაზრისით ახლანდელი ცდა ყოვლად უიმედოა. ძველ გეგმაში ჩვენ ვხედავდით, რომ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთად ცდილობდნენ, ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა წვრილ განაპირა სახელმწიფოსთან კავშირში, რომელთაც წინათ ურცხვად და უმსგავსოდ ჩაგრავდა ველიკოროსიის მეფისა და კაპიტალისტური მთავრობა, ჩაეხრჩოთ მუშურ-გლეხური რესპუბლიკა; ახლა კი ზოგიერთი სახელმწიფო ერთ-ერთ ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოსთან შეკავშირებული ცდილობს გააკეთოს ის, რის გაკეთება ვერ მოახერხა ყველა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან ერთად, და რაც მათ სცადეს ერთი წლის და ნახევარი წლის წინათ კოლჩაკთან, დენიკინთან და სხვებთან ერთად. ახლა ჩვენ ვხედავთ იმპერიალისტური გეგმის ნამსხვრევებს. იმპერიალისტური გეგმები იმით განსხვავდება, რომ ბურჟუაზია აქ განსაკუთრებით იჩენს თავის ჯიუტობას. მან იცის, რომ ის ძალაუფლებისათვის იბრძვის შინ, რომ აქ წყდება არა რუსეთის თუ პოლონეთის საკითხი, არამედ მისი საკუთარი არსებობის საკითხი. ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ გეგმის ყოველი ნამსხვრევიდან იგი შეეცდება აღადგინოს თავისი ძველი, ჩაფუშული გეგმა.

ჩვენთვის ყველასთვის აშკარაა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების უთანხმოება. მიუხედავად მათი მინისტრების ყველა განცხადებისა სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ, სინამდვილეში იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არც ერთი სერიოზული ნაბიჯი არ შეუძლიათ გადადგან პოლიტიკურ საკითხებში ისე, რომ არ გაითიშონ. ფრანგებს ესაჭიროებათ ძლიერი პოლონეთი და

მეფის ტიპის ძლიერი რუსეთი, და ისინი მზად არიან ამ მიზნით ყველა მსხვერპლი გაიღონ. ინგლისი კი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ესწრაფვის სხვა რამეს — რუსეთის დაქუცმაცებას, პოლონეთის დასუსტებას, რათა საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებობდეს წონასწორობა, რაც უზრუნველყოფდა გამარჯვებული იმპერიალისტებისათვის იმ კოლონიების მართვა-გამგეობას, რომელნიც მათ ხელში ჩაიგდეს მსოფლიო ომის შედეგად, გერმანიის გაძარცვით. აქ ინტერესთა უთანხმოება აშკარაა, და, რაც უნდა გვარწმუნონ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სან-რემოში [24], მოკავშირეებს შორის სრული ერთსულოვნება სუფევსო, ჩვენ ვიცით, რომ მათ შორის არავითარი თანხმობა არ არსებობს.

ჩვენ ვიცით, რომ პოლონეთის შემოტევა იმ ძველი გეგმის ნამსხვრევია, რომელიც ოდესღაც მთელ საერთაშორისო ბურჟუაზიას აერთიანებდა; და თუ მაშინ ჩაიფუშა ეს გრანდიოზული გეგმა, რომელიც წმინდა სამხედრო თვალსაზრისით უდავო გამარჯვებას უზრუნველყოფდა, ახლა ამ თვალსაზრისითაც კი გეგმა ყოვლად უიმედოა. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც პოლონეთის ბურჟუაზიასთან კავშირი შეკრეს, და პოლონეთის მთავრობა ისე დაიბნენ, როგორც არასოდეს. პოლონეთის ბურჟუაზია უკანასკნელ თვეებში, კვირეებსა და დღეებში თავისი პოლიტიკის ყოველი ნაბიჯით ააშკარავებს თავისთავს საკუთარი მშრომელი მასების წინაშე, ეჩხუბება თავის საკუთარ მოკავშირეებს და ვერც ერთ ნაბიჯს ვერ დგამს თანმიმდევრულად თავის პოლიტიკაში. იმპერიალისტები ხან აცხადებენ, რომ შეურიგებელნი არიან საბჭოთა რუსეთის მიმართ და შეუძლებლად თვლიან რაიმე მოლაპარაკება დაიწყონ მასთან, ხან ბლოკადას ხსნიან და ზეიმით აცხადებენ ამას ვითომდა არსებული კავშირის, ვითომდა არსებული ერთა ლიგის სახელით, ხან ისევ რყევის პოლიტიკას იწყებენ; ყოველივე ამით ისინი შესაძლებლობას გვაძლევდნენ და გვაძლევენ დავამტკიცოთ ჩვენი სამშვიდობო პოლი-

ტიკა, დავამტკიცოთ, რომ ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკას საერთო არაფერი აქვს არც მეფის, არც რუსეთის კაპიტალისტების ან რუსეთის, თუნდაც დემოკრატიული, ბურჟუაზიის პოლიტიკასთან. ჩვენ დავამტკიცეთ მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ჩვენს საგარეო პოლიტიკას საერთო არაფერი აქვს იმ პოლიტიკასთან, რომელსაც მუდამ გვაწერენ ბურჟუაზიული გაზეთები. ამრიგად, პოლონეთის პოლიტიკაში არ დარჩენილა არც ერთი სიყალბე, რომელიც მათ თვითონვე არ გამოეაშკარავებინოთ. რუსეთის სამი რევოლუციის გამოცდილებით ჩვენ ვიცით, როგორ მზადდებოდა ეს რევოლუციები და შემდეგ როგორ ვითარდებოდა თვითეული მათგანის ნიადაგზე საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკა. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რევოლუციის მომზადების საქმეში ჩვენი ყველაზე საიმედო თანაშემწე ის გაბატონებული კლასები არიან, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ ყოველგვარ კოალიციებზე, დამფუძნებელ კრებებზე და სხვ., თავი მოაქვთ თითქოსდა ხალხის ნების გამომხატველებად, ნამდვილად კი ნაციონალური ცხოვრების ყოველ სერიოზულ, მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტში საკუთარი პოლიტიკით ააშკარავებენ ურთიერთშორის მოჩხუბარი ბურჟუაზიული ჯგუფების ანგარებას, მორიგების უნარსმოკლებული, ერთმანეთის მეტოქე იმ კაპიტალისტთა ჯგუფების ანგარებას, რომელნიც ასჯერ უფრო ძლიერად ამჟღავნებენ თავიანთ თავს, ვიდრე მათ კომუნისტური პროპაგანდა გამოამჟღავნებდა. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ სახელმწიფოში მუშათა კლასს, თუნდაც ის ყველაზე რევოლუციური იყოს, არასოდეს არავითარი პროპაგანდა და აგიტაცია არ გაარევოლუციურებდა, ამ აგიტაციას რომ თავისი პრაქტიკული მოქმედებით არ ადასტურებდნენ მისივე საკუთარი ქვეყნის გაბატონებული კლასები.

ის, რაც ახლა ხდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, და რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ძლიერად, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც პოლონეთია, გვაძლევს იმის რწმენას, რომ თუ ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით უეჭვე-

ლად უფრო მძიმე ომიდან, თუ ჩვენ სწორად გავითვალისწინეთ ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებისა და პარტიების უთანხმოება და მათი შერიგების შეუძლებლობა იმ მომენტებში, როცა ეს გაერთიანება მათ განსაკუთრებით ესაჭიროებათ, — ახლა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა დიდად გაუმჯობესებულია. ეს გვაძლევს რწმენას არა მარტო ძალთა შინაგანი თანაფარდობის თვალსაზრისით, არამედ საერთაშორისო თვალსაზრისითაც. თუ ავიღებთ ყველა თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოს მთელ სისტემას, მთელ მათ მისწრაფებებს, — ხოლო ჩვენ ვიცით, რომ მათი მისწრაფება აღმოუფხვრელია იმ მხრივ, რომ ყოველი მომენტი უნდათ გამოიყენონ რუსეთზე თავდასასხმელად, — და შევაფასებთ სრულიად ობიექტურად, უკანასკნელი წლების და განსაკუთრებით უკანასკნელი ნახევარი წლის ისტორიის ურყევი ფაქტების თვალსაზრისით, ეს დაგვანახვებს, რომ საერთაშორისო მტერი სუსტდება, რომ იმპერიალისტთა შორის გაერთიანების ყოველგვარი ცდები სულ უფრო და უფრო უიმედოა და რომ ამ მხრივ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

მაგრამ, ამხანაგებო, რადგან ჩვენ ახლა, როდესაც სამეურნეო ამოცანით გართულნი მთელ ყურადღებას მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას ვაპყრობთ, მოახლოებული ახალი ომის წინაშე ვდგავართ, ჩვენთვის არსებითად აუცილებელია სწრაფად გარდავქმნათ ჩვენი რიგები. მთელმა ჩვენმა არმიამ, რომელიც უკანასკნელ დროს შრომის არმიას წარმოადგენდა [25], ახლა თავისი ყურადღება მეორე მხარეს უნდა მიაქციოს; ჩვენ უნდა დავტოვოთ ყველა ჩვენი საქმე და ამ ახალ ომს უნდა მივაპყრათ მთელი ყურადღება. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ის მტერი, რომელიც ახლა ჩვენს წინ დგას, ჩვენთვის საშიში არაა მას შემდეგ, რაც უკვე გადავიტანეთ, მაგრამ მას შეუძლია ახალი მძიმე მსხვერპლი მოითხოვოს მუშებისა და გლეხებისაგან, შეუძლია ბევრად გაგვიძნელოს სამეურნეო მშენებლობა, გააჩანაგოს, დაანგრიოს ათობით, ასობით და ათასობით გლეხური მეურნეობა, აგრე-

თვე შეუძლია თავისი დროებითი წარმატებით გამოაცოცხლოს მიმქრალი იმედები ჩვენს მიერ განადგურებული იმპერიალისტებისა, რომელნიც, რასაკვირველია, არ დააყოვნებენ მიემხრონ მას. ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ის ჩვენი წესი, რომლითაც ვხელმძღვანელობდით ყველა წინანდელ ომში, აუცილებლად უნდა იქნას აღდგენილი ახლაც. თუ წინააღმდეგ ჩვენი ფრიად შემარიგებელი განზრახვებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან ბევრი რამ დავთმეთ, რომ ჩვენ ხელი ავიღეთ ყველა ნაციონალურ პრეტენზიაზე, პოლონეთის მემამულეებმა და პოლონეთის ბურჟუაზიამ თავს მოგვახვიეს ომი; თუ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენ კი დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, ისიც კი, რომელიც დღეს პოლონელებს არ ეხმარება, როდესაც ომი გაჩაღდება, მათ დაეხმარება, იმიტომ რომ წყდება არა მარტო რუსეთის ან პოლონეთის საკითხი, არამედ საკითხი მთელი ბურჟუაზიის არსებობისა, — ჩვენ უნდა გავიხსენოთ და რადაც უნდა დაჯდეს განვახორციელოთ და ბოლომდე გავატაროთ ცხოვრებაში ის წესი, რომელსაც მივდევდით ჩვენს პოლიტიკაში და რომელიც ყოველთვის უზრუნველყოფდა ჩვენს წარმატებას. ეს წესი ის არის, რომ რაკი საქმე ომზე მიდგა, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს, ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს, ამ მხრივ ოდნავი მერყეობაც კი შეუწყნარებელია. რაც უნდა სამძიმო იყოს ამხანაგების დიდი უმრავლესობისათვის იმ მუშაობის დროებით მიტოვება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იქნა გადაყვანილი სხვა, უფრო მადლიანი და მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებისათვის აუცილებელ ლიანდაგზე, მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ სულ მცირედი ხელის შეშვება, უყურადღებობა ხშირად იმას ნიშნავს, რომ ზედმეტად დაიღუპოს ათიათასობით ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, ჩვენი მუშათა და გლეხთა ახალი თაობანი, ჩვენი კომუნისტები, რომელნიც, როგორც ყოველთვის, პირველ რიგებში იბრძვიან. ამიტომ კიდევ ერთხელ, — ყველაფერი ომისათვის. არც ერთი კრება, არც ერთი თათბირი

არ უნდა ჩატარდეს ისე, რომ ყოველგვარი განხილვის დროს პირველ რიგში არ იდგეს კითხვა: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა ომის დასახმარებლად, საკმაოდ დაძაბულია თუ არა ჩვენი ძალები, საკმარისი დამხმარე ძალები გავგზავნეთ თუ არა ფრონტზე? აქ უნდა დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც არ შეუძლია ფრონტზე დახმარების აღმოჩენა. ყოველგვარი მერყეობის უკუგდებით მას უნდა შეეწიროს ყოველგვარი მსხვერპლი, მას უნდა აღმოეჩინოს ყოველგვარი დახმარება. და როდესაც თავს მოვუყრით მთელ ძალებს და გავიღებთ ყოველგვარ მსხვერპლს, ჩვენ, უეჭველია, ამჯერადაც გავიმარჯვებთ. (ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1920 წ. წიგნში: «მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში»

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

დეპეშა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობას

ბაქო

სახკომსაბჭო მიესალმება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მშრომელი მასების განთავისუფლებას და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ თავისი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა რსფსრ-სთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მოსახსნლე მტრისაგან — იმპერიალიზმისაგან.

გაუმარჯოს აზერბაიჯანის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა კავშირს!

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

1920 წ. 5 მაისი.

«კომმუნისტ» (ბაქო)
№ 7, 1920 წ. 9 მაისი

იბეჭდება გაზეთ «კომმუნისტის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა ფართო კონფერენციაზე როგოჟსკ-სიმონოვის რაიონში 1920 წ. 13 მაისს

საგაზეთო ანგარიში

საბჭოთა რესპუბლიკა კვლავ განიცდის მძიმე მომენტს. კოლჩაკი და დენიკინი თავიდან რომ მოიშორა, რუსეთის პროლეტარიატს განზრახული ჰქონდა მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები წარემართა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღსადგენად. ჩვენ ვფიქრობდით, რომ პოლონეთის ბურჟუაზიული მთავრობა ახალი ავანტიურის ჩადენას ვერ გაბედავდა. მართალია, პოლონელი კომუნისტები ამბობდნენ, სწორედ იმიტომ, რომ პოლონეთის მთავრობას დასაკარგავი აღარაფერი აქვს, ის არ შეუშინდება როგორიც გნებავთ ავანტიურაში გადაისროლოს თავისი მუშები და გლეხებიო. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლონეთის პროლეტარიატი ლატვიისა და ბელორუსიის პროლეტარიატთან ერთად იზრუნებს პოლონეთის ბურჟუაზიისა და პანების გასაძევებლად. რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა უდიდეს დათმობებს აკეთებდა პოლონეთისადმი, რადგან ამით სურდა დაემტკიცებინა პოლონელი ხალხისთვის, რომ მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ცარიზმის პოლიტიკასთან მცირე სახელმწიფოების მიმართ.

პოლონეთის ბურჟუაზიის ზურგს უკან მოქმედებენ საფრანგეთის კაპიტალისტები, რომელთაც სურთ კარგ ფასად შეაჩეჩონ პოლონეთს თავიანთი სამხედრო საჭურველი და აინაზღაურონ ის ზარალი, რაც კოლჩაკსა და დენიკინზე მოუვიდათ.

აღსანიშნავია, რომ ანტანტის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ბედავს გამოვიდეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აშკარად, რადგან ეშინია თავისი ნამდვილი სახე დაანახოს მუშებს. ახლანდელ მომენტში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩავაგონოთ პოლიტიკურად უცოდინარ და ჩამორჩენილ მოქალაქეებს, რომ ჩვენ ყოველივე შესაძლებელი გავაკეთეთ ახალი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და რომ პოლონელი მუშა და გლეხი ჩვენი მტერი არაა, მაგრამ რომ თუ პეტლიურასთან შეერთებულ პოლონეთის ბურჟუაზიას სურს ომი, ჩვენ ვიომებთ და ულმობელნი ვიქნებით. ყოველ ომში გამარჯვება საბოლოო ანგარიშით განპირობებულია იმ მასების სულისკვეთების მდგომარეობით, რომელნიც ბრძოლის ველზე ღვრიან თავიანთ სისხლს. ომის სამართლიანობაში დარწმუნება, თავის თანამოძმეთა საკეთილდღეოდ საკუთარი სიცოცხლის განწირვის აუცილებლობის შეგნება ამხნევებს ჯარისკაცებს და აიძულებს მათ გადაიტანონ გაუგონარი სიმძიმეები. მეფის გენერლები ამბობენ, რომ ჩვენს წითელარმიელებს გადააქვთ ისეთი გაჭირვებანი, როგორსაც ვერასოდეს ვერ გადაიტანდა მეფის წესწყობილების არმია. ეს იმით აიხსნება, რომ თვითეულმა მუშამ და გლეხმა, რომელსაც თოფი მისცეს, იცის, რისთვის მიდის ის, და შეგნებულად ღვრის თავის სისხლს სამართლიანობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მასების მიერ ომის მიზნებისა და მიზეზების ამ შეგნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს უზრუნველყოფს გამარჯვებას.

ჩვენი ქვეყანა გაწამებულია ომისაგან, და ჩვენ გვინდა უდიდეს დათმობათა ფასად შევწყვიტოთ სისხლისღვრა და შევუდგეთ მშვიდობიან შრომას. ამიტომ, როცა რუსეთში ჩამოვიდა ბულიტი და წამოგვიყენა მძიმე ზავი, საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა მას[26], რათა განმტკიცების შესაძლებლობა მიეცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ახლანდელ მომენტში ჩვენ იძულებული ვართ კვლავ მოვუწოდოთ მასებს: «ყველაფერი ომისათვის». ყველა ორ-

განიზაციამ, პროფესიულმაც და პარტიულმაც, ამჟამად მთელი თავისი ძალები უნდა გაიღოს გმირი წითელი არმიის დასახმარებლად.

იმაში, რომ სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა, ჩვენ მალე დავარწმუნებთ მთელ მსოფლიოს.

გუშინ პიტერში ჩამოვიდა დელეგაცია ინგლისის ტრედ-უნიონებისა, რომელთა შორის ცოტანი თუ თანაგვიგრძნობენ ჩვენ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ შინ დაბრუნების შემდეგ ისინი იქნებიან საუკეთესო აგიტატორები ჩვენს სასარგებლოდ. მეფის ყოფილი გენერლებიც კი პოლონეთის პრეტენზიებს უმართებულოდ თვლიან და ჩვენს დასახმარებლად მოდიან. «ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის», ვამბობთ ჩვენ და ამბობენ რუსეთის მუშები და გლეხები. მაშ დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები გამარჯვების უზრუნველსაყოფად. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«კომმუნისტიჩესკი ტრუდ» № 44,
1920 წ. 14 მაისი

იბეჭდება გაზეთ
«კომმუნისტიჩესკი ტრუდის»
ტექსტის მიხედვით

ინდოეთის რევოლუციურ ასოციაციას [27]

მოხარული ვარ როცა მესმის, რომ მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მიერ გამოცხადებულმა ჩაგრულ ხალხთა თვითგამორკვევისა და უცხოელ და საკუთარ კაპიტალისტთა ექსპლოატაციისაგან მათი განთავისუფლების პრინციპებმა ესოდენ ცხოველი გამოხმაურება პოვეს შეგნებულ ინდოელთა შორის, რომელნიც გმირულად იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისათვის. რუსეთის მშრომელი მასები შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ინდოელი მუშისა და გლეხის გამოღვიძებას. საბოლოო წარმატების საწინდარია მშრომელთა ორგანიზებულობა და დისციპლინა, მათი სიმტკიცე და სოლიდარობა მთელი მსოფლიოს მშრომელებთან. მივესალმებით მუსლიმანური და არამუსლიმანური ელემენტების მჭიდრო კავშირს. გულწრფელად გვსურს ამ კავშირის გავრცელება აღმოსავლეთის ყველა მშრომელზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდოელი, ჩინელი, კორეელი, იაპონელი, სპარსელი, თურქი მუშა და გლეხი ერთმანეთს ხელს გაუწვდიან და ერთად წავლენ განთავისუფლების საერთო საქმისათვის, მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი გადამწყვეტი გამარჯვება ექსპლოატატორებზე. გაუმარჯოს თავისუფალ აზიას!

«პრავდა» № 108,
1920 წ. 20 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წერილი ინგლისელ მუშებს[28]

ამხანაგებო! უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით მადლობა გამოგიცხადოთ თქვენი დელეგაციის გამოგზავნისათვის ჩვენში საბჭოთა რუსეთის გასაცნობად. როცა თქვენმა დელეგაციამ შემომთავაზა მისი საშუალებით გამეგზავნა წერილი ინგლისელი მუშებისათვის და, შესაძლოა, აგრეთვე წინადადება ინგლისის მთავრობისათვის, მე ვუპასუხე, რომ მადლობით ვღებულობ პირველ წინადადებას, მაგრამ მთავრობას მე უნდა მივმართო არა მუშათა დელეგაციის საშუალებით, არამედ უშუალოდ ჩვენი მთავრობის სახელით ამხ. ჩიჩერინის მეშვეობით-მეთქი. ჩვენ ამნაირად ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მიგვიმართავს ინგლისის მთავრობისათვის უალრესად ოფიციალური და სერიოზული წინადადებით, რომ დაგვეწყო საზავო მოლაპარაკება. ამ ჩვენს წინადადებებს კვლავ განუწყვეტლივ აყენებს ყველა ჩვენი წარმომადგენელი, ამხ. ლიტვინოვიც, ამხ. კრასინიც და ყველა დანარჩენიც. ინგლისის მთავრობა ჯიუტად არ ღებულობს ჩვენს წინადადებებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ინგლისის მუშათა დელეგატებთან მე მსურდა მელაპარაკნა მხოლოდ და მხოლოდ როგორც მუშათა დელეგატებთან და მელაპარაკნა არა როგორც საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს, არამედ როგორც მხოლოდ კომუნისტს.

მე არ გამკვირვებია, რომ თქვენი დელეგაციის მთელი რიგი წევრები დგანან არა მუშათა კლასის თვალსაზრისზე, არამედ ბურჟუაზიის, ექსპლოატატორთა კლასის თვალსაზრისზე,

ვინაიდან ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში იმპერიალისტურმა ომმა სავსებით გამოააშკარავა ძველი იარაღ: სახელდობრ, მუშათა პარლამენტური და ტრედ-უნიონისტური ბელადების უმრავლესობის გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე. ისინი «სამშობლოს დაცვის» ცრუ მომიზეზებით ნამდვილად იცავ-დნენ მსოფლიო ავაზაკთა ორი ჯგუფიდან ერთ-ერთი ჯგუფის — ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის თუ გერმანიის ჯგუ-ფის — მტაცებლურ ინტერესებს; კავშირს კრავდნენ ბურჟუა-ზიასთან პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის წინააღ-მდეგ; ამ ღალატს ფარავდნენ სანტიმენტალურ-მეშჩანური, რეფორმისტული და პატიფისტური ფრაზებით მშვიდობიან ევოლუციაზე, კონსტიტუციურ მეთოდებზე, დემოკრატიაზე და სხვ.. ასე იყო ყველა ქვეყანაში; გასაკვირი არაა, რომ იგივე მოვლენა ინგლისში გამოიხატა თქვენი დელეგაციის შემა-დგენლობითაც.

თქვენი დელეგაციის წევრები, შოუ და ჰესტი, მეკითხე-ბოდნენ, — ეტყობოდათ, გაკვირვებული და ნაწყენი ჩემი იმ განცხადებით, რომ ინგლისი, წინააღმდეგ ჩვენი სამშვიდობო წინადადებებისა, წინააღმდეგ მისი მთავრობის განცხადებე-ბისა, ინტერვენციას განაგრძობს, ომს აწარმოებს ჩვენთან, ეხმარება ვრანგელს ყირიმში და თეთრგვარდიულ პოლო-ნეთს, — მეკითხებოდნენ, მაქვს თუ არა მე ამის დამამტკი-ცებელი საბუთები, შემიძლია თუ არა მივუთითო, სამხედრო საჭურვლით დატვირთული რამდენი მატარებელი გაუგზავნა ინგლისმა პოლონეთს და სხვ.. მე ვუპასუხე, რომ ინგლისის მთავრობის საიდუმლო ხელშეკრულებათა მისაღებად საჭიროა მისი რევოლუციური გზით დამხობა და მისი საგარეო პოლი-ტიკის ყველა დოკუმენტის ხელში ჩაგდება, როგორც ეს ჩვენ მოვიმოქმედეთ 1917 წელს. ყოველმა განათლებულმა კაცმა, პოლიტიკით გულწრფელად დაინტერესებულმა ყოველმა ადამიანმა ჩვენს რევოლუციამდეც იცოდა, რომ მეფეს ფარუ-ლი ხელშეკრულებები ჰქონდა დადებული ინგლისის, საფრან-გეთის, ამერიკის, იტალიის, იაპონიის უაჩაღურ მთავრობებთან ნადავლის გაყოფის შესახებ, კონსტანტინოპოლის, გალიციის,

სომხეთის, სირიის, მესოპოტამიისა და სხვ. შესახებ. მხოლოდ მატყუარებსა და თვალთმაქცებს (სრულიად უმეცარ, გონებადახშულ, წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანებს, რა თქმა უნდა, არა ვთვლით) შეეძლოთ უარეყოთ ეს ან ისე მოეჩვენებინათ თავი, თითქოს ეს მათ არ იციან. მაგრამ ურევოლუციოდ ჩვენ ვერასოდეს ვერ ჩავიგდებდით ხელში კაპიტალისტური კლასის ყაჩაღურ მთავრობათა საიდუმლო დოკუმენტებს. ინგლისის პროლეტარიატის ის ბელადები ან წარმომადგენლები, — სულ ერთია, პარლამენტური, ტრედ-უნიონისტური, ჟურნალისტური თუ სხვები, — რომლებიც თავს ისე აჩვენებენ, თითქოს არ იციან ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის, იაპონიის, პოლონეთის ფარულ ხელშეკრულებათა არსებობა სხვა ქვეყნების ძარცვის შესახებ, ნადავლის გაყოფის შესახებ და რომლებიც რევოლუციურ ბრძოლას არ ეწევიან ასეთ ხელშეკრულებათა გამოსააშკარავებლად, — ამით კიდევ ერთხელ მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ისინი კაპიტალისტების ერთგული მსახურნი არიან. ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით; ამას ჩვენ ვაშკარავებთ ჩვენშიც და მსოფლიოს ყველა ქვეყანაშიც. ინგლისის მუშათა დელეგაციის რუსეთში ჩამოსვლა ინგლისშიც დააჩქარებს ასეთი ბელადების გამოაშკარავებას.

მე ვესაუბრე თქვენს დელეგაციას ოთხშაბათს, 26 მაისს. ხოლო მეორე დღეს მოვიდა დეპეშები, რომ ბონარ-ლოუმ ინგლისის პარლამენტში აღიარა პოლონეთისადმი სამხედრო დახმარება ოქტომბერში «რუსეთისაგან დასაცავად» (რასაკვირველია, მხოლოდ დასაცავად, მხოლოდ ოქტომბერში! ინგლისში კიდევ არიან «მუშათა გავლენიანი ბელადები», რომლებიც კაპიტალისტებს ეხმარებიან მუშების გაბრიყვებაში!), ხოლო გაზეთი «ნიუ-სტეიტსმენი» *, ზომიერზე უზომიერესი მეშჩანური გაზეთი თუ ჟურნალი, წერდა, რომ პოლონეთს გადაეცა უფრო ძლიერი ტანკები, ვიდრე იხმარებოდა ომში გერმანელების წინააღმდეგო. ამის შემდეგ განა შეიძლება არ დავცინოთ ინგლისის მუშათა იმ «ბელადებს», რომელნიც

* — «ახალი სახელმწიფო მოღვაწე». რ ე დ.

შეურაცხყოფილი უმანკოების სახით კითხულობენ, სად არის იმის «დამამტკიცებელი საბუთები», რომ ინგლისი რუსეთს ეომება და პოლონეთს და ყირიმელ თეთრგვარდიელებს ეხმარებაო?

დელეგაციის წევრები მეკითხებოდნენ, თუ რას უფრო მნიშვნელოვნად ვთვლი მე: თანამიმდევარი, რევოლუციური, კომუნისტური პარტიის დაარსებას ინგლისში, თუ ინგლისის მუშათა მასების დაუყოვნებლივ დახმარებას რუსეთთან ზავის საქმეში. მე ვუპასუხე, რომ ეს რწმენის საქმეა. კაპიტალის უღლისაგან მუშათა განთავისუფლების გულწრფელი ომხრენი არასგზით არ შეიძლება იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ დაარსდეს კომუნისტური პარტია, რომელსაც ერთადერთს შეუძლია აღზარდოს მუშათა მასები არა ბურჟუაზიულად, არა მეშჩანურად, ერთადერთს შეუძლია ნამდვილად გამოააშკარაოს, სასაცილოდ აიგდოს, სამარცხვინო ბოძზე გააკრას ის «ბელადები», რომელთაც უნარი შესწევთ დაეჭვდნენ იმაში, ეხმარება თუ არა ინგლისი პოლონეთს და სხვ.. საშიში არაა, რომ ინგლისში ძალიან ბევრი კომუნისტი იქნება, ვინაიდან იქ პატარა კომუნისტური პარტიაც კი არ არსებობს. მაგრამ ვინც ჯერ კიდევ კვლავ ბურჟუაზიის იდეურ მონობაში იმყოფება, ვინც კვლავ იზიარებს მეშჩანურ ცრურწმენებს «დემოკრატიის» (ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიის), პაციფიზმისა და სხვ. შესახებ, ცხადია, ასეთი ადამიანები მხოლოდ კიდევ უფრო მეტად ავნებდნენ პროლეტარიატს, თუ განიზრახავდნენ თავისი თავისთვის კომუნისტი ეწოდებინათ და III ინტერნაციონალს შეერთებოდნენ. ასეთ ადამიანებს არაფრის უნარი არ შესწევთ, გარდა იმისა, რომ მხოლოდ მეშჩანური ფრაზებისაგან შედგენილი მოთაფლული «რეზოლუციები» წერონ ინტერვენციის წინააღმდეგ. ერთგვარი აზრით ასეთი რეზოლუციებიც სასარგებლოა, — სახელდობრ იმ აზრით, რომ ძველი «ბელადები» (ბურჟუაზიული დემოკრატიის, მშვიდობიანი მეთოდების მომხრენი და სხვ. და სხვ.) მით უფრო გამასხარავდებიან მასების თვალში, მით უფრო ძალე გამოააშკარავებენ თავის თავს, რაც უფრო

მეტ არაფრის შემცველ რეზოლუციებს გაატარებენ, რომლებიც არავის არაფერს ავალდებულებს, რომელთაც არავითარი რევოლუციური მოქმედება თანარ სდევს. ყველას თავისი უნდა მიეზღოს: დაე კომუნისტებმა იმუშაონ პირდაპირ თავისი პარტიის საშუალებით მუშათა რევოლუციური შეგნების გათვითცნობიერებისათვის. დაე იმათ, ვინც მხარს უჭერდა «სამშობლოს დაცვას» იმპერიალისტთა ომში მსოფლიოს განაწილებისათვის, ინგლისის კაპიტალისტების მიერ თურქეთის ძარცვის შესახებ მეფესთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულების «დაცვას», დაე იმათ, ვინც «ვერ ხედავს» პოლონეთისადმი და რუსეთის თეთრგვარდიელებისადმი დახმარებას ინგლისის მხრივ, — დაე მათ რაც შეიძლება მალე მიიყვანონ თავიანთი «მშვიდობიანი რეზოლუციების» რაოდენობა სასაცილო რიცხვამდე; მით უფრო ჩქარა დაემართებათ მათ ის, რაც დაემართათ კერენსკის, მენშევიკებსა და ესერებს რუსეთში.

თქვენი დელეგაციის ზოგიერთი წევრი გაკვირვებით მეკითხებოდა წითელი ტერორის შესახებ, რუსეთში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების, კრებების თავისუფლების უქონლობის შესახებ, ჩვენს მიერ მენშევიკებისა და მენშევიკური მუშების დევნის შესახებ და სხვ.. მე ვუპასუხე, რომ ტერორის ნამდვილი მიზეზი არიან ინგლისის იმპერიალისტები და მათი «მოკავშირენი», რომელნიც თეთრ ტერორს მიმართავდნენ და მიმართავენ ფინეთსა და უნგრეთში, ინდოეთსა და ირლანდიაში, რომელნიც მხარს უჭერდნენ და უჭერენ იუდენიჩს, კოლჩაკს, დენიკინს, პილსუდსკის, ვრანგელს. ჩვენი წითელი ტერორი წარმოადგენს მუშათა კლასის თავდაცვას ექსპლოატატორებისაგან, ის არის დათრგუნვა იმ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობისა, რომელთა მხარეზე დგებიან ესერები, მენშევიკები, მენშევიკურ მუშათა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი. ბეჭდვითი სიტყვისა და კრებების თავისუფლება ბურჟუაზიულ დემოკრატიაში არის მშრომელთა წინააღმდეგ მდიდართა შეთქმულების თავისუფლება, გაზეთების მოქრთამვისა და კაპიტალისტების მიერ მათი მოსყიდვის თავისუფლება. მე

უკვე იმდენჯერ ამიხსნია ეს პრესაში, რომ ამის გამეორება ჩემთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო.

ხოლო თქვენს დელეგაციასთან ჩემი საუბრის ორი დღის შემდეგ გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ საფრანგეთში მონატისა და ლორიოს დაპატიმრების გარდა, ინგლისში დაუპატიმრებიათ სილვია პანკჰერსტი. აი — ინგლისის მთავრობის საუკეთესო პასუხი იმ კითხვაზე, რომლის დასმაც კი აშინებთ ინგლისის მუშათა ბურჟუაზიული ცრურწმენების ტყვეობაში მყოფ არაკომუნისტურ «ბელადებს», სახელდობრ იმ კითხვაზე, თუ რომელი კლასის წინააღმდეგ არის მიმართული ტერორი? ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ, თუ მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ? რაზეა ლაპარაკი: კაპიტალისტთა «თავისუფლებაზე», რომ ძარცვონ, ატყუონ, აბრიყვონ მშრომელნი, თუ მშრომელთა «თავისუფლებაზე» კაპიტალისტთა, სპეკულანტთა, მესაკუთრეთა უღლისაგან? ამხ. სილვია პანკჰერსტი — იმ ასობითა და ასობით მილიონი ადამიანის ინტერესთა წარმომადგენელია, რომელთაც ჩაგრავენ ინგლისელი და სხვა კაპიტალისტები; სწორედ ამიტომ ესხმის მას თავს თეთრი ტერორი, ამიტომ აღუკვეთეს თავისუფლება და სხვ.. მუშათა ის «ბელადები» კი, რომელნიც არაკომუნისტურ პოლიტიკას აწარმოებენ, ოთხმოცდაცხრამეტი მეასედით ბურჟუაზიის, მისი მატყუარობის, მისი ცრურწმენების წარმომადგენლები არიან.

დასასრულ, კიდევ გმადლობთ, ამხანაგებო, ჩვენთან თქვენი დელეგაციის გამოგზავნისათვის. მის მიერ საბჭოთა რუსეთის გაცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ძალიან მტრულად უყურებს საბჭოთა სისტემას და პროლეტარიატის დიქტატურას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდად დაუტყვევებია ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, — აუცილებლად დააჩქარებს კაპიტალიზმის კრახს მთელ მსოფლიოში.

ნ. ლენინი

30. V. 1920.

«პრავდა» № 130,
1920 წ. 17 ივნისი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველნდელი მოწვევა თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე[29]

(კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)

ამხანაგების განსახილველად შემომაქვს ქვემოთ მოყვანილი პროექტი თეზისებისა კოლონიურ და ნაციონალურ საკითხებზე კომინტერნის მე-2 ყრილობისათვის; მე ვთხოვ ყველა ამხანაგს, კერძოდ კი იმ ამხანაგებს, ვინც კონკრეტულად იცნობს რომელიმე ამ ურთულეს საკითხთაგანს, თავისი შეფასება, ან შესწორება, ან დამატება, ან კონკრეტული განმარტება მოგვცენ **უაღრესად მოკლე (არა უმეტეს 2 — 3 გვერდი) ფორმით**, განსაკუთრებით შემდეგ პუნქტებზე:

ავსტრიის გამოცდილება.
პოლონურ-ებრაული და უკრაინის გამოცდილება.
ელზას-ლოტარინგია და ბელგია.
ირლანდია.
დანია-გერმანიის ურთიერთობა. იტალია-საფრანგეთის და იტალიურ-სლავური ურთიერთობა.
ბალკანეთის გამოცდილება.
აღმოსავლეთის ხალხები.
ბრძოლა პანისლამიზმთან.
ურთიერთობა კავკასიაში.
ბაშკირეთის და თათრეთის რესპუბლიკები.
ყირგიზეთი.
თურქესტანი, მისი გამოცდილება.

ზანგები ამერიკაში.
კოლონიები.
ჩინეთი — კორეა — იაპონია.

ნ. ლენინი

1920 წ. 5 ივნისი.

1. ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თვით მისი ბუნებით, ახასიათებს საერთოდ თანასწორობის, მათ შორის აგრეთვე ნაციონალური თანასწორობის საკითხის აბსტრაქტულად ან ფორმალურად დაყენება. საერთოდ ადამიანის პიროვნების თანასწორობის სახით ბურჟუაზიული დემოკრატია აცხადებს მესაკუთრისა და პროლეტარის, ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულის ფორმალურ ან იურიდიულ თანასწორობას, რითაც უდიდეს შეცდომაში შეყავს ჩაგრული კლასები. თანასწორობის იდეას, რომელიც თვითონ სასაქონლო წარმოების ურთიერთობათა ანარეკლია, ბურჟუაზია აქცევს კლასების მოსპობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად, ადამიანების პიროვნებათა თითქოს აბსოლუტური თანასწორობის მომიზეზებით. თანასწორობის მოთხოვნის ნამდვილი აზრი კლასების მოსპობის მოთხოვნას შეიცავს მხოლოდ.

2. ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი სიცრუისა და თვალთმაქცობის გამოაშკარავების თავისი ძირითადი ამოცანის შესაბამისად, კომუნისტური პარტია, როგორც ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის პროლეტარიატის ბრძოლის შეგნებული გამომხატველი, ნაციონალურ საკითხშიც ქვაკუთხედად უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულ და ფორმალურ პრინციპებს, არამედ, ჯერ-ერთი, ისტორიულ-კონკრეტული და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური ვითარების ზუსტად გათვალისწინებას; მეორე, ჩაგრულ კლასთა, მშრომელთა, ექსპლოატირებულთა ინტერესების ნათლად გამოყოფას საერთოდ სახალხო ინტერესების ზოგადი ცნებიდან, რომელიც ნიშნავს გაბატონებული კლასის ინტერესებს; მესამე, ჩაგრული, დამოკიდებული, არათანასწორუფლებიანი ერების ასეთსავე ნათლად გამოყოფას მჩაგვრელ,

ექსპლოატატორ, სრულუფლებიან ერთაგან, — წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სიცრუისა, რომელიც ჩქმალავს ფინანსური კაპიტალისა და იმპერიალიზმის ეპოქის დამახასიათებელ მოვლენას — დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის კოლონიურსა და ფინანსურ დამონებას უმდიდრესი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის მიერ.

3. 1914 — 1918 წლების იმპერიალისტურმა ომმა განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავა ყველა ერისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასების წინაშე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზების სიყალბე; მან საქმით ცხადყო, რომ ყბადაღებულ «დასავლეთის დემოკრატიათა» ვერსალის ხელშეკრულება კიდევ უფრო მხეცური და საზიზღარი ძალმომრეობაა სუსტი ერების მიმართ, ვიდრე გერმანელ იუნკერთა და კაიზერის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ერთა ლიგა და ანტანტის მთელი ომისშემდგომი პოლიტიკა კიდევ უფრო ნათლად და მკვეთრად ააშკარავებს ამ სიმართლეს, აძლიერებს ყველგან როგორც მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის, ისე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მთელი მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას, აჩქარებს მეშჩანურ-ნაციონალური ილუზიების კრახს, — თითქოს შესაძლებელი იყოს ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და თანასწორობა კაპიტალიზმის დროს.

4. ზემოაღნიშნული ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ კომინტერნის მთელ პოლიტიკას ნაციონალურ და კოლონიურ საკითხში საფუძვლად უნდა დაედვას ყველა ერისა და ქვეყნის პროლეტართა და მშრომელი მასების დაახლოება ერთობლივი რევოლუციური ბრძოლისათვის მემამულეებისა და ბურჟუაზიის დასამხობად; ვინაიდან მხოლოდ ასეთი დაახლოება უზრუნველყოფს კაპიტალიზმზე გამარჯვებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ნაციონალური ჩაგვრისა და უთანასწორობის მოსპობა.

5. მსოფლიო პოლიტიკურმა ვითარებამ ახლა დღის წესრიგში დააყენა პროლეტარიატის დიქტატურა, და მსოფლიო

პოლიტიკის მთელი მოვლენები აუცილებლად თავს იყრის ერთი ცენტრალური პუნქტის გარშემო, სახელდობრ: ეს არის მსოფლიო ბურჟუაზიის ბრძოლა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც გარდუვალად აერთიანებს თავის გარშემო, ერთი მხრივ, ყველა ქვეყნის მოწინავე მუშების საბჭოთა მოძრაობებს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ კოლონიებისა და ჩაგრულ ხალხთა ყველა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლებიც მწარე გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ მათი ხსნა მხოლოდ მსოფლიო იმპერიალიზმზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაშია.

6. მაშასადამე, ამჟამად არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ სხვადასხვა ერის მშრომელთა დაახლოების ცარიელი აღიარებით ან გამოცხადებით, არამედ აუცილებელია ვაწარმოოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც განახორციელებს იმას, რომ ყველა ნაციონალურ და კოლონიურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მჭიდროდ დააკავშირებს საბჭოთა რუსეთთან, აუცილებელია განვსაზღვროთ ამ კავშირის ფორმები კომუნისტური მოძრაობის განვითარების საფეხურის შესაბამისად თვითეული ქვეყნის პროლეტარიატში, ან მუშათა და გლეხთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების საფეხურის მიხედვით ჩამორჩენილ ქვეყნებში ან ჩამორჩენილ ერებს შორის.

7. ფედერაცია წარმოადგენს გარდამავალ ფორმას სხვადასხვა ერის მშრომელთა სრული ერთიანობისაკენ. ფედერაციამ უკვე პრაქტიკულად ცხადყო თავისი მიზანშეწონილობა როგორც რსფს რესპუბლიკის დამოკიდებულებაში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისადმი (უნგრეთის, ფინეთის, ლატვიისა — წარსულში; აზერბაიჯანის, უკრაინისა — ამჟამად), ისე რსფს რესპუბლიკის შიგნით იმ ეროვნებებთან დამოკიდებულებაში, რომელთაც წინათ არ ჰქონიათ არც სახელმწიფოებრივი არსებობა, არც ავტონომია (მაგალითად, ბაშკირეთისა და თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკები რსფსრ-ში, რომლებიც შეიქმნა 1919 და 1920 წლებში).

8. ამ მხრივ კომინტერნის ამოცანაა ამ ახალი, საბჭოთა წყობილებისა და საბჭოთა მოძრაობის ბაზაზე წარმოშობილი ფედერაციების როგორც შემდგომი განვითარება, ისე მათი შესწავლა და შემოწმება გამოცდილებით. ფედერაციას რომ სრული ერთიანობისაკენ გარდამავალ ფორმად ვაღიარებთ, აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ და მხედველობაში გვქონდეს, ჯერ-ერთი, ის, რომ შეუძლებელია შევინარჩუნოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმჭიდროესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; მეორე, ის, რომ აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიური კავშირი, ურომლისოდაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის მიერ დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; მესამე, ტენდენცია ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მთელის შექმნისაკენ, ტენდენცია, რომელიც სავსებით აშკარად გამომჟღავნდა უკვე კაპიტალიზმის დროს, აუცილებლად განვითარდება შემდგომ და სავსებით დასრულებულ სახეს მიიღებს სოციალიზმის დროს.

9. შინასახელმწიფოებრივი ურთიერთობის დარგში კომინტერნის ნაციონალური პოლიტიკა არ შეიძლება განისაზღვროს ერთა თანასწორუფლებიანობის იმ ცარიელი, ფორმალური, წმიდა დეკლარაციული და პრაქტიკულად არაფრის დამავალდებულებელი აღიარებით, რომლითაც კმაყოფილდებიან ბურჟუაზიული დემოკრატები — სულ ერთია, აშკარად აღიარებენ ისინი თავს ასეთებად თუ ეფარებიან სოციალისტების სახელწოდებას, როგორც ამას II ინტერნაციონალის სოციალისტები სჩადიან.

არა მარტო კომუნისტური პარტიების მთელ პროპაგანდასა და აგიტაციაში — პარლამენტის ტრიბუნიდანაც და მის გარეთაც — განუხრელად უნდა გამოვააშკარაოთ ერთა თანასწორ-

უფლებიანობისა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების გარანტიების მუდმივი დარღვევები ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, წინააღმდეგ მათი «დემოკრატიული» კონსტიტუციებისა, არამედ ამასთანავე აუცილებლივ საჭიროა, ჯერ-ერთი, ვაწარმოოთ მუდმივი ახსნა-განმარტება, რომ ერთა თანასწორობის ნამდვილად უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ საბჭოთა წყობილებას, რომელიც ჯერ პროლეტარებს, შემდეგ კი მშრომელთა მთელ მასას გააერთიანებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში; მეორე, აუცილებლად საჭიროა ყველა კომუნისტურმა პარტიამ პირდაპირი დახმარება აღმოუჩინოს რევოლუციურ მოძრაობებს დამოკიდებულ ან არათანასწორუფლებიან ერებში (მაგალითად, ირლანდიაში, ამერიკის ზანგებში და სხვ.) და კოლონიებში.

თუ ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პირობა არ იქნა, ისე დამოკიდებული ერებისა და კოლონიების ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე მათი სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების აღიარება ყალბ აბრად რჩება, როგორც ამას ვხედავთ II ინტერნაციონალის პარტიებში.

10. სიტყვით ინტერნაციონალიზმის აღიარება, ხოლო საქმით, მთელ პროპაგანდასა, აგიტაციასა და პრაქტიკულ მუშაობაში მისი შეცვლა მეშჩანური ნაციონალიზმითა და პაციფიზმით — სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო II ინტერნაციონალის პარტიებში, არამედ იმათ შორისაც, ვინც ამ ინტერნაციონალიდან გამოვიდა, ხშირად იმ პარტიებს შორისაც კი, რომელნიც ახლა თავის თავს კომუნისტურს უწოდებენ. ამ ბოროტებასთან, ყველაზე უფრო ფესვგადგმულ წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალურ ცრურწმენებთან, ბრძოლა მით უფრო წინა რიგში დგება, რაც უფრო საჭირბოროტო ხდება ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურის გადაქცევისა ნაციონალურიდან (ე. ი. ისეთიდან, რომელიც ერთ ქვეყანაში არსებობს და არ შეუძლია განსაზღვროს მსოფლიო პოლიტიკა) ინტერნაციონალურ დიქტატურად (ე. ი. სულ ცოტა, რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურად, რომელსაც უნარი ექნება გადამწყვეტი

გავლენა მოახდინოს ძთელ მსოფლიო პოლიტიკაზე). წვრილ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ინტერნაციონალიზმად აცხადებს ერთა თანასწორუფლებიანობის აღიარებას და ამით კმაყოფილდება, ის (რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი აღიარების წმინდა სიტყვიერი ხასიათის შესახებ) ხელუხლებლად ინარჩუნებს ნაციონალურ ეგოიზმს, მაშინ როდესაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მოითხოვს, ჯერ-ერთი, ერთი ქვეყნის პროლეტარული ბრძოლის ინტერესების დამორჩილებას ამ ბრძოლის ინტერესებისადმი მთელი მსოფლიოს მასშტაბით; მეორე, ის მოითხოვს, რომ იმ ერს, რომელიც ბურჟუაზიაზე გამარჯვებას ახორციელებს, უნარი შესწევდეს და ძზად იყოს უდიდესი ნაციონალური მსხვერპლი გაიღოს საერთაშორისო კაპიტალის დასამხობად.

ამრიგად, უკვე სავსებით კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ მუშათა პარტიები, რომლებიც პროლეტარიატის ნამდვილ ავანგარდს წარმოადგენენ, ინტერნაციონალიზმის ცნებისა და პოლიტიკის ოპორტუნისტულ და მენშჩანურ-პაციფისტურ დამახინჯებებთან ბრძოლა პირველ და უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

ii. უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფოთა და ერთა მიმართ, სადაც ფეოდალური ან პატრიარქალური და პატრიარქალურ-გლეხური ურთიერთობა ჭარბობს, განსაკუთრებით მხედველობაში უნდა გვქონდეს შემდეგი:

პირველი, ყველა კომუნისტური პარტია აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ამ ქვეყნებში; უაღრესად აქტიური დახმარების გაწევის მოვალეობა პირველ რიგში ეკისრებათ იმ ქვეყნის მუშებს, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩამორჩენილი ერი კოლონიურად თუ ფინანსურად;

მეორე, აუცილებელია ბრძოლა სამღვდელოებასთან და სხვა რეაქციულ და შუასაუკუნურ ელემენტებთან, რომელთაც გავლენა აქვთ ჩამორჩენილ ქვეყნებში;

მესამე, აუცილებელია ბრძოლა პანისლამიზმთან და მსგავს მიმდინარეობებთან, რომელნიც ცდილობენ ევროპისა

და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაერთონ ხანების, მემამულეების, მოლებისა და სხვ. პოზიციის განმტკიცებასთან;

მეოთხე, აუცილებელია მხარი დავუჭიროთ ჩამორჩენილი ქვეყნების სპეციალურად გლეხურ მოძრაობას მემამულეების წინააღმდეგ, მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, ფეოდალიზმის ყოველგვარი გამოხატულების ან ნაშთის წინააღმდეგ, და ვეცადოთ გლეხთა მოძრაობას მივცეთ რაც შეიძლება მეტი რევოლუციური ხასიათი, განვახორციელოთ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პროლეტარიატის რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთან აღმოსავლეთში, კოლონიებსა და ჩამორჩენილ ქვეყნებში საერთოდ; განსაკუთრებით აუცილებელია მთელი ძალ-ღონის წარმართვა იქითკენ, რომ საბჭოთა წყობილების ძირითადი საწყისები გამოყენებულ იქნას ისეთი ქვეყნების მიმართ, სადაც გაბატონებულია წინაკაპიტალისტური ურთიერთობა, «მშრომელთა საბჭოების» შექმნის გზით და სხვ.;

მეხუთე, აუცილებელია გადაჭრით ბრძოლა ჩამორჩენილ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ განმათავისუფლებელ მიმდინარეობათა კომუნიზმის ფერით შეღებვის წინააღმდეგ; კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მხარი უნდა დაუჭიროს კოლონიებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალურ მოძრაობებს მხოლოდ იმ პირობით, რომ მომავალი პროლეტარული, არა მარტო სახელწოდებით კომუნისტური, პარტიების ელემენტები ყველა ჩამორჩენილ ქვეყანაში დაირაზმებიან და აღიზრდებიან თავიანთი განსაკუთრებული ამოცანების შეგნებით, მათი ერების შიგნით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობებთან ბრძოლის ამოცანების შეგნებით; კომუნისტური ინტერნაციონალი დროებით უნდა უკავშირდებოდეს ხოლმე კოლონიებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მაგრამ არ უნდა გაითქვიფოს მასში და აუცილებლად უნდა იცავდეს პროლეტარული მოძრაობის დამოუკიდებლობას მისი თუნდაც უაღრესად ჩანასახი ფორმით;

მეექვსე, აუცილებელია ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი ჩამორჩენილი ქვეყნების, უაღრესად ფართო მშრომელი მასების წინაშე მუდმივად ვაწარმოებდეთ ახსნა-განმარტებას და ვააშკარავებდეთ იმ მოტყუებას, რასაც სისტემატურად მიმართავენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომელნიც, ვითომდა პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის სახით, ნამდვილად ქმნიან მათგან ეკონომიურად, ფინანსურად, სამხედრო მხრივ სავსებით დამოკიდებულ სახელმწიფოებს; თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში დამოკიდებული და სუსტი ერების ხსნა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარეშე შეუძლებელია.

12. იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიური და სუსტი ხალხების საუკუნეობრივმა ჩაგვრამ დაჩაგრული ქვეყნების მშრომელ მასებში დატოვა არა მარტო გაბოროტება, არამედ უნდობლობაც საერთოდ მჩაგვრელი ერებისადმი, მათ შორის ამ ერების პროლეტარიატისადმიც. ამ პროლეტარიატის ოფიციალურ ბელადთა უმრავლესობის საზიზღარ ღალატს სოციალიზმის მიმართ 1914 — 1918 წლებში, როდესაც «სამშობლოს დაცვის» ნიღბით სოციალ-შოვინისტურად იცავდნენ «თავისი» ბურჟუაზიის «უფლებას» კოლონიების დასაჩაგრავად და ფინანსურად დამოკიდებული ქვეყნების გასაძარცვავად, არ შეეძლო არ გაეძლიერებინა ეს სავსებით კანონიერი უნდობლობა. მეორე მხრივ, რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, მით უფრო ძლიერია იქ წვრილი სამიწათმოქმედო წარმოება, პატრიარქალობა და კუთხური ჩამორჩენილობა, რაც აუცილებლად იწვევს ყველაზე ღრმა წვრილბურჟუაზიული ცრურწმენების, სახელდობრ: ნაციონალური ეგოიზმის, ნაციონალური შეზღუდულობის ცრურწმენების განსაკუთრებულ ძალასა და სიმყარეს. რადგან ეს ცრურწმენები შეიძლება გაქრეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწინავე ქვეყნებში მოისპობა იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი და რადიკალურად შეიცვლება ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიური ცხოვრების მთელი საფუძველი, ამიტომ ამ ცრურწმენათა კვდომა არ შეიძლება ძალიან ნელი არ

იქნეს. აქედან გამომდინარეობს ყველა ქვეყნის შეგნებული კომუნისტური პროლეტარიატის მოვალეობა — განსაკუთრებით ფრთხილად და განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას ნაციონალური გრძნობების ნაშთებს ყველაზე უფრო დიდი ხნის ჩაგრულ ქვეყნებსა და ხალხებში, — აქედანვე გამომდინარეობს განსაზღვრულ დათმობათა აუცილებლობა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება ჩქარა აღმოიფხვრას აღნიშნული უნდობლობა და აღნიშნული ცრურწმენები. თუ არ იქნა მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ერის პროლეტარიატის, შემდეგ კი აგრეთვე მთელი მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება კავშირისა და ერთიანობისაკენ, ისე კაპიტალიზმზე გამარჯვების საქმე, არ შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს.

გამოქვეყნდა 1920 წლის ივნისში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებული საკორექტურო ანაბეჭდის ტექსტთან

პირვანდელი მონასახი თეზისებისა აგრარულ საკითხზე

(კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)

ამხ. მარხლევსკიმ თავის სტატიაში ჩინებულად განავითარა იმის მიზეზები, თუ რად მოხდა, რომ მეორე ინტერნაციონალმა, რომელიც ამჟამად ყვითელ ინტერნაციონალად იქცა, ვერ შეძლო არათუ განესაზღვრა რევოლუციური პროლეტარიატის ტაქტიკა აგრარულ საკითხში, არამედ ვერ შეძლო ამ საკითხის რიგიანად დასმაც კი. შემდეგ ამხ. მარხლევსკიმ მოგვცა III ინტერნაციონალის კომუნისტური აგრარული პროგრამის თეორიული საფუძვლები.

ამ საფუძვლებზე შეიძლება შემუშავდეს (და, მე მგონია, უნდა შემუშავდეს) კომინტერნის მომავალი, 1920 წ. 15 ივლისის, ყრილობის საერთო რეზოლუცია აგრარულ საკითხზე.

ქვემოთ მოყვანილი წარმოადგენს ასეთი რეზოლუციის პირვანდელ მონასახს.

1. სოფლის მშრომელი მასების ხსნა კაპიტალისა და მსხვილი ბემამულური მიწათმფლობელობის უღლისაგან, ნგრევისა და იმპერიალისტური ომებისაგან, რაც კვლავ და კვლავ გარდუვალია კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნების დროს, შეუძლია მხოლოდ ქალაქის და მრეწველობის პროლეტარიატს, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. სოფლის მშრომელი მასების ხსნისთვის აუცილებელია, რომ ისინი შეუკავშირდნენ კომუნისტურ პროლეტარიატს და თავდადებულად დაუჭირონ მხარი მის რევოლუციურ

ბრძოლას მემამულეთა (მსხვილ მიწათმფლობელთა) და ბურჟუაზიის უღლის დასამხობად.

მეორე მხრივ, მრეწველობის მუშები ვერ შეასრულებენ კაპიტალის უღლისა და ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების თავიანთ მსოფლიო-ისტორიულ მისიას, თუ ეს მუშები შემოიფარგლებიან ვიწრო-ამქრული, ვიწრო-პროფესიული ინტერესებით და თვითკმაყოფილებით დასჯერდებიან საკუთარი, ზოგჯერ ასატანი მეშჩანური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას. სწორედ ასე სჩვევია ბევრ მოწინავე ქვეყანაში «მუშათა არისტოკრატიას», რომელიც II ინტერნაციონალის ვითომდა სოციალისტურ პარტიათა საფუძველს შეადგენს, ნამდვილად კი არის სოციალიზმის მოსისხლე მტრები, მისი გამცემლები, მეშჩანური შოვინისტები, ბურჟუაზიის აგენტები მუშათა მოძრაობის შიგნით. ნამდვილად რევოლუციურ, ნამდვილად სოციალისტურად მოქმედ კლასს პროლეტარიატი წარმოადგენს მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი გამოდის და მოქმედებს, როგორც ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ავანგარდი, როგორც მათი ბელადი ექსპლოატატორთა დამხობისათვის ბრძოლაში; ამის შესრულება კი შეუძლებელია კლასობრივი ბრძოლის შეუტანლად სოფელში, სოფლის მშრომელი მასების გაუერთიანებლად ქალაქის პროლეტარიატის კომუნისტური პარტიის გარშემო, უკანასკნელის მიერ პირველთა აღზრდის გარეშე.

2. სოფლის მშრომელი და ექსპლოატირებული მასები, რომელნიც ქალაქის პროლეტარიატმა უნდა გაიყოლიოს ბრძოლაში ან ყოველ შემთხვევაში მიიმხროს, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში წარმოდგენილი არიან შემდეგი კლასებით:

პირველი, სოფლის მეურნეობის პროლეტარიატით, (წლიურად, ვადით, დღიურად) დაქირავებული მუშებით, რომლებიც თავიანთ საარსებო საშუალებებს შოულობენ ქირაზე მუშაობით კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. ამ კლასის დამოუკიდებელი, სოფლის მოსახლეობის სხვა ჯგუფებისაგან განცალკევებული, ორგანიზაცია (პოლიტიკურიც,

სამხედროც, პროფესიულიც, კოოპერაციულიც, კულ-ტურულ-განმანათლებელიც და სხვ.), გაძლიერებული პროპაგანდა და აგიტაცია მასში, მისი გადმოყვანა საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მხარეზე წარმოადგენს კომუნისტური პარტიების ძ ი რ ი თ ა დ ამოცანას ყველა ქვეყანაში.

მეორე, ნახევრადპროლეტარებით ანუ პარცელური გლეხებით, ე. ი. იმ ადამიანებით, რომელნიც თავიანთ საარსებო საშუალებებს შოულობენ ნაწილობრივ ქირაზე მუშაობით სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კაპიტალისტურ საწარმოებში, ნაწილობრივ კი — საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწის ისეთ ნაკვეთზე შრომით, რომელიც იძლევა საკვები პროდუქტების მხოლოდ ერთ ნაწილს მისი ოჯახისათვის. სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეს ჯგუფი მეტად მრავალრიცხოვანია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მის არსებობას და მის განსაკუთრებულ მდგომარეობას ჩქმალავენ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი და II ინტერნაციონალის ყვითელი «სოციალისტები», რომლებიც ნაწილობრივ შეგნებულად ატყუებენ მუშებს, ნაწილობრივ კი ბრმად აჰყოლიან ობივატელურ შეხედულებათა რუტინას და ერთმანეთში ურევენ ამ ჯგუფს და «გლეხობის» საერთო მასას საერთოდ. მუშების ბურჟუაზიული გაბრიყვების ამგვარი ხერხი ყველაზე მეტად შესამჩნევია გერმანიასა და საფრანგეთში, შემდეგ — ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. კომუნისტური პარტიის მუშაობა თუ სწორად იქნება დაყენებული, ეს ჯგუფი მისი ნამდვილი მომხრე გახდება, ვინაიდან ასეთი ნახევრადპროლეტარების მდგომარეობა ძალიან მძიმეა, და საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა გიგანტურსა და დაუყოვნებლივ სარგებლობას მოუტანს მათ.

მესამე, წვრილი გლეხობა, ე. ი. წვრილი მიწათმოქმედნი, რომელნიც საკუთრების ან იჯარის უფლებით იმდენად მცირე მიწის ნაკვეთებს ფლობენ, რომ სხვისი სამუშაო ძალის დაუქირავებლად იკმაყოფილებენ თავიანთი ოჯახისა და თავიანთი მეურნეობის მოთხოვნილებებს. ეს ფენა, როგორც ფენა,

უთუოდ მოგებას ნახულობს პროლეტარიატის გამარჯვებით, რაც ერთბაშად და სავსებით ათავისუფლებს მას: (ა) მსხვილ მიწათმფლობელთათვის მისაცემი საიჯარო ქირისა ან მოსავლის საზიარო ნაწილის გადახდისაგან (მაგალითად, **métayers**, ძოზიარენი, საფრანგეთში, აგრეთვე იტალიაში და სხვ.); (ბ) ჰიპოთეკური ვალებისაგან; (გ) ჩაგვრის მრავალგვარ ფორმათაგან და მსხვილ მიწათმფლობელებზე დამოკიდებულებისაგან (ტყიანი ადგილ-მამული და მით სარგებლობა და სხვ.); (დ) მას დაუყოვნებლივ დახმარებას უწევს მის მეურნეობაში პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება (სასოფლო-სამეურნეო იარაღების და ნაწილობრივ პროლეტარიატის მიერ ექსპროპრიირებული მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობების ნაგებობათა გამოყენების საშუალებით, სახელმწიფო პროლეტარული ხელისუფლების მიერ სოფლის კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა დაუყოვნებლივ გარდაქმნით ისეთი ორგანიზაციებიდან, რომელნიც კაპიტალიზმის დროს ყველაზე მეტად მდიდარ და საშუალო გლეხებს ემსახურებოდნენ, ისეთ ორგანიზაციებად, რომელნიც პირველ რიგში დახმარებას აღმოუჩენენ ღარიბებს, ე. ი. პროლეტარებს, ნახევრადპროლეტარებს და წვრილ გლეხებს და სხვ.) და სხვა მრავალი.

ამავე დროს კომუნისტურმა პარტიამ ნათლად უნდა შეიგნოს, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ამ ფენაში აუცილებელია, ნაწილობრივ მაინც, მერყეობა ვაჭრობის სრულიად შეუზღუდველი თავისუფლებისა და კერძო საკუთრების უფლებათა გამოყენების თავისუფლებისაკენ, ვინაიდან ეს ფენა, რომელიც უკვე წარმოადგენს (თუმცა მცირე ოდენობით) მოხმარების საგნების გამყიდველს, გარყვნილია სპეკულაციით და მესაკუთრული ჩვეულებებით. მაგრამ თუ მტკიცე პროლეტარული პოლიტიკა გატარდება და გამარჯვებული პროლეტარიატი სავსებით და გადაჭრით გაუსწორდება მსხვილ მიწათმფლობელებსა და მსხვილ გლეხებს, ამ ფენის რყევა არ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და ვერ შეცვლის

იმ ფაქტს, რომ საერთოდ და მთლიანად იგი პროლეტარული გადატრიალების მხარეზე იქნება.

3. სოფლის მოსახლეობის ზემოთ აღნიშნული სამი ჯგუფი, ერთად აღებული, ამ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამიტომ პროლეტარული გადატრიალების წარმატება არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც სრულიად უზრუნველყოფილია. ამის საწინააღმდეგო აზრი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ ის ფეხმოკიდებულია მხოლოდ იმის გამო, რომ: ჯერ-ერთი, ბურჟუაზიული მეცნიერება და სტატისტიკა სისტემატურად ტყუის, ყოველგვარი საშუალებებით ჩქმალავს იმ ღრმა უფსკრულს, რომელიც არსებობს სოფლის აღნიშნულ კლასებსა და ექსპლოატატორებს, მემამულეებსა და კაპიტალისტებს შორის, აგრეთვე, ერთი მხრივ, ნახევრადპროლეტარებსა და წვრილ გლეხებს და, მეორე მხრივ, მსხვილ გლეხებს შორის; მეორე, ეს აზრი ფეხმოკიდებულია იმის გამო, რომ ყვითელი, მეორე ინტერნაციონალის გმირებს და იმპერიალისტური პრივილეგიებით გარყვნილ მოწინავე ქვეყნების «მუშათა არისტოკრატიას» უნარი არ შესწევთ და არცა სურთ ნამდვილად პროლეტარულ-რევოლუციური საპროპაგანდო, სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა აწარმოონ სოფლის ღარიბთა შორის; ოპორტუნისტების მთელი ყურადღება მიქცეული იყო და მიქცეულია ბურჟუაზიასთან, მათ შორის მსხვილ და საშუალო გლეხობასთან (მათ შესახებ იხილე ქვემოთ) თეორიული და პრაქტიკული შეთანხმების გამონახვაზე და არა პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიული მთავრობისა და ბურჟუაზიის რევოლუციურ დამხობაზე; მესამე, ეს აზრი ემყარება იმ ჭეშმარიტების ჯიუტ, უკვე ცრურწმენის (რომელიც დაკავშირებულია ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პარლამენტურ ცრურწმენასთან) სიმტკიცის მქონე, შეუგნებლობას, რომელიც სავსებით დამტკიცებულია თეორიულად მარქსიზმის მიერ და სავსებით დადასტურებულია პროლეტარული რევოლუციის გამოცდილებით რუსეთში, სახელდობრ: **რომ გაუგონრად დაბეჩავებული, დაქსაქსული, გასრესილი,**

ყველა, უაღრესად მოწინავე, ქვეყანაში ნახევრადბარბაროსული საარსებო პირობებისათვის განწირული სამივე ზემოთ აღნიშნული კატეგორიის სოფლის მოსახლეობა ეკონომიურად, სოციალურად, კულტურულად დაინტერესებულია სოციალიზმის გაძარჯვებით და მას შეუძლია რევოლუციურ პროლეტარიატს გადაჭრით დაუჭიროს მხარი მხოლოდ მას შ ე მ დ ე გ, რაც ეს უკანასკნელი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობს, მხოლოდ მას შ ე მ დ ე გ, რაც იგი გადაჭრით გაუსწორდება მსხვილ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს, მხოლოდ მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც ეს დაბეჩავებული ადამიანები პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ დაინახავენ, რომ მათ ჰყავთ ორგანიზებული ბელადი და დამცველი, საკმაოდ ძლიერი და მტკიცე იმისათვის, რომ დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს და სწორი გზა უჩვენოს.

4. «საშუალო გლეხობად» ეკონომიური აზრით უნდა გვესმოდეს ის წვრილი მიწათმოქმედნი, რომელნიც საკუთრების თუ იჯარის უფლებით ფლობენ მიწის აგრეთვე მცირე ნაკვეთებს, მაგრამ ძაინც ისეთ ნაკვეთებს, რომელნიც, ჯერ-ერთი, კაპიტალიზმის დროს, საერთო წესისამებრ, არა მარტო მცირე სარჩოს აძლევენ მეურნეობის ოჯახს, არამედ შესაძლებლობასაც უქმნიან მას ცოტა-რამ ნაჭარბიც მიიღოს, ისეთი ნაჭარბი, რომელიც, საუკეთესო წლებში მაინც, შესაძლოა კაპიტალად იქცეს; მეორე, საშუალო გლეხები საკმაოდ ხშირად (მაგალითად, ორი ან სამი მეურნეობიდან ერთში) მიმართავენ სხვისი სამუშაო ძალის დაქირავებას. მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში საშუალო გლეხობის კონკრეტულ მაგალითად შეიძლება გამოდგეს გერმანიაში, 1907 წლის აღწერის მიხედვით, 5-დან 10 ჰექტარამდე მეურნეობის მფლობელთა ჯგუფი, რომელშიც სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა რიცხვი ამ ჯგუფის მეურნეობათა მთელი რიცხვის დაახლოებით მესამედს შეადგენს *. საფრანგეთში, სადაც უფრო

* აი ზუსტი ციფრები: 5 — 10-ჰექტარიან მეურნეობათა რიცხვი — 652 798 (5 736 082-დან); მათ ჰყავთ ყოველი სახის დაქირავებული მუშა — 487 704, ოჯახის წევრი მუშა კი (Familienangehörige) — 2 003 633. ივ-

განვითარებულია სპეციალური კულტურები, მაგალითად, მევენახეობა, რომლებიც მიწის დასამუშავებლად განსაკუთრებით დიდი შრომის გაღებას მოითხოვენ, სათანადო ჯგუფი, ალბათ, რამდენადმე კიდევ უფრო ფართო ოდენობით სარგებლობს სხვისი დაქირავებული სამუშაო ძალით.

რევოლუციურ პროლეტარიატს არ შეუძლია ამოცანად დაისახოს, — ყოველ შემთხვევაში უახლოესი მომავლისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის დასაწყისისათვის, — ამ ფენის მიმხრობა, არამედ უნდა დაკმაყოფილდეს იმ ამოცანით, რომ მოახდინოს მისი განეიტრალება, ე. ი. გახადოს იგი ნეიტრალური პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წარმოებულ ბრძოლაში. ამ ფენის რყევა დასახელებულ ძალებს შორის აუცილებელია, და ახალი ეპოქის დასაწყისში მისი ტენდენცია, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, უმთავრესად ბურჟუაზიისაკენ იქნება გადახრილი. ვინაიდან ამ ფენაში სჭარბობს მესაკუთრეთა მსოფლმხედველობა და განწყობილებანი; იგი უშუალოდ დაინტერესებულია სპეკულაციით, ვაჭრობის «თავისუფლებით» და საკუთრებით; მისი ანტაგონიზმი დაქირავებული მუშების მიმართ — პირდაპირია. გამარჯვებული პროლეტარიატი საიჯარო ქირისა და ჰიპოთეკების მოსპობით უშუალოდ გააუმჯობესებს მის მდგომარეობას. პროლეტარულმა ხელისუფლებამ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობაში სულაც არ უნდა მოახდინოს კერძო საკუთრების დაუყოვნებლივი სრული გაუქმება, და ყოველ შემთხვევაში როგორც წვრილი, ისე საშუალო გლეხობისათვის იგი უზრუნველყოფს არა მარტო მათი მიწის ნაკვეთების შენარჩუნებას მათთვის, არამედ ამ ნაკვეთების იმ ზომამდე გადიდებას, რამდენიც მათ საერთოდ ჩვეულებრივად იჯარით აქვთ აღებული (საიჯარო ქირის გაუქმება).

სტრიაში 1902 წ. აღწერის მიხედვით ამ ჯგუფში იყო 383 331 მეურნეობა, მათ შორის 126 136 იყენებდა დაქირავებულ შრომას; დაქირავებული მუშა იყო 146 044, ოჯახის წევრი მუშა — 1 265 969. მეურნეობათა მთელი რიცხვი ავსტრიაში — 2 856 349.

ამგვარი ზომების შეერთება ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლასთან სავსებით უზრუნველყოფს ნეიტრალიზაციის პოლიტიკის წარმატებას. კოლექტიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლას პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს მხოლოდ უდიდესი სიფრთხილითა და თანდათანობით, მაგალითის ძალით, ყოველგვარი ძალადობის გარეშე საშუალო გლეხობის მიმართ.

5. მსხვილ გლეხობას («Grossbauern») წარმოადგენენ კაპიტალისტური მეწარმენი მიწათმოქმედებაში, რომელნიც საერთო წესისამებრ მეურნეობას ეწევიან რამდენიმე დაქირავებული მუშის შემწეობით და დაკავშირებული არიან «გლეხობასთან» მხოლოდ დაბალი კულტურული დონით, ყოფაცხოვრებით, პირადი ფიზიკური მუშაობით თავის მეურნეობაში. ეს არის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იმ ბურჟუაზიულ ფენებს შორის, რომელნიც რევოლუციური პროლეტარიატის პირდაპირსა და შეურიგებელ მტრებს წარმოადგენენ. ამ ფენასთან ბრძოლას, ამ ექსპლოატატორთა იდეური და პოლიტიკური გავლენისაგან სოფლის მოსახლეობის მშრომელი და ექსპლოატირებული უმრავლესობის განთავისუფლებას და სხვ. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კომუნისტურ პარტიათა მთელ მუშაობაში სოფლად.

ქალაქებში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ ამ ფენის მხრივ სრულიად აუცილებელია წინააღმდეგობის, საბოტაჟის ყოველგვარი გამოვლინება და კონტრრევოლუციური ხასიათის პირდაპირი შეიარაღებული გამოსვლები. ამიტომ რევოლუციური პროლეტარიატი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საჭირო ძალთა იდეურ და ორგანიზაციულ მომზადებას, რათა სავსებით განაიარაღოს ეს ფენა და, მრეწველობაში კაპიტალისტების დამხობასთან ერთად, უაღრესად გადამწყვეტი, ულმობელი, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მას წინააღმდეგობის პირველი გამოვლინებისთანავე, რისთვისაც უნდა შეაიარაღოს სოფლის პროლეტარიატი და მოაწყოს სოფლად საბჭოები, რომლებშიც ექსპლოატატორებს არ შეიძლება ადგილი ექნეთ, არამედ უმრავლესობა პროლეტარებისა

და ნახევრადპროლეტარებისათვის უნდა იყოს უზრუნველ-ყოფილი.

მაგრამ თვით მსხვილი გლეხების ექსპროპრიაციაც კი არა-ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გამარჯვებული პრო-ლეტარიატის უშუალო ამოცანა, ვინაიდან ასეთ მეურნეობათა განსაზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს მატერიალუ-რი, კერძოდ ტექნიკური, შემდეგ კი აგრეთვე სოციალური პირობები. ცალკეულ, ალბათ, გამონაკლის, შემთხვევებში კონფისკებულ იქნება მათი მიწის ნაკვეთების ის ნაწილები, რომლებიც წვრილ-წვრილად იცემა იჯარად ან განსაკუთრებით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გარეშემო მცხოვრები წვრილი გლეხური მოსახლეობისათვის; ამ უკანასკნელისა-თვის საჭიროა აგრეთვე მსხვილი გლეხის სასოფლო-სამეურ-ნეო მანქანების ნაწილის უფასოდ გამოყენების უზრუნველ-ყოფა განსაზღვრული პირობებით და სხვ.. საერთო წესისამებრ კი პროლეტარულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შეუნარჩუნოს მსხვილ გლეხებს მათი მიწა და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოახდინოს მისი კონფისკაცია, უკეთუ ისი-ნი წინააღმდეგობას გაუწევენ მშრომელთა და ექსპლოატირე-ბულთა ხელისუფლებას. თუმცა რუსეთის პროლეტარულ რევოლუციაში მსხვილი გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლა გარ-თულდა და გაგრძელდა მთელი რიგი განსაკუთრებული პირო-ბების გამო, მაგრამ ამ რევოლუციის გამოცდილებამ მაინც ცხადყო, რომ, რაკი ეს ფენა კარგ გაკვეთილს მიიღებს წინა-ააღმდეგობის ოდნავი ცდისთვისაც კი, მას შეუძლია პროლეტა-რული სახელმწიფოს დავალებათა ლოიალურად შესრულება და ის თანდათან პატივისცემითაც კი იმსჭვალება, თუმცა მე-ტისმეტად ნელა, იმ ხელისუფლებისადმი, რომელიც იცავს ყოველ მშრომელს და დაუნდობელია მუქთახორა მდიდრების მიმართ.

განსაკუთრებულ პირობებს, რომლებმაც გაართულა და შეანელა ბურჟუაზიაზე გამარჯვებული პროლეტარიატის ბრძო-ლა მსხვილ გლეხობასთან რუსეთში, წარმოადგენს უმთავრ-ესად ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლუცია 1917 წ.

25. X (7. XI) გადატრიალების შემდეგ გადიოდა მემამულეთა წინააღმდეგ მთლიანად მთელი გლეხობის «საერთო-დემოკრატიული», ე. ი. თავისი საფუძვლით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ბრძოლის სტადიას; შემდეგ — ამ განსაკუთრებულ პირობებს ეკუთვნის ქალაქის პროლეტარიატის კულტურული და რიცხობრივი სისუსტე; დასასრულ — უზარმაზარი მანძილები და მეტად ცუდი გზები. რამდენადაც ეს შემაფერხებელი პირობები არ მოიპოვება მოწინავე ქვეყნებში, იმდენად ევროპისა და ამერიკის რევოლუციურმა პროლეტარიატმა უფრო ენერგიულად უნდა მოამზადოს და გაცილებით უფრო სწრაფად, გაცილებით უფრო გადაჭრით, გაცილებით უფრო წარმატებით დაამთავროს სრული გამარჯვება მსხვილი გლეხობის წინააღმდეგობაზე, სავსებით უნდა წაართვას მას წინააღმდეგობის გაწევის ოდნავი შესაძლებლობაც კი. ეს აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან ასეთ სრულ და უსრულეს გამარჯვებამდე სოფლის პროლეტარების, ნახევრადპროლეტარებისა და წვრილი გლეხების მასებს არ შეუძლიათ სავსებით მტკიცე ხელისუფლებად ჩათვალონ პროლეტარული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

6. რევოლუციურმა პროლეტარიატმა დაუყოვნებლივი და უდავო კონფისკაცია უნდა უყოს მემამულეების, მსხვილი მიწათმფლობელების ყველა მიწას, ე. ი. ისეთ პირთა მიწებს, რომელნიც კაპიტალისტურ ქვეყნებში, უშუალოდ ან თავიანთი ფერმერების საშუალებით, ეწევიან დაქირავებული სამუშაო ძალის და გარეშემო მცხოვრები წვრილი (და ნაწილობრივ ხშირად აგრეთვე საშუალო) გლეხობის სისტემატურ ექსპლოატაციას, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ფიზიკურ შრომაში, უმეტეს ნაწილად ფეოდალების შთამომავალნი არიან (თავადაზნაურები რუსეთში, გერმანიაში, უნგრეთში, რესტავრირებული სენიორები საფრანგეთში, ლორდები ინგლისში, ყოფილი მონათმფლობელები ამერიკაში) ან განსაკუთრებით გამდიდრებულ ფინანსურ მაგნატებს ეკუთვნიან, ან კიდევ ექსპლოატატორთა და მუქთახორათა ორივე ამ კატეგორიის ნარევს წარმოადგენენ.

კომუნისტურ პარტიათა რიგებში ყოვლად შეუწყნარებელია მსხვილ მიწათმფლობელთაგან ექსპროპრიირებული მიწების გამო ანაზღაურების პროპაგანდა ან გატარება, ვინაიდან ევროპისა და ამერიკის თანამედროვე პირობებში ეს იქნებოდა სოციალიზმის ღალატი და ახალი ხარკის დადება ომისაგან ყველაზე მეტად დაზარალებული მშრომელი და ექსპლოატირებული მასების კისერზე, — იმ ომისაგან, რომელმაც გაამრავლა მილიონერთა რიცხვი და გაამდიდრა ისინი.

რაც შეეხება იმ მიწაზე მეურნეობის წესის საკითხს, რომელიც ძლევამოსილმა პროლეტარიატმა მსხვილ მიწათმფლობელებს ჩამოართვა კონფისკაციის ძალით, რუსეთში, მისი ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, ჭარბობდა ამ მიწების განაწილება გლეხობის სარგებლობაში და მხოლოდ შედარებით იშვიათი გამონაკლისის სახით დაცულ იქნა ეგრეთწოდებული «საბჭოთა მეურნეობანი», რომელთაც თავის ხარჯზე უძღვება პროლეტარული სახელმწიფო იმგვარად, რომ ყოფილ დაქირავებულ მუშებს სახელმწიფოს დავალებით მომუშავეებად და სახელმწიფოს მმართველი საბჭოების წევრებად აქცევს. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის კომუნისტურ ინტერნაციონალს სწორად მიაჩნია მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უპირატესად შენარჩუნება და მათი გაძღოლა რუსეთის «საბჭოთა მეურნეობების» ტიპის მიხედვით.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ წესის გაზვიადება ან გაშაბლონება და ის, რომ არასოდეს არ იქნას დაშვებული ექსპროპრიირებულ ექსპროპრიატორთა მიწების ნაწილის მუქთად გადაცემა გარეშემო მცხოვრები წვრილი, ზოგჯერ კი საშუალო გლეხობისთვისაც.

ჯერ-ერთი, ამის საწინააღმდეგო ჩვეულებრივი მოსაზრება, რომელიც მსხვილი მიწათმოქმედების ტექნიკურ უპირატესობაზე მიუთითებს, ხშირად წარმოადგენს უცილობელი თეორიული ჭეშმარიტების შეცვლას უბოროტესი ოპორტუნიზმით და რევოლუციის ღალატით. ამ რევოლუციის წარმატების გულისათვის პროლეტარიატს უფლება არა აქვს მოერიდოს წარმოების დროებით დაქვეითებას, როგორც ჩრდილოეთ

ამერიკის მონათმფლობელობის ბურჟუაზიული მტრები არ მოერიდნენ ბამბის წარმოების დროებით დაქვეითებას 1863 — 1865 წ.წ. სამოქალაქო ომის გამო. ბურჟუასათვის საჭიროა წარმოება წარმოებისათვის, მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო საჭიროა ექსპლოატატორების დამხობა და ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომელნიც საშუალებას მისცემენ მშრომელებს იმუშაონ თავიანთი თავისთვის და არა კაპიტალისტისათვის. პროლეტარული გამარჯვებისა და მისი სიმტკიცის უზრუნველყოფა პროლეტარიატის პირველი და ძირითადი ამოცანაა. ხოლო პროლეტარული ხელისუფლების სიმტკიცე შეუძლებელია ისე, თუ არ მოხდა საშუალო გლეხის ნეიტრალიზაცია და უზრუნველყოფილი არ იქნა თუ მთელი წვრილი გლეხობის არა, მისი ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა მაინც.

მეორე, მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოების არათუ ამაღლება, არამედ შენარჩუნებაც კი გულისხმობს სავსებით განვითარებულ, რევოლუციურ-შეგნებულ სოფლის პროლეტარს, რომელსაც გავლილი აქვს სერიოზული პროფესიული და პოლიტიკურ-ორგანიზაციული სკოლა. სადაც ეს პირობა ჯერ კიდევ არ მოიპოვება, ანდა სადაც შეუძლებელია მიზანშეწონილად მივანდოთ საქმე შეგნებულსა და კომპეტენტურ სამრეწველო მუშებს, იქ მსხვილ მეურნეობათა სახელმწიფო გაძღოლაზე ნაჩქარევად გადასვლის ცდებს შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს პროლეტარულ ხელისუფლებას, იქ სავალდებულოა ორმაგი სიფრთხილე და ფრიად სერიოზული მომზადება «საბჭოთა მეურნეობების» შექმნის დროს.

მესამე, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ყველაზე უფრო მოწინავეებშიც კი, ჯერ კიდევ დარჩენილია მსხვილ მიწათმფლობელთა მიერ გარეშემო მცხოვრებ წვრილ გლეხთა შუასაუკუნეობრივი, ნახევრადბატონყმური ექსპლოატაციის ნაშთები, მაგალითად, **Instleute** * გერმანიაში, **métayers** **.

---

* — მოიჯარენი, მიწის ამღებნი. რ ე დ.

** — მოზიარენი. რ ე დ.

საფრანგეთში, მოზიარე-მოიჯარენი შეერთებულ შტატებში (არა მარტო ზანგები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამგვარ ექსპლოატაციას უწევენ შეერთებული შტატების სამხრეთში, არამედ ზოგჯერ თეთრებიც). ამგვარ შემთხვევებში პროლეტარული სახელმწიფო ვალდებულია წვრილი გლეხების მიერ იჯარით აღებული მიწები ყოფილ მოიჯარეებს გადასცეს უფასოდ სარგებლობისათვის, ვინაიდან სხვა ეკონომიური და ტექნიკური საფუძველი არ მოიპოვება და ერთბაშად მისი შექმნა არ შეიძლება.

მსხვილ მეურნეობათა ინვენტარს აუცილებლივ კონფისკაცია უნდა ეყოს, იგი უნდა გადაიქცეს საერთო-სახელმწიფოებრივ საკუთრებად, იმ აუცილებელი პირობით, რომ მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც ამ ინვენტარით უზრუნველყოფილი იქნება მსხვილი სახელმწიფო მეურნეობანი, გარეშემო მცხოვრებ წვრილ გლეხებს შეეძლოთ უსასყიდლოდ ისარგებლონ მით, ისე კი, რომ დაიცვან პროლეტარული სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პირობები.

თუ პროლეტარული გადატრიალების პირველ ხანებში უთუოდ აუცილებელია არა მარტო დაუყოვნებლივი კონფისკაცია მსხვილ მიწათმფლობელთა მამულებისა, არამედ უკლებლივ ყველა ამ მემამულის გაძევება ან ინტერნირება, როგორც კონტრრევოლუციის ბელადებისა და მთელი სოფლის მოსახლეობის ულმობელი მჩაგვრელებისა, შემდეგ, არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც, პროლეტარული ხელისუფლების განმტკიცების კვალობაზე, სავალდებულოა სისტემატურად ვესწრაფოდეთ იმას, რომ ამ კლასში არსებული ძალები, რომელთაც ძვირფასი გამოცდილება, ცოდნა აქვთ და ორგანიზატორული უნარი შესწევთ, გამოყენებულ იქნან (უალრესად საიმედო კომუნისტი მუშების საგანგებო კონტროლით) მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების შესაქმნელად.

7. სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე, სოციალიზმის განმტკიცება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს უზრუნველყოფილად, როდესაც პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება, რაკი საბოლოოდ დათრგუნავს ექსპლოატატორთა

ყოველგვარ წინააღმდეგობას და უზრუნველყოფს თავის ყოველმხრივ სიმტკიცეს და სრულ მორჩილებას თავისადმი, მოახდენს მთელი მრეწველობის რეორგანიზაციას მსხვილი კოლექტიური წარმოებისა და უახლესი (მთელი მეურნეობის ელექტროფიკაციაზე დამყარებული) ტექნიკური ბაზის საფუძველზე. მხოლოდ ეს მისცემს საშუალებას ქალაქს ისეთი რადიკალური, ტექნიკური და სოციალური, დახმარება აღმოუჩინოს ჩამორჩენილ და დაქსაქსულ სოფელს, რომ ამ დახმარებამ შექმნას მატერიალური საფუძველი სამიწათმოქმედო და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების უაღრესად გასადიდებლად და ამით წააქეზოს წვრილი მიწათმოქმედნი მაგალითის ძალით და საკუთარი სარგებლობისათვის გადავიდნენ მსხვილ, კოლექტიურ, მანქანურ მიწათმოქმედებაზე. ეს უდავო თეორიული ჭეშმარიტება, რომელსაც ნომინალურად ყველა სოციალისტი აღიარებს, ნამდვილად მახინჯდება ოპორტუნიზმის მიერ, რომელიც გაბატონებულია როგორც ყვითელ, მეორე ინტერნაციონალში, ისე გერმანიისა და ინგლისის «დამოუკიდებელთა» ბელადებს შორის, აგრეთვე ფრანგ ლონგეტისტებში და ა. შ.. დამახინჯება ის არის, რომ ყურადღება გადააქვთ შედარებით შორეულ, მშვენიერსა და შელამაზებულ მომავალზე, ხოლო ამ მომავალზე კონკრეტული გადასვლის სიძნელეებს და მისდამი მიდგომის უახლოეს ამოცანებს კი ყურადღებას აცილებენ. პრაქტიკულად ეს გამოიხატება ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობისა და «სოციალური ზავის» ქადაგებით, ე. ი. სრული ღალატით პროლეტარიატის მიმართ, რომელიც ახლა იბრძვის ომის მიერ ყველგან შექმნილი გაუგონარი გაჩანაგებისა და გაღატაკების პირობებში, ერთი მუჭა მილიონერების გაუგონარი გამდიდრებისა და გათავხედების პირობებში, რაც სწორედ ომის მეოხებით მოხდა.

სწორედ სოფლად სოციალიზმისათვის წარმატებითი ბრძოლის ნამდვილი შესაძლებლობა მოითხოვს, ჯერ-ერთი, იმას, რომ ყველა კომუნისტური პარტია სამრეწველო პროლეტარიატში ნერგავდეს იმ შეგნებას, რომ მისი მხრივ აუცილებელია

მსხვერპლი, რომ ის მზად უნდა იყოს მსხვერპლის გაღებისათვის ბურჟუაზიის დასამხობად და პროლეტარული ხელისუფლების განსამტკიცებლად, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს როგორც პროლეტარიატის უნარს — დარაზმოს და თან გაიყოლიოს მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასები, ისე ავანგარდის უნარს — მაქსიმალური მსხვერპლი გაიღოს და გმირობა გამოიჩინოს ამ მიზნისათვის; მეორე, წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა, რათა მუშების გამარჯვებით დაუყოვნებლივ და დიდად გაუმჯობესდეს სოფლის მშრომელი და ყველაზე უფრო ექსპლოატირებული მასის მდგომარეობა ექსპლოატატორების ხარჯზე, ვინაიდან უამისოდ უზრუნველყოფილი არ იქნება სოფლის მხარდაჭერა სამრეწველო პროლეტარიატისადმი, კერძოდ, სხვანაირად იგი ვერ უზრუნველყოფს ქალაქების მომარაგებას სურსათ-სანოვაგით.

8. რევოლუციური ბრძოლისათვის სოფლის მეურნეობის მშრომელი მასების ორგანიზაციისა და აღზრდის უზარმაზარი სიძნელე, იმ მასებისა, რომელნიც კაპიტალიზმს განსაკუთრებული დაბეჩავების, დაქსაქსულობის, ხშირად ნახევრადშუასაუკუნეობრივი დამოკიდებულების პირობებში ჩაუყენებია, კომუნისტური პარტიებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საგაფიცვო ბრძოლისადმი სოფლად, მოითხოვს სოფლის მეურნეობის პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა მასობრივი გაფიცვებისადმი გაძლიერებულ მხარდაჭერას და ამ გაფიცვების ყოველმხრივ განვითარებას. რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციათა გამოცდილება, რომელიც ახლა დადასტურებული და გაფართოებულია გერმანიისა და სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით, ცხადყოფს, რომ მხოლოდ განვითარებად მასობრივ საგაფიცვო ბრძოლას (რომელშიც, გარკვეულ პირობებში, შეიძლება და ჩაბმულ უნდა იქნას სოფლად წვრილი გლეხებიც) შესწევს უნარი მოსპოს სოფლის მძინარობა, გამოაღვიძოს სოფლის ექსპლოატირებული მასების კლასობრივი შეგნება და კლასობრივი ორგანიზაციის აუცილებლობის შეგნება, თვალსაჩინოდ და

პრაქტიკულად გამოააშკარაოს მათ წინაშე ქალაქის მუშებთან მათი კავშირის მნიშვნელობა.

კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობა გამცემთა და მოღალატეთა დაღს აკრავს იმ სოციალისტებს, — ასეთები კი, სამწუხაროდ, მოიპოვებიან არა მარტო ყვითელ, მეორე ინტერნაციონალში, არამედ ამ ინტერნაციონალიდან გამოსულ, ევროპაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამ პარტიაშიც, — რომელთაც შეუძლიათ არა მარტო გულგრილად უყურონ საგაფიცვო ბრძოლას სოფლად, არამედ მის წინააღმდეგაც კი გაილაშქრონ (მსგავსად კ. კაუცკისა) მოხმარების პროდუქტთა წარმოების შემცირების საფრთხის თვალსაზრისით. არავითარ პროგრამას და უაღრესად საზეიმო განცხადებას არავითარი ფასი არა აქვს, უკეთუ არ მოიპოვება პრაქტიკით, საქმეებით დამტკიცებული ფაქტი, რომ კომუნისტებს და მუშათა ბელადებს უნარი შესწევთ ქვეყნად ყველაზე უფრო მაღლა დააყენონ პროლეტარიატის რევოლუციის განვითარება და მისი გამარჯვება. უნარი შესწევთ უაღრესად მძიმე მსხვერპლი გაიღონ მისი გულისათვის, ვინაიდან სხვანაირად არ არის გამოსავალი და ხსნა შიმშილისა, ნგრევისა და ახალი იმპერიალისტური ომებისაგან.

კერძოდ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ძველი სოციალიზმის ბელადები და «მუშათა არისტოკრატიის» წარმომადგენელნი, რომელნიც ახლა ხშირად მიდიან სიტყვიერ დათმობებზე კომუნიზმის მიმართ, ანდა ნომინალურად კიდეც გადადიან მის მხარეზე სწრაფი გარევოლუციურების გზაზე დამდგარ მუშათა მასებს შორის თავისი პრესტიჟის შესანარჩუნებლად, შემოწმებულ უნდა იქნან იმ მხრივ, თუ რამდენად ერთგული არიან ისინი პროლეტარიატის საქმისა და რამდენად შესწევთ უნარი პასუხსაგები თანამდებობანი დაიკავონ სწორედ ისეთ სამუშაოზე, სადაც რევოლუციური შეგნებისა და რევოლუციური ბრძოლის განვითარება ყველაზე მეტი სიმკვეთრით მიმდინარეობს, სადაც მიწათმფლობელთა და ბურჟუაზიის (მსხვილი გლეხების, კულაკების) წინააღმდეგობა ყველაზე უფრო გააფთრებულია, სადაც განსხვავება სოციალისტ-

შემთანხმებელსა და კომუნისტ-რევოლუციონერს შორის ყველაზე უფრო ცხადად მოჩანს.

9. კომუნისტურმა პარტიებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა რაც შეიძლება ჩქარა გადავიდნენ დეპუტატთა საბჭოების დაარსებაზე სოფლებში, პირველ რიგში — დაქირავებული მუშებისა და ნახევრადპროლეტარებისაგან. მხოლოდ მასობრივ საგაფიცვო ბრძოლასთან და ყველაზე ჩაგრულ კლასთან დაკავშირებულ საბჭოებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი დანიშნულება და იმდენად განმტკიცდნენ, რომ თავიანთ გავლენას დაუმორჩილონ (შემდეგ კი თავიანთ შემადგენლობაში შეიყვანონ) წვრილი გლეხები. ხოლო თუ საგაფიცვო ბრძოლა ჯერ კიდევ განვითარებული არაა და სოფლის მეურნეობის პროლეტარიატს ორგანიზაციის სუსტი უნარი აქვს როგორც მიწათმფლობელთა და მსხვილ გლეხთა მხრივ ჩაგვრის სიმძიმის გამო, ისე მრეწველობის მუშებისა და მათი კავშირებისაგან მხარდაჭერის უქონლობის გამო, მაშინ დეპუტატთა საბჭოების შექმნა სოფლად მოითხოვს ხანგრძლივ მომზადებას თუნდაც მცირე კომუნისტური უჯრედების შექმნის მეშვეობით, გაძლიერებული აგიტაციით, რომელიც რაც შეიძლება პოპულარულად გადმოსცემს კომუნიზმის მოთხოვნებს, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის თვალსაჩინო გამოვლინებათა მაგალითით განმარტავს მათ, აგრეთვე მრეწველობის მუშათა სისტემატური გამგზავრების მოწყობით სოფლად და ა. შ.

დაწერილია 1920 წ. ივნისის დამდეგს
გამოქვეყნდა 1920 წ. ივლისში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«კომუნიზმი»

«კომუნისტური ინტერნაციონალის ჟურნალი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ძვეყნებისათვის» (გერმანულ ენაზე). ვენა, რვეულები 1/2, 1920 წ. 1 თებერ. 18-მდე, 1920 წ. 8 მაისი

მშვენიერი ჟურნალი, რომელიც ვენაში გამოდის ზემოაღნიშნული სათაურით, ძალიან ბევრ მეტად საინტერესო მასალას იძლევა კომუნისტური მოძრაობის ზრდის შესახებ ავსტრიაში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში; ამასთან ერთად იგი გვაწვდის ინტერნაციონალური მოძრაობის ქრონიკას და სტატიებს უნგრეთზე, გერმანიაზე, საერთო ამოცანებსა და ტაქტიკაზე და სხვ.. ერთ ნაკლს, რომელიც მყისვე თვალში გხვდებათ ზერელე გადათვალიერებისთანავე, არ შეიძლება გვერდი აუაროთ. ეს არის უეჭველი ნიშნები «მემარცხენეობის» იმ «საყმაწვილო სენისა კომუნიზმში», რომლითაც ჟურნალი დაავადებულია და რომელსაც მე ვუძღვენი პეტროგრადში ახლახან გამოსული პატარა ბროშურა.

მე მინდა ახლავე აღვნიშნო მოკლედ ამ სენის სამი ნიშანი მშვენიერ ჟურნალ «კომუნიზმში». მე-6 ნომერში (1. III. 1920) მოთავსებულია ამხ. გ. ლ-ის [30] სტატია: «პარლამენტარიზმის საკითხისათვის», რომელსაც რედაქცია სადისკუსიოს უწოდებს და რომელსაც პირდაპირ უარყოფს (საბედნიეროდ), ე. ი. არ ეთანხმება. ამხ. ბ. კ [31]., ავტორი სტატიისა: «საპარლამენტო ბოიკოტის გატარების საკითხისათვის» (№ 18, 8. V. 1920).

გ. ლ-ის სტატია ძალიან მემარცხენე და ძალიან ცუდია. მარქსიზმი მასში წმინდა სიტყვიერი ხასიათისაა; «თავდაცვითი» და «შეტევითი» ტაქტიკის განსხვავება გამოგონილია;

ზუსტად განსაზღვრული ისტორიული სიტუაციების კონკრეტული ანალიზი არ არის; ყველაზე არსებითი (აუცილებლობა მუშაობის ყველა იმ დარგისა და ყველა დაწესებულების დაპყრობისა და მათი დაპყრობის სწავლისა, სადაც კი ბურჟუაზია იჩენს თავის გავლენას მასებზე, და სხვ.) მხედველობაში მიღებული არ არის.

მე-14 ნომერში (17. IV. 1920) ამხ. ბ. კ. სტატიაში — «გერმანიის ამბები» აკრიტიკებს გერმანიის კომ. პარტიის ც. კ-ის 1920 წ. 21 მარტის იმ განცხადებას, რომელსაც მეც ვაკრიტიკებ ზემოდასახელებულ ბროშურაში. მაგრამ ჩვენი კრიტიკის ხასიათი ძირფესვიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამხ. ბ. კ. მას აკრიტიკებს მარქსის იმ ციტატების საფუძველზე, რომლებიც სულ სხვაგვარ, არა ახლანდელის მსგავს, სიტუაციას ეხება, სავსებით უარყოფს გერმანიის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის ტაქტიკას და სრულიად გვერდს უვლის ყველაზე მთავარს. გვერდს უვლის იმას, რაც მარქსიზმის **თვით არსებას, მის** ცოცხალ **სულს წარ**მოადგენს: კონკრეტული სიტუაციის კონკრეტულ ანალიზს. თუ ქალაქის მუშათა უმრავლესობა შეიდემანელთაგან გადავიდა კაუცკელებთან და კაუცკური (სწორი რევოლუციური ტაქტიკისაგან «დამოუკიდებელი») პარტიის შიგნით კვლავ შორდება მის მარჯვენა ფრთას და გადადის მარცხენა ფრთისაკენ, ე. ი. ფაქტიურად კომუნიზმისაკენ, თუ საქმის ვითარება ასეთია, განა შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ასეთი მუშების მიმართ გარდამავალი, კომპრომისული ზომების გათვალისწინების ამოცანას? განა შესაწყნარებელია არ გავითვალისწინოთ, უყურადღებოდ დავტოვოთ ბოლშევიკების გამოცდილება, რომელნიც 1917 წლის აპრილსა და მაისში არსებითად სწორედ კომპრომისის პოლიტიკას ატარებდნენ, როცა აცხადებდნენ: დროებითი მთავრობის (ლვოვის, მილიუკოვის, კერენსკის და სხვ.) ხელაღებით დამხობა არ შეიძლება, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ მხარს უჭერენ მუშები საბჭოებში, ჯერ უნდა შივაღწიოთ ამ მუშათა

უმრავლესობის ან მაინ მნიშვნელოვანი ნაწილის შ ე ხ ე დ ულ ე ბ ა თ ა შ ე ც ვ ლ ა ს ო?

მე ვფიქრობ, შეუწყნარებელია.

ბოლოს, ამხ. ბ. კ.-ის ზემოდასახელებული სტატია «კომუნიზმის» მე-18 ნომერში განსაკუთრებით მკაფიოდ, თვალნათლივ, მარჯვედ ააშკარავებს მისსავე შეცდომას, რაც თანამედროვე ევროპაში პარლამენტების ბოიკოტის ტაქტიკისადმი თანაგრძნობაში მდგომარეობს. ვინაიდან ავტორი, ემიჯნება რა «სინდიკალისტურ ბოიკოტს», «პასიურ» ბოიკოტს, იგონებს განსაკუთრებულ «აქტიურ» (ჰო, რა «მემარცხენეობაა»!..) ბოიკოტს და ამით საოცარი სიცხადით ააშკარავებს თავისი მსჯელობის შეცდომათა მთელ სიღრმეს.

«აქტიური ბოიკოტი იმას ნიშნავს, — წერს ავტორი, — რომ კომუნისტური პარტია არ კმაყოფილდება არჩევნებში მონაწილეობის მიღების საწინააღმდეგო ლოზუნგის გავრცელებით, არამედ ბოიკოტის გატარების ინტერესებისათვის აჩაღებს ისეთსავე ფართო რევოლუციურ აგიტაციას, თითქოს ის მონაწილეობას იღებდეს არჩევნებში და თითქოს მისი აგიტაცია და აქცია (მუშაობა, მოღვაწეობა, მოქმედება, ბრძოლა) გათვალისწინებული იყოს პროლეტარული ხმების რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოპოვებისათვის» (გვ. 552).

ეს — ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტია! ეს ანტიპარლამენტარებს ყოველგვარ კრიტიკაზე უკეთ გაანადგურებს. გამოვიგონოთ «აქტიური» ბოიკოტი, «თითქოს» ჩვენ მონაწილეობას ვიღებდეთ არჩევნებში!! უმეცარი და ნახევრადუმეცარი მუშებისა და გლეხების მასა არჩევნებში სერიოზულად ღებულობს მონაწილეობას, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ სწამთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრურწმენები, ისინი ჯერ კიდევ ამ ცრურწმენათა ტყვეობაში იმყოფებიან. ჩვენ კი, იმის ნაცვლად, რომ დავეხმაროთ უვიც (თუმცა ხანდახან აგრეთვე «მაღალკულტუროსან») მეშჩანებს საკუთარი გამოცდილებით აღმოფხვრან თავიანთი ცრურწმენები, თურმე უნდა გავურბოდეთ პარლამენტში მონაწილეობას, თავს უნდა ვიქცევდეთ ისეთი ტაქტიკის გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ი თ,

რომელშიაც არ არის არავითარი ყოველდღიური, ბურჟუაზიული სიბილწე!!

ვაშა, ვაშა, ამხანაგო ბ. კ.! ანტიპარლამენტარიზმის თქვენი დაცვით თქვენ უფრო დაეხმარებით ამ სისულელის სიკვდილს, ვიდრე მე ჩემი კრიტიკით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

12/VI. 1920

გამოქვეყნდა 1920 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა სოფლად მუშაობის პასუხისმგებელ ორგანიზატორთა სრულიად რუსეთის მე-2 თათბირზე

1920 წ. 12 ივნისს [32]

ამხანაგებო, ძალიან მოხარული ვარ, რომ შემიძლია მოგესალმოთ თქვენ, შეკრებილთ თათბირზე სოფლად მუშაობის საკითხების გამო. ნება მომეცით ჯერ მოკლედ შევჩერდე საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაზე და ჩვენს ამოცანებზე ამასთან დაკავშირებით, შემდეგ კი რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რა ამოცანები დგება სოფლად ამჟამად, ჩემი შეხედულებით, განსაკუთრებით პირველ რიგში პარტიული ამხანაგების წინაშე.

რაც შეეხება რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას, თქვენ, რასაკვირველია, კარგად მოგეხსენებათ ძირითადი ფაქტები პოლონეთის შემოტევის შესახებ. საზღვარგარეთ უამრავი სიცრუე ვრცელდება ამ საკითხის შესახებ, ეგრეთწოდებული პრესის თავისუფლების მეოხებით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ უცხოეთის პრესის ყველა მთავარი ორგანო მოსყიდულია კაპიტალისტების მიერ და 99 პროცენტით სავსეა მოქრთამულ მჯღაბნელთა სტატიებით. ამას ისინი პრესის თავისუფლებას უწოდებენ, და ამიტომ არ არის ისეთი სიცრუე, რომელიც იქ არ ვრცელდებოდეს. კერძოდ პოლონეთის შემოტევის შესახებ საქმეს ისე ხატავენ, ვითომ ბოლშევიკებმა წაუყენეს პოლონეთს შეუსრულებელი მოთხოვნები და დაიწყეს შეტევა, მაშინ როცა თქვენ ყველამ მშვენივრად იცით, რომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებოდით იმ თვალუწვდენელი საზღვრების დათმობასაც კი, რომლებიც

შემოტევის დაწყებამდე ჰქონდათ დაკავებული პოლონელებს. ჩვენ ჩვენი წითელარმიელების სიცოცხლის შენარჩუნებას უფრო მაღლა ვაყენებდით, ვიდრე ომს ბელორუსიისა და ლიტვისათვის, რომლებიც ხელთ იგდეს პოლონელებმა. ჩვენ არა მარტო სახკომსაბჭოს სახელით, არამედ სრულიად რუსეთის ცაკ-ის, საბჭოთა რესპუბლიკის ამ ჩვენი უმაღლესი დაწესებულების, სპეციალური მანიფესტითაც[33] უაღრესად საზეიმოდ განვუცხადეთ პოლონეთის მთავრობას, ბურჟუაზიულ მემამულურ მთავრობას, დამოუკიდებლად ჩვენი მიმართვისა პოლონელი მუშებისა და გლეხებისადმი, რომ ვთავაზობთ საზავო მოლაპარაკებას იმ ფრონტის საფუძველზე, რომელიც მაშინ იყო, ე. ი. იმ ფრონტისა, რომელიც ლიტვას და ბელორუსიას, არაპოლონურ მხარეებს, პოლონელებს უტოვებდა; ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და ახლაც დარწმუნებული ვართ, რომ პოლონეთის მემამულენი და კაპიტალისტები სხვის მიწებს ვერ შეინარჩუნებენ და რომ ჩვენთვის უაღრესად არახელსაყრელი ზავის გზითაც კი ჩვენ მეტს მოვიგებთ, რადგან გადავარჩენთ ჩვენი წითელარმიელების სიცოცხლეს, ვინაიდან ყოველი თვის მშვიდობა ჩვენს ძალღონეს აათკეცებს, ხოლო ყოველი სხვა მთავრობა, მათ შორის პოლონეთის ბურჟუაზიული მთავრობაც, ყოველი თვის მშვიდობის შედეგად სულ უფრო იხრწნება და იშლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზავო წინადადებანი მეტად შორს მიდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ძალიან აჩქარებული და ენით უაღრესად რევოლუციური რევოლუციონერი ჩვენს წინადადებებს ტოლსტოისებურსაც კი უწოდებდა, — თუმცა ნამდვილად ბოლშევიკებმა თავიანთი მოღვაწეობით, მგონი, საკმაოდ დაამტკიცეს, რომ ბოლშევიკებში ტოლსტოველების ერთ გრამსაც ვერავინ იპოვის, — ჩვენ ჩვენს მოვალეობად ვთვლიდით, ისეთი საქმის წინაშე, როგორიცაა ომი, დაგვემტკიცებია, რომ მივდივართ მაქსიმალურად შესაძლებელ დათმობებზე.

ჩვენ ისეთ დათმობებზე მივდიოდით, როგორზედაც ვერც ერთი მთავრობა ვერ წავა; ჩვენ პოლონეთს ვაძლევდით

ისეთ ტერიტორიას, რომ სასარგებლო იქნება ის შევადაროთ მგონი გუშინ გამოქვეყნებულ დოკუმენტს, რომელიც მოკავშირეთა — ინგლისელთა, ფრანგთა და სხვა იმპერიალისტთა უმაღლესი ორგანოდან გამოდის, და ამ დოკუმენტში პოლონელებისათვის ნაჩვენებია აღმოსავლეთი საზღვრები.

ინგლისსა და საფრანგეთში ეს ვაჟბატონი კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ ისინი სწყვეტენ საზღვრების საკითხს; მაგრამ, მადლობა ღმერთს, არის სხვა ვინმე, რომელიც მათდა დაუკითხავად სწყვეტს ამ საზღვრების საკითხს: მუშებმა და გლეხებმა თვითონ ისწავლეს ამ საზღვრების დაწესება.

ეს ვაჟბატონები აწესებენ პოლონეთის საზღვრებს, აწესებენ ისე, რომ ისინი გაცილებით უფრო შორს მიდიან დასავლეთით, ვიდრე ჩვენ ამის წინადადებას ვიძლეოდით. პარიზელი მოკავშირეებისაგან გამომდინარე ეს აქტი თვალნათლივ მოწმობს იმ გარიგებას, რომელიც მოხდა მათსა და ვრანგელს შორის. ისინი გვარწმუნებენ, რომ უნდათ ზავი საბჭოთა რუსეთთან, გვარწმუნებენ, რომ არ ეხმარებიან არც პოლონეთს, არც ვრანგელს; ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეს ურცხვი სიცრუეა, რომელსაც ისინი ეფარებიან, როცა ამბობენ, რომ ახლა აღარ აძლევენ იარაღს, ნამდვილად კი ახლაც ისე აძლევენ, როგორც აძლევდნენ რამდენიმე თვის წინათ. დღევანდელი ცნობა იუწყება, რომ ჩვენ ხელში ჩაგვიგდია დიდი სიმდიდრე — ხელში ჩაგვიგდია ერთი ვაგონი ახალთახალი ინგლისური ტყვიამფრქვევები; ამხ. ტროცკიმ შეგვატყობინა, რომ ამ დღეებში ხელში ჩავიგდეთ სულ ახალთახალი ფრანგული ვაზნები. რაღა საბუთები გვესაჭიროება კიდევ იმის დასამტკიცებლად, რომ პოლონეთი ინგლისისა და საფრანგეთის საჭურვლით, ინგლისისა და საფრანგეთის ვაზნებით მუშაობს, რომ ის ინგლისისა და საფრანგეთის ფულით მუშაობს. თუ ისინი ახლა აცხადებენ, რომ პოლონეთის საზღვრებს აღმოსავლეთით თვითონ პოლონეთი გადაწყვეტსო, ეს პირდაპირი გარიგებაა ვრანგელთან, ამას ყველა ხვდება. მთელი ვითარებიდან ყველასთვის ნათელია, რომ პოლონეთის მემამულენი, პოლონეთის ბურჟუაზია მთლად ინგლისელებისა და ფრანგების

დახმარებით ომობენ; მაგრამ ისინი უტიფრად ტყუიან, სწორედ ისევე, როგორც ტყუოდნენ მაშინ, როცა გვარწმუნებდნენ, არავითარი ბულიტი არ გამოგვიგზავნიაო, სანამ, ბოლოს, იგი ამერიკაში არ ჩავიდა, სანამ იქ არ გამოვიდა და არ გამოაქვეყნა ის დოკუმენტები, რომლებიც აქ შეაგროვა.

მაგრამ ეს ვაჟბატონები, ბატონი ვაჭარ-კაპიტალისტები თავიანთი ტყავიდან ვერ გამოძვრებიან. ეს თავისთავად ცხადია. სხვანაირად, თუ არ ვაჭრულად, ისინი ვერ იმსჯელებენ. და როცა ჩვენი დიპლომატია მიმართავს არავაჭრულ წესებს, როცა ვამბობთ, რომ ჩვენი წითელარმიელების სიცოცხლე ჩვენთვის საზღვრების დიდ ცვლილებაზე უფრო ძვირფასია, მათ, წმინდა ვაჭრულად მოაზროვნეთ, ეს, რასაკვირველია, არ ესმით. როცა ჩვენ ერთი წლის წინათ ბულიტს ვაძლევდით წინადადებას ხელშეკრულების — მათთვის არაჩვეულებრივად ხელსაყრელი და ჩვენთვის არაჩვეულებრივად საზარალო ხელშეკრულების შესახებ, რომლის მიხედვით დენიკინსა და კოლჩაკს უზარმაზარი ტერიტორია რჩებოდათ, ჩვენ ამ წინადადებას ვაძლევდით იმ რწმენით, რომ თუ ზავი ხელმოწერილი იქნებოდა, თეთრგვარდიული მთავრობა ვერასოდეს ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას.

მათ ეს თავიანთი ვაჭრული თვალსაზრისით არ შეეძლოთ გაეგოთ სხვანაირად, თუ არა როგორც ჩვენი უძლურების აღიარება. «თუ ბოლშევიკები თანხმდებიან ასეთ ზავზე, მაშასადამე, საცაა მათ სული ამოხდებათო», — და მთელი ბურჟუაზიული პრესა სავსეა აღტაცებით, ყველა დიპლომატი ხელებს იფშვნეტს, და მილიონობით გირვანქა სტერლინგებს უჩხრიალებენ სესხად კოლჩაკსა და დენიკინს. მართალია, ისინი ოქროთი არ აძლევდნენ, არამედ აძლევდნენ იარაღით, ჩარჩულ ფასებში, იმის სრული რწმენით, რომ ბოლშევიკებს თავის გართმევა აბსოლუტურად არ შეუძლიათო. გათავდა ეს იმით, რომ კოლჩაკი, დენიკინი გაცამტვერებულ იქნენ, და მათი ასობით მილიონი სტერლინგიც წყალში გადაიყარა. და ახლა ჩვენთან ზედიზედ მოდის მატარებლები ჩინებული ინგლისური საჭურვლით, ხშირად შეხვდებით რუს წითელ-

არმიელთა მთელ დივიზიებს, რომელნიც მშვენიერ ინგლისურ ტანისამოსში არიან გამოწყობილი, ხოლო ამ დღეებში ერთი კავკასიელი ამხანაგი მიამბობდა, რომ წითელარმიელთა მთელ დივიზიას აცვია იტალიური ბერსალიე. ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ფოტოგრაფიული სურათებით გაჩვენოთ ბერსალიეში გამოწყობილი ეს რუსი წითელარმიელები. მე მხოლოდ მაინც უნდა ვთქვა, რომ ინგლისური საჭურველი ასე თუ ისე გამოსადეგია და რომ რუსი წითელარმიელები მადლობელი არიან ინგლისელი ვაჭრებისა, რომლებმაც ისინი შემოსეს და რომლებიც ვაჭრულად უდგებოდნენ საქმეს, რომელთაც ბოლშევიკები ურტყამდნენ, ურტყამენ და კიდევ ბევრჯერ მოსცხებენ. (ტ ა შ ი.)

ამასვე ვხედავთ პოლონეთის შემოტევის საკითხში. ეს იმის ნიმუშია, რომ, როცა ღმერთი მოინდომებს (რა თქმა უნდა, თუ ის არსებობს) ვისიმე დასჯას, მას გონებას დაუკარგავს. უეჭველია, რომ ანტანტას მეთაურობენ მეტად ჭკვიანი ადამიანები, ჩინებული პოლიტიკოსები, და ეს ადამიანები სისულელეს სისულელეზე სჩადიან. ისინი სათითაოდ ამხედრებენ ქვეყნებს და საშუალებას გვაძლევენ ვურტყათ მათ ცალ-ცალკე. ხოლო მათ რომ მოეხერხებინათ გაერთიანება, — მათ კი ერთა ლიგა აქვთ, მათ არ მოეპოვებათ არც ერთი ნაჭერი მიწა, სადაც არ ვრცელდებოდეს მათი სამხედრო ძალაუფლება, — თითქოსდა, ვისთვის უნდა იყოს უფრო ადვილი ყველა მტრული ძალის გაერთიანება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი დაძვრა. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამ ძალების გაერთიანება. ისინი ბრძოლაში გამოდიან ნაწილ-ნაწილ. ისინი მხოლოდ იმუქრებიან, ტრაბახობენ, იტყუებიან — ნახევარი წლის წინათ მათ გამოაცხადეს, რომ 14 სახელმწიფო აამხედრეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ ამდენი და ამდენი თვის შემდეგ ისინი მოსკოვსა და პეტროგრადში იქნებიან. დღეს კი ფინეთიდან მივიღე ბროშურა-მოთხრობა, ერთი თეთრგვარდიელი ოფიცრის მოგონება პეტროგრადზე შემოტევის შესახებ; ამაზე ადრე კიდევ მიღებული მქონდა ჩრდილო-დასავლეთის მთავრობის რამდენიმე რუსი მოკადეტო წევრის

პროტესტი-განცხადება, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ იწვევდნენ მათ ინგლისელი გენერლები სხდომაზე და თარჯიმნის საშუალებით, ხან კი წმინდა რუსულ ენაზე, წინადადებას აძლევდნენ იქვე, მაშინვე შეედგინათ მთავრობა, რასაკვირველია, რუსული, უთუოდ დემოკრატიული მთავრობა, დამფუძნებელი კრების ყაიდაზე, და როგორ აძლევდნენ მათ წინადადებას ხელი მოეწერათ იმაზე, რასაც შესთავაზებდნენ. და ისინი, ეს რუსი ოფიცრები, ბოლშევიკების გაცოფებული მოწინააღმდეგენი, ეს კადეტები, როგორ აღშფოთებული იყვნენ ინგლისელი გენერლების ამ გაუგონარი თავხედობით, გენერლებისა, რომელნიც განკარგულებებს აძლევდნენ, ურიადნიკის კილოთი უბრძანებდნენ მათ (მბრძანებლობა კი მხოლოდ რუსს შეუძლია) დამჯდარიყვნენ და ხელი მოეწერათ იმაზე, რასაც მისცემდნენ, და შემდგომ ისინი მოგვითხრობენ, თუ როგორ ჩაიშალა ყოველივე ეს. ვწუხვარ, რომ საშუალება არა გვაქვს რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ ეს დოკუმენტები, ეს აღსარებანი თეთრგვარდიული ოფიცრებისა, რომელნიც პეტროგრადს უტევდნენ.

რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ მათი ერთა ლიგა მხოლოდ ქაღალდზე არსებული კავშირია, ნამდვილად კი ესაა მტაცებელ ნადირთა ხროვა, რომელნიც მხოლოდ ჩხუბობენ და სრულიადაც არ ენდობიან ერთმანეთს.

ნამდვილად ისინი ახლაც იკვეხნიან, რომ პოლონეთთან ერთად შეტევაზე გადმოვლენ ლატვია, რუმინეთი და ფინეთი, და ჩვენ დიპლომატიური მოლაპარაკებიდან სრული სიცხადით ვხედავთ, რომ როცა პოლონეთმა შემოტევა დაიწყო, იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც ჩვენთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, კილო შეიცვალეს და უკვე ზოგჯერ გაუგონრად თავხედური განცხადებებით გამოვიდნენ. ისინი ვაჭრულად მსჯელობენ, — ვაჭრისგან კი სხვას არაფერს უნდა მოველოდეთ. მას მოეჩვენა, რომ ახლა არსებობს საბჭოთა რუსეთთან ანგარიშის გასწორების შანსი, და ის იწყებს ცხვირის მაღლა აწევას. რაც უნდათ, ისა ქნან. ჩვენ ამას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, სახელმწიფოების მაგალითებიდანაც ვხედავდით

და არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან დავრწმუნდით, რომ ფინეთის, რუმინეთის, ლატვიის და ანტანტისაგან სავსებით დამოკიდებული ყველა სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთელი მუქარა, ეს მუქარა ნაცარტუტად იქცევა. პოლონეთმა ხელშეკრულება დადო მხოლოდ პეტლიურასთან, უჯარო გენერალთან, და ამ ხელშეკრულებამ გამოიწვია კიდევ უფრო მეტი გაოფთრება უკრაინელ მოსახლეობაში, მთელი რ-გი ნახევრადბურჟუაზიული და სავსებით ბურჟუაზიული ელემენტების კიდევ უფრო მეტად გადმოსვლა საბჭოთა რუსეთის მხარეზე; და ამიტომ გამოვიდა ისევ ის, რომ საერთო შემოტევის ნაცვლად მათ ხელში შერჩათ მარტოოდენ პოლონეთის დაქსაქსული მოქმედება. და ახლა ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ჯარებს, რასაკვირველია, საკმაო დრო უნდა დაეხარჯათ გადასვლისათვის, რადგანაც ისინი უფრო შორს იდგნენ საზღვრებიდან, ვიდრე პოლონელები, და ჩვენ მეტი დრო გვჭირდებოდა ჩვენი ჯარების მისაყვანად, — ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს შეტევა და ამ დღეებში გამოირკვა, რომ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ჟიტომირი აიღო. ჩვენმა ჯარმა სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც უკვე გადაჭრა უკანასკნელი გზა, რომელიც კიევს პოლონეთის ფრონტთან აერთებს, და, მაშასადამე, კიევს სამუდამოდ გამოეთხოვენ პოლონელები; ამავე დროს ჩვენ გავიგეთ, რომ სკულსკი გადადგა, პოლონეთის მთავრობა უკვე ირყევა და აქეთ-იქით აწყდება, უკვე აცხადებს, რომ ისინი ახალ საზავო პირობებს წამოგვიყენებენ. კეთილ ინებეთ, ბატონო მემამულენო და კაპიტალისტებო, ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით უარს პოლონეთის საზავო პირობების განხილვაზე. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მათი მთავრობა ომს ეწევა თავისი საკუთარი ბურჟუაზიის სურვილის წინააღმდეგ, რომ პოლონეთის სახალხო დემოკრატია, ჩვენი კადეტებისა და ოქტიაბრისტების თანაგვარი, — ყველაზე უფრო გაბოროტებული კონტრრევოლუციური მემამულენი და ბურჟუაზია, — ომის წინააღმდეგი არიან, რადგან იციან, რომ ასეთ ომში ვერ გაიმარჯვებენ, — და რომ ომს ეწევიან პოლონეთის ავანტიურისტები, ესერები, პოლონელ

სოციალისტთა პარტია, ისეთი ადამიანები, რომლებსაც ყველაზე უფრო ვამჩნევთ იმას, რასაც ვამჩნევთ ესერებს, სახელდობრ: რევოლუციურ ფრაზას, ტრაბახს, პატრიოტიზმს, შოვინიზმს, ბუფონადას და უსრულეს ქარაფშუტობას. ამ ვაუბატონებს ჩვენ ვიცნობთ. როცა მათ ომში შეტოპეს, ახლა კი თავიანთ სამინისტროში გადაბარგებას იწყებენ და გვეუბნებიან, საზავო მოლაპარაკებას გთავაზობთო, ჩვენ ვეტყვით: ინებეთ, ბატონებო, სცადეთ. მაგრამ ჩვენ მხოლოდ პოლონელი მუშებისა და პოლონელი გლეხების იმედი გვაქვს; ჩვენც ვილაპარაკებთ ზავზე, მაგრამ არა თქვენთან, პოლონელო მემამულენო და პოლონელო ბურჟუებო, არამედ პოლონელ მუშებთან და გლეხებთან, და ვნახოთ, რა გამოვა ამ ლაპარაკიდან.

ამხანაგებო, მიუხედავად იმ წარმატებებისა, რომელთაც ჩვენ პოლონეთის ფრონტზე ვაღწევთ, ამჟამად მდგომარეობა მაინც ისეთია, რომ ჩვენ მთელი ძალები უნდა დავძაბოთ. ყველაზე საშიში ომში, რომელიც იწყება ისეთ პირობებში, როგორიც პოლონეთთან ახლანდელი ომის პირობებია, — ყველაზე საშიში ის იქნება, რომ სათანადოდ არ შევაფასოთ მოწინააღმდეგე და დავმშვიდდეთ იმით, რომ ჩვენ უფრო ძლიერი ვართ. ეს ყველაზე საშიშია, რასაც შეუძლია დამარცხება გამოიწვიოს ომში; და ეს რუსული ხასიათის ყველაზე ცუდი თვისებაა, რომელიც თავს იჩენს მოშვებულობითა და მოდუნებულობით. მარტო დაწყებას როდი აქვს მნიშვნელობა, საჭიროა გაუძლო და გაუმაგრდე, ეს კი ჩვენს ძმა რუსს არ ეხერხება. და მხოლოდ ხანგრძლივი წვრთნით, ყოველგვარი რყევისა და ქანაობის წინააღმდეგ პროლეტარული დისციპლინირებული ბრძოლით, მხოლოდ ამგვარი გამძლეობის მეშვეობით შეიძლება მივიყვანოთ რუსეთის მშრომელი მასები ისეთ მდგომარეობამდე, რომ მათ შეეძლოთ თავიდან მოიშორონ ეს ცუდი ჩვეულება.

ჩვენ ვანადგურებდით კოლჩაკს, დენიკინს და იუდენიჩს და მშვენივრადაც ვანადგურებდით, მაგრამ მათი სრული განადგურება იმდენად არ გვეხერხებოდა, რომ ყირიმში

დავტოვეთ ვრანგელი, ჩვენ ვამბობდით: «აი, ახლა კი უფრო ძლიერნი ვართო!» — და ამას მოყვა მოდუნების, დაუდევრობის მთელი რიგი გამოვლინებანი, ვრანგელი კი ამასობაში დახმარებას ღებულობს ინგლისისაგან. ეს ხდება ვაჭრების საშუალებით, და ამის დამტკიცება არ შეიძლება. მან ამ დღეებში გადმოსხა დესანტი და აიღო მელიტოპოლი. მართალია, უკანასკნელი ცნობების თანახმად ეს ქალაქი უკანვე დავიბრუნეთ, მაგრამ ის ჩვენ ამ შემთხვევაშიც ყოვლად სამარცხვინოდ გაგვისხლტა ხელიდან სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ძლიერი ვიყავით. იმიტომ, რომ იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი განადგურებულ იქნენ, რუსი ადამიანი იწყებს თავისი ბუნების გამოჩენას და მოსვენებას ეძლევა, საქმეს კი ხელს უშვებს; ის შემდეგ ათიათასობით ღუპავს თავის ამხანაგებს ამ თავისი დაუდევრობის გამო. აი რუსული ხასიათის თვისება: როცა არც ერთი საქმე ბოლომდე მიყვანილი არაა, ის მაინც საქმეს მაშინვე ხელს უშვებს, თუმცა მთელი ძალ-ღონე როდი აქვს მოკრებილი. ყოვლად ულმობლად უნდა ვებრძოლოთ ამ თვისებას, ვინაიდან ის იწვევს ათიათასობით საუკეთესო წითელარმიელისა და გლეხის დაღუპვას და შიმშილის ყველა საშინელების განგრძობას. ამიტომ ჩვენთვის თავსმოხვეული ომის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ პოლონელებზე ძლიერი ვართ, ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს — ყოველგვარი მოშვებულობის აღმოფხვრა. რაკი ომი აუცილებელი გახდა — ყველაფერი ომისათვის, და სულ მცირედი მოშვებულობა და ენერგიის უკმარობა უნდა დაისაჯოს სამხედრო დროის კანონების მიხედვით. ომი ომია, და არავის, ზურგში თუ რომელიც გნებავთ მშვიდობიანი შრომის დარგში, ნება არა აქვს ამ მოვალეობას თავი აარიდოს.

უნდა გვქონდეს ლოზუნგი — ყველაფერი ომისათვის! უამისოდ ჩვენ ვერ გავუმკლავდებით პოლონურ შლიახტას და ბურჟუაზიას; აუცილებელია ომს ბოლო მოვუღოთ, ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა ვასწავლოთ უკანასკნელ მეზობელ სახელმწიფოს, რომელიც კიდევ ბედავს ამით თამაშს. ჩვენ ისე უნდა გადავაჩვიოთ ისინი ამას, რომ მათ თავიანთ შვილებს, შვილი-

შვილებსა და შვილიშვილიშვილებს ანდერძად გადასცენ — აღარავინ გაიმეოროს ეს (ტ ა შ ი). და ამიტომ, ამხანაგებო, სოფლის მუშაკთა, პროპაგანდისტების, აგიტატორების, ამჟამად მშვიდობიანი შრომის ყოველ დარგში მომუშავე ამხანაგების პირველი მოვალეობაა ყოველ კრებაზე, მიტინგზე, და საქმიან თათბირზე, ყოველი პარტიული დაწესებულების ყოველ ჯგუფში, ყოველ საბჭოთა კოლეგიაში უწინარეს ყოვლისა ახსოვდეთ და რადაც უნდა დაჯდეს გაატარონ ლოზუნგი: «ყველაფერი ომისათვის».

ვიდრე ომი სრული გამარჯვებით არ დასრულებულა, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი თავი ისეთი შეცდომისა და სისულელისაგან, რომელთაც ჩავდიოდით მთელი რიგი წლების განმავლობაში. მე არ ვიცი, რამდენი სისულელე უნდა ჩაიდინოს რუსმა ადამიანმა, რომ მათ გადაეჩვიოს. ჩვენ ომს ერთხელ უკვე დამთავრებულად ვთვლიდით. მაგრამ საბოლოოდ მტერი გაუნადგურებელი დაგვრჩა და ვრანგელი ყირიმში დავტოვეთ. ვიმეორებ, ლოზუნგი: «ყველაფერი ომისათვის», უნდა იყოს ყოველ თათბირზე, ყოველ სხდომაზე, ყოველ კოლეგიაში; დღის წესრიგის პირველი ძირითადი პუნქტი უნდა იყოს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა, ყველა მსხვერპლი გავიღეთ თუ არა ომის დასამთავრებლად? ეს იმ ათიათასობით საუკეთესო ამხანაგის სიცოცხლის გადარჩენის საკითხია, რომელნიც ფრონტზე იღუპებიან წინა რიგებში. ესაა შიმშილისაგან ხსნის საკითხი, შიმშილისაგან რომელიც გვიახლოვდება მხოლოდ იმიტომ, რომ ომი ვერ მიგვყავს ბოლომდე, — ჩვენ კი შეგვიძლია და კიდეც უნდა მივიყვანოთ იგი ბოლომდე რაც შეიძლება მალე. ამისათვის აუცილებლივ საჭიროა, რომ დისციპლინა და დაქვემდებარება გატარდეს ცხოვრებაში ულმობელი სისასტიკით. სულ მცირედი ხელის შეშვება, სულ მცირედი მოშვებულობა, რაც გამოჩენილ იქნება აქ, ზურგში, ყოველგვარ მშვიდობიან სამუშაოზე, მოასწავებს მრავალი ათასი სიცოცხლის დაღუპვასა და შიმშილს აქ.

აი ამიტომ ასეთ დაუდევრობას ულმობელი სისასტიკით უნდა ვეპყრობოდეთ. ეს პირველი ძირითადი გაკვეთილია, რომელიც გამომდინარეობს საბჭოთა რუსეთის მთელი სამოქალაქო ომიდან; ეს პირველი ძირითადი გაკვეთილია, რომელიც აუცილებლად უნდა ახსოვდეს ყოველ პარტიულ მუშაკს, განსაკუთრებით თუ მისი ამოცანაა სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა; მან უნდა იცოდეს, რომ ის სრულიად უვარგისი კომუნისტი და საბჭოთა ხელისუფლების გამცემი იქნება, თუ ვერ განახორციელებს ამ ლოზუნგს შეუნელებელი სიმედგრითა და სულ მცირედ დაუდევრობათა მიმართ ულმობელი სიმტკიცით. ასეთ პირობებში ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ, რომ გამარჯვებას მალე მოვიპოვებთ, რომ ჩვენ სავსებით დავიზღვევთ თავს შიმშილისაგან.

ჩვენ ვღებულობთ ცნობებს შორეული ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგებისაგან, თუ რა კეთდება განაპირა მხარეებში. მე ვნახე ციმბირიდან ჩამოსული ამხანაგები, ვნახე ამხანაგები ლუნაჩარსკი და რიკოვი, უკრაინიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულნი. ამ მხარის სიმდიდრეზე ისინი გაუგონარი განცვიფრებით ლაპარაკობენ. უკრაინაში პურის მარცვლით ღორებს კვებავენ; ჩრდილოეთ კავკასიაში დედაკაცები რძის გაყიდვის დროს რძითვე რეცხავენ ჭურჭელს. ციმბირიდან მატყლით, ტყავითა და სხვა სიმდიდრით დატვირთული მატარებლები მოდიან; ციმბირში ათეულ ათასი ფუთობით არის მარილი, — ჩვენი გლეხობა კი არაქათგამოლეულია და არ იძლევა პურს ქალაქში, რადგან ფიქრობს, რომ ქალაქდით მეურნეობას ვერ აღადგენ, — ხოლო აქ, მოსკოვში, შეგიძლიათ შეხვდეთ მუშებს, რომელთაც დაზგასთან შიმშილით სული ელევათ. უმთავრესი დაბრკოლება იმ მხრივ, თუ რატომ არ შეგვიძლია მუშები უფრო ნოყივრად გამოვკვებოთ და მათი შერყეული ჯანმრთელობა აღვადგინოთ,—უმთავრესი დაბრკოლებაა ომის განგრძობა. იმიტომ, რომ ყირიმს სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ, რამდენიმე ათასი ადამიანი ზედმეტად იშიმშილებს ნახევარ წელს. საქმეს აფერხებს ჩვენი არასაკმაო ორგანიზებულობა და არასაკმაო დისციპლინა. აქ ხალხი იღუპე-

ბა, მაშინ როცა უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ციმბირში წარმოუდგენელი სიმდიდრე მოგვეპოვება, რომლითაც შეგვიძლია გამოვკვებოთ მშიერი მუშები და აღვადგინოთ მრეწველობა. მეურნეობის აღსადგენად საჭიროა დისციპლინა. პროლეტარული დიქტატურა ყველაზე მეტად იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ქალაქისა და მრეწველობის მუშათა მოწინავე, ყველაზე შეგნებულმა და ყველაზე დისციპლინირებულმა ნაწილმა, რომლებიც ყველაზე მეტად შიმშილობენ და რომლებმაც ამ ორი წლის განმავლობაში გაუგონარი მსხვერპლი იკისრეს, რომ მათ აღზარდონ, ასწავლონ და დისციპლინიანი გახადონ მთელი დანარჩენი, ხშირად შეუგნებელი, პროლეტარიატი, მთელი მშრომელი მასა და გლეხობა. აქ ყოველგვარი სენტიმენტალობა, დემოკრატიაზე ყოველგვარი ლაყბობა თავიდან უნდა მოვიშოროთ. ეს ლაყბობა ბატონ ესერებსა და მენშევიკებს დავუთმოთ, მათ საკმაოდ ილაპარაკეს დემოკრატიაზე კოლჩაკთან, დენიკინთან და იუდენიჩთან. დაე წაეთრიონ ვრანგელთან: ის დაასრულებინებს მათ სწავლას. მაგრამ თუ რომელიმე მათგანს კიდევ არ დაუსრულებია, უნდა დავასრულებინოთ სწავლა.

ჩვენ იმას ვიცავთ, რომ ის მუშები, რომლებმაც იკისრეს მძიმე ტვირთი, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებას სიმშვიდე და სიმტკიცე მოუპოვეს ყოვლად გაუგონარი მსხვერპლის ფასად, თავის თავს უნდა უყურებდნენ როგორც მოწინავე რაზმს, რომელიც დანარჩენ მშრომელ მასას განათლებითა და დისციპლინირებით ფეხზე აყენებს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა სავსებით დაბეჩავებული, სავსებით უმეცარი მშრომელი, რომელსაც არ ესმის, რომ მუშაობა შეიძლება არა მარტო კაპიტალის ჯოხქვეშ, არამედ ორგანიზებული მუშის ხელმძღვანელობითაც. მაგრამ მას შეუძლია დაიჯეროს, თუ ყოველივე ამას პრაქტიკით ვაჩვენებთ. მშრომელი ამას წიგნებით ვერ ისწავლის. მას შეუძლია ისწავლოს, როცა ყოველივე ამას პრაქტიკით ვაჩვენებთ. მან უნდა იმუშაოს შეგნებული მუშის ხელმძღვანელობით, ან უნდა წავიდეს კოლჩაკთან, ვრანგელთან და სხვ..

ამიტომ აუცილებლად უნდა გატარდეს უსასტიკესი დისციპლინა და შეგნებულად შესრულდეს ის, რაც პროლეტარიატის ავანგარდის მიერ არის ნაბრძანები, რაც მან შეიმუშავა თავისი მძიმე გამოცდილებით. თუ განვახორციელებთ ყველა ზომას ჩვენი მიზნის მისაღწევად, თუ სავსებით განვახორციელებთ ამ ზომებს, მაშინ ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით, რომ იმპერიალისტური ომით გამოწვეულ რღვევასა და არევ-დარევას თავს დავაღწევთ. პურის დამზადებამ 1917 წ. 1 აგვისტოდან მოგვცა 30 მილიონი, 1918 წ. აგვისტოდან — 110 მილიონი. ეს მოწმობს, რომ ჩვენ დავიწყეთ სიძნელეებისგან თავის დაღწევა. 1919 წ. 1 აგვისტოდან დღევანდელ რიცხვამდე 150 მილიონზე მეტია დამზადებული. ეს მოწმობს, რომ ჩვენ სიძნელეებს თავს ვაღწევთ. მაგრამ ჯერ კიდევ არ აგვიღია როგორც საჭიროა უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია და ციმბირი; თუ ეს გაკეთდა, ჩვენ ნამდვილად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოფთ მუშას ორი გირვანქა პურით დღეში.

ამხანაგებო, მე მინდოდა კიდევ შევჩერებულიყავი საკითხზე, რასაც მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, სოფლის მუშაკთათვის, რომელნიც ნაწილობრივ უკვე გაგიცანით პარტიული დოკუმენტების მიხედვით. მე მინდა გითხრათ, რომ თქვენი უმთავრესი მუშაობა იქნება საინსტრუქციო, პარტიული, სააგიტაციო, პროპაგანდისტული. ამ მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ჩვენ არ ვიცით სახელმწიფო საქმის დაყენება, რომ ჩვენი ამხანაგების წრეებში, აქაური მუშაობის ხელმძღვანელებშიც კი, მეტად ძლიერია ძველი არალეგალობის ჩვეულება, როცა ჩვენ ვიჯექით პატარა წრეებში აქ თუ საზღვარგარეთ და იმის უნარიც კი არ შეგვწევდა, რომ გვეფიქრა, გვემსჯელა იმაზე, თუ როგორ დავაყენოთ მუშაობა სახელმწიფოებრივად. ახლა თქვენ ეს უნდა იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ ჩვენ უნდა ვმართოთ მილიონები. ხელისუფლების ყოველ წარმომადგენელს, რომელიც სოფლად მოხვდება, როგორც დელეგატი, როგორც ც. კ-ის რწმუნებული, უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ უზარმაზარი სახელმწიფო აპარატი გვაქვს, რომელიც ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს, იმიტომ რომ არ ვიცით, ვერ

შევძელით მისი კარგად დაუფლება. ჩვენ სოფლად გვყავს ასი-ათასობით მასწავლებელი, რომელნიც დაუბეჩავებიათ, დაუშინებიათ კულაკებს ან სიკვდილის პირამდე მიუყვანია მეფის ძველ მოხელეობას და რომელთაც არ შეუძლიათ, არ ძალუძთ გაიგონ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპები. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი სამხედრო აპარატი. სამხედრო კომისარი რომ არ გვყოლებოდა, წითელი არმია არ გვეყოლებოდა.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე საყოველთაო სამხედრო სწავლების აპარატი, რომელმაც სამხედრო მუშაობის პარალელურად უნდა აწარმოოს კულტურული მუშაობა, უნდა აამაღლოს გლეხობის შეგნება. ეს სახელმწიფო აპარატი მეტად ცუდია; იქ არ არიან ნამდვილად ერთგული, მტკიცე რწმენის ადამიანები, არ არიან ნამდვილი კომუნისტები, და თქვენ, რომელნიც სოფლად წახვალთ, როგორც კომუნისტები, ამ აპარატს მოწყვეტილნი კი არ უნდა მუშაობდეთ, არამედ, პირიქით, მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი უნდა მუშაობდეთ. ყოველი პარტიული აგიტატორი, რომელიც სოფლად მიდის, ამასთან ერთად უნდა იყოს სახალხო სასწავლებლების ინსპექტორიც, ინსპექტორი არა ამ სიტყვის წინანდელი აზრით, ინსპექტორი არა იმ აზრით, რომ ის უნდა ჩაერიოს განათლების საქმეში,— ეს არ შეიძლება დავუშვათ, მაგრამ ის უნდა იყოს ინსპექტორი იმ აზრით, რომ თავისი მუშაობა შეათანხმოს განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობასთან, საყოველთაო სამხედრო სწავლების ხაზით მუშაობასთან, სამხედრო კომისრის მუშაობასთან, რომ მას თავი მიაჩნდეს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლად, იმ პარტიის წარმომადგენლად, რომელიც რუსეთს მართავს. სოფელში რომ ჩავა, იგი უნდა გამოდიოდეს არა მარტო როგორც პროპაგანდისტი, მასწავლებელი, არამედ ამასთან ერთად იგი უნდა ცდილობდეს, რომ ის მასწავლებლები, რომელთაც ცოცხალი სიტყვა არ გაუგონიათ, ან ეს ათობით და ასობით სამხედრო კომისარი, რომ ყველა ისინი მონაწილეობას იღებდნენ ამ პარტიული აგიტატორის მუშაობაში. ყოველი მასწავლებელი ვალდებულია ჰქონდეს სააგიტაციო შინაარსის ბროშურები; იგი ვალდებულია

არათუ ჰქონდეს ისინი, არამედ კიდეც უნდა უკითხოს ხოლმე გლეხებს. თუ ის ამას არ იზამს, მან უნდა იცოდეს, რომ ადგილს დაკარგავს. იგივე ითქმის სამხედრო კომისრებზედაც, — მათ უნდა იქონიონ ეს ბროშურები, უნდა უკითხონ ისინი გლეხებს.

ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში გვყავს ასიათასობით საბჭოთა მოსამსახურე; ისინი ან ბურჟუეზია ან ნახევრადბურჟუები, ანდა იმდენად დაბეჩავებული არიან, რომ სრულიად არა სწამთ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება, ან ისე დაშორებული არიან ამ ხელისუფლებას, რომ იგი, ხელისუფლება, სადღაც შორს, მოსკოვშია, ხოლო მათ გვერდით ჰყავთ კულაკი გლეხი, რომელსაც პური აქვს, მალულად ინახავს და არ აძლევს მათ, — ისინი კი შიმშილობენ. აი აქ პარტიული მუშაკის ამოცანა ორგვარია. მას უნდა ახსოვდეს, რომ ის არა მარტო სიტყვის მქადაგებელია, რომ ის არა მარტო უნდა ეხმარებოდეს მოსახლეობის ყველაზე უფრო დაბეჩავებულ ფენებს, — ეს მისი ძირითადი ამოცანაა, უამისოდ ის პარტიული მუშაკი არ იქნება, უამისოდ ის არ შეიძლება კომუნისტად იწოდებოდეს. მაგრამ ყოველივე ამის გარდა ის უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი, ის უნდა დაუკავშირდეს მასწავლებლობას, უნდა შეუთანხმოს განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობა თავის მუშაობას. ის არ უნდა იყოს ინსპექტორი კონტროლისა და რევიზიის აზრით; მაგრამ ის არის წარმომადგენელი მთავრობის პარტიისა, რომელიც ამჟამად პროლეტარიატის ერთი ნაწილის საშუალებით მართავს მთელ რუსეთს, და, როგორც ასეთს, მას უნდა ახსოვდეს, რომ მისი მუშაობა საინსტრუქტაჟო მუშაობაა, და ის უნდა იზიდავდეს, უნდა ასწავლიდეს თავის მუშაობას ყველა მასწავლებელს, სამხედრო კომისრებს, რათა ისინიც ასრულებდნენ იმგვარსავე მუშაობას, როგორსაც იგი ასრულებს. მათ არ იციან ეს მუშაობა, მათ თქვენ უნდა შეასწავლოთ. ისინი ახლა უმწეონი არიან მაძღარი გლეხის წინაშე. თქვენ უნდა დაეხმაროთ მათ გამოვიდნენ ამ დამოკიდებული მდგომარეობიდან. მტკიცედ

უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ მარტო პროპაგანდისტი-აგიტატორები კი არა ხართ, არამედ თქვენა ხართ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელნი; და თქვენ კი არ უნდა ანგრევდეთ არსებულ აპარატს, კი არ უნდა ჩაერიოთ, კი არ უნდა არივ-დარიოთ მისი ორგანიზაცია, არამედ თქვენი მუშაობა ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ საქმიან ინსტრუქტორ-პროპაგანდისტს, აგიტატორს, სოფლად თუნდაც ცოტა-ოდენი მუშაობის შემდეგ, დარჩეს არა მარტო ქაღალდების კვალი იმ კომუნისტ-გლეხებში, რომელნიც მან გაათვითცნობიერა, არამედ მან უნდა დატოვოს კვალი იმ მუშაკთა შეგნებაში, რომელთაც თქვენ ამოწმებთ და წარმართავთ, რომელთაც თქვენ აძლევთ დავალებებს, მოითხოვთ, რათა ყოველი მასწავლებელი, ყოველი სამხედრო კომისარი მუშაობდეს უსათუოდ საბჭოთა სულისკვეთებით, რათა მან იცოდეს, რომ ეს მისი მოვალეობაა, რათა მას ახსოვდეს, რომ თუ ამას არ შეასრულებს, ადგილზე აღარ დარჩება, რათა მათ ყველამ იცოდნენ და იგრძნონ, რომ თვითეული აგიტატორი საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელია.

აი ასეთ პირობებში, ძალთა სწორი გამოყენებით თქვენ მათ გააათკეცებთ და მიაღწევთ იმას, რომ ყოველი ასეული აგიტატორი თავის შემდეგ კვალს დატოვებს ორგანიზაციული აპარატის სახით, რომელიც უკვე არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით კარგად და დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს.

აი ამ დარგში, ისე როგორც დანარჩენ დარგებში, მე გისურვებთ წარმატებას. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1920 წ. ბროშურაში:
«ვ. ი. ლენინის სიტყვა სოფლად მუშაობის პასუხისმგებელ ორგანიზატორთა სრულიად რუსეთის მე-2 თათბირზე»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

ტელეფონოგრამა სრულიად რუსეთის სასურსათო თათბირის პრეზიდიუმის სახელზე 1920 წ. 1 ივლისი

მე ძალიან მინდოდა, ამხანაგებო, თქვენს ყრილობას ვწვეოდი და ჩემი აზრი გამომეთქვა უმთავრეს სასურსათო საკითხებზე. რომლებიც თქვენი თათბირის დღის წესრიგში დგას. მაგრამ, სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა მაქვს ჩემი სურვილი შევასრულო და იძულებული ვარ დავჯერდე მხოლოდ მოკლე მიმართვას თქვენდამი ამ ტელეფონოგრამის საშუალებით. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო თქვენს წინაშე, ამხანაგებო, რომ თქვენი ფრიად სამძიმო და საპასუხისმგებლო მუშაობის წარმატებულმა შედეგებმა ამას წინათ სახკომსაბჭოს გამოატანინა დადგენილება, რომლითაც გამოთქმული იყო კმაყოფილება სასურსათო ორგანოთა დამამზადებელ მუშაობაში მიღწეულ წარმატებათა გამო. არავითარი ეჭვი არ არის, რომ გასულ ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სასურსათო ორგანოები ორგანიზაციულად განმტკიცდნენ და გაიზარდნენ. ეს მოხდა უმთავრესად თქვენი მეცადინეობის მეოხებით.

მაგრამ მიღწეულ შედეგებზე შეჩერება, რასაკვირველია, არ შეიძლება. სამხედრო ფრონტის შემდეგ უმთავრესი — შიმშილის ფრონტი თქვენს წინაშე აყენებს მთელ რიგ ახალ ამოცანებს, რომელთა გადაუჭრელად არ შეიძლება არც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება, არც

ეკონომიური მშენებლობის მორიგი, მტკივნეული ამოცანების გადაწყვეტა.

იმედი მაქვს აგრეთვე, რომ ეკონომიური მშენებლობის საქმეში თქვენ დაეხმარებით სწორი ურთიერთობის დამყარებას კოოპერაციის მიმართ, პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა[34] საფუძველზე, რათა უფრო სწორად გადაიჭრას წვრილბურჟუაზიული კოოპერაციის სოციალისტურ კოოპერაციად გადაკეთების ძნელი, მაგრამ მადლიანი ამოცანა.

სასურსათო საქმეში თქვენს მიერ უკვე მიღწეული წარმატებანი წინანდელზე უფრო მეტად გავალებთ, რადაც უნდა დაჯდეს, თავი გაართვათ ახალ ამოცანებს და ამრიგად მიხვიდეთ სასურსათო პრობლემის ფაქტიურად გადაწყვეტასთან, ვინაიდან, ვისაც ბევრი აქვს მინიჭებული, მას ბევრიც მოეთხოვება; თქვენ კი თქვენი მუშაობით დაამტკიცეთ, რომ უკვე ბევრი გაქვთ მინიჭებული. მაშ, ნება მიბოძეთ წარმატება გისურვოთ თქვენი თათბირის დღის წესრიგში მდგარ საკითხთა გადაწყვეტაში, ხოლო შემდეგ თქვენს ყოველდღიურ მუშაობაშიც, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ამ თათბირის დამთავრების შემდეგ. გაათკეცებული ენერგიით შეუდგებით ადგილებზე.

«პრავდა» № 143,
1920 წ. 2 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დავეხმაროთ დაჭრილ წითელარმიელს!

არაჩვეულებრივი შრომითა და ტანჯვით ჩვენ ნელნელა მაინც ვახერხებთ, მუშებისა და ყველა მშრომელის გმირობის მეოხებით, წამოვაყენოთ და აღვადგინოთ მეფისა და კაპიტალისტების მიერ დანგრეული მეურნეობა. როგორც უნდა იყოს, საქმე ნელნელა მაინც წინ წავიდა. მაგრამ ყველა ჩვენი სიძნელე და ტანჯვა-წამება არაფერია იმასთან შედარებით, რაც წილად ხვდა დაჭრილ წითელარმიელს, რომელიც სისხლს ღვრის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასაცავად პოლონეთის პანებისა და კაპიტალისტებისაგან, რომელთაც გვისევენ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის კაპიტალისტები.

დაე, თვითეულს ზურგში მყოფს ახსოვდეს თავისი მოვალეობა — დაეხმაროს დაჭრილ წითელარმიელს ყველაფრით, რითაც კი შეუძლია.

20. VII. 1920.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«რანენი კრასნოარმეეც» №1,
1920 წ.

იბეჭდება ჟურნალ
«რანენი კრასნოარმეეცის»
ტექსტის მიხედვით

თეზისები
კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ

1. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების ახლანდელი მომენტი ხასიათდება იმით, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებმა სავსებით შეიგნეს კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპები, სახელდობრ: პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება, და თავდადებული ენთუზიაზმით მიემხრნენ კომუნისტურ ინტერნაციონალს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ ყველგან, არა მარტო ქალაქის პროლეტარიატის უაღრესად ფართო მასებში, არამედ სოფლის მუშათა მოწინავე ნაწილშიც, სავსებით გამოირკვა მათი უდავო თანაგრძნობა ამ ძირითადი პრინციპებისადმი.

მეორე მხრივ, გამოისახა არაჩვეულებრივი სიჩქარით მზარდი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ორი შეცდომა თუ სისუსტე. ერთი შეცდომა, რომელიც მეტად სერიოზულია და პროლეტარიატის განთავისუფლების საქმის წარმატებისათვის უდიდეს და უშუალო საფრთხეს წარმოადგენს, იმაში მდგომარეობს, რომ II ინტერნაციონალის ძველი ბელადებისა და ძველი პარტიების ნაწილი, ზოგი იმიტომ, რომ სანახევროდ შეუგნებლად უთმობს მასების სურვილებსა და ზეგავლენას, ზოგიც კიდევ იმიტომ, რომ შეგნებულად ატყუებს მათ მუშათა მოძრაობის შიგნით ბურჟუაზიის აგენტებისა და თანაშემწეების თავიანთი წინანდელი როლის შესანარჩუნებლად, აცხადებენ, რომ პირობითად თუ უპირობოდაც კი უერთდებიან III ინტერნაციონალს, ხოლო ნამდვილად,

თავიანთი პარტიული და პოლიტიკური მუშაობის მთელ პრაქტიკაში, II ინტერნაციონალის დონეზე რჩებიან. საქმის ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია, ვინაიდან ეს პირდაპირ რყვნის მასებს, ამცირებს III ინტერნაციონალისადმი პატივისცემას, იმუქრება ისეთივე ღალატის განმეორებით, როგორც ნაუცბათევად გაკომუნისტებული უნგრელი სოციალ-დემოკრატების ღალატი იყო. მეორე, გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც უფრო მოძრაობის ზრდის ავადმყოფობას წარმოადგენს, არის «მემარცხენეობისადმი» მისწრაფება, რასაც მივყავართ კლასისა და მასის მიმართ პარტიის როლისა და ამოცანების არასწორი შეფასებისაკენ და რაც უარყოფს აგრეთვე რევოლუციური კომუნისტებისათვის სავალდებულო პირობას — იმუშაონ ბურჟუაზიულ პარლამენტებსა და რეაქციულ პროფკავშირებში.

კომუნისტების მოვალეობაა კი არ მიჩქმალონ თავიანთი მოძრაობის სუსტი მხარეები, არამედ აშკარად გააკრიტიკონ ისინი, რათა რაც შეიძლება ჩქარა და რადიკალურად განთავისუფლდნენ მათგან. ამ მიზნით აუცილებელია, ჯერ-ერთი, კონკრეტულად განვსაზღვროთ, განსაკუთრებით უკვე არსებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, «პროლეტარიატის დიქტატურისა» და «საბჭოთა ხელისუფლების» ცნებათა შინაარსი; მეორე, მივუთითოთ, სახელდობრ რაში შეიძლება მდგომარეობდეს და უნდა მდგომარეობდეს ამ ლოზუნგების განმახორციელებელი დაუყოვნებლივი და სისტემატური მოსამზადებელი მუშაობა ყველა ქვეყანაში; მესამე, მივუთითოთ ის გზები და საშუალებანი, რომლებიც გაათავისუფლებენ ჩვენს მოძრაობას მის ნაკლოვანებათაგან.

I

პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების რაობა

2. სოციალიზმის (როგორც კომუნიზმის პირველი საფეხურის) გამარჯვება კაპიტალიზმზე მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა, როგორც ერთადერთმა ნამდვილად რევოლუციურმა

კლასმა, განახორციელოს შემდეგი სამი ამოცანა. პირველი — დაამხოს ექსპლოატატორები და უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზია, როგორც მათი მთავარი ეკონომიური და პოლიტიკური წარმომადგენელი; გაანადგუროს ისინი სავსებით, დათრგუნოს მათი წინააღმდეგობა; შეუძლებელი გახადოს მათი რაიმე ცდა კაპიტალის უღლისა და დაქირავებული მონობის აღსადგენად. მეორე — პროლეტარიატის რევოლუციურმა ავანგარდმა, მისი კომუნისტური პარტიის სახით, უნდა მოიმხროს და თან გაიყოლიოს არა მარტო მთელი პროლეტარიატი ან მისი უდიდესი უმრავლესობა, არამედ მთელი მშრომელი და კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული მასაც; გაანათლოს, შეაკავშიროს, აღზარდოს, დისციპლინირებული გახადოს ისინი ექსპლოატატორების წინააღმდეგ თავდადებულად შეუპოვარი, ულმობლად მტკიცე ბრძოლის მსვლელობაში; გამოგლიჯოს მოსახლეობის ეს უდიდესი უმრავლესობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულობას; პრაქტიკული გამოცდილებით შთააგონოს მას ნდობა პროლეტარიატისა და მისი რევოლუციური ავანგარდის ხელმძღვანელი როლისადმი. მესამე — გაანეიტრალოს ან უვნებელყოს აუცილებელი რყევა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის, რაც სჩვევია თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვან, თუმცა მოსახლეობის უმცირესობის შემადგენელ კლასს წვრილი მეპატრონეებისას მიწათმოქმედებაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში და ამ კლასთან დაკავშირებულ ინტელიგენციის, მოსამსახურეების ფენას და სხვ.

პირველი და მეორე ამოცანა დამოუკიდებელი ამოცანებია, რომელთაგან თვითეული მოქმედების თავის განსაკუთრებულ წესებს მოითხოვს როგორც ექსპლოატატორთა, ისე ექსპლოატირებულთა მიმართ. მესამე ამოცანა პირველი ორიდან გამომდინარეობს; ის მოითხოვს მხოლოდ პირველი და მეორე სახის წესების მარჯვე, დროულ, მოხერხებულ შეხამებას, რყევის თვითეული ცალკე შემთხვევის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით.

3. იმ კონკრეტულ ვითარებაში, რომელიც მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ყველაზე უფრო დაწინაურებულ, ძლიერ, ყველაზე განათლებულ და თავისუფალ კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნა მილიტარიზმმა, იმპერიალიზმმა, კოლონიებისა და სუსტი ქვეყნების ჩაგვრამ, მსოფლიო იმპერიალისტურმა სასაკლაომ და ვერსალის «ზავმა», — ყოველგვარი ფიქრი იმის შესახებ, რომ კაპიტალისტები მშვიდობიანად დაემორჩილებიან ექსპლოატირებულთა უმრავლესობის ნებისყოფას და ჩვენ მშვიდობიანად, რეფორმისტული გზით გადავალთ სოციალიზმში, წარმოადგენს არა მარტო უაღრესად მეშჩანურ გონებაჩლუნგობას, არამედ მუშათა პირდაპირ მოტყუებასაც, კაპიტალისტური დაქირავებული მონობის შელამაზებას და სიმართლის დამალვას. ეს სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზია, თუნდაც უაღრესად განათლებული და დემოკრატიული, უკვე ამჟამად არავითარ მოტყუებას და დანაშაულს აღარ ერიდება და მილიონობით ხოცავს მუშებსა და გლეხებს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების გადასარჩენად. მხოლოდ ბურჟუაზიის ძალდატანებით დამხობას, მისი საკუთრების კონფისკაციას, მთელი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი აპარატის დანგრევას თავიდან ბოლომდე, — საპარლამენტო, სასამართლო, სამხედრო, ბიუროკრატიული, ადმინისტრაციული, მუნიციპალური და სხვ., — ყველაზე საშიში და ჯიუტი ექსპლოატატორების უკლებლივ განდევნას ან ინტერნირებას, მათ მიმართ სასტიკი ზედამხედველობის დაწესებას წინააღმდეგობის გაწევისა და კაპიტალისტური მონობის რესტავრაციის გარდუვალ ცდებთან საბრძოლველად, — მხოლოდ ასეთ ზომებს შეუძლია უზრუნველყოს ექსპლოატატორთა მთელი კლასის ნამდვილი დამორჩილება.

მეორე მხრივ, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ასეთივე შელამაზებას, მუშების ასეთივე მოტყუებას წარმოადგენს II ინტერნაციონალის ძველი პარტიებისა და ძველი ბელადების ჩვეულებრივი შეხედულება, თითქოს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა უმრავლესობას შეუძლია

კაპიტალისტური მონობის პირობებში, ბურჟუაზიის მხრივ ჩაგვრის დროს, რომელიც უსასრულოდ ნაირნაირ, მით უფრო მკვეთრსა და იმავე დროს სასტიკ და ულმობელ ფორმებს ღებულობს, რაც უფრო კულტურულია ესა თუ ის კაპიტალისტური ქვეყანა, — ამ უმრავლესობას თითქოს შეუძლია გამოიმუშაოს თავის თავში სრული ნათელი სოციალისტური შეგნება, სოციალისტური რწმენისა და ხასიათის სიმტკიცე. ნამდვილად კი მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის ავანგარდი, მთელი ამ, ერთადერთი რევოლუციური, კლასის ან მისი უმრავლესობის მხარდაჭერით, დაამხობს ექსპლოატატორებს, დათრგუნავს მათ, გაათავისუფლებს ექსპლოატირებულთ მათი მონური მდგომარეობიდან, დაუყოვნებლივ გააუმჯობესებს მათი ცხოვრების პირობებს ექსპროპრიაციაქმნილი კაპიტალისტების ხარჯზე, მხოლოდ ამის შემდეგ და თვით მწვავე კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში ხდება შესაძლებელი უაღრესად ფართო მშრომელი და ექსპლოატირებული მასების განათლება, აღზრდა და ორგანიზაცია პროლეტარიატის გარშემო, მისი გავლენითა და ხელმძღვანელობით, მათი განთავისუფლება კერძო საკუთრებით წარმოშობილი ეგოიზმისაგან, დაქსაქსულობისაგან, მანკიერებათა და სისუსტეთაგან, მათი გადაქცევა თავისუფალ მუშაკთა თავისუფალ კავშირად.

4. კაპიტალიზმზე გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა სწორი თანაფარდობა ხელმძღვანელ, კომუნისტურ პარტიასა, რევოლუციურ კლასსა, პროლეტარიატსა — და მასას, ე. ი. მთლიანად ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა შორის. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, — თუ ის ნამდვილად არის რევოლუციური კლასის ავანგარდი, თუ ის ამ კლასის ყველა საუკეთესო წარმომადგენელს შეიცავს, თუ ის სავსებით შეგნებული და თავდადებული, მედგარი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით განათლებული და გამობრძმედილი კომუნისტებისაგან შედგება, თუ ამ პარტიამ შეძლო განუყრელად დაკავშირებოდა თავისი კლასის მთელ ცხოვრებას, მისი მეშვეობით კი — ექსპლოატირებულთა მთელ მასას და სრული ნდობა შთაეგონებინა ამ კლასისა და ამ მასისათვის, — მხოლოდ

ასეთ პარტიას შესწევს უნარი უხელმძღვანელოს პროლეტარიატს უაღრესად ულმობელ, გადამწყვეტ, უკანასკნელ ბრძოლაში კაპიტალიზმის ყველა ძალის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, მხოლოდ ასეთი პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია პროლეტარიატს განავითაროს თავისი რევოლუციური შეტევის მთელი ძალა, არარად აქციოს გარდუვალი აპათია და ნაწილობრივ — წინააღმდეგობაც კაპიტალიზმით გათახსირებული მუშათა არისტოკრატიის, ძველი ტრედ-უნიონისტური და კოოპერაციული ბელადების და სხვ. პატარა უმცირესობისა, — შეუძლია განავითაროს მთელი თავისი ძალა, რომელიც, კაპიტალიხტური საზოგადოების თვით ეკონომიური წყობილების გამო, განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობაში. დასასრულ, მხოლოდ ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მხრივ ჩაგვრისაგან უკვე ფაქტიურად განთავისუფლებულ, მხოლოდ თავის საბჭოებში მართლაც თავისუფლად (ექსპლოატატორებისაგან) დარაზმვის შესაძლებლობის მქონე მასას, — ე. ი. მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ ერთობლიობას, — შეუძლია ისტორიაში პირველად განავითაროს კაპიტალიზმის მიერ დაბეჩავებულ ათეულ მილიონობით ადამიანთა მთელი ინიციატივა და მთელი ენერგია. მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოები გახდება ერთადერთი სახელმწიფო აპარატი, შეიძლება მართვა-გამგეობაში ნამდვილი მონაწილეობა მიიღოს ექსპლოატირებულთა მთელმა მასამ, რომელიც უაღრესად განათლებული და თავისუფალი ბურჟუაზიული დემოკრატიის დროსაც ოთხმოცდაცხრამეტი მეასედით ფაქტიურად ყოველთვის გამორიცხული იყო მართვა-გამგეობაში მონაწილეობიდან. ექსპლოატირებულთა მასა მხოლოდ საბჭოებში იწყებს, არა წიგნებით, არამედ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით, სოციალისტური მშენებლობის საქმის, ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის, თავისუფალ მუშაკთა თავისუფალი კავშირის შექმნის ნამდვილად სწავლას.

II
რაში უნდა მდგომარეობდეს დაუყოვნებლივი და საყოველთაო მზადება პროლეტარიატის დიქტატურისათვის?

5. ახლანდელი მომენტი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში იმით ხასიათდება, რომ კაპიტალისტური ქვეყნების დიდ უმრავლესობაში დასრულებული არ არის — ძალიან ხშირად კი ჯერ სისტემატურად დაწყებულიც არაა — პროლეტარიატის მზადება თავისი დიქტატურის განსახორციელებლად. აქედან არ გამომდინარეობს, რომ პროლეტარული რევოლუცია შეუძლებელია სულ ახლო მომავალში; ის სავსებით შესაძლებელია, რადგან მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება უჩვეულოდ მდიდარია საწვავი მასალით და მისი მოულოდნელი ანთების საბაბით; გარდა პროლეტარიატის მომზადებულობისა, არსებობს აგრეთვე რევოლუციის მეორე პირობაც, სახელდობრ: საერთო კრიზისი ყველა მმართველ და ყველა ბურჟუაზიულ პარტიაში. მაგრამ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ამჟამად კომუნისტური პარტიებისათვის მომენტის ამოცანაა არა რევოლუციის დაჩქარება, არამედ პროლეტარიატის მზადების გაძლიერება. მეორე მხრივ, მრავალი სოციალისტური პარტიის ისტორიაში მომხდარი ზემოაღნიშნული შემთხვევები გვაიძულებს ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის «აღიარება» მარტო სიტყვად არ დარჩეს.

ამიტომ, საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის თვალსაზრისით, ახლანდელ მომენტში კომუნისტური პარტიების მთავარი ამოცანაა დაქსაქსულ კომუნისტურ ძალთა შეკავშირება, ყოველ ქვეყანაში ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნა (ან უკვე არსებული პარტიის განმტკიცება და განახლება), რათა გაათკეცდეს მუშაობა პროლეტარიატის მომზადებისათვის სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად და თანაც ძალაუფლების დასაპყრობად სწორედ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმით. ჩვეულებრივი სოციალისტური მუშაობა იმ ჯგუფებისა და პარტიებისა, რომლებიც აღიარებენ

პროლეტარიატის დიქტატურას, ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის ისე ძირფესვიანად გადაკეთებული და ისე ძირეულად გადახალისებული, როგორც ეს აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ ეს მუშაობა კომუნისტურ მუშაობად ჩაითვალოს და შეესაბამებოდეს პროლეტარული დიქტატურის წინადღის ამოცანებს.

6. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა კი არათუ სწყვეტს მის კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ამ ბრძოლას განსაკუთრებით ფართო, მწვავე, ულმობელ ბრძოლად აქცევს. მუშათა მოძრაობის ყველა ჯგუფი, პარტიები და მოღვაწენი, რომელნიც სავსებით თუ ნაწილობრივ დგანან რეფორმიზმის, «ცენტრისა» და სხვ. თვალსაზრისზე, ბრძოლის უკიდურესი გამწვავების გამო აუცილებლივ ან ბურჟუაზიას ემხრობიან, ან მერყევთა შორის გადადიან, ანდა (რაც ყველაზე სახიფათოა) ძლევამოსილი პროლეტარიატის არასაიმედო მეგობრების რიცხვში ექცევიან. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურის მომზადება მოითხოვს არა მარტო ბრძოლის გაძლიერებას რეფორმისტული და «ცენტრელების» ტენდენციების წინააღმდეგ, არამედ ამ ბრძოლის ხასიათის შეცვლასაც. ბრძოლა არ შეიძლება განისაზღვროს ამ ტენდენციათა მცდარობის გამორკვევით, არამედ ის განუხრელად და ულმობლად უნდა ააშკარავებდეს მუშათა მოძრაობის შიგნით ყოველ მოღვაწეს, რომელიც ამ ტენდენციებს იჩენს, ვინაიდან პროლეტარიატს სხვანაირად არ შეუძლია გაიგოს, ვის გაჰყვება იგი ყველაზე გადამწყვეტ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ისეთია, რომ ყოველ წუთში შეუძლია შეცვალოს — და ცვლის კიდეც, როგორც უკვე გამოცდილებამ ცხადყო, — კრიტიკის იარაღი იარაღით კრიტიკით. ყოველგვარი არათანმიმდევრობა თუ სისუსტე იმათ გამოაშკარავებაში, ვინც მოქმედებს როგორც რეფორმისტი ან «ცენტრელი», იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ იზრდება საფრთხე პროლეტარიატის ძალაუფლების დამხობისა ბურჟუაზიის მიერ, რომელიც ხვალ კონტრრევო-

ლუციისათვის გამოიყენებს იმას, რაც ბეც ადამიანებს დღეს მხოლოდ «თეორიულ უთანხმოებად» ეჩვენებათ.

7. კერძოდ, არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის ყოველგვარი თანამშრომლობის, ყოველგვარი «კოლაბორაციონიზმის» ჩვეულებრივი პრინციპული უარყოფით. «თავისუფლებისა» და «თანასწორობის» უბრალო დაცვა, — წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების შენარჩუნების დროს, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომელიც ვერასოდეს ვერ შეძლებს ერთბაშად და სავსებით მოსპოს კერძო საკუთრება, — იქცევა ბურჟუაზიასთან «თანამშრომლობად», რაც პირდაპირ ძირს უთხრის მუშათა კლასის ძალაუფლებას. ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავისი ხელისუფლების მთელი აპარატით სახელმწიფოებრივად განამტკიცებს და იცავს ექსპლოატატორის «არათავისუფლებას» — განაგრძოს ჩაგვრისა და ექსპლოატაციის თავისი საქმე, მესაკუთრის (ე. ი. საზოგადო შრომით შექმნილ განსაზღვრულ წარმოების საშუალებათა პირადად მიმთვისებლის) «უთანასწორობას» ღარიბთან. ის, რაც პროლეტარიატის გამარჯვებამდე მხოლოდ თეორიულ უთანხმოებად ჩანს «დემოკრატიის» საკითხის შესახებ, ხვალ, გამარჯვების შემდეგ, გარდუვალად იქცევა ისეთ საკითხად, რომელიც იარაღის ძალით წყდება. მაშასადამე, თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა «ცენტრელებისა» და «დემოკრატიის დამცველების» წინააღმდეგ ბრძოლის მთელი ხასიათი, ისე შეუძლებელია მასების წინასწარი მომზადებაც კი პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად.

8. პროლეტარიატის დიქტატურა არის ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო გადამწყვეტი და რევოლუციური ფორმა. ასეთი ბრძოლა შეიძლება წარმატებითი იყოს მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატის ყველაზე რევოლუციური ავანგარდი წინ მიუძღვის მის უდიდეს უმრავლესობას. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურის მომზადება მოითხოვს არა მარტო იმას, **რომ განმარტებულ იქნას ბურჟუაზიული ხასიათი ყოველგვარი**

რეფორმიზმისა, დემოკრატიის ყოველგვარი დაცვისა საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში; არა მარტო იმას, რომ გამოაშკარავებულ იქნას გამოვლინებანი ასეთი ტენდენციებისა, რომელნიც ნამდვილად მოასწავებენ ბურჟუაზიის დაცკის გატარებას მუშათა მოძრაობის შიგნით, — არამედ მოითხოვს იმასაც, რომ ძველი ბელადები კომუნისტებით იქნან შეცვლილი უკლებლივ ყველა სახის პროლეტარულ, არა მარტო პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე პროფესიულ, კოოპერაციულ, საგანმანათლებლო და სხვ. ორგანიზაციებში. რაც უფრო ხანგრძლივი, სრული და მტკიცე იყო ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა ამა თუ იმ ქვეყანაში, მით უფრო მოახერხა ბურჟუაზიამ ასეთი ბელადების პოსტებზე გაეყვანა მის მიერ აღზრდილი, მისი შეხედულებებითა და ცრურწმენებით გაჟღენთილი, მის მიერ ძალიან ხშირად პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოსყიდული მოღვაწეები. აუცილებლად საჭიროა ასჯერ უფრო თამამად, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა, განვდევნოთ მუშათა არისტოკრატიის თუ გაბურჟუებული მუშების ეს წარმომადგენლები ყველა მათი პოსტიდან და მათ ადგილას დავაყენოთ თუნდაც სრულიად გამოუცდელი მუშები, ოღონდ კი ისინი დაკავშირებული იყვნენ ექსპლოატირებულ მასასთან და სარგებლობდნენ მისი ნდობით ექსპლოატატორებთან ბრძოლაში. პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვს, რომ ასეთი გამოუცდელი მუშები დაინიშნონ ყველაზე საპასუხისმგებლო სახელმწიფო პოსტებზე, — წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა მთავრობის ხელისუფლება უძლური იქნება და მას მხარს არ დაუჭერს მასა.

9. პროლეტარიატის დიქტატურა არის ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის მიმართ, რომელნიც კაპიტალისტთა კლასის მიერ დაჩაგრული, დაბეჩავებული, გათელილი, დაშინებული, დაქსაქსული და მოტყუებული არიან, ხელმძღვანელობის ყველაზე სრულად განხორციელება იმ ერთადერთი კლასის მხრივ, რომელიც კაპიტალიზმის მთელი ისტო-

რიით არის მომზადებული ასეთი ხელმძღვანელი როლისათვის. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურის მომზადება ყველგან და დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, სხვათა შორის, შემდეგი წესის საშუალებით.

პირველ რიგში პროლეტარული, შემდეგ კი აგრეთვე არაპროლეტარული მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკლებლივ ყველა (პოლიტიკურ, პროფესიულ, სამხედრო, კოოპერაციულ, საგანმანათლებლო, სასპორტო და სხვ. და ა. შ.) ორგანიზაციაში, კავშირსა და გაერთიანებაში უნდა შეიქმნას კომუნისტების ჯგუფები თუ უჯრედები — უმთავრესად ღია, ძაგრამ აგრეთვე ფარულიც; ამ უკანასკნელთა შექმნა სავალდებულოა ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელია მათი დახურვა, მათი წევრების დაპატიმრება ან განდევნა ბურჟუაზიის მხრივ; — ამასთან ეს უჯრედები, ერთმანეთთან და პარტიის ცენტრთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, ერთიმეორეს უზიარებენ რა თავიანთ გამოცდილებას, ეწევიან რა საგიტაციო, საპროპაგანდო, ორგანიზაციულ მუშაობას, მიუდგებიან რა საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა დარგს, მშრომელი მასის უკლებლივ ყველა ჯგუფსა და ნაწილს, — ასეთი მრავალმხრივი მუშაობით სისტემატურად უნდა ზრდიდნენ თავის თავსაც და პარტიასაც, კლასსაც და მასასაც.

ამასთან უაღრესად საჭიროა პრაქტიკულად შემუშავდეს მთელი მუშაობის წესების აუცილებელი სხვადასხვაობა, ერთი მხრივ — «ბელადების» თუ «პასუხისმგებელი წარმომადგენლების» მიმართ, რომელნიც სულ ერთიანად უიმედოდ გარყვნილი არიან წვრილბურჟუაზიული და იმპერიალისტური ცრურწმეხებით; ამ «ბელადებს» ულმობლად უნდა ჩამოვხადოთ ნიღაბი და განვდევნოთ ისინი მუშათა მოძრაობიდან; — მეორე მხრივ, მასების მიმართ, რომელნიც, განსაკუთრებით იმპერიალისტური ხოცვა-ყლეტის შემდეგ, მეტწილად მზად არიან მოისმინონ და შეითვისონ მოძღვრება პროლეტარიატის ხელმძღვანელობის, როგორც კაპიტალისტური მონობიდან ერთადერთი გამოსავლის, აუცილებლობაზე; უნდა ვისწავლოთ

მასებისადმი მიდგომა განსაკუთრებული მოთმინებითა და სიფრთხილით, რათა უნარი შეგვწევდეს გავიგოთ ამ მასის თვითეული ფენის, პროფესიისა და სხვ. განსაკუთრებულობანი და ფსიქოლოგიის თავისებური ნიშნები.

10. კერძოდ, პარტიის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის ღირსია კომუნისტების ერთ-ერთი ჯგუფი თუ უჯრედი, სახელდობრ — საპარლამენტო ფრაქცია, ე. ი. ჯგუფი პარტიის წევრებისა, რომელნიც დეპუტატებად არიან ბურჟუაზიულ წარმომადგენლობითს (უწინარეს ყოვლისა საერთო-სახელმწიფოებრივ, შემდეგ აგრეთვე ადგილობრივ, მუნიციპალურ და სხვ.) დაწესებულებაში. ერთი მხრივ, სწორედ ამ ტრიბუნას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჩამორჩენილი თუ წვრილბურჟუაზიული ცრურწმენებით გაჟღენთილი მშრომელი მასის ყველაზე ფართო ფენების თვალში; ამიტომ კომუნისტები აუცილებლად სწორედ ამ ტრიბუნიდან უნდა აწარმოებდნენ მუშაობას პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის დარგში, უნდა განუმარტავდნენ მასებს, თუ რატომ იყო კანონზომიერი რუსეთში (და კანონზომიერი იქნება თავის დროზე ყოველ ქვეყანაში) ბურჟუაზიული პარლამენტის გარეკვა საბჭოების საერთო-ნაციონალური ყრილობის მიერ. მეორე მხრივ, ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელმა ისტორიამ საპარლამენტო ტრიბუნა გადაიქცია, განსაკუთრებით მოწინავე ქვეყნებში, გაუგონარი თაღლითობის, ხალხის ფინანსური და პოლიტიკური მოტყუების, კარიერიზმის, თვალთმაქცობისა და მშრომელთა ჩაგვრის მთავარ ან ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად. ამიტომ სავსებით კანონიერია რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენელთა სასტიკი სიძულვილი პარლამენტებისადმი. ამიტომ აუცილებელია კომუნისტური პარტიები და III ინტერნაციონალის მომხრე ყველა პარტია, — მეტადრე იმ შემთხვევებში, როცა ეს პარტიები წარმოიშვენ არა ძველ პარტიებთან განხეთქილებისა და მათ წინააღმდეგ ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლის გზით, არამედ ძველი პარტიების ახალ პოზიციაზე გადმოსვლით (ხშირად ნომინალურად), — განსა-

კუთრებით მკაცრად მოეკიდონ თავიანთ საპარლამენტო ფრაქციებს: სავსებით დაუმორჩილონ ისინი პარტიის ც. კ-ის კონტროლსა და მითითებებს; გაიყვანონ მათ შემადგენლობაში უმთავრესად რევოლუციური მუშები; უაღრესად გულდასმითი ახალიზი გაუკეთონ პარტიულ პრესაში და პარტიულ კრებებზე პარლამენტართა სიტყვებს მათი კომუნისტური სიმტკიცის თვალსაზრისით; მიავლინონ დეპუტატები სააგიტაციო მუშაობისათვის მასებში; გარიცხონ ამ ფრაქციებიდან ისინი, ვინც იჩენს II ინტერნაციონალის ტენდენციებს და სხვ.

11. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს მუშათა რევოლუციურ მოძრაობას განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ის არის, რომ, კოლონიური სამფლობელოებისა და ფინანსური კაპიტალის ზემოგების მეოხებით და სხვ., კაპიტალმა მოახერხა გამოეყო აქ მუშათა არისტოკრატიის პატარა უმცირესობის შედარებით უფრო ფართო და მყარი ფენა. ის სარგებლობს ხელფასის უკეთესი პირობებით და ყველაზე მეტად გაჟღენთილია ამქრული სივიწროვის სულისკვეთებით, მეშჩანური და იმპერიალისტური ცრურწმენებით. ეს — ნამდვილი სოციალური «დასაყრდენია» II ინტერნაციონალისა, რეფორმისტებისა და «ცენტრელებისა», ხოლო ახლანდელ მომენტში ეს — თითქმის მთავარი სოციალური დასაყრდენია ბურჟუაზიისა. პროლეტარიატის არავითარი თუნდაც წინასწარი მომზადება ბურჟუაზიის დასამხობად არ შეიძლება ისე, თუ არ გაჩაღდა დაუყოვნებლივი, სისტემატური, ფართო, აშკარა ბრძოლა ამ ფენასთან, რომელიც, უეჭველია, — როგორც ეს უკვე სავსებით დამტკიცებულია გამოცდილებით, — პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ მრავალ ელემენტს მისცემს ბურჟუაზიულ თეთრ გვარდიას. III ინტერნაციონალის მომხრე ყველა პარტიამ რადაც უნდა დაჯდეს აუცილებლად უნდა გაატაროს ცხოვრებაში ლოზუნგი: «უფრო ღრმად შევიჭრათ მასებში», «უფრო მჭიდრო კავშირი მასებთან», — მასებად კი მათ უნდა ესმოდეთ მშრომელი და კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული ელემენტების

მთელი ერთობლიობა, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც ყველაზე ნაკლებად ორგანიზებული და განათლებული, ყველაზე უფრო ჩაგრული და ორგანიზაციის უნარს ყველაზე უფრო მოკლებული არიან.

პროლეტარიატი რევოლუციური ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არ იკეტება ვიწრო-ამქრულ ჩარჩოებში, რამდენადაც ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა გამოვლინებაში და ყველა ასპარეზზე გამოდის როგორც მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის ბელადი; და ის თავის დიქტატურას ვერ განახორციელებს ისე, თუ მზად არ იქნა და უნარი არ ექნა უდიდესი მსხვერპლი გაიღოს ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად. ამ მხრივ როგორც პრინციპული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რუსეთის გამოცდილებას, სადაც პროლეტარიატი ვერ განახორციელებდა თავის დიქტატურას, ვერ დაიმსახურებდა მთელი მშრომელი მასის საყოველთაოდ აღიარებულ პატივისცემასა და ნდობას, მას რომ ყველაზე მეტი მსხვერპლი არ გაეღო და ამ მასის მთელ დანარჩენ ფენებთან შედარებით ყველაზე მეტად არ ეშიმშილა მსოფლიო ბურჟუაზიის იერიშის, ომის, ბლოკადის უძნელეს ხანაში.

კერძოდ, განსაკუთრებით აუცილებელია, რომ კომუნისტურმა პარტიამ და მთელმა მოწინავე პროლეტარიატმა ყოველმხრივ და თავგანწირულად დაუჭიროს მხარი ფართო, სტიქიურ, მასობრივ საგაფიცვო მოძრაობას, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შეუძლია კაპიტალის უღელქვეშ ნამდვილად გამოაღვიძოს, აამოძრაოს, გაანათლოს და შეაკავშიროს მასები, აღზარდოს მათში სრული ნდობა რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისადმი. ასეთი მომზადების გარეშე პროლეტარიატის არავითარი დიქტატურა არ შეიძლება, და ის ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ საჯაროდ გაილაშქრონ გაფაცვების წინააღმდეგ, — როგორც იქცევა კაუცკი გერმანიაში, ტურატი იტალიაში, — არასგზით არ შეიძლება III ინტერნაციონალის მომხრე პარტიების რიგებში დარჩნენ. კიდევ უფრო მეტად ეხება ეს, რა თქმა

უნდა, იმ ტრედ-უნიონისტურ და პარლამენტურ ბელადებს, რომელნიც ხშირად ღალატობენ მუშებს, რადგან გაფიცვების გამოცდილებით მათ ასწავლიან რეფორმიზმს და არა რევოლუციას (მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთში უკანასკნელ წლებში).

12. ყველა ქვეყნისთვის. თვით ყველაზე თავისუფალი, კლასობრივი ბრძოლის ყველაზე ნაკლები გამწვავებულობის აზრით «ლეგალური» და «მშვიდობიანი» ქვეყნებისთვისაც კი, სავსებით მომწიფდა პერიოდი, როცა ყოველმა კომუნისტურმა პარტიამ უფიუოდ და აუცილებლივ სისტემატურად უნდა შეაერთოს ლეგალური და არალეგალური მუშაობა, ლეგალური და არალეგალური ორგანიზაცია. ვინაიდან ყველაზე განათლებულ და თავისუფალ ქვეყნებში, სადაც ყველაზე «მტკიცე» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებაა, მთავრობები, მათი ცრუ და თვალთმაქცური განცხადებების მიუხედავად, უკვე სისტემატურად ადგენენ კომუნისტების საიდუმლო სიებს, დაუსრულებლივ არღვევენ თავიანთ საკუთარ კონსტიტუციას იმისათვის, რომ ნახევრადფარულად და ფარულად მხარი დაუჭირონ თეთრგვარდიელებს და დახოცონ კომუნისტები ყველა ქვეყანაში, საიდუმლოდ ემზადებიან კომუნისტების დასაპატიმრებლად, კომუნისტების წრეში პროვოკატორების შესაყვანად და სხვ. და სხვ.. მხოლოდ უაღრესად რეაქციულ მეშჩანობას, რა ლამაზ «დემოკრატიულ» და პაციფისტურ ფრაზებსაც უნდა ეფარებოდეს ის, შეუძლია უარყოს ეს ფაქტი ან მისგან გამომდინარე შემდეგი სავალდებულო დასკვნა: ყველა ლეგალურმა კომუნისტურმა პარტიამ დაუყოვნებლივ უნდა შექმნას არალეგალური ორგანიზაციები სისტემატური არალეგალური მუშაობის საწარმოებლად და იმ მომენტისათვის სავსებით მოსამზადებლად, როცა თავს იჩენს ბურჟუაზიული დევნა. განსაკუთრებით საჭიროა არალეგალური მუშაობა არმიაში, ფლოტში, პოლიციაში, ვინაიდან დიდი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ყველა მთავრობას მსოფლიოში უკვე ეშინია საყოველთაო-სახალხო, გლეხებისა და მუშებისათვის ღია არმიისა;

ისინი უკვე ფარულად მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას ბურჟუაზიისგან საგანგებოდ შერჩეული და განსაკუთრებით გაუმჯობესებული ტექნიკით სპეციალურად აღჭურვილი სამხედრო ნაწილების შესადგენად.

მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია, არავითარ შემთხვევაში არ დავკმაყოფილდეთ მარტო არალეგალური მუშაობით, არამედ ვაწარმოოთ აგრეთვე ლეგალური მუშაობაც, რისთვისაც უნდა გადავლახოთ ყველა სიძნელე, დავაარსოთ ლეგალური ბეჭდვითი ორგანოები და ლეგალური ორგანიზაციები სულ სხვადასხვაგვარი და, საჭიროების მიხედვით, ხშირად ცვალებადი სახელწოდებებით. ასე იქცევიან არალეგალური კომუნისტური პარტიები ფინეთში, უნგრეთში, ნაწილობრივ გერმანიაში, პოლონეთში, ლატვიაში და სხვ.. ასე უნდა იქცეოდნენ «მსოფლიოს სამრეწველო მუშები» (I. W. W.) ამერიკაში, ასე უნდა მოიქცეს ამჟამად ლეგალური ყველა კომუნისტური პარტია, თუ პროკურორები კეთილს ინებებენ მათ წინააღმდეგ დევნა აღძრან კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობათა რეზოლუციების საფუძველზე და სხვ.

არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეერთების უთუო პრინციპული აუცილებლობა განისაზღვრება ახლანდელი პერიოდის, პროლეტარული დიქტატურის წინადღის პერიოდის თავისებურებათა არა მარტო მთელი ერთობლიობით; ის განისაზღვრება აგრეთვე აუცილებლობით — დავუმტკიცოთ ბურჟუაზიას, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს მუშაობის ისეთი დარგი და ასპარეზი, რომლის დაპყრობა კომუნისტებს არ შეეძლოთ, ყველაზე მეტად კი განისაზღვრება იმით, რომ ჯერჯერობით ყველგან არიან პროლეტარიატის, ხოლო კიდევ უფრო მეტად — არაპროლეტარული მშრომელი და ექსპლოატირებული მასის ფართო ფენები, რომელნიც ჯერ კიდევ ენდობიან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ლეგალობას და რომელთა გადარწმუნება ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს.

13. კერძოდ, ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა პრესის მდგომარეობა განსაკუთრებით თვალ-

ნათლივ გვიჩვენებს როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის მთელ სიყალბეს ბურჟუაზიული დემოკრატიის დროს, ისე ლეგალური და არალეგალური მუშაობის სისტემატური შეერთების აუცილებლობას. როგორც დამარცხებულ გერმანიაში, ისე გამარჯვებულ ამერიკაში ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატის მთელი ძალა და მისი ფინანსური მეფეების მთელი ოინები ამოქმედებულია იმისათვის, რომ მუშებს წაართვან მათი პრესა: იქ მიმართავენ სასამართლო დევნასაც, რედაქტორების დაპატიმრებასაც (ან მოკვლას დაქირავებულ მკვლელთა საშუალებით), საფოსტო გადაგზავნის აკრძალვასაც, ქაღალდის წართმევასაც და სხვ. და ა. შ.. ამასთან ყოველდღიური გაზეთისათვის აუცილებელი საინფორმაციო მასალა ბურჟუაზიული დეპეშათა სააგენტოების ხელშია, ხოლო განცხადებები, ურომლისოდაც დიდი გაზეთი ვერ იარსებებს, კაპიტალისტთა «თავისუფალ» განკარგულებაში იმყოფება. შედეგი ისაა, რომ ბურჟუაზია მოტყუებით, კაპიტალისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალადობით რევოლუციურ პროლეტარიატს ართმევს მის პრესას.

ამასთან საბრძოლველად კომუნისტურმა პარტიებმა უნდა შექმნან პერიოდული პრესის ახალი ტიპი მუშათა შორის მასობრივად გასავრცელებლად: ჯერ-ერთი, ლეგალური გამოცემანი, რომელნიც, ისე რომ თავისთავს კომუნისტურ გამოცემებად არ გამოაცხადებენ და პარტიისადმი თავიანთ კუთვნილებაზე არ ილაპარაკებენ, ისწავლიან სულ მცირე ლეგალური შესაძლებლობის გამოყენებას, როგორც ამას ბოლშევიკები შვრებოდნენ მეფის დროს 1905 წლის შემდეგ; მეორე, არალეგალური ფურცლები, რომლებიც თუნდაც სულ მცირე მოცულობით და არარეგულარულად გამოიცემა, მაგრამ რომელთაც თვით მუშები გადაბეჭდავენ ხოლმე მრავალ სტამბაში (ფარულად ან, თუ მოძრაობა მომაგრებულია, სტამბების რევოლუციური დაპყრობის გზით) და რომელნიც პროლეტარიატს აწვდიან თავისუფალ, რევოლუციურ ინფორმაციას და რევოლუციურ ლოზუნგებს.

პროლეტარიატის დიქტატურისათვის მომზადება შეუძლებელია ისე, თუ არ გაჩაღდა მასების მიმზიდველი რევოლუციური ბრძოლა კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის.

III

იმ პარტიების ხაზის — ნაწილობრივ აგრეთვე შემადგენლობის — გამოსწორება, რომელნიც ემხრობიან და სურთ მიემხრონ კომუნისტურ ინტერნაციონალს

14. მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ქვეყნების პროლეტარიატის მომზადების ხარისხი თავისი დიქტატურის განსახორციელებლად ყველაზე უფრო ობიექტურად და ზუსტად იმით ხასიათდება, რომ II ინტერნაციონალის უგავლენიანესი პარტიები: ფრანგული სოციალისტური პარტია, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია, ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია, ამერიკის სოციალისტური პარტია გამოვიდნენ ამ ყვითელი ინტერნაციონალიდან და დაადგინეს შეუერთდნენ — პირველმა სამმა პირობითად, ხოლო უკანასკნელმა ყოველგვარი პირობის გარეშეც კი — III ინტერნაციონალს. ეს იმას ამტკიცებს, რომ არა მარტო ავანგარდმა, არამედ რევოლუციური პროლეტარიატის უმრავლესობამაც, მოვლენათა მთელი მსვლელობით დარწმუნებულმა, დაიწყო გადმოსვლა ჩვენს მხარეზე. ახლა მთავარი ისაა, რომ შეგვეძლოს დავასრულოთ ეს გადმოსვლა და საფუძვლიანად, ორგანიზაციულად განვამტკიცოთ ის, რასაც მივაღწიეთ, რათა შეიძლებოდეს ყოველგვარი მერყეობის გარეშე წავიდეთ წინ მთელი ხაზით.

15. დასახელებული პარტიების (რომელთაც უნდა მივუმატოთ აგრეთვე შვეიცარიის სოციალისტური პარტია, თუ მართალია დეპეშების ცნობები მისი იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ მიემხროს III ინტერნაციონალს) მთელი საქმიანობა ამტკიცებს, — და ამ პარტიათა ყოველი პერიო-

დული გამოცემა თვალნათლივ ადასტურებს, — რომ ეს საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის კომუნისტური, არამედ ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგება III ინტერნაციონალის ძირითად პრინციპებს, სახელდობრ: პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების აღიარებას ნაცვლად ბურჟუაზიული დემოკრატიისა.

ამიტომ კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესმა უნდა დაადგინოს, რომ ის არ თვლის შესაძლებლად ამ პარტიების დაუყოვნებლივ მიღებას; — რომ ის ადასტურებს იმ პასუხს, რომელიც მისცა III ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა გერმანელ «დამოუკიდებელთა» [35]; — რომ ის ადასტურებს თავის მზადყოფნას მოლაპარაკება აწარმოოს ყოველ პარტიასთან, რომელიც გამოდის II ინტერნაციონალიდან და სურს დაუახლოვდეს III ინტერნაციონალს; — რომ ის სათათბირო ხმის უფლებას აძლევს ასეთი პარტიების დელეგატებს ყველა თავის კონგრესსა და კონფერენციაზე; — რომ ის აყენებს შემდეგ პირობებს ამ (და მათი მსგავსი) პარტიების სრული გაერთიანებისათვის კომუნისტურ ინტერნაციონალთან:

1. კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა ყრილობისა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება პარტიის ყველა პერიოდულ გამოცემაში;

2. მათი განხილვა პარტიის ყველა სექციის თუ ადგილობრივი ორგანიზაციის სპეციალურ კრებებზე;

3. ასეთი განხილვის შემდეგ პარტიის სპეციალური კონგრესის მოწვევა შედეგების შესაჯამებლად და

4. პარტიის გასაწმენდად იმ ელემენტებისაგან, რომელნიც განაგრძობენ მოქმედებას II ინტერნაციონალის სულისკვეთებით.

5. პარტიის ყველა პერიოდული ორგანოს გადასვლა მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური რედაქციების ხელში.

III ინტერნაციონალის II კონგრესმა უნდა დაავალოს თავის აღმასრულებელ კომიტეტს, ფორმალურად მიიღოს დასახელებული და მათი მსგავსი პარტიები III ინტერნაციონალში,

მხოლოდ წინასწარ შეამოწმოს, რომ ყველა ეს პირობა ნამდვილად შესრულებულია და პარტიის საქმიანობის ხასიათი კომუნისტური გახდა.

16. იმ საკითხის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს იმ კომუნისტების მოქმედება, რომელნიც ახლა უმცირესობას შეადგენენ დასახელებული და მათი მსგავსი პარტიების საპასუხისმგებლო პოსტებზე, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესმა უნდა დაადგინოს შემდეგი: რადგანაც ამ პარტიების კუთვნილ მუშათა შორის აშკარად იზრდება უგულწრფელესი სიმპათიები კომუნიზმისადმი, კომუნისტების გამოსვლა ამ პარტიებიდან სასურველი არაა, ვიდრე მათ საშუალება აქვთ აწარმოონ მუშაობა ამ პარტიების შიგნით პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების აღიარების სულისკვეთებით და ვიდრე შესაძლებელია ამ პარტიებში ჯერ კიდევ დარჩენილი ოპორტუნისტებისა და ცენტრელების კრიტიკა.

ამასთან ერთად III ინტერნაციონალის II კონგრესმა აზრი უნდა გამოთქვას იმის სასარგებლოდ, რომ ინგლისის კომუნისტური თუ კომუნიზმის თანამგრძნობი ჯგუფები და ორგანიზაციები შეუერთდნენ «მუშათა პარტიას» (**Labour Party**), მიუხედავად იმისა, რომ ის შედის II ინტერნაციონალში. ვინაიდან, ვიდრე ეს პარტია მასში შემავალი ორგანიზაციებისათვის ინარჩუნებს მათს ახლანდელ კრიტიკის თავისუფლებას და პროპაგანდისტული, სააგიტაციო და ორგანიზაციული მოქმედების თავისუფლებას პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, ვიდრე ეს პარტია თავისი ხასიათით კვლავ წარმოადგენს მუშათა კლასის ყველა პროფესიული ორგანიზაციის გაერთიანებას, კომუნისტებმა აუცილებლად უნდა გადადგან ყველა ნაბიჯი და დათანხმდნენ ერთგვარ კომპრომისებს, რათა შესაძლებლობა ექნეთ გავლენა მოახდინონ მუშათა უაღრესად ფართო მასებზე, უფრო მაღალი და მასებისათვის დასანახავი ტრიბუნიდან გამოააშკარაონ მათი ოპორტუნისტული ბელადები, დააჩქარონ პოლიტიკური ძალაუფლების

გადასვლა ბურჟუაზიის პირდაპირი წარმომადგენლებისაგან «კაპიტალისტთა კლასის მუშათა ლეიტენანტების» ხელში იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად განკურნონ მასები ამ მხრივ უკანასკნელი ილუზიებისაგან.

17. იტალიის სოციალისტური პარტიის მიმართ III ინტერნაციონალის II კონგრესს ძირითადად სწორად მიაჩნია ამ პარტიის ის კრიტიკა და ის პრაქტიკული წინადადებანი, რომელნიც გადმოცემულია როგორც წინადადებანი იტალიის სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოსადმი, ამ პარტიის ტურინის სექციის[36] სახელით, ჟურნალ «ახალ წყობილებაში» («L'Ordine Nuovo») 1920 წ. 8 მაისს და რომელნიც სავსებით შეესაბამებიან III ინტერნაციონალის ყველა ძირითად პრინციპს.

ამიტომ III ინტერნაციონალის II კონგრესი თხოვს იტალიის სოციალისტურ პარტიას მოიწვიოს პარტიის სასწრაფო ყრილობა როგორც ამ წინადადებათა, ისე კომუნისტური ინტერნაციონალის ორივე ყრილობის ყველა გადაწყვეტილების განსახილველად, პარტიის ხაზის გამოსწორებისა და პარტიის, განსაკუთრებით კი მისი საპარლამენტო ფრაქციის, გაწმენდის მიზნით არაკომუნისტური ელემენტებისაგან.

18. III ინტერნაციონალის II კონგრესი აღიარებს, რომ მცდარია ის შეხედულებანი, რომლებიც ეხება პარტიის დამოკიდებულებას კლასსა და მასასთან, რომლებიც თვლის, რომ ბურჟუაზიულ პარლამენტებსა და ყველაზე რეაქციულ პროფკავშირებში კომუნისტური პარტიების მონაწილეობა სავალდებულო არ არის და რომლებიც დაწვრილებით უარყოფილია ამ კონგრესის სპეციალური დადგენილებებით; ამ შეხედულებებს ყველაზე სრულად იცავენ «გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია», აგრეთვე ნაწილობრივ «შვეიცარიის კომუნისტური პარტია», კომუნისტური ინტერნაციონალის აღმოსავლეთ ევროპის სამდივნოს ორგანო «კომუნიზმი» («Kommunismus») ვენაში, დღეს დაშლილი ამსტერდამის სამდივნო და ზოგიერთი ჰოლანდიელი ამხანაგი, შემდეგ — ინგლისის ზოგიერთი კომუნისტური ორგანიზაცია, მაგალითად, «მუშათა

სოციალისტური ფედერაცია» და სხვ., აგრეთვე «მსოფლიოს სამრეწველო მუშები» ამერიკაში და «ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისთა კომიტეტი» (Shop Stewards Committee) ინგლისში და სხვ.

მიუხედავად ამისა III ინტერნაციონალის II კონგრესი შესაძლებლად და სასურველად თვლის, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალს ამ ორგანიზაციებიდან დაუყოვნებლივ შემოუერთდნენ ისინი, რომელნიც ოფიციალურად ჯერ კიდევ არ შემოერთებიან, ვინაიდან ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ამერიკისა და ავსტრიის, «მსოფლიოს სამრეწველო მუშების» მიმართ, ისე როგორც ინგლისის «ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისთა» მიმართ, ჩვენ საქმე გვაქვს ღრმად პროლეტარულ და მასობრივ მოძრაობასთან, რომელიც თავისი საფუძვლით ფაქტიურად კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპების ნიადაგზე დგას. ასეთ ორგანიზაციებში მცდარი შეხედულებანი ბურჟუაზიულ პარლამენტებში მონაწილეობის შესახებ აიხსნება არა იმდენად ბურჟუაზიის წრიდან გამოსულთა როლით, რომელთაც თან მოაქვთ თავიანთი, არსებითად წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი, როგორიცაა ხშირად ანარქისტების შეხედულებანი, არამედ სავსებით რევოლუციურ და მასასთან დაკავშირებულ პროლეტართა პოლიტიკური გამოუცდელობით.

ამიტომ III ინტერნაციონალის II კონგრესი ანგლოსაქსური ქვეყნების ყველა კომუნისტურ ორგანიზაციას და ჯგუფს თხოვს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მოხდება «მსოფლიოს სამრეწველო მუშებისა» და «ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისთა» დაუყოვნებლივი შემოერთება III ინტერნაციონალთან, გაატარონ ამ ორგანიზაციათა მიმართ რაც შეიძლება მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკა, დაუახლოვდნენ მათ და მათს თანამგრძნობ მასას, მეგობრულად განუმარტონ მათ, ყველა რევოლუციისა და მეტადრე XX საუკუნის რუსეთის სამი რევოლუციის გამოცდილების თვალსაზრისით, მათი ზემოაღნიშნული შეხედულებების მცდარობა და არ აიღონ

ხელი ამ ორგანიზაციებთან ერთიან კომუნისტურ პარტიაში გაერთიანების განმეორებით ცდებზე.

19. ამასთან დაკავშირებით კონგრესი ყველა ამხანაგის ყურადღებას, განსაკუთრებით რომანულ და ანგლოსაქსურ ქვეყნებში, მიაქცევს იმას, რომ ომის შემდეგ ანარქისტებს შორის მთელ მსოფლიოში წარმოებს ღრმა იდეური დაყოფა პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხის გამო. ამასთან, ამ პრინციპების სწორი გაგება განსაკუთრებით შესამჩნევია სწორედ პროლეტარულ ელემენტებში, რომელთაც ხშირად ანარქიზმისაკენ უბიძგებდა სრულიად კანონიერი სიძულვილი II ინტერნაციონალის პარტიათა ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმისადმი, და თანაც ეს სწორი გაგება მით უფრო ვრცელდება, რაც უფრო ახლოს იცნობენ ისინი რუსეთის, ფინეთის, უნგრეთის, ლატვიის, პოლონეთის, გერმანიის გამოცდილებას.

ამიტომ კონგრესი ყველა ამხანაგის მოვალეობად თვლის ყოველნაირად დაეხმარონ მთელი მასობრივ-პროლეტარული ელემენტების გადმოსვლას ანარქიზმიდან III ინტერნაციონალის მხარეზე. კონგრესი მიუთითებს, რომ ნამდვილად კომუნისტური პარტიების მუშაობის წარმატება, სხვათა შორის, უნდა იზომებოდეს იმით, თუ რამდენად შეძლეს მათ ანარქიზმიდან თავიანთ მხარეზე გადმოეყვანათ ყველა არა ინტელიგენტური, არა წვრილბურჟუაზიული, არამედ მასობრივი პროლეტარული ელემენტი.

1920 წ. 4 ივლისი.

გამოქვეყნდა 1920 წ. ივლისში

პასუხი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი შეერთებული დროებითი კომიტეტის წერილზე [37]

მივიღე «დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი შეერთებული დროებითი კომიტეტის» (Joint Provisional Committee for the Communist Party of Britain) 20 ივნისის წერილი და ვჩქარობ ვუპასუხო მათ, თანახმად მათი თხოვნისა, რომ მე სავსებით თანავუგრძნობ მათ მიერ განვითარებულ გეგმას ინგლისის ერთიანი კომუნისტური პარტიის დაუყოვნებლივ შესაქმნელად. მე არასწორად ვთვლი ამხანაგ სილვია პანკჰერსტისა (Pankhurst) და ორგანიზაცია W. S. F-ის (მუშათა სოციალისტური ფედერაცია) ტაქტიკას, რომელნიც განზე დგებიან B. S. P-ს*, S. L. P-ს** და სხვათა ერთიან კომუნისტურ პარტიად გაერთიანებისაგან. კერძოდ, მე პირადად ვემხრობი პარლამენტში მონაწილეობას და «მუშათა პარტიასთან» (Labour Party) შეერთებას, კომუნისტური მუშაობის სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობით, და ამ ტაქტიკას დავიცავ III ინტერნაციონალის II კონგრესზე 1920 წ. 15 ივლისს მოსკოვში. ჩემი აზრით, ყველაზე სასურველია ერთიანი კომუნისტური პარტიის ჩქარა შექმნა, III ინტერნაციონალის ყველა

---

* — British Socialist Party — ბრიტანეთის სოციალისტური პარტია. რ ე დ.

** — Socialist Labour party — სოციალისტური მუშათა პარტია. რ ე დ.

გადაწყვეტილების საფუძველზე, და ამ პარტიის რაც შეიძლება მეტად დაახლოება «მსოფლიოს სამრეწველო მუშებთან» (I. W. W.) და «ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისებთან» (Shop Stewards Committees) უახლოეს მომავალში მათთან სრული შეერთების მიზნით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

8. VII. 1920.

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
1920 წ. 22 ივლისს გაზეთში
«The Call» («მოწოდება») № 224
რუსულ ენაზე იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ტელეფონოგრამა ი. ბ. სტალინს

ტელეფონით **სტალინს** ხარკოვში:

მიღებულია კერზონის ნოტა. კერზონი წინადადებას აყენებს დაიდოს დროებითი ზავი პოლონეთთან იმ პირობით, რომ პოლონეთის არმია გაყვანილ იქნება იმ ხაზს იქით, რომელიც მას დაუწესა საზავო კონფერენციამ[38] გასულ წელს, — გროდნო, იალოვკა, ნემიროვი, ბრესტ-ლიტოვსკი, დოროგუსკი, უსტილუგი, კრილოვი. ეს ხაზი გადაჭრის გალიციას პერემიშლსა და რავა-რუსსკაიას შუა კარპატის მთებამდე. აღმოსავლეთით ყველაფერი გვრჩება ჩვენ. ჩვენმა არმიამ 50 კილომეტრი უნდა დაიხიოს ამ ხაზის აღმოსავლეთით. ლონდონში შედგება საბჭოთა რუსეთის, პოლონეთის, ლატვიის, ლიტვისა და ფინეთის წარმომადგენელთა კონფერენცია საზავო კონფერენციის მფარველობით. იქ დაშვებულ იქნებიან აღმოსავლეთ გალიციის წარმომადგენლები. ჩვენ შეგვიძლია ვინც გვინდა გავგზავნოთ ჩვენს წარმომადგენლებად. ჩვენ წინადადებას გვაძლევენ დროებითი ზავი დავდოთ ვრანგელთან იმ პირობით, რომ ვრანგელი ყირიმში წავა. ვრანგელი ლონდონში მიდის თავისი არმიის ბედის განსახილველად, მაგრამ არა როგორც კონფერენციის წევრი. ჩვენ გვეძლევა ერთი კვირის ვადა პასუხისათვის. გარდა ამისა, კერზონის ნოტაში ნათქვამია, რომ პოლონეთის მთავრობა დათანხმდა რუსეთთან ზავს ამ პირობების ბაზაზე.

ასეთია კერზონის ნოტა. მე ვთხოვ სტალინს:

1) დააჩქაროს განკარგულება შეტევის გააფთრებული გაძლიერების შესახებ;

2) მაცნობოს მე მისი, სტალინის, აზრი.

მე პირადად კი ვფიქრობ, რომ ესაა სრული თაღლითობა ყირიმის ანექსიის გულისათვის, რაც თავხედურად წამოყენებულია ნოტაში. თაღლითური დაპირებების საშუალებით უნდათ ხელიდან გამოგვტაცონ გამარჯვება.

ლ ე ნ ი ნ ი

ჩაიწერეთ სტალინის **პასუხი** და ტ ე ლ ე ფ ო ნ ი თ გადმომეცით ეს პასუხი მე [30].

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 12 ან 13 ივლისს

იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც შევსებული და შესწორებულია ვ. ი. ლენინის მიერ

დეპეშა ი. ბ. სტალინს

ხარკოვი

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევსაბჭო
სტალინს სასწრაფოდ

17. VII. 1920 წ.

ცკ-ის პლენუმმა თითქმის მთლიანად მიიღო ჩემ მიერ დასახული წინადადებანი [40]. სრულ ტექსტს მიიღებთ. აუცილებლად კვირაში ერთ-ორჯერ შეგვატყობინეთ შიფრით უფრო დაწვრილებით ოპერაციების განვითარებისა და საქმეთა მსვლელობის შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები

კომუნისტური ინტერნაციონალის პირველ დამფუძნებელ ყრილობას არ შეუმუშავებია III ინტერნაციონალში ცალკე პარტიების მიღების ზუსტი პირობები. პირველი ყრილობის მოწვევის მომენტისათვის უმეტეს ქვეყნებში მხოლოდ კომუნისტური მიმართულებანი და ჯგუფები არსებობდნენ.

სხვა პირობებში იკრიბება კომუნისტური ინტერნაციონალის II მსოფლიო კონგრესი. ამჟამად უმეტეს ქვეყნებში უკვე არსებობენ არა მარტო კომუნისტური მიმდინარეობანი და მიმართულებანი, არამედ კომუნისტური პარტიები და ორგანიზაციები.

კომუნისტურ ინტერნაციონალს ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ხოლმე ისეთი პარტიები და ჯგუფები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ II ინტერნაციონალს ეკუთვნოდნენ და რომელთაც ახლა III ინტერნაციონალში შემოსვლა სურთ, მაგრამ რომელნიც საქმით არ გამხდარან კომუნისტურნი. II ინტერნაციონალი საბოლოოდ დამარცხებულია. შუალედური პარტიები და «ცენტრის» ჯგუფები, რაკი ხედავენ II ინტერნაციონალის სრულ უიმედობას, ცდილობენ მიეკედლონ კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელიც სულ უფრო მაგრდება, მაგრამ მათ ამასთანავე იმედი აქვთ შეინარჩუნონ ისეთი «ავტონომია», რომელიც შესაძლებლობას მისცემდა გაეტარებინათ წინანდელი ოპორტუნისტული ან «ცენტრისტული» პოლიტიკა. კომუნისტური ინტერნაციონალი ერთგვარ მოდად ხდება.

«ცენტრის» ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯგუფის სურვილი — შემოვიდეს ახლა III ინტერნაციონალში, წარმოადგენს იმ გარემოების არაპირდაპირ დადასტურებას, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშების უდიდესი უმრავლესობის სიმპათიები მოიპოვა და ის დღითი დღე სულ უფრო და უფრო დიდი ძალა ხდება.

გარკვეულ ვითარებაში კომუნისტურ ინტერნაციონალს შეიძლება დაემუქროს საფრთხე მისი გაწყალებისა იმ მერყევი და ორჭოფი ჯგუფების მიერ, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ დაულწევიათ თავი II ინტერნაციონალის იდეოლოგიისაგან.

გარდა ამისა, ზოგიერთ დიდ პარტიაში (იტალია, შვეცია), რომელთა უმრავლესობა კომუნიზმის თვალსაზრისზე დგას, დღემდე შემორჩენილა მნიშვნელოვანი რეფორმისტული და სოციალ-პაციფისტური ფრთა, რომელიც მხოლოდ მომენტს ელოდება, რომ ისევ თავი წამოყოს, პროლეტარული რევოლუციის აქტიური საბოტაჟი დაიწყოს და მით დაეხმაროს ბურჟუაზიას და II ინტერნაციონალს.

არც ერთმა კომუნისტმა არ უნდა დაივიწყოს უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გაკვეთილები. უნგრეთის კომუნისტების რეფორმისტებთან გაერთიანება ძვირი დაუჯდა უნგრეთის პროლეტარიატს.

ამის გამო, II მსოფლიო კონგრესი საჭიროდ თვლის დაწესოს ახალი პარტიების მიღების სრულიად ზუსტი პირობები, აგრეთვე მიუთითოს კომუნისტურ ინტერნაციონალში უკვე მიღებულ პარტიებს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მათ ეკისრებათ.

კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი ადგენს: კომინტერნის წევრი რომ იყო, საჭიროა შემდეგი პირობები:

* * *

1. ყოველდღიური პროპაგანდა და აგიტაცია უნდა ატარებდეს ნამდვილად კომუნისტურ ხასიათს. ყველა იმ ბეჭდვითს ორგანოს, რომელნიც პარტიის ხელთ არის, რედაქტორობას უნდა უწევდნენ საიმედო კომუნისტები, რომელთაც დაამტკი-

ცეს თავიანთი ერთგულება პროლეტარული რევოლუციის საქმისადმი. პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკი უნდა წარმოებდეს არა როგორც რაღაც მოარულ გაზეპირებულ ფორმულაზე, არამედ მისი პროპაგანდა უნდა ტარდებოდეს ისე, რომ ყოველი რიგითი მუშისათვის, მუშა-ქალისათვის, ჯარისკაცისა და გლეხისათვის მისი აუცილებლობა გამომდინარეობდეს ცხოვრების იმ ფაქტებიდან, რომელთაც ყოველდღე სისტემატურად აღნიშნავს ხოლმე ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა. გაზეთების ფურცლებზე, სახალხო კრებებზე, პროფესიულ კავშირში, კოოპერატივში, — ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ III ინტერნაციონალის მომხრეებს, აუცილებლივ საჭიროა სისტემატურად და ულმობლად გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე არა მარტო ბურჟუაზია, არამედ მისი თანაშემწეებიც, ყველა ელფერის რეფორმისტები.

2. თვითეული ორგანიზაცია, რომელსაც სურს კომინტერნს ეკუთვნოდეს, ვალდებულია გეგმაშეწონილად და სისტემატურად ხ ს ნ ი დ ე ს ხოლმე მუშათა მოძრაობაში რამდენადმე პასუხსაგები პოსტებიდან (პარტიული ორგანიზაცია, რედაქცია, პროფკავშირი, საპარლამენტო ფრაქცია, კოოპერატივი, მუნიციპალიტეტი და სხვ.) რეფორმისტებსა და «ცენტრის» მომხრეებს და მათ ადგილას აყენებდეს საიმედო კომუნისტებს, ამასთანავე მას არ უნდა აშინებდეს ის გარემოება, რომ ზოგჯერ თავდაპირველად მოგვიხდება «გამოცდილი» მოღვაწეების შეცვლა რიგითი მუშებით.

3. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კომუნისტებს, საალყო მდგომარეობის ან განსაკუთრებული კანონების გამო, შესაძლებლობა არა აქვთ მთელი თავიანთი მუშაობა ლეგალურად აწარმოონ, აუცილებლივ საჭიროა ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამება. კლასობრივი ბრძოლა ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში სამოქალაქო ომის ფაზაში შედის. ასეთ პირობებში კომუნისტებს არ შეუძლიათ ბურჟუაზიული კანონიერების ნდობა იქონიონ. ისინი ვალდებული არიან ყ ვ ე ლ გ ა ნ შექმნან პარალელური არალეგალური აპარატი, რომელიც გადამწყვეტ ჟამს შეძლებდა

დახმარებოდა პარტიას თავისი ვალის მოხდაში რევოლუციის წინაშე.

4. აუცილებლივ საჭიროა დაუცხრომელი სისტემატური პროპაგანდა და აგიტაცია ჯარში და კომუნისტური უჯრედების შექმნა თვითეულ სამხედრო ნაწილში. ამ მუშაობის გაწევა კომუნისტებს მეტწილად არალეგალურად მოუხდებათ, მაგრამ ასეთ მუშაობაზე უარისთქმა რევოლუციური მოვალეობისადმი ღალატი იქნებოდა და შეუთავსებელია III ინტერნაციონალის წევრობასთან.

5. აუცილებლივ საჭიროა სისტემატური და გეგმაშეწონილი აგიტაცია სოფლად. მუშათა კლასს არ შეუძლია თავიხი გამარჯვების განმტკიცება, თუ სოფლის მოჯამაგირეებისა და უღარიბესი გლეხების ნაწილი მაინც არ დაუჭერს მას მხარს და თუ მან თავისი პოლიტიკის საშუალებით არ გაანეიტრალა დანარჩენი სოფლის ერთი ნაწილი. კომუნისტურ მუშაობას სოფლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა ახლანდელ ეპოქაში. ეს მუშაობა აუცილებლად უნდა ტარდებოდეს უმთავრესად იმ რევოლუციონერი მ უ შ ა-კომუნისტების მეშვეობით, რომელთაც კავშირი აქვთ სოფელთან. ამ მუშაობაზე უარისთქმა ან მისი ნახევრადრეფორმისტულ არასაიმედო ხელში გადაცემა — პროლეტარულ რევოლუციაზე უარისთქმას უდრის.

6. ყოველი პარტია, რომელსაც სურს III ინტერნაციონალს ეკუთვნოდეს, ვალდებულია ამხილოს არა მარტო აშკარა სოციალ-პატრიოტიზმი, არამედ სოციალ-პაციფიზმის სიყალბეც და თვალთმაქცობაც: სისტემატურად დაუმტკიცოს მუშებს, რომ კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობის გარეშე ვერავითარი საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო, ვერავითარი მასლაათი შეიარაღების შემცირებაზე, ხალხთა ლიგიხ ვერავითარი «დემოკრატიული» რეორგანიზაცია ვერ იხსნის კაცობრიობას ახალი იმპერიალისტური ომებისაგან.

7. ის პარტიები, რომელთაც სურთ კომუნისტურ ინტერნაციონალს ეკუთვნოდნენ, ვალდებული არიან აღიარონ

რეფორმიზმთან და «ცენტრის» პოლიტიკასთან კავშირის სრული და აბსოლუტური გაწყვეტის აუცილებლობა და ეწეოდნენ ამ კავშირის გაწყვეტის სასარგებლო პროპაგანდას პარტიის წევრთა უაღრესად ფართო წრეებში. უამისოდ შეუძლებელია თანმიმდევარი კომუნისტური პოლიტიკა.

კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველივე პირობის გარეშე და ულტიმატურად მოითხოვს ამ კავშირის გაწყვეტის უმოკლეს ვადაში განხორციელებას. კომუნისტური ინტერნაციონალი ვერ შეურიგდება იმას, რომ აშკარა რეფორმისტებს, როგორიც არიან, მაგალითად, ტურატი, მოდილიანი და სხვ., უფლება ჰქონდეთ III ინტერნაციონალის წევრებად ითვლებოდნენ. ასეთ წესს შედეგად ის მოყვებოდა, რომ III ინტერნაციონალი ძალიან დაემსგავსებოდა აწ დაღუპულ II ინტერნაციონალს.

8. კოლონიებისა და ჩაგრული ერების საკითხში საჭიროა უაღრესად მკაფიო და ნათელი ხაზი იმ ქვეყნების პარტიებისა, რომელთა ბურჟუაზიაც ასეთ კოლონიებს ფლობს და სხვა ერებს ჩაგრავს. თვითეული პარტია, რომელსაც სურს III ინტერნაციონალს ეკუთვნოდეს, ვალდებულია დაუნდობლად ამხილოს «თავისი» იმპერიალისტების ოინები კოლონიებში, არა სიტყვით, არამედ საქმით დაუჭიროს მხარი ყოველგვარ განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიებში, მოითხოვოს თავისი სამშობლოს იმპერიალისტების გაძევება ამ კოლონიებიდან, აღზარდოს თავისი ქვეყნის მუშების გულში კოლონიებისა და ჩაგრული ერების მშრომელი მოსახლეობისადმი ჭეშმარიტი ძმური დამოკიდებულება და სისტემატური აგიტაცია გასწიოს თავის ჯარებში კოლონიურ ხალხთა ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ.

9. თვითეული პარტია, რომელსაც სურს კომუნისტურ ინტერნაციონალს ეკუთვნოდეს, ვალდებულია სისტემატურად და ბეჯითად აწარმოოს კომუნისტური მუშაობა პროფესიული კავშირების, კოოპერატივებისა და მუშათა სხვა მასობრივი ორგანიზაციების შიგნით. აუცილებლად საჭიროა ამ კავშირების შიგნით შეიქმნას კომუნისტური უჯრედები, რომლებმაც

ხანგრძლივი და მედგარი მუშაობით უნდა დაიპყრონ პროფესიული კავშირები კომუნიზმის საქმისათვის. ეს უჯრედები ვალდებული არიან ყოველდღიური მუშაობის თვითეულ ნაბიჯზე ამხილონ სოციალ-პატრიოტების გამცემლობა და «ცენტრის» მერყეობა. ეს კომუნისტური უჯრედები მთლიანად უნდა დაექვემდებარონ პარტიას საერთოდ.

10. პარტია, რომელიც კომუნისტურ ინტერნაციონალს ეკუთვნის, ვალდებულია მედგარი ბრძოლა აწარმოოს ყვითელი პროფესიული კავშირების ამსტერდამის «ინტერნაციონალის» წინააღმდეგ. პროფესიულად შეკავშირებულ მუშებს შორის მან ბეჯითი პროპაგანდა უნდა აწარმოოს ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობის სასარგებლოდ. მან ყოველივე საშუალებით მხარი უნდა დაუჭიროს იმ წითელი პროფესიული კავშირების ჩასახულ საერთაშორისო გაერთიანებას, რომელნიც კომუნისტურ ინტერნაციონალს ემხრობიან.

11. პარტიები, რომელთაც სურთ III ინტერნაციონალს ეკუთვნოდნენ, ვალდებულნი არიან გადასინჯონ თავიანთი საპარლამენტო ფრაქციების პირადი შემადგენლობა, გააძევონ იქიდან არასაიმედო ელემენტები, არა სიტყვით, არამედ საქმით დაუქვემდებარონ ეს ფრაქციები პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მოსთხოვონ თვითეულ პროლეტარ-კომუნისტს, რომ მან მთელი თავისი მუშაობა დაუქვემდებაროს ნამდვილად რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციის ინტერესებს.

12. სწორედ ამგვარადვე პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი სიტყვა და ყველა გამომცემლობა სავსებით უნდა დაუქვემდებარდეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დამოუკიდებლად იმისა, ლეგალურია თუ არალეგალური პარტია მთლიანად ამა თუ იმ მომენტში; ყოვლად შეუწყნარებელია, რომ გამომცემლობები ავტონომიას ბოროტად იყენებდნენ და არა სავსებით პარტიულ პოლიტიკას ატარებდნენ.

13. კომუნისტურ ინტერნაციონალში შემავალი პარტიები აგებული უნდა იყვნენ დემოკრატიული ცენტრალიზმის

პრინციპის მიხედვით. გამწვავებული სამოქალაქო ომის ახლანდელ ეპოქაში კომუნისტური პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას, თუ ის უაღრესად ცენტრალისტური წესით იქნება ორგანიზებული, თუ მასში გაბატონებული იქნება რკინის დისციპლინა, რომელიც სამხედრო დისციპლინის მსგავსია, და თუ მისი პარტიული ცენტრი იქნება ფართო რწმუნებით აღჭურვილი ძლიერი ავტორიტეტული ორგანო, რომელიც პარტიის წევრთა საყოველთაო ნდობით სარგებლობს.

14. იმ ქვეყნების კომუნისტური პარტიები, სადაც კომუნისტები თავიანთ მუშაობას ლეგალურად ეწევიან, უნდა ახდენდნენ პარტიული ორგანიზაციების პირადი შემადგენლობის პერიოდულ წმენდას (ხელახალ რეგისტრაციას), რათა სისტემატურად გაწმინდონ ხოლმე პარტია წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან, რომლებიც აუცილებლივ მიეტმასნებიან მას.

15. თვითეული პარტია, რომელსაც სურს კომუნისტურ ინტერნაციონალს ეკუთვნოდეს, ვალდებულია თავგამოდებით დაუჭიროს მხარი თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას კონტრრევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კომუნისტური პარტიები დაუცხრომელ პროპაგანდას უნდა ეწეოდნენ იმისათვის, რომ მუშებმა უარი განაცხადონ საბჭოთა რესპუბლიკების მტრების სახელზე გასაგზავნი სამხედრო საჭურვლის საგნების გადაზიდვაზე, ლეგალურად ან არალეგალურად უნდა აწარმოონ პროპაგანდა იმ ჯარებში, რომლებიც მუშათა რესპუბლიკების დასახრჩობად იგზავნება, და სხვ.

16. ის პარტიები, რომელთაც ჯერაც კიდევ ძველი სოციალ-დემოკრატიული პროგრამები შეუნარჩუნებიათ, ვალდებული არიან რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში გადასინჯონ ეს პროგრამები და თავისი ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებთან შეფარდებით შეიმუშაონ ახალი კომუნისტური პროგრამა კომუნისტური ინტერნაციონალის დადგენილებათა სულისკვეთებით. თანახმად წესისა, კომუნისტურ ინტერნაციონალში შემავალი თვითეული პარტიის პროგრამას უნდა ამტკიცებდეს

ინტერნაციონალის მორიგი კონგრესი ან მისი აღმასრულებელი კომიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი არ დაამტკიცებს ამა თუ იმ პარტიის პროგრამას, ასეთ პარტიას უფლება აქვს საჩივარი აღძრას კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის წინაშე.

17. კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობების ყველა დადგენილება, ისე როგორც მისი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი, სავალდებულოა კომუნისტურ ინტერნაციონალში შემავალი ყველა პარტიისათვის. კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც უაღრესად გამწვავებული სამოქალაქო ომის ვითარებაში მოქმედებს, გაცილებით უფრო ცენტრალიზებულად უნდა იყოს აგებული, ვიდრე ეს II ინტერნაციონალში იყო. ამასთან კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი აღმასრულებელი კომიტეტი მთელ თავიანთ მუშაობაში, რასაკვირველია, ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ იმ პირობათა მრავალგვარობას, რომლებშიც უხდებათ ბრძოლა და მოქმედება სხვადასხვა პარტიებს, და საერთო-სავალდებულო გადაწყვეტილებანი გამოიტანონ მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც ასეთ გადაწყვეტილებათა მიღება შესაძლებელია.

18. ყოველივე ამასთან დაკავშირებით ყველა პარტიამ, რომელთაც კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლა სურთ, უნდა შეიცვალოს თავისი სახელწოდება. კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის მსურველი თვითეული პარტია უნდა ატარებდეს სახელწოდებას: ამა და ამ ქვეყნის კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პარტია (III კომუნისტური ინტერნაციონალის სექცია). სახელწოდების საკითხი არა მარტო ფორმალურ, არამედ დიდად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს და ყველა ყვითელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აუცილებლივ საჭიროა, რომ თვითეული რიგითი მშრომელისათვის სრულიად აშკარა იყოს განსხვავება კომუნისტურ პარტიებსა და იმ

ძველ ოფიციალურ «სოციალ-დემოკრატიულ» თუ «სოციალისტურ» პარტიებს შორის, რომლებმაც უღალატეს მუშათა კლასის დროშას.

19. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველა იმ პარტიამ, რომელთაც სურთ კომუნისტურ ინტერნაციონალს ეკუთვნოდნენ, უმოკლეს ვადაში უნდა მოიწვიოს თავისი პარტიის სასწრაფო ყრილობა, რათა ამ ყრილობაზე მთელი პარტიის სახელით ოფიციალურად დაადასტუროს ზემოჩამოთვლილი ვალდებულებანი.

გამოქვეყნდა 1920 წ. ივლისში

კომუნისტურ ინტერნაციონალში მილების პიროგბების მეოცე მუხლი[41]

იმ პარტიებმა, რომელთაც ახლა III ინტერნაციონალში შემოსვლის სურვილი აქვთ, მაგრამ თავიანთი წინანდელი ტაქტიკა დღემდე რადიკალურად არ შეუცვლიათ, ამ ინტერნაციონალში შემოსვლამდე უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მათს ცენტრალურ კომიტეტში და პარტიის ყველა უმნიშვნელოვანეს ცენტრალურ დაწესებულებაში შედიოდეს არა ნაკლებ 2/3 ისეთი ამხანაგებისა, რომლებმაც კომუნისტური ინტერნაციონალის ჯერ კიდევ II კონგრესამდე საჯაროდ და გარკვევით გამოთქვეს აზრი III ინტერნაციონალში შესვლის სასარგებლოდ. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას III ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებით. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გამონაკლისი დაუშვას აგრეთვე მე-7 პარაგრაფში დასახელებულ «ცენტრის» წარმომადგენელთათვის.

პირველად დაიბეჭდა 1921 წ.
წიგნში: «კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი. სტენოგრაფიული ანგარიში». კომუნისტური ინტერნაციონალის გამოცემა, პეტროგრადი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი [42]

1920 წ. 19 ივლისი — 7 აგვისტო

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1921 წ. წიგნში: «კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი. სტენოგრაფიული ანგარიში». კომუნისტური ინტერნაციონალის გამოცემა, პეტროგრადი

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ გასწორებულ სტენოგრამასთან; სიტყვები — წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებული გერმანულ ენაზე შედგენილ სტენოგრაფიულ ანგარიშთან

1

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ 19 ივლისს

(ძლიერი ოვაცია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ტაშს უკრავს. ორატორი ცდილობს ლაპარაკი დაიწყოს, მაგრამ ტაში და შეძახილები ყველა ენაზე არ ცხრება. ოვაცია დიდხანს გრძელდება). ამხანაგებო, თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების საკითხებზე გამოქვეყნებულია ყველა ენაზე და არსებითად (განსაკუთრებით რუსი ამხანაგებისათვის) ახალს არაფერს წარმოადგენს, იმიტომ რომ მათ უმეტეს ნაწილად ჩვენი რევოლუციური გამოცდილების ზოგიერთი ძირითადი ნიშანი და ჩვენი რევოლუციური მოძრაობის გაკვეთილები გადააქვთ დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებზე, დასავლეთ ევროპაზე. ამიტომ მე ჩემს მოხსენებაში უფრო დიდხანს, თუმცა მოკლედ, შევჩერდები ჩემი თემის პირველ ნაწილზე, სახელდობრ — საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ამჟამად შექმნილი მთელი საერთაშორისო მდგომარეობის საფუძველს წარმოადგენს იმპერიალიზმის ეკონომიური ურთიერთობა. მთელი XX საუკუნის განმავლობაში სავსებით გამოირკვა კაპიტალიზმის ეს ახალი, უმაღლესი და უკანასკნელი საფეხური. რასაკვირველია, თქვენ ყველამ იცით, იმპერიალიზმის ყველაზე დამახასიათებელი, არსებითი ნიშნები ის იყო, რომ კაპიტალმა უდიდეს ოდენობას მიაღწია. თავისუფალი კონკურენციის ადგილი დაიკავა უზარმაზარი

ოდენობის მონოპოლიამ. კაპიტალისტთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა ხანდახან ხელში იგდებდა მრეწველობის მთელ დარგებს; ეს დარგები გადავიდა კავშირების, კარტელების, სინდიკატების, ტრესტების ხელში, რომელთაც ხშირად საერთაშორისო ხასიათი ჰქონდათ. ამრიგად, ფინანსური მხრივ, საკუთრების უფლების მხრივ, ნაწილობრივ კი წარმოების მხრივ მონოპოლისტებმა ხელთ იგდეს მრეწველობის მთელი დარგები, და ეს არა მარტო ცალკე ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამ ნიადაგზე განვითარდა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობის უდიდესი ბანკების, ფინანსური მეფეების, ფინანსური მაგნატების წინათ გაუგონარი ბატონობა; ისინი ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებსაც კი სინამდვილეში ფინანსურ მონარქიებად აქცევდნენ. ომამდე ამას აშკარად აღიარებდნენ, მაგალითად, ისეთი სრულიადაც არა რევოლუციური მწერლები, როგორიცაა ლიზისი საფრანგეთში.

ერთი მუჭა კაპიტალისტების ამ ბატონობამ სრულ განვითარებას მიაღწია მაშინ, როცა მთელი დედამიწა დაყოფილი აღმოჩნდა უდიდეს კაპიტალისტთა მიერ არა მარტო ნედლეულის სხვადასხვა წყაროებისა და წარმოების საშუალებათა დაპყრობის აზრით, არამედ კოლონიების წინასწარი განაწილების დასრულების აზრითაც. 40 წლის წინათ კოლონიების მოსახლეობა შეადგენდა მეოთხედ მილიარდზე ცოტა მეტს და ემორჩილებოდა ექვს კაპიტალისტურ სახელმწიფოს. 1914 წლის ომის წინ კოლონიებში უკვე დაახლოებით 600 მილიონი მოსახლეობა ითვლებოდა, ხოლო თუ ამას მივუმატებთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა სპარსეთი, თურქეთი, ჩინეთი, რომლებიც მაშინ უკვე ნახევრადკოლონიების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, დამრგვალებულ ციფრებში მივიღებთ მილიარდ მოსახლეობას, რომელსაც ჩაგრავდნენ ყველაზე მდიდარი, ყველაზე ცივილიზებული და ყველაზე თავისუფალი ქვეყნები კოლონიური დამოკიდებულობის საშუალებით. ხოლო თქვენ იცით, რომ პირდაპირი სახელმწიფოებრივი იურიდიული დამოკიდებულობის გარდა, კოლონიური დამოკიდებულობა

გულისხმობს ფინანსური და ეკონომიური დამოკიდებულობის მთელ რიგ ურთიერთობებს, გულისხმობს მთელ რიგ ომებს, რომლებიც ომებად არ ითვლებოდა, იმიტომ რომ ხშირად წარმოადგენდა სასაკლაოს, როცა უაღრესად გაუმჯობესებული გამანადგურებელი იარაღებით აღჭურვილი ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტური ჯარები ჟლეტდნენ კოლონიური ქვეყნების უიარაღო და უმწეო მცხოვრებთ.

მთელი დედამიწის ამ დაყოფიდან, კაპიტალისტური მონოპოლიის ამ ბატონობიდან, სრულიად უმნიშვნელო რაოდენობის უდიდესი ბანკების, — ორი, სამი, ოთხი, არა უმეტეს ხუთი ბანკისა თითო სახელმწიფოზე, — ამ სრული მბრძანებლობიდან აუცილებლობით წარმოიშვა 1914—1918 წლების პირველი იმპერიალისტური ომი. ეს ომი წარმოებდა იმისათვის, რომ მომხდარიყო მთელი მსოფლიოს გადაყოფა. ომი წარმოებდა იმისათვის, თუ უდიდეს სახელმწიფოთა რომელ სრულიად უმნიშვნელო ჯგუფს — ინგლისურს თუ გერმანულს — მიეღო მთელი დედამიწის ძარცვის, დახრჩობისა და ექსპლოატაციის შესაძლებლობა და უფლება. და თქვენ იცით, რომ ომმა ეს საკითხი ინგლისური ჯგუფის სასარგებლოდ გადაწყვიტა. და ამ ომის შედეგად ჩვენ გვაქვს ყველა კაპიტალისტური წინააღმდეგობის განუზომლად უფრო მეტი გამწვავება. დედამიწის დაახლოებით მეოთხედი მილიარდი მოსახლეობა ომმა ერთბაშად თითქმის კოლონიურ მდგომარეობაში ჩააყენა. მან უკან გადაისროლა რუსეთი, სადაც 130 მილიონამდე მცხოვრები უნდა ჩაითვალოს, ავსტრია — უნგრეთი, გერმანია, ბულგარეთი, რომლებშიც არა ნაკლებ 120 მილიონი მცხოვრებია. მეოთხედი მილიარდი მოსახლეობა — ეს იმ ქვეყნებში, რომლებიც ნაწილობრივ, როგორც გერმანია, ყველაზე მოწინავე, ყველაზე განათლებულ, კულტურულ, ტექნიკურად თანამედროვე პროგრესის დონეზე მდგომი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნიან. ომმა, ვერსალის ხელშეკრულების გზით, მათ თავს მოახვია ისეთი პირობები, რომ მოწინავე ხალხები კოლონიური დამოკიდებულობის, სიღატაკის, შიმშილის, გაჩანაგებისა და უუფლებობის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ,

ვინაიდან ისინი მრავალი თაობის მანძილზე ხელშეკრულებით შებოჭილი და ისეთ პირობებში ჩაყენებული არიან, რომელშიაც არც ერთ ცივილიზებულ ხალხს არ უცხოვრია. თქვენს წინ მსოფლიოს ასეთი სურათია: ომის შემდეგ ერთბაშად ერთი და მეოთხედი მილიარდი მოსახლეობა განიცდის კოლონიურ ჩაგვრას, განიცდის მხეცური კაპიტალიზმის ექსპლოატაციას, იმ კაპიტალიზმისა, რომელიც მშვიდობისმოყვარეობით ტრაბახობდა და რომელსაც ორმოცდაათი წლის წინათ ერთგვარი უფლება ჰქონდა ეტრაბახა ამით, ვიდრე დედამიწა დაყოფილი არ იყო, ვიდრე მონოპოლია არ ბატონობდა, ვიდრე კაპიტალიზმს შეეძლო უზარმაზარ სამხედრო კონფლიქტთა გარეშე შედარებით მშვიდობიანად განვითარებულიყო.

ახლა, ამ «მშვიდობიანი» ეპოქის შემდეგ, ჩვენ მივიღეთ ჩაგვრის საშინელი გამწვავება, ჩვენ ვხედავთ დაბრუნებას წინანდელზე კიდევ უფრო უარესი კოლონიური და სამხედრო ჩაგვრისაკენ. ვერსალის ხელშეკრულებამ გერმანიაც და მთელი რიგი სხვა დამარცხებული სახელმწიფოებიც ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ მატერიალურად შეუძლებელია მათი ეკონომიური არსებობა, ჩააყენა ისინი სრული უუფლებობისა და დამცირების პირობებში.

რამდენმა ერმა ისარგებლა ამით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 100 მილიონს არ აღემატება, ომით კი მარტოდმარტო ამ ქვეყანამ მოიგო სავსებით, დიდძალი ვალის მქონე ქვეყნიდან იგი მთლიანად გადაიქცა ისეთ ქვეყნად, რომ ახლა ყველა მისი მოვალეა. იაპონიაში, რომელმაც ძალიან ბევრი მოიგო, რადგან ევროპულ-ამერიკული კონფლიქტისაგან განზე იდგა და აზიის უზარმაზარ კონტინენტს იპყრობდა, 50 მილიონი მოსახლეობაა. ინგლისში, რომელმაც ამ ქვეყნების შემდეგ ყველაზე მეტი მოიგო, მოსახლეობა 50 მილიონს აღწევს. და თუ ამათ მივუმატებთ იმ ნეიტრალურ სახელმწიფოებს ძალიან მცირე მოსახლეობით, რომლებიც ომის განმავ-

ლობაში გამდიდრდნენ, ჩვენ მივიღებთ, დამრგვალებულ ციფრებში, მეოთხედ მილიარდს.

ამრიგად, თქვენს წინაშე ძირითადად წარმოდგენილია მსოფლიოს სურათი იმ სახით, რა სახეც მან მიიღო იმპერიალისტური ომის შემდეგ. ჩაგრული კოლონიები ერთი და მეოთხედი მილიარდი მოსახლეობით — ქვეყნები, რომელთაც ცოცხლივ იყოფენ, როგორც სპარსეთი, თურქეთი, ჩინეთი; ქვეყნები, რომელნიც დამარცხდნენ და კოლონიების მდგომარეობაში ჩავარდნენ. არა უმეტეს მეოთხედი მილიარდი, — ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც ძველი მდგომარეობა შეინარჩუნეს, მაგრამ ყველა ისინი ეკონომიურად ამერიკისაგან დამოკიდებული გახდნენ და ომის დროს ყველანი სამხედრო მხრით დამოკიდებული იყვნენ, ვინაიდან ომი მთელ მსოფლიოს მოედო და არც ერთ სახელმწიფოს საშუალება არ მისცა ნეიტრალური დარჩენილიყო ნამდვილად. ბოლოს, გვრჩება არა უმეტეს მეოთხედი მილიარდი მცხოვრები იმ ქვეყნებში, სადაც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ზედაფენამ, მხოლოდ კაპიტალისტებმა ისარგებლეს დედამიწის დანაწილებით. დედამიწის მთელი მოსახლეობის ჯამი შეადგენს დაახლოებით 1 $^3/_4$ მილიარდს. მე მინდოდა მომეგონებია თქვენთვის მსოფლიოს ეს სურათი, ვინაიდან კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ყველა ძირითადი წინააღმდეგობა, რომლებიც რევოლუციას იწვევენ, მუშათა მოძრაობის ყველა ძირითადი წინააღმდეგობა, რომლებმაც გამოიწვიეს უსასტიკესი ბრძოლა II ინტერნაციონალთან, რაზედაც აქ ამხ. თავმჯდომარე ლაპარაკობდა, — ყოველივე ეს დაკავშირებულია დედამიწის მოსახლეობის დანაწილებასთან.

რა თქმა უნდა, ამ ციფრებით მხოლოდ ტლანქად და ზოგადად ხასიათდება მსოფლიოს ეკონომიური სურათი. და, ბუნებრივია, ამხანაგებო, რომ მთელი დედამიწის მოსახლეობის ასეთი დანაწილების ნიადაგზე ფინანსური კაპიტალის, კაპიტალისტური მონოპოლიების ექსპლოატაცია ბევრად გაიზარდა და გაძლიერდა.

არა მარტო კოლონიური, დამარცხებული ქვეყნები ვარდებიან დამოკიდებულ მდგომარეობაში, არამედ თვითეული

გამარჯვებული ქვეყნის შიგნითაც განვითარდნენ უფრო მწვავე წინააღმდეგობანი, ყველა კაპიტალისტური წინააღმდეგობა გამწვავდა. ამას მოკლედ დაგანახვებთ რამდენიმე მაგალითით.

აიღეთ სახელმწიფო ვალები. ჩვენ ვიცით, რომ ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების ვალი 1914 წლიდან 1920 წლამდე არა ნაკლებ შვიდჯერ გადიდდა. დავასახელებ კიდევ ერთ ეკონომიურ წყაროს, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებს, — ეს არის კეინსი, ინგლისელი დიპლომატი, წიგნის — «ზავის ეკონომიური შედეგების» ავტორი, რომელიც თავისი მთავრობის დავალებით მონაწილეობდა ვერსალის საზავო მოლაპარაკებაში, უშუალოდ აკვირდებოდა მას წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისით, ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობდა საქმეს დაწვრილებით და, როგორც ეკონომისტი, მონაწილეობას იღებდა თათბირებში. იგი ისეთ დასკვნებამდე მივიდა, რომლებიც კომუნისტ-რევოლუციონერის ყოველ დასკვნაზე უფრო ძლიერი, თვალსაჩინო და საგულისხმოა, იმიტომ რომ ეს დასკვნები გამოყავს პირწავარდნილ ბურჟუას, ბოლშევიზმის ულმობელ მტერს, რომელსაც ბოლშევიზმი წარმოუდგენია, როგორც ინგლისელ მეშჩანინს, დამახინჯებული, მძვინვარე, მხეცური სახით. კეინსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ევროპა და მთელი მსოფლიო ვერსალის ხელშეკრულებითურთ გაკოტრებისაკენ მიექანება. კეინსი გადადგა, მან მთავრობას პირში მიახალა თავისი წიგნი და უთხრა: რასაც თქვენ შვრებით, სიგიჟეაო. მე მოგიყვანთ მის ციფრებს, რომლებიც საერთოდ შემდეგით გამოიხატება.

როგორი სავალო ურთიერთობა დამყარდა უმთავრეს სახელმწიფოთა შორის? მე გირვანქა სტერლინგები გადამყავს ოქროს მანეთებზე, ათ ოქროს მანეთს ვთვლი გირვანქა სტერლინგად, და აი რა გამოდის: შეერთებულ შტატებს აქტივი აქვს 19 მილიარდი; პასივი — ნული. ომამდე შეერთებული შტატები ინგლისის მოვალე იყო. ამხ. ლევიმ გერმანიის კომუნისტური პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე, 1920 წლის 14 აპრილს, თავის მოხსენებაში მართებულად აღნიშნა, რომ

დარჩა ორი სახელმწიფო, რომლებიც ამჟამად დამოუკიდებლად გამოდიან მსოფლიოში: ინგლისი და ამერიკა. ფინანსური მდგომარეობის მხრივ მხოლოდ ამერიკა აღმოჩნდა აბსოლუტურად დამოუკიდებელი. ის ომამდე მოვალე იყო, ახლა კი ის მხოლოდ კრედიტორია. მსოფლიოს ყველა ღანარჩენი სახელმწიფო დავალიანებულია. ინგლისი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მისი აქტივია 17 მილიარდი, პასივი — 8 მილიარდი; ის სანახევროდ უკვე მოვალის მდგომარეობაშია. ამასთან მის აქტივშია დაახლოებით 6 მილიარდი, რომელიც რუსეთს მართებს. სამხედრო მარაგი, რომელსაც ომის დროს აგროვებდა რუსეთი, მის ვალში შედის. ამას წინათ, როცა კრასინს, როგორც რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს, შემთხვევა მიეცა ლოიდ-ჯორჯთან ესაუბრა სავალო ხელშეკრულებათა თემაზე, მან ნათლად აუხსნა მეცნიერთ და პოლიტიკოსთ, ინგლისის მთავრობის ბელადებს, რომ თუ მათ ვალის მიღების იმედი აქვთ, უცნაურად ცდებიან. და ეს შეცდომა უკვე გამოააშკარავა ინგლისის დიპლომატმა კეინსმა.

საქმე, რასაკვირველია, მარტო იმაში კი არ არის, და სრულიადაც იმაში არაა, რომ რუსეთის რევოლუციურ მთავრობას არ სურს ვალის გადახდა. მას ვერც ერთი მთავრობა ვერ გადაიხდიდა, რადგან ეს ვალი იმის საკუთრებაა, რაც უკვე 20-ჯერ არის გადახდილი, და იგივე ბურჟუა კეინსი, რომელიც სულაც არ თანაუგრძნობს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, ამბობს: «გასაგებია, რომ ამ ვალის ჩათვლა არ შეიძლება».

საფრანგეთის შესახებ კეინსს ამგვარი ციფრები მოყავს: მისი აქტივი უდრის სამნახევარ მილიარდს, პასივი კი — ათნახევარს! და ეს ის ქვეყანაა, რომელზედაც თვით ფრანგები ამბობდნენ, მთელი მსოფლიოს მევახშეაო, რადგან მისი «დანაზოგი» თანხა უზარმაზარი იყო, კოლონიურმა და ფინანსურმა ძარცვამ, რითაც მან გიგანტური კაპიტალი შეიძინა, საშუალება მისცა მას მილიარდები გაესესხებინა, განსაკუთრებით რუსეთში. ამ სესხიდან შემოდიოდა უზარმაზარი

შემოსავალი. და მიუხედავად ამისა, მიუხედავად გამარჯვებისა, საფრანგეთი მაინც მოვალის მდგომარეობაში ჩავარდა.

ერთი ბურჟუაზიული ამერიკული წყარო, რომელსაც ასახელებს კომუნისტი, ამხანაგი ბრაუნი თავის წიგნში «ვინ უნდა გადაიხადოს სამხედრო ვალები?» (ლაიპციგი, 1920), ამგვარად განსაზღვრავს ვალის დამოკიდებულებას ნაციონალურ ქონებასთან: გამარჯვებულ ქვეყნებში — ინგლისსა და საფრანგეთში — ვალი შეადგენს მთელი ნაციონალური ქონების 50%-ზე მეტს. იტალიის მიმართ ეს პროცენტი შეადგენს 60—70; რუსეთის მიმართ — 90; მაგრამ ჩვენ, როგორც იცით, ეს ვალი არ გვაწუხებს, იმიტომ რომ ჩვენ, კეინსის წიგნის გამოსვლამდე ცოტა უფრო ადრე, დავუჯერეთ მის მშვენიერ რჩევას და — ყველა ვალი გავაუქმეთ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

ერთი კია, კეინსი აქ ააშკარავებს ჩვეულებრივ ფილისტერულ უცნაურობას: ის გვირჩევს ყველა ვალი გავაუქმოთ და ამავე დროს ამბობს, რომ საფრანგეთი, რა თქმა უნდა, ამით მხოლოდ მოიგებს, ინგლისი, რა თქმა უნდა, არც თუ ძალიან ბევრს დაკარგავს, ვინაიდან, სულ ერთია, რუსეთიდან ვერაფერს აიღებო; კარგა ბლომად იზარალებს ამერიკა, მაგრამ კეინსს ამერიკული «კეთილშობილების» იმედი აქვს! ამ შემთხვევაში ჩვენ ვშორდებით კეინსისა და სხვა მეშჩანური პაციფისტების შეხედულებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვალების გასაუქმებლად მათ სხვა რაიმეს უნდა დაუცადონ, სხვა რაიმე მიმართულებით უნდა წაიმუშაონ და ბატონ კაპიტალისტთა «კეთილშობილების» იმედი არ იქონიონ.

ამ ძალიან შეკვეცილი ციფრებიდან ჩანს, რომ იმპერიალისტურმა ომმა გამარჯვებული ქვეყნებისთვისაც შეუძლებელი მდგომარეობა შექმნა. ამის მაჩვენებელია აგრეთვე დიდი უთანაბრობა ხელფასსა და ფასების ზრდას შორის. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, იმ დაწესებულებამ, რომელიც მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიულ წესწყობილებას იცავს მზარდი რევოლუციისაგან, მიმდინარე წლის 8 მარტს გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც თავდება მოწოდებით წესრიგი-

საკენ, შრომისმოყვარეობისა და მომჭირნეობისაკენ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მუშები კაპიტალის მონებად დარჩებიან. ამ უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, ანტანტის ორგანომ, მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების ორგანომ, ასეთი შედეგები გამოიყვანა.

საშუალოდ პროდუქტების ფასებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში აიწია 120%-ით, ხელფასი კი იქ მხოლოდ 100%-ით გადიდდა. ინგლისში — პროდუქტები 170%-ით, ხელფასი — 130%-ით. საფრანგეთში პროდუქტების ფასები — 300%-ით, ხელფასი — 200%-ით. იაპონიაში — პროდუქტები 130%-ით, ხელფასი — 60%-ით (მე ერთმანეთს ვადარებ ამხ. ბრაუნის ციფრებს მისი ზემოდასახელებული ბროშურიდან და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ციფრებს 1920 წლის 10 მარტის გაზეთ «ტაიმსიდან»).

ცხადია, ასეთ მდგომარეობაში აუცილებელია მუშათა აღშფოთების გაძლიერება, რევოლუციური სულისკვეთებისა და იდეების ზრდა, სტიქიური მასობრივი გაფიცვების ზრდა. ვინაიდან მუშათა მდგომარეობა აუტანელი ხდება. მუშები გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ კაპიტალისტები უზომოდ გამდიდრდნენ ომში და ახლა ხარჯებისა და ვალების ტვირთი მათ მუშებზე გადააქვთ. ამას წინათ ტელეგრაფმა გვაცნობა, რომ ამერიკას უნდა გადმოასახლოს ჩვენში, რუსეთში კიდევ 500 კომუნისტი, რათა თავიდან მოიშოროს «მავნე აგიტატორები».

ამერიკამ 500 კი არა, მთელი 500 000 რუსი, ამერიკელი, იაპონელი, ფრანგი «აგიტატორი» რომ გადმოასახლოს ჩვენში, ამით საქმე არ შეიცვლება, ვინაიდან დარჩება ეს ფასების შეუსაბამობა, რომელთანაც ისინი ვერაფერს გახდებიან. ხოლო ისინი ვერაფერს გახდებიან იმიტომ, რომ იქ კერძო საკუთრებას უსასტიკესად იცავენ, ის მათთვის «წმიდაა». ეს არ უნდა დავივიწყოთ, ვინაიდან ექსპლოატატორთა კერძო საკუთრება დამსხვრეულია მხოლოდ რუსეთში. ამ ფასების შეუსაბამობასთან კაპიტალისტები ვერაფერს გახდებიან. ხოლო მუშებს ძველი ხელფასით ცხოვრება აღარ შეუძლიათ.

ამ უბედურებას ვერავითარი ძველი მეთოდებით ვერ გაუმკლავდებით, აქ ვერავითარი ცალკეული გაფიცვები, ვერც საპარლამენტო ბრძოლა, ვერც კენჭისყრა ვერაფერს გახდება, ვინაიდან «კერძო საკუთრება წმიდაა», ხოლო კაპიტალისტებმა იმდენი ვალი დააგროვეს, რომ მთელი მსოფლიო დამონებული ჰყავთ ერთ მუჭა ადამიანებს; ამავე დროს კი მუშათა ცხოვრების პირობები სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. გამოსავალი არაა უიმისოდ, თუ მოსპობილი არ იქნა ექსპლოატატორთა «კერძო საკუთრება».

ამხ. ლაპინსკი თავის ბროშურაში — «ინგლისი და მსოფლიო რევოლუცია», რომლიდანაც ჩვენმა «საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბემ» 1920 წლის თებერვალში ძვირფასი ცნობები ამოკრიფა და გამოაქვეყნა, აღნიშნავს, რომ გასატანი ქვანახშირის ფასები ინგლისში ორჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ოფიციალური სამრეწველო წრეები ვარაუდობდნენ.

ლანკაშირში საქმე იქამდე მივიდა, რომ აქციების ღირებულების ზრდა 400%-ით განისაზღვრა. ბანკების შემოსავალი შეადგენს სულ ცოტა 40 — 50%-ს, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების შემოსავლის განსაზღვრის დროს ყველა საბანკო მოღვაწე ახერხებს შემოსავლის უდიდესი ნაწილი გაატაროს მალულად, ისე, რომ ამას შემოსავალი კი არ ეწოდება, არამედ საჩუქრების, ტანტიემისა და სხვ. სახით მალავენ. ამრიგად, უცილობელი ეკონომიური ფაქტები აქაც ამტკიცებს, რომ ერთ მუჭა ადამიანთა სიმდიდრე წარმოუდგენლად გაიზარდა, გაუგონარი ფუფუნება ყოველგვარ საზღვარს სცილდება, ამავე დროს კი მუშათა კლასის გაჭირვება სულ უფრო ძლიერდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კიდევ ის გარემოება, რომელსაც მეტად თვალნათლივ გაუსვა ხაზი ამხ. ლევიმ თავის ზემოდასახელებულ მოხსენებაში: ეს არის ფულის ღირებულების ცვლილება. ვალების, ქაღალდის ფულის გამოშვების გამო და სხვ. ფულის ღირებულება ყველგან დაეცა. იმავე ბურჟუაზიულ წყაროს, რომელიც უკვე დავასახელე, სახელდობრ — უმაღლესი ეკონომიური საბჭოს

1920 წლის 8 მარტის განცხადებას, მოყავს ანგარიში, რომ ინგლისში ფულის ღირებულების დაცემა, დოლარებთან შედარებით, დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს; საფრანგეთსა და იტალიაში — ორ მესამედს, გერმანიაში კი 96%-ს აღწევს.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის «მექანიკა» სულ ერთიანად იშლება. იმ საკავშირო ურთიერთობის განგრძობა, რომელზედაც დამყარებულია კაპიტალიზმის დროს ნედლეულის მიღება და პროდუქტების გასაღება, შეუძლებელია; მისი განგრძობა, ფულის ღირებულების ცვლილების გამო, შეუძლებელია სწორედ იმ ნიადაგზე, რომელიც მოითხოვს მთელი რიგი ქვეყნების დამორჩილებას ერთი ქვეყნისადმი. არც ერთ უმდიდრეს ქვეყანას შესაძლებლობა არა აქვს იარსებოს და ივაჭროს, იმიტომ რომ არ შეუძლია გაყიდოს თავისი პროდუქტები, არ შეუძლია მიიღოს ნედლეული.

და, ამრიგად, გამოდის, რომ იმავე ამერიკას — უმდიდრეს ქვეყანას, რომელსაც ემორჩილება ყველა ქვეყანა, არ შეუძლია იყიდოს და გაყიდოს. და იგივე კეინსი, რომელმაც გაიარა ვერსალის მოლაპარაკების ცეცხლი და წყალი და ყველაფერი გამოსცადა, იძულებულია აღიაროს ეს შეუძლებლობა, მიუხედავად მთელი მისი ურყევი სურვილისა — დაიცვას კაპიტალიზმი, მიუხედავად მთელი მისი სიძულვილისა ბოლშევიზმისადმი. აქვე უნდა ითქვას, მე არ ვფიქრობ, რომ თუნდაც ერთი რომელიმე კომუნისტური თუ საზოგადოდ რევოლუციური მოწოდება შეიძლებოდეს თავისი ძალით შეედაროს კეინსის შრომის იმ ფურცლებს, სადაც ის ასურათებს ვილსონსა და «ვილსონიზმს» პრაქტიკაში. ვილსონი კერპი იყო იმგვარი მეშჩანებისა და პაციფისტებისათვის, როგორიც არიან კეინსი და II ინტერნაციონალის (და თვით «ორნახევარი» ინტერნაციონალის) მთელი რიგი გმირები, რომლებიც ლოცულობდნენ «14 პუნქტზე» და «მეცნიერულ» წიგნებსაც კი წერდნენ ვილსონის პოლიტიკის «ფესვების» შესახებ; ისინი იმედოვნებდნენ, რომ ვილსონი იხსნის «სოციალურ

მშვიდობას», მოარიგებს ექსპლოატატორებს ექსპლოატირებულებთან, განახორციელებს სოციალურ რეფორმებს. კეინსმა თვალნათლივ გამოააშკარავა, რომ ვილსონი გაბრიყვებული დარჩა და მთელი ეს ილუზიები მყისვე გაცამტვერდა, როგორც კი შეეხო კაპიტალის საქმიან, საქმოსნურ, ვაჭრულ პოლიტიკას ბატონ კლემანსოსა და ლოიდ-ჯორჯის სახით. მუშათა მასები ახლა სულ უფრო ნათლად ხედავენ თავიანთი ცხოვრების გამოცდილებიდან, — სწავლულ პედანტებს კი შეეძლოთ დაენახათ კეინსის წიგნიდანაც, — რომ ვილსონის პოლიტიკის «ფესვები» შეიცავდა მხოლოდ ხუცურ სისულელეს, წვრილბურჟუაზიულ ფრაზას, კლასთა ბრძოლის სრულ გაუგებლობას.

ყოველივე აქედან სრულიად გარდუვალად და ბუნებრივად გამომდინარეობს ორი პირობა, ორი ძირითადი დებულება. ერთი მხრივ, მასების გაჭირვება, გაჩანაგება გაუგონრად გაიზარდა, და უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება 1 1/4 მილიარდ ადამიანს, ე. ი. დედამიწის მთელი მოსახლეობის 70%-ს. ეს არის კოლონიური, დამოკიდებული ქვეყნები იურიდიულად უუფლებო მოსახლეობით, ქვეყნები, რომლებზეც «მანდატი მიცემული აქვთ» ფინანსურ ყაჩაღებს. და, გარდა ამისა, დამარცხებული ქვეყნების მონობა განამტკიცა ვერსალის ხელშეკრულებამ და იმ ფარულმა ხელშეკრულებებმა, რომლებიც რუსეთის მიმართ არის დადებული; მართალია, ამ ხელშეკრულებებს ხანდახან იმდენივე რეალური ძალა აქვს, რამდენიც იმ ქაღალდებს, რომლებზედაც წერია, რომ ჩვენ ამდენი და ამდენი მილიარდი უნდა გადავიხადოთო. მსოფლიო ისტორიაში ჩვენ პირველად ვხვდებით ძარცვა-გლეჯის, მონობის, დამოკიდებულობის, სიღატაკისა და შიმშილის იურიდიული განმტკიცების შემთხვევას ერთი და მეოთხედი მილიარდი ადამიანის მიმართ.

ხოლო მეორე მხრივ, ყოველ ქვეყანაში, რომელიც კი კრედიტორი აღმოჩნდა, მუშების მდგომარეობა ყოვლად აუტანელი შეიქნა. ომმა გაუგონრად გაამწვავა ყველა კაპიტალისტური წინააღმდეგობა, და ეს არის იმ უღრმესი რევოლუციური

მღელვარების წყარო, რომელიც თანდათან იზრდება, ვინაიდან ომის დროს ადამიანები ჩაყენებული იყვნენ სამხედრო დისციპლინის პირობებში, სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი ან მათ დაუყოვნებლივი სამხედრო ანგარიშგასწორების საფრთხე ემუქრებოდათ. ომის პირობები შესაძლებლობას არ იძლეოდა ეკონომიური სინამდვილე დაენახათ. მწერლები, პოეტები, ხუცები, მთელი ბეჭდვითი სიტყვა მხოლოდ აქებდნენ და ადიდებდნენ ომს, — ეს იყო და ეს. ახლა, როცა ომი დამთავრდა, დაიწყო გამოაშკარავება. გამოაშკარავებულია გერმანიის იმპერიალიზმი მისი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით. გამოაშკარავებულია ვერსალის ზავი, რომელიც იმპერიალიზმის გამარჯვება უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი დამარცხება აღმოჩნდა. კეინსის მაგალითი გვიჩვენებს, სხვათა შორის, რომ ათი და ასი ათასობით ადამიანი, გამოსული წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენტების, ცოტად თუ ბევრად განვითარებული, გათვითცნობიერებული ადამიანების წრიდან ევროპასა და ამერიკაში იძულებული იყო იმ გზას დადგომოდა, რასაც კეინსი, რომელმაც სამსახური დატოვა და თავის მთავრობას სახეში მიახალა ამავე მთავრობის მამხილებელი წიგნი. კეინსმა გვიჩვენა, თუ რა ხდება და რა მოხდება ათასობით და ასი ათასობით ადამიანის შეგნებაში, როცა ისინი გაიგებენ, რომ მთელი ეს ლაპარაკი «თავისუფლებისათვის ომზე» და სხვ. თავიდან ბოლომდე მოტყუება იყო, რომ ამას მხოლოდ ადამიანთა მცირე რიცხვის გამდიდრება მოყვა, დანარჩენები კი გაჩანაგდნენ და მონობაში ჩავარდნენ. ბურჟუა კეინსი აკი ამბობს, ინგლისელებმა თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად, ინგლისის მეურნეობის გადასარჩენად უნდა მიაღწიონ რუსეთსა და გერმანიას შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის განახლებასო! როგორ შეიძლება ამის მიღწევა? იმით, რომ გაუქმდეს ყველა ვალი, როგორც ამბობს კეინსი! ეს იდეა მარტო სწავლულ ეკონომისტ კეინსს როდი ეკუთვნის. ეს იდეა ებადება და დაებადება მილიონებს. და მრავალ მილიონ ადამიანს ესმის, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები ლაპარაკობენ — გამოსავალი არაა ვალების გაუქმების გარეშე, ამიტომ

«წყევლა-კრულვა ბოლშევიკებს» (რომლებმაც ვალები გააუქმეს) და მივმართოთ ამერიკის «კეთილშობილებასო»!! — მე ვფიქრობ, რომ ბოლშევიზმის ასეთი ეკონომისტ-აგიტატორებისათვის კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობის სახელით სამადლობელი მიმართვა უნდა გაგვეგზავნა.

თუ, ერთი მხრივ, მასების ეკონომიური მდგომარეობა აუტანელი აღმოჩნდა, თუ, მეორე მხრივ, უძლიერესი გამარჯვებული ქვეყნების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობაში დაიწყო და ძლიერდება კეინსის მიერ დასურათებული დაშლა, — ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარეობს სწორედ მსოფლიო რევოლუციის ორივე პირობის მომწიფება.

ახლა ჩვენს თვალწინაა მთელი მსოფლიოს რამდენადმე უფრო სრული სურათი. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს, როცა ერთ მუჭა მდიდრებზეა დამოკიდებული ერთი და მეოთხედი მილიარდი ადამიანი, რომელნიც ისეთ პირობებში არიან ჩაყენებული, რომ არსებობა არ შეუძლიათ. ხოლო მეორე მხრივ, როცა ხალხებს შესთავაზეს ერთა ლიგის ხელშეკრულება, რომლითაც ერთა ლიგა აცხადებს, რომ მან შეწყვიტა ომები და ამიერიდან არავის ნებას არ მისცემს მშვიდობა დაარღვიოს, როცა ეს ხელშეკრულება, როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების უკანასკნელი იმედი, ძალაში შევიდა, ეს უდიდესი გამარჯვება აღმოჩნდა ჩვენთვის. როცა ის ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული, მაშინ ამბობდნენ: არ შეიძლება ისეთი ქვეყანა, როგორიც გერმანიაა, განსაკუთრებულ პირობებს არ დავუმორჩილოთ; აი, როცა ხელშეკრულება იქნება, ნახავთ, რა კარგად მოეწყობა ყველაფერიო. და როცა ხელშეკრულება გამოქვეყნდა, ბოლშევიზმის აშკარა მოწინააღმდეგენიც კი იძულებული იყვნენ უარეყოთ იგი! როცა ხელშეკრულება ძალაში შედიოდა, აღმოჩნდა, რომ უმდიდრესი ქვეყნების სულ მცირე ჯგუფი, ეს «მსუქანი ოთხეული» — კლემანსო, ლოიდ-ჯორჯი, ორლანდო და ვილსონი — დაუსვამთ იმისათვის, რომ დაამყარონ ახალი ურთიერთობა! როცა ხელშეკრულების ბანქანა ამუშავდა, მან სრული დაშლა და არევ-დარევა გამოიწვია!

ეს ჩვენ დავინახეთ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ომების მაგალითებით. სუსტი, გაპარტახებული, დაბეჩავებული რუსეთი, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იბრძვის ყველა ერის წინააღმდეგ, იმ მდიდარ, ძლიერ სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელნიც მთელ დედამიწაზე ბატონობენ, და რუსეთი გამარჯვებული გამოდის. ჩვენ არ შეგვეძლო მათთვის დაგვეპირისპირებინა თუნდაც რამდენადმე მაინც თანასწორი ძალა, მაგრამ გამარჯვებულნი კი გამოვედით. რატომ? იმიტომ რომ მათ შორის არ იყო არავითარი ერთიანობა, იმიტომ რომ ერთი სახელმწიფო მოქმედებდა მეორის წინააღმდეგ. საფრანგეთს უნდოდა, რომ რუსეთს გადაეხადა მისთვის ვალები და ყოფილიყო მრისხანე ძალა გერმანიის წინააღმდეგ; ინგლისს უნდოდა. რუსეთის დანაწილება, ინგლისმა სცადა ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება და რუსეთის განაპირა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადება. და ინგლისის ოფიციალურ დოკუმენტებში არის წიგნი, სადაც უაღრესი კეთილსინდისიერებითაა ჩამოთვლილი ყველა სახელმწიფო (ისინი 14 გამოუვიდათ), რომელთაც ნახევარი წლის წინათ, 1919 წ. დეკემბერში, აღუთქვამთ მოსკოვისა და პეტროგრადის აღება. ამ სახელმწიფოების იმედით აშენებდა თავის პოლიტიკას ინგლისი, აძლევდა მათ სესხს მილიონობით. მაგრამ ახლა ყველა ეს ანგარიში ჩაიფუშა და მთელი სესხიც დაიღუპა.

აი მდგომარეობა, რომელიც ერთა ლიგამ შექმნა. ამ ხელშეკრულების არსებობის თვითეული დღე საუკეთესო აგიტაციაა ბოლშევიზმის სასარგებლოდ. ვინაიდან კაპიტალისტური «წესრიგის» ყველაზე ძლიერი მომხრენი გვიჩვენებენ, რომ ყოველ საკითხში ისინი ერთიმეორეს ფეხს უდებენ. თურქეთის, სპარსეთის, მესოპოტამიის, ჩინეთის დაყოფისათვის საშინელი შუღლია ჩამოვარდნილი იაპონიასა, ინგლისსა, ამერიკასა და საფრანგეთს შორის. ამ ქვეყნების ბურჟუაზიული პრესა სავსეა უაღრესად გააფთრებული თავდასხმებით, უაღრესად გაბოროტებული გამოსვლებით თავისი «კოლეგების» წინააღმდეგ იმისათვის, რომ ისინი ცხვირწინ ართმევენ ნადავლს.

ჩვენ ვხედავთ სრულ დაშლას ამ ერთი მუჭა უმდიდრესი ქვეყნების მმართველ წრეებში. შეუძლებელია ერთმა და მეოთხედმა მილიარდმა ადამიანმა ისე იცხოვროს, როგორც მათი დამონება სურს «მოწინავე» და ცივილიზებულ კაპიტალიზმს, — ეს კი ხომ დედამიწის მოსახლეობის 70% შეადგენს. ხოლო ერთ მუჭა უმდიდრეს ქვეყნებს, ინგლისს, ამერიკას, იაპონიას (იაპონიას შეეძლო ეძარცვა აღმოსავლეთის, აზიის ქვეყნები, მაგრამ მას არ შეუძლია სხვა ქვეყნის დაუხმარებლად რაიმე დამოუკიდებელი ფინანსური და სამხედრო ძალა ჰქონდეს), ამ 2 — 3 ქვეყანას არ ძალუძს მოაგვაროს ეკონომიური ურთიერთობა და ამიტომ ისინი თავიანთ პოლიტიკას წარმართავენ ერთა ლიგაში თავიანთ თანამონაწილეთა და პარტნიორთა პოლიტიკის ჩასაფუშავად. აქედან გამომდინარეობს მსოფლიო კრიზისი. და კრიზისის ეს ეკონომიური ფესვებია იმის ძირითადი მიზეზი, თუ რატომ აღწევს კომუნისტური ინტერნაციონალი ბრწყინვალე წარმატებებს.

ამხანაგებო! ჩვენ ახლა მივადექით რევოლუციური კრიზისის, როგორც ჩვენი რევოლუციური მოქმედების საფუძვლის საკითხს. აქაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ორი გავრცელებული შეცდომა. ერთი მხრივ, ბურჟუაზიული ეკონომისტები ამ კრიზისს, ინგლისელების ლამაზი გამოთქმით, ხატავენ როგორც უბრალო «მოუსვენრობას». მეორე მხრივ, რევოლუციონერები ზოგჯერ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კრიზისი აბსოლუტურად გამოუვალია.

ეს შეცდომაა. აბსოლუტურად გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ბურჟუაზია ისე იქცევა, როგორც გათავხედებული და თავგზადაკარგული მტაცებელი, ის ყოველ ფეხის გადადგმაზე სისულელეს სჩადის, ამწვავებს მდგომარეობას, აჩქარებს თავის დაღუპვას. ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ არ შეიძლება იმის «დამტკიცება», თითქოს აბსოლუტურად არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდეს იმისათვის, რომ ბურჟუაზიამ არ მიაძინოს ექსპლოატირებულთა ესა თუ ის უმცირესობა ამა თუ იმ მცირე დათმობით, რომ მან ვერ ჩააქროს

ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა ამა თუ იმ ნაწილის ესა თუ ის მოძრაობა ან აჯანყება. «აბსოლუტური» გამოუვალობის წინდაწინ «დამტკიცების» ცდა ცარიელი პედანტობა ან ცნებებითა და სიტყვებით თამაში იქნებოდა. ამ და მსგავს საკითხებში ნამდვილი «დამამტკიცებელი საბუთი» შეიძლება მხოლოდ პრაქტიკა იყოს. ბურჟუაზიული წყობილება მთელ მსოფლიოში უდიდეს რევოლუციურ კრიზისს განიცდის. ახლა რევოლუციური პარტიების პრაქტიკით უნდა «დავამტკიცოთ», რომ მათ საკმაო შეგნებულობა, ორგანიზებულობა, ექსპლოატირებულ მასებთან კავშირი აქვთ და გამბედაობა და უნარი შესწევთ, რათა ეს კრიზისი გამოიყენონ წარმატებითი, ძლევამოსილი რევოლუციისათვის.

უმთავრესად სწორედ ამ «დამამტკიცებელი საბუთის» მოსამზადებლად შევიკრიბეთ ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის ამ კონგრესზე.

იმის მაგალითად, თუ ჯერ კიდევ რამდენად გაბატონებულია ოპორტუნიზმი III ინტერნაციონალთან შემოერთების მოსურნე პარტიებში, თუ ჯერ კიდევ რამდენად დაშორებულია ზოგიერთი პარტიის მუშაობა რევოლუციური კლასის მზადებას რევოლუციური კრიზისის გამოსაყენებლად, მე დასასახელებ ინგლისის «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ბელადს, რამსეი მაკდონალდს. თავის წიგნში «პარლამენტი და რევოლუცია», რომელიც სწორედ იმ ძირითად საკითხებს ეხება, რასაც ახლა ჩვენც ვარკვევთ, მაკდონალდი საქმის ვითარებას აღწერს დაახლოებით ბურჟუაზიული პაციფისტების სულისკვეთებით. ის აღიარებს, რომ რევოლუციური კრიზისი არსებობს, რომ რევოლუციური განწყობილება იზრდება, რომ მუშათა მასები თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და პროლეტარიატის დიქტატურას (მიაქციეთ ყურადღება: ლაპარაკია ინგლისზე), რომ პროლეტარიატის დიქტატურა უკეთესია, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზიის ახლანდელი დიქტატურა.

მაგრამ მაკდონალდი მაინც თავიდან ბოლომდე რჩება ბურჟუაზიულ პაციფისტად და შემთანხმებლად, წვრილ

ბურჟუად, რომელიც ზეკლასობრივ მთავრობაზე ოცნებობს. მაკდონალდი კლასობრივ ბრძოლას აღიარებს მხოლოდ როგორც «აღწერილობით ფაქტს», ბურჟუაზიის ყველა ცრუპენტელას, სოფისტისა და პედანტის მსგავსად. მაკდონალდი დუმილით უვლის გვერდს კერენსკისა და მენშევიკ-ესერების ცდას რუსეთში, ის არ იხსენიებს არც უნგრეთის, გერმანიისა და სხვ. იმავე ხასიათის ცდას «დემოკრატიული» და ვითომ ზეკლასობრივი მთავრობის შესადგენად. მაკდონალდი აძინებს თავის პარტიას და იმ მუშებს, რომელნიც, საუბედურად, ამ ბურჟუას სოციალისტად თვლიან, ამ ფილისტერს ბელადად აღიარებენ, — აძინებს მათ სიტყვებით: «ჩვენ ვიცით, რომ ეს (ე. ი. რევოლუციური კრიზისი, რევოლუციური დუღილი) გაივლის, დაწყნარდება». ომმა გარდუვალად გამოიწვია კრიზისი, მაგრამ ომის შემდეგ, თუმცა არა ერთბაშად, «ყველაფერი მოეწყობაო».

და ამას წერს კაცი, ვინც ბელადია იმ პარტიისა, რომელსაც სურს III ინტერნაციონალს მიემხროს. ეს არის თავისი გულწრფელობით იშვიათი და მით უფრო ძვირფასი გამოაშკარავება იმისა, რასაც არა ნაკლებ ხშირად ადგილი აქვს საფრანგეთის სოციალისტური და გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიების ზედაფენებში, სახელდობრ: აქ არათუ უნარი არ შესწევთ, არამედ არცა სურთ რევოლუციურად გამოიყენონ რევოლუციური კრიზისი, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არც უნარი შესწევთ და არცა სურთ მართლაც რევოლუციურად ამზადონ პარტია და კლასი პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ეს ძირითადი ბოროტებაა ძალიან, ძალიან მრავალი პარტიისა, რომელნიც ახლა II ინტერნაციონალს შორდებიან. და სწორედ ამიტომ მე იმ თეზისებში, რომლებიც ამ კონგრესს წარმოვუდგინე, ყველაზე მეტად ვჩერდები იმაზე, რომ რაც შეიძლება კონკრეტულად და ზუსტად განვსაზღვრო პროლეტარიატის დიქტატურისათვის მ ზ ა დ ე ბ ი ს ამოცანები.

კიდევ ერთი მაგალითი. ახლახან გამოქვეყნდა ახალი წიგნი ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამგვარი წიგნები ახლა ევრო-

პასა და ამერიკაში არაჩვეულებრივად ბევრი გამოდის; და რაც უფრო მეტი წიგნი გამოდის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მით უფრო ძლიერ და სწრაფად იზრდება მასებში მისდამი სიმპათია. მე მხედველობაში მაქვს ოტო ბაუერის წიგნი: «ბოლშევიზმი თუ სოციალ-დემოკრატია?». აქ გერმანელთათვის ნათლადაა ნაჩვენები, თუ რა არის მენშევიზმი, რომლის სამარცხვინო როლი რუსეთის რევოლუციაში საკმაოდ შეგნებული აქვთ ყველა ქვეყნის მუშებს. ოტო ბაუერმა სულ ერთიანად მენშევიკური პამფლეტი მოგვცა, თუმცა მენშევიზმისადმი თავისი თანაგრძნობა დამალა. მაგრამ ახლა აუცილებელია ევროპასა და ამერიკაში გავავრცელოთ უფრო ზუსტი ცოდნა იმისა, თუ რა არის მენშევიზმი, ვინაიდან ეს არის გვაროვნული ცნება ბოლშევიზმისადმი მტრულად განწყობილი ყველა ვითომდა სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და სხვა მიმართულებისათვის. ჩვენთვის, რუსებისათვის, მოსაწყენი იქნებოდა ევროპას გავაცნოთ ის, თუ რას წარმოადგენს მენშევიზმი. ოტო ბაუერმა ეს საქმით დაგვანახვა თავის წიგნში და ჩვენ წინდაწინვე მადლობას ვუცხადებთ ბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ გამომცემლებს, რომელნიც მას გამოცემენ და გადათარგმნიან სხვადასხვა ენაზე. ბაუერის წიგნი სასარგებლო, თუმცა თავისებური დამატება იქნება კომუნიზმის სახელმძღვანელოებისადმი. აიღეთ ოტო ბაუერის რომელი პარაგრაფიც გინდათ, რომელი მსჯელობაც გნებავთ და დაამტკიცეთ, სად არის იქ მენშევიზმი, სად არის იმ შეხედულებათა ფესვები, რომლებიც სოციალიზმის გამცემთა, კერენსკის, შეიდემანისა და სხვ. მეგობრების პრაქტიკას ბადებენ — ასეთი იქნება ამოცანა, რომლის მიცემა სასარგებლო იქნებოდა და წარმატებით შეიძლებოდა «გამოცდების» დროს იმის შესამოწმებლად, შეთვისებული აქვთ თუ არა კომუნიზმი. თუ ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეგიძლიათ, თქვენ ჯერ კიდევ არა ხართ კომუნისტი და თქვენთვის უმჯობესია არ შეხვიდეთ კომუნისტურ პარტიაში. (ტ ა შ ი.)

ოტო ბაუერმა ერთი ფრაზით საუცხოოდ გამოხატა მსოფლიო ოპორტუნიზმის შეხედულებათა მთელი არსი; ამ ფრაზის

გამო, — ჩვენ რომ ვენაში თავისუფლად გავმგებლობდეთ, — სიცოცხლეშივე უნდა დაგვედგა მისთვის ძეგლი. თანამედროვე დემოკრატიების კლასობრივ ბრძოლაში ძალმომრეობის გამოყენება, — თქვა ო. ბაუერმა, — ეს იქნებოდა «ძალმომრეობა ძალის სოციალური ფაქტორების მიმართ».

ალბათ, თქვენ იფიქრებთ, რომ ეს უცნაურად და გაუგებრად გაისმის? აი იმის ნიმუში, თუ სადამდე მიიყვანეს მარქსიზმი, თუ რანაირ უხამსობამდე და ექსპლოატატორების ინტერესთა დაცვამდე შ ე ი ძ ლ ე ბ ა მიიყვანო უაღრესად რევოლუციური თეორია. საჭიროა მეშჩანობის გერმანული სხვასახეობა, და თქვენ მიიღებთ «თეორიას», რომ «ძალის სოციალური ფაქტორები» — ეს არის რიცხვი, ორგანიზებულობა, ადგილი წარმოებისა და განაწილების პროცესში, აქტიურობა, განათლება. თუ მოჯამაგირე სოფლად, მუშა ქალაქად რევოლუციურ ძალმომრეობას ხმარობს მემამულისა და კაპიტალისტის მიმართ, ეს თურმე სულაც არ არის პროლეტარიატის დიქტატურა, სულაც არ არის ძალმომრეობა ხალხის ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების მიმართ. სრულიადაც არა. ეს არის «ძალმომრეობა ძალის სოციალური ფაქტორების მიმართ».

შეიძლება, ჩემი მაგალითი ცოტა იუმორისტული გამოვიდა. მაგრამ თანამედროვე ოპორტუნიზმის ბუნება ისეთია, რომ ბოლშევიზმთან მისი ბრძოლა იუმორისტიკად იქცევა. მუშათა კლასის, მთელი მისი მოაზროვნე ნაწილის, ჩათრევა ინტერნაციონალური მენშევიზმის (მაკდონალდების, ო. ბაუერებისა და კომპ.) ბრძოლაში ბოლშევიზმთან, — ეს ევროპისა და ამერიკისათვის ყველაზე სასარგებლო, ყველაზე საჭირო საქმეა.

აქ ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა: რით აიხსნება ასეთ მიმართულებათა სიმტკიცე ევროპაში, და რატომ არის ეს ოპორტუნიზმი დასავლეთ ევროპაში უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენში? იმიტომ, რომ მოწინავე ქვეყნებმა შექმნეს და ქმნიან თავიანთ კულტურას მილიარდი დაჩაგრული ადამიანის ხარჯზე

ცხოვრების შესაძლებლობით. იმიტომ, რომ ამ ქვეყნების კაპიტალისტები ბევრად იმაზე მეტს იღებენ, რასაც მიიღებდნენ მოგების სახით თავისი ქვეყნის მუშათა ძარცვაგლეჯისაგან.

ომამდე ვარაუდობდნენ, რომ სამი უმდიდრესი ქვეყანა — ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, სხვა შემოსავალი რომ არ ვიანგარიშოთ, მარტო საზღვარგარეთ გატანილი კაპიტალიდან ღებულობდა წლიურად 8 — 10 მილიარდ ფრანკს.

ცხადია, ამ საამური თანხიდან შეიძლება თუნდაც ნახევარი მილიარდი გადაიდოს მუშათა ბელადების, მუშათა არისტოკრატიის სამოწყალოდ, ყოველგვარი სახის მოსყიდვისათვის. და მთელი საქმე სწორედ მოსყიდვაშია. ეს ხდება ათასნაირი გზით: უფრო დიდ ცენტრებში კულტურის ამაღლებით, საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებით, ათასობით ადგილის შექმნით კოოპერატივების ბელადებისათვის, ტრედუნიონების ბელადებისათვის, პარლამენტური ბელადებისათვის. მაგრამ ეს კეთდება ყველგან, სადაც კი არსებობს თანამედროვე ცივილიზებული კაპიტალისტური ურთიერთობა. და ეს მრავალი მილიარდი ზემოგება ის ეკონომიური საფუძველია, რომელსაც ეყრდნობა ოპორტუნიზმი მუშათა მოძრაობაში. ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში გაცილებით უფრო ძლიერია ოპორტუნისტული ბელადების, მუშათა კლასის ზედაფენის, მუშათა არისტოკრატიის სიჯიუტე. ისინი უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ კომუნისტურ მოძრაობას. ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ამ სენისაგან ევროპისა და ამერიკის მუშათა პარტიების განთავისუფლება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ჩვენში. ჩვენ ვიცით, რომ III ინტერნაციონალის დაარსების შემდეგ ამ სენის განკურნების საქმეში უდიდესი წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ ჯერ კიდევ გადამწყვეტ ბოლომდე არ მივსულვართ: მთელი მსოფლიოს მუშათა პარტიების, პროლეტარიატის რევოლუციური პარტიების გაწმენდა მათ საკუთარ წრეში ბურჟუაზიული გავლენისაგან, ოპორტუნისტებისაგან ჯერ კიდევ სულაც არ დამთავრებულა.

მე არ შევჩერდები იმაზე, თუ კონკრეტულად როგორ უნდა გავატაროთ ეს. ამის შესახებ ნათქვამია ჩემს თეზისებში, რომლებიც გამოქვეყნებულია. ჩემი მოვალეობაა მივუთითო აქ ამ მოვლენის ღრმა ეკონომიურ ფესვებზე. ეს ავადმყოფობა გაჭიანურდა, მისი განკურნება უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე შეიძლებოდა ოპტიმისტების მოლოდინი ყოფილიყო. ოპორტუნიზმი — ჩვენი მთავარი მტერია. ოპორტუნიზმი მუშათა მოძრაობის ზედაფენებში — ეს არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული სოციალიზმია. პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ მუშათა მოძრაობის შიგნით ის მოღვაწენი, რომელნიც ოპორტუნისტულ მიმართულებას ეკუთვნიან, ბურჟუაზიის უკეთესი დამცველები არიან, ვიდრე თვით ბურჟუები. ისინი რომ მუშებს არ ხელმძღვანელობდნენ, ბურჟუაზია ვერ გადარჩებოდა. ამას ამტკიცებს არა მარტო კერენსკის რეჟიმის ისტორია რუსეთში, ამას ამტკიცებს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მეთაურობით, ამასვე ამტკიცებს ალბერ ტომას დამოკიდებულება თავის ბურჟუაზიულ მთავრობასთან. ამას ამტკიცებს ინგლისისა და შეერთებული შტატების ანალოგიური გამოცდილება. აქ არის ჩვენი მთავარი მტერი, და ჩვენ ამ მტერზე უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ კონგრესიდან უნდა წავიდეთ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ყველა პარტიაში ეს ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ. ეს მთავარი ამოცანაა.

ამ ამოცანასთან შედარებით, კომუნიზმში «მემარცხენე» მიმდინარეობის შეცდომების გამოსწორება ადვილი ამოცანა იქნება. მთელ რიგ ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ ანტიპარლამენტარიზმს, რომელსაც იმდენად წვრილი ბურჟუაზიიდან გამოსული ელემენტები კი არ ავრცელებენ, რამდენადაც მხარს უჭერს პროლეტარიატის ზოგიერთი მოწინავე რაზმი ძველი პარლამენტარიზმისადმი სიძულვილის გამო; კანონიერი, მართებული, აუცილებელი სიძულვილის გამო პარლამენტურ მოღვაწეთა მოქმედების მიმართ ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ყველა ქვეყანაში. კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით უნდა მივცეთ სახელმძღვანელო მითითებანი,

უფრო ახლოს და უკეთ გავაცნოთ ამხანაგებს რუსეთის გამოცდილება, ნამდვილი პროლეტარული პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი მუშაობა. და პროლეტარული მოძრაობის ამ შეცდომებსა და ნაკლოვანებებთან ბრძოლა ათასწილ უფრო ადვილი იქნება. ვიდრე იმ ბურჟუაზიასთან ბრძოლა, რომელიც რეფორმისტების სახით შედის II ინტერნაციონალის ძველ პარტიებში და მთელ მათს მუშაობას წარმართავს არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული სულისკვეთებით.

ამხანაგებო, დასასრულ შევჩერდები კიდევ საქმის ერთ მხარეზე. აქ ამხანაგი თავმჯდომარე ამბობდა, რომ ეს კონგრესი ღირსია მსოფლიო კონგრესის სახელწოდებისო. მე ვფიქრობ, ის მართალია განსაკუთრებით იმიტომ, რომ აქ არის კოლონიური, ჩამორჩენილი ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის მრავალი წარმომადგენელი. ეს მხოლოდ სუსტი დასაწყისია, მაგრამ საქმე ისაა, რომ დასაწყისი უკვე არის. კაპიტალისტური, მოწინავე ქვეყნების რევოლუციურ პროლეტართა გაერთიანება იმ ქვეყნების რევოლუციურ მასებთან, სადაც პროლეტარიატი არ არის ან თითქმის არ არის, კოლონიური, აღმოსავლეთის ქვეყნების ჩაგრულ მასებთან, — ეს გაერთიანება სწორედ ამ კონგრესზე ხდება. და ჩვენზეა დამოკიდებული, — დარწმუნებული ვარ ჩვენ ამას გავაკეთებთ, — ამ გაერთიანების განმტკიცება. მსოფლიო იმპერიალიზმი უნდა დაემხოს, როცა ექსპლოატირებულ და ჩაგრულ მუშათა რევოლუციური იერიში თვითეული ქვეყნის შიგნით დაამარცხებს მეშჩანური ელემენტების წინააღმდეგობას, გასტეხს მუშათა არისტოკრატიის სრულიად უმნიშვნელო ზედაფენის გავლენას და შეუერთდება კაცობრიობის ასეული მილიონების რევოლუციურ იერიშს, კაცობრიობისა, რომელიც აქამდე ისტორიის გარეშე იდგა და რომელსაც განიხილავდნენ მხოლოდ როგორც ისტორიის ობიექტს.

იმპერიალისტურმა ომმა ხელი შეუწყო რევოლუციას, ბურჟუაზიამ კოლონიებიდან, ჩამორჩენილი, მიყრუებული ქვეყნებიდან გამოიყვანა ჯარისკაცები ამ იმპერიალისტურ

ომში მონაწილეობის მისაღებად. ინგლისის ბურჟუაზია არწმუნებდა ინდოელ ჯარისკაცებს, რომ ინდოეთის გლეხებმა უნდა დაიცვან დიდი ბრიტანეთი გერმანიისაგან; საფრანგეთის ბურჟუაზია არწმუნებდა საფრანგეთის კოლონიების ჯარისკაცებს, რომ შავკანიანებმა უნდა დაიცვან საფრანგეთი. ისინი ასწავლიდნენ მათ იარაღის ხმარებას. ეს მეტად გამოსადეგია, და ჩვენ ამისათვის უდიდესი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ ბურჟუაზიას, — მადლობა უნდა გამოვუცხადოთ რუსეთის ყველა მუშისა და გლეხის სახელით და განსაკუთრებით რუსეთის მთელი წითელი არმიის სახელით. იმპერიალისტურმა ომმა დამოკიდებული ხალხები მსოფლიო ისტორიაში ჩააბა. და ახლა ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ჩავუყაროთ საძირკველი საბჭოთა მოძრაობის ორგანიზაციას ა რ აკაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ საბჭოები შესაძლებელია. ეს საბჭოები იქნება არა მუშათა საბჭოები, — ისინი იქნებიან გლეხთა საბჭოები ან მშრომელთა საბჭოები.

დიდი მუშაობა დაგვჭირდება, შეცდომები აუცილებლივ იქნება, ბევრი სიძნელე გადაგვეღობება ამ გზაზე. II კონგრესის ძირითადი ამოცანაა — შეიმუშაოს ან დასახოს პრაქტიკული საწყისები, რათა ის მუშაობა, რომელიც ასეულ მილიონობით ადამიანებში არაორგანიზებულად წარმოებდა, ორგანიზებულად, დარაზმულად, სისტემატურად წარიმართოს.

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესიდან ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ჩვენ ახლა გამარჯვებული გამოვდივართ II ინტერნაციონალის მიმართ; საბჭოთა იდეები ახლა გავრცელებულია არა მარტო ცივილიზებული ქვეყნების მუშათა შორის, არა მარტო მათთვისაა გასაგები და ცნობილი; ყველა ქვეყანაში მუშები დასცინიან იმ ჭკუის კოლოფებს, რომელთაგან ბევრს სოციალისტებად მოაქვთ თავი და რომელნიც ვითომ მეცნიერულად ან თითქმის მეცნიერულად მსჯელობენ საბჭოთა «სისტემაზე», როგორც უყვართ ხოლმე ლაპარაკი სისტემატიკოს გერმანელებს, ან საბჭოთა «იდეაზე», როგორც ამბობენ ინგლისელი «გილდიის» სოციალისტე-

ბი; ეს მსჯელობა საბჭოთა «სისტემისა» და საბჭოთა «იდეის» შესახებ ხშირად თვალსა და გონებას უბნელებს მუშებს. მაგრამ მუშები თავიდან იშორებენ ამ პედანტურ ნაგავს და ხელს კიდებენ იმ იარაღს, რომელიც საბჭოებმა გამოჭედეს. საბჭოების როლისა და მნიშვნელობის შეგნება ახლა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც გავრცელდა.

საბჭოთა მოძრაობა დაწყებულია მთელ აღმოსავლეთში, მთელ აზიაში, ყველა კოლონიურ ხალხში.

ის დებულება, რომ ექსპლოატირებული უნდა აჯანყდეს ექსპლოატატორის წინააღმდეგ და შექმნას თავისი საბჭოები, არც თუ ძალიან რთულია. ჩვენი გამოცდილების შემდეგ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის ორნახევარი წლისა და III ინტერნაციონალის I კონგრესის შემდეგ, ეს დებულება მისაწვდომი ხდება ჩაგრული ექსპლოატირებული მასების ასეული მილიონებისათვის მთელ მსოფლიოში, და თუ ახლა ჩვენ რუსეთში ხშირად იძულებული ვართ კომპრომისი დავუშვათ, დრო შევურჩიოთ, ვინაიდან ჩვენ საერთაშორისო იმპერიალისტებზე სუსტნი ვართ, ჩვენ ვიცით, რომ ერთი და მეოთხედი მილიარდი მოსახლეობა წარმოადგენს იმ მასას, რომლის ინტერესებსაც ჩვენ ვიცავთ. ჩვენ ჯერჯერობით ხელს გვიშლის ის დაბრკოლებები, ის ცრურწმენები, ის უმეცრება, რომელიც დღითი დღე ქრება; მაგრამ ჩვენ, რაც დრო მიდის, მით უფრო წარმოვადგენთ და საქმით ვიცავთ დედამიწის მოსახლეობის ამ 70%-ს, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ამ მასას. ჩვენ შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ: პირველ კონგრესზე ჩვენ, არსებითად, მხოლოდ პროპაგანდისტები ვიყავით, მხოლოდ ვაწოდებდით მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს ძირითად იდეებს, მხოლოდ მოვუწოდებდით ბრძოლისაკენ, მხოლოდ ვკითხულობდით: სად არიან ის ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ წამოვიდნენ ამ გზით? ახლა ჩვენ ყველგან გვყავს მოწინავე პროლეტარიატი. ყველგან არის, თუმცა ზოგჯერ ცუდად დარაზმული, პროლეტარული არმია, რომელიც ხელახალ დარაზმვას საჭიროებს. და თუ

ჩვენი საერთაშორისო ამხანაგები დაგვეხმარებიან ახლა ერთიანი არმიის დარაზმვაში, ვერავითარი ნაკლი ვერ შეგვიშლის ხელს ჩვენი საქმის გასაკეთებლად. ეს საქმეა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საქმე, მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საქმე. (ხანგრძლივი ტაში.)

2
სიტყვა კომუნისტური პარტიის როლის შესახებ
23 ივლისს

ამხანაგებო, მე მინდოდა რამდენიმე შენიშვნა გამეკეთებინა ამხ. ტანერისა და მაკ-ლეინის სიტყვების გამო. ტანერი ამბობს, რომ იგი პროლეტარიატის დიქტატურის მომხრეა, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა მას ცოტა სხვანაირად წარმოუდგენია, ვიდრე ჩვენ. ის ამბობს, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად გვესმის როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა.

და მართლაც, კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა მუშათა მასები განუწყვეტელ ექსპლოატაციას განიცდიან და არ შეუძლიათ განავითარონ თავიანთი ადამიანური ნიჭი, მუშათა პოლიტიკური პარტიებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია სწორედ ის, რომ მათ შეუძლიათ მოიცვან თავისი კლასის მხოლოდ უმცირესობა. პოლიტიკურ პარტიას შეუძლია გააერთიანოს მხოლოდ კლასის უმცირესობა, ისევე, როგორც ნამდვილად შეგნებული მუშები ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველა მუშის მხოლოდ უმცირესობას შეადგენენ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ამ შეგნებულ უმცირესობას შეუძლია უხელმძღვანელოს და გაუძღვეს მუშათა ფართო მასებს. ხოლო თუ ამხ. ტანერი ამბობს, რომ ის პარტიის მტერია, მაგრამ ამავე დროს ემხრობა იმას, რომ ყველაზე უკეთ ორგანიზებული და ყველაზე უფრო რევოლუციური მუშების უმცირესობა გზას უჩვენებდეს მთელ პროლეტარიატს, მაშინ მე ვამბობ, რომ ჩვენ შორის

სინამდვილეში განსხვავება არ არის. რას წარმოადგენს ორგანიზებული უმცირესობა? თუ ეს უმცირესობა ნამდვილად შეგნებულია, თუ მას უნარი შესწევს გაუძღვეს მასებს, თუ მას შეუძლია პასუხი გასცეს დღის წესრიგში წამოჭრილ ყოველ საკითხს, — მაშინ ის, არსებითად, პარტიას წარმოადგენს. და თუ ტანერისთანა ამხანაგები, რომელთაც ჩვენ განსაკუთრებით ანგარიშს ვუწევთ, როგორც მასობრივი მოძრაობის წარმომადგენლებს, — რაც არ შეიძლება ადვილად ითქვას ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებზე, — თუ ეს ამხანაგები იმ აზრის არიან, რომ უნდა არსებობდეს უმცირესობა, რომელიც გაბედულად იბრძოლებდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის და ამ მიმართულებით აღზრდიდა მუშათა მასებს, მაშინ, არსებითად, ასეთი უმცირესობა სხვა არა არის რა, თუ არა პარტია. ამხ. ტანერი ამბობს, რომ ამ უმცირესობამ უნდა დარაზმოს და გაიყოლიოს მთელი მუშათა მასა. თუ ამხ. ტანერი და სხვა ამხანაგები შოპ-სტიუარტის ჯგუფიდან და მსოფლიოს ინდუსტრიულ მუშათა კავშირიდან (I. W. W.) ამას აღიარებენ, — ხოლო ჩვენ მათთან საუბრის დროს ყოველდღე ვხედავთ, რომ ისინი ამას მართლაც აღიარებენ, — თუ ისინი იწონებენ ისეთ მდგომარეობას, როცა მუშათა კლასის შეგნებული კომუნისტური უმცირესობა პროლეტარიატს მიუძღვის, მაშინ ისინი უნდა დაგვეთანხმონ იმაშიც, რომ ყველა ჩვენი რეზოლუციის აზრი სწორედ ასეთია. და მაშინ ერთადერთი განსხვავება, რომელიც ჩვენ შორის არსებობს, მხოლოდ ის არის, რომ ისინი გაურბიან სიტყვას «პარტია», რადგან ინგლისელ ამხანაგთა შორის ადგილი აქვს ერთგვარ ცრუ წინარწმენას პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ. მათ პოლიტიკური პარტიები წარმოუდგენიათ მხოლოდ როგორც ჰომპერსისა და ჰენდერსონის პარტიების მსგავსი, როგორც პარლამენტურ საქმოსანთა, მუშათა კლასის გამცემთა პარტიები. და თუ მათ პარლამენტარიზმი წარმოუდგენიათ სწორედ ისე, როგორიც ამჟამად ინგლისური და ამერიკული პარლამენტარიზმია, მაშინ ჩვენც ამგვარი პარლამენტარიზმისა და ასეთი პოლიტიკური პარტიების მტრები ვართ. ჩვენ

გვესაჭიროება ახალი პარტიები, სხვანაირი პარტიები. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი პარტიები, რომელნიც მუდამ ნამდვილად დაკავშირებული იქნებიან მასებთან და შეძლებენ ამ მასებს ხელმძღვანელობა გაუწიონ.

გადავდივარ მესამე საკითხზე, რომელსაც მინდა აქ შევეხო ამხ. მაკ-ლეინის სიტყვასთან დაკავშირებით. იგი ეხმრობა ინგლისის კომუნისტური პარტიის შეერთებას მუშათა პარტიასთან. ამ საკითხზე მე ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი ჩემს თეზისებში III ინტერნაციონალში მიღების შესახებ[43]. ჩემს ბროშურაში ეს საკითხი მე ღიად დავტოვე[44]. მაგრამ შემდეგ მოველაპარაკე ბევრ ამხანაგს და დავრწმუნდი, რომ მუშათა პარტიაში დარჩენის გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი ტაქტიკაა. მაგრამ აი გამოდის ამხ. ტანერი და აცხადებს: ნუ იქნებით მეტისმეტი დოგმატიკოსებიო. ეს გამოთქმა აქ სრულიად უადგილოა. ამხ. რამზაი ამბობს: ნება მოგვეცით ეს საკითხი თვითონ ჩვენ, ინგლისელმა კომუნისტებმა, გადავწყვიტოთო. რა იქნებოდა ინტერნაციონალი, რომ ყოველი პატარა ფრაქცია მოსულიყო და ეთქვა: ზოგი ჩვენგანი ამას იცავს, ზოგი — წინააღმდეგია; ნება მოგვეცით ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ. მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა ინტერნაციონალი, კონგრესი და მთელი ეს დისკუსია? ამხ. მაკ-ლეინი ლაპარაკობდა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის როლზე. მაგრამ ხომ იგივე ითქმის პროფესიული კავშირებისა და პარლამენტარიზმის შესახებაც. სავსებით მართალია, რომ საუკეთესო რევოლუციონერთა მეტი ნაწილი მუშათა პარტიასთან შეერთების წინააღმდეგია, რადგან ისინი უარყოფითად უყურებენ პარლამენტარიზმს, როგორც ბრძოლის საშუალებას. ამიტომ, იქნებ, უკეთესი იყოს ეს საკითხი გადაეცეს კომისიას. მან ის უნდა განიხილოს, შეისწავლოს, და ეს საკითხი უსათუოდ უნდა გადაწყვიტოს კომუნისტური ინტერნაციონალის ამ კონგრესმა. ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ ეს საკითხი მხოლოდ ინგლისელ კომუნისტებს ეხება. ჩვენ საზოგადოდ უნდა ვთქვათ, თუ რომელი ტაქტიკაა სწორი.

ახლა შევჩერდები ამხ. მაკ-ლეინის ზოგიერთ საბუთზე, ინგლისის მუშათა პარტიის საკითხთან დაკავშირებით. აშკარად უნდა ითქვას: კომუნისტების პარტიას შეუძლია შეუერთდეს მუშათა პარტიას მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შეინარჩუნებს კრიტიკის სრულ თავისუფლებას და შეძლებს აწარმოოს თავისი საკუთარი პოლიტიკა. ეს — ყველაზე მნიშვნელოვანია. როდესაც ამხ. სერატი ლაპარაკობს ამის გამო კლასთა თანამშრომლობაზე, მე ვაცხადებ: ეს — კლასთა თანამშრომლობა არაა. როცა იტალიელი ამხანაგები თავიანთ პარტიაში ითმენენ ტურატისა და კომპანიის მსგავს ოპორტუნისტებს, ე. ი. ბურჟუაზიულ ელემენტებს, ეს მართლაც კლასთა თანამშრომლობაა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ინგლისის მუშათა პარტიის მიმართ ეს არის მხოლოდ ინგლისელ მუშათა მოწინავე უმცირესობის თანამშრომლობა მათს უდიდეს უმრავლესობასთან. მუშათა პარტიის წევრები — ყველანი პროფესიული კავშირების წევრები არიან. ეს ძალიან თავისებური სტრუქტურაა, რომელსაც ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ ვნახულობთ. ეს ორგანიზაცია მოიცავს 4 მილიონ მუშას პროფესიული კავშირების 6 თუ 7 მილიონი წევრიდან. მათ არ ეკითხებიან, თუ როგორია მათი პოლიტიკური რწმენა. დაე დამიმტკიცოს ამხ. სერატიმ, რომ ჩვენ ვინმე ხელს შეგვიშლის გამოვიყენოთ იქ კრიტიკის უფლება. როცა თქვენ ამას დაამტკიცებთ, მხოლოდ მაშინ დაამტკიცებთ იმასაც, რომ ამხ. მაკ-ლეინი ცდება. ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ ჰენდერსონი გამცემია, და მიუხედავად ამისა რჩებოდეს მუშათა პარტიის რიგებში. და აქ ხორციელდება მუშათა კლასის ავანგარდის თანამშრომლობა ჩამორჩენილ მუშებთან, არიერგარდთან. ამ თანამშრომლობას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მოძრაობისათვის, რომ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რათა ინგლისელი კომუნისტები წარმოადგენდნენ შემაერთებელ რგოლს პარტიასა, ე. ი. მუშათა კლასის უმცირესობასა, და მუშათა მთელ დანარჩენ მასას შორის. თუ უმცირესობას უნარი არ შესწევს უხელმძღვანელოს მასებს, მჭიდროდ დაუკავშირდეს მათ, მა-

შინ ის აღარ არის პარტია და საზოგადოდ არაფრად არ ღირს, თუნდაც თავისთავს პარტიას თუ ფაბრიკების მამასახლისთა საბჭოების ნაციონალურ კომიტეტს უწოდებდეს, — რამდენადაც მე ვიცი, ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისთა საბჭოებს ინგლისში ჰყავთ თავისი ნაციონალური კომიტეტი, ცენტრალური ხელმძღვანელობა, ეს კი უკვე პარტიისაკენ გადადგმული ნაბიჯია. მაშასადამე, თუ უარყოფილ არ იქნება ის აზრი, რომ ინგლისის მუშათა პარტია პროლეტარებისაგან შედგება, მაშინ ეს არის მუშათა კლასის ავანგარდის თანამშრომლობა ჩამორჩენილ მუშებთან. და თუ ეს თანამშრომლობა სისტემატურად არ განხორციელდა, მაშინ კომუნისტურ პარტიას არავითარი ფასი არა აქვს, და მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურაზე. და თუ ჩვენს იტალიელ ამხანაგებს სხვა უფრო დამარწმუნებელი საბუთები არ მოეპოვებათ, ჩვენ აქ მოგვიხდება უფრო მოგვიანებით საბოლოოდ გადავწყვიტოთ საკითხი იმის საფუძველზე, რაც ვიცით, და — მივალთ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანება სწორი ტაქტიკაა.

ამხანაგები ტანერი და რამზაი გვეუბნებიან, რომ ინგლისელ კომუნისტთა უმრავლესობა გაერთიანებას არ დაეთანხმებაო. მაგრამ ჩვენ განა უსათუოდ უნდა დავეთანხმოთ უმრავლესობას? სრულიადაც არა. თუ მას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომელი ტაქტიკა უფრო სწორია, მაშინ შეიძლება მოცდა. რამდენიმე ხანს ორი პარტიის პარალელური არსებობაც კი უკეთესი იქნებოდა, ვიდრე იმ კითხვაზე პასუხის მიუცემლობა, თუ რომელი ტაქტიკა უფრო სწორია. რასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ კონგრესის ყველა წევრის გამოცდილებას, აქ მოყვანილი საბუთების საფუძველზე, თქვენ დაჟინებით აღარ მოითხოვთ, რომ ჩვენ აქვე გამოვიტანოთ დადგენილება ყველა ქვეყანაში ერთიანი კომუნისტური პარტიის დაუყოვნებლივ შექმნის შესახებ. ეს შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აშკარად ვთქვათ ჩვენი აზრი, მივცეთ დირექტივები. ჩვენ ინგლისის დელეგაციის მიერ აღძრული საკითხი სპეციალურ კომისიაში უნდა შევისწავლოთ და ამის შემდეგ ვთქვათ: სწორი ტაქტიკა — ესაა მუშათა პარტიაში შესვლა.

თუ უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იქნება, ჩვენ ცალკე უნდა დავრაზმოთ უმცირესობა. ამას ექნება აღმზრდელობითი მნიშვნელობა. თუ ინგლისის მუშათა მასებს ჯერ კიდევ სწამთ წინანდელი ტაქტიკა, ჩვენს დასკვნებს შევამოწმებთ უახლოეს კონგრესზე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საკითხი მხოლოდ ინგლისს ეხება, — ეს იქნებოდა II ინტერნაციონალის ყველაზე ცუდ ჩვეულებათა წაბაძვა. ჩვენ აშკარად უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი. თუ ინგლისელი კომუნისტები ვერ შეთანხმდებიან, და თუ მასობრივი პარტია არ შეიქმნა, მაშინ გათიშვა ასე თუ ისე გარდუვალია.

3

ნაციონალურ და კოლონიურ საკითხთა კომისიის მოხსენება 26 ივლისს [45]

ამხანაგებო, მე მხოლოდ მოკლე შესავალს დავჯერდები, შემდეგ კი ამხ. მარინგი, ჩვენი კომისიის ყოფილი მდივანი, წარმოგიდგენთ დაწვრილებითს მოხსენებას იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც თეზისებში შევიტანეთ. მის შემდეგ სიტყვას აიღებს ამხ. როი, რომელმაც დამატებითი თეზისები ჩამოაყალიბა. ჩვენმა კომისიამ ერთხმად მიიღო როგორც თავდაპირველი თეზისები შეტანილი ცვლილებებით, ისე დამატებითი თეზისები. ამრიგად, ჩვენ შევძელით სრული ერთსულოვნებისათვის მიგვეღწია ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში. ახლა გავაკეთებ რამდენიმე მოკლე შენიშვნას.

ჯერ-ერთი, რა არის ჩვენი თეზისების ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი იდეა? განსხვავება ჩაგრულ და მჩაგვრელ ხალხთა შორის. ჩვენ ამ განსხვავებას ხაზს ვუსვამთ — წინააღმდეგ II ინტერნაციონალისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისა. პროლეტარიატისა და კომუნისტური ინტერნაციონალისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმპერიალიზმის ეპოქაში აღნიშნოს კონკრეტული ეკონომიური ფაქტები და ყველა კოლონიური და ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის დროს გამოვიდეს არა აბსტრაქტული დებულებებიდან, არამედ კონკრეტული სინამდვილის მოვლენებიდან.

იმპერიალიზმის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მთელი მსოფლიო, როგორც ვხედავთ, ამჟამად იყოფა ჩაგრულ ხალხთა უდიდეს უმრავლესობად და მჩაგვრელ ხალხთა

უმნიშვნელო უმცირესობად, რომლის ხელშია უზარმაზარი ხიმ-დიდრენი და მძლავრი სამხედრო ძალა. უდიდესი უმრავ-ლესობა, მილიარდზე მეტი, ალბათ, მილიარდი და ერთი მეო-თხედი, — თუ დედამიწის მთელ მოსახლეობას ვიანგარიშებთ ერთსა და სამ მეოთხედ მილიარდს, — ე. ი. დედამიწის მოსახ-ლეობის დაახლოებით 70 % ჩაგრულ ხალხებს მიეკუთვნება; ისინი ან უშუალო კოლონიურ დამოკიდებულობაში იმყოფე-ბიან, ან ნახევრადკოლონიურ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, როგორც, მაგალითად, სპარსეთი, თურქეთი, ჩინეთი, ანდა საზავო ხელშეკრულებათა ძალით დიდად დამოკიდებული აღ-მოჩნდნენ რომელიმე მსხვილი იმპერიალისტური სახელმწი-ფოსაგან, რომლის არმიას ისინი დაუმარცხებია. ეს იდეა ხალ-ხთა განსხვავებისა, მათი დაყოფისა მჩაგვრელ და ჩაგრულ ხალხებად — გატარებულია ყველა თეზისში, არა მარტო პირველ, ჩემი ხელმოწერით გამოქვეყნებულ და წინათ და-ბეჭდილ თეზისებში, არამედ ამხ. როის თეზისებშიც. ეს უკა-ნასკნელი თეზისები დაწერილია უმთავრესად ინდოეთის და აზიის იმ სხვა დიდ ხალხთა მდგომარეობის თვალსაზრისით, რომელთაც ჩაგრავს ინგლისი, და ამაში მდგომარეობს მათი უმთავრესი მნიშვნელობა ჩვენთვის.

ჩვენი თეზისების მეორე სახელმძღვანელო აზრი ისაა, რომ ახლანდელი მსოფლიო მდგომარეობის დროს, იმპერიალის-ტური ომის შემდეგ, ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებას, სახელმწიფოთა მთელ მსოფლიო სისტემას განსაზღვრავს იმპე-რიალისტურ ერთა მცირე ჯგუფის ბრძოლა საბჭოთა მოძრაო-ბისა და საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთა სათავეში დგას საბჭოთა რუსეთი. თუ ეს გამოვუშვით მხედვე-ლობიდან, სწორად ვერ დავსვამთ ვერც ერთ ნაციონალურ თუ კოლონიურ საკითხს, თუნდაც საქმე ეხებოდეს მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეს. კომუნისტურ პარტიებს მხოლოდ ამ თვალსაზრისის საფუძველზე შეუძლიათ სწორად დააყენონ და გადაწყვიტონ პოლიტიკური საკითხები როგორც ცივილი-ზებულ, ისე ჩამორჩენილ ქვეყნებში.

მესამე, მე მინდოდა განსაკუთრებით გამესვა ხაზი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის საკითხისათვის ჩამორჩენილ ქვეყნებში. სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია ზოგიერთი უთანხმოება. ჩვენ ვდავობდით იმაზე, პრინციპულად და თეორიულად სწორი იქნება თუ არა იმის განცხადება, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და კომუნისტურმა პარტიებმა მხარი უნდა დაუჭირონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობას ჩამორჩენილ ქვეყნებში; ამ დისკუსიის შედეგად ჩვენ მივედით იმ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე, რომ «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული» მოძრაობის ნაცვლად ვილაპარაკოთ ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაზე. არავითარი ეჭვი არაა, რომ ყოველი ნაციონალური მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყოს, ვინაიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში მოსახლეობის მთავარი მასა შედგება გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმომადგენელია. უტოპია იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარული პარტიები, თუ ისინი საზოგადოდ შეიძლება ასეთ ქვეყნებში წარმოიშვან, შეძლებენ ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში გაატარონ კომუნისტური ტაქტიკა და კომუნისტური პოლიტიკა ისე, თუ განსაზღვრული დამოკიდებულება არ ექნათ გლეხთა მოძრაობასთან და მხარი არ დაუჭირეს მას საქმით. მაგრამ აქ ამაზე გვიპასუხებდნენ, რომ თუ ვილაპარაკებთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, მაშინ წაიშლება ყოველგვარი განსხვავება რეფორმისტულ და რევოლუციურ მოძრაობას შორისო. ნამდვილად კი ეს განსხვავება ჩამორჩენილ და კოლონიურ ქვეყნებში უკანასკნელ დროს სავსებით ნათლად გამოაშკარავდა, ვინაიდან იმპერიალისტური ბურჟუაზია მთელი ძალ-ღონით ცდილობს რეფორმისტული მოძრაობა დანერგოს ჩაგრულ ხალხთა შორისაც. ექსპლოატატორული და კოლონიური ქვეყნების ბურჟუაზიას შორის ერთგვარი დაახლოება მოხდა, ასე რომ ძალიან ხშირად, — შეიძლება ითქვას უმეტეს შემთხვევაშიც კი, — ჩაგრული ქვეყნების ბურჟუაზია, თუმცა ის მხარს უჭერს ნაციონალურ მოძრაობებს, მაგრამ ამავე დროს იმპერიალისტურ

ბურჟუაზიასთან შეთანხმებით, ე. ი. მასთან ერთად, იბრძვის ყველა რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციური კლასების წინააღმდეგ. კომისიაში ეს აშკარად დამტკიცდა, და ჩვენ ერთადერთ სწორ მოქმედებად ჩავთვალეთ მხედველობაში მიგვეღო ეს განსხვავება და გამოთქმა «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული» თითქმის ყველგან შეგვეცვალა გამოთქმით «ნაციონალურ-რევოლუციური». ამ შეცვლის აზრი ის არის, რომ ჩვენ, როგორც კომუნისტებმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დავუჭიროთ და დავუჭერთ კიდეც მხარს ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ მოძრაობებს კოლონიურ ქვეყნებში, როცა ეს მოძრაობანი ნამდვილად რევოლუციურია, როცა მათი წარმომადგენელნი ხელს არ შეგვიშლიან რევოლუციური სულისკვეთებით აღვზარდოთ და დავრაზმოთ გლეხობა და ექსპლოატირებულთა ფართო მასები. ხოლო თუ ეს პირობებიც არ არის, მაშინ კომუნისტებმა ამ ქვეყნებში უნდა იბრძოლონ რეფორმისტული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნიან აგრეთვე II ინტერნაციონალის გმირებიც. კოლონიურ ქვეყნებში რეფორმისტული პარტიები უკვე არსებობენ, და ხანდახან მათი წარმომადგენლები თავისთავს სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტებს უწოდებენ. ზემოხსენებული განსხვავება ახლა ყველა თეზისშია გატარებული, და მე ვფიქრობ, რომ ამის მეოხებით ჩვენი თვალსაზრისი ახლა გაცილებით უფრო ზუსტად არის ჩამოყალიბებული.

შემდეგ, მინდა შენიშვნა გავაკეთო კიდევ გლეხთა საბჭოების შესახებ. რუსეთის კომუნისტების პრაქტიკულმა მუშაობამ კოლონიებში, რომლებიც წინათ ცარიზმს ეკუთვნოდა, ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიცაა თურქესტანი და სხვ., შემდეგი საკითხი დაგვიყენა წინ: რანაირად გამოვიყენოთ კომუნისტური ტაქტიკა და პოლიტიკა კაპიტალიზმის წინადროინდელ პირობებში, ვინაიდან ამ ქვეყნების უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იქ ჯერ კიდევ კაპიტალიზმის წინადროინდელი ურთიერთობა ბატონობს, ამიტომ იქ არც შეიძლება ლაპარაკი წმინდა პროლეტარულ მოძრაობაზე. ამ ქვეყნებში თითქმის არ არის სამრე-

წველო პროლეტარიატი. მიუხედავად ამისა, ჩვენ იქაც ვიკისრეთ და კიდეც უნდა ვიკისროთ ხელმძღვანელთა როლი. ჩვენმა მუშაობამ დაგვანახვა, რომ ამ ქვეყნებში ჩვენ გვიხდება უზარმაზარ სიძნელეთა დაძლევა, მაგრამ ჩვენი მუშაობის პრაქტიკულმა შედეგებმა აგრეთვე დაგვანახვა, რომ, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, შეგვიძლია მასებში გავაღვიძოთ დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედებისადმი მისწრაფება იქაც კი, სადაც პროლეტარიატი თითქის არ არის. ეს მუშაობა ჩვენთვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე ამხანაგებისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რადგან პროლეტარიატს რუსეთში კისერზე აწევს უდიდესი სახელმწიფოებრივი მუშაობა. სავსებით გასაგებია, რომ ნახევრადფეოდალურ დამოკიდებულობაში მყოფ გლეხებს ჩინებულად შეუძლიათ შეითვისონ საბჭოთა ორგანიზაციის იდეა და საქმით განახორციელონ ის. ცხადია, აგრეთვე, რომ ჩაგრულ მასებს, რომელთაც ექსპლოატაციას უწევს არა მარტო სავაჭრო კაპიტალი, არამედ ფეოდალებიც და ფეოდალურ საფუძველზე არსებული სახელმწიფოც, თავიანთ პირობებშიც შეუძლიათ გამოიყენონ ეს იარაღი, ორგანიზაციის ეს სახე. საბჭოთა ორგანიზაციის იდეა მარტივია და მისი გამოყენება შეიძლება არა მარტო პროლეტარული, არამედ გლეხური ფეოდალური და ნახევრადფეოდალური ურთიერთობის მიმართაც. ჩვენი გამოცდილება ამ დარგში ჯერ კიდევ ძალიან დიდი არ არის, მაგრამ კომისიის დებატებმა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა კოლონიური ქვეყნების რამდენიმე წარმომადგენელი, სრული სიცხადით დაგვიმტკიცა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის თეზისებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: გლეხთა საბჭოები, ექსპლოატირებულთა საბჭოები, ისეთი საშუალებაა, რომელიც გამოსადეგია არა მარტო კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, სადაც კაპიტალიზმის წინადროინდელი ურთიერთობა არსებობს; ამიტომ კომუნისტური პარტიებისა და იმ ელემენტების აუცილებელ მოვალეობას, რომელნიც მზად არიან კომუნისტური პარტიები შექმნან,

შეადგენს გლეხთა საბჭოების, მშრომელთა საბჭოების იდეის პროპაგანდა ყველგან, ჩამორჩენილ ქვეყნებშიც და კოლონიებშიც; და იქ, სადაც კი პირობები ამის საშუალებას იძლევა, მათ დაუყოვნებლივ უნდა სცადონ მშრომელი ხალხის საბჭოების შექმნა.

აქ ჩვენს წინ იშლება პრაქტიკული მუშაობის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი სფერო. ჯერჯერობით ჩვენი საერთო გამოცდილება ამ მხრივ არც თუ ძალიან დიდია, მაგრამ თანდათან სულ უფრო და უფრო მეტი მასალა დაგვიგროვდება. არავითარი დავა არ შეიძლება იმაზე, რომ მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატს შეუძლია და კიდეც უნდა დაეხმაროს ჩამორჩენილ მშრომელ მასებს, და რომ ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარება თავისი ახლანდელი სტადიიდან შეიძლება გამოვიდეს მაშინ, როცა საბჭოთა რესპუბლიკების ძლევამოსილი პროლეტარიატი ხელს გაუწოდებს ამ მასებს და შეძლებს მხარი დაუჭიროს მათ.

ამ საკითხის გარშემო კომისიაში საკმაოდ გაცხოველებული კამათი გაიმართა არა მარტო ჩემ მიერ ხელმოწერილ თეზისებთან დაკავშირებით, არამედ კიდევ უფრო მეტად ამხ. როის თეზისებთან დაკავშირებით, რომელთაც იგი აქ თვითონ დაიცავს და რომელთა მიმართ ზოგიერთი შესწორება ერთხმად იქნა მიღებული.

კითხვა ასე იდგა: შეგვიძლია თუ არა მართებულად ჩავთვალოთ იმის მტკიცება, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია იმ ჩამორჩენილი ხალხებისათვის, რომელნიც ახლა თავისუფლდებიან და რომელთა შორის დღეს, ომის შემდეგ, შესამჩნევი ხდება პროგრესის გზით მოძრაობა. ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითად ვუპასუხეთ. თუ რევოლუციური ძლევამოსილი პროლეტარიატი მათში გასწევს სისტემატურ პროპაგანდას, ხოლო საბჭოთა მთავრობები დაეხმარებიან მათ თავიანთ განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით, მაშინ სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია ჩამორჩენილი ხალხებისათვის. ყველა

კოლონიასა და ჩამორჩენილ ქვეყანაში ჩვენ არათუ უნდა შევქმნათ მებრძოლთა დამოუკიდებელი კადრები, პარტიული ორგანიზაციები, არათუ დაუყოვნებლივ უნდა გავწიოთ პროპაგანდა გლეხთა საბჭოების ორგანიზაციისათვის და ვეცადოთ შევუფარდოთ ისინი კაპიტალიზმის წინადროინდელ პირობებს, არამედ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა აგრეთვე უნდა შეიმუშაოს და თეორიულად დაასაბუთოს ის დებულება, რომ მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გადავიდნენ საბჭოთა წყობილებაზე და განვითარების განსაზღვრული საფეხურების შემდეგ — კომუნიზმზე, ისე რომ არ გაიარონ განვითარების კაპიტალისტური სტადია.

რა საშუალებებია ამისათვის აუცილებელი, — წინდაწინ ამის თქმა შეუძლებელია. ამას პრაქტიკული გამოცდილება გვიკარნახებს. მაგრამ აშკარად გამორკვეულია, რომ საბჭოების იდეა ახლობელია ყველაზე შორეულ ხალხთა მთელი მშრომელი მასებისთვისაც კი, რომ ეს ორგანიზაციები, საბჭოები, შეფარდებულ უნდა იქნას კაპიტალიზმის წინადროინდელი საზოგადოებრივი წყობილების პირობებთან და რომ კომუნისტურმა პარტიამ ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა მთელ მსოფლიოში.

მე მინდა კიდევ აღვნიშნო კომუნისტური პარტიების რევოლუციური მუშაობის მნიშვნელობა არა მარტო თავის საკუთარ ქვეყანაში, არამედ კოლონიურ ქვეყნებშიც, და განსაკუთრებით იმ ჯარებში, რომლებსაც ექსპლოატატორული ერები იმისათვის იყენებენ, რომ თავიანთი კოლონიების ხალხები მორჩილებაში იყოლიონ.

ამხ. კველჩმა, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიიდან, ილაპარაკა ამის შესახებ ჩვენს კომისიაში. მან თქვა, რომ რიგითი ინგლისელი მუშა დალატად ჩათვლიდა დამონებულ ხალხთა აჯანყებისადმი დახმარებას ინგლისის ბატონობის წინააღმდეგო. მართალია, რომ ინგლისისა და ამერიკის ჯინგოისტურად და შოვინისტურად განწყობილი მუშათა არისტოკრატია უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს სოციალიზმისათვის და

II ინტერნაციონალის უძლიერესი დასაყრდენია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უდიდეს ღალატთან იმ ბელადებისა და მუშების მხრივ, რომლებიც ამ ბურჟუაზიულ ინტერნაციონალს ეკუთვნიან. II ინტერნაციონალშიც განიხილეს კოლონიური საკითხი. ბაზელის მანიფესტიც სავსებით ნათლად ლაპარაკობდა ამაზე. II ინტერნაციონალის პარტიები დაგვპირდნენ რევოლუციურად მოქმედებას, მაგრამ II ინტერნაციონალის პარტიებში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ ნამდვილ რევოლუციურ მუშაობას და დახმარებას ექსპლოატირებული და ჩაგრული ხალხებისადმი მათს აჯანყებებში მჩაგვრელ ერთა წინააღმდეგ; და, მე ვფიქრობ, ამას ვერ ვხედავთ აგრეთვე ვერც იმ პარტიების უმრავლესობაში, რომელნიც II ინტერნაციონალიდან გამოვიდნენ და III ინტერნაციონალში შესვლა სწადიათ. ჩვენ ეს საქვეყნოდ უნდა განვაცხადოთ და ამას ვერც ვერავინ უარყოფს. ჩვენ ვნახავთ — შეეცდებიან თუ არა ამის უარყოფას.

ყველა ეს მოსაზრება დაედვა კიდეც საფუძვლად ჩვენს რეზოლუციებს, რომლებიც, უეჭველია, მეტად გრძელია, ‘ბაგრამ მე მწამს, რომ ისინი მაინც სასარგებლო იქნება და ხელს შეუწყობენ ნამდვილად რევოლუციური მუშაობის განვითარებას და ორგანიზაციას ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებში, — და ჩვენი მთავარი ამოცანაც სწორედ ეს არის.

4

სიტყვა კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ 30 ივლისს [46]

ამხანაგებო, სერატიმ თქვა: სენსერომეტრი ჩვენში ჯერ არ გამოუგონიათო, — ეს ახალი ფრანგული სიტყვაა, რომელიც გულწრფელობის საზომ ინსტრუმენტს ნიშნავს: ასეთი ინსტრუმენტი ჯერ არ არის გამოგონილი. ასეთი ინსტრუმენტი ჩვენ არც გვესაჭიროება, სამაგიეროდ მიმართულებათა განსაზღვრისათვის საჭირო ინსტრუმენტი უკვე გვაქვს. ამხ. სერატის შეცდომა, რომელზედაც შემდეგ ვილაპარაკებ, სწორედ იმაშია, რომ ეს დიდი ხნის ცნობილი ინსტრუმენტი მან არ გამოიყენა.

ამხ. კრისპინზე ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას. ძალიან ვწუხვარ, რომ ის აქ არ არის. (დ ი ტ მ ა ნ ი: «ის ავად არის».). სამწუხაროა. მისი სიტყვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, და ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის პოლიტიკურ ხაზს. მე ვილაპარაკებ არა პირად გარემოებებსა და ცალკეულ შემთხვევებზე, არამედ იმ იდეებზე, რომლებიც ნათლად გამოხატულია კრისპინის სიტყვაში. როგორც მე ვფიქრობ, შევძლებ დავამტკიცო, რომ მთელი ეს სიტყვა თავიდან ბოლომდე კაუცკური სიტყვა იყო, და რომ ამხ. კრისპინი იზიარებს კაუცკურ შეხედულებებს პროლეტარიატის დიქტატურაზე. ერთ-ერთ რეპლიკაზე კრისპინმა უპასუხა: «დიქტატურა — ახალი ამბავი არ არის, მის შესახებ უკვე ნათქვამია ერფურტის პროგრამაშიო». ერფურტის პროგრამაში არაფერი არაა ნათქვამი პროლეტარიატის დიქტატურაზე;

და ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეს შემთხვევითი არ არის. როდესაც 1902 — 1903 წელს ჩვენი პარტიის პირველ პროგრამას ვიმუშავებდით, ჩვენ მუდამ ერფურტის პროგრამის მაგალითი გვედგა თვალწინ, ამასთან პლეხანოვი, — სწორედ ის პლეხანოვი, რომელმაც მაშინ მართებულად თქვა: «ან ბერნშტეინი დამარხავს სოციალ-დემოკრატიას, ანდა სოციალ-დემოკრატია დამარხავს მასო», — პლეხანოვი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა სწორედ იმ გარემოებას, რომ თუ ერფურტის პროგრამაში არ არის ლაპარაკი პროლეტარიატის დიქტატურაზე, ეს თეორიულად სწორი არაა, ხოლო პრაქტიკულად ლაჩრული დათმობაა ოპორტუნისტების მიმართო. და ჩვენს პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურა შეტანილია 1903 წლიდან [47].

თუ ამხ. კრისპინი ახლა ამბობს, პროლეტარიატის დიქტატურა ახალი ამბავი არააო, და თანაც დასძენს: «ჩვენ ყოველთვის ვემხრობოდით პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობასო», ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის დედაარსს გვერდი აუარო. აღიარებენ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას, მაგრამ არა დიქტატურას. მთელი სოციალისტური ლიტერატურა, არა მარტო გერმანული, არამედ ფრანგულიც და ინგლისურიც, ამტკიცებს, რომ ოპორტუნისტული პარტიების ბელადები — მაგალითად, ინგლისში მაკდონალდი — პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას ემხრობიან. ყველა ისინი, ხუმრობა არ გეგონოთ, გულწრფელი სოციალისტებია, მაგრამ ისინი — პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგი არიან! თუკი ჩვენ გვყავს კარგი, კომუნისტური სახელწოდების ღირსი, რევოლუციური პარტია, უნდა ვეწეოდეთ პროლეტარიატის დიქტატურის პროპაგანდას, II ინტერნაციონალის ძველი შეხედულებისაგან განსხვავებით. ამხ. კრისპინმა ეს მიაფუჩეჩა და მიჩქმალა. სწორედ ეს არის ძირითადი შეცდომა, რომელიც კაუცკის ყველა მომხრეს ახასიათებს.

«ჩვენ მასების მიერ არჩეული ბელადები ვართ», — განაგრძობს ამხ. კრისპინი. ეს ფორმალური და არასწორი თვალსაზრისია, ვინაიდან გერმანელ დამოუკიდებელთა უკანასკნელ

პარტიულ ყრილობაზე ჩვენ ძალიან ნათლად ვხედავდით მიმართულებათა ბრძოლას. საჭირო არაა გულწრფელობის საზომის ძებნა და ამ თემაზე ამხ. სერატისავით ხუმრობა იმ უბრალო ფაქტის დასადგენად, რომ მიმართულებათა ბრძოლა უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც: ერთი მიმართულებაა — რევოლუციური, ჩვენთან ახლად შოსული მუშები, მუშათა არისტოკრატიის მოწინააღმდეგენი; მეორე მიმართულებაა — მუშათა არისტოკრატია, რომელსაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ძველი ბელადები მეთაურობენ. კრისპინი ძველი ბელადებისა და მუშათა არისტოკრატიის მიმართულებას ემხრობა, თუ მუშათა არისტოკრატიის მოწინააღმდეგე ახალი რევოლუციური მუშათა მასის მიმართულებას, — სწორედ ეს დატოვა ამხ. კრისპინმა გაურკვეველი.

როგორი კილოთი ლაპარაკობს ამხ. კრისპინი გათიშვაზე? მან თქვა, რომ გათიშვა მწარე აუცილებლობაა, რომელსაც ის დიდხანს დასტიროდა. ეს — მთლად კაუცკისებურია. ვის გაეთიშნენ? შეიდემანს? დიახ! კრისპინმა თქვა: «ჩვენ მოვახდინეთ გათიშვა». ჯერ-ერთი, თქვენ ის ძალიან გვიან მოახდინეთ! თუკი ამაზე ვილაპარაკებთ, ეს აშკარად უნდა ვთქვათ. ხოლო მეორეც, დამოუკიდებლებმა კი არ უნდა იტირონ ამაზე, არამედ უნდა თქვან: საერთაშორისო მუშათა კლასი ჯერ კიდევ მუშათა არისტოკრატიისა და ოპორტუნისტების უღელქვეშ იმყოფებაო. ასეთივეა მდგომარეობა საფრანგეთშიც და ინგლისშიც. ამხ. კრისპინი გათიშვის შესახებ აზროვნებს არა კომუნისტურად, არამედ სავსებით ისე, როგორც კაუცკი, რომელსაც თითქოს აღარა აქვს გავლენა. შემდეგ კრისპინი შეეხო მაღალ ხელფასს. აქაო-და, გერმანიაში ისეთი პირობებია, რომ მუშები რუს მუშებთან და საერთოდ აღმოსავლეთ ევროპის მუშებთან შედარებით საკმაოდ კარგად ცხოვრობენო. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ის «მეტისმეტად არ» გააუარესებს მუშათა მდგომარეობას. გეკითხებით, შესაწყნარებელია თუ არა კომუნისტურ პარტიაში ამგვარი კილოთი ლაპარაკი? ეს კონტრრევოლუციური კილოა. უდავოა, ჩვენში, რუსეთში,

ცხოვრების დონე უფრო დაბალია, ვიდრე გერმანიაში, ხოლო როდესაც ჩვენ დიქტატურა დავამყარეთ, ამას შედეგად ის მოყვა, რომ მუშები უფრო შიმშილობენ და მათი ცხოვრების დონემაც კიდევ უფრო ძირს დაიწია. მუშათა გამარჯვება შეუძლებელია უმსხვერპლოდ, მათი მდგომარეობის დროებითი გაუარესების გარეშე. ჩვენ მუშებს უნდა ვეუბნებოდეთ იმის საწინააღმდეგოს, რაც კრისპინმა თქვა. სურთ მუშები მოამზადონ დიქტატურისათვის და მათ ეუბნებიან — მდგომარეობა «მეტისმეტად არ» უნდა გაუარესდესო, ამავე დროს კი ივიწყებენ უმთავრესს, სახელდობრ შემდეგს: მუშათა არისტოკრატია სწორედ იმიტომ წარმოიშვა, რომ «თავის» ბურჟუაზიას ეხმარებოდა მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური გზით დაპყრობასა და ჩაგვრაში და ამით უზრუნველყოფდა თავისთვის უკეთეს ხელფასს. ხოლო თუ ახლა გერმანელ მუშებს სურთ რევოლუციის საქმე აკეთონ, მათ მსხვერპლი უნდა გაიღონ და არ უნდა შეეშინდეთ ამისი.

საერთო მსოფლიო-ისტორიული აზრით მართალია, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში რომელიმე ჩინელ მეკურტნეს არ ძალუძს პროლეტარული რევოლუცია მოახდინოს; მაგრამ რამდენიმე, უფრო მდიდარ, ქვეყანაში, სადაც იმპერიალისტური ძარცვის წყალობით ცხოვრების პირობები უფრო შეღავათიანია, რომ გამოხვიდეთ და უთხრათ მუშებს — «მეტისმეტად დიდი» გაღარიბების უნდა გეშინოდეთო, ეს კონტრრევოლუციური იქნება. პირიქით, წინააღმდეგი უნდა ვილაპარაკოთ. მუშათა არისტოკრატია, რომელიც მსხვერპლს გაურბის, რომელსაც ეშინია «მეტისმეტად დიდად» არ გაღარიბდეს რევოლუციური ბრძოლის დროს, არ შეიძლება პარტიას ეკუთვნოდეს. სხვანაირად დიქტატურა შეუძლებელია, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

რას ამბობს კრისპინი ტერორისა და ძალმომრეობის შესახებ? მან თქვა, რომ ეს — ორი სხვადასხვა რამაა. ალბათ, შესაძლებელია ასეთი განსხვავება გაატაროთ სოციოლოგიის სახელმძღვანელოში, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაიდინოთ პოლიტიკურ პრაქტიკაში, განსაკუთრებით გერმანიის პირო-

ბებში. იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ისე იქცევიან, როგორც გერმანელი ოფიცრები მოიქცნენ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობის დროს, სტინესისა და კრუპის მსგავს პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ყიდულობენ პრესას, — ასეთი ხალხის წინააღმდეგ ჩვენ იძულებული ვართ გამოვიყენოთ ძალმომრეობა და ტერორი. რასაკვირველია, საჭირო არაა წინდაწინვე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ უსათუოდ მივმართავთ ტერორს; მაგრამ თუ გერმანელი ოფიცრები და კაპისტები ისეთივე დარჩებიან, როგორნიც ახლა არიან, თუ კრუპი და სტინესი იმადვე დარჩებიან, რაც დღეს არიან, მაშინ ტერორის გამოყენება აუცილებელი იქნება. არა მარტო კაუცკი, არამედ ლედებურიც და კრისპინიც სავსებით კონტრრევოლუციურად ლაპარაკობენ ძალმომრეობისა და ტერორის შესახებ. პარტია, რომელიც ასეთი იდეებით იქცევს თავს, დიქტატურაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ეს აშკარაა.

ამას მოსდევს აგრარული საკითხი. აქ კრისპინი განსაკუთრებით გაცხარდა და განიზრახა ჩვენ წვრილბურჟუაზიულობაში გამოვეჭირეთ; აქაო-და, წვრილი გლეხობისათვის მსხვილ მიწათმფლობელთა ხარჯზე თუ რამე გავაკეთეთ, ეს წვრილბურჟუაზიულობაა. საჭიროა მსხვილ მფლობელთა ექსპროპრიაცია მოვახდინოთ, მიწა კი ამხანაგობებს გადავცეთო. ეს — პედანტური შეხედულებაა. დიდად განვითარებულ ქვეყნებშიც კი, მათ შორის გერმანიაშიც, საკმაოდაა ლატიფუნდიები, და არის ისეთი ნაკვეთი მიწები, რომელთაც ამუშავებენ არა მსხვილი კაპიტალისტური, არამედ ნახევრადფეოდალური წესით; ამ უკანასკნელთ შეიძლება ცოტა რამ ჩამოვაჭრათ წვრილი გლეხების სასარგებლოდ, ისე რომ თვით მეურნეობას არა ევნოს რა. შეიძლება მსხვილი წარმოება შევინარჩუნოთ და ამავე დროს წვრილ გლეხებს მაინც მივცეთ რამე, რასაც მათთვის მეტად არსებითი მნიშვნელობა ექნება. სამწუხაროდ, ამაზე არ ფიქრობენ, პრაქტიკაში კი ამის გაკეთება საჭირო ხდება; თუ ასე არ მოიქეცი, შეცდომას ჩაიდენ. ეს მტკიცდება, მაგალითად, ვარგას (უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოფილი სახალხო კომისრის) წიგნით, რომელშიც

ის წერს, რომ პროლეტარული დიქტატურის დამყარებით თითქმის არაფერი შეცვლილა უნგრეთის სოფელში, რომ დღიურმა მუშებმა ვერაფერი იგრძნეს, ხოლო წვრილმა გლეხობამ ვერაფერი მიიღო. უნგრეთში მსხვილი ლატიფუნდიებია, უნგრეთში დიდ ნაკვეთებზე ეწევიან ნახევრადფეოდალურ მეურნეობას. ყოველთვის მოიძებნება და უნდა მოიძებნოს მიწის დიდ სამფლობელოთა ისეთი ნაწილები, საიდანაც შეიძლება რაღაც მიეცეს წვრილ გლეხებს, — თუმცა არა საკუთრებად, არამედ იჯარით, — რათა წვრილ პარცელურ გლეხს შეხვდეს რამე ჩამორთმეული მფლობელობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში წვრილი გლეხი ვერც კი შეამჩნევს განსხვავებას წინანდელ მდგომარეობასა და საბჭოთა დიქტატურას შორის. თუ პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება ამ პოლიტიკას არ გაატარებს, ის ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას.

თუმცა კრისპინმა თქვა: «თქვენ არ შეგიძლიათ უარყოთ ჩვენი რევოლუციური რწმენაო», მაგრამ მე ვუპასუხებ: მე მას გადაჭრით უარვყოფ. უარვყოფ არა იმ აზრით, რომ თქვენ თითქოს არ გინდოდეთ რევოლუციურად მოქმედება, არამედ იმ აზრით, რომ თქვენ უნარი არ შეგწევთ რევოლუციურად იაზროვნოთ. სანაძლეოს ვდებ, აირჩიეთ როგორიც გინდათ კომისია განათლებულ პირთაგან, მიეცით მათ კაუცკის ათი წიგნი და კრისპინის სიტყვა, და ეს კომისია იტყვის: ეგ სიტყვა მთლად კაუცკურია, ის თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია კაუცკის იდეებითო. კრისპინის არგუმენტაციის ყველა მეთოდი მთლად კაუცკურია, აქ კი კრისპინი გამოდის და ამბობს: «კაუცკის უკვე არავითარი გავლენა აღარა აქვს ჩვენს პარტიაშიო». შეიძლება, არავითარი გავლენა არ ჰქონდეს უფრო გვიან შემოერთებულ რევოლუციურ მუშებზე. მაგრამ ის ფაქტი კი აბსოლუტურად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ კაუცკი ახდენდა და დღემდეც ძალიან დიდ გავლენას ახდენს კრისპინზე, მთელ მის აზროვნებაზე, ამბ. კრისპინის ყველა იდეაზე. ამას ამტკიცებს უკანასკნელის სიტყვა. ამიტომ სენსერომეტრის ანუ გულწრფელობის საზომის გამოუგონებლადაც შეიძლება ვთქვათ: კრისპინის მიმართულება არ შეესაბამება კომუნისტურ

ინტერნაციონალს. ამას რომ ვამბობთ, ჩვენ განვსაზღვრავთ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართულებას.

თუ ამხანაგებმა ვაინკოპმა და მიუნცენბერგმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ჩვენ მოვიწვიეთ დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია და ველაპარაკებით მის წარმომადგენლებს, ეს მე არასწორად მიმაჩნია. როცა კაუცკი ჩვენს წინააღმდეგ გამოდის და წიგნებს წერს, ჩვენ ვეკამათებით მას, როგორც კლასობრივ მტერს. მაგრამ როცა აქ მოსალაპარაკებლად მოდის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც რევოლუციური მუშების მოზღვავების მეოხებით გაიზარდა, ჩვენ მის წარმომადგენლებს უნდა ველაპარაკოთ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ რევოლუციურ მუშათა ნაწილს. გერმანელ დამოუკიდებლებთან, ფრანგებთან, ინგლისელებთან ჩვენ უცბად ვერ შევთანხმდებით ინტერნაციონალის შესახებ. ამხ. ვაინკოპი ყოველი თავისი სიტყვით ამტკიცებს, რომ ის ამხ. პანეკუკის თითქმის ყველა შეცდომას იზიარებს. ვაინკოპმა განაცხადა, რომ პანეკუკის შეხედულებებს არ იზიარებს, მაგრამ თავისი სიტყვებით წინააღმდეგს ამტკიცებს. ამაშია ამ «მემარცხენე» ჯგუფის ძირითადი შეცდომა, მაგრამ ეს შეცდომაა საზოგადოდ პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც იზრდება. ამხ. კრისპინისა და დიტმანის სიტყვები მთლად ერთიანად გაჟღენთილია ბურჟუაზიული სულით, რომლითაც პროლეტარიატის დიქტატურას ვერ მოამზადებ. თუ ამხ. ვაინკოპი და მიუნცენბერგი კიდევ უფრო შორს მიდიან დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკითხში, მაშინ ჩვენ მათი თანახმა არა ვართ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს გულწრფელობის საზომი, როგორც სერატიმ თქვა, ადამიანთა კეთილსინდისიერების გამოსაცდელად, და ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმას, რომ საქმე სიტუაციის შეფასებაა და არა ადამიანებზე მსჯელობა. ვწუხვარ, რომ სერატიმ, თუმცა ილაპარაკა, მაგრამ ახალი არა თქვა რა. მისი სიტყვა ეკუთვნის იმ სიტყვათა რიცხვს, როგორიც ჩვენ II ინტერნაციონალშიც გვსმენია.

სერატი მართალი არ იყო, როცა ამბობდა: «საფრანგეთში მდგომარეობა რევოლუციური არაა, გერმანიაში — რევოლუციურია, იტალიაში — რევოლუციურიაო».

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, სიტუაცია კონტრრევოლუციური რომ იყოს, II ინტერნაციონალი ცდება და დიდ დანაშაულს სჩადის, რაკი არ სურს მოაწყოს რევოლუციური პროპაგანდა და აგიტაცია, ვინაიდან არარევოლუციური სიტუაციის დროსაც კი რევოლუციური პროპაგანდა შეიძლება და უნდა წარმოებდეს: ეს დამტკიცებულია ბოლშევიკების პარტიის მთელი ისტორიით. სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის განსხვავება სწორედ იმაშია, რომ სოციალისტები უარს ამბობენ იმოქმედონ ისე, როგორც ჩვენ ვმოქმედებთ ყოველგვარ სიტუაციაში, . სახელდობრ კი — აწარმოონ რევოლუციური მუშაობა.

სერატი იმეორებს მხოლოდ იმას, რაც კრისპინმა თქვა. ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ მაინცდამაინც უსათუოდ ამა და ამ რიცხვში უნდა გავრიცხოთ ტურატი. ამ საკითხს უკვე შეეხო აღმასრულებელი კომიტეტი, და სერატიმ ჩვენ გვითხრა: «არავითარი განდევნა, მხოლოდ პარტიის გაწმენდაო». ჩვენ პირდაპირ უნდა ვუთხრათ იტალიელ ამხანაგებს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართულებას შეესაბამება «L'Ordine Nuovo»-ს* წევრთა მიმართულება და არა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელთა და მათი საპარლამენტო ფრაქციის ახლანდელი უმრავლესობა. ამტკიცებენ, თითქოს მათ უნდოდეთ პროლეტარიატის დაცვა რეაქციისაგან. ჩერნოვი, მენშევიკები და სხვა მრავალი რუსეთში აგრეთვე «იცავენ» პროლეტარიატს რეაქციისაგან, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ისინი ჩვენს წრეში მივიღოთ.

ამიტომ ჩვენ უნდა ვუთხრათ იტალიელ ამხანაგებს და ყველა პარტიას, რომელთაც მემარჯვენე ფრთა ჰყავთ: ამ რეფორმისტულ ტენდენციას არაფერი აქვს საერთო კომუნიზმთან.

გთხოვთ თქვენ, იტალიელო ამხანაგებო, მოიწვიოთ თქვენი ყრილობა და წააყენოთ იქ ჩვენი თეზისები და რეზოლუციები. და მე დარწმუნებული ვარ, რომ იტალიელი მუშები კომუნისტურ ინტერნაციონალში დარჩენას მოისურვებენ.

* — «ახალი წესრიგი». რ ე დ.

5

სიტყვა პარლამენტარიზმის შესახებ 2 აგვისტოს

ამხ. ბორდიგას, ეტყობა, უნდოდა დაეცვა აქ იტალიელ მარქსისტთა თვალსაზრისი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ვერ უპასუხა ვერც ერთ საბუთს, რომლებიც მოყავდათ აქ სხვა მარქსისტებს საპარლამენტო მოღვაწეობის დასაცავად.

ამხ. ბორდიგამ აღიარა, რომ ისტორიული გამოცდილება ხელოვნურად არ იქმნება. მან ეს-ესაა გვითხრა, რომ ბრძოლა უნდა გადავიტანოთ სხვა სფეროში. განა მან არ იცის, რომ ყოველ რევოლუციურ კრიზისს თან სდევდა საპარლამენტო კრიზისი? მართალია, ის ამბობდა, რომ ბრძოლა უნდა გადავიტანოთ სხვა სფეროში, საბჭოებშიო. მაგრამ ბორდიგამ თვითონ აღიარა, რომ საბჭოების ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. რუსეთის მაგალითი ამტკიცებს, რომ საბჭოების შექმნა შესაძლებელია ან რევოლუციის დროს, ან უშუალოდ რევოლუციის წინ. ჯერ კიდევ კერენსკის დროს საბჭოები (სახელდობრ მენშევიკური საბჭოები) ისე იყვნენ შედგენილი და მოწყობილი, რომ არასგზით არ შეეძლოთ წარმოეშვათ პროლეტარული ხელისუფლება. პარლამენტი ისტორიული განვითარების ნაყოფია, რომელსაც ცხოვრებიდან ვერ ამოვშლით, ვიდრე იმდენად არ გავძლიერდებით, რომ შეგვეძლოს ბურჟუაზიული პარლამენტის გარეკვა. ბურჟუაზიული პარლამენტის წევრი უნდა იყოთ, რომ, მოცემული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, ბურჟუაზიული საზოგადოებისა

და პარლამენტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეგეძლოთ. იგივე საშუალება, რომლითაც ბურჟუაზია სარგებლობს ბრძოლაში, უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმაც, — რა თქმა უნდა, სულ სხვა მიზნით. თქვენ არ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ეს ასე არ არის; ხოლო თუ თქვენ გინდათ ეს უარყოთ, მაშინ მსოფლიოს ყველა რევოლუციური მოვლენის გამოცდილება უნდა წაშალოთ.

თქვენ თქვით, რომ პროფესიული კავშირებიც ოპორტუნისტული არიან, რომ ისინიც საფრთხეს წარმოადგენენ; მაგრამ ამასთანავე თქვენ ისიც თქვით, რომ პროფკავშირებისათვის უნდა დავუშვათ გამონაკლისი, რადგანაც ისინი მუშათა ორგანიზაციას წარმოადგენენო. მაგრამ ეს მხოლოდ რამდენადმე არის მართალი. პროფკავშირებშიც არიან ძალიან ჩამორჩენილი ელემენტები. გაპროლეტარებული წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, ჩამორჩენილი მუშები და წვრილი გლეხები — ყველა ეს ელემენტი მართლაც ფიქრობს, რომ მათი ინტერესები წარმოდგენილია პარლამენტში; ამას უნდა ვებრძოლოთ პარლამენტში მუშაობით და ფაქტებით დავანახვოთ მასებს სიმართლე. ჩამორჩენილ მასებს თეორიით ვერ მიახვედრებ და დააჯერებ, მათ გამოცდილება ესაჭიროებათ.

ეს ჩვენ ვნახეთ რუსეთშიც. ჩვენ იძულებული გავხდით დამფუძნებელი კრება მოგვეწვია უკვე პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, რათა დაგვემტკიცებინა ჩამორჩენილი მუშისათვის, რომ ის ამ კრების საშუალებით ვერაფერს მიაღწევს. ჩვენ დაგვჭირდა ორივე გამოცდილების შესადარებლად კონკრეტულად დაგვეპირისპირებინა საბჭოები დამფუძნებელი კრებისადმი და წარგვედგინა მუშისათვის საბჭოები, როგორც ერთადერთი გამოსავალი.

ამხ. სუხი, რევოლუციური სინდიკალისტი, იმავე თეორიებს იცავდა, მაგრამ ლოგიკა მის მხარეზე არაა. მან თქვა, მარქსისტი არა ვარო; ამიტომ ეს თავისთავად გასაგებია. მაგრამ თუ თქვენ, ამხ. ბორდიგა, ამტკიცებთ, რომ თქვენ მარქსისტი ხართ, მაშინ თქვენ შეიძლება მეტი ლოგიკა მოგთხოვოთ. უნდა ვიცოდეთ, რანაირად შეიძლება პარლამენტის დამსხვრევა.

თუ თქვენ ამის გაკეთება შეგიძლიათ ყველა ქვეყანაში შეიარაღებული აჯანყების გზით — ეს ძალიან კარგია. თქვენ იცით, რომ ჩვენ რუსეთში არა მარტო თეორიით, არამედ პრაქტიკითაც დავამტკიცეთ ჩვენი ნება ბურჟუაზიული პარლამენტის დანგრევისა. მაგრამ თქვენ ყურადღებას არ აქცევთ იმ ფაქტს, რომ ეს შეუძლებელია საკმაოდ ხანგრძლივი მზადების გარეშე და რომ ქვეყნების უმრავლესობაში ჯერ კიდევ შეუძლებელია ერთი დაკვრით დავანგრიოთ პარლამენტი. ჩვენ იძულებული ვართ პარლამენტის დასანგრევად პარლამენტში ვაწარმოოთ ბრძოლა. იმ პირობების ნაცვლად, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასის პოლიტიკურ ხაზს განსაზღვრავს, თქვენ აყენებთ თქვენს რევოლუციურ ნებას და ამიტომ ივიწყებთ, რომ ჩვენ, რუსეთში ბურჟუაზიული პარლამენტის დასანგრევად, დაგვჭირდა ჯერ დამფუძნებელი კრება მოგვეწვია ჩვენი გამარჯვების შემდეგაც კი. თქვენ თქვით: «მართალია, რუსეთის რევოლუცია ისეთი მაგალითია, რომელიც არ უდგება დასავლეთ ევროპის პირობებსო». მაგრამ თქვენ ამის დასამტკიცებლად ვერც ერთი საფუძვლიანი საბუთი ვერ მოგვიყვანეთ. ჩვენ გავიარეთ ბურჟუაზიული დემოკრატიის პერიოდი. ჩვენ ჩქარა გავიარეთ ეს პერიოდი მაშინ, როცა იძულებული ვიყავით აგიტაცია გაგვეწია დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. და შემდეგაც, როცა მუშათა კლასმა უკვე შესაძლებლობა მიიღო ხელისუფლება დაეპყრო, გლეხობას კიდევ სწამდა ბურჟუაზიული პარლამენტის აუცილებლობა.

გავუწიეთ რა ანგარიში ამ ჩამორჩენილ ელემენტებს, იძულებული გავხდით გამოგვეცხადებინა არჩევნები და მასებისათვის მაგალითით, ფაქტებით დაგვენახვებინა, რომ ეს დამფუძნებელი კრება, არჩეული უდიდესი საყოველთაო გაჭირვების დროს, არ გამოხატავს ექსპლოატირებულ კლასთა იმედებსა და მოთხოვნებს. ამით კონფლიქტი საბჭოთა და ბურჟუაზიულ ხელისუფლებას შორის სავსებით ნათელი გახდა არა მარტო ჩვენთვის, მუშათა კლასის ავანგარდისათვის, არამედ აგრეთვე გლეხობის უდიდესი უმრავლესობისთვისაც, წვრილ მოსამსახურეთათვის, წვრილი ბურჟუაზიისათვის და სხვ.. ყველა

კაპიტალისტურ ქვეყანაში არიან მუშათა კლასის ჩამორჩენილი ელემენტები, რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ პარლამენტი ხალხის ნამდვილი წარმომადგენელია, და ვერ ხედავენ, რომ იქ უწმინდურ საშუალებებს ხმარობენ. ამბობენ, ეს იარაღია, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზია ატყუებს მასებსო. მაგრამ ეს საბუთი თქვენს წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული, და ის თქვენი თეზისების წინააღმდეგ ლაპარაკობს. როგორ გამოააშკარავებთ პარლამენტის ნამდვილ ხასიათს მართლაც ჩამორჩენილი, ბურჟუაზიის მიერ მოტყუებული მასების წინაშე? თუ იქ არ შეხვალთ, თუ პარლამენტის გარეთ იქნებით, როგორ გამოამჟღავნებთ ამა თუ იმ საპარლამენტო მანევრს, ამა თუ იმ პარტიის პოზიციას? თუ მარქსისტები ხართ, უნდა აღიაროთ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასთა ურთიერთდამოკიდებულებანი და პარტიათა ურთიერთდამოკიდებულებანი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ვიმეორებ, როგორ ცხადყოფთ ყოველივე ამას, თუ პარლამენტის წევრები არ იქნებით, თუ უარს იტყვით საპარლამენტო მოღვაწეობაზე? რუსეთის რევოლუციის ისტორიამ ნათლად დაგვანახვა, რომ მუშათა კლასის ფართო მასებს, გლეხობას, წვრილ მოსამსახურეებს ვერავითარი არგუმენტით ვერ დააჯერებდით, ისინი რომ თვითონ არ დარწმუნებულიყვნენ საკუთარი გამოცდილებით.

აქ თქვეს — ჩვენ ბევრ დროს ვკარგავთ საპარლამენტო ბრძოლაში მონაწილეობის მიღებითო. შეიძლება განა წარმოვიდგინოთ რომელიმე სხვა დაწესებულება, რომელშიც ყველა კლასი ისეთსავე მონაწილეობას იღებდეს, როგორსაც პარლამენტში? ამას ხელოვნურად ვერ შექმნით. თუ ყველა კლასი ებმება საპარლამენტო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, ეს იმიტომ ხდება, რომ კლასობრივი ინტერესები და კონფლიქტები თავის ასახვას პარლამენტში პოულობს. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყველგან ერთბაშად მოგვეწყო, ვთქვათ, გადამწყვეტი საყოველთაო გაფიცვა, რათა ერთი დაკვრით დაგვემხო კაპიტალიზმი, მაშინ რევოლუცია უკვე მოხდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ ფაქტებს ანგა-

რიში უნდა გაეწიოს, პარლამენტი კი კლასობრივი ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს. ამხ. ბორდიგამ და მათ, ვინც მის თვალსაზრისზე დგას, მასებს სიმართლე უნდა უთხრან. გერმანია იმის საუკეთესო მაგალითია, რომ კომუნისტური ფრაქცია პარლამენტში შესაძლებელია; ამიტომ თქვენ აშკარად უნდა გეთქვათ მასებისათვის: ჩვენ ძალიან სუსტნი ვართ და ვერ შევქმნით მტკიცე ორგანიზაციის მქონე პარტიას. ასეთი იქნებოდა სიმართლე, რომელიც უნდა გეთქვათ. ხოლო თუ თქვენ ნასებს გამოუტყდებოდით ამ თქვენს სისუსტეში, მაშინ ისინი თქვენს მომხრეებად კი არა, თქვენს მოწინააღმდეგეებად, პარლამენტარიზმის მომხრეებად გადაიქცეოდნენ.

თუ თქვენ იტყვით: «ამხანაგო მუშებო, ჩვენ იმდენად სუსტნი ვართ, რომ არ შეგვიძლია შევქმნათ საკმაოდ დისციპლინირებული პარტია, რომელიც აიძულებდა დეპუტატებს დამორჩილებოდნენ პარტიასაო», — მაშინ მუშები მიგატოვებენ. რადგან ისინი იტყვიან: «როგორ ავაშენებთ პროლეტარიატის დიქტატურას ასეთი სუსტი ადამიანების საშუალებით?».

თქვენ ძალიან გულუბრყვილონი ყოფილხართ, თუ ფიქრობთ, რომ პროლეტარიატის გამარჯვების დღესვე — ინტელიგენცია, საშუალო კლასი, წვრილი ბურჟუაზია კომუნისტური გახდებიან.

თუ თქვენ ეს ილუზია არა გაქვთ, მაშინ უკვე ახლავე უნდა მოამზადოთ პროლეტარიატი იმისათვის, რომ თქვენი ხაზი გაატაროთ. სახელმწიფოებრივი მუშაობის ვერც ერთ დარგში ვერ იპოვით გამონაკლისს ამ წესიდან. რევოლუციის მეორე დღეს თქვენ ყველგან ნახავთ ოპორტუნისტულ ადვოკატებს, რომელნიც თავისთავს კომუნისტებს უწოდებენ, ნახავთ წვრილ ბურჟუებს, რომელნიც არც კომუნისტური პარტიის დისციპლინას ცნობენ და არც პროლეტარული სახელმწიფოს დისციპლინას. თუ თქვენ არ მოამზადებთ მუშებს ნამდვილად დისციპლინირებული პარტიის შესაქმნელად, რომელიც თავის ყველა წევრს აიძულებს დაემორჩილოს მის დისციპლინას, თქვენ ვერასოდეს ვერ მოამზადებთ პროლეტარიატის დიქტატურას. მე ვფიქრობ, თქვენ ამიტომ არ გინდათ აღიაროთ, რომ ძალიან

ბევრი ახალი კომუნისტური პარტიის სწორედ სისუსტე აიძულებს მათ უარყონ საპარლამენტო მუშაობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილად რევოლუციური მუშების უდიდესი უმრავლესობა ჩვენ გამოგვყვება და აზრს გამოთქვამს თქვენი ანტიპარლამენტარისტული თეზისების წინააღმდეგ.

6

სიტყვა ბრიტანეთის მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ

6 აგვისტოს [48]

ამხანაგებო, ამხ. გალახერმა თავისი სიტყვა დაიწყო მწუხარების გამოთქმით იმის გამო, რომ ჩვენ აქ იძულებულ ვართ მეასედ და მეათასედ მოვისმინოთ ის ფრაზები, რომლებიც ამხანაგ მაკ-ლეინს და სხვა ინგლისელ ამხანაგებს უკვე ათასჯერ გაუმეორებიათ სიტყვებსა და ჟურნალ-გაზეთებში. მე ვფიქრობ, აქ სამწუხარო არა არის რა. ძველი ინტერნაციონალის მეთოდი იმაში მდგომარეობდა, რომ ამგვარი საკითხების გადაწყვეტას ის დაინტერესებული ქვეყნების ცალკე პარტიებს ანდობდა. ეს ძირშივე მცდარი იყო. ფრიად შესაძლებელია, რომ ჩვენ სავსებით ზუსტად არ ვიცნობდეთ პირობებს ამა თუ იმ პარტიაში, მაგრამ აქ საქმე ეხება კომუნისტური პარტიის ტაქტიკის პრინციპულ დასაბუთებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, და ჩვენ, III ინტერნაციონალის სახელით, ნათლად უნდა გადმოვცეთ აქ კომუნისტური თვალსაზრისი.

უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო ამხ. მაკ-ლეინის მიერ დაშვებული მცირეოდენი არასიზუსტე, რომელსაც ვერ დავეთანხმებით. ის მუშათა პარტიას ტრედ-უნიონისტური მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციას უწოდებს. შემდეგ მან ეს კიდევ გაიმეორა: მუშათა პარტია არის «პროფესიული მოძრაობის პოლიტიკური გამოხატულებაო». ასეთი აზრი მე რამდენიმეჯერ ამომიკითხავს ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის გაზეთში. ეს მართალი არ არის, და ნაწილობრივ ეს იწვევს ოპოზიციას, რომელიც რამდენადმე სრულიად

სამართლიანია, ინგლისის რევოლუციური მუშების მხრივ. მართლაც, ცნებები «ტრედ-უნიონისტური მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაცია» ან ამ მოძრაობის «პოლიტიკური გამოხატულება» — მცდარია. რა თქმა უნდა, მუშათა პარტია მეტწილად მუშებისაგან შედგება. მაგრამ წარმოადგენს თუ არა პარტია ნამდვილად პოლიტიკურ მუშათა პარტიას, ეს დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, მუშებისაგან შედგება იგი თუ არა, არამედ იმაზეც, თუ ვინ ხელმძღვანელობს მას და როგორია მისი მოქმედებისა და მისი პოლიტიკური ტაქტიკის შინაარსი. მხოლოდ ეს უკანასკნელი გარემოება განსაზღვრავს კიდეც იმას, პროლეტარიატის ნამდვილ პოლიტიკურ პარტიასთან გვაქვს საქმე თუ არა. ამ ერთადერთი მართებული თვალსაზრისით მუშათა პარტია სულ ერთიანად ბურჟუაზიული პარტიაა, ვინაიდან, თუმცა ის მუშებისაგან შედგება, მაგრამ მას რეაქციონერები ხელმძღვანელობენ, — ყველაზე საძაგელი რეაქციონერები, რომელნიც სავსებით ბურჟუაზიის სულისკვეთებით მოქმედებენ; ესაა ბურჟუაზიის ორგანიზაცია, რომელიც იმისათვის არსებობს, რომ ინგლისელ ნოსკეთა და შეიდემანთა საშუალებით სისტემატურად ატყუებდეს მუშებს.

მაგრამ აქ ჩვენს წინაშეა მეორე თვალსაზრისიც, რომელსაც ამხ. სილვია პანკჰერსტი და ამხ. გალახერი იცავენ და რომელიც ამყოვანებს მათ შეხედულებას ამ საკითხზე. რა არის გალახერისა და მრავალი მისი მეგობრის სიტყვების შინაარსი? ისინი გვეუბნებიან: ჩვენ საკმაოდ არა ვართ დაკავშირებული მასებთანო, მაგრამ აიღეთ ბრიტანეთის სოციალისტური პარტია, ის დღევანდლამდე კიდევ უფრო ცუდადაა დაკავშირებული მასებთან, ის ძალიან სუსტია. და ამხ. გალახერმა გვიამბო აქ, რომ მან და მისმა ამხანაგებმა მართლაც ჩინებულად მოაწყვეს რევოლუციური მოძრაობა გლაზგოში, შოტლანდიაში, რომ ისინი ომის დროს ტაქტიკურად ძალიან კარგ მანევრებს აკეთებდნენ, მოხერხებულად უჭერდნენ მხარს წვრილბურჟუაზიულ პაციფისტებს რამსეი მაკდონალდს და სნოუდენს, როცა ისინი გლაზგოში ჩავიდნენ, რათა ამ

ძარდაჭერის გზით მოეწყოთ დიდი მასობრივი მოძრაობა ომის წინააღმდეგ.

ჩვენი მიზანიც სწორედ ისაა, რომ ეს ჩინებული ახალი რევოლუციური მოძრაობა, ამხ. გალახერითა და მისი მეგობრებით წარმოდგენილი, შევიყვანოთ კომუნისტურ პარტიაში, რომელსაც ნამდვილად კომუნისტური, ე. ი. მარქსისტული ტაქტიკა ექნება. ესაა ახლა ჩვენი ამოცანა. ერთი მხრივ, ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ძალიან სუსტია და სათანადო უნარი არ შესწევს მასებში აგიტაციის საწარმოებლად; მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა რევოლუციურ ელემენტებს, რომელნიც ასე კარგად არიან აქ წარმოდგენილი ამხ. გალახერის სახით; მათ თუმცა კავშირი აქვთ მასებთან, მაგრამ პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენენ, ამ აზრით ისინი ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიაზე ჯერ კიდევ სუსტნი არიან და სრულიად არ შესწევთ თავიანთი პოლიტიკური მუშაობის მოწყობის უნარი. ასეთ მდგომარეობაში ჩვენ სავსებით გულახდილად უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი სწორი ტაქტიკის შესახებ. როცა ამხ. გალახერი ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას შეეხო და თქვა, ის «გამოუსწორებლად რეფორმისტულიაო» (**hopelessly reformist**), მან, უეჭველია, გადააჭარბა. მაგრამ ჩვენ მიერ აქ მიღებული ყველა რეზოლუციის საერთო აზრი და შინაარსი აბსოლუტური გარკვეულობით ცხადყოფს, რომ ჩვენ მოვითხოვთ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ტაქტიკის შეცვლას ამ აზრით, და გალახერის მეგობრების ეროვნული სწორი ტაქტიკა ის იქნება, რომ დაუყოვნებლივ შევიდნენ კომუნისტურ პარტიაში იმ მიზნით, რათა გარდაქმნან მისი ტაქტიკა აქ მიღებული რეზოლუციების სულისკვეთებით. თუ თქვენ იმდენი მომხრე გყავთ, რომ შეგიძლიათ გლაზგოში გამართოთ მასობრივი სახალხო კრებები, აღარ გაგიძნელდებათ ათიათასზე მეტი ახალი წევრი მაინც შემატოთ პარტიას. ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის უკანასკნელმა კონგრესმა, რომელიც 3 — 4 დღის წინათ მიმდინარეობდა ლონდონში, დაადგინა პარტიას სახელი შეუცვალოს და

კომუნისტური უწოდოს და პროგრამაში შეიტანა პუნქტი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისა და მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ. კონგრესზე წარმოდგენილი იყო ათიათასი ორგანიზებული წევრი. ამიტომ შოტლანდიელ ამხანაგებს სრულიად არ გაუჭირდებათ ამ «დიდი ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიაში» კიდევ ჩააბან ათიათასზე მეტი რევოლუციური მუშა, რომლებიც უკეთ ფლობენ მასებში მუშაობის ხელოვნებას, და ამ გზით შეცვალონ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ძველი ტაქტიკა უფრო მარჯვე აგიტაციის სულისკვეთებით, უფრო რევოლუციური მოქმედების სულისკვეთებით. ამხ. სილვია პანკჰერსტმა კომისიაში რამდენიმეჯერ აღნიშნა, რომ ინგლისს «მემარცხენენი» ესაჭიროებაო. მე, რასაკვირველია, ვუპასუხე, რომ ეს სავსებით სწორია, მაგრამ არ უნდა გადაამლაშოთ «მემარცხენეობაში»-მეთქი. შემდეგ, ის ამბობდა, რომ «ჩვენ საუკეთესო პიონერები ვართ, მაგრამ ჯერჯერობით უფრო ვხმაურობთო (noisy)». მე ეს მესმის ამ სიტყვის არა ცუდი, არამედ კარგი მნიშვნელობით — რომ მათ უკეთ შეუძლიათ რევოლუციური აგიტაცია აწარმოონ. ჩვენ ამას ვაფასებთ და კიდეც უნდა ვაფასებდეთ. ეს ჩვენ გამოვთქვით ყველა ჩვენს რეზოლუციაში, რადგან ჩვენ ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ შეგვიძლია პარტია მუშათა პარტიად ვაღიაროთ მაშინ, და მხოლოდ მაშინ, თუ ის მართლაც დაკავშირებულია მასებთან და ებრძვის ძველ, სულ მთლად დამპალ ბელადებს, — როგორც მარჯვენა ფრთაზე მდგომ შოვინისტებს, ისე ყველა იმათ, ვისაც შუათანა პოზიცია უჭირავს, გერმანიის მემარჯვენე დამოუკიდებელთა მსგავსად. ჩვენს ყველა რეზოლუციაში ამას ათგზის და მეტჯერ ვამტკიცებდით და ვიმეორებდით, და ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოვითხოვთ ძველი პარტიის გარდაქმნას მასებთან მისი უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების აზრით.

სილვია პანკჰერსტი კიდევ კითხულობდა: «დასაშვებია თუ არა კომუნისტური პარტიის შესვლა სხვა პოლიტიკურ პარტიაში, რომელიც თავის მხრივ II ინტერნაციონალში შედის?» და უპასუხებდა — ეს შეუძლებელიაო. მხედველობაში

უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის მუშათა პარტია განსაკუთრებით თავისებურ პირობებში იმყოფება: ეს მეტად ორიგინალური პარტიაა ან, უფრო სწორად, ეს სულაც არ არის პარტია ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით. ის შედგება ყველა პროფესიული ორგანიზაციის წევრებისაგან; ახლა მას ჰყავს ოთხ მილიონამდე წევრი, და საკმაო თავისუფლებას აძლევს მის შემადგენლობაში მყოფ ყველა პოლიტიკურ პარტიას. ამრიგად შედის ამ პარტიაში ინგლისის მუშათა უდიდესი მასა, რომლის სადავე ხელში უჭირავთ უცუდეს ბურჟუაზიულ ელემენტებს, სოციალ-გამცემლებს, უფრო უარესთ, ვიდრე შეიდემანი, ნოსკე და მათი მსგავსი ვაჟბატონები არიან. მაგრამ ამავე დროს მუშათა პარტია თანახმაა, რომ მის რიგებში ბრიტანეთის სოციალისტური პარტია იყოს და ამ უკანასკნელს თავისი ბეჭდვითი ორგანოები ჰქონდეს, სადაც იმავე მუშათა პარტიის წევრებს შეეძლებათ თავისუფლად და დაუფარავად განაცხადონ, რომ პარტიის ბელადები სოციალ-გამცემლები არიან. ამხ. მაკ-ლეინმა ზუსტად მოიყვანა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ამგვარი განცხადებები. მეც შემიძლია დავადასტურო, რომ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის გაზეთ «კოლში» * მე წავიკითხე, რომ მუშათა პარტიის ბელადები სოციალ-პატრიოტები და სოციალ-გამცემლები არიანო. ეს ნიშნავს, რომ მუშათა პარტიაში შემავალ პარტიას საშუალება აქვს არა მარტო მკაცრად გააკრიტიკოს, არამედ აგრეთვე აშკარად და ზუსტად დაასახელოს ძველი ბელადები და უწოდოს მათ სოციალ-გამცემლები. ეს ძალიან ორიგინალური მდგომარეობაა, როცა პარტია, რომელიც მუშათა დიდ მასას იმგვარად აერთიანებს, თითქოს ის პოლიტიკური პარტია იყოს, მაინც იძულებულია სრული თავისუფლება მიანიჭოს თავის წევრებს. ამხ. მაკ-ლეინმა აქ აღნიშნა, რომ მუშათა პარტიის კონგრესზე იქაური შეიდემანები იძულებული იყვნენ აშკარად დაესვათ III ინტერნაციონალში შესვლის საკითხი, ხოლო ამ პარტიის ყველა ადგილობრივ-

* — «მოწოდება». რ ე დ.

ორგანიზაცია და სექცია იძულებული იყო ეს საკითხი განეხილა. ასეთ პირობებში შეცდომა იქნებოდა ამ პარტიაში არ შევსულიყავით.

ამხ. პანკჰერსტმა კერძო ლაპარაკში მითხრა: «თუ ჩვენ ნამდვილი რევოლუციონერები ვიქნებით და შევალთ მუშათა პარტიაში, ეს ვაჟბატონები გამოგვრიცხავენო». მაგრამ ეს ხომ სულაც არ იქნებოდა ცუდი. ჩვენს რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ჩვენ შესვლის მომხრენი ვართ, რამდენადაც მუშათა პარტია საკმაო თავისუფლებას იძლევა კრიტიკისათვის. ამ საკითხში ჩვენ ბოლომდე თანმიმდევარი ვართ. ამხ. მაკ-ლეინმა კიდევ გაუსვა ხაზი, რომ ახლა ინგლისში ისეთი ორიგინალური პირობები შეიქმნა, როცა პოლიტიკურ პარტიას, თუ მოისურვებს, შეუძლია რევოლუციურ მუშათა პარტიად დარჩეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაკავშირებული იქნება თავისებურ ოთხმილიონიან მუშათა ორგანიზაციასთან, რომელიც ნახევრად პროფესიულია, ნახევრად პოლიტიკური და რომელსაც ბურჟუაზიული ბელადები ხელმძღვანელობენ. ასეთ პირობებში საუკეთესო რევოლუციური ელემენტების უდიდესი შეცდომა იქნებოდა ყოველივე შესაძლებელი არ გაეკეთებინათ ამ პარტიაში დასარჩენად. დაე გამოგრიცხონ ბატონმა ტომასებმა და სხვა სოციალ-გამცემლებმა, რომელთაც თქვენ სწორედ ასე ეძახით. ეს ინგლისის მუშათა მასებზე ჩინებულ გავლენას მოახდენს.

ამხანაგები ხაზს უსვამენ იმას, რომ მუშათა არისტოკრატია ინგლისში უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ეს მართლაც ასეა. მას ხომ იქ ათეული წლების კი არა, — საუკუნეების ისტორია აქვს. იქ ბურჟუაზიამ, რომელსაც გაცილებით მეტი გამოცდილება, — დემოკრატიული გამოცდილება აქვს, შეძლო მუშები მოესყიდა და მათ შორის შეექმნა დიდი ფენა, რომელიც ინგლისში უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მაგრამ მაინც არც ისე დიდია მუშათა ფართო მასებთან შედარებით. ეს ფენა სულ ერთიანად ბურჟუაზიული ცრურწმენებით არის გაჟღენთილი და განსაზღვრულ ბურჟუაზიულ რეფორმისტულ პოლიტიკას აწარმოებს.

მაგალითად, ირლანდიაში ჩვენ ვხედავთ ორასი ათას ინგლისელ ჯარისკაცს, რომელნიც საშინელი ტერორით ახშობენ ირლანდიელებს. ინგლისელი სოციალისტები ამ ჯარისკაცთა შორის რევოლუციურ პროპაგანდას არ ეწევიან. ჩვენ კი ჩვენს რეზოლუციებში ნათლად აღვნიშნეთ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის წევრად ვცნობთ ინგლისის მხოლოდ იმ პარტიებს, რომელნიც ნამდვილ რევოლუციურ პროპაგანდას ეწევიან ინგლისის მუშათა და ჯარისკაცთა შორის. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არც აქ და არც კომისიებში ჩვენ ამის საწინააღმდეგო არა მოგვისმენია რა.

ამხ. გალახერს და სილვია პანკჰერსტს არ შეუძლიათ ეს უარყონ; მათ არ შეუძლიათ უარყონ, რომ ბრიტანეთის სოციალისტური პარტია, რჩება რა მუშათა პარტიის რიგებში, საკმაო თავისუფლებით სარგებლობს, რათა სწეროს, რომ მუშათა პარტიის ესა და ეს ბელადები გამცემლები არიან; რომ ეს ძველი ბელადები ბურჟუაზიის ინტერესებს წარმოადგენენ; რომ ისინი ბურჟუაზიის აგენტები არიან მუშათა მოძრაობაში; ეს აბსოლუტურად სწორია. როცა კომუნისტები ასეთი თავისუფლებით სარგებლობენ, ისინი ვალდებული არიან შევიდნენ მუშათა პარტიაში, თუ მათ უნდათ ანგარიში გაუწიონ ყველა ქვეყნის რევოლუციონერთა და არა მარტო რუსეთის რევოლუციის გამოცდილებას, — ვინაიდან ჩვენ აქ რუსეთის კი არა, საერთაშორისო კონგრესზე ვართ. ამხ. გალახერმა ირონიით აღნიშნა, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვითომ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის გავლენის ქვეშ აღმოვჩნდით. არა, ჩვენ ამაში დავრწმუნდით ყველა ქვეყნის ყველა რევოლუციის გამოცდილებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა ვუთხრათ მასებს. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ უნდა შეინარჩუნოს აუცილებელი თავისუფლება, რათა ააშკარავებდეს და აკრიტიკებდეს მუშათა გამცემლებს, რომელნიც ინგლისში გაცილებით უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს არაა ძნელი გასაგები. მართალი არაა ამხ. გალახერის მტკიცება, თითქოს, მუშათა პარტიაში შესვლის სასარგებლო აზრს თუ გამოვთქვამთ, ჩვენ ამით ჩამოვიცილებთ

ინგლისის მუშათა საუკეთესო ელემენტებს. ჩვენ ეს უნდა გამოვცადოთ საქმით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ჩვენი რეზოლუცია და დადგენილება, რომელთაც კონგრესი მიიღებს, დაიბეჭდება ყველა ინგლისურ რევოლუციურ-სოციალისტურ გაზეთში და რომ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას და სექციას საშუალება მიეცემა განიხილოს ისინი. ჩვენი რეზოლუციების მთელი შინაარსი ცხადზე უცხადესად ლაპარაკობს, რომ ჩვენ მუშათა კლასის რევოლუციური ტაქტიკის წარმომადგენლები ვართ ყველა ქვეყანაში და რომ ჩვენი მიზანია ბრძოლა ძველი რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მოვლენები ცხადყოფს, რომ ჩვენი ტაქტიკა ნამდვილად ამარცხებს ძველ რეფორმიზმს. და მაშინ მუშათა კლასის ყველა საუკეთესო რევოლუციური ელემენტები, უკმაყოფილონი განვითარების ნელი მსვლელობით, რაც ინგლისში, შეიძლება, კიდევ უფრო ნელა წარიმართოს, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ჩვენთან მოვლენ. ნელი განვითარება იმიტომ ხდება, რომ ინგლისის ბურჟუაზიას საშუალება აქვს უკეთესი პირობები შეუქმნას მუშათა არისტოკრატიას და ამით შეაფერხოს რევოლუციური მოძრაობა ინგლისში. ამიტომ ინგლისელი ამხანაგები მარტო მასების გარევოლუციურებას კი არ უნდა ცდილობდნენ, რასაც ისინი დიდებულად ასრულებენ (ამხ. გალახერმა ეს დაამტკიცა); ამასთან ერთად ისინი უნდა ცდილობდნენ მუშათა კლასის ნამდვილი პოლიტიკური პარტიის შექმნასაც. არც ამხ. გალახერი და არც სილვია პანკჰერსტი, რომელნიც აქ გამოვიდნენ, ჯერ კიდევ არ ეკუთვნიან რევოლუციურ კომუნისტურ პარტიას. ისეთი საუცხოო პროლეტარული ორგანიზაცია, როგორიცაა შოპ-სტიუარტები, აქამდე არ შესულა პოლიტიკურ პარტიაში. თუ თქვენ პოლიტიკურად დაირაზმებით, დაინახავთ, რომ ჩვენი ტაქტიკა ემყარება უკანასკნელი ათეული წლების სწორად გაგებულ პოლიტიკურ განვითარებას და რომ ნამდვილი რევოლუციური პარტია მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას, როცა ის რევოლუციური კლასის ყველა საუკეთესო ელემენტს შეიწოვს და ყოველ შესაძლებლობას გამოიყენებს რეაქციულ

წერილი ავსტრიელ კომუნისტებს [52]

ავსტრიის კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტის არჩევნებს. კომუნისტური ინტერნაციონალის ახლახან დამთავრებულმა II კონგრესმა სწორ ტაქტიკად სცნო კომუნისტების მონაწილეობა ბურჟუაზიული პარლამენტების არჩევნებში და თვით ამ პარლამენტებშიც.

მე ეჭვი არ მეპარება, ავსტრიის კომუნისტური პარტიის დელეგატების ცნობათა მიხედვით, რომ ის კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებას უფრო მაღლა დააყენებს, ვიდრე ერთი რომელიმე პარტიათაგანის გადაწყვეტილებას. არა გვგონია აგრეთვე საეჭვო იყოს, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები, ეს სოციალიზმის გამცემლები, ბურჟუაზიის მხარეზე რომ გადავიდნენ, ღვარძლიანად გაიხარებენ კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილების გამო, რომელიც დაშორდა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ბოიკოტისტურ გადაწყვეტილებას. მაგრამ ისეთი ვაჟბატონების ღვარძლიან სიხარულს, როგორიც არიან ავსტრიის სოციალ-დემოკრატები, შეიდემანებისა და ნოსკეების, ალბერ ტომებისა და გომპერსების თანამებრძოლნი, შეგნებული მუშები, რასაკვირველია, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ. ბურჟუაზიის წინაშე ბატონ რენერების ლაქიობამ საკმაოდ გამოამზეურა ოავი, და მუშების აღშფოთება II ანუ ყვითელი

ინტერნაციონალის გმირების წინააღმდეგ სულ უფრო მეტად იზრდება და ფართოვდება ყველა ქვეყანაში.

ბატონი ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ პარლამენტში, ისე როგორც თავიანთი «მუშაობის» ყველა სარბიელზე, თვით თავიანთ საკუთარ პრესაშიც კი, იქცევიან როგორც წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, რომლებიც ფაქტიურად სავსებით დამოკიდებული არიან კაპიტალისტთა კლასზე და მხოლოდ უნებისყოფო ქანაობის უნარი-ღა შერჩენიათ. ჩვენ, კომუნისტები, მივდივართ ბურჟუაზიულ პარლამენტში, რათა სავსებით დამპალი კაპიტალისტური დაწესებულების ამ ტრიბუნიდანაც კი, სადაც ატყუებენ მუშებსა და მშრომელებს, ვამხილოთ ეს მოტყუება.

ავსტრიის კომუნისტების ერთი მოსაზრება ბურჟუაზიულ პარლამენტში მონაწილეობის წინააღმდეგ ღირსია ცოტა უფრო ყურადღებით განვიხილოთ. ეს მოსაზრება შემდეგია:

«პარლამენტს მნიშვნელობა აქვს კომუნისტებისათვის მხოლოდ როგორც სააგიტაციო ტრიბუნას. ჩვენ ავსტრიაში მოგვეპოვება **მუშათა** დეპუტატების საბჭო, როგორც სააგიტაციო ტრიბუნა. ამიტომ ჩვენ უარს ვამბობთ ბურჟუაზიული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობაზე. გერმანიაში არ არსებობს მუშათა დეპუტატების ისეთი საბჭო, რომლისთვისაც შეიძლებოდა სერიოზული ანგარიში გაგვეწია. ამიტომ გერმანიის კომუნისტები სხვაგვარ ტაქტიკას ადგანან».

ეს მოსაზრება მე მცდარად მიმაჩნია. ვიდრე ჩვენ ჯერ კიდევ არ ძალგვიძს ბურჟუაზიული პარლამენტის გარეკვა, უნდა ვიმუშაოთ მის წინააღმდეგ გარედანაც და შიგნიდანაც. ვიდრე მშრომელთა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რიცხვი — არა მარტო პროლეტარების, არამედ აგრეთვე ნახევრადპროლეტარებისა და წვრილი გლეხებისაც—ჯერ კიდევ ნდობით ეპყრობა ბურჟუაზიის მიერ მუშების მოსატყუებელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იარაღებს, ჩვენ უნდა სააშკარაოზე გამოვიტანოთ ეს მოტყუება ს წ ო რ ე დ ი მ ტ რ ი ბ უ ნ ი დ ა ნ, რომელსაც მუშების და, განსაკუთრებით, არაპროლეტარული მშრომელი მასის ჩამორჩენილი ფენები ყველაზე უფრო არსებითად, ყველაზე უფრო ავტორიტეტულად თვლიან.

ვიდრე ჩვენ, კომუნისტებს, ჯერ კიდევ არ შეგვწევს ძალა სახელმწიფო ძალაუფლება დავიპყრათ და ჩავატაროთ მხოლოდ მშრომელების არჩევნები მ ა თ ი საბჭოების ასარჩევად ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ვიდრე ჯერ კიდევ ბურჟუაზია განაგებს სახელმწიფო ხელისუფლებას და მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს მოუწოდებს არჩევნებისაკენ, ჩვენ ვალდებული ვართ მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში აგიტაციის გასაწევად არა მარტო პროლეტართა, არამედ ყველა მშრომელთა შორის. ვიდრე ბურჟუაზიულ პარლამენტში ატყუებენ მუშებს და «დემოკრატიის» შესახებ წამოსროლილი ფრაზებით ფარავენ ფინანსურ თაღლითობას და ყოველგვარი სახის მოსყიდვას (ბურჟუაზია არსად ისე ფართოდ არ იყენებს მწერლების, დეპუტატების, ადვოკატებისა და სხვ. მიმართ განსაკუთრებით «დახვეწილი» სახის მოსყიდვას, როგორც ბურჟუაზიულ პარლამენტში), — მანამდე ჩვენ, კომუნისტები, ვალდებული ვართ სწორედ ამ დაწესებულებაში, რომელიც ვითომდა ხ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ა ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს, ნამდვილად კი მ დ ი დ რ ე ბ ი ს მ ი ე რ ხ ა ლ ხ ი ს მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს აფუჩეჩებს, დაუცხრომლად ვამხილოთ ეს მოტყუება, ვამხილოთ ყოველი და თვითეული შემთხვევა რენერების და კომპანიის გადასვლისა კაპიტალისტთა მხარეზე მუშების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ პარტიათა და ფრაქციათა ურთიერთობა ყველაზე უფრო ხშირად სწორედ პარლამენტში იჩენს ხოლმე თავს და ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა კლასს შორის არსებულ ურთიერთობას ასახავს. ამიტომ ჩვენ, კომუნისტები, სწორედ ბურჟუაზიულ პარლამენტში, მის შიგნიდან, უნდა განვუმარტავდეთ ხალხს ს ი მ ა რ თ ლ ე ს იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა აქვთ კლასებს პარტიებთან, მემამულეებს — მოჯამაგირეებთან, მდიდარ გლეხებს — უღარიბეს გლეხობასთან, მსხვილ კაპიტალს — მოსამსახურეებსა და წვრილ მეპატრონეებთან და ა. შ.

ყოველივე ეს ს ა ჭ ი რ ო ა იცოდეს პროლეტარიატმა, რათა მან ისწავლოს კაპიტალის ყველა საზიზღარი და გაქნილი ოინების გაგება, რათა ისწავლოს გავლენის მოხდენა წვრილბურჟუაზიულ მასებზე, არაპროლეტარულ მშრომელ მასებზე. ამ

«მეცნიერების» გარეშე პროლეტარიატს არ შეუძლია წარმატებით გაართვას თავი პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებს, ვინაიდან ბურჟუაზია თავისი ახალი პოზიციიდან (დამხობილი კლასის პოზიციიდან) მაშინაც განაგრძობს სხვა ფორმებში და სხვა ასპარეზებზე თავის პოლიტიკას — გლეხთა გაბრიყვების, მოსამსახურეთა მოსყიდვისა და დაშინების, «დემოკრატიის» შესახებ წამოსროლილი ფრაზებით თავის ანგარებიან და ბინძურ მისწრაფებათა დაფარვის პოლიტიკას.

არა. ავსტრიელი კომუნისტები არ შეუშინდებიან რენერებისა და მის მსგავს ბურჟუაზიის ლაქიათა გულღვარძლიანობას. ავსტრიელ კომუნისტებს არ შეეშინდებათ აშკარად და პირდაპირ გამოვიდნენ და აღიარონ საერთაშორისო პროლეტარული დისციპლინა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მუშათა განთავისუფლებისათვის მათი ბრძოლის დიად საკითხებს კწყვეტთ ისე, რომ ვემორჩილებით რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო დისციპლინას, ვითვალისწინებთ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა გამოცდილებას, ანგარიშს ვუწევთ მათ ცოდნას, მათ ნებას და ამნაირად საქმით (და არა სიტყვით, როგორც რენერები, ფრიც ადლერები და ოტო ბაუერები) ვახორციელებთ კომუნიზმისათვის მუშათა კლასობრივი ბრძოლის ერთიანობას მთელ მსოფლიოში.

1920 წ. 15 აგვისტო

ნ. ლენინი

დაიბეჭდა გერმანულ ენაზე
1920 წ. 31 აგვისტოს
გაზეთში «Die Rote Fahne»
(Vien) № 396

რუსულ ენაზე პირველად
გამოქვეყნდა 1925 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი

7 აგვისტოს დამთავრდა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი. წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა მისი დაარსებიდან, და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მიღწეულია უდიდესი, გადამწყვეტი წარმატებანი.

ერთი წლის წინათ I კონგრესზე მხოლოდ ამართულ იქნა კომუნიზმის დროშა, რომლის გარშემო უნდა შემოკრებილიყვნენ რევოლუციური პროლეტარიატის ძალები; ომი გამოეცხადა მეორე, ყვითელ, ინტერნაციონალს, რომელიც აერთიანებს პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ და მუშათა რევოლუციის წინააღმდეგ კაპიტალისტებთან შეკავშირებულ სოციალ-გამცემლებს.

თუ რა უდიდესი წარმატებაა მიღწეული ერთი წლის განმავლობაში, ეს ჩანს, სხვათა შორის, იქიდან, რომ მუშათა მასებში კომუნიზმისადმი თანაგრძნობის ზრდამ აიძულა II ინტერნაციონალიდან გამოსულიყვნენ ევროპისა და ამერიკის უმნიშვნელოვანესი პარტიები, რომლებიც II ინტერნაციონალში შედიოდნენ. ასეთებია, მაგალითად, ფრანგული სოციალისტური პარტია, გერმანიის და ინგლისის «დამოუკიდებელი» პარტიები, ამერიკის სოციალისტური პარტია.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რევოლუციურ მუშათა საუკეთესო წარმომადგენელნი უკვე დადგნენ კომუნიზმის, საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის მხარეზე. ევროპისა და ამერიკის ყველა მოწინავე ქვეყანაში უკვე არის

კომუნისტური პარტიები ან მრავალრიცხოვანი კომუნისტური ჯგუფები. და 7 აგვისტოს დამთავრებულ კონგრესზე უკვე მჭიდროდ დაირაზმნენ პროლეტარული რევოლუციის არა მარტო მოწინავე წინამორბედნი, არამედ პროლეტართა მასებთან დაკავშირებული მტკიცე და ძლიერი ორგანიზაციების დელეგატებიც. რევოლუციური პროლეტარიატის მსოფლიო არმია— აი ვინ ემხრობა ახლა კომუნიზმს, აი ვინ მიიღო თავისი ორგანიზაცია, მოქმედების ნათელი, ზუსტი და ვრცელი პროგრამა ახლახან დამთავრებულ კონგრესზე.

კონგრესმა უარი თქვა დაუყოვნებლივ მიეღო კომუნისტურ ინტერნაციონალში ის პარტიები, რომლებმაც თავის წრეში ჯერ კიდევ შეინარჩუნეს «მენშევიზმის», სოციალ-გამცემლობის, ოპორტუნიზმის გავლენიანი წარმომადგენლები, მსგავსად ზემოთ დასახელებული II, ყვითელი ინტერნაციონალიდან გამოსული პარტიებისა.

კონგრესმა მთელ რიგ სავსებით გარკვეულ რეზოლუციებში უარყო ოპორტუნიზმის ყოველგვარი დაშვება, მოითხოვა მასთან აუცილებლად კავშირის გაწყვეტა. და კონგრესზე გამოცხადებულმა უეჭველმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ მუშათა მასები ჩვენ გვემხრობიან, რომ ოპორტუნისტები ახლა საბოლოოდ დამარცხდებიან.

კონგრესმა გამოასწორა ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებული შეცდომები იმ კომუნისტებისა, რომელთაც სურთ უსათუოდ «მარცხნივ» იარონ და რომელნიც უარყოფდნენ იმის აუცილებლობას, რომ ემუშავნათ ბურჟუაზიულ პარლამენტებში, რეაქციულ პროფკავშირებში, ყველგან, სადაც მილიონობით არიან მუშები, რომელთაც ჯერ კიდევ აბრიყვებენ კაპიტალისტები და მუშათა წრიდან გამოსული მათი ლაქიები, ე. ი. მეორე, ყვითელი, ინტერნაციონალის წევრები.

კონგრესმა შექმნა მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიების ისეთი მჭიდრო დარაზმულობა და დისციპლინა, რომელიც წინათ არასოდეს არ ყოფილა და რომელიც მუშათა რევოლუციის ავანგარდს საშუალებას მისცემს ზღაპრული ნაბიჯით

გასწიოს წინ თავისი დიადი მიზნისაკენ, კაპიტალის უღლის დამხობისაკენ.

კონგრესი განამტკიცებს კავშირს ქალთა კომუნისტურ მოძრაობასთან, — ერთდროულად მოწყობილი მუშა-ქალთა საერთაშორისო კონფერენციის მეოხებით.

კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ აგრეთვე კომუნისტური ჯგუფები და პარტიები აღმოსავლეთისა, კოლონიური და ჩამორჩენილი ქვეყნებისა, რომელთაც ასე მხეცურად ძარცვავს, ჩაგრავს და იმონებს მძარცველ ერთა «ცივილიზებული» კავშირი. მოწინავე ქვეყნების რევოლუციური მოძრაობა სინამდვილეში უბრალო მოტყუება იქნებოდა, თუ არ მოხდებოდა ევროპისა და ამერიკის კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშებისა და იმ მრავალი ასეული მილიონი «კოლონიური» მონის სრული და უმჭიდროესი გაერთიანება, რომელთაც ეს კაპიტალი ჩაგრავს.

დიდია მუშებისა და გლეხების საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო გამარჯვებანი მემამულეებსა და კაპიტალისტებზე, იუდენიჩებზე, კოლჩაკებზე, დენიკინებზე და თეთრ პოლონელებზე, მათ დამქაშებზე — საფრანგეთზე, ინგლისზე, ამერიკაზე, იაპონიაზე.

მაგრამ კიდევ უფრო დიდია ჩვენი გამარჯვება მუშათა, მშრომელთა გულსა და გონებაში, კაპიტალის მიერ ჩაგრულთა მასების გულსა და გონებაში, კომუნისტური იდეებისა და კომუნისტური ორგანიზაციების გამარჯვება მთელ მსოფლიოში.

პროლეტარიატის რევოლუცია, კაპიტალიზმის უღლის დამხობა ხდება და მოხდება ყველგან — დედამიწის ყველა ქვეყანაში.

«კომმუნისტკა» № 3 — 4,
1920 წ. აგვისტო — სექტემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალ «კომმუნისტკის» ტექსტის მიხედვით

პასუხი გაზეთ «დეილი-ნიუსის» კორესპონდენტს ბ-ნ სეგრიუს

თქვენს შეკითხვაზე, რომელიც 1920 წლის 3 სექტემბერს ტელეგრაფით მივიღე, გატყობინებთ, რომ ბოლშევიზმზე თავდასხმა გერმანიის ისეთ დამოუკიდებელთა მემარჯვენე ფრთის მხრივ, როგორიც დიტმანია, მე არ მაკვირვებს. ჩემს სიტყვაში კომინტერნის კონგრესზე მოსკოვში მე დავამტკიცე, რომ კრისპინის იდეები სავსებით კაუცკურია. ბუნებრივია, კრისპინისა და დიტმანის მსგავსი კაუცკელები ბოლშევიზმით უკმაყოფილონი არიან. სამწუხარო იქნებოდა, ასეთი ადამიანები ჩვენით კმაყოფილი რომ ყოფილიყვნენ. ბუნებრივია, რომ ისეთი წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, როგორიც არის დიტმანი, სავსებით გვანან ჩვენს მენშევიკებს და გადამწყვეტ ბრძოლაში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ხშირად უკანასკნელის მხარეზე აღმოჩნდებიან ხოლმე. დიტმანი აღშფოთებულია დახვრეტებით, მაგრამ ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში მენშევიკებს ხვრეტენ რევოლუციური მუშები და რომ დიტმანს ეს მაინცდამაინც არაფრად მოეწონება. ცუდი იქნებოდა III, კომუნისტური ინტერნაციონალი, რომ მას თავის რიგებში შეეშვა გერმანული, ფრანგული თუ რომელიმე სხვაგვარი ყაიდის დიტმანები.

ხოლო თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საფრანგეთის, გერმანიისა და ბრიტანეთის მუშათა დელეგაციების ანგარიშებმა ბოლშევიზმს მეტი ვნება მიაყენეს, ვიდრე მთელმა ანტიბოლშევიკურმა პროპაგანდამ, მაშინ მე სიამოვნებით ვღებულობ იმ დასკვნას, რომელიც აქედან გამომდინარეობს.

მოდით დავდვათ ხელშეკრულება: თქვენ — ყველა ქვეყნის ანტიბოლშევიკური ბურჟუაზიის სახელით, მე — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით. დაე, ამ ხელშეკრულების თანახმად, ჩვენთან, რუსეთში, ყველა ქვეყნიდან გამოიგზავნოს მუშათა და წვრილ გლეხთა დელეგაციები (ე. ი. მშრომელთა დელეგაციები, იმათი დელეგაციები, ვინც საკუთარი შრომით ქმნის კაპიტალის მოგებას) იმ პირობით, რომ თვითეულმა დელეგაციამ რუსეთში ერთი-ორი თვე იცხოვროს. თუ ასეთი დელეგაციების ანგარიშები სასარგებლოა ანტიბოლშევიკური პროპაგანდის საქმისათვის, მათი გამოგზავნის მთელი ხარჯები საერთაშორისო ბურჟუაზიას უნდა ეკისრებია. მაგრამ ვინაიდან მხედველობაში ვღებულობთ, რომ ეს ბურჟუაზია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მეტად სუსტი და ღარიბია, ხოლო ჩვენ რუსეთში მდიდრები და ძლიერები ვართ, ამიტომ მე თანახმა ვარ ვიშუამდგომლო საბჭოთა მთავრობის წინაშე და გამოვითხოვო ისეთი შეღავათი, რომ ხარჯების $^3/_4$ მან აიღოს თავისთავზე და მხოლოდ $^1/_4$ დაეკისროს ყველა ქვეყნის მილიონერებს.

დარწმუნებული ვარ, თქვენ, რომელიც თქვენს დეპეშაში თვითონვე უწოდებთ თქვენ თავს კეთილსინდისიერ ჟურნალისტს, უარს არ იტყვით ყველგან და ყოველთვის გასწიოთ პროპაგანდა ასეთი ხელშეკრულებისა საბჭოთა რესპუბლიკასა და საერთაშორისო ბურჟუაზიას შორის, რაღა თქმა უნდა, ანტიბოლშევიკური პროპაგანდის ინტერესებისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

1920 წ. 8 სექტემბერი.

«პრავდა» № 202,
1920 წ. 12 სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციაზე [53] 1920 წ. 22 სექტემბერს

საგაზეთო ანგარიში

პოლონეთთან ომმა, უფრო სწორად, ივლის — აგვისტო! კამპანიამ, ძირფესვიანად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა.

პოლონელების თავდასხმას ჩვენზე წინ უძღოდა მაშინდელი საერთაშორისო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ეპიზოდი. როდესაც ჩვენ იანვარში პოლონეთს მისთვის მეტად ხელსაყრელი და ჩვენთვის ფრიად არახელსაყრელი ზავი შევთავაზეთ, — ყველა ქვეყნის დიპლომატებმა ეს თავისებურად გაიგეს: «ბოლშევიკები მეტად ბევრს უთმობენ, — მაშასადამე, ისინი ძალიან სუსტნი არიანო». ერთხელ კიდევ დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ ბურჟუაზიულ დიპლომატიას არ ძალუძს გაიგოს ჩვენი ახალი დიპლომატიის აშკარა და პირდაპირი განცხადების წესები. ამიტომ ჩვენმა წინადადებებმა მხოლოდ გააფთრებული შოვინიზმის აზვირთება გამოიწვია პოლონეთში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში და წააქეზა პოლონეთი ჩვენზე თავდასასხმელად. პოლონეთმა ჯერ კიევი დაიპყრო, შემდეგ ჩვენი ჯარები კონტრშეტევით მიადგნენ ვარშავას; მერე მოხდა გარდატეხა, — და ჩვენ უკან დავიხიეთ-ას ვერსზე მეტით.

მაგრამ ამის შედეგად შექმნილი უთუოდ მძიმე მდგომარეობა სულაც არ წარმოადგენს ჩვენთვის ცარიელ წაგებას. ჩვენ სასტიკად გავუცრუეთ დიპლომატებს ჩვენი სისუსტის იმედი და დავამტკიცეთ, რომ პოლონეთი ჩვენ ვერ დაგვაძარ-

ცხებს, — ჩვენ კი პოლონეთზე გამარჯვებას აღარაფერი გვიკლდა და აღარაფერი გვიკლია. გარდა ამისა, ჩვენ ახლაც გვიჭირავს ასი ვერსი დაპყრობილი ტერიტორია. ბოლოს, ჩვენმა წინ წაწევამ ვარშავისაკენ ისეთი ძლიერი ზეგავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპაზე და მთელ მსოფლიო სიტუაციაზე, რომ სავსებით დაარღვია მებრძოლ მხარეთა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა.

ჩვენი არმიის ვარშავასთან მიახლოებამ უდავოდ დაამტკიცა, რომ სადღაც მასთან ახლოს ძევს ვერსალის ხელშეკრულებაზე დამყარებული მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემის ცენტრი. პოლონეთი, ბოლშევიკების საწინააღმდეგო უკანასკნელი დასაყრდენი, რომელიც ერთიანად ანტანტის ხელში იმყოფება, ამ სისტემის იმდენად ძლიერი ფაქტორია, რომ, როდესაც წითელი არმია ამ დასაყრდენს დაემუქრა, მთელი სისტემა შეირყა. საბჭოთა რესპუბლიკა საერთაშორისო პოლიტიკაში პირველხარისხოვანი ფაქტორი ხდებოდა.

შექმნილ ახალ მდგომარეობაში უწინარეს ყოვლისა თავი იჩინა იმ დიდმნიშვნელოვანმა ფაქტმა, რომ ანტანტის უღელქვეშ მყოფი ქვეყნების ბურჟუაზია უფრო ჩვენკენ არის, ასეთი ქვეყნები კი მთელი კაცობრიობის 70 % შეადგენენ დედამიწაზე. ჩვენ ადრეც ვხედავდით, რომ პატარა სახელმწიფოები, რომელთაც ემწარათ ანტანტის მეურვეობა (ესტონეთი, საქართველო და სხვ.) და რომელნიც ახრჩობენ თავის ბოლშევიკებს, ზავს ჰკრავენ ჩვენთან ანტანტის სურვილის წინააღმდეგ. ახლა ეს განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა მსოფლიოს ყოველ კუთხეში. როგორც კი ჩვენი ჯარები ვარშავას მიუახლოვდნენ, მთელი გერმანია მღელვარებამ მოიცვა. იქ ისეთი სურათი შეიქმნა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში 1905 წელს, როცა შავრაზმელები აღძრავდნენ და იწვევდნენ პოლიტიკური ცხოვრებისათვის გლეხობის ფართო, ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს, რომელნიც დღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ მიდიოდნენ, ხვალ კი მემამულეთა მთელ მიწებს მოითხოვდნენ. გერმანიაშიც ჩვენ ვნახეთ ასეთივე არაბუნებრივი ბლოკი შავრაზმელებსა და ბოლშევიკებს შორის. გაჩნდა შავრაზმელ-რევოლუციონერის

უცნაური ტიპი, აღმოსავლეთ პრუსიის იმ განუვითარებელი სოფლელი ბიჭის მსგავსი, რომელიც, როგორც ამ დღეებში წავიკითხე ერთ გერმანულ არაბოლშევიკურ გაზეთში, ამბობს, ვილჰელმი უნდა დავაბრუნოთ, რადგანაც წესრიგი არ არის, მაგრამ ბოლშევიკებს კი უნდა გავყვეთო.

ვარშავასთან ჩვენი ყოფნის მეორე შედეგი იყო ძლიერი ზეგავლენა ევროპის, განსაკუთრებით ინგლისის რევოლუციურ მოძრაობაზე. თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ პოლონეთის სამრეწველო პროლეტარიატამდე (და ეს ჩვენი დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია), რომელიც ვისლის გაღმა და ვარშავაში იმყოფება, სამაგიეროდ ინგლისის პროლეტარიატამდე მივედით და მისი მოძრაობა გაუგონარ სიმაღლეზე, რევოლუციის სრულიად ახალ საფეხურზე ავიყვანეთ. როდესაც ინგლისის მთავრობამ ულტიმატუმი წამოგვიყენა, აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ ჯერ ინგლისის მუშებს უნდა დაკითხებოდნენ. ხოლო ამ მუშებმა, რომელთა ბელადების ცხრა მეათედი გაბორროტებული მენშევიკებია, ამას «მოქმედების კომიტეტის» [54] დაარსებით უპასუხეს.

ინგლისის პრესა შეშფოთდა და აყვირდა — ეს «ორხელისუფლებიანობაა». და ის მართალი იყო. ინგლისი აღმოჩნდა პოლიტიკური ურთიერთობის იმ სტადიაში, როგორიც იყო რუსეთში 1917 წლის თებერვლის შემდეგ, როცა საბჭოები იძულებული იყვნენ კონტროლი გაეწიათ ბურჟუაზიული მთავრობის ყოველი ნაბიჯისათვის. «მოქმედების კომიტეტი» წარმოადგენს ყველა მუშის გაერთიანებას განურჩევლად პარტიებისა; ეს გაერთიანება გავს ჩვენს იმ დროინდელ სრულიად რუსეთის ცაკს, როცა იქ ბატონობდნენ გოცი, დანი და სხვ., — ეს ისეთი გაერთიანებაა, რომელიც მთავრობას კონკურენციას უწევს და რომელშიც მენშევიკები იძულებულნი არიან სანახევროდ ბოლშევიკურად მოიქცნენ. და როგორც, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მენშევიკები დაიბნენ და ძალაუნებურად დაეხმარნენ მასების ჩვენთან გადმოსვლას, ისევე «მოქმედების კომიტეტის» მენშევიკები მოვლენათა დაუძლეველი განვითარებით იძულებული არიან ინგლისის მუშათა

მასებს გზა გაუკაფონ ბოლშევიკური რევოლუციისაკენ. ინგლისის ძენშევიკები, კომპეტენტური პირების მოწმობით, უკვე თავს გრძნობენ როგორც მთავრობა და აპირებენ ახლო მომავალში ბურჟუაზიული მთავრობის ადგილი დაიკავონ. ეს იქნება შემდგომი საფეხური ინგლისის პროლეტარული რევოლუციის საერთო პროცესში.

ინგლისის მუშათა მოძრაობაში მომხდარი ეს უდიდესი ძვრები მძლავრ გავლენას ახდენს მსოფლიო მუშათა მოძრაობაზე და პირველ რიგში საფრანგეთის მუშათა მოძრაობაზე.

ასეთია პოლონეთში ჩვენი უკანასკნელი კამპანიის შედეგები საერთაშორისო პოლიტიკაში და იმ ურთიერთობაში, რომელიც დასავლეთ ევროპაში იქმნება.

ახლა ჩვენს წინაშე დგას პოლონეთთან ომისა და ზავის საკითხი. ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ ჩვენთვის მძიმე ზამთრის კამპანია და ხელახლა ვთავაზობთ პოლონეთს მისთვის ხელსაყრელ და ჩვენთვის არახელსაყრელ ზავს. მაგრამ შესაძლებელია ბურჟუაზიულმა დიპლომატებმა, ძველი ჩვეულებისამებრ, ჩვენი აშკარა განცხადება კვლავ სისუსტის ნიშნად მიიჩნიონ. ალბათ, მათ უკვე გადაწყვეტილი აქვთ ზამთრის კამპანია. ამიტომ ჩვენ აქ უნდა გამოვარკვიოთ ის პირობები, რომლებშიც მოგვიხდება ომის ახალი მოსალოდნელი პერიოდის დაწყება.

ჩვენმა დამარცხებამ ერთგვარი ცვლილებები გამოიწვია დასავლეთ ევროპაში და ჩვენს წინააღმდეგ შეაერთა ჩვენდამი მტრულად განწყობილი სხვადასხვაგვარი ელემენტები. მაგრამ ჩვენ არა ერთხელ გვინახავს ჩვენს წინააღმდეგ მომართული უფრო ძლიერი გაერთიანებანი და განწყობილება, თუმცა აქედან არაფერი გამოსულა.

ჩვენს წინააღმდეგ შემდგარია პოლონეთის, საფრანგეთისა და ვრანგელის ბლოკი, რომელზედაც საფრანგეთი მთელ თავის იმედს ამყარებს. მაგრამ ამ ბლოკს სჭირს ძველი ავადმყოფობა — ესაა მისი ელემენტების შეურიგებლობა, შიში, რომელსაც განიცდის პოლონეთის წვრილი ბურჟუაზია შავრაზმული რუსეთისა და მისი ტიპიური წარმომადგენლის — ვრანგელის

მიმართ. წვრილბურჟუაზიულ, პატრიოტულ პოლონეთს, პოლონეთის სოციალისტურ პარტიას, ლიუდოველების, შეძლებული გლეხების პარტიებს ზავი უნდათ. ამ პარტიათა წარმომადგენელნი ამბობდნენ მინსკში: «ჩვენ ვიცით, რომ ვარშავა და პოლონეთი იხსნა არა ანტანტამ, — იგი ჩვენ ვერ გვიხსნიდა, — არამედ ის იხსნა პატრიოტულმა აღფრთოვანებამ». ამ გაკვეთილებს არ ივიწყებენ. პოლონელები აშკარად ხედავენ, რომ ისინი ომიდან ფინანსურად სრულიად გაჩანაგებული გამოვლენ. ომისთვის ხომ ფულია საჭირო, საფრანგეთი კი «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებას» აღიარებს. წვრილბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლებმა იციან, რომ პოლონეთის მდგომარეობა ჯერ კიდევ ომამდე იყო კრიზისის პირას მისული, იციან, რომ ომს შემდგომი გაჩანაგება მოყვება, ამიტომაც ისინი ზავს არჩევენ. აი, ჩვენ სწორედ ამ შანსით გვინდა ვისარგებლოთ, როცა პოლონეთს საზავო წინადადებას ვაძლევთ.

გამოაშკარავდა აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი ახალი ფაქტორი: პოლონეთის არმიის სოციალური შემადგენლობის ცვლილება. ჩვენ კოლჩაკი და დენიკინი დავამარცხეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი არმიების სოციალური შემადგენლობა შეიცვალა, როცა ძირითადი მაგარი კადრები ახალგაწვეულ გლეხურ მასაში გაითქვიფენ. ეს პროცესი დღეს მიმდინარეობს პოლონეთის არმიაში, რომელშიც მთავრობა იძულებული იყო გაეწვია უფრო სასტიკ, იმპერიალისტურ ომში გამოვლილი უფროსი ასაკების გლეხები და მუშები. ეს არმია ახლა უკვე შედგება არა ბავშვებისაგან, რომელთა «დამუშავება» ადვილი იყო, არამედ მოზრდილთაგან, რომელთაც რაც გინდათ ყველაფერს ვერ ჩააგონებთ. პოლონეთმა უკვე გადალახა ის ზღვარი, როცა მას უზრუნველყოფილი ჰქონდა ჯერ მაქსიმალური გამარჯვება, ხოლო შემდეგ მაქსიმალური დამარცხება.

თუ ჩვენ ზამთრის კამპანია მოგველის, უეჭველად გავიმარჯვებთ, მიუხედავად დაუძლურებისა და დაქანცვისა. ამის თავდებია აგრეთვე ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. იგი საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩვენ, წარსულთან შედარებით, მტკიცე

ეკონომიური ბაზა მოვიპოვეთ. თუ 1917 — 1918 წელს ჩვენ შეკრიბეთ 30 მილიონი ფუთი პური, 1918 — 1919 წელს — 110 მილიონი ფუთი, 1919 — 1920 წელს — 260 მილიონი ფუთი, მომავალ წელს იმედი გვაქვს შევკრიბოთ 400 მილიონ ფუთამდე. ეს უკვე ის ციფრი აღარ არის, რომელსაც თავს ვატეხდით შიმშილობის წლებში. ჩვენ აღარ დაგვჭირდება ასეთი საშინელებით ვუყუროთ ფერად-ფერად ქაღალდებს, რომლებიც მილიარდობით ტრიალებს და ახლა ნათლად მოწმობს, რომ ისინი ძველი ბურჟუაზიული ტანსაცმლის ნაფლეთები და ნაგლეჯებია.

ჩვენ გვაქვს ეს მილიონ ფუთზე მეტი ნავთი. დონის აუზი უკვე გვაძლევს თვეში 20 — 30 მილიონ ფუთ ნახშირს. საგრძნობლად გაუმჯობესდა შეშის საქმეც. შარშან კი ჩვენ მარტო შეშის ამარა ვისხედით უნავთოდ და უნახშიროდ.

ყოველივე ეს კი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ, თუ ძალებს დავრაზმავთ და დავძაბავთ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

«პრავდა» № 216,
1920 წ. 29 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პრავდის» ტექსტის
მიხედვით

წერილი გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო.[54]

ამხანაგებო! გერმანიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იმ კამათს, რომელიც გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში წარმოებს კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის გამო. ბურჟუაზიული პრესა განსაკუთრებული ენერგიით იცავს ორივე პარტიის მემარჯვენე, ოპორტუნისტული ნაწილის შეხედულებებს.

ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ეს მემარჯვენე ელემენტები არსებითად წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს წარმოადგენენ, რომელთაც, დიტმანისა და კრისპინის მსგავსად, არ შეუძლიათ რევოლუციურად იაზროვნონ, უნარი არ შესწევთ დაეხმარონ მუშათა კლასს რევოლუციისათვის მზადებაში და რევოლუციის განხორციელებაში. ამ მემარჯვენე, ოპორტუნისტულ ელემენტებთან გათიშვა აუცილებელია, ეს ერთადერთი საშუალებაა მთელი ნამდვილად რევოლუციური, ნამდვილად პროლეტარული მასების დასარაზმავად.

მოსკოვის «დიქტატორობაზე» ყვირილი და სხვ. — ეს უბრალო თვალისახვევაა. ნამდვილად კი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში ოცი წევრია, მათ შორის მხოლოდ ხუთია რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრი. მთელი ლაპარაკი «დიქტატორობაზე» და სხვ. — თავის მოტყუება ან მუშების მოტყუებაა. ეს ლაპარაკი ისევე ფარავს ოპორტუნისტული ბელადების გარკვეული რაოდენობის გაჯოტრებას, როგორც ამგვარივე ლაპარაკი ფარავდა K. A. P. D-ში

(გერმანიის კომუნისტურ მ უ შ ა თ ა პარტიაში) მისი იმ ზოგიერთი ბელადის გაკოტრებას, რომლებმაც პროლეტარული რევოლუციურობის გზიდან გადაუხვიეს. ასეთივე თავისმოტყუებას თუ მოტყუებას წარმოადგენს ყვირილი, ვითომდა «მოსკოველი დიქტატორები» კომინტერნში მიღების პირობებში განსაზღვრულ პირებს სდევნიდნენ. მიღების პირობების მე-20 პარაგრაფში აშკარად, თეთრზე შავით, ნათქვამია, რომ «გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი» (Ausnahmen) ს ა ს ტ ი კ ი წ ე ს ე ბ ი დ ა ნ მემარჯვენე ფრთის ბელადებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის მიმართ დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა III ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ა ღ მ ა ს კ ო მ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ.

რაკი გამონაკლისის დაშვება პირდაპირ აღიარებულია, მაშასადამე, ლაპარაკიც კი არ შეიძლება ამა თუ იმ ცალკეულ პიროვნებათა უდავო დაუშვებლობაზე. მაშასადამე, სავსებით აღიარებულია, რომ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას არა წარსული, არამედ აწმყო, გათვალისწინებულ იქნას ცალკეულ პირთა, ცალკეულ ბელადთა შეხედულებებისა და ქცევის ცვლილება. რაკი გამონაკლისის დაშვება აღიარებულია III ინტერნაციონალის აღმასკომის თანხმობის მიხედვით, — ამ აღმასკომში კი რუსები მხოლოდ ერთ მეოთხედს შეადგენენ, — ცხადია, სისულელე და სრული სიცრუეა «დიქტატორობაზე» ყვირილი და სხვ.

მთელი ეს ყვირილი — მხოლოდ თვალისახვევაა. ნამდვილად კი ბრძოლა წარმოებს რევოლუციურ, პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ და ოპორტუნისტულ, წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ელემენტებს შორის. ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდნენ და ეკუთვნიან ჰილფერდინგები, დიტმანები, კრისპინები, გერმანიისა და საფრანგეთის საპარლამენტო ფრაქციების მრავალრიცხოვანი წევრები და სხვ.. ამ ორი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ბრძოლა წარმოებს მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში; ამ ბრძოლას თავისი გრძელი ისტორია აქვს; ეს ბრძოლა ყველგან გამწვავდა და მწვავდება იმპერიალისტური ომის დროს და მის შემდეგ. ოპორტუნიზმი წარმოდგენილია «მუშათა

არისტოკრატიის», პროფკავშირების, კოოპერატივებისა და სხვ. ძველი ბიუროკრატიის ელემენტებით, ინტელიგენტურ-მეშჩანური ფენებით და ა. .შ.. თუ არ გავიწმინდეთ ამ მ ი მ-დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ, რომელიც თავისი მერყეობით, თავი-სი «მენშევიზმით» (დიტმანები და კრისპინები სულ ჩვენებურ მენშევიკებს გვანან) ნამდვილად ახორციელებს ბურჟუაზიის გავლენას პროლეტარიატზე მუშათა მოძრაობის შ ი გ ნ ი დ ა ნ, სოციალისტური პარტიების შ ი გ ნ ი დ ა ნ, — თუ არ გავიწმინ-დეთ ამ მიმდინარეობისაგან, თუ არ გამოვეთიშეთ მას, თუ არ გავრიცხეთ ყველა მისი ცნობილი წარმომადგენელი, ისე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა რევოლუციური პროლეტარიატის და-რაზმვა.

დიტმანები, კრისპინები და სხვ. თავიანთი მუდმივი გადახ-რით რეფორმიზმისა და მენშევიზმისაკენ, თავიანთი უუნარო-ბით — რევოლუციურად იაზროვნონ და იმოქმედონ, სინამდვი-ლეში შეუგნებლად ახორციელებენ ბურჟუაზიის გავლენას პროლეტარიატზე თვით პროლეტარული პარტიის შიგნიდან, ახორციელებენ პროლეტარიატის დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ს ბ უ რ-ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი ს ა დ მ ი. მხოლოდ ასეთ და მათ მსგავს ადამიანებთან გათიშვა ახორციელებს რევოლუ-ციური პროლეტარიატის ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ე რ-თ ი ა ნ ო ბ ა ს ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მის დასამ-ხობად.

იტალიაში მომხდარმა ამბებმა თვალი უნდა აუხილოს ყვე-ლაზე ჯიუტ ადამიანებსაც კი იმათ შორის, ვინც ვერ ხედავს კრისპინებსა და დიტმანებთან «ერთიანობისა» და «ზავის» მავნებლობას. იტალიელმა კრისპინებმა და დიტმანებმა (ტუ-რატი, პრამპოლინი, დარაგონა) მყისვე დაიწყეს იტალიაში რევოლუციის ხ ე ლ ი ს შ ე შ ლ ა, როგორც კი იქ საქმე ნ ა მ დ ვ ი ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ზ ე მ ი დ გ ა. საქმე კი, — მეტი თუ ნაკლები სიჩქარით, მეტი თუ ნაკლები სიძნელითა და ტანჯვით, — აქეთკენ მიდის მთელ ევროპაში, მთელ მსოფ-ლიოში.

დროა საბოლოოდ მოიშოროთ თავიდან ყველა ეს უაღრესად მავნე ილუზია, ვითომ შესაძლებელი იყოს «ერთიანობა» ან «ზავი» დიტმანებთან და კრისპინებთან, გერმანიის «დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის», ინგლისის «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის», ფრანგული სოციალისტური პარტიისა და სხვ. მემარჯვენე ფრთასთან. დროა რევოლუციურმა მუშებმა ყველგან გაწმინდონ თავიანთი პარტიები მათგან და შექმნან პროლეტარიატის ნამდვილად ერთიანი კომუნისტური პარტიები.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1920 წ. 24 სექტემბერი.

«პრავდა» № 213,
1920 წ. 25 სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები

(სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე) 1920 წ. 2 ოქტომბერი [56]

(ლენინს მთელი ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა.) ამხანაგებო, მე მინდა დღეს გესაუბროთ თემაზე, თუ როგორია კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძირითადი ამოცანები და, ამასთან დაკავშირებით — როგორი უნდა იყოს საზოგადოდ ახალგაზრდობის ორგანიზაციები სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ამ საკითხზე მით უფრო უნდა შევჩერდეთ, რომ გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას: სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა. ვინაიდან ცხადია, რომ მუშაკების ის თაობა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაშია აღზრდილი, უკეთეს შემთხვევაში შეძლებს გადაჭრას ექსპლოატაციაზე აგებული ძველი კაპიტალისტური ყოფაცხოვრების საფუძველთა მოსპობის ამოცანა. უკეთეს შემთხვევაში იგი შეძლებს გადაჭრას ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ამოცანები, რომელიც პროლეტარიატსა და მშრომელ კლასებს დაეხმარებოდა თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და შეექმნათ მტკიცე საძირკველი, რომელზეც შეუძლია შენება მხოლოდ იმ თაობას, რომელიც მუშაობას იწყებს უკვე ახალ პირობებში, ისეთ ვითარებაში, როცა ადამიანთა შორის ექსპლოატატორული ურთიერთობა აღარ არსებობს.

და აი, ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით ახალგაზრდობის ამოცანების საკითხს, უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ახალ-

გაზრდობის და კერძოდ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთა და ყოველგვარ სხვა ორგანიზაციათა ეს ამოცანები შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოგვეხატა: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლონ.

გასაგებია, რომ ეს მხოლოდ «ერთი სიტყვაა». იგი ჯერ კიდევ არ გვაძლევს პასუხს მთავარ და ყველაზე არსებით კითხვებზე — რა ვისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ? აქ კი მთელი საქმე ის არის, რომ ძველი კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნასთან ერთად არ შეიძლება არ გარდაიქმნას და ძველებური დარჩეს იმ ახალ თაობათა სწავლა, აღზრდა და განათლება, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას შექმნიან. ახალგაზრდობის სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა. მხოლოდ მაშინ, თუ ძირფესვიანად გარდავქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების შექმნა. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ იმ საკითხზე, რა უნდა ვასწავლოთ და როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ, თუ მას ნამდვილად სურს გაამართლოს კომუნისტური ახალგაზრდობის სახელწოდება, და როგორ უნდა მოვამზადოთ იგი, რათა მან შეძლოს ბოლომდე ააშენოს და დაასრულოს ის, რაც ჩვენ დავიწყეთ.

მე უნდა გითხრათ, რომ, თითქოს, პირველი და ყველაზე უფრო ბუნებრივი პასუხი ის არის, რომ ახალგაზრდობის კავშირმა და საზოგადოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

მაგრამ ეს პასუხი — «ისწავლოს კომუნიზმი» — მეტად ზოგადი პასუხია. რა გვესაჭიროება ჩვენ იმისათვის, რომ

კომუნიზმი ვისწავლოთ? რა უნდა გამოვყოთ საერთო ცოდნათა ჯამიდან, რომ კომუნიზმის ცოდნა შეეიძინოთ? აქ ჩვენ მოგველის მრავალი საფრთხე, რომელიც ძალიან ხშირად იჩენს ხოლმე თავს, როგორც კი კომუნიზმის სწავლის ამოცანას არასწორად აყენებენ, ანდა როდესაც იგი მეტად ცალმხრივად აქვთ გაგებული.

ბუნებრივია, რომ პირველი შეხედვით ადამიანს ის აზრი ებადება, თითქოს კომუნიზმის სწავლა ნიშნავდეს ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას, რაც გადმოცემულია კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა და შრომებში. მაგრამ კომუნიზმის შესწავლის ასეთი განსაზღვრა მეტად უხეში და არასაკმარისი იქნებოდა. კომუნიზმის შესწავლა რომ მარტო იმის შეთვისება იყოს, რაც კომუნისტურ შრომებში, წიგნაკებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მაშინ ძალიან ადვილად მივიღებდით კომუნისტურ მედავითნეებს ან მკვეხარებს, ეს კი ყოველ ნაბიჯზე ვნებას და ზიანს მოგვიტანდა, რადგან ეს ადამიანები, რომელნიც ისწავლიდნენ და გადაიკითხავდნენ იმას, რაც კომუნისტურ წიგნებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მთელი ამ ცოდნის შეერთების უნარს მოკლებული იქნებოდნენ და ვერ იმოქმედებდნენ ისე, როგორც ამას ნამდვილად მოითხოვს კომუნიზმი.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება და უბედურება, რაც ჩვენ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან დაგვრჩა, — ეს არის წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან, ვინაიდან ჩვენ გვქონდა წიგნები, სადაც ყველაფერი საუცხოოდ იყო შეფერადებული, და ეს წიგნები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენდნენ უსაზიზღრეს თვალთმაქცურ სიცრუეს, რომელიც ყალბად გვიხატავდა კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ამიტომ უბრალო მწიგნობრული შეთვისება იმისა, რაც ნათქვამია წიგნებში კომუნიზმის შესახებ, მეტისმეტად არასწორი იქნებოდა. ახლა ჩვენს სიტყვებსა და სტატიებში არაა იმის უბრალო განმეორება, რასაც წინათ კომუნიზმის შესახებ ამბობდნენ, რადგან ჩვენი სიტყვები და სტატიები დაკავშირე-

ბულია ყოველდღიურ და ყოველმხრივ მუშაობასთან. [მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად არა ღირს,] რადგან ის განაგრძობდა ძველებურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის, იმ ძველებურ გათიშვას, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე საძაგელ თვისებას შეადგენდა.

კიდევ უფრო საშიში იქნებოდა, მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების შეთვისება რომ დაგვეწყო. თუ ჩვენ ამ საშიშროებას თავის დროზე ვერ შევიგნებდით და მთელ ჩვენს მუშაობას ამ საშიშროების მოსპობისაკენ არ მივმართავდით, მაშინ ნახევარი მილიონი თუ მილიონი ისეთი ადამიანის — ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალიშვილების — არსებობა, რომელნიც კომუნიზმის ასეთი შესწავლის შემდეგ თავისთავს კომუნისტებს უწოდებდნენ, მხოლოდ უდიდეს ზიანს მოუტანდა კომუნიზმის საქმეს.

აქ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: როგორღა უნდა შევაერთოთ ყოველივე ეს კომუნიზმის შესასწავლად? რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან, ძველი მეცნიერებიდან? ძველი სკოლა აცხადებდა, რომ მას სურს შექმნას ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომ ის ასწავლის მეცნიერებებს საზოგადოდ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მთლიანად სიცრუე იყო, ვინაიდან მთელი საზოგადოება ადამიანების კლასებად, ექსპლოატატორებად და ჩაგრულებად დაყოფაზე იყო დაფუძნებული და დაყრდნობილი. ბუნებრივია, რომ მთელი ძველი სკოლა, მთლიანად და სავსებით კლასობრივი სულით გაჟღენთილი, ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის შვილებს აძლევდა. ყოველი მისი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი იყო შეგუებული. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ გეშავდნენ. მათ ზრდიდნენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუაზიისათვის გამოსადეგი მსახურნი, რომელნიც მას მოგებას მისცემდნენ და ამავე დროს არ შეაშფოთებდნენ მის მოსვენებასა და უსაქმურ ცხოვრებას. ამიტომ, უარვყავით რა

ძველი სკოლა, ჩვენ ამოცანად დავისახეთ ავიღოთ მისგან მხოლოდ ის, რაც გვჭირდება იმისათვის, რომ ნამდვილ კომუნისტურ განათლებას მივაღწიოთ.

აქ მე მივადექი ძველი სკოლის მიმართ იმ საყვედურს, იმ ბრალდებებს, რაც მუდამ გვესმის და რაც ხშირად სრულიად მცდარ გაგებას იწვევს. ამბობენ, ძველი სკოლა დასწავლის სკოლა, წვრთნისა და ზეპირობის სკოლა იყოო. ეს მართალია, მაგრამ მაინც უნდა შეგვეძლოს იმის გარჩევა, თუ რა იყო ძველ სკოლაში ცუდი და რა იყო სასარგებლო ჩვენთვის, უნდა შეგვეძლოს იქიდან იმის ამორჩევა, რაც საჭიროა კომუნიზმისათვის.

ძველი სკოლა დასწავლის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა. მაგრამ თქვენ უდიდეს შეცდომას ჩაიდენდით, თუ აქედან იმ დასკვნის გამოყვანას შეეცდებოდით, თითქოს კომუნისტად გახდომა შეიძლებოდეს იმის შეუთვისებლად, რაც კაცობრიობის ცოდნას დაუგროვებია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების, კომუნისტური მეცნიერების დასკვნების შეთვისება, იმ ცოდნათა ჯამის შეუთვისებლად, რომელთა შედეგიცაა თვით კომუნიზმი. იმის ნიმუშს, თუ როგორ წარმოიშვა კომუნიზმი კაცობრიობის ცოდნათა ჯამიდან, წარმოადგენს მარქსიზმი.

თქვენ წაგიკითხავთ და გაგიგონიათ, რომ კომუნისტური თეორია, კომუნისტური მეცნიერება, რომელიც უმთავრესად მარქსის მიერ არის შექმნილი, მარქსიზმის ეს მოძღვრება აღარ არის XIX საუკუნის ერთი, თუნდაც გენიალური, სოციალისტის შემოქმედება, რომ ეს მოძღვრება იქცა მთელი მსოფლიოს მილიონობით ათეულ მილიონობით პროლეტართა მოძღვრებად, რომელნიც ამ მოძღვრებას იყენებენ თავიანთ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. და თქვენ რომ ასეთი კითხვა დაგესვათ: რატომ

შეძლო მარქსის მოძღვრებამ ყველაზე რევოლუციური კლასის მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულის დაპყრობა, — მიიღებდით ერთადერთ პასუხს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მარქსი ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს მოპოვებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს; შეისწავლა რა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები, მარქსმა გაიგო გარდუვალობა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ, და, რაც მთავარია, მარქსმა ეს მხოლოდ იმით დაამტკიცა, რომ უაღრესად ზუსტად, უაღრესად დეტალურად, უაღრესად ღრმად შეისწავლა ეს კაპიტალისტური საზოგადოება, სრულად შეითვისა ყოველივე ის, რაც წინანდელმა მეცნიერებამ მოგვცა. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიყვანა ის დასკვნები, რომელთა გამოყვანაც არ შეეძლოთ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიული ცრურწმენებით შებოჭილ ადამიანებს.

ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში, როცა ჩვენ, მაგალითად, პროლეტარულ კულტურაზე ვლაპარაკობთ. თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. პროლეტარული კულტურა არ არის საიდანღაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ. ყველა ამ გზასა და

ბილიკს მივყავდით, მივყავართ და კვლავაც მიგვიყვანს პროლეტარულ კულტურასთან ისევე, როგორც მარქსის მიერ გადამუშავებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა ის, თუ სად უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება, მიგვითითა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე.

როცა ჩვენ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შორისაც და ახალი განათლების ზოგიერთ დამცველთა შორისაც ხშირად გვესმის ძველი სკოლის ძაგება — ძველი სკოლა ზეპირობის სკოლა იყოო, ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ძველი სკოლიდან უნდა ავიღოთ ის, რაც მასში კარგი იყო. ჩვენ არ უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი — დამახინჯებული; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ კომუნისტური დასკვნებით და დავიზეპიროთ მარტო კომუნისტური ლოზუნგები. ამით კომუნიზმს ვერ შექმნი. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნიზმი უშინაარსობად გადაიქცევა, ცარიელ აბრად გადაიქცევა, კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვეხარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუდგეთ, კი არ დატვირთოთ თქვენი გონება იმ ხარახურით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია იყოს თანამედროვე განათლებული ადამიანი. კომუნისტმა რომ გახიზრახოს კომუნიზმით ტრაბახი მზამზარეულად მიღებული დასკვნების სა-

ფუძველზე, უაღრესად სერიოზული, ძნელი და დიდი მუშაობის გაუწევლად, იმ ფაქტებში გაურკვევლად, რომელთაც ის ვალდებულია კრიტიკულად მოეპყრას, — ასეთი კომუნისტი მეტად შესაბრალისი იქნებოდა. და ასეთი ზერელობა პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა. თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა.

ძველი სკოლა ქმნიდა კაპიტალისტებისათვის საჭირო მსახურთ, ძველი სკოლა მეცნიერების მუშაკებს ისეთ ადამიანებად აქცევდა, რომელთაც ისე უნდა ეწერნათ და ელაპარაკნათ, როგორც კაპიტალისტებს ნებავდათ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეს სკოლა თავიდან უნდა მოვიშოროთ. მაგრამ ჩვენ თუ ის თავიდან უნდა მოვიშოროთ, ჩვენ თუ ის უნდა დავანგრიოთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არ უნდა ავიღოთ მისგან ყოველივე ის, რაც კაცობრიობას დაუგროვებია ადამიანთათვის საჭირო? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ვერ უნდა გავარჩიოთ, რა იყო საჭირო კაპიტალიზმისათვის და რა არის საჭირო კომუნიზმისათვის?

ძველებური წვრთნის ნაცვლად, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ტარდებოდა უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ჩვენ ვაყენებთ მუშებისა და გლეხების შეგნებულ დისციპლინას, რომელნიც ძველი საზოგადოებისადმი სიძულვილთან აერთებენ გამბედაობას, უნარსა და მზადყოფნას — გააერთიანონ და დარაზმონ ძალები ამ ბრძოლისათვის, რათა დაქსაქსული, დაქუცმაცებული, უზარმაზარი ქვეყნის სივრცეზე გაფანტული მილიონებისა და ასეული მილიონების ნებისყოფისაგან შექმნან ერთიანი ნებისყოფა, ვინაიდან ეს ერთიანი ნებისყოფა თუ არ იქნა, ისე ჩვენ აუცილებლად დავმარცხდებით. თუ არ იქნა მუშათა და გლეხთა ეს დარაზმულობა, ეს შეგნებული დისციპლინა, ისე ჩვენი საქმე უიმედოა. უამისოდ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებისა და მემამულეების დამარცხებას ჩვენ ვერ შევძლებთ. უამისოდ ჩვენ საძირკველსაც

კი ვერ დავამაგრებთ, არათუ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას ავაშენებთ ამ საძირკველზე. ამნაირადვე, როცა ჩვენ უარვყოფთ ძველ სკოლას, როცა ვგრძნობთ სრულიად კანონიერ და აუცილებელ სიძულვილს ამ ძველი სკოლისადმი, როცა ვაფასებთ ძველი სკოლის დანგრევისათვის მზადყოფნას, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ძველი სწავლის, ძველი ზეპიროების, ძველი წვრთნის ნაცვლად უნდა დავაყენოთ უნარი კაცობრიული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნიზმი რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგივიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენ ძიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით.

აი როგორ უნდა დავაყენოთ ძირითადი ამოცანები, როცა კომუნიზმის შესწავლის ამოცანაზე ვლაპარაკობთ.

ეს რომ განგიმარტოთ და ამავე დროს იმ საკითხს მივუახლოვდეთ, თუ როგორ ვისწავლოთ, მე ავიღებ პრაქტიკულ მაგალითს. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენს წინაშე სამხედრო ამოცანების, რესპუბლიკის დაცვის ამოცანების შემდეგ მაშინვე სამეურნეო ამოცანა დგება. ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, თუ არ აღვადგინეთ მრეწველობა და მიწათმოქმედება, ამასთანავე ისინი უნდა აღვადგინოთ არა ძველებურად, ისინი უნდა აღვადგინოთ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ თანამედროვე საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ეს საფუძველი ელექტრობაა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ყველა დარგის ელექტროფიკაცია მოხდება, როცა თქვენ ამ ამოცანას აითვისებთ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ააშენოთ თქვენთვის ის კომუნისტური საზოგადოება, რომლის აშენებას ვერ შეძლებს ძველი თაობა. თქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, რეორგანიზაცია, აღდგენა მიწათმოქმედებისაც და მრეწველობისაც თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას, ელექტრობას ეყრდნობა. თქვენ მშვენივრად გეს-

მით, რომ ელექტროფიკაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი არ გამოდგება, და აქ უბრალო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა. აქ საკმარისი არაა იცოდეთ, თუ რა არის ელექტრობა; უნდა იცოდეთ, ტექნიკურად როგორ გამოიყენოთ იგი მრეწველობაშიც, მიწათმოქმედებაშიც, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკეულ დარგებშიც. ეს თვითონ უნდა ისწავლოთ, ეს უნდა ასწავლოთ მთელ მოზარდ მშრომელ თაობას. აი რა ამოცანა დგას ყოველი შეგნებული კომუნისტის, ყოველი ახალგაზრდა ადამიანის წინაშე, რომელიც თავს კომუნისტად თვლის და რომელსაც ნათლად აქვს შეგნებული, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში შესვლით მან იკისრა ამოცანა — დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის შენებაში და დაეხმაროს მთელ ახალგაზრდა თაობას კომუნისტური საზოგადოების შექმნაში. მან უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე შეუძლია მას ამის შექმნა, და თუ მას ეს განათლება არ ექნება, კომუნიზმი მარტო სურვილად დარჩება.

წინა თაობის ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა. მაშინ მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიის კრიტიკა, მასებში მისდამი სიძულვილის გაღვივება, კლასობრივი შეგნების, თავისი ძალების დარაზმვის უნარის განვითარება. ახალი თაობის წინაშე უფრო რთული ამოცანა დგას. არ კმარა, რომ მთელი თქვენი ძალები უნდა გააერთიანოთ, რათა მხარი დაუჭიროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ. ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. ეს თქვენ ჩინებულად გაიგეთ, ეს ნათლად აქვს წარმოდგენილი კომუნისტს. მაგრამ ეს საკმარისი არაა. თქვენ უნდა ააშენოთ კომუნისტური საზოგადოება. საქმის პირველი ნახევარი მრავალი მხრივ გაკეთებულია. ძველი დანგრეულია ისე, როგორც საჭირო იყო მისი დანგრევა; ის წარმოადგენს ნანგრევებს ისე, როგორც საჭირო იყო მისი ნანგრევებად ქცევა. ნიადაგი გაწმენდილია, და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოება. თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ

მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ — კომუნიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

აი თქვენი ამოცანა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეთ თქვენ მთელი ახალგაზრდა თაობის განათლების, აღზრდის, ამაღლების საქმეში. თქვენ უნდა იქნეთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელნი იმ მილიონობით მშენებელთა შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა კაცი, ყოველი ახალგაზრდა ქალი. თუ კომუნიზმის ამ მშენებლობაში არ იქნა ჩაბმული მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მთელი მასა, ისე თქვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ააშენებთ.

აქ მე ბუნებრივად ვუახლოვდები იმ საკითხს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ კომუნიზმი, რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი ხერხების თავისებურება.

აქ უწინარეს ყოვლისა კომუნისტური მორალის საკითხზე შევჩერდები.

თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა; რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.

მაგრამ არსებობს თუ არა კომუნისტური მორალი? არსებობს თუ არა კომუნისტური ზნეობა? რა თქმა უნდა, არსებობს. ხშირად საქმეს ისე წარმოიდგენენ, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს ჩვენი მორალი, და ძალიან ხშირად ბურჟუაზია

ბრალს გვდებს, თითქოს ჩვენ, კომუნისტები, უარვყოფდეთ ყოველგვარ მორალს. ეს ცნებათა აღრევის ხერხია, მუშებისა და გლეხებისათვის თვალისახვევაა.

რა აზრით უარვყოფთ ჩვენ მორალს, უარვყოფთ ზნეობას?

იმ აზრით, რა აზრითაც ქადაგებდა მას ბურჟუაზია, რომელსაც ეს ზნეობა ღვთის ნებიდან გამოყავდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ვამბობთ, რომ ღმერთი არა გვწამს, და ძალიან კარგად ვიცით, რომ ღმერთის სახელით ლაპარაკობდა სამღვდელოება, ლაპარაკობდნენ მემამულენი, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა გაეტაოებინათ თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები. ანდა, ნაცვლად იმისა, რომ ეს მორალი გამოეყვანათ ზნეობის კარნახიდან, ღმერთის ნებიდან, მათ ის გამოყავდათ იდეალისტური თუ ნახევრადიდეალისტური ფრაზებიდან, რომლებიც ყოველთვის იმასვე ნიშნავდა, რაც ძალიან მიაგავს ღმერთის ნებას.

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ასეთ ზნეობას, რომელიც აღებულია გარეშეკაცობრიული, გარეშეკლასობრივი ცნებიდან. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მოტყუებაა, გაბრიყვებაა, მუშათა და გლეხთა ჭკუის დაჩლუნგებაა მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ზნეობა სავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან.

ძველი საზოგადოება ემყარებოდა მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ ყველა მუშისა და გლეხის ჩაგვრას. ჩვენ ეს უნდა დაგვენგრია, საჭირო იყო ჩამოგვეგდო ისინი, მაგრამ ამისთვის საჭიროა გაერთიანების შექმნა. ღმერთი ასეთ გაერთიანებას ვერ შექმნის.

ასეთი გაერთიანება შეეძლოთ შეექმნათ მხოლოდ ფაბრიკებს, ქარხნებს, მხოლოდ პროლეტარიატს, გაწვრთნილს და დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებულს. მხოლოდ მაშინ, როცა ეს კლასი შეიქმნა, მხოლოდ მაშინ დაიწყო მასობრივი მოძრაობა, რომელსაც მოყვა ის, რასაც ახლა ვხედავთ: პროლეტარული

რევოლუციის გამარჯვება ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ქვეყანაში, რომელიც სამი წელიწადია თავს იცავს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის შემოტევისაგან. და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდება პროლეტარული რევოლუცია მთელ მსოფლიოში. ჩვენ ახლა გამოცდილების საფუძველზე ვამბობთ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო შეექმნა ისეთი დარაზმული ძალა, რომელსაც მიყვება დაქსაქსული, დაქუცმაცებული გლეხობა და რომელმაც გაუძლო ექსპლოატატორთა ყველა შემოტევას. მხოლოდ ამ კლასს შეუძლია დაეხმაროს მშრომელ მასებს — გაერთიანდნენ, შეკავშირდნენ და საბოლოოდ დაიცვან, საბოლოოდ განამტკიცონ კომუნისტური საზოგადოება, საბოლოოდ ააშენონ იგი.

აი რატომ ვამბობთ ჩვენ: ჩვენთვის არ არსებობს ზნეობა, აღებული ადამიანთა საზოგადოების გარეშე; ეს მოტყუებაა. ჩვენთვის ზნეობა ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს კლასობრივი ბრძოლა? ესაა — მეფის ჩამოგდება, კაპიტალისტების ჩამოგდება, კაპიტალისტთა კლასის მოსპობა.

ხოლო რა არის კლასები საერთოდ? ეს ისაა, რაც საზოგადოების ერთ ნაწილს საშუალებას აძლევს მიითვისოს მეორე ნაწილის შრომა, თუ საზოგადოების ერთი ნაწილი ითვისებს მთელ მიწას, მაშინ ჩვენ გვყავს მემამულეთა და გლეხთა კლასები. თუ საზოგადოების ერთ ნაწილს აქვს ფაბრიკები და ქარხნები, აქვს აქციები და კაპიტალი, ხოლო მეორე ნაწილი მუშაობს ამ ფაბრიკებში, — მაშინ ჩვენ გვყავს კაპიტალისტთა და პროლეტართა კლასები.

მეფის გაგდება ძნელი არ იყო, — ამას სულ რამდენიმე დღე დასჭირდა. ძალიან ძნელი არ იყო მემამულეების გაგდება, — ეს შეიძლებოდა რამდენიმე თვეში გაკეთებულიყო; ძალიან ძნელი არც კაპიტალისტების გაგდებაა. მაგრამ კლასების მოსპობა შეუდარებლად უფრო ძნელია; მუშებად და გლეხებად დაყოფა ისევ დარჩენილია. თუ გლეხი ზის მიწის ცალკე ნაკვეთზე და ითვისებს ზედმეტ პურს, ე. ი. პურს,

რომელიც არ სჭირდება არც მას, არც მის პირუტყვს, ხოლო ყველა დანარჩენი უპუროდ რჩება, — მაშინ გლეხი უკვე ექსპლოატატორი ხდება. რაც უფრო მეტ პურს იტოვებს ის, მით უფრო ხელსაყრელია მისთვის, სხვებმა კი დაე იშიმშილონ: «რაც უფრო მეტს შიმშილობენ ისინი, მით უფრო ძვირად გავყიდი ამ პურსო». საჭიროა, რათა ყველა მუშაობდეს ერთი საერთო გეგმით საერთო მიწაზე, საერთო ფაბრიკებსა და ქარხნებში და საერთო განრიგით. მერედა, ადვილია ამის გაკეთება? თქვენ ხედავთ, რომ აქ საქმის მოგვარება ისე ადვილი არ არის, როგორც მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების გაგდება. აქ საჭიროა, რათა პროლეტარიატმა ხელახლა აღზარდოს, გარდაქმნას გლეხების ნაწილი, თავის მხარეზე გადმოიყვანოს ისინი, ვინც მშრომელი გლეხებია, რათა მოსპოს იმ გლეხების წინააღმდეგობა, რომელნიც მდიდრები არიან და ჯიბეს ისქელებენ დანარჩენების გაჭირვებით. მაშასადამე, პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა იმით, რომ მეფე ჩამოვაგდეთ, მემამულეები და კაპიტალისტები განვდევნეთ, და სწორედ მის დამთავრებაში მდგომარეობს იმ წყობილების ამოცანა, რომელსაც ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას ვუწოდებთ.

კლასობრივი ბრძოლა გრძელდება; მან მხოლოდ თავისი ფორმები შეიცვალა. ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა იმისათვის, რომ ძველი ექსპლოატატორები ვეღარ დაბრუნდნენ, რომ ერთ კავშირში გაერთიანდეს შეუგნებელი გლეხობის დაქსაქსული მასა. კლასობრივი ბრძოლა გრძელდება, და ჩვენი ამოცანაა მთელი ინტერესები დავუმორჩილოთ ამ ბრძოლას. და ჩვენც ამ ამოცანას ვუმორჩილებთ ჩვენს კომუნისტურ ზნეობას. ჩვენ ვამბობთ: ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ქმნის.

კომუნისტური ზნეობა — ეს ის ზნეობაა, რომელიც ემსახურება ამ ბრძოლას, რომელიც მშრომელებს აერთიანებს

ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყოველგვარი წვრილი საკუთრების წინააღმდეგ, ვინაიდან წვრილი საკუთრება ერთ პიროვნებას აძლევს იმას, რაც მთელი საზოგადოების შრომას შეუქმნია. მიწა ჩვენში საზოგადო საკუთრებად ითვლება.

მაგრამ თუ მე ამ საზოგადო საკუთრებიდან განსაზღვრულ ნაკვეთს ვიღებ, მომყავს მასზე ორჯერ მეტი პური, ვიდრე მესაჭიროება, და ნაჭარბი პურით სპეკულაციას ვეწევი? თუ მე ვმსჯელობ, რომ რაც უფრო მეტი იქნება მშიერი, მით უფრო მეტს მომცემენ? განა მაშინ მე ისე ვიქცევი, როგორც კომუნისტი? არა, ისე ვიქცევი, როგორც ექსპლოატატორი, როგორც მესაკუთრე. ამას უნდა ვებრძოლოთ. თუ ამას ასე დავტოვებთ, მაშინ ყველაფერი უკან დაქანდება, კაპიტალისტების ხელისუფლებისაკენ, ბურჟუაზიის ხელისუფლებისაკენ, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა წინანდელ რევოლუციებში. და შეუძლებელი რომ გავხადოთ კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების კვლავ აღდგენა, ამისათვის საჭიროა აღარ დავუშვათ ჩარჩობა, ამისათვის საჭიროა, რათა ცალკე პირები არ მდიდრდებოდნენ დანარჩენების ხარჯზე, ამისათვის საჭიროა, რათა მშრომელნი მჭიდროდ შეუკავშირდნენ პროლეტარიატს და შეადგინონ კომუნისტური საზოგადოება. სწორედ ეს არის მთავარი თავისებურება იმისა, რაც კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა და ორგანიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენს.

ძველი საზოგადოება დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა. და გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან. წვრილი მესაკუთრე, წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი, — ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს, რომ თავისი ჰქონდეს, სხვისი ჯავრი კი არა აქვს.

თუ მე მეურნეობას ვეწევი ამ ნაკვეთ მიწაზე, სხვას აღარავის დავეძებ; თუ სხვა იშიმშილებს, მით უკეთესია, — უფრო ძვირად გავყიდი ჩემს პურს. თუ მე მაქვს ჩემი ადგილი, როგორც ექიმს, ინჟინერს, მასწავლებელს, მოსამსახურეს, — სხვას აღარავის დავეძებ. ძლიერთათვის ხელის შეწყობით, მათი გულის მოგებით იქნებ შევინარჩუნო ჩემი ადგილი, დავწინაურდე კიდეც, ბურჟუა გავხდე. ასეთი ფსიქოლოგია და ასეთი სულისკვეთება შეუძლებელია კომუნისტს ჰქონდეს. როდესაც მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით შეგვიძლია თავი დავიცვათ და ახალი საზოგადოება შევქმნათ, აი სწორედ მაშინ დაიწყო ახალი კომუნისტური აღზრდა, აღზრდა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აღზრდა პროლეტარიატთან კავშირში, ეგოისტებისა და წვრილი მესაკუთრეების წინააღმდეგ, იმ ფსიქოლოგიისა და იმ ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომელიც ამბობს: მე ჩემს მოგებას ვესწრაფვი, დანარჩენთან კი არა მესაქმება რაო.

აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა სწავლობდეს კომუნიზმს მოზარდი ახალი თაობა.

მას მხოლოდ იმით შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი, თუ თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტართა და მშრომელთა განუწყვეტელ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ. როდესაც გველაპარაკებიან ზნეობის შესახებ, ჩვენ ვამბობთ: კომუნისტისათვის მთელი ზნეობა ამ შეკავშირებულ სოლიდარულ დისციპლინაში და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეგნებულ მასობრივ ბრძოლაში მდგომარეობს. ჩვენ მარადიული ზნეობა არა გვწამს და ვაამკარავებთ ზნეობის შესახებ ყოველგვარი ზღაპრების სიცრუეს. ზნეობა იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავისუფლდეს შრომის ექსპლოატაციისაგან.

ამის განსახორციელებლად საჭიროა ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც შეგნებულ ადამიანებად გახდომა იწყო

ბურჟუაზიასთან თავგანწირული დისციპლინირებული ბრძოლის პირობებში. ამ ბრძოლაში აღზრდის ის ნამდვილ კომუნისტებს, ამ ბრძოლას უნდა დაუმორჩილოს და დაუკავშიროს მან ყოველი ნაბიჯი თავისი სწავლის, განათლებისა და აღზრდის საქმეში. კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მას მოასმენინონ ყოველგვარი დამატკბობელი სიტყვები და წესები ზნეობის შესახებ. ეს არ არის აღზრდა. როდესაც ადამიანები ხედავდნენ, როგორ გმინავდნენ მათი მამები და დედები მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელქვეშ, როცა ისინი თვითონ მონაწილეობდნენ იმ ტანჯვა-წვალებაში, რომელიც თავს ატყდებოდა იმათ, ვინც ბრძოლას იწყებდა ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როცა ისინი ხედავდნენ, თუ რაოდენ მსხვერპლს მოითხოვდა ამ ბრძოლის განგრძობა მონაპოვრის შესანარჩუნებლად, რა გააფთრებულ მტერს წარმოადგენენ მემამულენი და კაპიტალისტები, — მაშინ ამგვარ პირობებში ეს ადამიანები კომუნისტებად იზრდებიან. კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლის საფუძველიც. აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ რანაირად უნდა ვისწავლოთ კომუნიზმი.

ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი. სანამ მუშები და გლეხები დაჩაგრული არიან მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ, სანამ სკოლები მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშია, ახალგაზრდა თაობა ბრმა და ბნელი რჩება. ჩვენი სკოლა კი ახალგაზრდობას უნდა აძლევდეს ცოდნის საფუძვლებს, აძლევდეს უნარს თვითონ შეიმუშაოს კომუნისტური შეხედულებანი, უნდა ჰქმნიდეს მათგან განათლებულ ადამიანებს. ჩვენმა სკოლამ იმ ხნის განმავლობაში, როცა ადამიანები იქ სწავლობენ, ისინი ექსპლოატატორთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეებად უნდა გახადოს. ახალგაზრდო-

ბის კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, — რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, — თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო ბრძოლაში მონაწილეობას. ვინაიდან თქვენ მშვენივრად იცით, რომ სანამ რუსეთი ერთადერთ მუშურ რესპუბლიკად რჩება, ხოლო მთელ დანარჩენ მსოფლიოში ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება არსებობს, ჩვენ მათზე სუსტნი ვართ; რომ ყოველთვის გვემუქრება ახალი შემოტევა; რომ მხოლოდ მაშინ, თუ ვისწავლით მჭიდროდ შეკავშირებას და ერთსულოვნებას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ შემდგომ ბრძოლაში, და, გავმაგრდებით რა, მართლაც უძლეველნი გავხდებით. ამრიგად, კომუნისტად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ რაზმავდე და აერთიანებდე მთელ მოზარდ თაობას, აღზრდისა და დისციპლინის მაგალითს აძლევდე ამ ბრძოლაში. მაშინ შეძლებთ თქვენ დაიწყოთ და ბოლომდე მიიყვანოთ კომუნისტური საზოგადოების შენობის აგება.

ეს რომ უფრო ნათელი გახდეს თქვენთვის, მოვიყვან მაგალითს. ჩვენ კომუნისტებს ვეძახით ჩვენს თავს. რა არის კომუნისტი? კომუნისტი ლათინური სიტყვაა. კომუნის — ნიშნავს საზოგადოს. კომუნისტური საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი საზოგადოა: მიწა, ფაბრიკები, საერთო შრომა, — აი რა არის კომუნიზმი.

ხოლო შეიძლება კი შრომა საზოგადო იყოს, თუ თვითეული ადამიანი თავის მეურნეობას განცალკევებულ ნაკვეთ მიწაზე ეწევა? საერთო შრომას ერთბაშად ვერ შექმნი. ეს შეუძლებელია. ეს ციდან არ ვარდება. ეს ჯაფით, ტანჯვით უნდა მოიპოვო, შექმნა. ეს ბრძოლის მსვლელობაში იქმნება. ეს ძველი წიგნი როდია — წიგნს არავინ დაუჯერებდა. აქ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებაა. როდესაც კოლჩაკი და დენიკინი ციმბირიდან და სამხრეთიდან მოდიოდნენ, გლეხები მათ მხარეზე იყვნენ. ბოლშევიზმი მათ არ მოსწონდათ, რადგანაც ბოლშევიკებს პური მტკიცე ფასებში მიაქვთ. ხოლო

როცა გლეხებმა ციმბირსა და უკრაინაში გამოსცადეს კოლ-ჩაკისა და დენიკინის ხელისუფლება, მათ შეიგნეს, რომ გლეხს არჩევანი აღარ დარჩენია: ან წადი კაპიტალისტთან და ის მე-მამულეს მისცემს მონად შენს თავს, ან გაყევი მუშას, რომ-ელიც, მართალია, რძის მდინარეს და თაფლის ნაპირებს არ გპირდება, რომელიც მოითხოვს შენგან რკინისებურ დისცი-პლინას და სიმტკიცეს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ განთავისუფ-ლებს შენ კაპიტალისტებისა და მემამულეების მონობისაგან. როდესაც შეუგნებელმა გლეხებმაც კი გაიგეს და დაინახეს ეს საკუთარი გამოცდილებით, მაშინ ისინი კომუნიზმის შეგნებუ-ლი, მძიმე სკოლაგამოვლილი მომხრეები გახდნენ. სწორედ ასეთი გამოცდილება უნდა დაუდვას საფუძვლად მთელ თავის მოღვაწეობას ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა.

მე ვუპასუხე იმ კითხვებზე, თუ რა უნდა ვისწავლოთ, რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან და ძველი მეცნიერებიდან. მე ვეცდები იმ კითხვაზეც ვუპასუხო, თუ როგორ უნდა ვის-წავლოთ ეს: მხოლოდ იმით, რომ თვითეული ნაბიჯი ჩვენი მოქმედებისა სკოლაში, აღზრდის, განათლებისა და სწავლის თვითეული ნაბიჯი განუყრელად დავუკავშიროთ ყველა მშრო-მელის ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ახალგაზრდობის ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან აღებული რამდენიმე მაგალითით მე თქვენ თვალსაჩინოდ დაგანახვებთ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს კომუნიზმის ეს აღზრდა. ყველა ლაპარაკობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. თქვენ იცით, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტური საზოგა-დოების აშენება არ შეიძლება. არ კმარა, რომ საბჭოთა ხელის-უფლებამ ბრძანოს, ან პარტიამ მისცეს განსაზღვრული ლოზუნგი, ან ამ საქმეში ჩავაბათ საუკეთესო მუშაკების გან-საზღვრული ნაწილი. ამისათვის საჭიროა, რათა თვით ახალმა თაობამ მოკიდოს ამ საქმეს ხელი. კომუნიზმი იმაში მდგომა-რეობს, რომ ახალგაზრდობამ, იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებმა, რომელნიც ახალგაზრდობის კავშირში არიან, თქვან: ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ შეეერთდებით და წავალთ სოფლად, რომ მოვსპოთ

წერა-კითხვის უცოდინარობა, რომ ჩვენს მოზარდ თაობას აღარ ჰყავდეს წერა-კითხვის უცოდინარნიო. ჩვენი მისწრაფებაა, რომ მოზარდი ახალგაზრდობის თვითმოქმედება ამ საქმეს მოხმარდეს. თქვენ იცით, რომ ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი რუსეთის მოკლე ხანში გადაქცევა წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად შეუძლებელია; მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოკიდებს ახალგაზრდობის კავშირი, თუ მთელი ახალგაზრდობა იმუშავებს ყველას სასარგებლოდ, მაშინ ამ კავშირს, რომელიც აერთიანებს 400 000 ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, უფლება აქვს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელი ატაროს. კავშირის ამოცანას ისიც შეადგენს, რომ, შეითვისებს რა ამა თუ იმ ცოდნას, დაეხმაროს იმ ახალგაზრდობას, რომელსაც თვითონ არ შეუძლია განთავისუფლდეს უცოდინარობის სიბნელისაგან. ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს — საქმე ისე წარმართო, რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა. მხოლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდა კაცი თუ ქალი. მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან ისინი კომუნისტებად, თუ ამ მუშაობით შეძლებენ პრაქტიკულ წარმატებათა მიღწევას.

მაგალითისათვის აიღეთ საგარეუბნო ბოსტნებში მუშაობა. განა ეს საქმე არ არის? ეს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი ამოცანაა. ხალხი შიმშილობს, ფაბრიკებსა და ქარხნებში შიმშილია. თავი რომ ვიხსნათ შიმშილისაგან, უნდა გავაშენოთ ბოსტნები, მაგრამ მიწათმოქმედება ძველებურად წარმოებს. და აი საჭირო, რათა საქმეს ხელი მოკიდონ უფრო შეგნებულმა ელემენტებმა, — მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ბოსტნები გადიდდება, მათი ფართობი მოიმატებს, შედეგები გაუმჯობესდება. ამ საქმეში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს. თვითეული კავშირი თუ კავშირის თვითეული უჯრედი ამ საქმეს თავის საქმედ უნდა თვლიდეს.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამ-
კვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს და-
ხმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნო-
ბას. კავშირი ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველი მუშა ხედავდეს
მასში ისეთ ადამიანებს, რომელთა სწავლა, შესაძლებელია,
მისთვის გაუგებარი იყოს, რომელთა სწავლას მან, შეიძლება,
ერთბაშად არც დაუჯეროს, მაგრამ მათი ცოცხალი მუშაობით,
მათი მოქმედებით მან უნდა დაინახოს, რომ ესენი მართლა ის
ადამიანები არიან, რომლებიც მას სწორ გზას უჩვენებენ.

თუ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა ყველა
დარგში ვერ მოახერხა თავისი მუშაობის ასე მოწყობა, ეს
იმას ნიშნავს, რომ მას ფეხი უცდება ძველი, ბურჟუაზიული
გზისაკენ. ჩვენი აღზრდა უნდა შევუერთოთ მშრომელთა
ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რათა პირველთ
დავეხმაროთ იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც
კომუნიზმის მოძღვრებიდან გამომდინარეობენ.

კავშირის წევრებმა თავიანთი ყოველი თავისუფალი
საათი უნდა მოახმარონ იმას, რომ გააუმჯობესონ ბოსტანი,
ანდა რომელიმე ფაბრიკაში თუ ქარხანაში მოაწყონ ახალგაზრ-
დობის სწავლა და სხვ.. ჩვენ გვინდა რუსეთი ღატაკი და
უბადრუკი ქვეყნიდან მდიდარ ქვეყნად გადავაქციოთ. და სა-
ჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა თავი-
სი განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა შეაერთოს მუშათა
და გლეხთა შრომასთან, რომ ის არ ჩაიკეტოს თავის სკოლებ-
ში და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომუნისტური წიგნებისა
და ბროშურების კითხვით. მხოლოდ მუშებსა და გლეხებთან
საერთო შრომაში შეძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტე-
ბი. და საჭიროა ყველამ დაინახოს, რომ ყველა, ვინც კი ახალ-
გაზრდობის კავშირში შედის, მცოდნეა და ამავე დროს მას
მუშაობაც შეუძლია. როცა ყველა დაინახავს, რომ ძველი
სკოლიდან ჩვენ განვდევნეთ ძველებური წვრთნა, შევცვალეთ
რა იგი შეგნებული დისციპლინით, რომ ყოველი ახალგაზრდა
ადამიანი მონაწილეობას იღებს შაბათობაში, რომ ისინი იყე-
ნებენ თვითეულ საგარეუბნო მეურნეობას მოსახლეობისა-

თვის დახმარების გასაწევად, მაშინ ხალხი ისე აღარ შეხედავს შრომას, როგორც მას წინათ უყურებდნენ.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამოცანა ისაა, რომ სოფლად ან თავის უბანში მოაწყოს დახმარება ისეთ საქმეში, — ვიღებ პატარა მაგალითს, — როგორიცაა სისუფთავის დაცვა ან საჭმლის განაწილება. როგორ ხდებოდა ეს ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში? თვითეული მხოლოდ თავისთვის მუშაობდა, იმას კი არავინ დაეძებდა, არიან თუ არა აქ მოხუცები ან ავადმყოფები, ან შეიძლება მთელი მეურნეობა კისერზე აწევს მარტო ქალს, რომელიც ამის გამო დაბეჩავებულ და დამონებულ მდგომარეობაში იმყოფება. ვინ უნდა ებრძოდეს ამას? ახალგაზრდობის კავშირები, რომლებმაც უნდა თქვან: ჩვენ ამას გადავაკეთებთ, შევქმნით ახალგაზრდათა რაზმებს, რომელნიც სისტემატურად ჩამოივლიან სახლებს და ხელს შეუწყობენ სისუფთავის დაცვას ან საჭმლის განაწილებას, რომელნიც ორგანიზებულად იმოქმედებენ მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, წესიერად გაანაწილებენ ძალებს და ყველას დაანახვებენ, რომ შრომა ორგანიზებული შრომა უნდა იყოს.

იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლისა არიან, არ შეუძლია იმედი ქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას. ეს თაობა მანამდე გადავა. ხოლო ის თაობა, რომელიც ახლა 15 წლისაა, აი ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი. და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანა — ამ საზოგადოების მშენებლობაა. ძველ საზოგადოებაში შრომა წარმოებდა ცალკეულ ოჯახად, და არავინ არ აერთიანებდა მას, გარდა მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომელნიც ხალხის მასებს ჩაგრავდნენ. ყოველი შრომა, როგორი ჭუჭყიანი და ძნელიც უნდა იყოს იგი, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეული მუშა და გლეხი თავისთავს უყურებდეს ამგვარად: მე ნაწილი ვარ თავისუფალი შრომის დიადი არმიისა და თვითონ შევძლებ მოვაწყო ჩემი ცხოვრება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ,

შევძლებ დავამყარო კომუნისტური წესწყობილება. საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი შეგნებულ და დისციპლინირებულ შრომაში ზრდიდეს ყველას ახალგაზრდობიდანვე. აი რანაირად შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ამჟამად დასმული ამოცანები გადაწყვეტილ იქნება. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ არა ნაკლებ 10 წელი დაგვჭირდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, რათა ჩვენს გაღატაკებულ ქვეყანას მომსახურება გაეწიოს ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით. და აი, იმ თაობამ, რომელიც ახლა 15 წლისაა და რომელიც 10 — 20 წლის შემდეგ კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებს, თავისი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას. იმისდაკვალად, რამდენადაც ეს მოხდება თვითეულ სოფელში, იმისდაკვალად, რამდენადაც განვითარდება კომუნისტური შეჯიბრება, იმისდაკვალად, რამდენადაც ახალგაზრდობა დაამტკიცებს, რომ მას შესწევს თავისი შრომის გაერთიანების უნარი, ამისდაკვალად უზრუნველყოფილი იქნება კომუნისტური მშენებლობის წარმატება. მხოლოდ იმით, რომ თვითეულ თავის ნაბიჯს ამ მშენებლობის წარმატების თვალსაზრისით შეხედავს, მხოლოდ იმით, რომ მუდამ შეეკითხება თავისთავს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა იმისათვის, რომ გაერთიანებული, შეგნებული მშრომელები ვიყოთო, მხოლოდ ამით გააკეთებს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იმას, რომ ნახევარ მილიონ თავის წევრს შრომის ერთ არმიად გააერთიანებს და საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«პრავდა» № № 221, 222 და 223; 1920 წ. 5, 6 და 7 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ბროშურის: **ნ. ლენინი (ვ. ი. ულიანოვი). «ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები», 1920 — ტექსტთან**

სიტყვა ტყავის წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს

ამხანაგებო, თქვენი ყრილობის მომწყობთა და ორგანიზატორთა შიერ გამოთქმული სურვილის თანახმად, ჩემი მოხსენების საგანი უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა. ამ მხრივ, უმთავრესი, რაზედაც მომიხდება შეჩერება, უეჭველია, ესაა ჩვენი ომი პოლონეთთან, მასთან დაკავშირებული ამბების მთავარი მსვლელობა და ის, რაც ამნაირად გამოაშკარავდა ჩვენი რესპუბლიკის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის მხრივ.

რა თქმა უნდა, თქვენ ყველამ იცით, რა მძიმე სამხედრო მდგომარეობა შეიქმნა ამჟამად ჩვენთვის, — და ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია თვალი გადავავლოთ იმას, თუ რა მიზეზებით გამწვავდა და გაუარესდა ეს მდგომარეობა ასე. რასაკვირველია, თქვენ გახსოვთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში, როცა პოლონელთა შემოტევა ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, ფრონტის ხაზი უფრო აღმოსავლეთით გადიოდა, ბევრ ადგილას იმაზე გაცილებით უფრო აღმოსავლეთით, ვიდრე ახლა გადის. ხაზი გადიოდა ისე, რომ მინსკი პოლონელებს რჩებოდათ, მთელი ბელორუსია მათ ხელში იყო. და არა მარტო სახალხო კომისართა საბჭომ, არამედ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმაც — რსფსრ-ის უმაღლესმა ორგანომ — საზეიმოდ, სპეციალური მიმართვით განუცხადა პოლონელ ხალხს, რომ ის იძლევა ზავის წინადადებას, რომ ის უარს ამბობს ომარაღით გადაწყვიტოს საკითხი ბელორუსიის ბედის შესახებ, რომელიც არასოდეს პოლონეთის არ ყოფილა და რომლის

გლეხი მოსახლეობა, პოლონეთის მემამულეთაგან დიდხანს გატანჯული, თავისთავს პოლონელად არ თვლიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც სრულიად ოფიციალურად, სრულიად საზეიმოდ განვაცხადეთ, რომ ვთავაზობთ ზავს მაშინდელი ხაზის მიხედვით, ვინაიდან ჩვენ იმდენად დიდად ვაფასებდით იმ მუშებს, რომელნიც ამ ომში უნდა დაღუპულიყვნენ, რომ არავითარ დათმობას ამაზე უფრო მნიშვნელოვნად არ ვთვლიდით. ბელორუსიის საკითხის გადაწყვეტას ვფიქრობდით არა იარაღის ძალით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შინაური ბრძოლის განვითარების გზით თვით პოლონეთში. ჩვენ ვიცოდით, რომ პოლონეთის მშრომელთა განთავისუფლებას შეგვიძლია დავეხმაროთ სულაც არა იმდენად და, უმთავრესად, არა იმდენად სამხედრო ძალით, რამდენადაც ჩვენი პროპაგანდის ძალით.

ეს იყო მიმდინარე წლის აპრილში, და თქვენ იცით, რომ ჩვენი საზეიმო საზავო წინადადების პასუხად პოლონეთმა თავდაპირველად მანევრს მიმართა — წინადადება მოგვცა ზავი შეგვეკრა ბორისოვში, რომელიც მათ ხელში იყო და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა იმიტომ, რომ ის პოლონელებს ეჭირათ და იქ მოლაპარაკების წარმოება იმას ნიშნავდა, რომ პოლონელთათვის საშუალება მიგვეცა შემოეტიათ სამხრეთ-დასავლეთით და წაერთმიათ ჩვენთვის ჩრდილო-დასავლეთით შეტევის შესაძლებლობა. ჩვენ ვუპასუხეთ: ბორისოვს გარდა, რომელიც გნებავთ ის ქალაქი იყოს. პოლონელებმა უარით გვიპასუხეს. მე ამას იმისათვის მოგაგონებთ, რომ ყველა სიტყვაში, რომელსაც კი თქვენ წარმოთქვამთ ამ საკითხის შესახებ, უფრო ენერგიულად გაუსვათ ხაზი იმას, რომ თავდაპირველად ჩვენ ზავს ვთავაზობდით ახლანდელზე უფრო აღმოსავლეთით გამავალი ხაზის გასწვრივ, ე. ი. ვთანხმდებოდით ჩვენთვის უაღრესად არახელსაყრელ ზავზე.

პოლონელებმა თავს მოგვახვიეს ომი, და ჩვენ ვიცით, რომ აქ მთავარ როლს თამაშობდნენ არა პოლონელი მემამულენი, არა პოლონელი კაპიტალისტები, ვინაიდან პოლონეთის მდგომარეობა, ისე როგორც ახლა, უიმედო იყო. ის სასოწარკვე-

თილების გამო დათანხმდა ამ ავანტიურას. მაგრამ მთავარი ძალა, რომელიც პოლონელებს ჩვენთან საომრად აქეზებდა, იყო, რასაკვირველია, საერთაშორისო და, პირველ რიგში, საფრანგეთის კაპიტალის ძალა. მას შემდეგ გამოირკვა, რომ ასობით ფრანგი ოფიცერი მოქმედებდა და მოქმედებს პოლონეთის არმიაში, რომ მთელი შეიარაღება, მთელი ფინანსური და სამხედრო დახმარება პოლონეთს მთლიანად საფრანგეთმა მისცა.

აი რა პირობებში დაიწყო ეს ომი. იგი მოასწავებდა მოკავშირეთა ახალ ცდას საბჭოთა რესპუბლიკის დასანგრევად, იმის ცდას, რომ იუდენიჩის გეგმის ჩაფუშვის შემდეგ პოლონეთის დახმარებით კიდევ ერთხელ დაესვათ საბჭოთა რესპუბლიკის განადგურების საკითხი, და თქვენ იცით პოლონეთთან ჩვენი სურვილის წინააღმდეგ დაწყებული ამ ომის მთავარი პერიპეტია. თქვენ იცით, რომ თავდაპირველად პოლონელებმა წარმატებას მიაღწიეს და სამხრეთ-დასავლეთით წაგვართვეს კიევი; შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ვიდრე წითელმა არმიამ შეძლო თავისი ძალების თავმოყრა და შეტევის დაწყება, და აქ პოლონელები პუნქტს პუნქტზე კარგავდნენ. მათ დაკარგეს პოლოცკი და სხვ.. მაგრამ წითელი არმიის გადამწყვეტი შეტევა დაიწყო მხოლოდ ივლისში; და ეს შეტევა იმდენად წარმატებითი აღმოჩნდა, რომ ჩვენ სამხედრო ისტორიაში თითქმის გაუგონარი ლაშქრობა მოვახდინეთ. წითელმა არმიამ შეუსვენებლივ გაიარა 500, 600 ვერსიც კი, ბევრგან 800 ვერსამდე, და თითქმის მიადგა ვარშავას. ვარშავა უკვე თითქმის დაღუპულად ითვლებოდა პოლონეთისთვის. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა მთელი საერთაშორისო პრესა. შემდეგ მოხდა გარდატეხა. როცა ვარშავას მივადექით, ჩვენი ჯარები იმდენად დაღლილ-დაქანცული აღმოჩნდნენ, რომ შემდგომი გამარჯვების მოსაპოვებლად ძალა აღარ ეყოთ, ხოლო პოლონეთის ჯარებმა, რომლებიც ვარშავაში პატრიოტული აღტყინებით ზურგგამაგრებული იყვნენ და თავს საკუთარ ქვეყანაში გრძნობდნენ, მხარდაჭერა და წინსვლის ახალი შესაძლებლობა პოვეს. გამოირკვა, რომ ომმა საშუალება

მოგვცა პოლონეთის თითქმის სრულ განადგურებამდე მივსულიყავით, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ძალა აღარ გვეყო.

მე შემეძლო ამის შესახებ მეტი მეთქვა, მაგრამ, ჩემი მოხსენების თემის მიხედვით, მე უნდა შევჩერდე პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელიც იმ დროისათვის შეიქმნა. ჩვენ ვნახეთ, რომ როცა აპრილის შემოტევის წინ პოლონეთის რესპუბლიკას შევთავაზეთ ზავი პოლონელთათვის ფრიად ხელსაყრელი, მაგრამ ჩვენთვის არახელსაყრელი პირობებით, მსოფლიოს მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ ხმაური ატეხა და ჩვენი პირდაპირი განცხადება ჩვენი სისუსტის ნიშნად მიიღო. თუ ბოლშევიკები ზავს ითხოვენ იმ ხაზის მიხედვით, რომელზედაც მაშინ პოლონეთის ჯარები იდგნენ, თუ ბოლშევიკები მინსკსაც კი თმობენ, ცხადია, ისინი დასუსტებულანო. ომის დასაწყისში ინგლისის მეფემაც კი გაუგზავნა მისალმება პოლონეთის მემამულური მთავრობის მეთაურს.

12 ივლისს, როგორც თქვენ, ალბათ, გემახსოვრებათ, უეცრად მივიღეთ დეპეშა ერთა ლიგის მდივნისაგან, რომელიც გვიცხადებდა, რომ პოლონეთის მთავრობა თანახმაა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება ეთნოგრაფიული საზღვრების აღიარების და მთელი გალიციის პოლონეთისადმი მიკუთვნების პირობით. მთელ საერთაშორისო პრესაში საშინელი აურზაური ატყდა. ამჯერად ყველა ზავს ემხრობოდა. როდესაც ჩვენ შევთავაზეთ ზავი აპრილში თუ კიდევ უფრო ადრე, 1920 წ. გაზაფხულზე, მთელი ეს პრესა დუმდა ან პოლონეთს საომრად აქეზებდა. ხოლო როცა პოლონეთი დავამარცხეთ და მან ზავი ითხოვა, ჩვენ კი ამ წინადადებას პირდაპირ ვუპასუხეთ და აშკარად განვაცხადეთ ჩვენი ის თვალსაზრისი, რომ ერთა ლიგა არავითარ ძალას არ წარმოადგენს და მის სიტყვებს ვერ დავემყარებით-თქო, ყველა ისინი ყვირიან და მოითხოვენ, რომ ჩვენ შევჩერდეთ. ახლა, როცა სამხედრო ბედი შეიცვალა, როცა გუშინ განვაცხადეთ, რომ პოლონეთს ზავს ვთავაზობთ უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ერთა ლიგის წინადადება იყო, იმ ვარაუდით, რომ ამ ზავისთვის ხელი მოგვეწერა 5 ოქტომბრამდე, მთელი ბურჟუაზიული

პრესა ისევ დადუმდა. ის დუმს ზავის შესახებ მაშინ, როცა ბოლშევიკებს უტევენ, ხოლო ყვირის მაშინ, როცა ბოლშევიკები უტევენ. ამის შემდეგ მას უნდა დააჯეროს ყველა, რომ ბურჟუაზიულ პრესას თითქოს სურს ზავი. ჩვენი პარტიის კონფერენციაზე, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მოგვესმინა პოლონელი მუშის — პოლონეთის ერთ-ერთი დიდი პროფესიული კავშირის წარმომადგენლის მოხსენება; ეს მუშა ვარშავიდან მალულად გადმოვიდა და გვიამბო, თუ როგორ დევნიდნენ მუშებს პოლონეთში, თუ როგორ უყურებდნენ ვარშავაში მუშები წითელ არმიას, როგორც მხსნელს, როგორ ელოდნენ ისინი რუსეთის წითელ არმიას, რომელსაც თავიანთ მტრად კი არა, პირიქით, მეგობრად თვლიდნენ პოლონეთის პანებისა და ბურჟუაზიული მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, აქ ანტანტა პოლონეთს იარაღად იყენებდა თავის ახალ ცდაში — დაენგრია საბჭოთა რესპუბლიკა; და როცა ეს ცდა თავის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათს იღებდა, ჩვენ კი მზად ვიყავით პოლონელ მუშებს დავხმარებოდით მათი მთავრობის დამხობაში, მაშინ მთელი ევროპის ბურჟუაზიული პრესა ჩვენი წინააღმდეგი იყო. ამხ. კამენევი, რომელიც ლონდონში იყო, გვიამბობდა აქ, დიდ თეატრში, რომ მას ყოველ ცისმარე ღღეს ესმოდა ინგლისის მთავრობის ულტიმატუმები და მუქარა, რომ ამ მთავრობას უნდოდა უკვე მთელი თავისი ფლოტის მობილიზაცია მოეხდინა პეტროგრადის წინააღმდეგ, შეეკრიბა ის კრონშტადტში, ვითომდა ჩვენგან პოლონეთის დასაცავად. ახლა, როცა სამხედრო ბედი შეიცვალა, როცა ჩვენი პირობებიდან ვხსნით ყველაფერს, რაც კი პოლონეთმა მიუღებლად გამოაცხადა, ბურჟუაზიული პრესა დადუმდა. სავსებით ცხადია, თქვენს წინაშე სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალიზმი აქეზებს პოლონეთს და კვლავ ცდილობს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

და ეს (რაც, უეჭველად, მნიშვნელოვანია), მე ვფიქრობ, საბჭოთა რუსეთზე შემოტევის უკვე უკანასკნელი ცდაა. აქ

აღმოჩნდა, რომ პოლონეთი მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო იმპერიალიზმის მთელ სისტემასთან. თქვენ იცით, რომ მოკავშირე იმპერიალისტები — საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა და იაპონია — გერმანიის განადგურების შემდეგ ჭკრავენ ვერსალის ზავს, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, შეუდარებლად უფრო მხეცურია, ვიდრე უბადაღებული ბრესტის ზავი, რომელზედაც ამდენს გაყვიროდნენ. და იმავე დროს, როცა ფრანგები, ამერიკელები, ინგლისელები საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ ეს ომი განმათავისუფლებელი ომია, რომ ამ ომის მიზანია იხსნას ევროპა და მთელი მსოფლიო ჰუნების, როგორც ისინი გერმანელებს ეძახდნენ, ბარბაროსობისაგან, იხსნას მსოფლიო გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის კაიზერისაგანო, აღმოჩნდა, რომ ვერსალის ზავმა გადააჭარბა ყველა სიმკაცრეს, რომელიც კი გამოიჩინა კაიზერმა თავისი გამარჯვების დროს. ყველა დამარცხებული ქვეყნის, გერმანიის, ავსტრია—უნგრეთის იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ინგლისელი და ფრანგი ოფიცრების ჩარევა ამტკიცებს, რომ ასეთ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია. ერთ-ერთი მიზეზი, რომელსაც ეყრდნობა ეს საშინელი ზავი, ის გარემოებაა, რომ პოლონეთი გერმანიას ორ ნაწილად ჰყოფს, რადგან პოლონეთის მიწები ზღვაზე გადის. გერმანიასა და პოლონეთს შორის ამჟამად ყველაზე გამწვავებული ურთიერთობაა. როცა პოლონელები ავიწროებენ გერმანელ მოსახლეობას, მათ მხარს უჭერენ ანტანტის ჯარები და ოფიცრები. ვერსალის ზავმა პოლონეთისაგან შექმნა სახელმწიფო-ბუფერი, რომელმაც უნდა დაიფაროს გერმანია საბჭოთა კომუნიზმთან შეტაკებისაგან და რომელსაც ანტანტა ბოლშევიკების საწინააღმდეგო იარაღად თვლის. პოლონეთთან ერთად და პოლონეთის დახმარებით ფრანგებს იმედი აქვთ დაიბრუნონ ის ათობით მილიარდი სესხი, რომელიც მეფის მთავრობამ აიღო. აი ამიტომ, როცა გაჩაღდა პოლონეთთან ომი, რომელიც ჩვენ ძალიან გვინდოდა თავიდან მოგვეშორებინა თუნდაც დიდ დათმობათა ფასად, ეს ომი

პოლონეთთან წინანდელ ომებზე უფრო უშუალოდ მიმართული აღმოჩნდა ანტანტის წინააღმდეგ. წინანდელი ომები, როცა ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდნენ კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი, წარმოებდა აგრეთვე იმ ოფიცრებისა და ასეული მილიონების დახმარებით, რომელთაც მოკავშირენი იძლეოდნენ, წარმოებდა მათი ზარბაზნებისა და ტანკების დახმარებით. წინანდელი ომებიც ანტანტის წინააღმდეგ მიმართული ომები იყო, მაგრამ ეს ომები ხდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე რუსეთის თეთრგვარდიელ ოფიცერთა და მათ მიერ გაწვეულ გლეხთა წინააღმდეგ, — და ეს ომები არ შეიძლებოდა ისეთ ომებად გადაქცეულიყო, რომლებიც ვერსალის ზავს შეარყევდნენ. აი რით განსხვავდებიან ისინი პოლონეთთან ომისაგან. იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ ომიც აგრეთვე ანტანტის წინააღმდეგ ომი იყო, ეს იყო მუშათა რუსეთის ომი მთელი ბურჟუაზიული რუსეთის წინააღმდეგ. და როცა ის გამარჯვებით დამთავრდა, როცა ჩვენ იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი გავანადგურეთ, ეს არ მოასწავებდა პირდაპირ შეტევას ვერსალის ზავის წინააღმდეგ. პოლონეთის საკითხში კი პირიქით გამოვიდა; და ამაშია პოლონეთის წინააღმდეგ ომის განსხვავება, ამაშია პოლონეთის საერთაშორისო მნიშვნელობა.

როდესაც ჩვენ ძლევამოსილად ვუტევდით პოლონეთს, მაშინ მთელი ევროპა აღრიალდა, რომ მას სურს ზავი, რომ მთელი მსოფლიო დაიღალა ომისაგან, რომ დროა შერიგებისო. ხოლო როცა პოლონელები გვიტევენ, მაშინ არავინ არ ყვირის, რომ ომმა დაგვღალაო. რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ როცა იუდენიჩს, კოლჩაკს და დენიკინს ვამარცხებდით, ამით ჩვენ არ შეგვეძლო ვერსალის ზავის დარღვევა, ჩვენ მხოლოდ თავს დავატყდით იუდენიჩს, კოლჩაკს და დენიკინს და გადავრეკეთ ისინი ზღვისკენ, ხოლო როცა პოლონეთს ვუტევთ, ამით ვუტევთ თვით ანტანტას; პოლონეთის არმიის დარღვევით ჩვენ ვარღვევთ იმ ვერსალის ზავს, რომელსაც ემყარება ახლანდელი საერთაშორისო ურთიერთობის მთელი სისტემა.

პოლონეთი რომ საბჭოთა რესპუბლიკა გამხდარიყო, ვარშაველ მუშებს საბჭოთა რუსეთისგან ის დახმარება რომ მიეღოთ, რომელსაც ისინი ელოდნენ და მიესალმებოდნენ, ვერსალის ზავი დაირღვეოდა და გერმანიაზე გამარჯვებით მოპოვებული მთელი საერთაშორისო სისტემა დაინგრეოდა. საფრანგეთს მაშინ აღარ ეყოლებოდა ბუფერი, რომელიც გერმანიას დაიფარავდა საბჭოთა რუსეთისაგან. მას აღარ ექნებოდა იარაღი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. მას აღარ ექნებოდა თავისი ათობით მილიარდების დაბრუნების იმედი და კატასტროფასაც უფრო ჩქარა მიუახლოვდებოდა, ვიდრე ახლა უახლოვდება. საფრანგეთი ყელამდე ვალებშია ჩაფლული. წინათ ის ყველაზე მდიდარი მევახშე იყო. ახლა მას ამერიკის სამჯერ მეტი ვალი მართებს, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს. ის კოტრდება. ის გამოუვალ მდგომარეობაშია. აი ამიტომ გამოიწვია საერთაშორისო კრიზისი წითელი ჯარების ვარშავასთან მისვლამ, ამიტომ ასე შეაშფოთა ამან მთელი ბურჟუაზიული პრესა. საკითხი ასე იდგა: წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის კიდევ რამდენიმე დღე, და არათუ ვარშავა იქნებოდა აღებული (ეს არც ისე მნიშვნელოვანი იქნებოდა), არამედ ვერსალის ზავიც დაირღვეოდა.

ასეთია პოლონეთის ამ ომის საერთაშორისო მნიშვნელობა. თქვენ იცით, რომ ჩვენ დაპყრობითი გეგმები არასოდეს არ გვქონია. ჩემი სიტყვის დასაწყისში ხაზგასმით აღვნიშნე, რომ 1920 წ. აპრილში ჩვენ ვიდექით მინსკის აღმოსავლეთით და ვთავაზობდით ზავს ამ პირობებში, ოღონდ კი რუსეთის მუშები და გლეხები ახალი ომისაგან გვეხსნა. მაგრამ, რაკი ომი თავს მოგვახვიეს, იგი გამარჯვებით უნდა დავამთავროთ. ვერსალის ზავი ასეულ მილიონობით მოსახლეობას ჩაგრავს. ის გერმანიას ართმევს ნახშირს, ართმევს მეწველ ძროხებს, ის გერმანიას გაუგონარი, არნახული მონობის პირობებში აყენებს. გერმანიის გლეხი მოსახლეობის ყველაზე განუვითარებელმა ფენებმა განაცხადეს, რომ ისინი ბოლშევიკებს ემხრობიან, რომ ისინი მათი მოკავშირეები არიან; და ეს გასაგებიცაა, იმიტომ რომ საბჭოთა რესპუბლიკა თავისი

არსებობისათვის ბრძოლაში მსოფლიოში ერთადერთი ძალაა, რომელიც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხოლო იმპერიალიზმი — ეს ახლა ნიშნავს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის კავშირს. ჩვენ ვუახლოვდებით თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ცენტრს. როცა წითელი ჯარები პოლონეთის საზღვარს უახლოვდებოდნენ, წითელი არმიის ძლევამოსილმა შეტევამ გაუგონარი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ამ კრიზისის დედაარსს შეადგენდა ის, რომ ინგლისის მთავრობა ომით გვემუქრებოდა, იგი გვიცხადებდა: თუ თქვენ წინ წახვალთ, ომს დაგიწყებთ, — ჩვენს ფლოტს გამოვგზავნით თქვენს წინააღმდეგო. მაგრამ ინგლისელმა მუშებმა მაშინ განაცხადეს, რომ ისინი ამ ომს არ დაუშვებენ. უნდა ითქვას, რომ ბოლშევიზმი ინგლისელ მუშათა შორის იზრდება. მაგრამ ახლა კომუნისტები იქ ისე სუსტნი არიან, როგორც სუსტნი იყვნენ ისინი ჩვენში 1917 წ. მარტში, აპრილსა და მაისში, როცა თათბირებსა და ყრილობებზე მეათედი ხმა გვქონდა. სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობაზე, 1917 წ. ივნისში, ჩვენ გვქონდა ხმების არა უმეტეს 13%. ახლა ასეთივე მდგომარეობაა ინგლისში: იქ ბოლშევიკები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ინგლისელ მენშევიკები ყოველთვის ბოლშევიზმისა და პირდაპირი რევოლუციის წინააღმდეგი იყვნენ და ბურჟუაზიასთან კავშირს იცავდნენ. ახლა კი ინგლისელ მუშათა ძველმა ბელადებმა მერყეობა დაიწყეს და სხვა თვალსაზრისზე დადგნენ: ისინი მუშათა კლასის დიქტატურის მოწინააღმდეგენი იყვნენ, ახლა კი ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ. მათ შეადგინეს ინგლისში «მოქმედების კომიტეტი». ეს უდიდესი გადატრიალებაა ინგლისის მთელ პოლიტიკაში. პარლამენტის გვერდით, რომელსაც ახლა ინგლისში თითქმის საყოველთაო საარჩევნო უფლებით ირჩევენ (რაც მხოლოდ 1918 წლიდან ხდება), ჩნდება თვითნებური «მოქმედების კომიტეტი», რომელიც ეყრდნობა მუშათა პროფესიულ კავშირებს, ე. ი. ტრედ-უნიონებს, მათ კი იქ 6 მილიონზე მეტი წევრი ჰყავთ. მუშებმა, მთავრობის იმ სურვილის საპასუხოდ, რომ

ეწარმოებინა ომი საბჭოთა რუსეთთან, განაცხადეს, რომ ისინი ამის ნებას არ მისცემენ; მათ თქვეს: ჩვენ არც ფრანგებს მივცემთ ომის ნებას, იმიტომ რომ ფრანგები ინგლისის ნახშირით ცხოვრობენ, და თუ ეს წარმოება შეჩერდა, ეს დიდი ლახვარი იქნება საფრანგეთისთვისო.

ვიმეორებ, ეს იყო უდიდესი გარდატეხა ინგლისის მთელი პოლიტიკისათვის. ინგლისისათვის მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ჩვენთვის ჰქონდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციას. 1917 წ. თებერვლის რევოლუციამ დაამხო ცარიზმი და დაამყარა რუსეთში ბურჟუაზიული რესპუბლიკა. ინგლისში რესპუბლიკა არაა, მაგრამ იქაური მონარქია სულ ერთიანად ბურჟუაზიულია, ის უკვე მრავალი საუკუნეა არსებობს. მუშებს იქ საშუალება აქვთ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ მთელი საერთაშორისო საგარეო პოლიტიკა პარლამენტის დაუკითხავად წარმოებს, მას მინისტრთა კაბინეტი უძღვება. დიდი ხანია ვიცოდით, რომ ინგლისის მთავრობა ფარულ ომს აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ და ეხმარება იუდენიჩს, კოლჩაკსა და დენიკინს. ინგლისის პრესაში არა ერთხელ შეიძლებოდა წაგეკითხათ განცხადება, რომ ინგლისს უფლება არა აქვს თუნდაც ერთი ჯარისკაცი გაგზავნოს რუსეთში. მერედა, ვინ მისცა ხმა ამ საშუალებას? რომელი საპარლამენტო დადგენილების ძალით გადაწყდა რუსეთის წინააღმდეგ ომი იუდენიჩისა და კოლჩაკის დასახმარებლად? ასეთი დადგენილება არ ყოფილა და ასეთი მოქმედებით ინგლისმა დაარღვია თავისი საკუთარი კონსტიტუცია. რა არის ეს «მოქმედების კომიტეტი»? ეს «მოქმედების კომიტეტი», პარლამენტის დაუკითხავად, მთავრობას მუშების სახელით ულტიმატუმს უყენებს, — ეს უკვე დიქტატურაზე გადასვლაა, და სხვა გამოსავალი მდგომარეობიდან არც არის. ამავე დროს კი ინგლისი — იმპერიალიზმის ქვეყანაა, რომელსაც დამონებული ჰყავს 400 — 500 მილიონი მოსახლეობა კოლონიებში. ეს უმთავრესი ქვეყანაა, რომელიც ბატონობს დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე. პოლონეთზე შეტევამ ისეთი გარდატეხა

მოახდინა, რომ ინგლისელი მენშევიკები რუსეთის ბოლშევიკებს დაუკავშირდნენ. აი რა ჰქნა ამ შეტევამ?

მთელი ინგლისის ბურჟუაზიული პრესა წერდა, რომ «მოქმედების კომიტეტი» — ეს საბჭოებიაო. და ის მართალიც იყო. ამას არ ერქვა საბჭოები, მაგრამ არსებითად ეს ერთი და იგივეა: ეს ისეთივე ორხელისუფლებიანობაა, რაც ჩვენში კერენსკის დროს იყო 1917 წ. მარტიდან, როცა დროებითი მთავრობა ერთიან მთავრობად ითვლებოდა, მაგრამ ნამდვილად მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუკითხავად არც ერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო, და როცა ჩვენ ვეუბნებოდით საბჭოებს: «აიღეთ მთელი ძალაუფლება». იგივე მდგომარეობა შეიქმნა ახლა ინგლისში, და მენშევიკები იძულებული არიან ამ «მოქმედების კომიტეტში» ანტიკონსტიტუციურ გზას დაადგნენ. აი პატარა სურათი იმისა, თუ რას მოასწავებდა ჩვენი ომი პოლონეთთან. და თუმცა საერთაშორისო ბურჟუაზია ამჟამად კვლავ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენ, და თუმცა ინგლისის მთავრობა ამბობდა, რომ აქ ყველაფერში დამნაშავეა კამენევიო და კიდეც გამოაძევა კამენევი ინგლისიდან ისე, რომ აღარ შეუშვას იგი ინგლისში, — მაგრამ ეს ცარიელი და სასაცილო მუქარაა, ვინაიდან ამერიკელი და ინგლისელი კაპიტალისტების საუკეთესო დამცველნი, მუშათა ზომიერი ინგლისელი ბელადები, მემარჯვენე მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, «მოქმედების კომიტეტში» შევიდნენ, და ახლა ინგლისი ახალი კრიზისის წინ დგას. ახლა მას ქვანახშირის მუშათა საყოველთაო გაფიცვა ემუქრება, ამასთან გაფიცულნი მოითხოვენ არა მარტო ხელფასის მომატებას, არამედ ნახშირის ფასის დაკლებასაც. ინგლისში გაფიცვათა ტალღები ერთმანეთს მისდევს. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. მაგრამ თუ დღეს მუშებმა მიაღწიეს ხელფასის 10%-ით გადიდებას, მეორე დღეს ფასები 20%-ით მატულობდა. ფასები იზრდება, და მუშები ხედავენ, რომ მათი ბრძოლა უნაყოფოა, რომ, მიუხედავად ხელფასის მომატებისა, ისინი მაინც აგებენ, იმიტომ რომ ფასები იზრდება. და აი მუშები ამბობენ: ჩვენ

მოვითხოვთ არა მარტო ქვანახშირის მუშებისათვის ხელფასის მომატებას, ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე ნახშირის ფასების დაკლებასაცო. და ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ახლა უფრო შეძრწუნებული ღრიალებს, ვიდრე მაშინ, როცა წითელი არმია პოლონეთში შედიოდა.

თქვენ იცით, რანაირი გამოხატულება პოვა ევროპის კრიზისმა იტალიაში. იტალია — გამარჯვებული ქვეყანაა; და როცა წითელი არმიის გამარჯვებებმა გამოიწვია მოძრაობა გერმანიაში და გარდატეხა ინგლისის პოლიტიკაში, იტალიაში ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ მუშები ხელში იგდებდნენ ფაბრიკებს, ართმევდნენ ბინებს მეფაბრიკეებს, ბრძოლაში აბამდნენ სოფლის მოსახლეობას, და იტალია ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც არავითარ მშვიდობიან ჩარჩოებში არ თავსდება.

აი როგორი იყო პოლონეთის ომის განვითარების მსვლელობა. ჩვენ ვიცოდით, რომ პოლონეთის ომი მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო იმპერიალიზმის მთელ მდგომარეობასთან; ამიტომ მივდიოდით უდიდეს დათმობებზე, ოღონდ კი მუშები და გლეხები გვეხსნა ომის სიმძიმისაგან. შემდეგ ჩვენ შევეჯახეთ ვერსალის ზავს და აღმოჩნდა, რომ ბურჟუაზია წინანდებურადვე გააფთრებულია ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ისიც აღმოჩნდა, რომ მუშები დღეობით კი არა, საათობით ცნობიერდებიან, და რომ მუშათა რევოლუცია შეუჩერებლივ გვიახლოვდება, თუმცა მაინც მეტისმეტად ნელა, თუ მას რუსეთის განვითარების სისწრაფეს შევადარებთ. რუსეთში რევოლუციის ასე სწრაფად ჩატარება იმიტომ შეიძლებოდა, რომ ის ომის დროს მოხდა. ომის დროს ათეულ მილიონობით რუსი მუშა და გლეხი შეიარაღებული იყო და ასეთი ძალის წინააღმდეგ ბურჟუაზია და ოფიცრობა უძლური აღმოჩნდნენ. ოქტომბრის დღეებში ისინი იმუქრებოდნენ ჯარების წამოყვანით პეტროგრადზე. ათიათასობით ვღებულობდით დეპეშებს ყველა ფრონტიდან: მოვდივართ და გაგანადგურებთო. ჩვენ გუნებაში ვამბობდით: აბა, ერთი სინჯეთ. და როცა თვითეული არმიის დელეგატები ჩამოდიოდნენ, საკმარისი

იყო მათთან ნახევარი საათით საუბარი და ცხადი ხდებოდა, რომ ჯარისკაცები ჩვენ გვემხრობიან, და ოფიცრობაც უნდა დადუმებულიყო. წინააღმდეგობის გაწევის ცდები, იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის შეთქმულებათა მოწყობა — ეს გვიან დაიწყო, როცა არმია უკვე დემობილიზებული იყო. აი ამიტომ გაიმარჯვა ასე სწრაფად რევოლუციამ რუსეთში. ხალხი შეიარაღებული იყო. მუშები და გლეხები სულ ერთიანად ჩვენ მოგვემხრნენ. ევროპაში კი ომი დამთავრდა. არმიების დემობილიზაცია მოხდა. ჯარისკაცები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. მუშები და გლეხები განიარაღებულია. იქ ამჟამად განვითარება ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ის მიმდინარეობს. როგორც კი მოგვიღერებს ხოლმე მუშტს საერთაშორისო ბურჟუაზია, მას მაშინვე ხელში წვდებიან საკუთარი მუშები. აი რა საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს პოლონეთის წინააღმდეგ ომს. აი სად არის საერთაშორისო კრიზისის წყარო. აი სად არის ახლა ჩვენთვის ახალი სიძნელეების წყარო. როცა, როგორც იცით, ცოტათი აღარ გვეყო ძალონე, რომ ვარშავამდე მივსულიყავით და ძალაუფლება ვარშავის მუშებისათვის გადაგვეცა, რომ ვარშავის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები მოგვეწვია და მათთვის გვეთქვა: «მოვედით თქვენს დასახმარებლადო», როცა გაუგონარი და წარმოუდგენელი გმირული ბრძოლის შემდეგ არმია დაიღალა და დაიქანცა, — სწორედ მაშინ განვიცადეთ სამხედრო დამარცხება.

ახლა ჩვენ აღმოსავლეთით ძალიან, ძალიან შორს დავიხიეთ უკან. ჩრდილოეთით ქალაქი ლიდაც კი დავკარგეთ, სამხრეთით კი თითქმის იმ ხაზზე ვდგავართ, რომელზედაც ვიდექით 1919 წ. აპრილში, — პილსუდსკის ხაზზე; ჩრდილოეთით ძალიან ვიხევთ უკან, ხოლო ამასობაში ვრანგელი ცდილობს თანდათან უფრო და უფრო შემოგვიტიოს. ვრანგელი ამას წინათ ეკატერინოსლავს ემუქრებოდა, სინელნიკოვოს უახლოვდებოდა და იგი მას ხელშიც ჰქონდა. ახლა მან სლავგოროდი აიღო. აღმოსავლეთით მან აიღო მარიუპოლი, უახლოვდება ტაგანროგს, ემუქრება დონეცის აუზს. ჩვენ ისევ

ძნელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, საერთაშორისო იმპერიალისტები კიდევ ერთხელ კვლავ ცდილობენ დაახრჩონ საბჭოთა რესპუბლიკა ორივე ხელით: პოლონეთის შემოტევით და ვრანგელის შემოტევით. არსებითად პოლონეთიც და ვრანგელიც — ეს საფრანგეთის იმპერიალისტების ორი ხელია: როგორც პოლონეთის, ისე ვრანგელის ჯარებს ისინი ამარაგებენ იარაღითა და სურსათით. მაგრამ ეს სამი ძალა ურთიერთ შორისაც მაინცდამაინც ვერ მორიგებულა. საფრანგეთი ეუბნება პოლონელებს: თქვენ არ უნდა წაიყვანოთ ძალიან ბევრი ძალა, არ უნდა წაიღოთ ძალიან ბევრი მიწა, იმიტომ რომ მეფის რუსეთი არასოდეს არ მოგცემთ ამასო. საფრანგეთი ეუბნება ვრანგელს: თქვენ უნდა იმოქმედოთ ისე, რომ აღარ დაბრუნდეს ძველი მემამულეების ხელისუფლება, ვინაიდან დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ძველი მემამულენი, როცა ისინი ხელმძღვანელობენ თეთრგვარდიულ არმიებს ან როცა მათი ოფიცრები სარდლობენ არმიებს, მით უფრო მალე უახლოვდებიან დაღუპვას, რაც უფრო მეტ ტერიტორიას იპყრობენ, იმიტომ რომ გლეხობა, ბოლოს და ბოლოს, მათ წინააღმდეგ ილაშქრებსო.

სანამ ვრანგელი რჩეული ოფიცრების ჯარებით მოდიოდა, მას შეეძლო დაყრდნობოდა ამ ჯარებს; და ვრანგელის ძალა იმაშია, რომ მას აქვს საუცხოო საჭურველი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ჰყავს ოფიცრებისაგან შემდგარი რჩეული ჯარები. როცა მან თავისი დესანტი გადმოსხა ყუბანში, იქ გადმოყვანილი ჯარი იმგვარად იყო შერჩეული, რომ თვითეულ ასეულს თუ პოლკს მთელ დივიზიად შეეძლო გაშლილიყო, იმიტომ რომ ისინი მთლად ოფიცრებისაგან შედგება. მაგრამ როგორც კი ის შეეცდება ხოლმე ხელთ იგდოს უფრო დიდი ტერიტორია, გაიწვიოს უფრო ფართო გლეხი მოსახლეობა და შექმნას სახალხო არმია, როგორც ამას თავის დროზე შვრებოდნენ კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი, — მისი წარმატება მყისვე მის დამარცხებად იქცევა, იმიტომ რომ გლეხურ ჯარს, ისე როგორც ის კოლჩაკის, დენიკინისა და იუდენიჩის წინააღმდეგი იყო, ასევე არასო-

დეს არ შეუძლია ვრანგელის ოფიცრულ ჯარებთან ერთად იაროს. იმ ვარშაველმა მუშამ, რომელმაც მოხსენება გააკეთა პარტიულ კონფერენციაზე, ეს ამნაირად გამოხატა: პოლონეთის არმია, რომელიც წინათ ახალგაზრდობისაგან შედგებოდა (გაყავდათ პირველი გაწვევის ახალგაზრდები, ყმაწვილები), ახლა მწყობრიდან გამოსულია. ახლა გაიწვიეს უფროსები 35 წლამდე: ესენი უკვე დავაჟკაცებული ხალხია, რომელმაც იმპერიალისტური ომი გაიარა; და ეს არმია სრულიადაც ისე საიმედო აღარ არის პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტთათვის, როგორც ახალგაზრდობისაგან შემდგარი არმია იყო.

აი როგორია საერთაშორისო ვითარება. ანტანტის წინააღმდეგ ომშიც, იმ დამარცხების გამო, რაც ვარშავასთან განვიცადეთ, იმ შემოტევის გამო, რომელიც გრძელდება დასავლეთის და ვრანგელის ფრონტებზე, ჩვენი მდგომარეობა ისევ ძალიან გაუარესდა; ამიტომ ჩემი მოკლე მოხსენება უნდა დავამთავრო ტყავის წარმოების ამხანაგ მუშებისადმი მიმართვით და უნდა აღვნიშნო, რომ ახლა საჭიროა კვლავ დავძაბოთ მთელი ძალები, რომ ახლა ვრანგელზე გამარჯვება — ჩვენი მთავარი და ძირითადი ამოცანაა. ეს მოითხოვს უზარმაზარ ენერგიას, თვითმოქმედებას სწორედ მუშების, სწორედ პროფკავშირების, სწორედ პროლეტარული მასის მხრივ და პირველ რიგში იმ მუშების მხრივ, რომელნიც ახლოს დგანან თავდაცვასთან დაკავშირებულ სამრეწველო დარგებთან. ამ ომში ჩვენი მთავარი სიძნელეა არა ადამიანური მასალის ნაკლებობა, — ეს მასალა ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება, — არამედ მოუმარაგებლობა. მთავარი სიძნელე ყველა ფრონტზე — მომარაგების ნაკლებობა, თბილი ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ნაკლებობაა. შინელი და ფეხსაცმელი — აი უმთავრესი, რაც აკლიათ ჩვენს ჯარისკაცებს, აი რა მიზეზით იფუშებოდა ასე ხშირად სრულიად ძლევამოსილი შეტევა. აი რაშია სიძნელე, რაც ხელს გვიშლის სწრაფად გამოვიყენოთ ძლევამოსილი შეტევისათვის ახალი ნაწილები, რომლებიც საკმაო რაოდენობით გვყავს, მაგრამ სათანადოდ

მოუმარაგებლად მათი ფორმირება შეუძლებელია; უამისოდ ისინი არ წარმოადგენენ ცოტად თუ ბევრად ბრძოლისუნარიან ჯარებს.

მეტყავეთა კავშირმაც და ტყავის წარმოების მთელი პროლეტარიატის წარმომადგენელმა კრებამაც ამას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული, რომ ვრანგელის საწინააღმდეგო მომავალი შეტევა, რომლისთვისაც მთელ ძალებს ვამზადებთ, რაც შეიძლება წარმატებით და სწრაფად ჩატარდეს. ეს თქვენზეა დამოკიდებული იმიტომ, რომ ის ზომები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ღებულობენ, არ კმარა. წითელარმიელებისადმი ნამდვილი დახმარების აღმოსაჩენად, უფრო გადამწყვეტი გარდატეხის მოსახდენად, მომარაგების საქმის გასაუმჯობესებლად არ კმარა საბჭოთა დაწესებულებების დახმარება, სახკომსაბჭოს და თავდაცვის საბჭოს დეკრეტები, პარტიის გადაწყვეტილებანი: საჭიროა კიდევ პროფკავშირების დახმარება. პროფკავშირებმა უნდა გაიგონ, რომ მიუხედავად ყველა ჩვენი არა ერთგზისი საზავო წინადადებისა, საქმე ისევ და ისევ მუშურ-გლეხური ხელისუფლების არსებობას ეხება. თქვენ იცით, როგორ გაძლიერდა იგი დენიკინის, კოლჩაკისა და იუდენიჩის დამარცხების შემდეგ. თქვენ იცით, როგორ გაძლიერდა პურის დამზადება ციმბირისა და ყუბანის დაბრუნების მეოხებით; თქვენ იცით, როგორ შეგვიწყო ხელი ბაქოს დაპყრობამ და საშუალება მოგვცა ახლა გადმოგვეზიდა 100 მილიონ ფუთზე მეტი ნავთობი; ბოლოს, როგორ დაიწყო ჩვენმა მრეწველობამ იმ საძირკვლის მოპოვება, რომელზედაც შესაძლებელია პურის მარაგის შექმნა და მუშების ისევ ფაბრიკებში თავის მოყრა, ნედლეულის მოგროვება და სათბობის შოვნა იმისათვის, რომ ავამუშაოთ ფაბრიკები და, ბოლოს და ბოლოს, აღვადგინოთ სამეურნეო ცხოვრება. მაგრამ იმისათვის, რომ ყველა ეს შესაძლებლობა განვახორციელოთ, საჭიროა ომი დავამთავროთ რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა დავაჩქაროთ შეტევა ვრანგელის წინააღმდეგ. საჭიროა მომავალ ზამთრამდე

სამხრეთში დავიბრუნოთ ყირიმი, ეს კი დამოკიდებულია თვით მუშათა ენერგიასა და თაოსნობაზე და, შესაძლოა, პირველ რიგში ტყავის წარმოების თვითეულ რუს მუშაზე და მეტყავეთა კავშირზე.

მოგმართავთ მოწოდებით — მიბაძოთ ჩვენი პეტროგრადელი მუშების მაგალითს, რომლებმაც ამას წინათ, ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოხსენების შემდეგ, კვლავ და კვლავ უზარმაზარი ენერგია განავითარეს საქმის დასახმარებლად, ისევ შეუდგნენ წითელარმიელთა მომარაგებასა და უზრუნველყოფას, ჩვენი წითელი არმიის ძალთა ამაღლებას. თქვენ იცით, რომ წითელი არმიის დასახმარებლად ზურგში გადადგმული თვითეული ნაბიჯი მაშინვე მოქმედებს წითელარმიელთა სულისკვეთებაზე. თქვენ იცით, რომ შემოდგომის სიცივე გავლენას ახდენს და სცემს წითელარმიელთა სულისკვეთებას, ქმნის ახალ სიძნელეებს, ზრდის ავადმყოფობებს და იწვევს დიდ უბედურებას. აქ ყოველგვარი დახმარება, წითელარმიელებისათვის ზურგში გაწეული, დაუყოვნებლივ იწვევს წითელი არმიის გაძლიერებას, მათი სულისკვეთების განმტკიცებას, ავადმყოფობათა რიცხვის შემცირებას და შეტევითი უნარის გადიდებას. საჭიროა, რომ თვითეულმა მუშამ ახლა ყოველ კრებაზე, ყოველ სახელოსნოში თავისი საუბრების, მოხსენებებისა და კრებების მთავარ საგნად გაიხადოს ლოზუნგი: ყველაფერი წითელი არმიის დასახმარებლად.

შევეკითხოთ ჩვენს თავს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა, რაც კი ჩვენზე იყო დამოკიდებული, წითელი არმიის დასახმარებლად? ვინაიდან ამ დახმარებაზეა დამოკიდებული — რამდენად სწრაფად გავუსწორდებით საბოლოოდ ვრანგელს და უზრუნველვყოფთ ჩვენთვის სრულ მშვიდობას და სამეურნეო მშენებლობის შესაძლებლობას. (ტ ა შ ი.)

«პრავდა» № № 225 და 226;
1920 წ. 9 და 10 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

უკრაინის ღარიბ სოფლელებს

ამხანაგებო! მეფის გენერალი ვრანგელი აძლიერებს შემოტევას უკრაინასა და რუსეთზე. საფრანგეთის კაპიტალისტების მხარდაჭერით იგი წინ მოიწევს, ემუქრება დონეცის აუზს და ეკატერინოსლავს. საფრთხე დიდია. მემამულენი ერთხელ კიდევ ცდილობენ დაიბრუნონ თავიანთი ძალაუფლება, ცდილობენ დაიბრუნონ მიწა და კვლავ დაიმონონ გლეხები!

ამხანაგებო! უკრაინის სოფელმა გაუგონარი ტანჯვა-წამება გადაიტანა მემამულეთა უღლისაგან. მათ არა ერთხელ მოახერხეს საბჭოთა, მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობა, მათ არა ერთხელ დახმარებიან მდიდარი გლეხები, კულაკები, დახმარებიან იმითაც, რომ პირდაპირ გადადიოდნენ მათ მხარეზე, დახმარებიან იმათაც, რომ უქონელ, მშრომელ გლეხებს ხელს უშლიდნენ ახალი წესრიგის, ახალი ცხოვრების, სოფლის ახალი ორგანიზაციის დამყარებაში. და მემამულეთა ხელისუფლების აღდგენის ცდები ყოველთვის მუშათა და გლეხთა ახალი გამარჯვებით მთავრდებოდა. ახლა უკრაინაში ღარიბი სოფლელები შეუდგნენ თავიანთი კომიტეტების მოწყობას, რათა საბოლოოდ გასტეხონ მცირეოდენ მდიდართა წინააღმდეგობა, საბოლოოდ უზრუნველყონ მშრომელთა ძალაუფლება. მემამულეთა გენერალი ვრანგელი შემოტევას აძლიერებს, რათა გაანადგუროს მშრომელთა ეს ორგანიზაციები.

ამხანაგებო! დაე ყველანი და თვითეული მკერდით დადგეს დასაცავად ვრანგელის წინააღმდეგ! დაე ღარიბ სოფლელთა ყველა კომიტეტმა, რამდენადაც კი შესაძლებელია, დაძაბოს

თავისი ძალ-ღონე, დაეხმაროს წითელ არმიას ვრანგელის საბოლოოდ განადგურებაში. დაე ნურც ერთი მშრომელი გლეხი განზე ნუ დარჩება მუშურ-გლეხური საქმისაგან, ნუ დარჩება უმოქმედოდ ან გულგრილად. ამხანაგებო! გახსოვდეთ, რომ საქმე ეხება თქვენი ოჯახების ხსნას, გლეხთა მიწისა და ხელისუფლების დაცვას.

ყველანი წითელი არმიის დასახმარებლად!

სიკვდილი მემამულე-მჩაგვრელებს!

ლ ე ნ ი ნ ი

2/X 1920.

«კომმუნისტ» (კიევი) № 199,
1920 წ. 13 ოქტომბერი

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროლეტარული კულტურის შესახებ

«იზვესტიის» 8/X ნომრიდან ჩანს, რომ ამხ. ლუნაჩარსკის პროლეტკულტის ყრილობაზე ულაპარაკნია **პირდაპირ** იმის **საწინააღმდეგო**, რაზედაც ჩვენ მას გუშინ შევუთანხმდით[57].

საჭიროა განსაკუთრებული სისწრაფით მომზადდეს (პროლეტკულტის ყრილობის) რეზოლუციის პროექტი, გატარდეს ც. კ-ში და მოესწროს მისი გატარება პროლეტკულტის **ამავე** სესიაზე. საჭიროა დღესვე გატარდეს ც. კ-ის სახელით განსახკომის კოლეგიაშიც და პროლეტკულტის ყრილობაზეც, ვინაიდან ყრილობა დღეს თავდება.

რეზოლუციის პროექტი:

1. საბჭოთა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში განათლების საქმის მთელი დაყენება როგორც პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დარგში საერთოდ, ისე სპეციალურად ხელოვნების დარგში, გამსჭვალული უნდა იყოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით მისი დიქტატურის მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, ე. ი. ბურჟუაზიის დამხობისა, კლასების მოსპობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის აღმოფხვრისათვის.

2. ამიტომ პროლეტარიატმა როგორც თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის სახით, ისე ყოველგვარ პროლეტარულ ორგანიზაციათა მთელი მასის სახით საერთოდ, უაღრესად აქტიური და უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღოს **სახალხო** განათლების მთელ საქმეში.

3. უახლესი ისტორიის მთელმა გამოცდილებამ და განსაკუთრებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ნახევარ საუკუნეზე უფრო ხანგრძლივმა რევოლუციურმა ბრძოლამ დღიდან «კომუნისტური მანიფესტის» გამოქვეყნებისა უცილობლად დაამტკიცა, რომ მხოლოდ მარქსიზმის მსოფლმხედველობა წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების, თვალსაზრისისა და კულტურის სწორ გამოხატულებას.

4. მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში. ამამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ ნიადაგზე და ამავე მიმართულებით, — მუშაობა, რომლის სულისჩამდგმელი იქნება პრაქტიკული გამოცდილება პროლეტარიატის დიქტატურისა, როგორც მისი უკანასკნელი ბრძოლისა ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

5. პროლეტკულტის სრულიად რუსეთის ყრილობა განუხრელად დგას ამ პრინციპულ თვალსაზრისზე და სრულიად გადაჭრით უარყოფს, როგორც თეორიულად არასწორსა და პრაქტიკულად მავნეს, ყოველგვარ ცდას, რომელიც გულისხმობს თავისი განსაკუთრებული კულტურის გამოგონებას, თავის განცალკევებულ ორგანიზაციებში კარჩაკეტილობას, განსახკომისა და პროლეტკულტის მუშაობის სფეროთა გამიჯვნას ან განსახკომის დაწესებულებათა შიგნით პროლეტკულტის «ავტონომიის» შემოღებას და სხვ.. პირიქით, ყრილობა უცილობლივ ავალებს პროლეტკულტის ყველა ორგანიზაციას, რომ მათ სავსებით მიაჩნდეთ თავიანთი თავი განსახკომის დაწესებულებათა ქსელის დამხმარე ორგანოებად და საბჭოთა ხელისუფლებისა (სპეციალურად

განსახკომისა) და რუსეთის კომუნისტური პარტიის საერთო ხელმძღვანელობით განახორციელონ თავიანთი ამოცანები, როგორც ნაწილი პროლეტარული დიქტატურის ამოცანებისა.

* * *

ამხ. ლუნაჩარსკი ამბობს, რომ მისი ნათქვამი დაამახინჯეს. მაგრამ რეზოლუცია მ ი თ უ ფ რ ო არქიაუცილებელია.

დაწერილია 1920 წ. 8 ოქტომბერს
პირველად გამოქვეყნდა 1926 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა მოსკოვის გუბერნიის სამაზრო, სათემო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირზე 1920 წ. 15 ოქტომბერს

ამხანაგებო! რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის საკითხის გამო, რაზედაც თქვენ გსურდათ მოხსენება მოგესმინათ, მე, ბუნებრივია, ყველაზე მეტად მომიხდება შეჩერება პოლონეთთან ომზე და ამ უკანასკნელის მიზეზებზე. სწორედ ეს ომი იყო მთავარი, რაც უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში განსაზღვრავდა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობას. და სწორედ ახლა, როცა წინასწარი ზავი პოლონეთთან ეს-ესაა ხელმოწერილია, სწორედ ახლა შეიძლება და უნდა საერთოდ გადავავლოთ თვალი ამ ომს, მის მნიშვნელობას და შევეცადოთ ჩავუფიქრდეთ იმ გაკვეთილებს, რომელთაც ჩვენ ყველას გვაძლევს ახლახან დამთავრებული ომი, თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცით, მართლა მტკიცედაა ის დამთავრებული თუ არა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, მინდა მოგაგონოთ, რომ მიმდინარე წლის 26 აპრილს პოლონელებმა დაიწყეს შემოტევა. საბჭოთა რესპუბლიკის წინადადება ასეთი იყო: ჩვენ პოლონელებს, პოლონელ მემამულეებსა და პოლონეთის ბურჟუაზიას საზეიმოდ და ოფიციალურად შევთავაზეთ ზავი უფრო ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე ის პირობებია, რომლებიც მათ ახლა ჩვენგან მიიღეს, მიუხედავად დიდი დამარცხებისა, რაც ჩვენმა ჯარებმა ვარშავასთან განიცადეს, და კიდევ უფრო დიდი დამარცხებისა, რაც მათ ვარშავიდან უკანდახევის დროს განიცადეს. როდესაც მიმდინარე წლის აპრილის დამლევს პოლონელები იდგნენ 50-დან 150 ვერსამდე იმ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ფრონტზე, რომელიც ახლა მათ წინასწარი ზავის ხაზად

ჩათვალეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხაზი მაშინ აშკარად უსამართლო იყო, ჩვენ სრულიად რუსეთის ცაკის სახელით საზეიმოდ ვთავაზობდით მათ ზავს, რადგან, როგორც თქვენ ყველამ, რა თქმა უნდა, იცით და გახსოვთ, მაშინ საბჭოთა ხელისუფლების მთავარი საზრუნავი იყო მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის უზრუნველყოფა. ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვქონდა საიმისოდ, რომ მოგვეწადინებინა ჩვენსა და პოლონეთის სახელმწიფოს შორის სადავო საკითხების გადაწყვეტა სამხედრო გზით. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ პოლონეთის სახელმწიფო მაშინაც იყო და ახლაც არის მემამულეთა და კაპიტალისტთა სახელმწიფო, რომ ის სავსებით დამოკიდებულია ანტანტის, შეთანხმების ქვეყნების, განსაკუთრებით კი საფრანგეთის კაპიტალისტებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ პოლონეთის გავლენის ქვეშ იყო არა მარტო მთელი ლიტვა, არამედ ბელორუსიაც, აღმოსავლეთ გალიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენ ჩვენს მოვალეობად ვთვლიდით ყოველივე შესაძლებელი გაგვეკეთებინა, რათა ომი თავიდან აგვეშორებინა, რათა რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობისათვის საშუალება მიგვეცა ცოტათი მაინც დაესვენათ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისაგან და, ბოლოს, სავსებით ხელი მოეკიდათ მშვიდობიანი შრომისათვის. მაგრამ მოხდა ის, რაც არა ერთხელ მომხდარა: ჩვენი პირდაპირი, აშკარა განცხადება, რომ პოლონელებს ვთავაზობთ ზავს იმ ხაზზე, რომელზედაც ისინი იდგნენ, სისუსტის ნიშნად ჩათვალეს. არც ერთი ქვეყნის ბურჟუაზიული დიპლომატები მიჩვეული არ არიან ასეთ გულახდილ განცხადებებს, და ამიტომ ჩვენი მზადყოფნა — მიგვეღო ზავი ჩვენთვის ესოდენ არახელსაყრელი ხაზის მიხედვით, მიიღეს და ახსნეს როგორც ჩვენი უზომო უძლურების დამამტკიცებელი საბუთი. საფრანგეთის კაპიტალისტებმა შეძლეს ომში ჩაებათ პოლონეთის კაპიტალისტები. თქვენ გახსოვთ, რომ ხანმოკლე შესვენების შემდეგ, პოლონეთის შემოტევის შემდეგ ჩვენ ვუპასუხეთ კონტრდარტყმით და თითქმის ვარშავამდე მივედით, რის შემდეგ ჩვენი ჯარი სასტიკად დამარცხდა და მან უკან დაიხია.

თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და მთელ უკანასკნელ დროს ჩვენი ჯარი სულ უკან იხევდა და მარცხდებოდა, ვინაიდან ის უზომოდ დაიქანცა და დასუსტდა იმ გაუგონარი მარშით, რომლითაც მან გაიარა მანძილი პოლოცკიდან ვარშავამდე. მაგრამ, მიუხედავად ამ მძიმე მდგომარეობისა, ვიმეორებ, ზავი შეიკრა პოლონეთისათვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე მაშინდელი პირობები იყო. მაშინდელი საზღვარი გადიოდა აღმოსავლეთით 50 ვერსზე, ახლა ის გადის დასავლეთით 50 ვერსზე. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ზავი შევკარით მხოლოდ მოწინააღმდეგისათვის ხელსაყრელ მომენტში, როცა ჩვენი ჯარი უკან იხევდა და ვრანგელმა შემოტევა გააძლიერა, ჩვენ ზავი შევკარით უფრო ხელსაყრელ პირობებში. ეს ერთხელ კიდევ გიმტკიცებთ იმას, რომ როცა საბჭოთა ხელისუფლება საზავო წინადადებას იძლევა, მის სიტყვებსა და განცხადებებს ყველა უსათუოდ სერიოზულად უნდა მოეპყრას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა ის, რომ ვითხოვთ ზავს ცუდ პირობებში, ხოლო ვღებულობთ მას უკეთეს პირობებში. ამ გაკვეთილს პოლონელი მემამულენი და კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებენ, მათ ესმით, რომ შეტოპეს, ახლა მათ მიიღეს ზავი ნაკლებ ტერიტორიაზე, ვიდრე წინათ ეძლეოდათ. და ეს პირველი გაკვეთილი როდია. თქვენ, ალბათ, ყველას გახსოვთ, რომ 1919 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩამოვიდა წარმომადგენელი ამერიკის მთავრობისა, რომელიც წინასწარ ზავს გვთავაზობდა ჩვენ და ყველა მაშინდელ თეთრგვარდიელ მთავარსარდალს: კოლჩაკს, დენიკინს და სხვ., ზავს, რომელიც ჩვენთვის მეტად არახელსაყრელი იქნებოდა. როდესაც ის დაბრუნდა და გააცნო ამ ზავის პირობები, ჩვენი პირობები ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, და ომი გაგრძელდა. ამ ომის შედეგები თქვენ უკვე იცით. მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლება პირველად როდი ამტკიცებს, რომ ის გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ჩანს, რომ ჩვენს ნოტებში არაა ის ტრაბახი და მუქარა, რომელიც ჩვეულებრივია ყველა დანარჩენი ბურჟუაზიული მთავრობისათვის,

რომ საბჭოთა რუსეთთან ზავზე დაუთანხმებლობა ნიშნავს ამ ზავის ცოტა მოგვიანებით მიღებას უფრო ცუდ პირობებში. ასეთ რამეებს საერთაშორისო პოლიტიკაში არ ივიწყებენ, და იმით, რომ პოლონელ პანებს დავუმტკიცებთ, რომ მათ ახლა უარესი ზავი მიიღეს, ვიდრე ვთავაზობდით, ჩვენ შევაჩვევთ პოლონეთის ხალხის მასებს, პოლონელ გლეხებსა და მუშებს აწონ-დაწონონ, შეადარონ მათი მთავრობისა და ჩვენი მთავრობის განცხადებანი.

ბევრმა თქვენგანმა, შეიძლება, ნახა გაზეთებში ამერიკის მთავრობის ნოტა, სადაც ის აცხადებს: «ჩვენ არ გვსურს საქმე ვიქონიოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, ვინაიდან ის თავის ვალდებულებებს არღვევს». ჩვენ ეს არ გვაკვირვებს, იმიტომ რომ ეს მრავალი წელია გვესმის, მაგრამ ბოლოს მხოლოდ ის გამოდის, რომ საბჭოთა რუსეთზე მათი თავდასხმის ყველა ცდა მარცხით მთავრდება. პოლონური გაზეთები, რომლებიც თითქმის ყველა მოსყიდულია მემამულეთა და კაპიტალისტთა მიერ, — ამას ისინი პრესის თავისუფლებას ეძახიან, — ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ნდობა არ შეიძლება, იგი მოძალადეებისა და მატყუარების ხელისუფლებაა. ამას ამბობს ყველა პოლონური გაზეთი, მაგრამ პოლონელი მუშები და გლეხები სიტყვას საქმით ამოწმებენ, ხოლო საქმემ ცხადყო, რომ როცა პირველად ვითხოვეთ ზავი, ამით უკვე დავამტკიცეთ ჩვენი მშვიდობისმოყვარეობა, და როცა ოქტომბერში ზავი შევკარით, მაშინაც დავამტკიცეთ ეს მშვიდობისმოყვარეობა. ამას თქვენ ბურჟუაზიული მთავრობის ვერც ერთ ისტორიაში ვერ ნახავთ, და პოლონელ მუშათა და გლეხთა გონებაში ეს ფაქტი უკვალოდ არ ჩაივლის. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ზავს მაშინ, როცა ეს მისთვის ხელსაყრელი არ იყო. მხოლოდ ამ გზით გადავაჩვევთ სიცრუეს იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელნიც მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელშია; ამით შევარყევთ მათი ქვეყნების მუშებსა და გლეხებში მათდამი რწმენას. ამაზე უნდა ვიფიქროთ ყველაზე უფრო. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებას გარს არტყია ესოდენ ურიცხვი მტერი

და ეს მტრები მაინც უძლურნი არიან. დაუფიქრდით პოლონეთის ომის მთელ მსვლელობას და შედეგს. ჩვენ ახლა ვიცით, რომ პოლონეთის ზურგს უკან იდგნენ საფრანგეთის კაპიტალისტები, რომ ისინი აძლევდნენ პოლონეთს ფულს, საჭურველს, ტანისამოსს, ჭურვებს, უგზავნიდნენ მას ფრანგ ოფიცრებს. სულ უკანასკნელ ხანებში ჩვენ გვქონდა ცნობა, რომ პოლონეთის ფრონტზე გამოჩნდნენ შავკანიანთა ჯარები, ე. ი. საფრანგეთის კოლონიური ჯარები. მაშასადამე, ომობდა საფრანგეთი, მას ეხმარებოდნენ ინგლისი და ამერიკა. ამავე დროს საფრანგეთმა ვრანგელის სახით სცნო რუსეთის კანონიერი მთავრობა, — მაშასადამე, საფრანგეთი მხარს უჭერდა ვრანგელსაც, აძლევდა მას სახსრებს არმიის შესაიარაღებლად და შესანახად. ვრანგელის არმიას სახსრებს აძლევენ აგრეთვე ინგლისი და ამერიკა. მაშასადამე, ჩვენს წინააღმდეგ იყო სამი მოკავშირე: საფრანგეთი, რომელსაც მხარს უჭერდა მსოფლიოს ყველა მდიდარი ქვეყანა, პოლონეთი და ვრანგელი, — და ჩვენ ამ ომიდან გამოვედით, შევკარით ხელსაყრელი ზავი. მაშასადამე, გამარჯვებულნი ჩვენ დავრჩით. ყველა, ვინც კი დახედავს რუკას, დაინახავს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, რომ ჩვენ ამ ომიდან გამოვედით უფრო მეტი ტერიტორიით, ვიდრე ომამდე გვქონდა. მაგრამ განა ეს მოწინააღმდეგე ჩვენზე სუსტია, განა ის ჩვენს სამხედრო ძალებზე სუსტია, განა მას ნაკლები ხალხი ჰყავს, ნაკლები საომარი მარაგი, ნაკლები ჭურვები აქვს? მას ყველაფერი მეტი აქვს. ეს ჩვენზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეა, და დამარცხებული მაინც ის დარჩა. აი ამას უნდა დავუფიქრდეთ იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობაშია საბჭოთა რუსეთი მთელი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიმართ.

როცა ბოლშევიკებმა რევოლუცია დაიწყეს, ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა დავიწყოთ იგი; მაგრამ ამასთან ერთად არ ვივიწყებდით, რომ მისი წარმატებით დაგვირგვინება და უდავოდ სრულ გამარჯვებამდე მიყვანა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მარტო რუსეთით კი არ შემოვიფარგლებით, არამედ მთელ რიგ ქვეყნებთან

კავშირში დავამარცხებთ საერთაშორისო კაპიტალს. რუსეთის კაპიტალი დაკავშირებულია საერთაშორისო კაპიტალთან. და როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან: რუსეთში კიდეც რომ გაიმარჯვოთ, თქვენი საქმე მაინც დაიღუპება, იმიტომ რომ სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები მოგსპობენო, — ამის საპასუხოდ ჩვენ ახლა გვაქვს ფრიად მნიშვნელოვანი გამოცდილება — პოლონეთთან ომის გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გამოვიდა ნამდვილად. მართლაც, რატომ მოხდა, რომ საფრანგეთი, პოლონეთი და ვრანგელი, ჩვენზე უფრო ძლიერნი, ბოლშევიზმისადმი სიძულვილით და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის სურვილით გაჟღენთილნი, ნახევარი წლის შემდეგ — და კიდევ უფრო ადრეც, თუ შემოტევის დასაწყისად აპრილს ჩავთვლით, — დამარცხდნენ, რომ ომი ჩვენს სასარგებლოდ მთავრდება? როგორ მოხდა, რომ საბჭოთა რუსეთი, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით გაწამებული, მტრებით გარშემორტყმული, ტანსაცმლისა და საჭურვლის საგნების ყოველგვარ წყაროებს მოწყვეტილი, — აი ეს საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული აღმოჩნდა? აი ამას უნდა ჩავუფიქრდეთ, იმიტომ რომ, როცა ამ საკითხს ვუფიქრდებით, ჩვენ თანდათან ვგებულობთ არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო რევოლუციის მექანიკასაც. ჩვენ ვხედავთ იმის დადასტურებას, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ ერთი რგოლია საერთაშორისო რევოლუციის ჯაჭვში და რომ ჩვენი საქმე მტკიცედ და უძლეველად დგას, რადგან მთელ მსოფლიოში რევოლუციის საქმე ვითარდება, ეკონომიური პირობები ისე ეწყობა, რომ ჩვენს მტრებს აუძლურებს, ჩვენ კი დღითი დღე გვაძლიერებს. და ეს რომ არც გადამეტება, არც ტრაბახი, არც გატაცება არ არის, ახლა ეგ ერთხელ კიდევ დაგიმტკიცათ პოლონეთის ომმა. სამი მოკავშირე გვეომებოდა ჩვენ. თითქოს ძნელი არ იყო ამ სამი მოკავშირის გაერთიანება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის ომების დიდი გამოცდილებით აღჭურვილმა ამ სამმა მოკავშირემ ვერ შეძლო გაერთიანებულიყო ჩვენს წინააღმდეგ; ისინი ყოველ ფეხის

გადადგმაზე ჩხუბობდნენ ერთმანეთში, — და ეს განსაკუთრებით საგულისხმოა პოლონეთის ახლახან დამთავრებული ომის ისტორიიდან. ვარშავაზე ჩვენმა ლაშქრობამ, წითელი არმიის ამ გალაშქრებამ, როცა დაღლილმა, გაწამებულმა, ცუდად ჩაცმულმა ჯარისკაცებმა 600 ვერსზე მეტი გაიარეს და მრავალჯერ ზედიზედ დაამარცხეს პოლონეთის მშვენივრად გაწვრთნილი ჯარები, რომელთაც ასობით ჰყავდათ საუკეთესო ფრანგი ინსტრუქტორი ოფიცრები, — ამ ლაშქრობამ გამოააშკარავა შინაგანი ურთიერთდამოკიდებულება ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს შორის. როცა წითელი არმიის ჯარები პოლონეთის საზღვარს უახლოვდებოდნენ, 12 ივლისს მივიღეთ დეპეშა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ კერზონისაგან, რომელიც ერთა ლიგის, ყბადაღებული ერთა ლიგის სახელით, იმ კავშირის სახელით, რომელიც თითქოს აერთიანებს ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას, იტალიას და იაპონიას, — სახელმწიფოებს, რომელთაც მოეპოვებათ სამხედრო ძალა, გიგანტური ძალა, მოეპოვებათ მსოფლიოს მთელი სამხედრო ფლოტი და რომელთა მიმართ სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა თითქოს სრულიად შეუძლებელი და უაზროა, — ამ ერთა ლიგის სახელით წინადადებას გვაძლევდა შეგვეწყვიტა ომი და გაგვემართა მოლაპარაკება პოლონელებთან ლონდონში. ამ დეპეშის თანახმად, საზღვრის ხაზი უნდა ყოფილიყო გროდნოს, ბელოსტოკის, ბრესტ-ლიტოვსკის ახლო და მდინარე სანუს გასწვრივ აღმოსავლეთ გალიციაში. ამ წინადადებაზე ჩვენ ვუპასუხეთ, რომ არავითარ ერთა ლიგას ანგარიშს არ ვუწევთ, იმიტომ რომ ჩვენ ვხედავთ ამ ერთა ლიგის არასერიოზულობას, მას თვით მისი წევრებიც კი არ უჯერიან. ჩვენი პასუხი საფრანგეთის მთავრობამ კადნიერად ჩათვალა, და თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს წინააღმდეგ ერთა ლიგა გამოილაშქრებდა. მაგრამ რა გამოირკვა? ერთა ლიგა დაიშალა ამ პირველი ჩვენი განცხადებისთანავე, და ინგლისი და საფრანგეთი ერთიმეორის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ინგლისის სამხედრო მინისტრი ჩერჩილი უკვე რამდენიმე წელიწადია ყოველგვარ საშუალებას, — კანონიერსაც და ინგლისური კანონების თვალსაზრისით კიდევ უფრო უკანონოს, — ხმარობს, რომ დაეხმაროს ყველა თეთრგვარდიელს რუსეთის წინააღმდეგ, მოამარაგოს ისინი სამხედრო საჭურვლით. ის — საბჭოთა რუსეთის უდიდესი მოძულეა, და, მიუხედავად ამისა, ინგლისი ჩვენი განცხადების შემდეგ მაინც მყისვე ჩამოშორდა საფრანგეთს, რადგან საფრანგეთს ესაჭიროება თეთრგვარდიული რუსეთი გერმანიისაგან თავის დასაცავად, ინგლისს კი არავითარი თავდაცვა არ სჭირია, ინგლისი საზღვაო ქვეყანაა, არავითარი გამოსვლა მას არ აშინებს, იმიტომ რომ უძლიერესი ფლოტი ჰყავს. ამრიგად, პირველ ფეხის გადადგმაზევე აღმოჩნდა, რომ ერთა ლიგა, რომელიც ასეთ გაუგონარ მუქარას უთვლიდა რუსეთს, უძლურია. ყოველ ნაბიჯზე აშკარავდება, რომ ამ ერთა ლიგის შემადგენელი ნაწილების ინტერესები ურთიერთ საწინააღმდეგოა. საფრანგეთს სურს ინგლისის დამარცხება, და პირიქით. და როცა ამხ. კამენევი მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის მთავრობასთან ლონდონში, და როცა მან ინგლისის პრემიერ-მინისტრს განუცხადა: «დავუშვათ, რომ თქვენ მართლა შეასრულებთ, რასაც ლაპარაკობთ, მაგრამ საფრანგეთი რას იზამს?» — მაშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრი იძულებული იყო ეპასუხნა, რომ საფრანგეთი თავისი გზით ივლის, «ჩვენ საფრანგეთთან ერთად ვერ ვივლითო». აღმოჩნდა, რომ ერთა ლიგა არ არსებობს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კავშირი ცარიელი მოტყუებაა და რომ ნამდვილად ეს არის მტაცებელთა კავშირი, რომელთაგან თვითეული ცდილობს ერთიმეორეს რამე წაგლიჯოს. და ახლა, როცა რიგაში ზავის შეკვრის დროს ჩვენ შევიტყეთ, თუ რა ჰყოფდა პოლონეთს, ინგლისს, საფრანგეთსა და ვრანგელს, რატომ ვერ შეერთდნენ ისინი, ჩვენ გავიგეთ, რომ მათი ინტერესები სულ სხვადასხვა ყოფილა, იმიტომ რომ ინგლისს უნდა თავისი გავლენის ქვეშ ჰყავდეს ახალი პატარა სახელმწიფოები — ფინეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა; ინგლისს სულაც არ

აინტერესებს და მისთვის ხელსაყრელიც არაა მეფის თუ თეთრგვარდიული, ან თუნდაც ბურჟუაზიული რუსეთის აღდგენა. ამიტომაც ინგლისი საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებს და ვერ უერთდება პოლონეთსა და ვრანგელს. საფრანგეთი კი იმაზე ზრუნავს, რომ მთლად ერთიანად გაჟლიტოს პოლონელი ჯარისკაცები თავისი ინტერესებისათვის, მისი ვალების გულისათვის. მას იმედი აქვს, რომ გადავუხდით იმ 20 მილიარდ ვალს, რომელიც აიღო ყოფილმა მეფემ და რომელიც დაადასტურა კერენსკის მთავრობამ. დღეს კი ყოველმა ჭკვათამყოფელმა კაცმა იცის, რომ საფრანგეთის კაპიტალისტები ამ ფულებს ვერ იხილავენ, ისე როგორც საკუთარ ყურს; საფრანგეთის კაპიტალისტებს ესმით, რომ ფრანგ მუშებსა და გლეხებს მათი გულისთვის ომში ვერ გაგზავნი, ხოლო პოლონელ მუშებსა და გლეხებს — რამდენიც გნებავთ; დაე პოლონელი ჯარისკაცები დაიღუპონ, რათა საფრანგეთის კაპიტალისტებმა დაიბრუნონ თავიანთი მილიარდები. მაგრამ პოლონელი მუშებიც ხედავენ, რომ ფრანგ, ინგლისელ და სხვ. ოფიცრებს პოლონეთში თავი ისე უჭირავთ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. ამიტომ რიგაში მოლაპარაკების დროს ჩვენ ვნახეთ, რომ პოლონელ მუშათა და გლეხთა პარტია — უსათუოდ პატრიოტული, ბოლშევიზმისადმი უსათუოდ მტრულად განწყობილი, ჩვენი მემარჯვენე მენშევიკებისა და ესერების პარტიის მსგავსი პარტია ზავს ემხრობოდა და პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის წინააღმდეგი იყო, მთავრობისა პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტთა, რომელნიც უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდნენ ჩაეშალათ ზავი, ახლაც ცდილობენ და კიდევ დიდხანს ეცდებიან ამას. ამაზე მე მომიხდება ლაპარაკი, როდესაც გადავალ იმ საკითხზე, მტკიცეა თუ არა ეს წინასწარი ზავი, რომელიც ახლახან შევკარით.

მესამე მოკავშირე, ვრანგელი, რომელიც იბრძოდა იმისათვის, რომ მთელი რუსეთი მემამულეებისა და კაპიტალისტებისთვის დაებრუნებია, პოლონეთსაც რუსეთის ნაწილად თვლის. რუსეთის ყველა მეფე, რუსეთის მემამულენი და

კაპიტალისტები ხომ მიეჩვივნენ პოლონეთი ყოველთვის თავიანთ ნადავლად ჩაეთვალათ, მათ არ დავიწყნიათ, რომ პოლონეთს ჯერ კიდევ რუსეთის ყმა-გლეხები ახრჩობდნენ, როდესაც მათ ომში გზავნიდნენ, მეფის მეთაურობით, და მაშასადამე, ვრანგელს რომ გაემარჯვნა, ის გაიმარჯვებდა იმისათვის, რომ როგორც რუსეთში, ისე პოლონეთში მემამულეებისათვის დაებრუნებინა მთელი ხელისუფლება. მაგრამ გამოვიდა ის, რომ როცა ჩვენს წინააღმდეგ სამი მოკავშირე დაირაზმა, მათ იმით დაიწყეს, რომ ერთმანეთს წაეჩხუბნენ. და ის, რაც საფრანგეთს უნდა, არ უნდა არც პოლონელ გლეხს, არც პოლონელ მუშას, — ხოლო ის, რაც ვრანგელს უნდა, პოლონეთის არც ერთ მემამულესაც კი არ უნდა. და ახლა, როცა ვიჭერთ ვრანგელის რადიოგადაცემას ან პარიზის რადიოგადაცემას საფრანგეთის მთავრობის ცნობებით, ვხედავთ, რომ ვრანგელი და საფრანგეთი კბილებს აკრაჭუნებენ, რადგან იციან იმ ზავის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ ახლა შევკარით პოლონეთთან, თუმცა ისინი ირწმუნებიან, რომ ეს ზავი არაა, რომ პოლონეთი მას ხელს ვერ მოაწერსო. ჩვენ კი ვნახოთ, — ჯერჯერობით ზავი ხელმოწერილია. ნამდვილად კი არც ვრანგელს და არც საფრანგეთს არ ესმით, რაშია აქ საქმე. მათ ვერ მოუნელებიათ ის სასწაული, რომ გაპარტახებული საბჭოთა რუსეთი ამარცხებს ცივილიზებულ სახელმწიფოებს, რომელნიც მასზე უფრო ძლიერნი არიან. მათ არ ესმით ის, რომ ამ გამარჯვებათა მთელი ძალაა კომუნისტების ძირითადი მოძღვრება, რომელიც ამბობს, რომ საკუთრება სთიშავს, შრომა კი აერთებს. კერძო საკუთრება — ეს ძარცვა-გლეჯაა, და კერძო საკუთრებაზე დამყარებული სახელმწიფო — სახელმწიფოა მტაცებლებისა, რომელნიც ნადავლის გაყოფისათვის ომობენ. და ისინი უკვე ამ ომის დასრულებამდე იწყებენ ბრძოლას შიგნით, ერთმანეთს შორის. ერთი წლის წინათ ჩვენ 14 სახელმწიფო გვემუქრებოდა. ამავე დროს კი ამ 14 სახელმწიფოს კავშირი ერთბაშად დაიშალა. ხოლო რატომ დაიშალა იგი? იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოთა ხელშეკრულება ერთმანეთს შორის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და მათ-

გან საომრად არავინ წავიდა. და როდესაც ახლა ომი დაიწყო, საფრანგეთი, პოლონეთი და ვრანგელი შეერთდნენ, მაგრამ მათი კავშირიც დაირღვა იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს ფეხს უდებენ. ისინი იყოფენ იმ დათვის ტყავს, რომელიც ჯერ არ მოუკლავთ და ვერც მოკლავენ. მიუხედავად ამისა ისინი უკვე ამ დათვის გულისთვის ჩხუბობენ.

მსოფლიო პოლიტიკის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული კავშირი უსათუოდ დასამარცხებლად არის განწირული, იმიტომ რომ ეს იმპერიალისტური კავშირია, იმ მტაცებელთა კავშირია, რომელნიც გაერთიანებული არ არიან და ნამდვილი, მტკიცე, გამაერთიანებელი ინტერესი არა აქვთ. მათ არა აქვთ ის, რაც აერთებს მუშათა კლასს, მათ არა აქვთ ეს ინტერესი, და ეს ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა პოლონეთის ომის დროს. როცა ჩვენმა წითელმა არმიამ გატეხა პოლონელების წინააღმდეგობა, როცა მან ბელოსტოკი და ბრესტ-ლიტოვსკი აიღო და პოლონეთის საზღვარს მიადგა, ამით უკვე მთელი საერთაშორისო პოლიტიკა დასრულდა, ვინაიდან იგი ემყარება ვერსალის ხელშეკრულებას, ხოლო ვერსალის ხელშეკრულება მტაცებელთა და ავაზაკთა ხელშეკრულებაა. როდესაც ჩვენ თავს მოგვახვიეს ბრესტის ზავი, რომლის უღელქვეშ ამდენი ხანი ვიყავით, მაშინ მთელ მსოფლიოში გაყვიროდნენ — ეს მძარცველთა ზავიაო. როცა გერმანია დამარცხდა, ერთა ლიგა, რომელიც მას ეომებოდა, ყვიროდა — ეს ომი განმათავისუფლებელი, დემოკრატიული ომიაო. გერმანიას თავს მოახვიეს ზავი, მაგრამ ეს იყო ჩარჩული ზავი, სულთამხუთავთა ზავი, მეყასბეთა ზავი, იმიტომ რომ მათ გაძარცვეს და დააქუცმაცეს გერმანია და ავსტრია, მოუსპეს მათ ყოველგვარი საარსებო საშუალება, დატოვეს ბავშვები, რომ იშიმშილონ და შიმშილისაგან დაიხოცნონ; ეს გაუგონარი, მტაცებლური ზავი იყო. ამრიგად, რა არის ვერსალის ხელშეკრულება? ეს გაუგონარი, მტაცებლური ზავია, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანებს, მათ შორის უაღრესად ცივილიზებულთ, მონების მდგომარეობაში აყენებს. ეს ზავი კი არ არის,

ეს არის პირობები, რომლებიც დანით შეიარაღებულმა ყაჩაღებმა უკარნახეს უმწეოდ დარჩენილ მსხვერპლს. ამ მოწინააღმდეგეებმა ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას წაართვეს ყველა კოლონია. თურქეთი, სპარსეთი და ჩინეთი მონებად არიან გადაქცეულნი. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 7/10 დამონებულია. ეს მონები გაფანტული არიან მთელ მსოფლიოში და საჯიჯგნად ჩავარდნიათ ხელში ერთ მუჭა ქვეყნებს — ინგლისს, საფრანგეთს და იაპონიას. აი ამიტომ მთელი ეს საერთაშორისო წყობილება, წესრიგი, რომელიც ვერსალის ზავს ემყარება, ვულკანზე დგას, რადგან მთელი დედამიწის მოსახლეობის ეს დამონებული 7/10 ნაწილი მოუთმენლად ელის, რომ ვინმე მოვიდეს და ბრძოლა დაიწყოს, რათა ყველა ამ სახელმწიფოს ნიადაგი შეერყეს. საფრანგეთს ძველი ვალების მიღების იმედი აქვს, თვითონ კი ამერიკის ვალებშია ჩაფლული; ამ ვალებს ის ამერიკას ვერაფრით გადაუხდის, რადგან არა გააჩნია რა, ხოლო კერძო საკუთრება მათთვის წმიდათა წმიდაა. რაში მდგომარეობს ეს წმიდათა წმიდა კერძო საკუთრება? იმაში, რომ მეფეები და კაპიტალისტები სესხულობენ ფულს, მუშებმა და გლეხებმა კი უნდა იხადონ ეს ვალი. ისინი დაღუპვის კარამდე არიან მისული. ისინი ვალებს თავს ვერ დააღწევენ. და აი სწორედ ამ დროს წითელმა არმიამ გაარღვია პოლონეთის საზღვარი და მიადგა გერმანიის საზღვარს. ეს იყო მაშინ, როდესაც გერმანიაში ყველანი, თვით შავრაზმელები და მონარქისტებიც კი, ამბობდნენ, რომ ბოლშევიკები მათ უშველიან, როდესაც დაინახეს, რომ ვერსალის ზავი სულ ერთიანად ირღვევა, რომ არის წითელი არმია, რომელმაც ყველა კაპიტალისტს ომი გამოუცხადა. მერე რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ ვერსალის ზავი დამყარებულია პოლონეთზე. მართალია, ჩვენ ძალა აღარ გვეყო ომი ბოლომდე მიგვეყვანა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მუშები და გლეხები შიშველ-ტიტველნი იყვნენ, და, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც წინ მიიწევდნენ, ისეთ სიძნელეებს ძლევდნენ და ისეთ პირობებში იბრძოდნენ, როგორშიაც არ უბრძოლია არც ერთ

არმიას მთელ მსოფლიოში. ჩვენ არ გვეყო ძალა, ვერ ავიღეთ ვარშავა, ბოლომდე ვერ გავანადგურეთ პოლონელი მემამულეები, თეთრგვარდიელები და კაპიტალისტები, მაგრამ ჩვენმა არმიამ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ვერსალის ხელშეკრულება არ არის ისეთი ძალა, როგორადაც მას გვიხატავენ, რომ ასობით მილიონი ადამიანი ახლა განწირულია, რათა ათეული წლობით იხადოს თვითონ ვალი და ახდევინოს შვილიშვილებს და შვილიშვილიშვილებს საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა იმპერიალისტების გასამდიდრებლად. წითელმა არმიამ ცხადყო, რომ ეს ვერსალის ხელშეკრულება არც ისე მტკიცეა. ამ ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ ჩვენმა არმიამ ცხადყო, რომ გაპარტახებულ საბჭოთა ქვეყანას, ამ წითელი არმიის მეოხებით, 1920 წლის ზაფხულზე სრულ გამარჯვებამდე ცოტაღა უკლდა. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ არის ისეთი ძალა, რომელსაც ვერსალის ხელშეკრულების არ ეშინია, და რომ ვერავითარი ვერსალის ხელშეკრულება ვერ გატეხს მუშათა და გლეხთა ძალას, თუ მათ უნარი შესწევთ ანგარიში გაუსწორონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

ამრიგად, თვით გალაშქრებას ვერსალის ზავის წინააღმდეგ, გალაშქრებას ყველა ქვეყნის ყველა კაპიტალისტ-მემამულისა და მათ მიერ დანარჩენების დახრჩობის წინააღმდეგ, — ამაოდ არ ჩაუვლია. ამას ხედავდნენ და ამაზე ფიქრობდნენ მუშათა და გლეხთა მილიონები ყველა ქვეყანაში, და ახლა საბჭოთა რესპუბლიკაში ისინი თავიანთ მხსნელს ხედავენ. ისინი ამბობენ: წითელმა არმიამ დაამტკიცა, რომ იგი პასუხს აძლევს დარტყმებზე, მაგრამ მას ძალა არ ეყო გასამარჯვებლად მისი მშვიდობიანი მშენებლობის პირველ წელიწადს, შეიძლება ითქვას, პირველ თვესაც. მაგრამ მშვიდობიანი მშენებლობის ამ პირველ თვეს მოყვება წლები, და ყოველ ასეთ წელიწადს ის ათჯერ უფრო ძლიერი გახდება. ფიქრობდნენ, რომ ვერსალის ზავი არის ყოვლად ძლიერი იმპერიალისტების ზავი, და 1920 წლის ზაფხულის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ისინი უფრო უძლურნი არიან, ვიდრე თუნდაც სუსტი ქვეყნის მუშები და გლეხები, თუ მათ უნარი

შესწევთ შეაერთონ თავიანთი ძალები და შეუტიონ კაპიტალისტებს. და საბჭოთა რუსეთი 1920 წლის ზაფხულზე გამოვიდა არა მარტო როგორც ისეთი ძალა, რომელიც თავს იცავს ძალმომრეობისაგან, პოლონელ თეთრგვარდიელთა შემოტევისაგან, — იგი ნამდვილად გამოვიდა როგორც მსოფლიო ძალა, რომელსაც უნარი შესწევს დაარღვიოს ვერსალის ხელშეკრულება და გაათავისუფლოს მრავალი ასეული მილიონი ადამიანი დედამიწის ქვეყნების უმეტეს ნაწილში. აი წითელი არმიის იმ ლაშქრობის მნიშვნელობა, რომელიც მოხდა ამ ზაფხულზე. ამიტომაც მოხდა ინგლისში ამ ომის დროს ისეთი ამბები, რომელნიც მოასწავებენ გარდატეხას ინგლისის მთელ პოლიტიკაში. როდესაც უარი ვთქვით შეგვეჩერებინა ჩვენი ჯარები, ინგლისმა მუქარით გვიპასუხა: «ჩვენს ფლოტს ვგზავნით პეტროგრადის წინააღმდეგო». ბრძანება გასცეს შემოეტიათ პეტროგრადის წინააღმდეგ. ასე განუცხადა ამხ. კამენევს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა და ასე გამოაცხადეს ყველა ქვეყანაში. მაგრამ მეორე დღეს ამ დეპეშის შემდეგ მთელ ინგლისში გაიმართა მიტინგები, კრებები და, თითქოს მიწიდან ამოძვრენო, გაჩნდნენ «მოქმედების კომიტეტები». მუშები გაერთიანდნენ. ყველა ინგლისელი მენშევიკი, რომელნიც რუს მენშევიკებზე კიდევ უფრო საზიზღრები არიან, რომელთაც კიდევ უფრო ლაქიურად უჭირავთ თავი კაპიტალისტების წინაშე, ისინიც კი უნდა გაერთიანებულიყვნენ, იმიტომ რომ ამას მოითხოვდნენ მუშები. ინგლისის მუშებმა კი თქვეს: «ომს რუსეთის წინააღმდეგ არ დავუშვებთ!». მთელ ინგლისში შეიქმნა «მოქმედების კომიტეტები», და ინგლისელი იმპერიალისტების ომი ჩაიშალა, და ისევ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა რუსეთს ყველა ქვეყნის იმპერიალისტების წინააღმდეგ ომში მოკავშირეები ჰყავს თვითეულ ამ ქვეყანაში. როდესაც ბოლშევიკები ამბობდნენ: «ჩვენ მარტონი არა ვართ, როცა ავუმხედრდით მემამულეებსა და კაპიტალისტებს რუსეთში, იმიტომ რომ ჩვენ ყოველ ქვეყანაში გვყავს მოკავშირე, ეს მოკავშირეა მუშა და მშრომელი, ისინი ქვეყნების უმეტეს ნაწილში არიანო», — ამაზე დაცინვით

უპასუხებდნენ და ამბობდნენ: «სად გამოიჩინეს თავი მათ, ამ მშრომელებმა?». დიახ, დასავლეთ ევროპაში, სადაც კაპიტალისტები გაცილებით უფრო ძლიერნი არიან, სადაც ისინი ცხოვრობენ გაძარცული კოლონიების მრავალი ასეული მილიონის ხარჯზე, — იქ აჯანყება გაცილებით უფრო ძნელია, იქ მუშათა რევოლუცია შეუდარებლად უფრო ნელა იზრდება. მაგრამ ის მაინც იზრდება. და როდესაც 1920 წლის ივლისში ინგლისი რუსეთს ომით დაემუქრა, ინგლისის მუშებმა ეს ომი ჩაშალეს. ინგლისელი მენშევიკები გაყვნენ ინგლისელ ბოლშევიკებს. ისინი უნდა გაყოლოდნენ ინგლისელ ბოლშევიკებს და უნდა ეთქვათ კონსტიტუციის, კანონის წინააღმდეგ: «ომს ჩვენ არ დავუშვებთ. თუ თქვენ ხვალ ომს გამოაცხადებთ, ჩვენ გამოვაცხადებთ გაფიცვას და არა თუ თქვენ არ მოგცემთ ქვანახშირს, მას არც საფრანგეთს მივცემთ». ინგლისელმა მუშებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ აკეთონ საერთაშორისო პოლიტიკა, და ისინი მას აკეთებენ ისე, როგორც აკეთებენ ბოლშევიკები რუსეთში, და არა ისე, როგორც აკეთებენ კაპიტალისტები სხვა ქვეყნებში.

აი იმის ნიმუში, თუ რა გამოააშკარავა პოლონეთის ომმა. აი რატომ მოხდა, რომ ნახევარი წლის შემდეგ ჩვენ გავიმარჯვეთ. აი რატომ მოხდა, რომ გაპარტახებული, სუსტი, ჩამორჩენილი საბჭოთა რუსეთი ამარცხებს სახელმწიფოთა შეუდარებლად უფრო ძლიერ კავშირს, იმიტომ რომ ამ სახელმწიფოებს არა აქვთ შინაგანი ძალა, იმიტომ რომ მუშები და მშრომელები მათი წინააღმდეგი არიან, — და ეს აშკარავდება ყოველ კრიზისში. ეს აშკარავდება იმიტომ, რომ ესენი მტაცებლები არიან, რომელნიც ერთმანეთს სჭამენ და არ შეუძლიათ ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანება, საბოლოო ანგარიშით, ბოლოს და ბოლოს, იმიტომ, რომ საკუთრება ადამიანებს თიშავს და მხეცებად აქცევს, შრომა კი აერთიანებს. და შრომამ გააერთიანა არა მარტო რუსეთის მუშები და გლეხები, არამედ გააერთიანა ისინი აგრეთვე ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებთან, ასე რომ ახლა ყველა ქვეყანაში ხედავენ, რომ საბჭოთა რუსეთი ისეთი ძალაა, რომელიც არღვევს

ვერსალის ზავს. გამაგრდება საბჭოთა რუსეთი, — და განიავდება ვერსალის ხელშეკრულებაც, როგორც ის კინაღამ განიავდა 1920 წლის ივლისში წითელი არმიის პირველი დარტყმით. ამიტომაც იყო, რომ ეს პოლონეთის ომი გათავდა ისე, როგორც არც ერთი იმპერიალისტური სახელმწიფო არ მოელოდა. და ეს გაკვეთილი ჩვენთვის უდიდესი გაკვეთილია, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მაგალითით და ქცევით გვიჩვენებს, რომ ჩვენი საქმე მტკიცედაა, რომ როგორიც უნდა იყოს რუსეთზე შემოსევის ცდები და რუსეთის საწინააღმდეგო სამხედრო წამოწყებანი, ასეთი ცდები კი, ალბათ, კიდევ არა ერთი იქნება, მაგრამ ჩვენ უკვე გამობრძმედილი ვართ ჩვენი გამოცდილებით, და ფაქტიური გამოცდილების მიხედვით ვიცით, რომ ყველა ეს ცდა გაცამტვერდება. და ჩვენი მტრების ყოველი ასეთი ცდის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო ძლიერი გამოვალთ, ვიდრე მანამდე ვიყავით.

ახლა საერთაშორისო პოლიტიკიდან, რომელმაც ვერსალის ზავთან შეტაკებაში დაამტკიცა ჩვენი ძალა, გადავალ უფრო ახლობელ, პრაქტიკულ ამოცანებზე, გადავალ იმ მდგომარეობაზე, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შეიქმნა. არ შევჩერდები იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა ივლისში შემდგარ კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობას, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ყრილობას, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა, და აღმოსავლეთის ხალხთა იმ ყრილობას, რომელიც შემდეგ ბაქოში შედგა[58]. ეს ის საერთაშორისო ყრილობებია, რომლებმაც შეაკავშირეს კომუნისტები და გვიჩვენეს, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და აღმოსავლეთის ყველა ჩამორჩენილ ქვეყანაში ბოლშევიკური დროშა, ბოლშევიზმის პროგრამა, ბოლშევიკების მოქმედება არის ის, რაც ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშებისათვის, ყველა ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყნის გლეხებისათვის წარმოადგენს ხსნის დროშას, ბრძოლის დროშას, რომ, მართლაც, საბჭოთა რუსეთმა ამ სამი წლის განმავლობაში არათუ უკუაგდო ისინი,

ვინც მას თავს ესხმოდა დასახრჩობად, არამედ მოიპოვა მშრომელთა თანაგრძნობა მთელ მსოფლიოში; რომ ჩვენ არა მარტო გავანადგურეთ ჩვენი მტრები, არამედ მოვიპოვეთ და ვპოულობთ მოკავშირეებს არათუ დღითი დღე, — ყოველ საათშიაც კი. თუ რა გააკეთა კომუნისტთა მოსკოვის ყრილობამ და აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტურ წარმომადგენელთა ყრილობამ ბაქოში, — ამის ერთბაშად გაზომვა არ შეიძლება, ამის პირდაპირი აღრიცხვა შეუძლებელია, მაგრამ ეს ისეთი მონაპოვარია, რომელიც მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა სამხედრო გამარჯვებანი, ვინაიდან ის გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკების გამოცდილებამ, მათმა მოქმედებამ, მათმა პროგრამამ, მათმა მოწოდებამ კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ, — მთელ მსოფლიოში პოვა თანაგრძნობა და აღიარება, და იმას, რაც მოსკოვში გაკეთდა ივლისში და ბაქოში — სექტემბერში, კიდევ მრავალი თვის განმავლობაში შეითვისებენ და გადაამუშავებენ მუშები და გლეხები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს არის ისეთი ძალა, რომელიც ყოველი კონფლიქტის, ყოველი კრიზისის დროს გამოიჩენს თავს საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ, როგორც არა ერთხელ ვნახეთ, ეს არის ის ძირითადი გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს პოლონეთის ომიდან მთელ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით.

გადავდივარ რა იმაზე, რაც ამჟამად ხდება ჩვენში, უნდა ვთქვა, რომ მთავარი ძალა, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ დარჩა, ეს — ვრანგელია. საფრანგეთი, პოლონეთი და ვრანგელი ერთად მოდიოდნენ ჩვენს წინააღმდეგ. როდესაც ჩვენი ჯარები მთლიანად ომში იყვნენ ჩაბმულნი დასავლეთის ფრონტზე, ვრანგელი თავის ძალებს აგროვებდა, საფრანგეთისა და ინგლისის ფლოტი კი ეხმარებოდა მას. როდესაც ვრანგელი ყუბანს მიადგა, მას იქ შეძლებული კაზაკ-კულაკის იმედი ჰქონდა. ვინ ეხმარებოდა მაშინ ვრანგელს, ვინ აძლევდა მას სათბობს, სამხედრო ფლოტს, რათა იგი დონის აუზში ჰყოლოდათ? ინგლისისა და ამერიკის ფლოტი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს დესანტი ჩაიშალა, რადგან ყუბანელი კაზაკი თუმცა

პურით მდიდარია, მაგრამ იგი მშვენივრად ხედავდა, თუ რას ნიშნავს ეს დაპირებანი დამფუძნებელი კრებისა, ხალხის ძალაუფლებისა და სხვა ლამაზ-ლამაზი ამბებისა, რითაც ბრიყვებს ატყუებენ ესერები, მენშევიკები და სხვ.. შეიძლება, ყუბანელ გლეხებს სჯეროდათ მათი, როცა ისინი ასე ლამაზად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ბოლოს მათ დაუჯერეს არასიტყვებს, არამედ საქმეს; მათ დაინახეს, რომ ბოლშევიკები თუმცა მკაცრი ხალხია, მაგრამ ბოლშევიკებთან მაინც უკეთესია. ამის შედეგად ვრანგელი გაქრა ყუბანიდან, ხოლო მისი ჯარიდან მრავალი ასი და ათასი კაცი დახვრეტილი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ყირიმში ვრანგელი თანდათან სულ უფრო აგროვებდა თავის ძალებს, მისი ჯარი თითქმის სულ ოფიცრებისაგან შედგებოდა; ეს იმ იმედით კეთდებოდა, რომ პირველ ხელსაყრელ მომენტშივე შესაძლებელი ყოფილიყო ამ ძალების გაშლა, ოღონდ კი მას გაყოლოდნენ გლეხები.

ვრანგელის ჯარები უკეთესადაა მომარაგებული ზარბაზნებით, ტანკებით, აეროპლანებით, ვიდრე რუსეთში მებრძოლი ყველა დანარჩენი არმია. როდესაც ჩვენ ვებრძოდით პოლონელებს, ვრანგელი თავს უყრიდა თავის ძალებს, ამიტომაც ვამბობ, რომ პოლონეთთან ზავი არაა მტკიცე ზავი. წინასწარი ზავის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილ იქნა 12 რიცხვში, დროებითი დაზავება მოხდება მხოლოდ 18 რიცხვს, ამ დაზავებაზე პოლონელებს კიდევ შეუძლიათ უარი თქვან 2 დღით ადრე. მთელი ფრანგული პრესა და კაპიტალისტები ცდილობენ ჩააბან პოლონეთი ახალ ომში საბჭოთა რუსეთთან; ყოველგვარი კავშირი, რომელიც კი აქვს ვრანგელს, მას სურს ჩქარა აამოქმედოს, რათა ჩაფუშოს ეს ზავი, ვინაიდან ვრანგელი ხედავს, რომ როდესაც პოლონეთთან ომი გათავდება, ბოლშევიკები მის წინააღმდეგ მიბრუნდებიან. ამ ტომ ჩვენთვის ამჟამად ერთადერთი პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობს: მთელი ძალები ვრანგელის წინააღმდეგ. ჩვენ მიმდინარე წლის აპრილში ვთავაზობდით ზავს ჩვენთვის არახელსაყრელ პირობებში, ოღონდ კი გვეხსნა ათიათასობით მუშა და გლეხი ახალი ხოცვა-ჟლეტისაგან ომში. ჩვენთვის

იმდენი მნიშვნელობა არა აქვს საზღვრებს, — დაე დავკარგოთ საზღვრებზე მიწის მცირე რაოდენობა, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სიცოცხლე შევუნარჩუნოთ ათიათასობით ძუშასა და გლეხს, შევინარჩუნოთ მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა, ვიდრე მიწის მცირედი ტერიტორია. აი რატომ ვთავაზობდით ჩვენ ამ ზავს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ვრანგელი მთავარი საფრთხეა, რომ მისი ჯარები, რომელნიც დროის ამ პერიოდში ძალიან მოლონიერდნენ, ამჟამად თავგანწირულად იბრძვიან, ზოგიერთ შემთხვევაში გადმოდიან დნეპრზე და გვიტევენ. ვრანგელის ფრონტი — ეს იგივე პოლონეთის ფრონტია, და ვრანგელთან ომის საკითხი— პოლონეთთან ომის საკითხია, და იმისათვის, რომ პოლონეთთან წინასწარი ზავი საბოლოო ზავად გადაიქცეს, საჭიროა რაც შეიძლება მოკლე ხანში გავსრისოთ ვრანგელი. თუ ეს არ მოხდა, ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ პოლონეთის მემამულენი და კაპიტალისტები, საფრანგეთის მემამულეებისა და კაპიტალისტების ზეგავლენით და მათი დახმარებით, ერთხელ კიდევ არ შეცდებიან თავს მოგვახვიონ ომი. აი ამიტომ, ვსარგებლობ რა ამ ფართო კრებით, თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო ამ ძირითად საკითხს და გთხოვოთ, გამოიყენოთ თქვენი მდგომარეობა და გავლენა, რათა ზემოქმედება მოახდინოთ მუშათა და გლეხთა ფართო მასებზე, მიიღოთ ყოველგვარი ღონისძიებანი ჩვენი მორიგი ამოცანის სავსებით გადასაჭრელად: რადაც უნდა დაჯდეს უმოკლეს ვადაში გავსრისოთ ვრანგელი, ვინაიდან მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი შესაძლებლობა — შევუდგეთ მშვიდობიან მშენებლობას.

ჩვენ ვიცით, რომ გაჩანაგებულ ქვეყანაში ძირფესვიანად დანგრეულია გლეხური მეურნეობა, გლეხს ესაჭიროება პროდუქტები და არა ის ქაღალდის ფული, რომელიც ასე უხვად აცვივა მას თავზე; მაგრამ გლეხს რომ მივცეთ პროდუქტები: ნავთი, მარილი, ტანისამოსი და სხვ., — ამისათვის საჭიროა აღდგენილ იქნას მრეწველობა. ჩვენ იმ მდგომარეობაში შევდივართ, როდესაც ეს შეგვიძლია გავაკეთოთ. ჩვენ ვიცით,

რომ ამჟამად მეტი პური გვაქვს, ვიდრე შარშან გვქონდა, გვაქვს მრეწველობისათვის სათბობი, ჩვენ 100 მილიონ ფუთზე მეტი ნავთობი გვაქვს ბაქოდან; აღდგენილია დონის აუზი, რომელიც დიდძალ სათბობს იძლევა. და, მიუხედავად იმისა, რომ დონის აუზის სამხრეთთან ვრანგელის მოახლოების დროს საჭირო შეიქნა იქიდან ზოგიერთი საწარმოს ევაკუაცია, დონის მრეწველობა შეიძლება სავსებით აღდგენილად ჩაითვალოს. შუშის დამზადება უკეთ მიდის: თუ შარშან 7 მილიონი კუბი გამოვიტანეთ, ახლა გაცილებით მეტი გვაქვს. ჩვენი მრეწველობა გამოცოცხლებას იწყებს; ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიაში, სადაც რამდენიმე წელიწადი უმოქმედოდ იდგნენ ფაბრიკები, რაც სასოწარკვეთილებას იწვევდა ძთელ მუშებში, ამჟამად ფაბრიკები სათბობით მომარაგებული არიან და მოქმედებას იწყებენ. თურქესტანში გამარჯვების მეოხებით მათ მიიღეს თურქესტანის ბამბა და იწყებენ მოქმედებას. ჩვენ წინ ახლა იშლება საწარმოო მუშაობის უზარმაზარი ასპარეზი და მთელი ჩვენი ძალები იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ აღვადგინოთ მრეწველობა, რომ ტანსამოსი, ფეხსაცმელი და პროდუქტები მივცეთ გლეხს და მით დავიწყოთ სოფლის პურის წესიერი გაცვლა ქალაქის პროდუქტებზე. ჩვენ სოფლის მეურნეობას დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ. გუშინ სახკომსაბჭოში გადავწყვიტეთ, რომ ულუფის ძიცემით დავეხმაროთ იმ ქარხნის მუშებს, სადაც დაამზადებენ პირველ გუთანს, რომელიც ყველაზე უკეთესად იქნება შეგუებული ჩვენებურ რუსულ პირობებთან, რათა ავამაღლოთ სოფლის მეურნეობა და ავიყვანოთ იგი უფრო მაღალ დონეზე, მიუხედავად პირუტყვის ნაკლებობისა.

მუშები და გლეხები უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ ერთად მუშაობენ და ამ მხრივ წარმატებებს აღწევენ, მაგრამ, ამას რომ ჯეროვნად მოვკიდოთ ხელი, ჩვენთვის საჭიროა ერთი რამ: ჩვენთვის საჭიროა კარგად გვახსოვდეს, რომ ათიათასობით მუშა და გლეხი იხოცება ახლა ვრანგელის ფრონტზე, რომ მტერი ჩვენზე უკეთაა შეიარაღებული, რომ იქ, ვრანგელის ფრონტზე, წარმოებს უკანასკნელი თავგანწი-

რული ბრძოლა, რომ იქ წყდება საკითხი იმის შესახებ, მიეცემა თუ არა შესაძლებლობა საბჭოთა რუსეთს გამაგრდეს მშვიდობიანი შრომისათვის ისე, რომ არათუ პოლონელი თეთრგვარდიელები, — არავითარი მსოფლიო იმპერიალისტური კავშირი აღარ იქნეს მისთვის საშიში. ეს თქვენზეა დამოკიდებული, ამხანაგებო! თქვენ უნდა იხმაროთ ყოველი ღონე და გახსოვდეთ, რომ ბრძოლის ყოველგვარი საკითხი საბჭოთა რუსეთში წყდებოდა არა იმით, რომ ბრძანებები იგზავნებოდა ცენტრიდან, არამედ იმით, რომ ამ ბრძანებებს აღტაცებული და მხურვალე თანაგრძნობით ეგებებოდნენ მუშათა და გლეხთა მასები ადგილობრივ. როდესაც მუშები და გლეხები ხედავდნენ, რომ ისინი იბრძვიან კოლჩაკის, დენიკინისა და ვრანგელის წინააღმდეგ საკუთარი მიწებისა, ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის, იბრძვიან მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ თავიანთი ინტერესებისათვის, მხოლოდ მაშინ თვითეული მათგანი ყოველნაირად მხარს უჭერდა და ეხმარებოდა წითელ არმიას. როდესაც წითელარმიელები ხედავდნენ, რომ ზურგში მათთვის ზრუნავენ, მაშინ წითელი არმია აღფრთოვანებული იყო იმ სულისკვეთებით, რომელიც მას გამარჯვებას ანიჭებდა. მთელი საქმე ისაა, რომ ვრანგელი დავამარცხოთ, და მე თქვენ მოგიწოდებთ აამოქმედოთ და გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა თქვენს ორგანიზაციებში, თქვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, თქვენს სოფლებში, ნებაყოფლობით და მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა ინტერესების თანახმად აღმოუჩინოთ დახმარება ვრანგელის ფრონტს, — და მაშინ ჩვენ ნამდვილად გავიმარჯვებთ როგორც ამ ვრანგელის ფრონტზე, ისე საერთაშორისო ფრონტზე. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1920 წ. წიგნში: «მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები»

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

საბოლოო სიტყვა მოსკოვის გუბერნიის სამაზრო, სათემო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირზე

1920 წ. 15 ოქტომბერს

ამხანაგებო! მე მომიხდება დავკმაყოფილდე მოკლე საბოლოო სიტყვით, რადგან კრების დასაწყისშივე ჩანდა, რომ ორის საკმაოდ ძლიერი, ძალიან ძლიერი სურვილი ცენტრალური ხელისუფლების გინებისა. რასაკვირველია, სასარგებლო იქნებოდა მომესმინა და ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მომესმინა ყოველივე ის, რაც ითქვა ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. და მე მგონია, კამათი არ უნდა შეწყვეტილიყო. (ხმები: «მართალია!») მაგრამ, როდესაც მოვისმინე თქვენი შენიშვნები, გაკვირვებული დავრჩი, რომ თქვენ ძალიან ცოტა წამოაყენეთ გარკვეული და ზუსტი წინადადებანი. ორი საკითხიდან ჩვენი რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, ეტყობა, თქვენ უფრო გაინტერესებთ საშინაო მდგომარეობა. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ, ამხანაგებო, თქვენ გავიწყდებათ, რომ იგი საგარეო მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მეთქვა თქვენთვის, თუ როგორ და რატომ დაგვაყენა პოლონეთის ომმა საერთაშორისო იმპერიალისტების წინაშე, როგორ ბიგვიყვანა ზავთან, როგორ და რატომაა ეს ზავი არასაიმედო, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ იგი საიმედო იქნეს, და ამ საკითხში მე ვიმედოვნებ, თქვენ, როცა განიხილავთ ყველა სხვა საკითხს და გადმოსცემთ მათ აუშფოთებლად, — ყოველ შემთხვევაში არ დაემსგავსებით ზღაპრის იმ ზოგიერთ პერსონაჟს, რომლებიც მოიხსენია ერთმა ორატორმა. ფოცხვერს, რომელიც მოელის ომს თხასა და ცხვარს

შორის იმისათვის, რომ ორივენი შესანსლოს, ფოცხვერს თქვენ არ გაახარებთ, ამაში მე დარწმუნებული ვარ. რა ძლიერადაც უნდა დაეჯახონ ერთმანეთს თხა და ცხვარი, ფოცხვერს მაინც არ გავახარებთ. (ტ ა შ ი დ ა ხ მ ე ბ ი: «ვაშა!» «აი ეს მართალია!») ამხანაგებო! თუ აქ ასე ხშირად ისმოდა უკიდურესი უკმაყოფილება და მოუთმენლობა, ჩვენ ყველას გვესმის, რომ კრების მიმდინარეობის ფორმა — ეს, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი სიტყვაა. და ამ კრებაზე თქვენ ეს ფორმა დაარღვიეთ, იმიტომ რომ გლეხების უმრავლესობა მეტისმეტად ძლიერ გრძნობს იმ მდგომარეობის უკიდურეს სიმძიმეს, რომელიც ადგილობრივ შეიქმნა. მეტად მტკივნეულად გრძნობს გლეხების უმრავლესობა შიმშილსაც, სიცივესაც, აუტანელ დაბეგვრასაც. (ტ ა შ ი დ ა ხ მ ე ბ ი: «მართალია!») აი ყველაზე უფრო ამიტომ აგინებდა ცენტრალურ ხელისუფლებას მოლაპარაკეთა უმრავლესობა როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ. და იგრძნობოდა, რომ ამხანაგებს არც კი სურდათ მოესმინათ ბოლომდე, თუ ვერ ხედავდნენ ამ მტკივნეული საკითხის პასუხს. და ერთმა აქ მოლაპარაკე ორატორთაგანმა, არ მახსოვს, რომელმა, ისიც კი თქვა, რომ მე, მისი აზრით, ვითომ ამ საკითხს «თავი ავარიდე». მე ვფიქრობ, ეს აზრი უსაფუძვლოა.

საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა მეტად მძიმეა, ამან გვაიძულა დაგვეჩქარებინა ზავის ჩამოგდება ზამთრის კამპანიის წინ. ჩვენ გვაიძულა დაგვეჩქარებინა ზავი ზამთრის კამპანიის თავიდან აცილების სურვილმა, იმის შეგნებამ, რომ უმჯობესია გვქონდეს უფრო ცუდი საზღვარი, ე. ი. მივიღოთ ბელორუსიის ნაკლები ტერიტორია და საშუალება მოგვეცეს ბელორუსიის გლეხთა უფრო ნაკლები რაოდენობა გამოვგლიჯოთ ბურჟუაზიის უღელს, ვიდრე ახალი სიძძიმენი განვაცდევინოთ, ახალი ზამთრის კამპანია გადავატანინოთ რუსეთის გლეხებს. აი მიზეზები. თქვენ იცით, რომ ამ წლის მოუსავლობამ გაამწვავა გლეხობის გაჭირვება. მაგრამ ყველას როდი აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ბორკავს ეს საშინაო პოლიტიკის მდგომარეობას. მე ვფიქრობ, თქვენ ყველანი

სავსებით გამოარკვევთ დაბეგვრის საკითხს. თქვენ აგრეთვე მოუსმენთ, რას გეტყვით სასურსათო პოლიტიკის წარმომადგენელი, და მინდა მხოლოდ აღვნიშნო და მივაქციო თქვენი ყურადღება იმას, თუ რა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც ჩვენი თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს სხდომები. ამ სხდომებზე გვიხდება საკითხის გადაწყვეტა თვით ცალკეული მატარებლების შესახებ, გაწერის შესახებ, რომელიც ეკისრება რუსეთის ძველ გუბერნიებს, გაწერისა, რომელიც ხშირად განუზომლად მძიმეა. ორი-სამი კვირის წინათ სახკომსაბჭოში იყო კრება, სადაც ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, რომ ბეგარის გაწერა ცენტრში მეტიხმეტად მძიმეა, და კრებამ გადაწყვიტა შეამსუბუქოს ეს გაწერა. მაგრამ ვის ანგარიშზე უნდა მოხდეს ეს შემსუბუქება? და ამაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი გავცეთ, — უფრო პურიანი განაპირა მხარეების, სახელდობრ ციმბირის, ყუბანის ანგარიშზე, და უნდა მოვამზადოთ შესაძლებლობა, რომ პური წამოვიღოთ უკრაინიდან. ჩვენ მოგვაქვს პური ციმბირიდან, მოგვაქვს პური ყუბანიდან, მაგრამ ვერ მოგვაქვს იგი უკრაინიდან, რადგან იქ გაჩაღებულია ომი, და წითელ არმიას უხდება ბრძოლა ბანდების წინააღმდეგ, რომლებითაც სავსეა უკრაინა. ჩვენ თითქმის ყოველი მატარებლის შესახებ გვიხდება საკითხის გადაწყვეტა. ჩვენ ვხედავთ, რად გადაიქცა ეს კრება; რა უკმაყოფილებაა, რა საშინელი საპროტესტო ყიჟინია. მაგრამ ჩვენ გვესმის, რატომ ხდება ეს. ჩვენ გვესმის, რომ ყველა, ვინც აქ ღელავს, შეწუხებულია იმიტომ, რომ არაა პირუტყვის საკვები და პირუტყვი იღუპება, რომ დაბეგვრა მეტისმეტად დიდია. აქ ტყუილად ამბობდა ამხანაგი, თითქოს ჩვენთვის ახალი იყოს ამ საპროტესტო ხმების გაგონება. ჩვენ ხომ ადგილებიდან მიღებული დეპეშებიდანაც, ადგილებიდან მოსული მოხსენებებიდანაც ვიცით, რომ პირუტყვი წყდება საკვების უქონლობის გამო, და მდგომარეობის სიძნელე შეგნებული აქვს ყველას. როგორ გამოვიდეთ ამ

მდგომარეობიდან, ჩვენ ესეც ვიცით. აქ სხვა გამოსავალი არაა, და ეს გამოსავალია — ციმბირი, ყუბანი და უკრაინა.

ციმბირიდან ჩვენ უნდა გადაგვესროლა ჯარები ვრანგელის ფრონტზე, და თავდაცვის საბჭოში 2 — 3 ძალიან მძიმე სხდომა გვქონდა, როდესაც მოდიოდნენ ამხანაგები და მოითხოვდნენ საგანგებო სასურსათო მარშრუტების გაუქმებას. საკითხი გადავწყვიტეთ მეტად გამწვავებული დავისა და ვაჭრობის შემდეგ იმ აზრით, რომ შევამცირეთ რამდენიმე სასურსათო მატარებელი. მაგრამ ჩვენ გვინდა მოვისმინოთ უფრო მძიმე და სერიოზული მითითებანი. ჩვენ ვიცით, რამდენი დრტვინვა და ყვირილი გაისმის იმის შესახებ, რომ მეურნეობანი ნადგურდებიან. აი ამიტომ ეს დროებითი ზავიც კი, რომელიც 18 რიცხვს დაიწყება, იმ პირობითაც, რომ პოლონელებს უფლება აქვთ 48 საათით ადრე ჩაშალონ იგი, დასვენება და შემსუბუქებაა ჩვენთვის, და რაც უნდა იყოს, მაინც პურით დატვირთული მატარებლები ციმბირიდან და ყუბანიდან უახლოეს კვირეებში მეტი მოვა. რასაკვირველია, გაჭირვება ისე დიდია და მოუსავლობა ისე ძლიერი, რომ ეს ცოტათი შეამსუბუქებს მდგომარეობას. რასაკვირველია, არ შეიძლება მოტყუება და იმის ლაპარაკი, რომ ეს მოსპობს ყველა სიძნელეს და შესაძლებლობას მოგვცემს შევწყვიტოთ დაბეგვრის გაწერა.

ეს მე არ შემიძლია ვთქვა და არც ვიტყვი. თქვით თქვენი ზუსტი აზრი, შემოიტანეთ თქვენი გარკვეული წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ შევამსუბუქოთ უზომო დაბეგვრა, და ამას მუშურ-გლეხური მთავრობის წარმომადგენლები უდიდესი ყურადღებით მოეპყრობიან, იმიტომ რომ უნდა ვეძებოთ გამოსავალი, თუ როგორ შევამსუბუქოთ წარმოუდგენლად ძნელი მდგომარეობა. უკრაინაში პური ნაკლები არაა, შეიძლება მეტიცაა, ვინემ ყუბანში, მაგრამ უკრაინიდან დღემდე თითქმის ვერაფერი ვერ მივიღეთ დაბეგვრის გაწერით, რომელიც შედგენილია 600 მილიონ ფუთზე და რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს და აღადგინოს მთელი მრეწველობა. უკრაინა, ჩვენი ვარაუდით, ანგარიშიდან იშლება: არც

ერთი ფუთი უკრაინიდან, იმიტომ რომ იქ ბანდიტები თარეშობენ და იმიტომ რომ ვრანგელთან ომი გვაიძულებს ვთქვათ: იმედი არა გვაქვს, რომ მივიღებთ თუნდაც ერთ ფუთს უკრაინიდან. აი მდგომარეობა, როდესაც, წინააღმდეგ თქვენი კანონიერი მოუთმენლობისა და სრულიად სამართლიანი აღშფოთებისა, მთელი ყურადღება მიპყრობილია პოლონეთისა და ვრანგელის ფრონტებზე. აი ამიტომ, როდესაც ამხანაგმა თქვა: «ჩვენ დახმარების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ დახმარება ჩვენ გვესმის ნებაყოფლობითო», ჩვენ ვამბობთ: წადით და მიეშველეთ ფრონტს!

ჩემი მოკლე შენიშვნის დასასრულ გაგახსენებთ იმას, რაც გითხარით ჩემი მოხსენების ბოლოში: ყოველთვის, როცა საბჭოთა ხელისუფლებას უჭირდა მდგომარეობიდან გამოსვლა, — დენიკინის დროსაც, როდესაც ის ორიოლში იყო, იუდენიჩის დროსაც, როდესაც ის პეტროგრადიდან 5 ვერსზე იდგა, როდესაც მდგომარეობა არათუ ძნელი, პირდაპირ სასოწარმკვეთი ჩანდა, როდესაც მდგომარეობა ახლანდელზე ასჯერ უფრო ძნელი იყო, საბჭოთა ხელისუფლება იქიდან გამოდიოდა იმით, რომ არ ალამაზებდა ამ მდგომარეობას და იწვევდა მუშათა და გლეხთა ამგვარსავე კრებებს. აი ამიტომ ვამბობ: ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე კი არაა დამოკიდებული — მალე იქნება თუ არა შემუსვრილი ვრანგელი, არამედ იმაზე, თუ როგორ შეხედავენ ადგილების წარმომადგენლები, მას შემდეგ, რაც ისინი ამოწურავენ მთელ თავიანთ უკმაყოფილებას, ჩაატარებენ მთელ იმ ბრძოლას, რომელსაც ამხანაგმა ზევიდან თხებისა და ცხვრების ბრძოლა უწოდა, — ეს აუცილებელი რამაა, — წამოაყენებენ რა მთელ თავიანთ პრეტენზიებს, ბრალდებებსა და საყვედურებს, — როგორ შეხედავენ ისინი იმ საკითხს, უნდათ თუ არა მათ თვითონ თავისუფლება, ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად. ჩვენ აქ არაფრის ბრძანება არ შეგვიძლია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ თქვენ თვითონ, როცა გადახვალთ საქმის ვითარებაზე, გაწერაზე, დაბეგვრაზე, ვრანგელზე და სხვ., როგორ გადაწყვეტთ, —

ეს თქვენზეა დამოკიდებული. მოუსმინეთ თვითეულს, გამოთქვით ყველა თქვენი საყვედური, გამოგვლანძღეთ ათჯერ უფრო ძლიერად, — ეს თქვენი უფლებაა, თქვენი მოვალეობაა. თქვენ აქ მოხვედით იმისათვის, რომ პირდაპირ და მკაცრად გამოთქვათ თქვენი აზრი, ხოლო როდესაც თქვენ ყოველივე ამას იზამთ, — დაფიქრდით დამშვიდებით, რა გინდათ მოგვცეთ და გააკეთოთ, რათა რაც შეიძლება მალე მოვუღოთ ბოლო ვრანგელს. და მე ვფიქრობ, ამ საკითხში ჩვენ შევთანხმდებით იმდენად ერთსულოვნად, რომ, — ვიმეორებ და ვამთავრებ, — ჩვენი ურთიერთ დავის, შეკამათებისა და ბრალდებების მიზეზით ფოცხვერი ვერავითარ შემთხვევაში ვერაფერს მოიგებს. (ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1920 წ. წიგნში:
«მოსკოვის მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების
საბჭოს პლენუმის სხდომების
სტენოგრაფიული ანგარიშები»

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

დეპეშა
უკრაინის საბჭოთა მთავრობას
და სამხრეთის ფრონტის შტაბს

ღარიბ სოფლელთა შესახებ თქვენი დეპეშის პასუხად გაცნობებთ ჩ ე მ ს აზრს. თუ ისინი ნამდვილად რევოლუციური არიან, მაშინ პროგრამად უნდა ჩაითვალოს: 1) კოლექტიური დამუშავება; 2) გამქირავებელი პუნქტები; 3) ჩამოერთვას კულაკებს ფული შრომითი ნორმის ზევით; 4) პურის ნაჭარბი შეგროვდეს მთლიანად და მიეცეს ღარიბ სოფლელებს; 5) კულაკების სასოფლო-სამეურნეო იარაღები წამოღებულ იქნას გამქირავებელ პუნქტებში; 6) ყველა ეს ზომა გატარდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ კოლექტიურ დამუშავებას წარმატება ექნება, და რეალური კონტროლით. კომუნებ• უკანასკნელ ადგილზე დავაყენოთ, რადგან ყველაზე მეტად საშიშია ხელოვნური ცრუკომუნები და მარტოხელათა გამოყოფა მასიდან. სიახლეთა შემოღების უაღრესი სიფრთხილე და დაწყებული საქმის განხორციელების რეალობის სამმაგი შემოწმება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 16 ოქტომბერს

პირველად გამოქვეყნდა 1942 წ.

იბეჭდება მანქანით
გადაღებული პირის
მიხედვით

დიქტატურის საკითხის ისტორიისათვის

(შენიშვნა)

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითადი საკითხია გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ საკითხის სავსებით გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ მისი ისტორია. საერთაშორისო მასშტაბით საერთოდ რევოლუციური დიქტატურის და კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის მოძღვრების ისტორია თანაემთხვევა რევოლუციური სოციალიზმის ისტორიას და სპეციალურად — მარქსიზმის ისტორიას. შემდეგ, — და ეს, რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანია, — ექსპლოატატორების წინააღმდეგ ჩაგრული და ექსპლოატირებული კლასის ყველა რევოლუციის ისტორია ჩვენი ცოდნის უმთავრეს მასალას და წყაროს წარმოადგენს დიქტატურის საკითხში. ვისაც ვერ გაუგია ამა თუ იმ რევოლუციური კლასის დიქტატურის აუცილებლობა მისი გამარჯვებისათვის, მას ვერაფერი გაუგია რევოლუციის ისტორიაში ან არაფერი არ სურს იცოდეს ამ დარგში.

რუსეთის მასშტაბით, თუ ვილაპარაკებთ თეორიაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რსდმ პარტიის პროგრამას. რომელიც 1902 — 1903 წლებში შეადგინა «ზარიას» და «ისკრას» რედაქციამ ან, უფრო სწორად, შეადგინა გ. ვ. პლეხანოვმა, ხოლო რედაქცია გაუკეთა, შეცვალა და დაამტკიცა ამ რედაქციამ. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი ამ პროგრამაში ნათლად და გარკვეულად არის დასმული, ამასთან დასმულია სწორედ ბერნშტეინის წინააღმდეგ, ოპორტუნიზმის

წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, აქვს რევოლუციის გამოცდილებას, ე. ი. რუსეთში 1905 წლის გამოცდილებას.

ამ წლის სამი უკანასკნელი თვე — ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი — იყო განსაკუთრებით ძლიერი, ფართო, მასობრივი რევოლუციური ბრძოლის პერიოდი, — პერიოდი, როცა შეერთდა ამ ბრძოლის ორი ყველაზე ძლიერი ხერხი: მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება. (შევნიშნავთ ფრჩხილებში, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის მ ა ი ს შ ი ბოლშევიკურმა ყრილობამ, «რსდმპ მესამე ყრილობამ», «პროლეტარიატის დარაზმვის ამოცანა შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლის საწარმოებლად» აღიარა «პარტიის ერთ-ერთ უაღრესად მთავარ და გადაუდებელ ამოცანად» და მიანდო ყველა პარტიულ ორგანიზაციას «გაარკვიონ როლი მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებისა, რომლებსაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ აჯანყების დასაწყისში და თვით აჯანყების მსვლელობაში» [59]).

მსოფლიო ისტორიაში პირველად მიღწეულ იქნა განვითარების ისეთი სიმაღლე და რევოლუციური ბრძოლის ისეთი ძალა, რომ შეიარაღებული აჯანყება შეუერთდა მასობრივ გაფიცვას, ამ სპეციფიკურ პროლეტარულ იარაღს. ცხადია, რომ ამ გამოცდილებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ყ ვ ე ლ ა პროლეტარული რევოლუციისათვის. და ბოლშევიკები მთელი ყურადღებითა და გულმოდგინებით სწავლობდნენ ამ გამოცდილებას როგორც მისი პოლიტიკური, ისე ეკონომიური მხრივ. მივუთითებ 1905 წლის ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვათა ყოველთვიური მონაცემების, ორივე ამ გაფიცვების კავშირის ფორმების, მაშინ მსოფლიოში პირველად მიღწეული საგაფიცვო ბრძოლის განვითარების სიმაღლის ანალიზზე; ეს ანალიზი გავაკეთე 1910 თუ 1911 წლის ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» და შემდეგ მოკლედ იყო განმეორებული იმ ეპოქის საზღვარგარეთულ ბოლშევიკურ ლიტერატურაში [60].

მასობრივი გაფიცვები და შეიარაღებული აჯანყებანი თავისთავად აყენებდნენ დღის წესრიგში რევოლუციური ხელისუფლებისა და დიქტატურის საკითხს, ვინაიდან ბრძოლის ეს ხერხები გარდუვალად იწვევდა — თავდაპირველად ადგილობრივი მასშტაბით — ძველ ხელისუფალთა განდევნას, ძალაუფლების დაპყრობას პროლეტარიატისა და რევოლუციური კლასების მიერ, მემამულეთა განდევნას, ხანდახან ფაბრიკების ხელში ჩაგდებას და სხვ. და სხვ.. აღნიშნული პერიოდის მასობრივმა რევოლუციურმა ბრძოლამ წარმოშვა ისეთი, მსოფლიო ისტორიაში წინათ არნახული ორგანიზაციები, როგორიცაა მუშათა დეპუტატების საბჭოები, მათ შემდეგ კი ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, გლეხთა კომიტეტები და სხვ.. მივიღეთ ისეთი ფაქტი, რომ ის ძირითადი საკითხები (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა), რომლებიც ახლა მთელი მსოფლიოს შეგნებულ მუშათა ყურადღებას იპყრობს, პრაქტიკულად დასმული აღმოჩნდა 1905 წლის დამლევს. თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გაუყალბებელი მარქსიზმის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორიც როზა ლუქსემბურგია, მაშინვე დააფასეს ამ პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა და კრებებზე და ბეჭდვითი სიტყვით გამოვიდნენ მისი კრიტიკული ანალიზით, ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების ოფიციალურ წარმომადგენელთა უდიდესმა უმრავლესობამ, მათ შორის რეფორმისტებმაც და მომავალ «კაუცკელთა», «ლონგეტისტთა», ამერიკაში ხილკვიტის მომხრეთა ტიპის ადამიანებმა და სხვ. გამოამჟღავნეს სრული უუნარობა გაეგოთ ამ გამოცდილების მნიშვნელობა და ვერ შეასრულეს რევოლუციონერების მოვალეობა, ე. ი. ისინი არ შესდგომიან ამ გამოცდილების გაკვეთილების შესწავლასა და პროპაგანდას.

რუსეთში ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მაშინვე შეუდგნენ ამ გამოცდილების შეჯამებას. ეს მუშაობა

განსაკუთრებით დაჩქარდა იმით, რომ 1906 წლის აპრილში შედგა სტოკჰოლმის ეგრეთწოდებული «რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობა», რომელზედაც წარმოდგენილი იყვნენ და ფორმალურად გაერთიანდნენ მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც. ამ ყრილობისათვის ორივე ეს ფრაქცია მეტად ენერგიულად ემზადებოდა. ორივე ფრაქციამ ყრილობამდე, 1906 წლის დამდეგს, გამოაქვეყნა თავთავიანთი რეზოლუციების პროექტები ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ. ეს პროექტები, რომლებიც გადაბეჭდილია ჩემს ბროშურაში: «მოხსენება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ (წერილი პეტერბურგის მუშებს)». მოსკოვი, 1906 (110 გვერდი, აქედან თითქმის ნახევარი უკავია ორივე ფრაქციის რეზოლუციების პროექტთა ტექსტს და ყრილობის მიერ საბოლოოდ მიღებული რეზოლუციების ტექსტს), — წარმოადგენს უმთავრეს მასალას იმის გასაცნობად, თუ როგორ იყო მაშინ საკითხი დაყენებული.

დავა საბჭოების მნიშვნელობის შესახებ უკვე მაშინ დაკავშირებული იყო დიქტატურის საკითხთან. ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბრის რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე დასვეს დიქტატურის საკითხი (იხილე ჩემი ბროშურა: «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში», ჟენევა, 1905 წ. ივლისი, გადაბეჭდილია კრებულში — «12 წლის მანძილზე»). მენშევიკები ამ ლოზუნგს— «დიქტატურას» — უარყოფითად ეკიდებოდნენ. ბოლშევიკები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები «ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ნ ე ნ ა ხ ა ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ჩ ა ნ ა ს ა ხ ს»— სიტყვასიტყვით ასე ამბობდა ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტი («მოხსენება», გვ. 92). მენშევიკები აღიარებდნენ საბჭოების მნიშვნელობას, ემხრობოდნენ მათი «შექმნისათვის ხელის შეწყობას» და სხვ., მაგრამ არ თვლიდნენ მათ რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახად, საერთოდ არ ლაპარაკობდნენ ასეთი თუ მსგავსი ტიპის «ახალი რევოლუციური ხელისუფლების» შესახებ, პირდაპირ უარყოფდნენ დიქტა-

ტურის ლოზუნგს. ძნელი დასანახი არაა, რომ საკითხის ასეთი დაყენება უკვე შეიცავს მენშევიკებსა და ჩვენს შორის არსებული ყველა ახლანდელი უთანხმოების ჩანასახს. ძნელი დასანახი არაა აგრეთვე, რომ მენშევიკები (როგორც რუსი, ისე არა რუსი, მსგავსად კაუცკელებისა, ლონგეტისტებისა და სხვ.) ამ საკითხის დაყენებაში გვევლინებოდნენ და გვევლინებიან როგორც რეფორმისტები ან ოპორტუნისტები, რომელნიც სიტყვით აღიარებენ პროლეტარულ რევოლუციას, ხოლო საქმით უარყოფენ ყველაზე არსებითსა და ძირითადს რევოლუციის ცნებაში.

ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციამდე ზემოთ დასახელებულ ბროშურაში — «ორ ტაქტიკაში» მე გავარჩიე მენშევიკების მოსაზრება; ისინი ბრალს მდებდნენ, რომ მე თითქოს «შეუმჩნევლად შევცვალე ცნებები: რევოლუცია და დიქტატურა» («12 წლის მანძილზე», გვ. 459). მე დაწვრილებით ვამტკიცებდი, რომ მენშევიკები სწორედ ამ ბრალდებით ამეღავნებენ თავიანთ ოპორტუნიზმს, თავიანთ ნამდვილ პოლიტიკურ ბუნებას, როგორც ლიბერალური ბურჟუაზიის ამყოლნი, როგორც მისი გავლენის გამტარებელნი პროლეტარიატის შიგნით. როცა რევოლუცია უდავო ძალად იქცევა, მაშინ მისი მოწინააღმდეგენიც იწყებენ «რევოლუციის აღიარებას», ვამბობდი მე და მივუთითებდი (1905 წლის ზაფხულზე) მონარქისტ-კონსტიტუციონალისტებად დარჩენილ რუს ლიბერალთა მაგალითზე. ახლა, 1920 წელს, შეგვეძლო დაგვემატებინა, რომ გერმანიაშიც და იტალიაშიც ლიბერალური ბურჟუები ან, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის ყველაზე უფრო განათლებულნი და მოხერხებულნი მზად არიან «აღიარონ რევოლუცია». მაგრამ რევოლუციის «აღიარებით» და იმავე დროს განსაზღვრული კლასის (ან განსაზღვრული კლასების) დიქტატურის აღიარების უარყოფით, რუსეთის მაშინდელი ლიბერალები და მენშევიკები, ახლანდელი გერმანელი და იტალიელი ლიბერალები, ტურატელები, კაუცკელები აძყოლავნებენ სწორედ თავიანთ რეფორმიზმს,

ამქლავნებენ იმას, რომ ისინი სრულიად უვარგისნი არიან როგორც რევოლუციონერები.

ვინაიდან, როცა რევოლუცია უკვე უდავო ძალად გადაიქცა, როცა მას ლიბერალებიც კი «აღიარებენ», როცა მმართველი კლასები არა მარტო ხედავენ, არამედ გრძნობენ კიდეც ჩაგრული მასების უძლეველ ძალას, მაშინ მ თ ე ლ ი ს ა კ ი თ ხ ი — როგორც თეორეტიკოსთათვის, ისე პოლიტიკის პრაქტიკულ ხელმძღვანელთათვის — მდგომარეობს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ზ უ ს ტ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა შ ი. ხოლო «დიქტატურის» ცნების გარეშე ეს ზუსტი კლასობრივი განსაზღვრა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ვინც არ ამზადებს დიქტატურას, იგი ვერ იქნება ს ა ქ მ ი თ რევოლუციონერი. ეს ჭეშმარიტება არ ესმოდათ მენშევიკებს 1905 წელს. ის არ ესმით 1920 წელს იტალიის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა სოციალისტებს, რომელთაც ეშინიათ კომუნისტური ინტერნაციონალის მკაცრი «პირობებისა»; ეშინიათ იმ ადამიანებს, რომელთაც უნარი აქვთ აღიარონ დიქტატურა ს ი ტ ყ ვ ი თ, მაგრამ არ ძალუძთ მ ო ა მ ზ ა დ ო ნ ის ს ა ქ მ ი თ. ამიტომ უადგილო არ იქნება დაწვრილებით მოვიყვანოთ აქ მარქსის შეხედულებათა განმარტება, რომელიც დავბეჭდე 1905 წლის ივლისში რუსეთის მენშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ რომელიც შეეხება 1920 წლის დასავლეთ ევროპის მენშევიკებსაც (გაზეთებისა და სხვ. სახელწოდებას ვცვლი პირდაპირი მითითებით — მენშევიკებზეა ლაპარაკი თუ ბოლშევიკებზე):

«მერინგი თავის შენიშვნებში მარქსის სტატიებისადმი, რომლებიც მან 1848 წლის «ახალი რეინის გაზეთიდან» ამოიღო და გამოსცა, მოგვითხრობს, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურა, სხვათა შორის, ასეთს საყვედურს ეუბნებოდა ამ გაზეთს: «ახალი რეინის გაზეთი» თითქოს მოითხოვდა «დიქტატურის დაუყოვნებლივ შემოღებას, როგორც დემოკრატიის განხორციელების ერთადერთ საშუალებას» (**Marx' Nachlass** *, ტომი III, გვ. 53). ვულგარულ-ბურჟუაზიული

* — მარქსი. ლიტერატურული მემკვიდრეობა. რ ე დ.

თვალსაზრისით, დიქტატურის ცნება და დემოკრატიის ცნება ერთმანეთს გამორიცხავენ. არ ესმის რა კლასთა ბრძოლის თეორია, შეჩვეულია რა პოლიტიკურ ასპარეზზე პურჟუაზიის სხვადასხვა წრისა და კოტერიის წვრილმანი აყალმაყალის დანახვას, ბურჟუას დიქტატურა ესმის როგორც დემოკრატიის ყველა თავისუფლებისა და გარანტიის გაუქმება, ყოველგვარი თვითნებობა, უფლების ყოველგვარი ბოროტად გამოყენება დიქტატორის პიროვნების ინტერესებისათვის. არსებითად. სწორედ ეს ვულგარულ-ბურჟუაზიული თვალსაზრისი გამოსჭვივის იმ ჩვენი მენშევიკების ნაწერებშიც, რომლებიც ბოლშევიკების მიდრეკილებას «დიქტატურის» ლოზუნგისადმი იმით ხსნიან, რომ ლენინს «გულით უნდა ბედი სცადოსო» («ისკრა» № 103, გვ. 3, სვ. 2). რათა მენშევიკებს განვუმარტოთ კლასის დიქტატურის ცნება პიროვნების დიქტატურის ცნებისაგან განსხვავებით და დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები სოციალისტურისაგან განსხვავებით, უსარგებლო არ იქნება შევჩერდეთ «ახალი რეინის გაზეთის» შეხედულებებზე.

«ყოველგვარი დროებითი სახელმწიფოებრივი წყობილება, — წერდა «ახალი რეინის გაზეთი» 1848 წლის 14 სექტემბერს, — რევოლუციის შემდეგ მოითხოვს დიქტატურას და მასთან ენერგიულ დიქტატურასაც. ჩვენ თავიდანვე ვუსაყვედურებდით კამპჰაუზენს (სამინისტროს მეთაურს 1848 წლის 18 მარტის შემდეგ), რომ იგი არ გამოვიდა დიქტატორულად, რომ მან მაშინვე არ გაანადგურა და არ მოიშორა თავიდან ძველ დაწესებულებათა ნაშთები. და აი იმ დროს, როცა ბ-ნი კამპჰაუზენი თავს ინუგეშებდა კონსტიტუციური ილუზიებით, დამარცხებულმა პარტიამ (ე. ი. რეაქციის პარტიამ) განამტკიცა თავისი პოზიციები ბიუროკრატიასა და არმიაში, და აქა-იქ ის აშკარა ბრძოლასაც კი ბედავდა» [61].

ამ სიტყვებში, — სამართლიანად ამბობს მერინგი, — რამდენიმე დებულებით შეჯამებულია ის, რასაც «ახალი რეინის გაზეთი» ვრცლად ავითარებდა თავის გრძელ სტატიებში კამპჰაუზენის სამინისტროს შესახებ. რას გვეუბნება მარქსის

ეს სიტყვები? რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა დიქტატორულად უ ნ დ ა გამოდიოდეს (დებულება, რომლის გაგება ვერასგზით ვერ შეძლეს მენშევიკებმა, რომელნიც უფრთხოდნენ ლოზუნგს: დიქტატურა); — რომ ამ დიქტატურის ამოცანაა ძველ დაწესებულებათა ნაშთების მოსპობა (სწორედ ის, რაც ნათლადაა აღნიშნული რსდმპ (ბოლშევიკების) III ყრილობის რეზოლუციაში კონტრრევოლუციასთან ბრძოლის შესახებ, და რაც გამოტოვებულია მენშევიკების რეზოლუციაში, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ). ბოლოს, მესამე, ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მარქსი ამათრახებდა ბურჟუაზიულ დემოკრატებს «კონსტიტუციური ილუზიებისთვის» რევოლუციისა და აშკარა სამოქალაქო ომის ეპოქაში. თუ როგორია ამ სიტყვების აზრი, განსაკუთრებით ნათლად ჩანს «ახალი რეინის გაზეთის» სტატიიდან 1848 წლის 6 ივნისის თარიღით.

«დამფუძნებელი სახალხო კრება — წერდა მარქსი — უწინარეს ყოვლისა აქტიური, რევოლუციურად აქტიური კრება უნდა იყოს. ფრანკფურტის კრება კი პარლამენტარიზმის სასკოლო ვარჯიშობითაა გართული და მთავრობისთვის მიუნდვია იმოქმედოს. ვთქვათ, რომ ამ მეცნიერულმა კრებამ საღი მსჯელობის შემდეგ შეძლო საუკეთესო დღის წესრიგისა და საუკეთესო კონსტიტუციის შემუშავება. მერე რა გამოვა ამ საუკეთესო დღის წესრიგიდან და საუკეთესო კონსტიტუციიდან, თუ გერმანიის მთავრობებმა ამ დროს უკვე ხიშტი დააყენეს დღის წესრიგში» [62].

აი როგორია აზრი ლოზუნგისა: დიქტატურა...

დიდ საკითხებს ხალხთა ცხოვრებაში მხოლოდ ძალა წყვეტს. ჩვეულებრივ თვით რეაქციული კლასები პირველნი მიმართავენ ძალადობას, სამოქალაქო ომს, «დღის წესრიგში აყენებენ ხიშტს», როგორც ეს ჩაიდინა რუსეთის თვითმპყრობელობამ და განაგრძობს ამას სისტემატურად და ურყევად, ყველგან და ყოველთვის, დაწყებული 9 იანვრიდან. ხოლო რაკი ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, რაკი ხიშტი მართლაც დადგა პოლიტიკური დღის წესრიგის პირველ რიგში,

რაკი აჯანყება აუცილებელი და გადაუდებელი აღმოჩნდა, — მაშინ კონსტიტუციური ილუზიები და პარლამენტარიზმის სასკოლო ვარჯიშობანი მხოლოდ რევოლუციის ბურჟუაზიული გამცემლობის საფარველად ხდებიან, იმის საფარველად, თუ როგორ «შორდება» ბურჟუაზია რევოლუციას. ნამდვილმა რევოლუციურმა კლასმა მაშინ უნდა წამოაყენოს სწორედ დიქტატურის ლოზუნგი» [63].

ასე მსჯელობდნენ ბოლშევიკები დიქტატურაზე 1905 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე.

ამ რევოლუციის გამოცდილების შემდეგ მე მომიხდა დაწვრილებით განმეხილა დიქტატურის საკითხი ბროშურაში: «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები», პეტერბურგი, 1906 წ. (ბროშურა დათარიღებულია 1906 წლის 28 მარტით). ამ ბროშურიდან მოვიყვან ყველა უაღრესად არსებით მსჯელობას, მხოლოდ შევნიშნავ, რომ მთელ რიგ საკუთარ სახელებს ვცვლი და პირდაპირ მივუთითებ, კადეტებზეა ლაპარაკი თუ მენშევიკებზე. საერთოდ რომ ვთქვათ, ბროშურა მიმართულია კადეტების წინააღმდეგ და ნაწილობრივ — უპარტიო ლიბერალების, ნახევრადკადეტების, ნახევრადმენშევიკების წინააღმდეგ. მაგრამ არსებითად ყველაფერი, რაც ნათქვამია დიქტატურაზე, ეხება სწორედ მენშევიკებს, რომელნიც ამ საკითხში ყოველ ნაბიჯზე კადეტებისაკენ ეშვებოდნენ.

«სწორედ იმ დროს, როდესაც მოსკოვში სროლა ცხრებოდა, როდესაც სამხედრო-პოლიციური დიქტატურა თავის გაშმაგებულ ორგიებს დღესასწაულობდა, როდესაც მთელ რუსეთში ეგზეკუციები და მასობრივი წამება ტარდებოდა, — კადეტების პრესაში გაისმოდა სიტყვები მარცხნიდან მომდინარე ძალადობის წინააღმდეგ, რევოლუციური პარტიების საგაფიცვო კომიტეტთა წინააღმდეგ. დუბასოვების ხარჯზე მეცნიერებით მოვაჭრე კადეტი პროფესორები იქამდისაც კი მიდიოდნენ, რომ სიტყვა «დიქტატურას» «გაძლიერებულ დაცვად» თარგმნიდნენ. «მეცნიერი ადამიანები» თავის გიმნაზიურ ლათინურსაც კი ამახინჯებდნენ რევოლუციური ბრძოლის

დასამცირებლად. დიქტატურა ნიშნავს — მხედველობაში მიიღეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ, ბატონო კადეტებო, — შეუზღუდველ, ძალაზე და არა კანონზე დამყარებულ ხელისუფლებას. სამოქალაქო ომის დროს ყოველი გამარჯვებული ხელისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურა. მაგრამ საქმე ისაა, რომ არის დიქტატურა უმცირესობისა უმრავლესობაზე, ერთი მუჭა პოლიციელებისა მთელ ხალხზე, და არის დიქტატურა ხალხის გიგანტური უმრავლესობისა ერთ მუჭა მოძალადეებზე, მძარცველებსა და ხალხის ძალაუფლების უზურპატორებზე. «დიქტატურის» მეცნიერული ცნების თავიანთი ვულგარული გაყალბებით, თავიანთი გოდებით მარცხნიდან მომდინარე ძალადობის წინააღმდეგ, მარჯვნიდან უაღრესად უკანონო, უაღრესად გათახსირებული ძალადობის თარეშის ეპოქაში, ბატონმა კადეტებმა აშკარად ცხადჰყვეს, როგორია «შემთანხმებლების» პოზიცია გამწვავებულ რევოლუციურ ბრძოლაში. «შემთანხმებელი» ლაჩრულად იმალება, როდესაც ბრძოლა ჩაღდება. როდესაც რევოლუციური ხალხი იმარჯვებს (17 ოქტომბერი), «შემთანხმებელი» სოროდან ძვრება, ბაქი-ბუქით თავს ილამაზებს, უსაზღვროდ ენამრუშობს და გააფთრებული გაჰყვირის: ეს «სასახელო» პოლიტიკური გაფიცვა იყოო. როდესაც კონტრრევოლუცია იმარჯვებს, — «შემთანხმებელი» დამარცხებულებს ფარისევლური რჩევა-დარიგებით მიმართავს. გამარჯვებული გაფიცვა «სასახელო» იყო. დამარცხებული გაფიცვები — დანაშაულებრივი, ველური, უაზრო, ანარქიული იყო. დამარცხებული აჯანყება სიგიჟე, სტიქიის თარეში, ბარბაროსობა, სიბრიყვე იყოო. ერთი სიტყვით, «შემთანხმებლის» პოლიტიკური სინდისი და პოლიტიკური გონიერება იმაში მდგომარეობს, რომ ფეხქვეშ გაეგოს იმათ, ვინც ამჟამად უფრო ძლიერია, ფეხებში გაებლანდოს მებრძოლთ, ხელი შეუშალოს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, შეანელოს ბრძოლა და დააჩლუნგოს თავისუფლებისათვის თავგამოდებით მებრძოლი ხალხის რევოლუციური შეგნება» [64].

შემდეგ. მეტად დროული იქნება მოვიყვანოთ აქ დიქტატურის საკითხის განმარტება, რომელიც მიმართულია ბატონ რ. ბლანკის წინააღმდეგ. ეს რ. ბლანკი არსებითად მენშევიკურ, მაგრამ ფორმალურად უპარტიო გაზეთში 1906 წელს გადმოსცემდა მენშევიკების შეხედულებებს, აქებდა მათ იმისათვის, რომ ისინი «ესწრაფვიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა წარმართონ იმ გზით, რომლითაც მიემართება ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია გერმანიის დიადი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით».

სხვანაირად რომ ვთქვათ, რ. ბლანკი, ისე როგორც კადეტები, ბოლშევიკებს, როგორც უგუნურ, არამარქსისტულ, მეამბოხე და ა. შ. რევოლუციონერებს, უპირისპირებდა «გონიერ» მენშევიკებს და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც მენშევიკურ პარტიად გამოყავდა. ეს ჩვეულებრივი ხერხია იმ სოციალ-ლიბერალებისა, პაციფისტებისა და სხვ. საერთაშორისო მიმდინარეობისა, რომელნიც ყველა ქვეყანაში ხოტბას ასხამენ რეფორმისტებს, ოპორტუნისტებს, კაუცკელებს, ლონგეტისტებს, როგორც «გონიერ» სოციალისტებს, წინააღმდეგ ბოლშევიკების «სიგიჟისა».

აი როგორ ვუპასუხე მე ბ-ნ რ. ბლანკს 1906 წლის დასახელებულ ბროშურაში:

«ბატონი ბლანკი ერთმანეთს ადარებს რუსეთის რევოლუციის ორ პერიოდს: პირველი მოიცავს, დაახლოებით, 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერს. ეს არის რევოლუციური გრიგალის პერიოდი. მეორეა — ახლანდელი პერიოდი, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, უფლება გვაქვს ვუწოდოთ სათათბიროს არჩევნებში კადეტების გამარჯვებათა პერიოდი, ან, შეიძლება, თუ წინ გარბენას გავბედავთ, კადეტური სათათბიროს პერიოდი.

ამ პერიოდის შესახებ ბატონი ბლანკი ამბობს, კვლავ დადგა აზრისა და გონების ჯერი და შეგვიძლია დავუბრუნდეთ შეგნებულ, გეგმაშეწონილ სისტემატურ მუშაობასაო. პირველ პერიოდს კი ბატონი ბლანკი ახასიათებს, პირიქით, როგორც **თეორიისა და პრაქტიკის დაშორების პერიოდს. გაჰქრა ყველა**

სოციალ-დემოკრატიული პრინციპი და იდეა, მივიწყებულ იქნა ტაქტიკა, რომელსაც მუდამ ქადაგებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებელნი, ძირფესვიანად ამოგლეჯილ იქნა თვით სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძვლებიცაო.

ბ-ნ ბლანკის ეს ძირითადი მტკიცება — წმინდა ფაქტიური ხასიათისაა. მარქსიზმის მთელი თეორია დაშორდა რევოლუციური გრიგალის პერიოდის «პრაქტიკასაო».

ასეა თუ არა ეს? რა არის მარქსისტული თეორიის პირველი და მთავარი «საფუძველი»? ის, რომ თანამედროვე საზოგადოების ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური და ამიტომ ყოველ რევოლუციაში მოწინავე კლასი — პროლეტარიატია. იბადება კითხვა, ამოგლიჯა თუ არა ძირფესვიანად რევოლუციურმა გრიგალმა სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ეს «საფუძველი»? პირიქით, გრიგალმა იგი უაღრესად ბრწყინვალედ დაადასტურა. სწორედ პროლეტარიატი იყო მთავარი, თითქმის ერთადერთი მ ე ბ რ ძ ო ლ ი ამ პერიოდის დასაწყისში. მსოფლიო ისტორიაში თითქმის პირველად აღინიშნა ბურჟუაზიული რევოლუცია უდიდესი, თვით უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი უნახავი გამოყენებით ბრძოლის წმინდა პროლეტარული იარაღისა — მასობრივი პოლიტიკური გაფიცვისა. პროლეტარიატი უშუალო რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება იმ დროს, როდესაც ბატონი სტრუვეები და ბატონი ბლანკები ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ, როდესაც კადეტი პროფესორები სტუდენტებს სწავლისაკენ მოუწოდებდნენ. ბრძოლის თავისი პროლეტარული იარაღის საშუალებით პროლეტარიატმა რუსეთს მოუპოვა მთელი ის, უკაცრავად პასუხია, «კონსტიტუცია», რომელსაც მას შემდეგ მხოლოდ აფუჭებდნენ, ჰკვეცავდნენ და ჰკრეჭდნენ. 1905 წლის ოქტომბერში პროლეტარიატმა გამოიყენა ბრძოლის ის ტაქტიკური ხერხი, რაზედაც ნ ა ხ ე ვ ა რ წ ლ ი ს წ ი ნ ა თ ლაპარაკობდა რსდმპ ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი III ყრილობის რეზოლუცია, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა მასობრივი პოლიტიკური

გაფიცვისა და აჯანყების შეხამების მნიშვნელობას; — სწორედ ამ შეხამებით ხასიათდება «რევოლუციური გრიგალის» მთელი პერიოდი, 1905 წლის მთელი უკანასკნელი მეოთხედი: ამრიგად, წვრილი ბურჟუაზიის ჩვენებურმა იდეოლოგმა სრულიად მოურიდებლად, სრულიად აშკარად დაამახინჯა სინამდვილე. მან ვერ აღნიშნა ვერც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს მარქსისტული თეორიისა და «რევოლუციური გრიგალის» პრაქტიკული გამოცდილების ერთმანეთისაგან დაშორებას; იგი შეეცადა მიეჩქმალა ამ გრიგალის ძირითადი თვისება, რომელმაც უბრწყინვალესად დაადასტურა «ყველა სოციალ-დემოკრატიული პრინციპი და იდეა», «სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ყველა საფუძველი».

რა არის, მაინც, ნამდვილი მიზეზი, რამაც ბ-ნი ბლანკი აიძულა მისულიყო ამ საოცრად უმართებულო აზრამდე, თითქოს «გრიგალის» პერიოდში გამქრალიყოს ყველა მარქსისტული პრინციპი და იდეა? ამ გარემოების განხილვა მეტად საინტერესოა: ასეთი განხილვა კიდევ და კიდევ ააშკარავებს ჩვენს წინაშე ფილისტერობის ჭეშმარიტ ბუნებას პოლიტიკაში.

რაში მდგომარეობდა «რევოლუციური გრიგალის» პერიოდის მთავარი განსხვავება ახლანდელი, «კადეტური» პერიოდისაგან პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვაგვარ ხერხთა თვალსაზრისით, ხალხის ისტორიული შემოქმედების სხვადასხვა მეთოდის თვალსაზრისით? უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად იმაში, რომ «გრიგალის» პერიოდში იყენებდნენ ამ შემოქმედების ზოგიერთ განსაკუთრებულ მეთოდს, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების სხვა პერიოდებისათვის უცხოა. ეი ყველაზე არსებითი ამ მეთოდთაგან: 1) ხ ა ლ ხ ი ს მ ი ე რ «ხ ე ლ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ა» პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა — მისი განხორციელება ყოველგვარ უფლებათა და კანონთა გარეშე და სრულიად შეუზღუდავად (კრებების თავისუფლება თუნდაც უნივერსიტეტებში, ბეჭდვითი სიტყვის, კავშირების, ყრილობების და სხვათა თავისუფლება). 2) შ ე ქ მ ნ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა ხ ა ლ

ორგანოებისა, — მუშათა, ჯარისკაცთა, რკინიგზელთა, გლეხთა დეპუტატების საბჭოები, სოფლისა და ქალაქის ახალი ხელისუფლება და სხვ. და ა. შ.. ამ ორგანოებს ჰქმნიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ფენები, ისინი იქმნებოდნენ ყოველგვარი კანონებისა და ნორმების გარეშე სავსებით რევოლუციური გზით, როგორც ხალხის თვითმყოფი შემოქმედების ნაყოფი, როგორც ხალხის თვითმოქმედების გამოხატულება, იმ ხალხისა, რომელიც ძველი პოლიციური ხუნდებისაგან განთავისუფლდა ან თავისუფლდებოდა. ბოლოს, ესენი იყვნენ სწორედ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ორგანოები, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობისა და მოქმედების მხრივ ჩანასახოვანნი, სტიქიურნი, ჩამოუყალიბებელნი და ბუნდოვანნი იყვნენ. ისინი მოქმედებდნენ როგორც ხელისუფლება, როდესაც იკავებდნენ, მაგალითად, სტამბებს (პეტერბურგი), აპატიმრებდნენ პოლიციის მოხელეებს, რომელნიც ხელს უშლიდნენ რევოლუციურ ხალხს მის უფლებათა განხორციელებაში (ამის მაგალითები იყო პეტერბურგშიც, სადაც ახალი ხელისუფლების სათანადო ორგანო ყველაზე სუსტი იყო, ხოლო ძველი ხელისუფლება — ყველაზე ძლიერი). ისინი მოქმედებდნენ როგორც ხელისუფლება, როდესაც მთელ ხალხს მიმართავდნენ მოწოდებით: ნუ მისცემთ ფულს ძველ მთავრობასაო. ისინი ართმევდნენ ფულს ძველ მთავრობას (რკინიგზელთა საგაფიცვო კომიტეტები სამხრეთში) და ახალი, სახალხო, მთავრობის საჭიროებებს ახმარებდნენ მას, — დიახ, ისინი., უსათუოდ, ახალი, სახალხო, ან, თუ გნებავთ, რევოლუციური მთავრობის ჩანასახებს წარმოადგენდნენ. თავისი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათით ეს იყო ხალხის რევოლუციური ელემენტების დიქტატურის ჩანასახი, — თქვენ გიკვირთ, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო? თქვენ აქ ვერ ხედავთ «გაძლიერებულ დაცვას», რაც ბურჟუასათვის დიქტატურას უდრის? ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ მეცნიერულ ცნებაზე: დიქტატურაზე. ჩვენ ახლავე აგიხსნით მას, მაგრამ ჯერ აღვნიშნავთ «რევოლუციური გრიგალის»

ეპოქის მოქმედების მესამე «მეთოდს»: ხალხის მიერ ძალადობის გამოყენებას იმათ მიმართ, ვინც ხალხის მოძალადენი არიან.

ჩვენს მიერ აღწერილი ძალაუფლების ორგანოები, ჩანასახში, დიქტატურა იყო, რადგან ეს ხელისუფლება არ სცნობდა არავითარ სხვა ხელისუფლებას და არავითარ კანონს, არავითარ ნორმას, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი მომდინარე. განუსაზღვრელი, კანონგარეშე, ძალაზე დამყარებული, ამ სიტყვის უაღრესად პირდაპირი მნიშვნელობით, ხელისუფლება, — აი ეს ორის სწორედ დიქტატურა. მაგრამ ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა და ცდილობდა დაყრდნობოდა ეს ახალი ხელისუფლება, იყო არა ერთი მუჭა სამხედრო პირთა მიერ ხელში ჩაგდებული ხიშტის ძალა, არა «უბნის» პოლიციის ძალა, არა ფულის ძალა, არა რაიმე წინანდელი, ჩამოყალიბებული დაწესებულებების ძალა. სრულიადაც არა. ახალი ძალაუფლების ახალ ორგანოებს არც იარაღი ჰქონდათ, არც ფული, არც ძველი დაწესებულებანი. მათს ძალას — შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო? — საერთო არა ჰქონდა რა ძალის ძველ იარაღებთან, საერთო არა ჰქონდა რა «გაძლიერებულ დაცვასთან», თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხალხის გაძლიერებულ დაცვას ძველი ხელისუფლების პოლიციურ და სხვა ორგანოთა ჩაგვრისაგან.

მაშ რას ეყრდნობოდა ეს ძალა? იგი ეყრდნობოდა ხალხის მასას. აი ამ ახალი ძალაუფლების ძირითადი განსხვავება ძველი ძალაუფლების ყველა წინანდელი ორგანოსაგან. წინანდელი ორგანოები იყვნენ ძალაუფლების ორგანოები უმცირესობის ბატონობისა ხალხზე, მუშათა და გლეხთა მასაზე. ახალი ორგანოები იყვნენ ძალაუფლების ორგანოები ხალხის, მუშებისა და გლეხების ბატონობისა უმცირესობაზე, ერთ მუჭა პოლიციელ მოძალადეებზე, ერთ მუჭა პრივილეგიურ თავადაზნაურებსა და მოხელეებზე. ასეთია განსხვავება ხალხის მიმართ დიქტატურასა და რევოლუციური ხალხის დიქტატურას შორის, კარგად დაიხსომეთ ეს, ბ-ნო

ბლანკო და ბ-ნო კიზეევეტერო! ძველ ხელისუფლებას, როგორც უმცირესობის დიქტატურას, არსებობა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ პოლიციური ხრიკების მეოხებით, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაში მონაწილეობისაგან, ხელისუფლებისადმი მეთვალყურეობისაგან ხალხის მასის ჩამოშორების, ჩამოცილების მეოხებით. ძველი ხელისუფლება სისტემატურად არ ენდობოდა მასას, მას სინათლისა ეშინოდა, ტყუილით გაჰქონდა თავი. ახალ ხელისუფლებას, როგორც უდიდესი უმრავლესობის დიქტატურას, შეეძლო არსებობა და კიდეც არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი მასის ნდობის ძეოხებით, ძხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ უაღრესად თავისუფლად, უაღრესად ფართოდ და უაღრესად ძლიერად იზიდავდა მთელ მასას ხელისუფლებაში მონაწილეობისაკენ. არაფერი დაფარული, არაფერი საიდუმლო, არავითარი რეგლამენტები, არავითარი ფორმალობანი. შენ მუშა კაცი ხარ? გინდა იბრძოლო, რათა რუსეთი ერთი მუჭა პოლიციელ მოძალადეთაგან იხსნა? შენ ჩვენი ამხანაგი ხარ. აირჩიე შენი დეპუტატი. ახლავე, დაუყოვნებლივ, აირჩიე როგორც გეხერხებოდეს, — ჩვენ სიამოვნებით და სიხარულით მივიღებთ მას ჩვენი მუშათა დეპუტატების საბჭოს, გლეხთა კომიტეტის, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და სხვათა სრულუფლებიან წევრად. ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა. — ასეთი იყო ახალი ხელისუფლება, ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მისი ჩანასახი, რადგან ძველი ხელისუფლების გამარჯვებამ ძალიან ადრე გათელა ნორჩი მცენარის ყლორტები.

შეიძლება თქვენ, ბ-ნო ბლანკო ან ბ-ნო კიზეევეტერო, გვითხრათ: რა საჭიროა აქ «დიქტატურა», რა საჭიროა «ძალადობა»? განა უზარმაზარ მასას ერთი მუჭა ადამიანთა წინააღმდეგ ძალადობა სჭირდება, განა ათეულ და ასეულ მილიონებს შეუძლიათ ათასის, ათი ათასის დიქტატორები იყვნენო?

ამგვარ კითხვას ჩვეულებრივ ისეთი ადამიანები იძლევიან, რომელნიც პირველად ხედავენ ტერმინ დიქტატურის გამოყენებას მათთვის ახალი მნიშვნელობით. ადამიანები შეეჩვივნენ მხოლოდ პოლიციური ხელისუფლებისა და მხოლოდ პოლიციური დიქტატურის დანახვას. მათ უცნაურად ეჩვენებათ, რომ შესაძლებელია ხელისუფლება სრულიად უპოლიციოდ, რომ შესაძლებელია არა პოლიციური დიქტატურა. თქვენ ამბობთ, მილიონებს ათასების წინააღმდეგ ძალადობა არ სჭირდებათო? ცდებით, და ცდებით იმიტომ, რომ მოვლენას განიხილავთ არა მის განვითარებაში. თქვენ გავიწყდებათ, რომ ახალი ხელისუფლება ციდან კი არ ვარდება, არამედ იზრდება და ჩნდება ძველის გვერდით, ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ, მასთან ბრძოლაში. თუ არა ძალადობა მოძალადეთა მიმართ, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლების იარაღები და ორგანოები, ხალხის ხსნა მოძალადეთაგან შეუძლებელია.

აი, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო, სულ უბრალო მაგალითი, რათა თქვენ შესძლოთ კადეტთა გონებისათვის ამ მიუწვდომელი, კადეტთა აზროვნებისათვის «თავბრუდამხვევი» სიბრძნის შეთვისება. წარმოიდგინეთ, რომ ავრამოვი ასახიჩრებს და აწამებს სპირიდონოვას. ვთქვათ, სპირიდონოვას მხარეზეა ათეული და ასეული უიარაღო ადამიანი, ავრამოვის მხარეზე კი — ერთი მუჭა კაზაკები. რას იზამდა ხალხი, სპირიდონოვას წამება ოთხ კედელს შუა რომ არ მომხდარიყო? იგი ძალადობას იხმარდა ავრამოვისა და მისი ამალის მიმართ. იგი, შესაძლებელია, გასწირავდა რამდენიმე მებრძოლს, რომელთაც ავრამოვი მოჰკლავდა, მაგრამ მაინც ძალით იარაღს აჰყრიდა ავრამოვსა და კაზაკებს, მასთან, ძალიან შესაძლებელია, რომ იქვე დახოცავდა მათგან რამდენიმე, უკაცრავად პასუხია, ადამიანს, ხოლო დანარჩენებს ჩააგდებდა რომელსამე საპყრობილეში, რათა ხელი შეეშალა მათთვის კვლავ საზიზღრობა ჩაედინათ და რათა ისინი სახალხო სასამართლოსათვის გადაეცა.

აი ხომ ხედავთ, ბ-ნო ბლანკო და ბ-ნო კიზევეტერო: როდესაც ავრამოვი და მისი კაზაკები სპირიდონოვას აწამებენ, ეს არის სამხედრო-პოლიციური დიქტატურა ხალხზე. როდესაც რევოლუციური (მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის უნარისა და არა მხოლოდ შეგონების, დარიგების, სინანულის, დაგმობის, წუწუნისა და ბუზღუნის უნარის მქონე, არა ფილისტერულად შეზღუდული, არამედ რევოლუციური) ხალხი ძალადობას მიმართავს ავრამოვისა და ავრამოვების წინააღმდეგ, ეს არის რევოლუციური ხალხის დიქტატურა. ეს არის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა, რადგან ეს არის ხალხის ძალაუფლება ავრამოვებზე, ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონებით არ არის შეზღუდული (ფილისტერი, შეიძლება, იმის წინააღმდეგიც ყოფილიყო, რომ ავრამოვს ძალით გამოვტაცოთ ხელიდან სპირიდონოვა: ეს ხომ «უკანონობაა»! გვაქვს განა ისეთი «კანონი», რომ ავრამოვი მოიკლათ? განა ფილისტერობის ზოგიერთმა იდეოლოგმა არ შექმნა ბოროტებისათვის ძალადობით წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორია?). დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არას ნიშნავს, თუ არა უშუალოდ ძალადობაზე დაყრდნობილ ხელისუფლებას, რომელიც არაფრით არ არის შებოჭილი, არავითარი კანონებით, აბსოლუტურად არავითარი წესებით არ არის შეზღუდული. ცნება «დიქტატურა» მ ხ ო ლ ო დ ა მ ა ს ნიშნავს, ს ხ ვ ა ს ა რ ა ფ ე რ ს, — კარგად დაიხსომეთ ეს, ბატონო კადეტებო. გარდა ამისა, ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში ჩვენ ვხედავთ სწორედ ხ ა ლ ხ ი ს დიქტატურას, რადგან ხალხი, მოსახლეობის მასა, ჩამოუყალიბებელი, «შემთხვევით» შეკრებილი ამა თუ იმ ადგილას, თვითონ უშუალოდ გამოდის ასპარეზზე, თვითონ ასამართლებს და სჯის, იყენებს ძალაუფლებას, ჰქმნის ახალ რევოლუციურ სამართალს. ბოლოს, ეს არის სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხალხის დიქტატურა. რატომ მარტო რევოლუციურისა და არა მთელი ხალხისა? იმიტომ, რომ მთელ ხალხში, რომელიც მუდმივ და უსასტიკესად იტანჯება ავრამოვების საგმირო საქმეებით, ურევია ფიზიკურად დაბეჩავებული, დაშინებული

ადამიანები, ადამიანები ზნეობრივად დაბეჩავებულნი, მაგალითად, ბოროტებისათვის ძალადობით წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორიით, ანდა პირდაპირ დაბეჩავებულნი არა თეორიით, არამედ ცრურწმენით, ჩვეულებით, რუთინით, გულგრილი ადამიანები, როგორც იტყვიან — ობივატელები, ფილისტერები, რომელთაც უფრო ეხერხებათ გაცხარებული ბრძოლისაგან განდგომა, გვერდის ავლა ანდა მიმალვაც კი (ამ ჩხუბში უცბად მეც არ მომხვდესო). აი ამიტომაც დიქტატურას ახორციელებს არა მთელი ხალხი, არამედ მხოლოდ რევოლუციური ხალხი, რომელსაც სრულიადაც არ ეშინია მთელი ხალხისა, მთელ ხალხს განუმარტავს თავისი მოქმედების მიზეზებს და მის ყოველგვარ წვრილმანს, სიამოვნებით იზიდავს მ თ ე ლ ხალხს არათუ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, არამედ ხელისუფლებაში მონაწილეობისთვისაც, თვით სახელმწიფოს მოწყობაში მონაწილეობისთვისაც.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოყვანილი უბრალო მაგალითი ეეცავს ყ ვ ე ლ ა ე ლ ე მ ე ნ ტ ს მეცნიერული ცნებისას: «რევოლუციური ხალხის დიქტატურა», აგრეთვე ცნებისას: «სამხედრო-პოლიციური დიქტატურა». ამ უბრალო მაგალითიდან, რომელიც სწავლულ კადეტ პროფესორისთვისაც კი გასაგებია, შეგვიძლია საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო რთულ მოვლენებზე გადავიდეთ.

რევოლუცია, ამ სიტყვის ვიწრო, უშუალო მნიშვნელობით, ხალხის ცხოვრების სწორედ ისეთი პერიოდია, როდესაც ავრამოვების საგმირო საქმეთა გამო საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი გაბოროტება გადმოხეთქს ხოლმე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ და არა სიტყვიერად, ხ ა ლ ხ ი ს მ ი ლ ი ო ნ ი ა ნ ი მ ა ს ე ბ ი ს და არა ცალკეულ პირთა მოქმედებით. ხალხი იღვიძებს და მხედრდება ავრამოვებისაგან თავის განსათავისუფლებლად. ხალხი რუსეთის ცხოვრების უამრავ სპირიდონოვებს ავრამოვებისაგან ათავისუფლებს, ძალადობას მიმართავს ავრამოვებისადმი, იმორჩილებს ავრამოვებს. ეს, რა თქმა უნდა, ისე მარტივად და ისე «უცბად» როდი ხდება, როგორც

ბ-ნ პროფესორ კიზევეტერისათვის ჩვენს მიერ გამარტივებულ მაგალითში, — ავრამოვებთან ხალხის ეს ბრძოლა, ბრძოლა ამ სიტყვის ვიწრო, უშუალო მნიშვნელობით, ხალხის კისრიდან ავრამოვების ეს ჩამოგდება «რევოლუციური გრიგალის» თვეობითა და წლობით ჭიანურდება. ხალხის მიერ თავისი კისრიდან ავრამოვების ეს ჩამოგდება არის სწორედ რეალური შინაარსი იმისა, რასაც რუსეთის დიდი რევოლუცია ეწოდება. ეს ჩამოგდება, თუ მას ისტორიული შემოქმედების მეთოდების მხრივ განვიხილავთ, ხდება იმ ფორმებში, რომლებიც ეს-არის ახლა ავწერეთ, როდესაც რევოლუციურ გრიგალზე ვლაპარაკობდით, სახელდობრ: ხალხის მიერ პოლიტიკური თავისუფლების ხელში ჩაგდება, ესე იგი ისეთი თავისუფლებისა, რომლის განხორციელებასაც ავრამოვები აბრკოლებდნენ; — ხალხის მიერ ახალი, რევოლუციური, ძალაუფლების შექმნა, ძალაუფლებისა ავრამოვების მიმართ, ძალაუფლებისა ძველი პოლიციური ყაიდის მოძალადეების მიმართ; — ხალხის მიერ ავრამოვების მიმართ ძალადობის ხმარება ამ ცოფიანი ძაღლების, ყველა ავრამოვის, დურნოვოს, დუბასოვის, მინისა და მათ მსგავსთა თავიდან მოშორებისა, განიარაღებისა და გაუვნებლობის მიზნით.

კარგია თუ არა, რომ ხალხი ბრძოლის ისეთ უკანონო, მოუწესრიგებელ, გეგმაშეუწონელ და არასისტემატურ ხერხებს ხმარობს, როგორიც არის თავისუფლების ხელში ჩაგდება, ახალი რევოლუციური ხელისუფლების შექმნა, რომელსაც ფორმალურად არავინ არ ცნობს, კარგია თუ არა, რომ ხალხი ძალადობას ხმარობს ხალხის მჩაგვრელთა მიმართ? დიახ, ეს ძალიან კარგია. ეს არის თავისუფლებისათვის სახალხო ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება. ეს არის ის დიადი დრო, როდესაც რუსეთის საუკეთესო ადამიანთა ოცნებანი თავისუფლებაზე ს ა ქ მ ე დ იქცევა, საქმედ თვით ხალხის მასებისა და არა ერთეული გმირებისა. ეს ისევე კარგია, როგორც კარგია ხალხის მიერ ავრამოვისაგან სპირიდონოვას განთავისუფლება (ჩვენს მაგალითში), ავრამოვის ძალით განიარაღება და გაუვნებლობა.

მაგრამ სწორედ ახლა გადავდივართ კადეტების იდუმალი აზრებისა და შიშის ცენტრალურ პუნქტზე. კადეტი ფილისტერობის იდეოლოგი სწორედ იმიტომ არის, რომ მას პოლიტიკაზე, მთელი ხალხის განთავისუფლებაზე, რევოლუციაზე გადააქვს იმ ფილისტერის თვალსაზრისი, რომელიც ავრამოვის მიერ სპირიდონოვას წამების ჩვენს მაგალითში ხალხს შეაკავებდა, ურჩევდა: კანონს ნუ დაარღვევთ, ნუ იჩქარით მსხვერპლის ხსნას ჯალათის ხელიდან, რომელიც კანონიერი ხელისუფლების სახელით მოქმედებსო. რა თქმა უნდა, ჩვენს მაგალითში ასეთი ფილისტერი პირდაპირ ზნეობრივად მახინჯი ვინმე იქნებოდა, ხოლო მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ფილისტერის ზნეობრივი სიმახინჯე არის, ვიმეორებთ, სრულიადაც არა პირადი, არამედ სოციალური თვისება, რაც, შეიძლება, შეპირობებული იყოს თავში ჩაჭედილი სამართლის ბურჟუაზიულ-ფილისტერული მეცნიერების ცრურწმენით.

რატომ ფიქრობს ბ-ნი ბლანკი, თითქოს ის აზრი, რომ «გრიგალის» პერიოდში სავსებით მივიწყებული იყო ყველა მარქსისტული პრინციპი, დამტკიცებასაც არ მოითხოვს? იმიტომ, რომ იგი ამახინჯებს, ბრენტანიზმად აქცევს მარქსიზმს, არა მარქსისტული ჰგონია ისეთი «პრინციპები», როგორიცაა თავისუფლების ხელში ჩაგდება, რევოლუციური ხელისუფლების შექმნა, ხალხის მიერ ძალადობის გამოყენება. ასეთი შეხედულება გამოსჭვივის ბ-ნ ბლანკის მთელ სტატიაში, და არა მარტო ბლანკისა, არამედ ყველა კადეტისა, კადეტების სიყვარულის გამო პლეხანოვის დღევანდელი მაქებარი ლიბერალური და რადიკალური ბანაკის ყველა მწერლის სტატიებში თვით «ბეზზაგლავიაელ» ბერნშტეინელთა, ბატონ პროკოპოვიჩის, კუსკოვასა და **tutti quanti** * ჩათვლით.

განვიხილოთ, როგორ წარმოიშვა ეს შეხედულება და რატომ უნდა წარმოშობილიყო იგი.

იგი უშუალოდ წარმოიშვა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის ბერნშტეინული ან, უფრო ფართოდ რომ ვთქვათ,

---

* — მათ მსგავსთა. რ ე დ.

ოპორტუნისტული გაგებიდან. ამ გაგების ის შეცდომები, რაც უკვე სისტემატურად და მთელი ხაზით ამხილეს დასავლეთში «ორთოდოქსებმა», ახლა «ჩუმჩუმად», სხვა საკაზმავით და სხვა საბაბით რუსეთში გადმოაქვთ. ბერნშტეინელები სცნობდნენ და სცნობენ მარქსიზმს მისი უშუალო-რევოლუციური მხარის გ ა მ ო კ ლ ე ბ ი თ. საპარლამენტო ბრძოლა მათ მიაჩნიათ არა ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, რაც განსაკუთრებით განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებშია გამოსადეგი, არამედ ბრძოლის მთავარ და თითქმის ერთადერთ ფორმად, რომელიც ზედმეტად ხდის «ძალადობას», «ხელში ჩაგდებას», «დიქტატურას». მარქსიზმის სწორედ ეს უხამსი ფილისტერული დამახინჯება გადმოაქვთ ახლა რუსეთში ბატონ ბლანკებსა და პლეხანოვის სხვა ლიბერალურ მაქებართ. ისინი ისე შეუთვისდნენ ამ დამახინჯებას, რომ საჭიროდაც არ მიაჩნიათ დაამტკიცონ რევოლუციური გრიგალის პერიოდში მარქსისტული პრინციპებისა და იდეების დავიწყება.

რატომ უნდა წარმოშობილიყო ასეთი შეხედულება? იმიტომ, რომ იგი დიდად შეეფერება წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივ მდგომარეობასა და ინტერესებს. «გაწმენდილი» ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგი სცნობს სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის ყ ვ ე ლ ა მეთოდს, გ ა რ დ ა ს წ ო რ ე დ ი ს ე თ ი მ ე თ ო დ ე ბ ი ს ა, რ ო მ ე ლ თ ა ც რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხ ა ლ ხ ი «გ რ ი გ ა ლ ი ს» ე პ ო ქ ე ბ შ ი ი ყ ე ნ ე ბ ს და რომელთაც იყონებს და მათს გამოყენებაში ეხმარება რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა მონაწილეობა მიიღოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მხოლოდ ისეთი მონაწილეობა, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობად არ გადაიქცეოდა, მხოლოდ ისეთი მონაწილეობა, რომელიც სავსებით როდი მოსპობდა ძალაუფლების ძველ, თვითმპყრობელურ-ბატონყმურ და პოლიციურ ორგანოებს. ბურჟუაზიას სურს ამ ორგანოთა შენარჩუნება, მხოლოდ ისე კი, რომ ისინი თავის უშუალო კონტ-

როლს დაუმორჩილოს, — მას ეს ორგანოები ესაჭიროება პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელსაც ამ ორგანოების სრული მოსპობა მეტად გაუადვილებდა პროლეტარულ ბრძოლას. აი ამიტომაც ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესები მოითხოვს მონარქიასაც და ზედა პალატასაც, მოითხოვს რევოლუციური ხალხის დიქტატურის დაუშვებლობას. თვითმპყრობელობას ებრძოლე, მაგრამ ძალაუფლების ძველ ორგანოებს ხელს ნუ ახლებ, ისინი მე მჭირდებაო, — ეუბნება ბურჟუაზია პროლეტარიატს. იბრძოლე «პარლამენტურად», ე. ი. იმ ფარგლებში, რომლებსაც მე დაგიდგენ მონარქიასთან შეთანხმებით; იბრძოლე ორგანიზაციების შემწეობით, — მხოლოდ არა ისეთი ორგანიზაციებისა, როგორიცაა საყოველთაო საგაფიცვო კომიტეტები, მუშათა, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და სხვ., არამედ ისეთების შემწეობით, რომელთაც სცნობს და ზღუდავს, კაპიტალის მიმართ უვნებელჰყოფს ჩემს მიერ მონარქიასთან შეთანხმებით გამოცემული კანონიო.

აქედან ცხადია, რატომ ლაპარაკობს ბურჟუაზია «გრიგალის» პერიოდზე აბუჩად აგდებით, ზიზღით, ბოროტებითა და სიძულვილით, — ხოლო დუბასოვის მფარველობის ქვეშ მყოფი კონსტიტუციონალიზმის პერიოდზე — აღტაცებით, აღფრთოვანებით, უსაზღვრო ფილისტერული სიყვარულით... რეაქციისადმი. ეს სულ იგივე მუდმივი და უცვლელი თვისებაა კადეტებისა: ხალხზე დაყრდნობის მისწრაფება და მისი რევოლუციური თვითმოქმედების შიში.

გასაგებია აგრეთვე, ბურჟუაზიას ასე საშინლად რად ეშინია «გრიგალის» განმეორებისა, რად უგულებელყოფს და ჩქმალავს იგი ახალი რევოლუციური კრიზისის ელემენტებს, რად უპერს მხარს და ავრცელებს ხალხში კონსტიტუციურ ილუზიებს.

ახლა ჩვენ უკვე საკვლევით განვმარტეთ, ბ-ნი ბლანკი და მისი მსგავსნი რატომ აცხადებენ, თითქოს «გრიგალის» პერიოდში ყველა მარქსისტული პრინციპი და იდეა მივიწყებული ყოფილიყოს. ბ-ნი ბლანკი, ისევე როგორც ყველა

ფილისტერი, სცნობს მარქსიზმს მისი რევოლუციური მხარის გამოკლებით, სცნობს ბრძოლის სოციალ-დემოკრატიულ ხერხებს თვით რევოლუციური და უშუალო-რევოლუციური ხერხების გამოკლებით.

ბ-ნ ბლანკის დამოკიდებულება «გრიგალის» პერიოდისადმი უაღრესად დამახასიათებელია, როგორც ილუსტრაცია პროლეტარულ მოძრაობათა ბურჟუაზიული გაუგებლობისა, ბურჟუაზიული შიშისა მწვავე და გადამწყვეტი ბრძოლის წინაშე, ბურჟუაზიული სიძულვილისა სოციალურ-ისტორიული საკითხების გადაჭრის მძაფრი, ძველ დაწესებულებათა დამამსხვრეველი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით რევოლუციური საშუალების ყოველგვარი გამოვლინებისადმი. ბატონმა ბლანკმა თავისი თავი გამოამჟღავნა, ერთბაშად გამოამჟღავნა მთელი თავისი ბურჟუაზიული შეზღუდულობა. მას გაუგონია და წაუკითხავს, რომ სოციალ-დემოკრატები გრიგალის პერიოდში «შეცდომებს» სჩადიოდნენ, — ის აჩქარდა დაესკვნა და განეცხადებინა რიხით, უაპელაციოდ, დაუსაბუთებლად, რომ მარქსიზმის ყველა «პრინციპი» (რომელთა შესახებ მას წარმოდგენაც კი არა აქვს!) დავიწყებული იყოო. ამ «შეცდომების» გამო ჩვენ ვიტყვით: მუშათა მოძრაობის განვითარებაში, სოციალ-დემოკრატიის განვითარებაში ყოფილა განა ისეთი პერიოდი, ესა თუ ის შეცდომები რომ არ ჩაედინათ? ადგილი რომ არ ჰქონებოდეს ამა თუ იმ გადახრას მარჯვნივ ან მარცხნივ? განა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ბრძოლის საპარლამენტო პერიოდის ისტორია — იმ პერიოდისა, რომელიც ყველა შეზღუდულ ბურჟუას მთელს ქვეყნიერებაზე გადაულახავ საზღვრად მიაჩნია! — ასეთი შეცდომებით არ არის აღსავსე? ბატონი ბლანკი სოციალიზმის საკითხებში მთლად უვიცი რომ არ იყოს, იგი ადვილად გაიხსენებდა მიულბერგერსაც, დიურინგსაც, **Dampfersubvention**-ის [65] საკითხსაც, «ახალგაზრდებსაც» [66], ბერნშტეინიადასაც და მრავალ, მრავალ სხვა რასმე. მაგრამ ბატონ ბლანკს სოციალ-დემოკრატიის განვითარების ნამდვილი მსვლელობის

შესწავლა კი არ აინტერესებს, მას სჭირდება მხოლოდ ბრძოლის პროლეტარული გაქანების დამცირება, რათა თავისი კადეტური პარტიის ბურჟუაზიული უბადრუკობა აღამაღლოს.

ნამდვილად კი, თუ ჩვენ საქმეს შევხედავთ ჩვეულებრივი, «ნორმალური» გზიდან სოციალ-დემოკრატიის გადახვევის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ამ მხრივაც «რევოლუციური გრიგალის» პერიოდი გვიჩვენებს წინანდელთან შედარებით სოციალ-დემოკრატიის უ ფ რ ო მ ე ტ და არა ნაკლებ შემჭიდროებასა და იდეურ მთლიანობას. «გრიგალის» ეპოქის ტაქტიკამ კი არ დააშორა, არამედ დააახლოვა სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთა. წინანდელ უთანხმოებათა ნაცვლად მივიღეთ შეხედულებათა ერთიანობა შეიარაღებული აჯანყების საკითხში. ორივე ფრაქციის სოციალ-დემოკრატები მუშაობდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოებში, ჩანასახოვანი რევოლუციური ხელისუფლების ამ თავისებურ ორგანოებში, ამ საბჭოებში იზიდავდნენ ჯარისკაცებს, გლეხებს, წვრილ-ბურჟუაზიულ რევოლუციურ პარტიებთან ერთად სცემდნენ რევოლუციურ მანიფესტებს. რევოლუციამდელი ეპოქის ძველი დავა შესცვალა სოლიდარობამ პრაქტიკულ საკითხებში. რევოლუციური ტალღის აღმავლობამ დაჩრდილა უთანხმოებანი, აიძულა ეღიარებინათ საბრძოლო ტაქტიკა, მოხსნა სათათბიროს საკითხი, დღის წესრიგში დააყენა აჯანყების საკითხი, უშუალო უახლოესი მუშაობის ნიადაგზე ერთმანეთს დაუახლოვა სოციალ-დემოკრატია და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია. «სევერნი გოლოსში»[67] მენშევიკები ბოლშევიკებთან ერთად გაფიცვისა და აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, მოუწოდებდნენ მუშებს არ შეეწყვიტათ ბრძოლა, ვიდრე ძალაუფლება მათ ხელში არ იქნებოდა. თვით რევოლუციური ვითარება გვიკარნახებდა პრაქტიკულ ლოზუნგებს. დავა ეხებოდა მოვლენათა შეფასების მხოლოდ წვრილმანებს: «ნაჩალო»[68], მაგალითად, მუშათა დეპუტატების საბჭოებს რევოლუციურ თვითმმართველობათა ორგანოებად თვლიდა, ხოლო «ნოვაია ჟიზნი»[69] — რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახოვან ორგანოებად, რომლებიც

აერთებდნენ პროლეტარიატს და რევოლუციურ დემოკრატიას. «ნაჩალო» პროლეტარიატის დიქტატურისაკენ იხრებოდა. «ნოვაია ჟიზნი» პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის თვალსაზრისზე იდგა. მაგრამ განა ასეთ და მსგავს უთანხმოებებს სოციალ-დემოკრატიის შიგნით არ გვიჩვენებს ყოველი პერიოდი ევროპის ყოველი სოციალისტური პარტიის განვითარებისა?

არა, ბატონ ბლანკის მიერ საქმის გაყალბება, გუშინდელი დღის ისტორიის აღმამფოთებელი დამახინჯება იმით და მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ჩვენს წინაშეა თვითკმაყოფილი ბურჟუაზიული უხამსობის ნიმუში, რომელსაც რევოლუციური გრიგალის პერიოდები სიგიჟედ ეჩვენება («ყველა პრინციპი მივიწყებულია», «თვით აზრი და უბრალო გონებაც თითქმის ჰქრება»), ხოლო რევოლუციის ჩახშობისა და ფილისტერული «პროგრესის» (დუბასოვი რომ იცავს) პერიოდები — გონივრული, შეგნებული და გეგმაშეწონილი მოქმედების ეპოქად. ორი პერიოდის («გრიგალის» პერიოდისა და კადეტური პერიოდის) ეს შედარებითი შეფასება წითელ ზოლად არის გავლებული ბატონ ბლანკის მთელ სტატიაში. როდესაც კაცობრიობის ისტორია ლოკომოტივის სისწრაფით მიჰქრის წინ — ეს «გრიგალია», «ნიაღვარია», ყველა «პრინციპისა და იდეის» «გაქრობაა». როდესაც ისტორია საძნე ურმის სისწრაფით მიიწევს — ეს თვით გონიერება და თვით გეგმაზომიერებაა. როდესაც ხალხის მასები თვითონ, მთელი თავისი ბუნებრივი პრიმიტიულობით, უბრალო, მოუქნელი გამბედაობით იწყებენ ისტორიის შექმნას, იწყებენ «პრინციპებისა და თეორიების» პირდაპირ და დაუყოვნებლივ განხორციელებას, — მაშინ ბურჟუა შიშსა გრძნობს და ყვირის, «გონება უკანა რიგში დგებაო» (პირიქით ხომ არ არის, ფილისტერობის გმირნო? ისტორიაში სწორედ ასეთ მომენტებში ხომ არ მეღავნდება მასების გონება, და არა ცალკეულ პიროვნებათა გონება? სწორედ მაშინ ხომ არ ხდება მასობრივი გონება ცხოველმყოფელ, ქმედით და არა კაბინეტურ ძალად?). როდესაც მასების უშუალო მოძრაობა დახვრეტით, ეგზეკუციე-

ბით, გამათრახებით, უმუშევრობითა და შიმშილობით არის ჩახშობილი, როდესაც ხვრელებიდან ძვრებიან დუბასოვის კმაყოფაზე მყოფი პროფესორული მეცნიერების ბაღლინჯოები და იწყებენ საქმეთა გადაწყვეტას ხალხის მ ა გ ი ვ რ ა დ, მ ა ს ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ, ჰყიდიან და ღალატობენ მათს ინტერესებს ერთი მუჭა პრივილეგიურთა სასარგებლოდ, — მაშინ ფილისტერობის რაინდებს ჰგონიათ, რომ დამშვიდებული და წყნარი პროგრესის ეპოქა დადგა, «დადგა აზრისა და გონების ჯერიო». ბურჟუა ყოველთვის და ყველგან თავისი თავის ერთგულია: «პოლიარნაია ზვეზდას» აიღებთ თუ «ნაშა ჟიზნს» [70], სტრუვეს წაიკითხავთ თუ ბლანკს, ყველგან ერთი და იგივეა, ყველგან შეხვდებით რევოლუციური და რეფორმისტული პერიოდების ამ შეზღუდულ, პროფესორულ-პედანტურ, მოხელურ-უსიცოცხლო შეფასებას. პირველი პერიოდები პერიოდებია სიგიჟისა, **tolle Jahre**, აზრისა და გონების გაჭრობისა. მეორე პერიოდები «შეგნებული, სისტემატური» მოქმედების პერიოდებია.

ჩემს სიტყვებს სხვანაირად ნურავინ გაიგებს. ნუ იტყვით, რომ მე ვლაპარაკობ ბატონ ბლანკების მიერ ამა თუ იმ პერიოდებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე. საქმე სრულიადაც უპირატესობის მინიჭებაში არ არის, — ჩვენს მიერ უპირატესობის სუბიექტურად მინიჭებაზე როდია დამოკიდებული ისტორიული პერიოდების ცვალებადობა. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ პერიოდის თ ვ ი ს ე ბ ა თ ა ა ნ ა ლ ი ზ ი ს დ რ ო ს (სრულიად დამოუკიდებლად ჩვენს მიერ უპირატესობის მინიჭებისა თუ ჩვენი სიმპათიებისა) ბატონი ბლანკები უსინდისოდ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ე ნ ს ი მ ა რ თ ლ ე ს. საქმე ისაა, რომ სწორედ რევოლუციური პერიოდები განირჩევიან ისტორიული შემოქმედების მეტი სიფართოვით, მეტი მრავალფეროვნებით, მეტი შეგნებით, მეტი გეგმაზომიერებით, მეტი სისტემატურობით, მეტი გაბედულებითა და სიმკვეთრით ფილისტერული, კადეტური, რეფორმისტული პროგრესის პერიოდებთან შედარებით. ბატონი ბლანკები კი საქმეს უკულმა გვიხატავენ! ისინი უბადრუკობას ისტორიულ-შემოქმედებითს მრავალფეროვნებად

ასაღებენ. დაჩაგრული თუ დაბეჩავებული მასების უმოქ-მედობას ისინი თვლიან მოხელეთა, ბურჟუების მოქმედებაში «სისტემატურობის» გამარჯვებად. ისინი აზრისა და გონების გაქრობაზე გაჰყვირიან, როდესაც კანცელარიების ვიგინდარა მოხელეებისა და ლიბერალური **penny-a-liner**-ების მიერ (მჯღა-ბნელები, სტრიქონობით აღებული ფულით რომ ცხოვრობენ) კანონპროექტების შეკოწიწების მაგივრად დგება იმ «მდაბიო ხალხის» უშუალო პოლიტიკური მოქმედების პერიოდი, რომე-ლიც უბოდიშოდ პირდაპირ, დაუყოვნებლივ ამსხვრევს ხალ-ხის ჩაგვრის ორგანოებს, იპყრობს ძალაუფლებას, იღებს იმას, რაც ხალხის ყოველგვარ მძარცველთა კუთვნილებად მიაჩნდათ, ერთი სიტყვით, როდესაც სწორედ რომ იღვიძებს მილიონობით ჩაგრულ ადამიანთა აზრი და გონება, იღვიძებს არა მარტო წიგნების საკითხავად, არამედ საქმისათვის, ცოც-ხალი, ადამიანური საქმისათვის, ისტორიული შემოქმედები-სათვის»[71].

ასეთი იყო დავა დიქტატურის შესახებ 1905 — 1906 წლებში რუსეთში.

ბატონი დიტმანები, კაუცკები, კრისპინები, ჰილფერდინ-გები გერმანიაში, ლონგეები და კომპანია საფრანგეთში, ტუ-რატები და მისი მეგობრები იტალიაში, მაკდონალდები და სნოუდენები ინგლისში და სხვ. დიქტატურაზე, არსებითად, სავსებით ისევე მსჯელობენ, როგორც მსჯელობდნენ ბ-ნი რ. ბლანკი და 1905 წლის კადეტები რუსეთში. მათ არ ესმით დიქტატურა, არ იციან მისი მომზადება, არ შეუძლიათ მისი გაგება და განხორციელება.

20. X. 1920.

გამოქვეყნდა 1920 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

Баку и по месту нахождения

Иосифу Виссарионовичу Сталину

29/X

Сообщаю несомненные уже данные отказа бакинцев вероятно также и что Азербайджан пойдет на Баку обдумайте и примите срочно меры укрепления подступов к Баку с суши и с моря подвоз продовольствия и прочее сообщите ваше решение

Ленин

ხელნაწერი ვ. ი. ლენინის დეპეშისა ი. ბ. სტალინისადმი. — 1920 წ 29 ოქტომბერი.

დაპატარავებულია

დეპეშა ი. ბ. სტალინს[72]

ბ ა ქ ო და ადგილსამყოფელის მიხედვით —
რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო
საბჭოს წევრს სტალინს

29/X

უეჭველად მიმაჩნია, რომ საქართველო ბათუმს მისცემს ანტანტას, ალბათ, საიდუმლოდ და რომ ანტანტა გამოილაშქრებს ბაქოს წინააღმდეგ. მოიფიქრეთ და საჩქაროდ მოამზადეთ ბაქოს სახმელეთო და საზღვაო მისადგომების გამაგრების, მძიმე არტილერიის მიზიდვის ზომები და სხვა. გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1920 წ. 29 ოქტომბერს
პირველად გამოქვეყნდა
1942 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე 1920 წ. 3 ნოემბერს

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გაგიზიაროთ რამდენიმე აზრი, რომელთაც ნაწილობრივ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში შეეხენ მთავპოლიტგანის ორგანიზაციის საკითხის გამო, ნაწილობრივ კი მე დამებადა სახკომსაბჭოში შემოტანილი პროექტის გამო. გუშინ ეს პროექტი მიღებულ იქნა საფუძვლად, ხოლო დაწვრილებით კიდევ ცალკე იქნება განხილული.

ჩემი მხრივ ნებას მივცემ თავს აღვნიშნო მხოლოდ, რომ თქვენი დაწესებულების სახელწოდების შეცვლას მე თავდაპირველად ძალიან უარყოფითად ვუყურებდი. ჩემი აზრით, განსახკომის ამოცანაა დაეხმაროს ადამიანებს ისწავლონ და სხვებს ასწავლონ. ჩემი საბჭოთა გამოცდილების განმავლობაში დავეჩვიე ისე ვუცქირო სხვადასხვანაირ სახელწოდებას, როგორც ბავშვების ხუმრობას, თვითეული სახელწოდება ხომ ერთგვარი ხუმრობაა. ახლა უკვე დამტკიცებულია ახალი სახელწოდება: მთავპოლიტგანი.

ვინაიდან ეს გადაწყვეტილი საკითხია, ამიტომ ჩემი შენიშვნა მიიღეთ მხოლოდ როგორც პირადი შენიშვნა. თუ საქმე მარტო სახელწოდების შეცვლით არ განისაზღვრა, მაშინ ეს მხოლოდ მისალმების ღირსი იქნება.

თუ ჩვენ მოვახერხეთ და ახალი მუშაკები მოვიზიდეთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის, მაშინ საქმე მარტო ახალ სახელწოდებაში აღარ იქნება და შესაძლებელი გახდება შევურიგდეთ «საბჭოთა» მიდრეკილებას, რომ ყოველ

ახალ საქმეს და ყოველ ახალ დაწესებულებას იარლიყი მიაკრან. წარმატების შემთხვევაში ჩვენ მივაღწევთ იმაზე უფრო დიდ რამეს, რასაც დღემდე მივაღწიეთ.

ყველაზე მთავარი, რამაც უნდა აიძულოს ამხანაგები ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ერთობლივს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, — ეს არის განათლების საკითხი ჩვენს პოლიტიკასთან დაკავშირებით. სახელწოდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამეს, თუ კი ამის საჭიროება არსებობს, ვინაიდან საგანმანათლებლო მუშაობის მთელ ხაზზე ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ განათლების აპოლიტიკურობის ძველ თვალსაზრისზე, არ შეგვიძლია საგანმანათლებლო მუშაობის დაყენება პოლიტიკასთან კავშირის გარეშე.

ასეთი აზრი ბატონობდა და ბატონობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. სახელწოდება «აპოლიტიკურობა» ანუ «არაპოლიტიკურობა» განათლებისა — ეს არის ბურჟუაზიის თვალთმაქცობა, ეს არის მხოლოდ მოტყუება მასებისა, რომელთა 99% დამცირებულია ეკლესიის ბატონობით, კერძო საკუთრებითა და სხვ.. ბურჟუაზიას, რომელიც ბატონობს ყველა ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სწორედ მასების ასეთი მოტყუება გაუხდია თავის საქმედ.

და რაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს აპარატს იქ, მით უფრო ნაკლები თავისუფლება აქვს მას კაპიტალისა და მისი პოლიტიკისაგან.

ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პოლიტიკური აპარატის კავშირი განათლებასთან მეტად მტკიცეა, თუმცა ამის პირდაპირ აღიარება ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია. ამავე დროს კი, ეს საზოგადოება ეწევა მასების შეგნების დამუშავებას ეკლესიის მეშვეობით, კერძო საკუთრების მთელი ინსტიტუტის მეშვეობით.

ჩვენი ძირითადი ამოცანა, სხვათა შორის, ისაა, რომ ბურჟუაზიულ «სიმართლეს» დავუპირისპიროთ ჩვენი სიმართლე და ვაიძულოთ კიდეც აღიარონ ეს სიმართლე.

ბურჟუაზიული საზოგადოებიდან პროლეტარიატის პოლიტიკაზე გადასვლა ძალიან ძნელი რამ არის, მით უმეტეს, რომ

ბურჟუაზია დაუცხრომლად ცილს გვწამებს თავისი პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი აპარატით. იგი რაც შეუძლია დიდი მონდომებით ცდილობს დაჩრდილოს პროლეტარიატის დიქტატურის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი, მისი აღმზრდელობითი ამოცანა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთში, სადაც პროლეტარიატს მოსახლეობის უმცირესობა მიეკუთვნება. ამავე დროს კი ეს ამოცანა აქ პირველ რიგში უნდა იქნას წამოწეული, ვინაიდან ჩვენ სოციალისტური მშენებლობისათვის უნდა მოვამზადოთ მასები. პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკიც კი არ იქნებოდა შესაძლებელი, პროლეტარიატს რომ არ შეემუშავებინა თავის თავში დიდი შეგნება, დიდი დისციპლინა, დიდი ერთგულება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ე. ი. ამოცანათა ის ჯამი, რომლის წინ წამოწევაც აუცილებლად საჭიროა პროლეტარიატის სრული გამარჯვებისათვის მის ძველთაძველ მტერზე.

ჩვენ არ ვდგავართ იმ უტოპიურ თვალსაზრისზე, თითქო მშრომელი მასები მომზადებული იყვნენ სოციალისტური საზოგადოებისათვის. მუშათა სოციალიზმის მთელი ისტორიის ზუსტი მონაცემების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, რომ სოციალიზმისათვის მომზადებულობას იძლევა მხოლოდ მსხვილი ინდუსტრია, საგაფიცვო ბრძოლა, პოლიტიკური ორგანიზებულობა. და იმისათვის, რომ გამარჯვება მოიპოვოს, იმისათვის, რომ სოციალისტური გადატრიალება მოახდინოს, პროლეტარიატს უნდა შესწევდეს სოლიდარული მოქმედების, ექსპლოატატორთა დამხობის საქმის უნარი. და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა საჭირო უნარი მან მოიპოვა და საქმედაც აქცია, როდესაც ძალაუფლება დაიპყრო.

განათლების მუშაკთათვის და კომუნისტური პარტიისათვის, როგორც ავანგარდისათვის ბრძოლაში, ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ის, რომ დახმარება გაუწიოს მშრომელი მასების აღზრდა-განათლებას, რათა დაძლეულ იქნას ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ძველი ზნე-ჩვეულებანი, ძველი ჩვევები, მესაკუთრული ჩვევები და

ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც მასებს ძვალ-რბილში გაჯდომია. მთელი სოციალისტური გადატრიალების ეს ძირითადი ამოცანა არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ იმ კერძო საკითხების განხილვისას, რომელნიც პარტიის ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს ესოდენ დიდ ყურადღებას იპყრობდნენ. თუ როგორ უნდა ავაგოთ მთავ-პოლიტგანი, როგორ შევუერთოთ იგი ცალკეულ დაწესებულებებს, როგორ დავუკავშიროთ არა მარტო ცენტრს, არამედ ადგილობრივ დაწესებულებებსაც, ამ საკითხზე ჩვენ გვიპასუხებენ ამ საქმეში უფრო კომპეტენტური ამხანაგები, რომელთაც უკვე დიდი გამოცდილება აქვთ და ეს საქმე სპეციალურად შეუსწავლიათ. მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა საქმის პრინციპული მხარის ძირითად მომენტებს. ჩვენ არ შეგვიძლია აშკარად არ დავსვათ საკითხი, აშკარად არ ვაღიაროთ, წინააღმდეგ მთელი ძველი სიცრუისა, რომ განათლება არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს პოლიტიკასთან.

ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლის ისტორიულ მომენტში, იმ ბურჟუაზიასთან ბრძოლისა, რომელიც ბევრად და ბევრად ჩვენზე უფრო ძლიერია. ბრძოლის ასეთ მომენტში ჩვენ უნდა დავიცვათ რევოლუციური მშენებლობა, ვიბრძოლოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამხედრო გზითაც და კიდევ უფრო — იდეური გზით, აღზრდის გზით, რათა ის ზნე-ჩვეულებანი, ჩვევანი და რწმენანი, რომელთაც მუშათა კლასი მრავალი ათეული წლების მანძილზე იმუშავებდა თავის თავში პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რათა ამ ზნე-ჩვეულებათა, ჩვევათა და იდეათა მთელი ჯამი ყველა მშრომელის აღზრდის იარაღი გახდეს, ხოლო იმ საკითხის გადაჭრის ამოცანა, თუ სახელდობრ როგორ აღვზარდოთ, პროლეტარიატს ეკისრება. აუცილებლად საჭიროა აღვზარდოთ იმის შეგნება, რომ არ შეიძლება, შეუწყნარებელია პროლეტარიატის იმ ბრძოლის გარეშე დგომა, რომელიც ამჟამად სულ უფრო და უფრო ედება მსოფლიოს უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, შეუწყნარებელია განზე დგომა მთელი საერთაშორისო პოლიტიკისაგან. მსოფლიოს ყველა ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნის გაერთიანება საბჭოთა

რუსეთის წინააღმდეგ, — აქ არის ნამდვილი ბაზა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკისა. და საჭიროა ვაღიაროთ, რომ ამაზეა დამოკიდებული ასობით მილიონ მშრომელთა ბედი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამჟამად ხომ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი კუნჭული, რომელიც ერთ მუჭა კაპიტალისტურ ქვეყნებს არ ემორჩილებოდეს. ამგვარად, მდგომარეობა ისეთ სახეს ღებულობს, რომ აუცილებელია ან განზე გაუდგე ახლანდელ ბრძოლას და ამით ცხადყო საკუთარი სრული შეუგნებლობა, როგორც ეს მოუვიდათ იმ უვიც ადამიანებს, რომელნიც რევოლუციასა და ომს განზე გაუდგნენ და ვერ ხედავენ ბურჟუაზიის მიერ მასების მთელ მოტყუებას, ვერ ხედავენ, რომ ბურჟუაზია შეგნებულად ტოვებს ამ მასებს სიბნელეში, — ან პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად დადგე.

პროლეტარიატის ამ ბრძოლის შესახებ ჩვენ სრულიად აშკარად ვლაპარაკობთ, და საჭიროა თვითეული ადამიანი ან აქეთ, ჩვენს მხარეზე დადგეს, ან იქით მხარეზე. ყოველგვარი ცდა, რომ არც აქეთ დადგნენ და არც იქით, კრახით და სკანდალით მთავრდება.

როდესაც ვაკვირდებოდით კერენშჩინის დაუსრულებელ ნაშთებს, ესერების, სოციალ-დემოკრატების ნაშთებს, რომლებიც იუდენიჩების, კოლჩაკების, პეტლიურების, მახნოებისა და სხვათა სახით მოგვეევლინენ, კონტრრევოლუციის ფორმებისა და ფერადების ისეთ სხვადასხვაობას ვხედავდით რუსეთის სხვადასხვა ადგილებში, რომ შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ უკვე ბევრად უფრო გამოწრთობილნი ვართ, ვიდრე სხვა ვინმე, ხოლო როდესაც დასავლეთ ევროპისაკენ გავიხედავთ, ვხედავთ, რომ იქ მეორდება იგივე, რაც ჩვენში იყო, მეორდება ჩვენი ისტორია. თითქმის ყველგან ბურჟუაზიის გვერდით კერენშჩინის ელემენტები გვხვდება. მთელ რიგ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით გერმანიაში, ეს ელემენტები მეთაურობენ. ყველგან ერთი და იგივე ჩანს: შეუძლებლობა რაიმე შუათანა პოზიციისა და ნათელი შეგნება — ან თეთრი დიქტატურა (ამისათვის ემზადება დასავლეთ ევროპის ყველა

ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც იარაღს ისხამს ჩვენს წინააღმდეგ), ან პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენ ეს ისე მწვავედ და ღრმად გამოვცადეთ, რომ რუს კომუნისტებზე სიტყვის გაგრძელება არ დამჭირდება. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის, დასკვნა, რომელიც ქვაკუთხედად უნდა დაედვას მთავპოლიტგანთან დაკავშირებულ ყველა მსჯელობას და აზრთა წყობას. უწინარეს ყოვლისა ამ ორგანოს მუშაობაში აშკარად უნდა იქნას აღიარებული კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეთაურობა. სხვაგვარ ფორმას ჩვენ არ ვიცნობთ, და სხვაგვარი ფორმა ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუმუშავებია. პარტია შეიძლება მეტად თუ ნაკლებად შეესატყვისებოდეს თავისი კლასის ინტერესებს, ის განიცდის ამა თუ იმ ცვლილებას ან შესწორებას, მაგრამ უკეთესი ფორმა ჩვენ ჯერ არ ვიცით, და მთელი ბრძოლა საბჭოთა რუსეთში, რომელიც სამი წლის განმავლობაში აკავებდა მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევას, დაკავშირებულია იმასთან, რომ პარტია შეგნებულად ისახავს ამოცანად დაეხმაროს პროლეტარიატს შეასრულოს აღმზრდელის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი, ის როლი, ურომლისოდაც კაპიტალიზმის დაშლა შეუძლებელია. მშრომელმა მასებმა, გლეხთა და მუშათა მასებმა უნდა დაძლიონ ინტელიგენციის ძველი ჩვევები და ხელახლა აღზარდონ თავიანთი თავი კომუნიზმის მშენებლობისათვის — უამისოდ შეუძლებელია მშენებლობის საქმის დაწყება. მთელი ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს მეტად სერიოზული საქმეა, და ამიტომაც მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ პარტია მეთაურის როლს ასრულებს, და ჩვენ ვერ დავიწყებთ ამას მოქმედების, ორგანიზაციული მშენებლობის საკითხის განხილვისას. თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ეს საქმე, ამაზე კიდევ ბევრი ლაპარაკი დაგვჭირდება; ამაზე მოგვიხდება ლაპარაკი პარტიის ც. კ-შიც და სახკომსაბჭოშიც. ის დეკრეტი, რომელიც გუშინ დამტკიცდა, საფუძველი გახდა მთავპოლიტგანის მიმართ, მაგრამ სახკომსაბჭოში მას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მთელი თავისი გზა. ამ დღეებში ეს დეკრეტი გამოქვეყნდება საბოლოოდ რედაქტირებული სახით

და მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ პირდაპირი განცხადება პარტიასთან დამოკიდებულების შესახებ იქ არ არის.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მთელი იურიდიული და ფაქტიური კონსტიტუცია იმაზე შენდება, რომ პარტია ყველაფერს ერთი პრინციპით ასწორებს, ნიშნავს და აშენებს, რათა პროლეტარიატთან დაკავშირებულ კომუნისტურ ელემენტებს შეეძლოთ თავიანთი სულისკვეთებით გამსჭვალონ ეს პროლეტარიატი, თავიანთი გავლენის ქვეშ დააყენონ ის, გაათავისუფლონ იგი იმ ბურჟუაზიული მოტყუებისაგან, რომლის მოსპობასაც ჩვენ ესოდენ დიდი ხანია ვცდილობთ. განსახკომმა ხანგრძლივი ბრძოლა გადაიტანა, მასწავლებელთა ორგანიზაცია დიდხანს ებრძოდა სოციალისტურ გადატრიალებას. ამ მასწავლებელთა შორის განსაკუთრებით დამკვიდრდა ბურჟუაზიული ცრურწმენები. აქ დიდხანს მიმდინარეობდა ბრძოლა პირდაპირი საპოტაჟის სახითაც და მტკიცედ შესისხლხორცებულ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა სახითაც, და ჩვენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გვიხდება კომუნისტური პოზიციის დაპყრობა. მთავპოლიტგანის წინაშე, რომელიც სკოლის გარეშე სწავლების დარგში მუშაობს, ამ სწავლებისა და მასების განათლების ამოცანას სწყვეტს, განსაკუთრებით მკაფიოდ დგება ამოცანა — შეათავსოს პარტიული ხელმძღვანელობა, დაიმორჩილოს, თავისი სულისკვეთებით გამსჭვალოს, თავისი ინიციატივის ცეცხლით აანთოს ეს უზარმაზარი აპარატი — მასწავლებელთა პერსონალის ნახევარმილიონიანი არმია, რომელიც ამჟამად მუშის სამსახურში იმყოფება. განათლების მუშაკები, მასწავლებელთა პერსონალი აღზრდილი იყვნენ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ზნე-ჩვეულებათა სულისკვეთებით, პროლეტარიატისადმი მტრული სულისკვეთებით, ისინი სრულიად არ იყვნენ დაკავშირებულნი მასთან. ახლა ჩვენ უნდა აღვზარდოთ ახალი არმია პედაგოგიური სამასწავლებლო პერსონალისა, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პარტიასთან, მის იდეებთან, გამსჭვალული უნდა იყოს მისი სულისკვეთებით, უნდა მიიზიდოს მუშათა

მასები, გამსჭვალოს ისინი კომუნიზმის სულისკვეთებით, დააინტერესოს იმით, რასაც კომუნისტები აკეთებენ.

ვინაიდან უნდა გავწყვიტოთ კავშირი ძველ ზნე-ჩვეულებებსა, ჩვევებსა და იდეებთან, ამიტომ აქ მთავპოლიტგანისა და მისი მუშაკების წინაშე დგას უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც განსაკუთრებით უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. და მართლაც, აქ ჩვენს წინაშე დგას დილემა: როგორ დავუკავშიროთ მასწავლებლობა, რომლის უმრავლესობა ძველი წრთობის ხალხია, პარტიულებს, კომუნისტებს? ეს საკითხი ფრიად ძნელია, და მას ძალიან დიდი დაფიქრება უნდა.

განვიხილოთ, როგორ დავუკავშიროთ ერთმანეთს ორგანიზაციულად ესოდენ სხვადასხვანაირი ადამიანები. ჩვენთვის პრინციპულად შეუძლებელია ეჭვის შეტანა იმაში, რომ უნდა იყოს კომუნისტური პარტიის მეთაურობა. (ამრიგად, პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური განათლების მიზანია აღზარდოს ნამდვილი კომუნისტები, რომელთაც უნარი ექნებათ დაამარცხონ ტყუილი, ცრურწმენები, დაეხმარონ მშრომელ მასებს ძველი წყობილების დამარცხებაში და წარმართონ სახელმწიფოს მშენებლობის საქმე უკაპიტალისტებოდ, უექსპლოატატორებოდ, უძვმამულეებოდ.) ხოლო როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს? ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დავეუფლებით ცოდნის მთელ იმ ჯამს, რომელიც მასწავლებლებმა მემკვიდრეობად მიიღეს ბურჟუაზიისაგან. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა კომუნიზმის რაიმე ტექნიკური მიღწევა, და ყოველივე ოცნება ამის შესახებ ფუჭი იქნებოდა. და აი იბადება საკითხი — როგორ-ღა დავაკავშიროთ ისინი, ეს მუშაკები, რომელთაც არ ჩვევიათ მუშაობა პოლიტიკასთან დაკავშირებით და კერძოდ ჩვენთვის სასარგებლო პოლიტიკასთან, ე. ი. კომუნიზმისათვის აუცილებელ პოლიტიკასთან დაკავშირებით? როგორც ვთქვი, ეს ძალიან ძნელი ამოცანაა. ჩვენ ეს საკითხი ცენტრალურ კომიტეტშიც განვიხილეთ, და მისი განხილვისას ვცდილობდით გაგვეთვალისწინებია გამოცდილებით შეკრებილი მითითებანი; და ვფიქრობთ, რომ

იმგვარ ყრილობას, როგორიც დღეს არის, სადაც მე ახლა ვლაპარაკობ, იმგვარ კონფერენციას, როგორიც თქვენია, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნება. პარტიის თვითეული კომიტეტი ახლა იძულებულია ახლებურად უყუროს თვითეულ პროპაგანდისტს, რომელსაც წინათ უყურებდნენ როგორც განსაზღვრული წრის, განსაზღვრული ორგანიზაციის კაცს. თვითეული მათგანი ეკუთვნის იმ პარტიას, რომელიც მართავს, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ სახელმწიფოს, საბჭოთა რუსეთის მსოფლიო ბრძოლას ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. ის არის წარმომადგენელი მებრძოლი კლასისა და პარტიისა, რომელიც ბატონობს და უნდა ბატონობდეს კიდეც უზარმაზარ სახელმწიფო აპარატზე. ძალიან ბევრ კომუნისტს, რომელთაც ჩინებულად გაუვლიათ არალეგალური მუშაობის სკოლა და გაწაფული და ნაწრთობი არიან ბრძოლაში, არ სურს და არც შეუძლია გაიგოს მთელი მნიშვნელობა ამ გარდატეხისა, ამ გადასვლისა, როდესაც აგიტატორ-პროპაგანდისტისაგან ის იქცევა აგიტატორების ხელმძღვანელად, უზარმაზარი პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელად. დაერქმევა თუ არა მას ამასთან რაიმე შესაფერისი სახელი, შეიძლება საჩოთირო სახელიც, მაგალითად, სახალხო სასწავლებელთა გამგე, — ეს არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას შეეძლოს მასწავლებელთა მასის ხელმძღვანელობა.

უნდა ითქვას, რომ ასიათასობით მასწავლებელი — ეს არის აპარატი, რომელიც უნდა ამოძრავებდეს საქმეს, აფხიზლებდეს აზრს, ებრძოდეს ცრურწმენებს, რომლებიც ჯერ კიდევ დღემდე არსებობს მასებში. კაპიტალისტური კულტურის მემკვიდრეობა, ამ კულტურის ნაკლოვანებებით გაჟღენთილობა მასწავლებელთა მასისა, რომელიც მათი არსებობის პირობებში არ შეიძლება კომუნისტური იყოს, მაინც ხელს ვერ შეუშლის ამ მასწავლებელთა ჩაბმას საგანმანათლებლო პოლიტიკური მუშაობის მუშაკთა რიგებში, ვინაიდან ამ მასწავლებლებს მოეპოვებათ ცოდნა, ურომლისოდაც ვერ მიგაღწევთ ჩვენს მიზანს.

კომუნისტური განათლების სამსახურში ჩვენ ასიათასობით საჭირო ადამიანები უნდა ჩავაყენოთ. ეს ის ამოცანაა, რომელიც გადავწყვიტეთ ფრონტზე, ჩვენს წითელ არმიაში, რომელშიაც ათიათასობით ავიყვანეთ ძველი არმიის წარმომადგენელნი. ხანგრძლივ პროცესში, ხელახალი აღზრდის პროცესში ისინი შეუსისხლხორცდნენ წითელ არმიას, რაც, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცეს კიდეც თავიანთი გამარჯვებებით. ამ მაგალითს უნდა მივდიოთ ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაშიც. მართალია, ეს მუშაობა არც ისე ბრწყინვალეა, მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენთვის საჭიროა თვითეული აგიტატორი და პროპაგანდისტი, იგი ასრულებს თავის ამოცანას, როდესაც მტკიცე პარტიული სულისკვეთებით მუშაობს, მაგრამ ამასთანავე იგი მარტო პარტიით კი არ იფარგლება, არამედ ახსოვს, რომ მის ამოცანას შეადგენს ასიათასობით მასწავლებელთა პერსონალის ხელმძღვანელობა, მათი დაინტერესება, ძველი ბურჟუაზიული ცრურწმენების დაძლევა, ამ მასწავლებელთა ჩაბმა იმ საქმეში, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, მათი გატაცება ჩვენი სამუშაოს სიდიადის შეგნებით; მხოლოდ ამ მუშაობაზე გადასვლით შეგვიძლია ჩვენ სწორ გზაზე გამოვიყვანოთ ეს მასა, რომელიც დაბეჩავებული იყო კაპიტალიზმის მიერ და რომელსაც გვაშორებდა ჩვენ კაპიტალიზმი.

აი ის ამოცანები, რომელთაც უნდა ემსახურებოდეს სკოლის ჩარჩოებს გარეთ მომუშავე თვითეული აგიტატორი და პროპაგანდისტი; და ეს ამოცანები მან მხედველობიდან არ უნდა გამოუშვას. მათი გადაწყვეტისას უამრავი პრაქტიკული სიძნელე გვეღობება, და თქვენ უნდა დაეხმაროთ კომუნიზმს და გახდეთ წარმომადგენლები და ხელმძღვანელები არა მარტო პარტიული წრეებისა, არამედ მთელი სახელმწიფო ძალაუფლებისაც, რომელიც მუშათა კლასის ხელშია.

ჩვენი ამოცანაა დავამარცხოთ კაპიტალისტთა მთელი წინააღმდეგობა, არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ იდეური წინააღმდეგობაც, რომელიც ყველაზე უფრო ღრმა და ძლიერია. ჩვენი განათლების მუშაკთა ამოცანა

განახორციელონ მასის ეს გარდაქმნა. მასის დაინტერესება, მისი სწრაფვა განათლებისა და კომუნიზმის ცოდნისაკენ, რასაც ჩვენ ვხედავთ, იმის თავდებია, რომ ჩვენ აქაც გამარჯვებულნი გამოვალთ, თუმცა, შეიძლება, არც ისე ჩქარა, როგორც ფრონტზე, შეიძლება, აქ უფრო დიდი სიძნელეები შეგვხვდეს და ზოგჯერ დავმარცხდეთ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამარჯვებული ჩვენ ვიქნებით.

დასასრულ, მინდა შევჩერდე კიდევ ერთ რამეზე: შეიძლება, სიტყვა მთავპოლიტგანი სწორად არ არის გაგებული. იმდენად, რამდენადაც აქ ნახსენებია ცნება პოლიტიკური, აქ პოლიტიკა ყველაზე მთავარია.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ პოლიტიკა? თუ პოლიტიკას ძველი აზრით გავიგებთ, შეიძლება დიდი და მძიმე შეცდომა ჩავიდინოთ. პოლიტიკა — ეს არის კლასთა შორის ბრძოლა, პოლიტიკა — ეს არის ურთიერთობა პროლეტარიატისა, რომელიც განთავისუფლებისათვის იბრძვის მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენს ბრძოლაში საქმის ორი მხარე გამოიყოფა: ერთი მხრივ, ჩვენი ამოცანაა დავანგრიოთ ბურჟუაზიული წყობილების მემკვიდრეობა, ჩავშალოთ საბჭოთა ხელისუფლების გასრესის ცდები, რომელთაც მთელი ბურჟუაზია იმეორებს. აქამდე ეს ამოცანა ყველაზე უფრო იპყრობდა ჩვენს ყურადღებას და ხელს გვიშლიდა გადავსულიყავით მეორე ამოცანაზე — მშენებლობის ამოცანაზე. ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წარმოდგენით, პოლიტიკა თითქოს მოწყვეტილი იყო ეკონომიკას. ბურჟუაზია ამბობდა: იმუშავეთ, გლეხებო, რათა არსებობის საშუალება მოიპოვოთ, იმუშავეთ, მუშებო, რათა შეიძინოთ ბაზარზე ყოველივე ის, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, ხოლო სამეურნეო პოლიტიკას კი თქვენი მეპატრონეები აწარმოებენო. მაგრამ ეს ასე არ არის, პოლიტიკა უნდა იყოს ხალხის საქმე, პროლეტარიატის საქმე. და აი აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის ცხრა მეათედს ჩვენს მუშაობაში ბურჟუაზიასთან ბრძოლას ვანდომებთ. ვრანგელზე გამარჯვება, რაზედაც გუშინ წავიკითხეთ და თქვენ დღეს და, ალბათ, ხვალაც წაი-

კითხავთ, გვიჩვენებს, რომ ბრძოლის ერთი სტადია დასასრულს უახლოვდება, რომ ჩვენ დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან შევძელით ზავის შეკვრა, ხოლო სამხედრო ფრონტზე მოპოვებული თვითეული გამარჯვება გვათავისუფლებს ჩვენ შინაური ბრძოლისათვის, სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკისათვის. ყოველ ნაბიჯს, რომელიც თეთრგვარდიელებზე გამარჯვებას გვიახლოებს, ბრძოლის სიმძიმის ცენტრი თანდათან ეკონომიკის პოლიტიკაზე გადააქვს. ძველი ტიპის პროპაგანდა მოგვითხრობს, მაგალითებით გვიხსნის, თუ რა არის კომუნიზმი. მაგრამ ეს ძველი პროპაგანდა აღარაფრად ვარგა, რადგან საჭიროა პრაქტიკულად ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა სოციალიზმის შენება. მთელი პროპაგანდა სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე უნდა აიგოს. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, და თუ ვინმე ამის გაგებას სიტყვის ძველებური მნიშვნელობით განიზრახავდა, ის ჩამორჩენილი იქნებოდა და ვერ შეძლებდა საპროპაგანდო მუშაობის გაწევას გლეხთა და მუშათა მასისათვის. ჩვენი მთავარი პოლიტიკა ამჟამად უნდა იყოს — სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა, რათა რაც შეიძლება მეტი პური მოვაგროვოთ, რაც შეიძლება მეტი ნახშირი მოვიპოვოთ, რათა გადავწყვიტოთ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს პური და ნახშირი, რომ მშივრები აღარ გვეყოლონ, — აი როგორია ჩვენი პოლიტიკა. და ამაზე უნდა აშენდეს მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა. რაც შეიძლება ნაკლები ფრაზებია საჭირო, რადგან ფრაზებით მშრომელებს ვერ დააკმაყოფილებთ. როგორც კი ომი საშუალებას მოგვცემს ბურჟუაზიასთან ბრძოლისაგან, ვრანგელთან, თეთრგვარდიელებთან ბრძოლისაგან გავათავისუფლოთ სიმძიმის ცენტრი, ჩვენ მაშინვე ეკონომიკის პოლიტიკას მივმართავთ. და აი აქ სულ უფრო და უფრო მზარდ, უზარმაზარ როლს შეასრულებს აგიტაცია და პროპაგანდა.

თვითეული აგიტატორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი, ყველა გლეხისა და მუშის ხელმძღვანელი ეკონომიური მშენებლობის საქმეში. ის უნდა ეუბნებოდეს ხალხს: იმისათვის, რომ კომუნისტი გახდეთ, აი ესა და ეს

ბროშურა, აი ესა და ეს წიგნაკი უნდა იცოდეთ, უნდა წაიკითხოთო.

აი როგორ გავაუმჯობესებთ ჩვენ მეურნეობას და უფრო სოლიდურს, უფრო საზოგადოებრივს გავხდით მას, გავადიდებთ წარმოებას, გავაუმჯობესებთ პურის საკითხს, უფრო წესიერად გავანაწილებთ წარმოებულ პროდუქტებს, გავაძლიერებთ ნახშირის მოპოვებას და აღვადგენთ მრეწველობას კაპიტალიზმის გარეშე და კაპიტალისტური სულისკვეთების გარეშე.

რაში მდგომარეობს კომუნიზმი? კომუნიზმის მთელი პროპაგანდა ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ საქმე მიდგეს სახელმწიფოებრივი მშენებლობისადმი პრაქტიკულ ხელმძღვანელობაზე. კომუნიზმი ისე მისაწვდომი უნდა გახდეს მუშათა მასებისათვის, როგორც მათი საკუთარი საქმე. ეს საქმე ცუდად კეთდება, ათასი შეცდომით. ჩვენ ამას არ ვმალავთ, მაგრამ ჩვენი დახმარებით, ჩვენი მცირე და სუსტი ხელშეწყობით თვითონ მუშებმა და გლეხებმა უნდა გამოიმუშაონ და გამოკვეთონ ჩვენი აპარატი; ჩვენთვის ახლა ეს პროგრამა, თეორია და ამოცანა აღარ არის, ჩვენთვის ეს დღევანდელი ფაქტიური მშენებლობის საქმეა. და თუ ჩვენს ომში უსასტიკესი დამარცხებანი განგვიცდია მტრებისაგან, საბაგიეროდ, კიდევაც ვსწავლობდით ამ დამარცხებებით და სრულ გამარჯვებას მივაღწიეთ. და ახლაც ყოველი დამარცხებიდან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ცოდნა, უნდა გვახსოვდეს, რომ შესრულებული მუშაობის მაგალითით უნდა ვასწავლიდეთ მუშებსა და გლეხებს. უნდა მივუთითებდეთ იმაზე, რაც ჩვენში ცუდია, რათა მომავალში ის თავიდან ავიცილოთ.

ამ მშენებლობის მაგალითით, რომელსაც მრავალჯერ გავიმეორებთ, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ იმ კომუნისტებისაგან, რომელნიც როგორც უფროსნი ცუდნი არიან, შევქმნით ნამდვილ მშენებლებს, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ეკონომიური მეურნეობის მშენებლებს. ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს, რაც კი საჭიროა, გადავლახავთ ყველა დაბრკოლებას, რომლებიც ძველმა წყობილებამ დაგვიტოვა და რომელთაც ერთბა-

შად ვერ მოვიშორებთ. საჭიროა მასების ხელახლა აღზრდა, ხოლო მათი ხელახლა აღზრდა შეუძლია მხოლოდ აგიტაციას და პროპაგანდას; საჭიროა დავუკავშიროთ მასები პირველ რიგში საერთო სამეურნეო ცხოვრების მშენებლობას. ეს უნდა იყოს მთავარი და ძირითადი თვითეული აგიტატორ-პროპაგანდისტის მუშაობაში. და როდესაც ის ამას შეითვისებს, მაშინ მისი მუშაობის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«სრულიად რუსეთის პოლიტგანების
თათბირის ბიულეტენი
(1920 წ. 1 — 8 ნოემბერი)»,
მოსკოვი

იბეჭდება «ბიულეტენის»
ტექსტის მიხედვით

პროექტი რეზოლუციისა «პროფესიული კავშირების ამოცანები და მათი განხორციელების მეთოდები»[73]

რკპ IX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კონფერენცია, ერთხელ კიდევ მიაქცევს რა პროფკავშირების ყურადღებას ამ გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულების აუცილებლობაზე, კერძოდ, მიუთითებს, რომ დაკვრითობა ერთიანი სამეურნეო გეგმის დაცვის აზრით, გეგმისა, რომელიც მოითხოვს ეკონომიური მშენებლობის საქმეში განსაზღვრული რიგითობის დაწესებას, — უდავო მოვლენას წარმოადგენს. ამასთან ერთად ახლანდელ მომენტში უნდა დაიწყოს, როგორც ეს 1920 წ. სექტემბრის პარტკონფერენციამ სცნო, თანდათანობითი, მაგრამ განუხრელი გადასვლა დაკვრითობიდან გათანაბრებითობაზე, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მთელი რიგი საუკეთესო ორგანიზატორული ძალები ცალკეული კავშირებიდან გაიგზავნოს სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა მთელი ცენტრალური საბჭოს გასაძლიერებლად მთლიანად, მისი აპარატის გასაუმჯობესებლად, ყველა პროფკავშირში მუშაობის მეტი სისტემატიზაციის მისაღწევად და, ამრიგად, მთელი პროფკავშირული მოძრაობის განსამტკიცებლად.

კერძოდ ეს გამოყენებულ უნდა იქნას ცეკტრანის მიმართ; სხვა კავშირებთან შედარებით მისი არაპროპორციული გაძლიერება უნდა შეწყდეს, და საუკეთესო ძალთა დამატებითმა რაოდენობამ მთელ პროფმოძრაობაზე უნდა გადაიტანოს დემოკრატიზმის ამაღლების, თვითმოქმედების, მრეწველობის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, შეჯიბრების განვითარე-

ბისა და სხვათა ის მეთოდები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოგვცეს პრაქტიკაში.

უსათუოდ აუცილებლად სცნობს რა, თანახმად რკპ IX ყრილობის გადაწყვეტილებისა, წარმოების მართვა-გამგეობაში პროფკავშირთა მონაწილეობის განვითარებას, გაფართოებასა და გაძლიერებას, კონფერენცია ანდობს სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს დაუყოვნებლივ შეაჯამოს ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ამ მხრივ მოეპოვებათ საუკეთესო კავშირებსა და საწარმოებს, და შეიმუშაოს რაც შეიძლება უფრო დაწვრილებითი ინსტრუქცია, რომელიც ყველა პროფკავშირს დაეხმარებოდა ამ გამოცდილების გამოყენებაში და დაავალებდა მათ უფრო ენერგიულად და უფრო სისტემატურად შედგომოდნენ ამ გამოყენებას.

კერძოდ, სპეციალისტთა მოზიდვის შესახებ.

დაწერილია 1920 წ. ნოემბრის დამდეგს
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლის შესახებ

გამოქვეყნდა 1920 წ.

30 ტ. 31

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1920 წ. 25 სექტემბრის «პრავდის» 213-ე ნომერში დაიბეჭდა ჩემი პატარა «წერილი გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო»[74]. იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ «Avanti!» -მ («წინ») 5 ოქტომბერს გადაბეჭდა ეს წერილი და დაურთო მას შენიშვნები, რომლებზედაც ღირს შეჩერება, ვინაიდან ეს შენიშვნები ნათლად გვიჩვენებს იმ პოზიციის უსწორობას, რომელიც დაიკავა ამხანაგმა სერატიმ, «წინის» რედაქტორმა.

«ლენინის ახსნა-განმარტება, — ვკითხულობთ ჩვენ, — რამდენადმე ამსუბუქებს იმ ამხანაგების მიერ ნაკარნახევ დრაკონულ პირობებს, რომელთაც სრული სისწორით არ შეუძლიათ შეაფასონ ადამიანები და გარემოებანი ამ სიშორეზე და ასეთ განსხვავებულ ვითარებაში»...

...«ლენინმა დაიტოვა ერთი თავისი ნადავლი: მოდილიანი»...

...«ახლა ლენინი ამბობს, — არ ვიცით, თავისი სახელით თუ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის სახელით, — რომ დასაშვებია გამონაკლისებიც» (საერთო წესიდან, აღმასკომის თანხმობით).

ირონიული შენიშვნები «ნადავლზე», რომელსაც ვითომ ასახიერებს ერთი რეფორმისტთაგანი — მოდილიანი, მიზანს ვერ აღწევს. სერატის აზრის წინააღმდეგ, ჩემ მიერ

მოდილიანის (და ლონგეს) სახელის მოუხსენებლობა განზრახ როდია ჩადენილი. ესა თუ ის სახელი მე ავიღე მაგალითისათვის, მიმართულების დასახასიათებლად, ხოლო ამა თუ იმ ცალკეულ პიროვნებათა საკითხი განზე დავტოვე და ახლაც ვტოვებ, მისი გადაჭრა არ მდომებია, ის მეორეხარისხოვან საქმედ მიმაჩნდა, ამიტომ მივუთითე გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობაზე. მიუხედავად სერატის განცხადებისა, მან ჩინებულად იცის (ვინაიდან ზუსტად მიუთითებს ჩემს სტატიაზე «პრავდაში»), რომ მე ვლაპარაკობ და შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ ჩემი სახელით და არავითარ შემთხვევაში არა — აღმასკომის სახელით.

თავისი შენიშვნებით სერატი «წინის» მკითხველებს ყურადღებიდან განზე ტოვებს მთავარ, ძირითად, არსებით საკითხს, იმ საკითხს, დასაშვებია თუ არა რევოლუციური პროლეტარიატის იტალიურ პარტიაში ახლა რეფორმისტები დავტოვოთ. სერატი ფარავს მის მიერ დაკავებული პოზიციის უსწორობას და ცდილობს ყურადღება საკითხის არსებითი მხარიდან მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო მხარეზე გადაიტანოს.

ამის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. საჭიროა არსებითი მხარე გამოვარკვიოთ.

სერატი ამ შენიშვნაშიც და სხვა სტატიებშიც ამბობს, რომ მოსკოვის კონგრესი (კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი) საკმარისად არ იცნობს იტალიის საქმეებსო. თითქოს არსებითად უთანხმოება ეხება არა ორი ძირითადი მიმართულების ბრძოლას, არა ძირითადი საკითხის გადაწყვეტას რეფორმისტებთან «ერთიანობის» დაშვების შესაძლებლობის შესახებ, არამედ იმას, რასაც «მოსკოვი» ზუსტად არ იცნობს!

ამ შეხედულების — და მთავარიდან ყურადღების ჩამოშორების ამ ცდის — აღმაშფოთებელ მცდარობას ყველაზე უკეთ ამჟღავნებს ოფიციალური ანგარიში იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მომხდარი კამათის შესახებ. ეს კამათი გაიმართა

«წინის» დასახელებული ნომრის გამოსვლამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, სახელდობრ: 28, 29 და 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მილანში.

ეს კამათი დამთავრდა ორი რეზოლუციის კენჭისყრით; ერთ რეზოლუციას შეიძლება ეწოდოს კომუნისტური, მეორეს — «ცენტრისტული», ან ორჭოფული, ან ისეთი, რომელიც ფარულად იცავს რეფორმისტებთან კავშირს («ერთიანობას»!). გაიმარჯვა პირველმა რეზოლუციამ, რომელმაც მიიღო 7 ხმა (ტერაჩინი, ჯენარი, როჯენტი, ტუნტარი, კაზუჩი, მარციალე და ბელონე); მეორე უარყოფილ იქნა (მიიღო 5 ხმა: ბარატონო, ზანარინი, ბაჩი, ჯაკომინი, სერატი).

პირველი რეზოლუცია განირჩევა განსაკუთრებული სიცხადითა და სიზუსტით. იგი იწყება იმაზე მითითებით, რომ იტალიის რევოლუციური ბრძოლის «ახლანდელი პირობები» მოითხოვს პარტიის «მეტ ერთგვარობას». შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ პარტიაში დატოვეს ყველა, იმ პირობით, რომ უნდა დამორჩილებოდნენ დისციპლინას, და რომ ეს პირობა დაცული არაა; რომ შეცდომაა დისციპლინისადმი დამორჩილებას ველოდეთ იმათგან, ვისი შეხედულებებიც ეწინააღმდეგება III ინტერნაციონალის პრინციპებსა და ტაქტიკას; რომ ამიტომ, ვღებულობთ რა მოსკოვის პირობების 21 მუხლს, უნდა «რადიკალურად გავწმინდოთ» პარტია და გ ა ნ ვ დ ე ვ ნ ო თ იქიდან რეფორმისტული და ოპორტუნისტული ელემენტებიო.

აქ არავინაა დასახელებული, არაფერია ნაწილობრივი. აქ არის ნათელი პოლიტიკური ხაზი. აქ ზუსტად არის ნაჩვენები გადაწყვეტილების მოტივები: იტალიის პარტიის ისტორიის კონკრეტული ფაქტები, მისი რევოლუციური მდგომარეობის კონკრეტული თავისებურებანი.

მეორე რეზოლუცია — ორჭოფობისა და ცუდი დიპლომატიის ნიმუშია: 21 მუხლს ვღებულობთ, მაგრამ ვაღიარებთ, რომ «ეს პირობები შეიცავს საეჭვო განმარტებათა შესაძლებლობას», რომ «აუცილებელია III კომუნისტური ინტერნაციონალის თვითეული სექციის პოლიტიკური კრიტერიუმი

შევუფარდოთ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ პირობებს და კონკრეტულ ფაქტიურ თავისებურებებს და ყოველივე ეს იმავე ინტერნაციონალს დავადასტურებინოთ»; რეზოლუცია ხაზს უსვამს «იტალიის სოციალისტური პარტიის ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობას 21 მუხლის საფუძველზე»; დისციპლინის დარღვევის ცალკეული შემთხვევები სასტიკად უნდა დასაჯოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაო.

კომუნისტური რეზოლუცია ამბობს: რევოლუციური მდგომარეობა მოითხოვს პარტიის მეტ ერთგვარობას. ეს უდავოა. რეფორმისტებთან «ერთიანობის» დამცველთა რეზოლუცია ცდილობს გ ვ ე რ დ ი ა უ ა რ ო ს ამ უდავო ჭეშმარიტებას, ვერ ბედავს მის სადავოდ გამოცხადებას.

კომუნისტური რეზოლუცია ამბობს: იტალიის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის გადაწყვეტილებებისადმი რეფორმისტების დამორჩილების პირობა შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა. მთავარი ესაა. რაკი ასეა, პარტიაში რეფორმისტების დატოვება საერთო რევოლუციური მდგომარეობის გ ა მ წ ვ ა ვ ე ბ ი ს დ რ ო ს, შესაძლოა, გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლების წინდღითაც კი, არათუ შეცდომა, ა რ ა მ ე დ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ც ა ა.

მართალია ფაქტი თუ არა? ასრულებდნენ რეფორმისტები პარტიის გადაწყვეტილებებს, ემორჩილებოდნენ მას საქმით, ატარებდნენ მის პოლიტიკას თუ არა? რეფორმისტების დამცველთა რეზოლუციას არ შეუძლია დადებითი პასუხი მოგვცეს, არ შეუძლია შეედავოს კომუნისტების უარყოფით პასუხს და ამიტომ გაურბის პასუხს, გაძრომ-გამოძრომას ცდილობს, ტრიალებს, საზოგადოდ მიუთითებს სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა კონკრეტულ თავისებურებაზე, მიუთითებს ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ სწორედ იტალიის, სწორედ ახლანდელი მომენტის უმნიშვნელოვანეს «კონკრეტულ თავისებურებას» გვერდი აუაროს და ყალბად წარმოადგინოს. ვინაიდან იტალიის ეს კონკრეტული თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რეფორმისტებმა უკვე საქმით ცხადყვეს თავიანთი უუნარობა ნამდვილად შეასრულონ პარტიის გადა-

წყვეტილებანი, ნამდვილად ზაატარონ მისი პოლიტიკა. რეფორმისტებთან ერთიანობის დამცველთა რეზოლუცია ამ ძირითად საკითხში ორჭოფობის გამოჩენით სავსებით იმათრახებს თავისთავს.

სერატიმ, ბარატონომ, ზანარინიმ, ბაჩიმ და ჯაკომინიმ ამით უკვე სრულიად თვალნათლივ და უდავოდ დაამტკიცეს, რომ ისინი ძირშივე არ არიან მართალნი, რომ მათი პოლიტიკური ხაზი ძირფესვიანად მცდარია.

და იტალიის პარტიის ც. კ-ში გამართულმა კამათმაც კიდევ უფრო გამოამჟღავნა სერატის ხაზის ეს სრული მცდარობა. სწორედ კომუნისტები მიუთითებდნენ, რომ რეფორმისტებს, რამდენადაც ისინი იმადვე რჩებიან, რანიც არიან, არ შეუძლიათ საბოტაჟი არ გაუწიონ რევოლუციას, ისე როგორც ისინი უკვე საბოტაჟს უწევდნენ მას იტალიელ მუშათა ამასწინანდელი რევოლუციური მოძრაობის დროს, როცა ეს მუშები ხელში იგდებდნენ ფაბრიკებს.

მთელი საკითხის დედაარსი ხომ სწორედ ამაშია! როგორ შეიძლება რევოლუციისათვის მზადება და გადამწყვეტი ბრძოლების შეგებება, როცა პარტიაში არიან ადამიანები, რომელნიც რევოლუციას საბოტაჟს უწევენ? ეს მარტო შეცდომა როდია, ეს — დანაშაულია.

და თუ სერატის, როგორც ის პირდაპირ აცხადებს თავის წერილში 14 ოქტომბრის «L'Humanité»-ში [75], მარტო ტურატის გარიცხვის იმედი ჰქონდა *, აქაც სერატის შეცდომა უკვე ფაქტებით არის გამოაშკარავებული. ვინაიდან იტალიელმა რეფორმისტებმა არათუ მოიწვიეს თავიანთი განსაკუთრებული ფრაქციული ყრილობა (რეჯიო-ემილიაში 1920 წ.

* აი ამ წერილის მთავარი ადგილი: «ჩვენ ყველანი ვემხრობით მოსკოვის პირობებს. საკითხი ეხება მათ გამოყენებას. მე ვამტკიცებ, რომ საჭიროა პარტია გაიწმინდოს მავნე ელემენტებისაგან — და მე კიდეც მოვითხოვე ტურატის გარიცხვა, — მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკარგოთ სინდიკატებისა (რუსულად — პროფკავშირების) და კოოპერატივების მასები. სხვებს სურთ მოახდინონ რადიკალური გათიშვა. აი რაშია უთანხმოება». («L Humanité», 14 ოქტომბერი. ხაზგასმა სერატისაა.)

11 ოქტომბერს), არათუ გაიმეორეს იქ ყოველივე არსებითი თავიანთი რეფორმისტული შეხედულებებიდან, არათუ უაღრესად საზეიმო ოვაცია გაუმართეს ამ ყრილობაზე ფილიპე ტურატის, არამედ განაცხადეს კიდევაც ტრევესის პირით: «ან დავრჩებით პარტიაში, ან გავალთ იქიდან ყველანიო». აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბურჟუაზიული პრესა და თვით რეფორმისტები ყოველნაირად ცდილობდნენ გაეზვიადებინათ და გაებერათ თავიანთი ფრაქციული ყრილობის მნიშვნელობა. მაგრამ 13 ოქტომბრის «Avanti!»-ში (მილანის გამოცემა) პირდაპირ ვკითხულობთ, რომ რეფორმისტებმა თავი მოუყარეს მხოლოდ პარტიის 200 სექციის წარმომადგენლებს, საერთოდ კი ასეთი სექცია პარტიას ათასობით ჰყავს!

მაგრამ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ სერატის მთავარ მოსაზრებაზე საკითხის არსის შესახებ. სერატის ეშინია გათიშვის, რომელიც ასუსტებს პარტიას და განსაკუთრებით პროფკავშირებს, კოოპერატივებს, მუნიციპალიტეტებს. არ დავარღვიოთ ეს დაწესებულებანი, რომლებიც აუცილებელია სოციალიზმის მშენებლობისათვისო, — აი სერატის ძირითადი აზრი. «სად ვნახავთ ჩვენ, — ამბობს ის («Avanti!», 1920 წ. 2 ოქტომბერი, მილანის გამოცემა), — იმდენ «კომუნისტს», თუნდაც გუშინდელ უაღრესად მგზნებარე იმდენ კომუნისტს, რომ დაიკავონ ყველა ის საპასუხისმგებლო პოსტი, რომლებიდანაც განვდევნით ადამიანებს ტერაჩინის წინადადებით?». და იგივე აზრია გამოთქმული სერატის სტატიაში III ინტერნაციონალის II კონგრესის შესახებ; ეს სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალ «კომმუნიზმში» (№ 24, გვ. 1627), რომელიც ამხანაგ სერატისავე რედაქტორობით გამოდის: «წარმოიდგინეთ მილანის კომუნა (ე. ი. მილანის ქალაქის მეურნეობა), რომელსაც განაგებენ არაკომპეტენტური პირები, გამოუცდელი ადამიანები, რომელთაც გუშინდლიდან თავი მოაქვთ მგზნებარე კომუნისტებად!».

სერატის აშინებს პროფკავშირების, კოოპერატივების, მუნიციპალიტეტების დაშლა, აშინებს გამოუცდელ ადამიანთა უცოდინარობა და შეცდომები.

კომუნისტებს კი აშინებს რევოლუციის საბოტაჟი რეფორმისტების მიერ.

ეს დაპირისპირება გვიჩვენებს სერატის პრინციპულ შეცდომას. იგი სულ ერთ და იმავე აზრს იმეორებს — აუცილებელია მოქნილი ტაქტიკაო. ეს უდავო აზრია. მაგრამ მთელი საქმე სწორედ ისაა, რომ სერატი მარჯვნივ მიდის, ხოლო იტალიის დღევანდელ პირობებში საჭიროა მარცხნივ წასვლა. იმისათვის, რომ წარმატებით მოახდინოს და დაიცვას რევოლუცია, იტალიის პარტიამ კიდევ უნდა გადადგას განსაზღვრული ნაბიჯი მარცხნივ (ამით სულაც არ უნდა შეიკრას ხელი და არ უნდა დაივიწყოს, რომ ადვილი შესაძლებელია შემდგომში გარემოებამ მოითხოვოს განსაზღვრული ნაბიჯის გადადგმა მარჯვნივ).

როცა თქვენს რიგებში რეფორმისტები, მენშევიკები გყავთ, შეუძლებელია გაიმარჯვოთ პროლეტარულ რევოლუციაში, შეუძლებელია დაიცვათ ის. ეს აშკარაა პრინციპულად. ეს დამტკიცებულია თვალნათლივ როგორც რუსეთის, ისე უნგრეთის გამოცდილებით. ეს გადამწყვეტი მოსაზრებაა. ამ საფრთხესთან «დაკარგვის» თუ წარუმატებლობის, შეცდომების, პროფკავშირების, კოოპერატივების, მუნიციპალიტეტებისა და სხვ. კრახის საფრთხის შედარება— პირდაპირ სასაცილოა, და არათუ სასაცილოა, პირდაპირ დანაშაულია. მთელი რევოლუციის ბედის გამეტება იმ მოსაზრებით, ვაი თუ დავმარცხდეთ მილანის ქალაქის მეურნეობის საქმეშიო და სხვ., — ნიშნავს სულ მთლად დაბნევას, რევოლუციის ძირითადი ამოცანის სრულ გაუგებლობას, მისი გამარჯვების მომზადების სრულიად არცოდნას.

ჩვენ რუსეთში ათასობით შეცდომა ჩავიდინეთ, ათასობით კრახი, დანაკარგი და სხვ. განვიცადეთ გამოუცდელი ახალი და არაკომპეტენტური ადამიანების უცოდინარობით კოოპერატივებში, კომუნებში, პროფკავშირებში და სხვ.. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ სხვა, უფრო ცივილიზებული ხალხები ასეთ შეცდომებს ნაკლებს ჩაიდენენ. მაგრამ, მიუხედავად ამ შეცდომებისა, ჩვენ უმთავრესს მაინც მივაღწიეთ:

პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობას. და ეს ძალაუფლება სამი წელიწადია შევინარჩუნეთ.

ამბ. სერატის მიერ მითითებული შეცდომები წვრილმანებია, მათი გამოსწორება მილიონჯერ უფრო ადვილია, ვიდრე ის «შეცდომა», რომელიც ითმენს მენშევიკების მხრივ რევოლუციის საბოტაჟს და თვით რევოლუციის ჩაშლას. ეს თავისთავად ცხადია. ეს თვალნათლივ ცხადყო უნგრეთმა. ეს დაადასტურა ჩვენმა გამოცდილებამაც, ვინაიდან პროლეტარული ხელისუფლების სამი წლის განმავლობაში რუსეთში მ რ ა ვ ა ლ ჯ ე რ იყო მძიმე მდგომარეობა, როცა საბჭოთა რეჟიმი უ ს ა თ უ ო დ დაეცემოდა, რომ მენშევიკები, რეფორმისტები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები დარჩენილიყვნენ ჩვენს პარტიაში ან თუნდაც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობით ყოფილიყვნენ ისეთ ცენტრალურ საბჭოთა დაწესებულებებში, როგორიც ცაკია.

სერატის ვერ გაუგია იმ გარდამავალი მომენტის თავისებურება, რომელიც არის დღეს იტალიაში, სადაც, საყოველთაო აღიარებით, ახლოვდება პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლები ბურჟუაზიასთან სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად. ასეთ მომენტში არათუ უდავოდ აუცილებელია მენშევიკების, რეფორმისტების, ტურატელების განდევნა პარტიიდან, არამედ შესაძლებელია სასარგებლოც კი იქნეს თვით იმ ჩინებული კომუნისტების გადაყენება, რომელთაც უნარი შესწევთ მერყეობდნენ და იხრებოდნენ რეფორმისტებთან «ერთიანობისაკენ», მათი გადაყენება ყოველგვარი საპასუხისმგებლო პოსტებიდან.

მოვიყვან თვალსაჩინო მაგალითს. რუსეთში თვით ოქტომბრის რევოლუციის წინ და მალე მის შემდეგ მთელმა რიგმა ჩინებულმა კომუნისტებმა რუსეთში ჩაიდინეს შეცდომა, რომლის მოგონებაც ახლა ჩვენში არ სიამოვნებთ. რატომ არ სიამოვნებთ? იმიტომ, რომ თუ განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს, სწორი არ იქნება მოვიგონოთ ისეთი შეცდომები, რომლებიც სავსებით გამოსწორებულია. იტალიელი მუშებისათვის კი სასარგებლო იქნება, რომ ეს შეცდომა ვავა-

ხსენოთ. ისეთმა თვალსაჩინო ბოლშევიკებმა და კომუნისტებმა, როგორიც არიან ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, ნოგინი, მილიუტინი, ჩემ მიერ აღნიშნულ პერიოდში მერყეობა და შიში გამოიჩინეს: ბოლშევიკები მეტისმეტად იმარტოვებენ თავს, მეტისმეტი რისკით მიდიან აჯანყებაზე, მეტად შეურიგებელნი არიან მენშევიკებისა და «სოციალისტ-რევოლუციონერების» ერთი ნაწილის მიმართო. კონფლიქტი იქამდე მივიდა, რომ ზემოხსენებულმა ამხანაგებმა დემონსტრაციულად დატოვეს როგორც პარტიული, ისე საბჭოთა მუშაობის ყველა საპასუხისმგებლო პოსტი, საბჭოთა რევოლუციის მტრების დიდად სასიხარულოდ. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრესაში ჩვენი პარტიის ც. კ-მა მეტად ცხარე პოლემიკა გააჩაღა გადამდგართა წინააღმდეგ. ხოლო რამდენიმე კვირის, სულ დიდი — რამდენიმე თვის შემდეგ ყველა ამ ამხანაგმა დაინახა თავისი შეცდომა და დაუბრუნდა უაღრესად საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა პოსტებს.

ადვილი მისახვედრია, რატომ მოხდა ეს ასე. რევოლუციის წინდღით და მისი გამარჯვებისათვის ყველაზე გააფთრებული ბრძოლის მომენტებში პარტიაში სულ მცირეოდენ რყევასაც კი შეუძლია დ ა ღ უ პ ო ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, ჩაშალოს რევოლუცია, ხელიდან გამოგლიჯოს პროლეტარიატს ძალაუფლება, ვინაიდან ეს ძალაუფლება ჯერ კიდევ მტკიცე არაა, ვინაიდან მის წინააღმდეგ შეტევა ჯერ კიდევ მეტად ძლიერია. თუ მერყევი ბელადები ა ს ე თ დროს განზე დგებიან შორს, ეს კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს პარტიასაც, მუშათა მოძრაობასაც და რევოლუციასაც.

იტალიაში ახლა სწორედ ა ს ე თ ი დროა. რევოლუციური კრიზისი რომ საერთო-ნაციონალური მასშტაბით მწიფდება, ამას ყველა ხედავს და აღიარებს. პროლეტარიატმა საქმით დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს სტიქიურად აღდგეს, შეუძლია აამხედროს მასები მძლავრი რევოლუციური მოძრაობისათვის. უღარიბესმა გლეხობამ ანუ ნახევრადპროლეტარებმა (ტყუილად დაიჩემა ამხ. სერატიმ ცუდი ჩვეულება— კითხვის ნიშნის დასმა ამ სიტყვის ხმარებისას: ეს სწორი

შარქსისტული სიტყვაა, ის გამოხატავს სწორ აზრს, რომელსაც ადასტურებენ ფაქტები რუსეთშიც და იტალიაშიც, სახელდობრ იმას, რომ უღარიბესი გლეხობა სანახევროდ მესაკუთრეა, სანახევროდ კი — პროლეტარი), — უღარიბესმა გლეხობამ იტალიაში საქმით დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს აღდგეს რევოლუციური ბრძოლისათვის და გაყვეს პროლეტარიატს. ახლა ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებლად საჭირო იტალიაში რევოლუციის გასამარჯვებლად ის არის, რომ იქ რევოლუციური პროლეტარიატის ნამდვილი ავანგარდი გახდეს სავსებით კომუნისტური პარტია, რომელიც ა რ მერყეობს და სისუსტეს ა რ იჩენს გადამწყვეტ მომენტში; — პარტია, რომელიც თავისთავში შეაერთებდა მაქსიმალურ ფანატიზმს, რევოლუციის ერთგულებას, ენერგიას, თავგანწირულ სითამამესა და გამბედაობას. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ მეტად ძნელ, მძიმე, დიდი მსხვერპლის მომთხოვნ ბრძოლაში, უნდა დავიცვათ მოპოვებული ძალაუფლება ისეთ ვითარებაში, რომელიც აღსავსეა მ თ ე ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ს ბურჟუაზიის წარმოუდგენლად გამწვავებული თავდასხმებით, ინტრიგებით, ჭორებით, ცილისწამებით, შთაგონებით, ძალმომრეობით, — ისეთ ვითარებაში, როდესაც ადგილი აქვს ყოველი წვრილბურჟუაზიული დემოკრატის, ყოველი ტურატელის, ყოველი «ცენტრისტის», ყოველი სოციალ-დემოკრატის, სოციალისტის, ანარქისტის უაღრესად საშიშ მერყეობას. ასეთ მომენტში, ასეთ ვითარებაში პარტია ასგზის უფრო მტკიცე, გამბედავი, შეუპოვარი, თავდადებული და ულმობელი უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივ ან უფრო ნაკლებ საშიშ დროს. ასეთ მომენტში და ასეთ ვითარებაში პარტია კი არ დასუსტდება, პირიქით, ასჯერ გ ა ძ ლ ი ე რ დ ე ბ ა, თუ მას სავსებით ჩამოშორდებიან ისეთი მენშევიკები, როგორიც არიან ისინი, რომლებმაც თავი მოიყარეს რეჯიო-ემილიაში 1920 წ. 11 ოქტომბერს, თუ პარტიის ხელმძღვანელობას ჩამოშორდებიან ისეთი ჩინებული კომუნისტებიც კი, როგორიც, ალბათ, არიან პარტიის ახლანდელი ც. კ-ის წევრები — ბარატონო, ზანარინი, ბაჩი, ჯაკომინი, სერატი.

ამ უკანასკნელი კატეგორიის ადამიანთა უმრავლესობა, კიდეც რომ გადადგეს დღეს, შეიგნებს რა თავის შეცდომას, უეჭველია, ისევ მალე დაბრუნდება პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, მისი გამარჯვების განმტკიცების შემდეგ. ალბათ, იტალიელი მენშევიკების, ტურატელების, ნაწილიც აგრეთვე დაბრუნდება და მიღებულ იქნება პარტიაში უდიდეს სიძნელეთა პერიოდის შემდეგ, ისე როგორც ჩვენთან გადმოვიდა ახლა (ჩვენ სამი ძნელი წელი გამოვიარეთ რევოლუციის შემდეგ) ნაწილი მენშევიკებისა და ესერებისა, რომელნაც 1917 — 1918 წლებში ბარიკადის მეორე მხარეზე იდგნენ.

იტალიის რევოლუციურ პროლეტარიატს ახლა მოელის მთელი წყება არა მარტო განსაკუთრებით ძნელი, როგორც მე ვთქვი, არამედ ყველაზე ძნელი ბრძოლები. ყველაზე დიდი სიძნელე ჯერ კიდევ წინ არის. მე ფუქსავატობად და დანაშაულად ჩავთვლიდი ამ სიძნელეებისთვის გვერდის ავლას. მაკვირვებს, როგორ მოათავსა ამხ. სერატიმ უპასუხოდ თავის ჟურნალ «კომმუნიზმში» (№ 24, 15 — 30. IX. 1920) ისეთი ფუქსავატური სტატია, როგორიცაა ჟ. კ-ის სტატია: «გვექნება თუ არა ბლოკადა?». პირადად მე ვფიქრობ, ამ ავტორის საწინააღმდეგოდ, რომ თუ იტალიაში პროლეტარიატმა გაიმარჯვა, მისი ბლოკადა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის მხრივ შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც. ჩემი აზრით, გაცილებით უფრო სწორად დააყენა ბლოკადის საკითხი ამხ. გრაციადეიმ თავის სიტყვაში იტალიის პარტიის ც. კ-ის სხდომაზე (იხ. «Avanti!», 1. X. 1920, მილანის გამოცემა). მან შესაძლებელი ბლოკადის საკითხი აღიარა «ძალიან მნიშვნელოვან» საკითხად («problema gravissimo»). მან აღნიშნა, რომ რუსეთმა, მიუხედავად ბლოკადისა, ნაწილობრივ თავი გაიტანა მოსახლეობის სიმეჩხრისა და უზარმაზარი სივრცის მეოხებით; — რომ იტალიის რევოლუცია «დიდხანს ვერ გაუწევს წინააღმდეგობას (resistere), თუ არ მოხდა მისი კოორდინაცია ცენტრალური ევროპის რომელიმე სხვა ქვეყნის რევოლუციასთან», რომ «ასეთი კოორდინაცია ძნელია, მაგრამ

შეუძლებელი არ არის», ვინაიდან მთელი კონტინენტური ევროპა რევოლუციურ პერიოდს განიცდისო.

ეს ძალიან ფრთხილად არის ნათქვამი, მაგრამ ეს სწორია. მე მხოლოდ დავუმატებ, რომ ე რ თ გ ვ ა რ ი კოორდინაცია — თუმცა ჯერ კიდევ არასაკმაო, თუმცა არასრული — იტალიას უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი ა ქ ვ ს და რომ ს რ უ ლ ი კოორდინაციისათვის საჭირო იქნება ბ რ ძ ო ლ ა. რეფორმისტები მიუთითებენ ბლოკადის შესაძლებლობაზე, რათა საბოტაჟი გაუწიონ რევოლუციას, რათა დააფრთხონ ხალხი რევოლუციით, რათა გადასდონ მასებს თ ა ვ ი ა ნ თ ი პანიკის, შიშის, გაუბედაობის, ორჭოფობისა და რყევის სულისკვეთება. რევოლუციონერებმა და კომუნისტებმა არ უნდა უარყონ ბრძოლის საშიშროებანი და სიძნელენი, რათა მ ე ტ ი სიმტკიცე ჩააგონონ მასებს; — რათა გ ა წ მ ი ნ დ ო ნ პარტია სუსტთა და მერყევთაგან; — რათა გამსჭვალონ მთელი მოძრაობა მეტი ენთუზიაზმით, მეტი ინტერნაციონალიზმით, მსხვერპლის გასაღებად მეტი მზადყოფნით დიადი მიზნის გულისათვის: რევოლუციის დასაჩქარებლად ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, თ უ ეს ქვეყნები გადაწყვეტენ ბლოკადა გამოუცხადონ იტალიის პროლეტარულ და საბჭოთა რესპუბლიკას.

რეფორმისტული თუ «ცენტრისტული» გამოცდილი ბელადების ახალი ადამიანებით შეცვლის საკითხი არ არის კერძო საკითხი, რომელიც მარტო ერთ ქვეყანას ეხება ამა თუ იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ეს ყოველი პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხია და, სახელდობრ როგორც ასეთი, ის სავსებით ზუსტადაა დასმული და გადაჭრილი კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის რეზოლუციაში: «კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ». მე-8 პარაგრაფში ვკითხულობთ: «პროლეტარიატის დიქტატურის მომზადება მოითხოვს არა მარტო იმას, რომ განმარტებულ იქნას ბურჟუაზიული ხასიათი ყოველგვარი რეფორმიზმისა, ...არამედ მოითხოვს იმასაც, რომ ძველი ბელადები კომუნისტებით იქნან შეცვლილი უკლებლივ ყველა სახის პროლეტარულ, არა მარტო პოლიტიკურ,

არამედ აგრეთვე პროფესიულ, კოოპერაციულ, საგანმანათლებლო და სხვ. ორგანიზაციებში. ...აუცილებლად საჭიროა ასჯერ უფრო თამამად, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა, განვდევნოთ მუშათა არისტოკრატიის თუ გაბურჟუებული მუშების ეს წარმომადგენლები ყველა მათი პოსტიდან და მათ ადგილას დავაყენოთ თუნდაც სრულიად გამოუცდელი მუშები, ოღონდ კი ისინი დაკავშირებული იყვნენ ექსპლოატირებულ მასასთან და სარგებლობდნენ მისი ნდობით ექსპლოატატორებთან ბრძოლაში. პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვს, რომ სწორედ ასეთი გამოუცდელი მუშები დაინიშნონ ყველაზე საპასუხისმგებლო სახელმწიფო პოსტებზე, — წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა მთავრობის ხელისუფლება უძლური იქნება და მას მხარს არ დაუჭერს მასა» [76].

ამიტომ სერატი ამაოდ ლაპარაკობს, იტალიის პარტიაში «ყველა» თანახმაა მიიღოს კომუნისტური კონგრესის გადაწყვეტილებანი. ნამდვილად ჩვენ საწინააღმდეგოს ვხედავთ.

«L'Humanité»-ში მოთავსებულ თავის წერილში, რომელიც მე ზემოთ მოვიხსენიე, სერატი, სხვათა შორის, წერს:

...«რაც შეეხება უკანასკნელ ამბებს, უნდა იცოდეთ, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციის (იტალიის პკცს, პროფკავშირების ცენტრალური მმართველობა) ხელმძღვანელები მოითხოვდნენ მოძრაობის ხელმძღვანელობა გადაცემოდა იმათ, ვისაც უნდოდა მისი გაფართოება რევოლუციამდე. ჩვენმა ამხანაგებმა შრომის საყოველთაო კონფედერაციიდან განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან დისციპლინირებულ ჯარისკაცებად დარჩნენ, თუ კი ექსტრემისტები იკისრებენ აჯანყების ხელმძღვანელობას. მაგრამ ექსტრემისტებმა მოძრაობის ხელმძღვანელობა არ იკისრეს»...

სერატის მხრივ უდიდესი გულუბრყვილობა იქნებოდა, თუ შრომის საყოველთაო კონფედერაციის რეფორმისტთა ამგვარ განცხადებას ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. ნამდვილად კი ეს რევოლუციის საბოტაჟის ერთ-ერთი ნაირსახეობაა: გადამწყვეტ მომენტში გადადგომით მუქარა. აქ საქმე ლოიალობაში როდია, საქმე ისაა, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა რევოლუციაში

გამარჯვება, თუ ხელმძღვანელები მოვლენათა ყოველი ძნელი შემობრუნების დროს რყევას, ორჭოფობას, გადადგომას ხვდებიან «თავისიანებშივე», სათავეში მდგომთა შორის, «ბელადთა» შორის. შეიძლება, ამხ. სერატისთვის უსარგებლო არ იქნეს იმის გაგება, რომ 1917 წლის სექტემბრის დამლევს, როცა რუსეთის მენშევიკთა და ესერთა კოალიცია ბურჟუაზიასთან პოლიტიკურად აშკარად ჩავარდა, არა სხვა ვინმე, არ ამედ ჩვენებური ესერები, ჩერნოვის პარტია, თავიანთ გაზეთში წერდნენ: «ბოლშევიკები ვალდებული იქნებიან შეადგინონ კაბინეტი... დაე ისინი ტყუილ-უბრალოდ ნუ ეცდებიან თავი შეაფარონ ნაჩქარევად შექმნილ თეორიებს მათ მიერ ხელისუფლების აღების შეუძლებლობის შესახებ. ამ თეორიებს დემოკრატია არ მიიღებს. ამავე დროს კოალიციის მომხრეებმა უნდა უზრუნველყონ მათთვის სრული მხარისდაჭერა» (ესერული გაზეთი, მათი პარტიის გაზეთი, ჩერნოვის გაზეთი — «დელო ნაროდა», 1917 წ. 21 სექტემბერი, ციტირებულია ჩემს ბროშურაში: «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?». პეტროგრადი, 1917, გვ. 4).

ამგვარი განცხადების ლოიალობის დაჯერება რევოლუციური მუშების მხრივ ისეთივე საბედისწერო შეცდომა იქნებოდა, როგორც ნდობა უნგრელ ტურატელთა მიმართ, რომლებმაც ბელა კუნს დახმარება აღუთქვეს, კომუნისტურ პარტიაშიც შევიდნენ და, მიუხედავად ამისა, მაინც აღმოჩნდნენ რევოლუციის საბოტანტები, რომლებმაც თავიანთი მერყეობით დაღუპეს რევოლუცია.

* * *

შევაჯამებ.

1) იტალიის რევოლუციური პროლეტარიატის პარტიამ უნდა გამოიჩინოს უდიდესი გამძლეობა, წინდახედულობა, თავდაჭერილობა, რათა სწორად შეაფასოს საერთოდ პირობები, და განსაკუთრებით ხელსაყრელი მომენტი, იტალიის მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისათვის მოახლოებული გადამწყვეტი ბრძოლების დროს.

2) ამასთანავე ამ პარტიის მთელი პროპაგანდა და აგიტაცია გამსჭვალული უნდა იყოს უაღრესად მტკიცე გადაწყვეტილების სულისკვეთებით — აწარმოოს ეს ბრძოლა რადაც უნდა დაჯდეს სრულ გამარჯვებამდე, შეკავშირებულად, ცენტრალიზებულად, უსაზღვრო გმირობით, ულმობლად აღკვეთოს მერყეობა, გაუბედაობა, ყოყმანი, რითაც მთლად გაჟღენთილი არიან ტურატელები.

3) ისეთი პროპაგანდა, რომელსაც ახლა აწარმოებს «წინის» («Avanti!») მილანის გამოცემა სერატის რედაქტორობით, პროლეტარიატს საბრძოლველად კი არ ზრდის, არამედ მის რიგებს ხრწნის. ასეთ მომენტში პარტიის ც. კ-მა უნდა უხელმძღვანელოს მუშებს, ამზადოს ისინი რევოლუციისათვის, ებრძოლოს მცდარ შეხედულებებს. ეს შეიძლება (და უნდა) გაკეთდეს, და ამავე დროს ყველა მიმდინარეობას საშუალება უნდა მიეცეს გამოთქვას თავისი აზრი. სერატი ხელმძღვანელობს, მაგრამ ხელმძღვანელობს მცდარი მიმართულებით.

4) რეჯიო-ემილიის 1920 წ. 11 ოქტომბრის ყრილობის ყველა მონაწილის პარტიიდან გარიცხვა კი არ დაასუსტებს, არამედ გააძლიერებს პარტიას, ვინაიდან ასეთ «ბელადებს»,— თუნდაც ისინი ლოიალურად განწყობილი დარჩნენ, — შეუძლიათ მხოლოდ «უნგრეთისებურად» დაღუპონ რევოლუცია. თეთრგვარდიელები და ბურჟუაზია შეძლებენ გამოიყენონ თვით სავსებით «ლოიალურ» სოციალისტთა, სოციალ-დემოკრატთა და სხვ. ქანაობა, რყევა, ეჭვები, ურწმენობა და სხვა.

5) თუ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ბარატონო, ზანარინი, ბაჩი, ჯაკომინი, სერატი, დაიწყებენ რყევას და გადადგომას დააპირებენ, მათ თხოვნა და მუდარა კი არ უნდა დაუწყოთ, რომ დარჩნენ, არამედ მაშინვე უნდა დაეთანხმოთ ამ გადადგომას. გადამწყვეტ ბრძოლათა პერიოდის შემდეგ ისინი დაბრუნდებიან და მაშინ უფრო სასარგებლონი იქნებიან პროლეტარიატისათვის.

6) ამხანაგო იტალიის მუშებო! ნუ დაივიწყებთ ყველა რევოლუციის ისტორიის გაკვეთილს, 1917 — 1920 წლების რუსეთისა და უნგრეთის გაკვეთილებს. იტალიის პროლეტარიატს მოელის უდიდესი ბრძოლები, უდიდესი სიძნელენი, უდიდესი მსხვერპლი. ამ ბრძოლების შედეგზე, მუშათა მასების დარაზმულობასა, დისციპლინასა და თავგანწირულებაზეა დამოკიდებული ბურჟუაზიაზე გამარჯვება, ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლა, საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცება იტალიაში. იტალიისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბურჟუაზია ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს, ყოველგვარ ბოროტმოქმედებასა და სიმხეცეს ჩაიდენს იმისათვის, რომ პროლეტარიატს ძალაუფლება არ მისცეს, რომ მისი ძალაუფლება დაამხოს. რეფორმისტთა და რეჯიო-ემილიის 1920 წ. 11 ოქტომბრის ყრილობის ყველა მონაწილის მერყეობა, ქანაობა და გაუბედაობა გარდუვალია, ვინაიდან ამგვარი ადამიანები, მიუხედავად ბევრი მათგანის მთელი პატიოსნებისაც კი, ყოველ ხანაში და ყოველ ქვეყანაში რევოლუციის საქმეს ღუპავდნენ თავიანთი მერყეობით. ამგვარმა ადამიანებმა დაღუპეს რევოლუცია (პირველი რევოლუცია, მას მოყვება მეორე...) უნგრეთში, ისინი მას დაღუპავდნენ რუსეთშიც, რომ ყველა საპასუხისმგებლო პოსტიდან არ მოგვეხსნა და მათ გარშემო პროლეტარული უნდობლობის, სიფხიზლისა და მეთვალყურეობის კედელი არ აგვემართა.

იტალიის მშრომელი და ექსპლოატირებული მასები რევოლუციურ პროლეტარიატს გაყვებიან. გამარჯვება, ბოლოს და ბოლოს, მას დარჩება, ვინაიდან მისი საქმე — მთელი მსოფლიოს მუშათა საქმეა, ვინაიდან ახლანდელი იმპერიალისტური ომების განგრძობისაგან, ახალი, უკვე მომზადების პროცესში მყოფი იმპერიალისტური ომებისაგან, კაპიტალისტური მონობისა და ჩაგვრის საშინელებათაგან სხვა ხსნა არ არის, თუ არა საბჭოთა, მუშათა რესპუბლიკა.

4. XI. 1920.

ყალბი სიტყვები თავისუფლებაზე (ბოლოსიტყვაობის მაგიერ)

ამხანაგმა ნობსმა, რედაქტორმა შვეიცარიული მემარცხენე-სოციალისტური გაზეთის — «სახალხო უფლებისა» («Volksrecht»), რომელიც ციურიხში გამოდის, ამას წინათ მოათავსა ზინოვიევის წერილი ოპორტუნისტებთან გათიშვის აუცილებლობაზე და თავისი ვრცელი პასუხი ამ წერილზე. ნობსის პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ 21 პირობის მიღებასა და კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლაზე იგი გადაჭრით გამოთქვამს უარყოფით აზრს, — რა თქმა უნდა, «თავისუფლების» გულისთვის, კრიტიკის თავისუფლების, მეტისმეტი მოთხოვნისა თუ მოსკოვის დიქტატორობისაგან თავისუფლების გულისთვის (ნობსის სტატიები არ შემინახავს და იძულებული ვარ ციტატები ზეპირად მოვიყვანო, პასუხს ვაგებ აზრისათვის და არა ამა თუ იმ გამოთქმისათვის).

ამხანაგ ნობსს, სხვათა შორის, მოკავშირედ ჰყავს ამხანაგი სერატი, რომელიც, როგორც ცნობილია, აგრეთვე უკმაყოფილოა «მოსკოვით», ე. ი. უკმაყოფილოა განსაკუთრებით კომინტერნის აღმასკომის რუსი წევრებით, და რომელიც აგრეთვე იმას უჩივის, რომ მოსკოვმა ვითომ დაარღვია კომინტერნის შემადგენელი ნაწილების, ცალკეული პარტიებისა და ცალკეული წევრების «თავისუფლება». ამიტომ უადგილო არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვთქვათ «თავისუფლების» შესახებ.

პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის სამი წლის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ მოსაზრებას ამ დიქტატურის წინააღმდეგ წარმოადგენს მითითება თავისუფლებისა და თანასწორობის დარღვევაზე. ყველა ქვეყნის მთელი ბურჟუაზიული პრესა, თვით წვრილბურჟუაზიული დემოკრატების პრესაც, ე. ი. სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტების, მათ შორის კაუცკის, ჰილფერდინგის, მარტოვის, ჩერნოვის, ლონგეს და სხვათა და სხვათა პრესა, სჭექს და ჰქუხს ბოლშევიკების წინააღმდეგ სწორედ თავისუფლებისა და თანასწორობის დარღვევის გამო. თეორიული

თვალსაზრისით ეს სავსებით გასაგებია. დაე მოიგონოს მკითხველმა მარქსის დიდებული, სარკაზმით აღსავსე სიტყვები «კაპიტალში»:

«მიმოქცევის ანუ საქონლის გაცვლის სფერო, რომლის ფარგლებში ხორციელდება მუშა ძალის ყიდვა და გაყიდვა, ადამიანის თანდაყოლილ უფლებათა ნამდვილი სამოთხეა. აქ მხოლოდ თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება და ბენტამი ბატონობს» («კაპიტალი», ტომი I, განყოფილება მეორე, მეოთხე თავის ბოლო, 1920 წ. რუსული გამოცემა, გვ. 152) [77].

ამ სარკაზმით სავსე სიტყვებში უღრმესი ისტორიულ-ფილოსოფიური შინაარსია მოცემული. ეს სიტყვები უნდა შევუდაროთ ენგელსის მიერ «ანტი-დიურინგში» იმავე საკითხის პოპულარულ განმარტებას, განსაკუთრებით, ენგელსის იმ სიტყვებს, რომ თანასწორობა არის ცრურწმენა ან სისულელე, რამდენადაც ეს ცნება კლასთა მოსპობას არ გულისხმობს [78].

ფეოდალიზმისა და მისი კვალის მოსპობამ, ბურჟუაზიული (შეიძლება სრული უფლებით ითქვას: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული) წყობილების საფუძველთა შემოღებამ დაიკავა მსოფლიო ისტორიის მთელი ეპოქა. და ამ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ლოზუნგები აუცილებლად იყო თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება და ბენტამი. კაპიტალიზმისა და მისი კვალის მოსპობა, კომუნისტური წყობილების საფუძველთა შემოღება შეადგენს მსოფლიო ისტორიის ახლახან დაწყებული ახალი ეპოქის შინაარსს. და ჩვენი ეპოქის ლოზუნგები აუცილებლად არის და უნდა იყოს: კლასების მოსპობა; პროლეტარიატის დიქტატურა ამ მიზნის განსახორციელებლად; ულმობელი მხილება წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ცრურწმენებისა თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, ულმობელი ბრძოლა ამ ცრურწმენების წინააღმდეგ. ვისაც ეს არ ესმის, მას არაფერი ესმის პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი საფუძვლების საკითხებში.

ვიდრე კლასები არ მოსპობილა, ყოველგვარი ლაპარაკი თავისუფლებასა და თანასწორობაზე საერთოდ წარმოადგენს

თავის მოტყუებას ან მუშების, აგრეთვე ყველა მშრომელის და კაპიტალის მიერ ყველა ექსპლოატირებულის მოტყუებას, ყოველ შემთხვევაში, ეს — ბურჟუაზიის ინტერესების დაცვაა. ვიდრე არ მოსპობილა კლასები, თავისუფლებასა და თანასწორობაზე ყოველგვარი მსჯელობის დროს უნდა დაისვას კითხვა: თავისუფლება რომელი კლასისათვის? და სახელდობრ როგორი გამოყენებისათვის? თანასწორობა რომელი კლასისა რომელ კლასთან? და სახელდობრ რა მხრივ? ამ კითხვების გვერდის ავლა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, აუცილებლივ წარმოადგენს ბურჟუაზიის ინტერესების, კაპიტალის ინტერესების, ექსპლოატატორთა ინტერესების დაცვას. თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგი, როცა ამ საკითხებზე, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე სდუმან, წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების სიცრუესა და თვალთმაქცობას, საზოგადოებისა, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის ფორმალური აღიარებით მალავს მუშების, ყველა მშრომელის და კაპიტალის მიერ ექსპლოატირებულის, ე. ი. ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ფაქტიურ, ეკონომიურ უთავისუფლობას და უთანასწორობას.

რუსეთში ახლა, იმის გამო, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ პრაქტიკულად დააყენა კაპიტალიზმის ძირითადი, უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი საკითხები, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ ვ ი ს უ წ ე ვ ს ს ა მ ს ა ხ ურ ს (**cui prodest**? «ვისთვისაა სასარგებლო?») ლაპარაკი საერთოდ თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ. როცა ესერები და მენშევიკები, ჩერნოვები და მარტოვები მსჯელობენ თავისუფლებასა და თანასწორობაზე შ რ ო მ ი თ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ფ ა რ გ ლ ებ შ ი, — ვინაიდან ისინი, თურმე, სულაც არ არიან დამნაშავენი მსჯელობაში თავისუფლებასა და თანასწორობაზე საერთოდ! სულაც არ ივიწყებენ მარქსს! — ჩვენ მათ ვეკითხებით: რა ვუყოთ დაქირავებულ მუშათა კლასსა და წვრილ მეპატრონე მესაკუთრეთა კლასს შორის არსებულ განსხვავებას პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში?

თავისუფლება და თანასწორობა შრომითი დემოკრატიის ფარგლებში — ეს არის თავისუფლება წვრილი მიწათმოქმედი მესაკუთრისათვის (თუნდაც ის მეურნეობას ნაციონალიზებულ მიწაზე აწარმოებდეს), რათა მან გაყიდოს პურის ნაჭარბი სპეკულაციურ ფასში, ესე იგი ექსპლოატაცია გაუწიოს მუშას. ყველა, ვინც ლაპარაკობს თავისუფლებასა და თანასწორობაზე შრომითი დემოკრატიის ფარგლებში, — იმ პირობით, რომ კაპიტალისტები დამხობილი არიან, ხოლო კერძო საკუთრება და ვაჭრობის თავისუფლება ჯერ კიდევ რჩება, — ექსპლოატატორთა დამცველია. და პროლეტარიატი თავისი დიქტატურის განხორციელების დროს ასეთ დამცველს უნდა მოექცეს როგორც ექსპლოატატორს, თუნდაც ეს დამცველი თავისთავს უწოდებდეს სოციალ-დემოკრატს, სოციალისტს ან ისეთ კაცსაც კი, რომელსაც შეუგნია II ინტერნაციონალის სიდამპლე, და სხვა და მისთანანი.

ვიდრე წარმოების საშუალებათა (მაგალითად, სამიწათმოქმედო იარაღებისა და პირუტყვის, — თუნდაც მიწის კერძო საკუთრება გაუქმებულიც იყოს) კერძო საკუთრება და თავისუფალი ვაჭრობა არსებობს, მანამდე კაპიტალიზმის ეკონომიური საფუძველი ძალაში რჩება. და პროლეტარიატის დიქტატურა ერთადერთი საშუალებაა ამ საფუძველთან ძლევამოსილი ბრძოლისათვის, ერთადერთი გზაა კლასთა მოსპობისაკენ (ურომლისოდაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია ადამიანის პიროვნების, და არა მესაკუთრის, ნამდვილ თავისუფლებაზე, ადამიანთან ადამიანის ნამდვილ სოციალურ-პოლიტიკურ თანასწორობაზე — და არა მესაკუთრისა და უქონელის, მაძღარისა და მშიერის, ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულის თვალთმაქცურ თანასწორობაზე). პროლეტარიატის დიქტატურას მივყავართ კლასების მოსპობისაკენ; მას აქეთკენ მივყავართ, ერთი მხრივ, ექსპლოატატორთა დამხობისა და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის გზით; აქეთკენ მივყავართ, მეორე მხრივ, წვრილი მეპატრონის ნეიტრალიზაციის,

ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მისი რყევის გაუვნებლობის გზით.

ამბ. ნობსისა და სერატის სიტყვების სიყალბე, რა თქმა უნდა, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი ყალბი ან არაგულწრფელნი არიან. სრულიადაც არა. ისინი სავსებით გულწრფელნი არიან, და არავითარი სუბიექტური სიყალბე მათ სიტყვებში არ არის. მაგრამ ობიექტურად, თავისი შინაარსით, მათი სიტყვები ყალბი სიტყვებია, ვინაიდან ემსახურებიან წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენების დაცვას, ვინაიდან შეიცავენ ბურჟუაზიის დაცვას.

კომინტერნს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია აღიაროს თავისუფლება და თანასწორობა ყველასთვის, ვისაც კი სურს ხელი მოაწეროს განსაზღვრულ განცხადებებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური ყოფაქცევისა. კომუნისტებისათვის ეს ისეთივე თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნებოდა, როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის აღიარება «შრომითი დემოკრატიის ფარგლებში» და სხვ.. ყველასთვის, ვინც კითხვა იცის და ვისაც წაკითხულის გაგება სურს, არ შეიძლება ცხადი არ იყოს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა გადაწყვეტილება, თეზისი, რეზოლუცია, დადგენილება და პირობა კომინტერნში შესვლის მსურველთა «თავისუფლებასა და თანასწორობას» აღიარებს მხოლოდ პირობითად.

რაში მდგომარეობს ჩვენს მიერ «თავისუფლებისა და თანასწორობის» აღიარების პირობა? კომინტერნის წევრთა თავისუფლებისა და თანასწორობის აღიარების პირობა?

იმაში, რომ წევრთა რიცხვში არ მოხვდნენ ოპორტუნისტები და «ცენტრელები», როგორც, მაგალითად, შვეიცარიისა და იტალიის სოციალისტურ პარტიათა მემარჯვენე ფრთის საყოველთაოდ ცნობილი წარმომადგენლები. ვინაიდან ეს ოპორტუნისტები და «ცენტრელები», რამდენიც უნდა იფიცონ — პროლეტარიატის დიქტატურას ვაღიარებთო, ნამდვილად მაინც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის

ცრურწმენების, სუსტი მხარეების, მერყეობის მქადაგებლებად და დამცველებად რჩებიან.

ჯერ — ამ ცრურწმენებთან, სუსტ მხარეებთან, ამ მერყეობასთან კავშირის გაწყვეტა; კავშირის გაწყვეტა იმ ადამიანებთან, რომელნიც ქადაგებენ, იცავენ და ახორციელებენ ამ შეხედულებებსა და თვისებებს. შემდეგ და მხოლოდ ამ პირობით — კომინტერნში შესვლის «თავისუფლება», ნამდვილი კომუნისტის (და არა სიტყვით კომუნისტის) «თანასწორობა» ყოველ სხვა კომუნისტთან, კომინტერნის წევრთან.

ამხანაგო ნობსო, თქვენ «თავისუფალი» ხართ და შეგიძლიათ დაიცვათ ის შეხედულებანი, რომელთაც იცავთ. მაგრამ ჩვენც აგრეთვე «თავისუფალი» ვართ, რომ ეს შეხედულებანი გამოვაცხადოთ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენებად, რომლებიც საზიანოა პროლეტარიატისათვის და სასარგებლოა კაპიტალისათვის; ჩვენც აგრეთვე «თავისუფალი» ვართ, რომ უარი ვთქვათ ერთ კავშირში ან საზოგადოებაში იმ ადამიანებთან ერთად შესვლაზე, რომლებიც ამ შეხედულებებს თუ მათს შესაბამის პოლიტიკას იცავენ. და ჩვენ უკვე დავგმეთ ეს პოლიტიკა და ეს შეხედულებანი კომუნისტური ინტერნაციონალის მთელი II კონგრესის სახელით. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მოვითხოვთ ოპორტუნისტებთან კავშირის გაწყვეტას უწინარეს ყოვლისა და ყოველგვარი პირობის გარეშე.

ნუ ლაპარაკობთ საზოგადოდ თავისუფლებასა და თანასწორობაზე, ამხანაგო ნობსო და ამხანაგო სერატი! ილაპარაკეთ იმ თავისუფლებაზე, რომ **არ იქნას შესრულებული** კომინტერნის გადაწყვეტილებანი ოპორტუნისტებთან და «ცენტრელებთან» (რომელთაც არ შეუძლიათ ძირი არ გამოუთხარონ, არ შეუძლიათ საბოტაჟი არ გაუწიონ პროლეტარიატის დიქტატურას) კავშირის აუცილებლად სავალდებულო გაწყვეტის შესახებ. ილაპარაკეთ ოპორტუნისტებისა და «ცენტრელების» თანასწორობაზე კომუნისტებთან. ჩვენ არ შეგვიძლია კომუნისტური ინტერნაციონალისათვის ვცნოთ ასეთი თავისუფლება და ასეთი თანასწორობა, ყოველ-

გვარი სხვა თავისუფლება და თანასწორობა კი— რამდენიც გნებავთ.

პროლეტარული რევოლუციის წინდღის მომენტში წარმატების ყველაზე მთავარ და ძირითად პირობას წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიათა განთავისუფლება და თავისუფლება ოპორტუნისტებისა და «ცენტრელებისაგან», მათი გავლენისაგან, მათი ცრურწმენებისა, სუსტი მხარეებისა და მერყეობისაგან.

11. XII. 1920.

სიტყვა მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე ოქტომბრის რევოლუციის მე-3 წლისთავის აღსანიშნავად 1920 წ. 6 ნოემბერს

(ხანგრძლივი ტაში.) ამხანაგებო, დღეს აქ შეკიბრიბეთ ჩვენი პროლეტარიატის ბრძოლის დღეების მოსაგონებლად, ჩვენი რევოლუციური მონაპოვრების აღსანიშნავად. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიდღესასწაულოთ ჩვენი გამარჯვება. მიუხედავად ცხოვრების გაუგონარი სიძნელეებისა, მიუხედავად ჩვენი მტრების გაუგონარი ძალთა დაძაბვისა, ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ. ჩვენ ვიმარჯვებთ სამი წლის განმავლობაში. ეს უზარმაზარი გამარჯვებაა, რომელსაც წინათ არავინ ჩვენგანი არ დაიჯერებდა. სამი წლის წინათ, როდესაც ჩვენ სმოლნში ვისხედით, პეტროგრადის მუშათა აჯანყებამ დაგვანახვა, რომ ის უფრო ერთსულოვანია, ვიდრე ჩვენ ველოდით, მაგრამ იმ ღამეს რომ ეთქვათ ჩვენთვის: სამი წლის შემდეგ იქნება ის, რაც ამჟამად არის, იქნება აი ეს ჩვენი გამარჯვებაო, — არავინ, ყველაზე დიდი ოპტიმისტიც კი, ამას არ დაიჯერებდა. ჩვენ იმ დროს ვიცოდით, რომ ჩვენი გამარჯვება მტკიცე გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ჩვენი საქმე გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენი საქმე დავიწყეთ მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის ვარაუდით. იმპერიალისტურმა ომმა შეცვალა ყველა ფორმა, რომელშიაც ჩვენ აქამდე ვცხოვრობდით, და ჩვენ არ ვიცოდით, რა ფორმებს მიიღებდა ის ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა უფრო დიდხანს, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ახლა, სამი წლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ჩვენ გაცილებით უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე აქამდე ვიყავით, მაგრამ მსოფლიო ბურჟუაზიაც ჯერ

კიდევ ძალიან ძლიერია, და, მიუხედავად იმისა, რომ ის შეუდარებლად ჩვენზე უფრო ძლიერია, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ მთელი ჩვენი ძალა იქითკენ მივმართეთ, რომ დაგვეშალა ეს ბურჟუაზია, და ამ მხრივ ჩვენ წარუმატებლად არ გვიმუშავნია. ეს იმიტომ, რომ ჩვენი გეზი იყო საერთაშორისო რევოლუციის გეზი, და ეს გეზი აუცილებლად სწორი იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ მთელი მსოფლიო დანგრევისაკენ მიდის, ჩვენ ვიცოდით, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ ძველებურად დარჩენა აღარ შეიძლებოდა, იმიტომ რომ იმპერიალისტურმა ომმა ძირფესვიანად დაარღვია ყველა ძველი ეკონომიური და უფლებრივი ურთიერთობა, დაარღვია იმ ცხოვრების ყველა პირობა, რომელზედაც დღევანდლამდე დამყარებული იყო ძველი წესწყობილება. და ასეთ მომენტში, როდესაც იმპერიალისტურმა ომმა ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ჩვენმა პროპაგანდამ, მოამზადა კრახი, თუნდაც ერთ ქვეყანაში ძლევამოსილად რომ გამოსულიყო პროლეტარიატი, — ეს პირობა საკმარისი იქნებოდა საერთაშორისო ბურჟუაზიის ძლიერების შესარყევად.

თუ ახლა ზოგადად გადავავლებთ თვალს საერთაშორისო ურთიერთობას, — ჩვენ კი ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ ვუყურებთ საერთაშორისო თვალსაზრისით,— და შევხედავთ იმ ომების ისტორიას, რომელთაც აწარმოებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, დავინახავთ, რომ ჩვენ მშვიდობიანი ურთიერთობა გვაქვს თითქმის ყველა მოსაზღვრე პატარა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, რომელნიც ჯალათობენ და დევნიან შინ ბოლშევიკებს. ეს სახელმწიფოები მთლიანად ანტანტის მსახურნი და მონები არიან და სურთ გააჩანაგონ და მოსპონ საბჭოთა რუსეთი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევკარით მათთან ზავი ანტანტის სურვილის წინააღმდეგ. სამმა ისეთმა ძლიერმა სახელმწიფომ, როგორც ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკაა, ვერ მოახერხეს ჩვენს წინააღმდეგ შეერთება და დამარცხდნენ იმ ომში, რომელიც მათ დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ შეერთებული ძალებით. რატომ? იმიტომ რომ შერყეულია მათი მეურნეობა, მაგრამ ქვეყნის

ცხოვრება, იმიტომ რომ ისინი სანახევროდ ლეშს წარმოადგენენ, იმიტომ რომ მათ ძველებურად ცხოვრება აღარ შეუძლიათ, იმიტომ რომ ის კლასი, რომლის სურვილითაც ისინი არსებობენ, — ბურჟუაზიის კლასი, — დალპა. მან იმპერიალისტურ ომში ჩააბა და დაღუპა 10 მილიონზე მეტი ადამიანი. რისთვის? ერთ მუჭა კაპიტალისტთა შორის მსოფლიოს დაყოფის გულისათვის. ამან მოსწყვიტა მას წელი, ამან შეურყია მას საკუთარი საფუძვლები, და, მიუხედავად იმისა, როგორ ძლიერიც არ ჩანს ის ამჟამად სამხედრო მხრივ, შინაგანად ის უძლურია. ეს ახლა უკვე ბოლშევიკური პროკლამაცია როდია, ეს — ფაქტია, ცეცხლითა და მახვილით დამტკიცებული. რაც უნდა მდიდარნი და რაც უნდა ძლიერნი იყვნენ, ისინი დაღუპვის გზაზე დამდგარ კლასს წარმოადგენენ, ჩვენ კი წარმოვადგენთ გამარჯვებისაკენ მიმავალ კლასს. და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე ისინი, ჩვენ ვიმარჯვებთ სამი წლის განმავლობაში, და უფლება გვაქვს სრულიად დაუტრაბახებლად ვთქვათ, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ.

როდესაც ასე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე მეორე მხარეც: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ მხოლოდ სანახევროდ. ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ გავუძელით იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ჩვენზე ძლიერნი არიან და რომელნიც ამავე დროს გაუერთიანდნენ ჩვენგან გაქცეულ ექსპლოატატორებს — მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით და არც დავივიწყებთ, რომ ჩვენი საქმე საერთაშორისო საქმეა; და ვიდრე ყველა სახელმწიფოში — მათ შორის ყველაზე მდიდარ და ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც — არ მოხდება გადატრიალება, მანამდე ჩვენი გამარჯვება არის მხოლოდ ნახევარი გამარჯვება ან, შეიძლება, კიდევ უფრო ნაკლები. ჩვენ მხოლოდ ახლა გვაქვს ძლევამოსილი ბრძოლები ვრანგელის წინააღმდეგ; ყოველდღე მოველით ცნობებს, რომლებიც დაადასტურებენ ჩვენს მოლოდინს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ყირიმი ვერ ავიღეთ უახლოეს დღეებში, ეს

შემდგომ დღეებში მოხერხდება, მაგრამ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ეს მსოფლიო ბურჟუაზიის უკანასკნელი ცდაა ჩვენს წინააღმდეგ. პირიქით, ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს ცდა განმეორდება გაზაფხულზე. ჩვენ ვიცით, რომ მათ სულ უმნიშვნელო შანსები ექნებათ, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენ უფრო მტკიცე და უფრო ძლიერი სამხედრო ძალები გვეყოლება, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, საფრთხე მაინც არ გამქრალა, იგი არსებობს და იარსებებს, ვიდრე რევოლუცია არ გაიმარჯვებს ერთ-ერთ ან რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში.

ჩვენ ვიცით, რომ საქმე სწორედ აქეთკენ მიდის, ჩვენ ვიცით, რომ III ინტერნაციონალის II კონგრესმა, რომელიც ამ ზაფხულზე შედგა მოსკოვში, გაუგონარი, განუზომელი საქმე შეასრულა. შეიძლება ზოგიერთი თქვენგანი დაესწრო ამხ. ზინოვიევის მოხსენებას, რომელშიც მან დაწვრილებით ილაპარაკა გერმანიის დამოუკიდებელთა ჰალეს ყრილობის შესახებ [79]. ალბათ, თქვენ დაინახეთ იმის კონკრეტული სურათი, თუ რა ხდება ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც რევოლუციის შანსები ყველაზე ძლიერია. მაგრამ ასეთი ამბები ხდება ამჟამად ყველა ქვეყანაში. კომუნიზმი განვითარდა, გამაგრდა, პარტიად შეკავშირდა ყველა მოწინავე ქვეყანაში. ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო რევოლუციის საქმემ მთელი რიგი დამარცხებანი განიცადა პატარა ქვეყნებში, სადაც მოძრაობის ჩახშობას ხელი შეუწყვეს უზარმაზარმა მტაცებლებმა, როგორც, მაგალითად, გერმანია დაეხმარა ჩაეხშოთ ფინეთის რევოლუცია, ან როგორც კაპიტალიზმის ბუმბერაზებმა — ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ — ჩაახშეს რევოლუცია უნგრეთში. მაგრამ, ჩაახშეს რა ის, მათ ამით ათასჯერ გაადიდეს რევოლუციის ელემენტები თავის ქვეყნებში. და ახლა ძირითადი მიზეზი, თუ რატომ არიან ისინი დაუძლურებულნი ბრძოლაში — ეს ისაა, რომ მათ ზურგი უზრუნველყოფილი არა აქვთ, იმიტომ რომ მუშებსა და გლეხებს არც ერთ ქვეყანაში არ უნდათ იომონ ჩვენს წინააღმდეგ, იმიტომ რომ **გმირი**

მეზღვაურები აღმოჩნდნენ არა მარტო ჩვენში, კრონშტადტში, არამედ აღმოჩნდნენ მათ შორისაც. იმ მეზღვაურთა სახელები, რომელნიც იყვნენ ჩვენს შავ ზღვაში, მთელ საფრანგეთში დაკავშირებულია რუსეთის რევოლუციის მოგონებასთან; საფრანგეთის მუშებმა იციან, რომ მათ, ვინც დღეს კატორღას იხდის საფრანგეთში, აჯანყება მოაწყვეს შავ ზღვაზე, რადგან არ უნდოდათ რუსეთის მუშებისა და გლეხების ჯალათები ყოფილიყვნენ. აი რატომ არის დღეს დასუსტებული ანტანტა, აი რატომ ვამბობთ დამშვიდებით, რომ საერთაშორისო მხრივ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ.

მაგრამ ჩვენი გამარჯვება, ამხანაგებო, სულაც არაა სრული, ჩვენი ეს გამარჯვება ჯერ კიდევ ნახევარზე ნაკლებია. დიახ, ჩვენ უზარმაზარი გამარჯვება მოვიპოვეთ რუსეთის მუშათა და გლეხთა თავგანწირულებისა და ენთუზიაზმის მეოხებით, ჩვენ დავანახვეთ ყველას, რომ რუსეთს შეუძლია წარმოშვას არა მარტო ერთეული გმირები, რომლებიც ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდიოდნენ და იხოცებოდნენ მაშინ, როდესაც მუშები და გლეხები მხარს არ უჭერდნენ მათ. არა, ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ რუსეთი მოგვცემს ასეთ გმირებს მასიდან, რომ რუსეთი შეძლებს ეს გმირები ასობით და ათასობით წარმოშვას. ჩვენ ვამბობდით, რომ ეს მოხდება და რომ მაშინ კაპიტალიზმის საქმე წაგებული იქნება. მთავარი მიზეზი კი იმისა, რამაც ამჟამად გამარჯვება გვარგუნა, მთავარი წყარო — ესაა გმირობა, თავგანწირვა, გაუგონარი გამძლეობა ბრძოლაში, რაც გამოიჩინეს წითელარმიელებმა, რომელნიც ფრონტზე იხოცებოდნენ, გამოიჩინეს მუშებმა და გლეხებმა, რომელნიც იტანჯებოდნენ, განსაკუთრებით მრეწველობის მუშები, რომელთა მასა ამ სამი წლის განმავლობაში იტანჯებოდა უფრო მეტად, ვიდრე კაპიტალისტური მონობის პირველ წლებში. ისინი იტანდნენ შიმშილს, სიცივეს, ტანჯვა-წვალებას, ოღონდ კი ძალაუფლება შეენარჩუნებინათ. და აი ამ გამძლეობით, ამ გმირობით მათ შექმნეს ზურგი, რომელიც აღმოჩნდა ერთადერთი მაგარი ზურგი, როგორიც კი არსებობს მებრძოლ

ძალთა შორის ახლანდელ მომენტში. ამიტომაც ჩვენ ძლიერნი და მტკიცენი ვართ, მაშინ როდესაც ანტანტა იშლება, და იშლება ჩვენს თვალწინ.

მაგრამ მარტო ამ ენთუზიაზმით, აღმავლობით, გმირობით არ შეიძლება რევოლუციის საქმის დამთავრება, არ შეიძლება მისი სრულ გამარჯვებამდე მიყვანა. ამით შეიძლებოდა მტრის უკუგდება, როდესაც ის გვეკვეთებოდა და გვახრჩობდა, ამით შეიძლებოდა გამარჯვება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში, მაგრამ ეს არ კმარა საქმის ბოლომდე მისაყვანად. ეს არ კმარა, იმიტომ რომ ჩვენს წინაშე ამჟამად დგას ამოცანის მეორე, უფრო დიდი ნახევარი, უფრო დიდი სიძნელის შემცველი. და ჩვენი დღევანდელი ზეიმი, ჩვენი რწმენა, რომ გავიმარჯვებთ, უნდა გადავაქციოთ ისეთ თვისებად, რომ ამოცანის ამ ნახევარშიც ასეთივე გადამწყვეტი გამარჯვება მოვიპოვოთ. მარტოოდენ ენთუზიაზმი, მარტოოდენ მზადყოფნა მუშებისა და გლეხების მხრივ — გასწირონ სიცოცხლე ამოცანის ამ მეორე ნახევრის შესასრულებლად, არ კმარა, ვინაიდან ეს მეორე ამოცანა უძნელესია, აღმშენებლობითია, შემოქმედებითია. ჩვენ კაპიტალიზმიდან მემკვიდრეობად მივიღეთ არა მარტო დანგრეული კულტურა, არა მარტო დანგრეული ქარხნები, არა მარტო სასოწარკვეთილი ინტელიგენცია, ჩვენ მივიღეთ მარტოხელა მეურნეთა დაქსაქსული, ბნელი მასა, ჩვენ მივიღეთ საერთო სოლიდარული მუშაობის უუნარობა, მისდამი შეუჩვევლობა, იმის შეუგნებლობა, რომ საჭიროა წარსულს ჯვარი გადავუსვათ.

აი რა უნდა გადავწყვიტოთ ჩვენ ახლა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი სულისკვეთებით უნდა ვისარგებლოთ, რათა იგი ხანგრძლივად შევიტანოთ ჩვენს მუშაობაში, რათა მოვსპოთ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების მთელი დაქსაქსულობა. ძველისაკენ დაბრუნება უკვე აღარ შეიძლება. იმით, რომ ექსპლოატატორთა ძალაუფლება დავამხეთ, ჩვენ უკვე სამუშაოს ნახევარზე მეტი შევასრულეთ. ჩვენ ახლა ერთად უნდა შევკრიბოთ ყველა მშრომელი, ქალი და კაცი, და ვამუშაოთ ისინი ერთად. ჩვენ აქ შემოვედით, როგორც შედის

დამპყრობელი ახალ ადგილში, და მაინც, მიუხედავად ყველა პირობისა, რომლებშიც ვმუშაობთ, ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ ფრონტზე. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ჩვენი მუშაობა უკეთ მიდის, ვიდრე შარშან მიდიოდა. ჩვენ ვიცით, რომ არ შეგვიძლია ყველას გამოკვება, ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, რომ შიმშილი და სიცივე არ მოგვიკაკუნებს სახლებსა და ქოხმახებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ვიცით, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საწარმოო ძალა უზარმაზარია ახლაც კი, მძიმე იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შემდეგ, ჩვენ ვიცით, რომ შეგვიძლია უზრუნველყოთ მუშებიცა და გლეხებიც შიმშილისა და სიცივისაგან, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ გავიანგარიშოთ ყოველივე, რაც გვაქვს, და გავანაწილოთ, როგორც ეს საჭიროა. ჩვენ ამას ვერ ვშვრებით, რადგან კაპიტალიზმი გვასწავლიდა იმას, რომ ყოველ პაწია მეპატრონეს უმთავრესად თავისთავზე ეფიქრა: როგორ გამდიდრებულიყო, როგორ გამოსულიყო ჩქარა მდიდარ ხალხში, და არა იმას, რომ ერთად ებრძოლათ განსაზღვრული იდეისათვის. ჩვენ ახლა სხვა ხელმძღვანელობა უნდა ავიღოთ. ჩვენ ახლა გვაწევს სხვა, უფრო მძიმე ნახევარი ჩვენი ამოცანისა. იმ ენთუზიაზმმა, რომლითაც ახლა ანთებული ვართ, შეიძლება გაძლოს კიდევ ერთ წელიწადს, კიდევ ხუთ წელიწადს. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ბრძოლაში, რომელიც უნდა ვაწარმოოთ, წვრილმანებს გარდა არაფერი არ არის. ჩვენს გარშემო — წვრილ-წვრილი სამეურნეო საქმეებია. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ წვრილი ერთეულების ის აპარატი, რომლითაც ეს სამეურნეო ცხოვრება მოძრაობს, — ესაა წინანდელი მუშაკები: წვრილი მოხელეები, წვრილი ბიუროკრატები, რომელთაც შეუსისხლხორცებიათ ძველი, ეგოისტური მიმართულება. ამასთან ბრძოლა უნდა გახდეს ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის ამოცანა. დღესასწაულების დროს, ჩვენი გამარჯვებული სულისკვეთების დღეებში, საბჭოთა ხელისუფლების სამი წლისთავის დღეებში, ჩვენ უნდა განვიმსჭვალოთ იმ შრომითი ენთუზიაზმით, იმ ნებისყოფით შრომისადმი, იმ სიმტკიცით, რომელზედაც

ახლა დამოკიდებულია მუშათა და გლეხთა უსწრაფესი ხსნა, სახალხო მეურნეობის ხსნა, — მაშინ დავინახავთ, რომ ამ ამოცანაში ჩვენ გავიმარჯვებთ კიდევ უფრო მტკიცედ და საფუძვლიანად, ვიდრე ყველა წინანდელ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

დაიბეჭდა 1920 წ. წიგნში: «მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები»

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

დეპეშა ი. ბ. სტალინს

სტალინს

როგორ მიდის ბანდებთან ბრძოლა? მართალია თუ არა, რომ მათში 20 000 მეტი ქვეითი და ცხენოსანია? საკმარისია თუ არა კავკასიის ფრონტზე დანიშნული მაშველი ძალები? შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა საქართველოსთან და სომხეთთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარება და რა საფუძველზე? შემდეგ, სავსებით სერიოზულად მიმდინარეობს თუ არა ბაქოს მისადგომთა გამაგრების სამუშაოები? გთხოვთ აგრეთვე ცნობებს თურქეთისა და სპარსეთის შესახებ მოკლედ დეპეშით, უფრო დაწვრილებით — წერილით [80].

ლენინი

დაწერილია 1920 წ. 13 ნოემბერს
პირველად დაიბეჭდა 1937 წ.
21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

• თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ [81]

(შავი მონასახი)

1. ახლანდელ მომენტში, რსფსრ-ის სამხედრო გამარჯვებებთან და საერთოდ მის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საწარმოო პროპაგანდა კვლავ პირველ რიგში უნდა იქნას წამოწეული, გაძლიერებული და ორგანიზაციულად განმტკიცებული.

2. ხელმძღვანელმა გაზეთებმა, პირველ რიგში «იზვესტიამ» და «პრავდამ», უნდა: (ა) შეამცირონ პოლიტიკისათვის დათმობილი ადგილი და გაადიდონ საწარმოო პროპაგანდის განყოფილება; (ბ) გავლენა მოახდინონ პარტიის და საბჭოთა დაწესებულებების მთელ მუშაობაზე იმ აზრით, რომ მეტი ძალები დაეთმოს საწარმოო პროპაგანდას; (გ) შეეცადონ სისტემატურად დააყენონ საწარმოო პროპაგანდის საქმე საერთოსახელმწიფოებრივი მასშტაბით, შეიმუშაონ ფართო ღონისძიებანი მის გასავითარებლად, გასაუმჯობესებლად და განსაკუთრებით მის იმ რეალურ წარმატებათა შესამოწმებლად, რომლებიც ნამდვილად ხორციელდება.

3. ასევე უნდა იქნას სისტემატიზებული, გაფართოებული და განვითარებული მუშათა და გლეხთა მასის წრიდან გამოსულ ნიჭიერ ადმინისტრატორთა, ორგანიზატორთა, გამომგონებელთა დაწინაურებისათვის მუშაობა.

4. ძალთა ეკონომიისა და მუშაობის უფრო სწორად წარმართვის მიზნით, საწარმოო პროპაგანდა მთელ რსფსრ-ში უნდა გაერთიანდეს ერთი ორგანოს ხელმძღვანელობით. ამასთანავე აბსოლუტურად აუცილებელია უაღრესად ფართო

ავტონომია, ადგილობრივი და პროფესიული. ყოველგვარი მნიშვნელოვანი წარმატების სისტემატური, წესიერად დაყენებული ანაზღაურება ჯილდოთი (ნატურალური პრემიები და სხვ.); წარმატებათა მიუდგომელი და კომპეტენტური შემოწმების ორგანიზაცია.

5. საწარმოო პროპაგანდის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო უნდა იყოს რედაქცია პოპულარული მასობრივი გაზეთისა, რომლის ტირაჟი იქნება ½ — 1 მილიონი ეგზემპლარი.

ასეთ გაზეთად უნდა გახდეს «ბედნოტა» [82].

ამგვარი ტიპის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გაზეთების გაყოფა მავნებელია, ვინაიდან სოციალიზმის ამოცანაა დააახლოოს და გააერთიანოს მრეწველობა და მიწათმოქმედება. პრაქტიკულად კი მრეწველობის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ქალაქშიც და სოფელშიც და კერძოდ მიწათმოქმედების ურბანიზაციაში, და მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეშიც, მოითხოვს სწორედ ერთიან საწარმოო გაზეთს (და საწარმოო პროპაგანდის ერთიან ხელმძღვანელობას) მუშებისთვისაც და გლეხებისთვისაც.

6. ხელმძღვანელ კოლეგიას უნდა შეადგენდეს 5 პირი: 1) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსაგან; 2) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან; 3) მიწსახკომისაგან; 4) მთავპოლიტგანისაგან; 5) რკპ ც. კ-ისაგან (ანუ პასუხისმგებელი რედაქტორი). კოლეგია და გაზეთი უნდა არსებობდეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან. (შეიძლება მიემატოს კიდევ 1 წარმომადგენელი მთავპროფგანისაგან?)

7. საწარმოო გაზეთი უნდა იყოს პოპულარული, იმ აზრით, რომ გასაგები იყოს მილიონებისათვის, მაგრამ, ამ მხრივ, არამც და არამც არ უნდა გადავარდეს უკიდურესობაში. კი არ უნდა დაეშვას განუვითარებელ მკითხველამდე, არამედ განუხრელად — ძლიერ ფრთხილი თანდათანობით — აამაღლოს მისი განვითარება. პოლიტიკას უნდა ეთმობოდეს მცირე ადგილი, დაახლოებით არა უმეტეს ¼-ისა. მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ერთიან სამეურნეო გეგმას, შრომის

ფრონტს, საწარმოო პროპაგანდას, მართვა-გამგეობის სწავლებას მუშებისა და გლეხებისათვის, კანონებისა და საბჭოთა დაწესებულებების და მეურნეობათა ღონისძიებების ნამდვილად განხორციელების შემოწმებას, აზრთა ფართო და სწორ გაცვლა-გამოცვლას მასობრივ მკითხველთან.

8. გაზეთში დაბეჭდილი, გაზეთისათვის მოწოდებული და აგრეთვე სხვა მასალა სისტემატურად უნდა გამოიცეს ხოლმე პერიოდულად ბროშურებისა და ფურცლების სახით და აუცილებლივ დაეგზავნოს ბიბლიოთეკებს და შემდეგ ამა თუ იმ წარმოების ყველა ფაბრიკასა და საწარმოს (ბროშურებსა და ფურცლებში მასალა დალაგებული უნდა იყოს წარმოებათა მიხედვით). სახელმძღვანელოებთან და საზღვარგარეთის ტექნიკის მიმოხილვებთან ერთად ეს მასალა უნდა ემსახურებოდეს პროფესიულ-ტექნიკური და პოლიტექნიკური განათლების გავრცელებას.

კერძოდ, გაზეთის, აგრეთვე საწარმოო ბროშურებისა და ფურცლების უფრო სწორად განაწილება რსფსრ-ის ყველა ბიბლიოთეკას შორის, განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს.

9. აუცილებლად საჭიროა საწარმოო პროპაგანდის საქმეში (წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით) მონაწილეობის მისაღებად გეგმაშეწონილი ორგანიზებულობით და სისტემატურობით მოვიზიდოთ ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, აგრეთვე ის საბჭოთა მოსამსახურენი, რომელნიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კვალიფიკაციას.

ლექციების, საუბრების, ანგარიშებისა და სხვ. ორგანიზაცია.

შრომითი ბეგარა ყველა იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიცნოს მოსახლეობას ელექტროფიკაცია, ტეილორიზაცია და სხვ.

10. ფილმების უფრო ფართო და სისტემატური გამოყენება საწარმოო პროპაგანდისათვის. ერთობლივი მუშაობა კინოგანყოფილებასთან.

საბჭოთა ფირფიტა. დიაგრამებისა და კარტოგრამების გამოფენა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, ქუჩებში. და სხვ.. აფიშებისა და პლაკატების გაკვრა ფაბრიკების, სახელოსნოების, ტექნიკური სკოლებისა და სხვ. მახლობლად.

11. საწარმოო ინსპექციის ორგანიზაცია შრომის სახალხო კომისარიატსა და სხვა დაწესებულებებთან ერთად. მისი მუშაობის კოორდინაცია საწარმოო პროპაგანდის მუშაობასთან, აგრეთვე ინსტრუქტორების, საინსტრუქტორო მატარებლების, გემებისა და სხვ. მუშაობასთან.

12. სანიმუშო საწარმოთა გამოყოფა, მათი ფართო რეკლამა. სამრეწველო მუშაობის საზღვარგარეთული გამოცდილების მქონე მუშების ორგანიზაცია — განსაკუთრებულ სახელოსნოებში ან რაიონებსა და უჯრედებში და სხვ.. მათი გამოყენება ჩამორჩენილთა სწავლებისათვის, პროფესიულ-ტექნიკური და პოლიტექნიკური განათლების გასავრცელებლად და სხვ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

18. XI. 1920.

გამოქვეყნდა 1928 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირდაპირი მავთულით ლაპარაკიდან ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის

პოლიტბიუროს მოუწვევლად არავითარი პასუხის მოცემა არ შეიძლია[83]. გირჩევთ, ან ახლავე შემოიტანოთ კონკრეტული წინადადება და დაუყოვნებლივ დააყენოთ პოლიტბიუროში, ან თვითონვე იმოქმედოთ სტალინისთვის მიცემულ რწმუნებათა ზუსტი შესაბამისობით, ანდა, ბოლოს, დააჩქაროთ თქვენი ჩამოსვლა მოსკოვში მთლიანად მთელი კავკასიის საკითხის გადასაწყვეტად. ყოველ შემთხვევაში აუცილებელია გაძლიერდეს და დაჩქარდეს მაშველი ძალების მიყვანა. მაცნობეთ, სახელდობრ როგორია თქვენი გადაწყვეტილება.

ლ ე ნ ი ნ ი

ლ ე ნ ი ნ ს. პ ა ს უ ხ ი ბ ა რ ა თ ზ ე. ამალამ მოვდივარ მოსკოვში. ორჯონიკიძეს განკარგულებას ვაძლევ აწარმოოს მოსამზადებელი მუშაობა და ელოდოს მითითებებს მოსკოვიდან. ფრონტს მოველაპარაკები გადმოყვანის დაჩქარების შესახებ.

ს ტ ა ლ ი ნ ი

არა უგვიანეს 1920 წ. 20 ნოემბრისა

პირველად გამოქვეყნდა 1945 წ. ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის ტექსტის მიხედვით

ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები

(სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე 1920 წ. 21 ნოემბერს) [84]

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო! საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე, ბუნებრივია, ყველაზე მეტად გვიხდება ლაპარაკი პოლონეთის ომთან და ვრანგელის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ პარტიული მუშაკების კრებაზე, რომელნიც, რა თქმა უნდა, თვალყურს ადევნებდნენ პარტიულ პრესას და არა ერთხელ მოუსმენიათ ძირითადი მოხსენებები ამ საკითხზე, ზედმეტი და უადგილო იქნება დაწვრილებით ვილაპარაკოთ მთელი ამ ისტორიის დეტალებზე და პოლონეთის ომის ისტორიის ყოველ ცალკე მიხვევ-მოხვევაზე, ჩვენი შეტევის ხასიათსა და ვარშავასთან დამარცხების მნიშვნელობაზე. მე მგონია, ამ მხრივ ამხანაგების უმეტესობა საკითხს უკვე იმდენად იცნობს, რომ მე განმეორება მომიხდებოდა და ამით ამხანაგები მხოლოდ უკმაყოფილონი იქნებოდნენ. ამიტომ მე პოლონეთთან ჩვენი ომის ცალკე ეპიზოდებისა და მიხვევ-მოხვევის ისტორიაზე არ ვილაპარაკებ. შევჩერდები მხოლოდ იმ შედეგზე, რომელიც ამჟამად მივიღეთ.

ზაფხულზე წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა და ვარშავასთან დიდი დამარცხების შემდეგ, პოლონეთთან დადებული წინასწარი ზავის შემდეგ, რომელიც სწორედ ახლა რიგაში იქცევა ან უნდა გადაიქცეს საბოლოო ზავად, იმის შანსები, რომ ეს წინასწარი ზავი ნამდვილად საბოლოო ზავი იქნება, დიდად გაიზარდა, და გაიზარდა სწორედ ვრანგელის განადგურების წყალობით. ახლა, როცა ვრანგელის

განადგურება აშკარა გახდა, ანტანტის იმპერიალისტური პრესა იწყებს თავისი ზრახვების გადმოშლას და იმის აღიარებას, რასაც ის აქამდე ყველაზე მეტად მალავდა.

არ ვიცი, მიაქციეთ თუ არა ყურადღება პატარა შენიშვნას, რომელიც გამოაქვეყნეს გაზეთებმა დღეს თუ ამ დღეებში, იმის შესახებ, რომ საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მთავარი ორგანო, ფრანგული გაზეთი «დროება» («Temps»), ახლა წერს პოლონეთის ზავის შეკვრის შესახებ წინააღმდეგ საფრანგეთის რჩევისა. უეჭველია, აქ ბურჟუაზიის წარმომადგენლების მიერ გამოთქმულია ისეთი სიმართლე, რომლის დამალვა მას ყველაზე უფრო უნდოდა და რომლის დამალვასაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ. მიუხედავად პოლონეთის ზავის არახელსაყრელი პირობებისა (თუმცა ისინი იმათზე უფრო ხელსაყრელია, რომელთაც მიმდინარე წლის აპრილში ჩვენ თვითონვე ვთავაზობდით პოლონეთის მემამულეებს ყოველგვარი ომის თავიდან ასაცილებლად), ისინი კი ხელსაყრელი არაა იმ თვალსაზრისით, რისი მიღწევაც შეიძლებოდა, ვარშავასთან რომ მეტად მძიმე მდგომარეობა არ შექმნილიყო, — მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც შევძელით ისეთი პირობების მიღება, რომლითაც იფუშება საერთო-იმპერიალისტური გეგმის უდიდესი ნაწილი. საფრანგეთის ბურჟუაზია ახლა აღიარებს, რომ იგი დაჟინებით მოითხოვდა პოლონეთის მიერ ომის განგრძობას, აზრს გამოთქვამდა ზავის ჩამოგდების წინააღმდეგ, რადგან ეშინოდა ვრანგელის განადგურებისა და უნდოდა დახმარებოდა ახალ ინტერვენციას და გალაშქრებას საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის იმპერიალიზმის პირობები უბიძგებენ და უბიძგებდნენ რუსეთთან ომისაკენ, მიუხედავად ამისა, საფრანგეთის იმპერიალისტების გეგმა ჩაფლავდა, და შედეგად ჩვენ ახლა ვღებულობთ უკვე რაღაც უფრო არსებითს, ვიდრე უბრალო შესვენებას.

განვლილი სამი წლის განმავლობაში პოლონეთი, ყოფილ რუსეთის იმპერიაში წინათ შემავალ პატარა სახელმწიფოთაგან,

ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომელნიც ყველაზე უფრო მტრობდნენ ველიკოროსულ ეროვნებას და რომელნიც ყველაზე უფრო ჩემულობდნენ პოლონელებით დაუსახლებელ ტერიტორიათა მეტ ნაწილს. ფინეთთან, ესტონეთთან და ლატვიასთან ჩვენ ზავი შევკარით აგრეთვე იმპერიალისტური ანტანტის სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უფრო ადვილი მისაღწევი იყო იმიტომ, რომ ფინეთში, ესტონეთსა და ლატვიაში ბურჟუაზიას არ ჰქონდა თავისი საკუთარი იმპერიალისტური მიზნები, რომლებისთვისაც საბჭოთა რესპუბლიკას წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი ყოფილიყო, მაშინ როდესაც პოლონეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის მისწრაფება ეხებოდა არა მარტო ლიტვას და ბელორუსიას, არამედ უკრაინასაც. გარდა ამისა, მას ამავე მიმართულებით უბიძგებს პოლონეთის ძველი საუკუნეობრივი ბრძოლა, პოლონეთისა, რომელიც ერთ დროს დიდი სახელმწიფო იყო და ახლა დიდ სახელმწიფოს — რუსეთს უპირისპირდება. ეს ძველი საუკუნეობრივი ბრძოლა პოლონეთს ამჟამადაც ვერ მიუტოვებია. აი რატომ გამოიჩინა პოლონეთმა გაცილებით მეტი შემმართებლობა და მეტი სიმედგრე თავის სამხედრო გეგმებში ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, და აი რატომ წარმოგვიდგება ახლა ჩვენი წარმატება ზავის შეკვრაში, წინააღმდეგ ანტანტისა, უფრო სერიოზულ საქმედ. თუ ანტანტას შეუძლია სამხედრო ჩარევის ხანგრძლივ შედგენილი გეგმის მხრივ რუსეთის რომელიმე ისეთი მოსაზღვრე სახელმწიფოს იმედი იქონიოს, რომელსაც ბურჟუაზიული წყობილება შეუნარჩუნებია, ასეთი სახელმწიფო შეიძლება იყოს მხოლოდ პოლონეთი, — ამიტომაც დღეს, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა საყოველთაო სიძულვილის დროს, ყველანი უშუალო ინტერესს იმაში ხედავენ, რომ პოლონელი მემამულეები აღმოსავლეთ გალიციას ფლობდნენ.

შემდეგ, პოლონეთი იჩემებს უკრაინას და ლიტვას. ეს აძლევს ლაშქრობას განსაკუთრებით მწვავე და მედგარ ხასიათს. ბუნებრივია, რომ პოლონეთის სამხედრო მომარაგება საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების მზრუნველობის მთა-

ვარ საგანს წარმოადგენდა, და იმ თანხის რაოდენობას, რომელსაც ამისათვის იძლეოდნენ, სათვალავი არა აქვს. ამიტომ განსაკუთრებით დიდია იმ გამარჯვების მნიშვნელობა, რომელიც საბოლოო ანგარიშით მოიპოვა წითელმა არმიამ, მიუხედავად ვარშავასთან დამარცხებისა, რადგან ამით მან პოლონეთი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ სრულიად აღარა აქვს ძალა ომის განსაგრძობად. იგი იძულებული შეიქნა მიეღო ზავი, რომელმაც მას მისცა იმაზე ნაკლები, ვიდრე ჩვენ ვიძლეოდით 1920 წლის აპრილში, პოლონეთის შემოტევის წინ, როდესაც ჩვენ არ გვსურდა ჩამოვშორებოდით სამეურნეო მშენებლობის სამუშაოებს და ვაძლევდით ჩვენთვის უაღრესად არახელსაყრელ საზღვრებს. მაშინ პრესა წვრილბურჟუაზიული პატრიოტებისა, რომელთაც ეკუთვნიან ჩვენი ესერებიცა და მენშევიკებიც, ბოლშევიკებს ბრალად სდებდა შემარიგებლობას და თითქმის ტოლსტოურ დამოკიდებულებას, რომელიც თითქოს გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებამ. იგი ტოლსტოურ დამოკიდებულებას უწოდებდა იმას, რომ ჩვენ ვთანხმდებოდით ზავზე პილსუდსკის მაშინდელი ხაზის მიხედვით, იმ ხაზის მიხედვით, რომლითაც მინსკი პოლონეთის ხელში რჩებოდა, ხოლო საზღვარი გადადიოდა 50, ალაგ-ალაგ კი 100 ვერსით იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც დაწესებულია ახლა. მაგრამ, რასაკვირველია, მე არ მჭირდება პარტიულ მუშაკთა კრების წინაშე შევჩერდე იმაზე, თუ რატომ ვთანხმდებოდით და უნდა დავთანხმებულიყავით ცუდ საზღვრებზე, თუკი, მართლაც, ჩვენი სამეურნეო მუშაობა არ შეწყდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ პოლონეთმა, შეინარჩუნა რა ბურჟუაზიული წყობილება, ამ ომით გამოიწვია მთელი თავისი ქვეყნის უკიდურესი სამეურნეო მოშლა, გამოიწვია უკმაყოფილების არაჩვეულებრივი ზრდა, გამოიწვია ბურჟუაზიული ტერორი, რომელიც მძვინვარებს არა მარტო მრეწველობის მუშათა წინააღმდეგ, არამედ მოჯამაგირეთა წინააღმდეგაც. პოლონეთის საერთო ბურჟუაზიული მდგომარეობა იმდენად მერყევი შეიქნა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ომის განგრძობაზე.

ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღწეული წარმატებანი ძალიან დიდია. როდესაც სამი წლის წინათ ჩვენ ვაყენებდით საკითხს რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ამოცანებისა და პირობების შესახებ, ყოველთვის გარკვეულად ვამბობდით, რომ ეს გამარჯვება არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ მას მხარი არ დაუჭირა პროლეტარულმა რევოლუციამ დასავლეთში, რომ ჩვენი რევოლუციის სწორი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო თვალსაზრისით. იმისათვის, რომ ჩვენი გამარჯვება მტკიცე იყოს, უნდა მივაღწიოთ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას ყველა ან, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში, და სამი წლის გააფთრებული მედგარი ომის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რა მხრივ არ გამართლდა და რა მხრივ გამართლდა ჩვენი წინასწარმეტყველება. იგი არ გამართლდა იმ მხრივ, რომ ეს საკითხი ჩქარა და უბრალოდ არ გადაწყდა. რა თქმა უნდა, არავინ ჩვენგანი არ მოელოდა, რომ სამი წელიწადი გაგრძელდებოდა ისეთი უთანასწორო ბრძოლა, როგორიც არის რუსეთის ბრძოლა მსოფლიოს ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ არც ერთს და არც მეორე მხარეს, არც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და არც მთელ დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს არ მიუღია არც გამარჯვება და არც დამარცხება, და ამავე დროს აღმოჩნდა, რომ თუ ჩვენი წინასწარმეტყველება არ შესრულდა უბრალოდ, ჩქარა და პირდაპირ, იგი მაინც შესრულდა იმდენად, რამდენადაც ჩვენ მოგვეცა უმთავრესი, ვინაიდან უმთავრესი იყო ის, რომ შეგვენარჩუნებინა პროლეტარული ხელისუფლებისა და საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის შესაძლებლობა, კიდეც რომ დაყოვნებულიყო სოციალისტური რევოლუცია მთელ მსოფლიოში. და ამ მხრივ უნდა ითქვას, რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა დღეს ისე მოეწყო, რომ ყველაზე საუკეთესოდ და ყველაზე ზუსტად დაგვიდასტურა მთელი ჩვენი ვარაუდი და მთელი ჩვენი პოლიტიკა.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ რსფს რესპუბლიკის სამხედრო ძალების ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოს სამხედრო ძალებთან შედარებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ამ მხრივ ჩვენ მათზე ათჯერ და ასჯერ უფრო სუსტნი ვართ; მიუხედავად ამისა, სამი წლის ომის შემდეგ ჩვენ ოთქმის ყველა ეს სახელმწიფო ვაიძულეთ ხელი აეღოთ შემდგომი ჩარევის ფიქრზე. მაშასადამე, მოხდა ის, რაც სამი წლის წინათ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იმპერიალისტური ომის ვითარებაში გვესახებოდა შესაძლებლად, სახელდობრ კი — მდგომარეობის ხანგრძლივად გაჭიანურება, რომელიც საბოლოოდ არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. მაგრამ რა მიზეზით მოხდა ეს? ეს მოხდა არა იმ მიზეზით, რომ ჩვენ სამხედრო მხრივ უფრო ძლიერი აღმოვჩნდით, ხოლო ანტანტა უფრო სუსტი, არამედ მიზეზი ისაა, რომ ანტანტის სახელმწიფოებში მთელი ამ ხნის განმავლობაში გაძლიერებით მიმდინარეობდა შინაგანი გახრწნა, ჩვენში კი, პირიქით, მატულობდა შინაგანი სიმტკიცე, — და ამის დამადასტურებელი და დამამტკიცებელია ომი. თავისი საკუთარი ჯარებით ანტანტას აღარ შეეძლო ჩვენს წინააღმდეგ ეომნა. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში აღარ შეიძლებოდა მუშებისა და გლეხების იძულებით გამოყვანა ჩვენს წინააღმდეგ საომრად. იმპერიალისტური ომიდან ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა მოასწრეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებადვე გამოსულიყვნენ. მათ მოასწრეს ეს კრიზისი, რომელიც მათ უშუალოდ თავს დასტრიალებდა, გადაეწიათ და გადაედვათ, მაგრამ ძირითადად მათ თავიანთი მდგომარეობა ისე შეარყიეს, რომ, თავიანთი უზარმაზარი სამხედრო ძალების მიუხედავად, იძულებული გახდნენ სამი წლის შემდეგ ეღიარებინათ, რომ მათ არ შეუძლიათ გასრისონ საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც თითქმის არავითარი სამხედრო ძალა არ მოეპოვება. ამრიგად, გამოვიდა, რომ ძირითადად ყველაფერში გამართლდა ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი წინასწარმეტყველება, და ჩვენი მოკავშირენი აღმოჩნდნენ ნამდვილად ჩაგრული მასები ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ვინაიდან ამ მასებმა

ჩაშალეს ომი. ჩვენ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვიპოვეთ საერთაშორისო გამარჯვება, ჩვენთვის ერთადერთი და მტკიცე გამარჯვება, მაინც ბრძოლით მივიღეთ ისეთი პირობები, როდესაც შეგვიძლია ვიარსებოთ კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით, რომელნიც იძულებულნი არიან ახლა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან. ამ ბრძოლის პროცესში ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებელი არსებობის უფლება.

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებთ საერთოდ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს წარმატებას, რომ ჩვენ გვაქვს არათუ შესვენება, არამედ რაღაც გაცილებით უფრო სერიოზული. შესვენებას ჩვენში უწოდებენ იმ მოკლე ხანს, რომლის განმავლობაში იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ბევრჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა განეახლებიათ ჩვენთან ომის უფრო ძლიერი ცდა. ჩვენ ახლა აგრეთვე არ ვაძლევთ ჩვენს თავს გატაცების ნებას და არ უარვყოფთ ჩვენს საქმეებში კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ჩარევის შესაძლებლობას მომავალში. ჩვენთვის აუცილებელია განვამტკიცოთ ჩვენი საბრძოლო მზადყოფნა. მაგრამ თუ შევხედავთ იმ პირობებს, რომლებშიაც გავანადგურეთ რუსეთის კონტრრევოლუციის ყველა ცდა და ფორმალურად შევკარით ზავი დასავლეთის ყველა სახელმწიფოსთან, ცხადი გახდება, რომ ჩვენ გვაქვს არა მარტო შესვენება, — ჩვენ გვაქვს ახალი ხანა, როდესაც ჩვენი ძირითადი საერთაშორისო არსებობა კაპიტალისტური სახელმწიფოების ქსელში მოპოვებულია. შინაურმა პირობებმა არც ერთ ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოს ნება არ მისცა რუსეთის წინააღმდეგ გადმოესროლა თავისი არმიები; ამით გამომჟღავნდა ის, რომ ამ ქვეყნების შიგნით რევოლუცია მომწიფდა და საშუალებას არ აძლევს მათ ისეთი სისწრაფით დაგვამარცხონ, როგორც ეს მათ შეეძლოთ. სამი წლის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე იყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის არმიები. უეჭველია, ამ სამი სახელ-

მწიფოს ძალთა სულ მცირედი დაძაბვა სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ რამდენიმე თვეში, თუ რამდენიმე კვირაში არა, გაემარჯვნათ ჩვენზე. თუ ჩვენ შევაკავეთ ეს თავდასხმა, ეს მხოლოდ საფრანგეთის ჯარებში მომხდარი გახრწნის გამო, ინგლისელებსა და იაპონელებში დაწყებული მღელვარების გამო. აი, იმპერიალისტური ინტერესების ამ განსხვავებით ვსარგებლობდით ჩვენ ყოველთვის. თუ ჩვენ დავამარცხეთ ინტერვენცია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საკუთარი ინტერესები თიშავდნენ ერთმანეთისაგან, ჩვენ კი გვაკავშირებდნენ და გვამაგრებდნენ. ჩვენ ამით უზრუნველვყავით შესვენება და ის, რომ გერმანიის იმპერიალიზმმა ვერ შეძლო სრული გამარჯვება ბრესტის ზავის ეპოქაში.

ახლა, უკანასკნელ დროს ეს შუღლი კიდევ უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით საკონცესიო ხელშეკრულების დადების პროექტთან დაკავშირებით. ეს ხელშეკრულება იდება ამერიკის ყველაზე საშინელი კაპიტალისტური ვეშაპების ერთ ჯგუფთან; მათ მეთაურობს მილიარდერი, რომელიც ვარაუდობს თავი მოუყაროს მილიარდერთა მთელ ჯგუფს. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად შორეული აღმოსავლეთიდან თითქმის არც ერთი ცნობა არაა, რომელიც არ მოწმობდეს, რომ იაპონიაში დიდი გაბოროტებაა ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ არის, არის მხოლოდ მისი პროექტი. მაგრამ იაპონიის საზოგადოებრივი აზრი უკვე დუღს, — და დღეს წავიკითხე ცნობა, რომლის მიხედვით, იაპონია ბრალს სდებს საბჭოთა რუსეთს იმაში, რომ ამ უკანასკნელს სურს იაპონია გადაკიდოს ამერიკასო.

ჩვენ სწორად გავითვალისწინეთ იმპერიალისტური შეჯიბრების ეს დაძაბულობა და ჩვენთვის ვთქვით, რომ სისტემატურად უნდა გამოვიყენოთ მათ შორის არსებული უთანხმოება, რათა შევაფერხოთ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა. ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთდამოკიდებულებაში პოლიტიკური უთანხმოება უკვე აშკარაა. ახლა ჩვენ უკვე გვიხდება ლაპარაკი არა მარტო შესვენებაზე, არამედ უფრო დიდი

ხნის განმავლობაში ახალი მშენებლობის სერიოზულ შანსებზე. ნამდვილად ჩვენ დღემდე ჯერ კიდევ არავითარი ბაზა არ გვქონია საერთაშორისო ურთიერთობაში. ახლა ჩვენ ეს ბაზა გვაქვს, — და ამის მიზეზია იმ წვრილი სახელმწიფოების ურთიერთობა, რომელნიც სავსებით დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე სამხედრო მხრივაც და ეკონომიურადაც. ახლა აღმოჩნდა, რომ პოლონეთმა, მიუხედავად საფრანგეთის ზემოქმედებისა, ჩვენთან ზავი შეკრა. საბჭოთა ხელისუფლებისადმი პოლონელი კაპიტალისტების სიძულვილი ძალიან ძლიერია; ისინი გაუგონარი მძვინვარებით ახშობენ სულ უბრალო გაფიცვებსაც კი. საბჭოთა რუსეთთან ომი მათ ძალიან სურთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენთან ზავი ურჩევნიათ ანტანტის პირობების შესრულებას. ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ბატონობენ მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამავე დროს ისინი დედამიწის მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ. და იმ ფაქტმა, რომ გამოჩნდა ქვეყანა, რომელიც სამი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევს მსოფლიო იმპერიალიზმს, საგრძნობლად შეცვალა საერთაშორისო მდგომარეობა მთელ მსოფლიოში, — და ამიტომ ყველა პატარა სახელმწიფო, ისინი კი დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ჩვენთან ზავისაკენ იხრება.

უდიდესი ფაქტორი, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიარსებოთ ამ რთულსა და სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში, ეს ის ფაქტორია, რომ სოციალისტური ქვეყანა სავაჭრო ურთიერთობას იწყებს კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

მე შემთხვევა მქონდა მენახა, რომ ერთი ამერიკელი სოციალ-შოვინისტი, რომელიც ჩვენებურ მემარჯვენე ესერებსა და მენშევიკებს უახლოვდება, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი მოღვაწე, ამერიკის სოციალისტური პარტიის წევრი სპარგო, ამერიკელი ალექსინსკის მაგვარი პიროვნება, რომელიც მთელ გროვა წიგნებსა წერს ბოლშევიკების წინააღმდეგ, — რომ იგი ბრალს გვდებდა და კომუნიზმის სრული

კრახის დამამტკიცებელ საბუთად მოყავდა ის გარემოება, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან სავაჭრო გარიგებათა შესახებ. იგი წერდა: კომუნიზმის სრული კრახისა და მისი პროგრამის ჩაფუშვის უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი მე არც კი შემიძლია წარმოვიდგინოო. მე ვფიქრობ, რომ ისინი, ვინც საქმეს ჩაუფიქრდებიან, წინააღმდეგს იტყვიან. მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებზე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის როგორც მატერიალური, ისე მორალური გამარჯვების უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი არც კი შეიძლება მოიძებნოს, ვიდრე ის, რომ სახელმწიფოები, რომლებმაც ომით გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ როგორც ჩვენი ტერორის, ისე მთელი ჩვენი წყობილების გამო, ახლა, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, იძულებული არიან სავაჭრო ურთიერთობის გზას დაადგნენ, თუმცა მათ იციან, რომ ამით ისინი ჩვენ გვამაგრებენ. ამის წამოყენება კომუნიზმის კრახის დამამტკიცებელ საბუთად შეიძლებოდა, ჩვენ რომ დაპირება მიგვეცა ან გვეოცნება მთელი მსოფლიოს გარდაქმნაზე მარტოოდენ რუსეთის ძალებით. მაგრამ ასეთ სიგიჟემდე ჩვენ არასოდეს არ მივსულვართ, არამედ, პირიქით, ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენი რევოლუცია გაიმარჯვებს მაშინ, როდესაც მას მხარს დაუჭერენ ყველა ქვეყნის მუშები. გამოვიდა ისე, რომ მათ მხარი დაგვიჭირეს ნახევრად, ვინაიდან ჩვენს წინააღმდეგ აღმართული ხელი შეასუსტეს, მაგრამ მაინც მათ ამითაც აღმოგვიჩინეს დახმარება.

მე მეტს აღარ შევჩერდები ამ საკითხზე, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ამჟამად კავკასიაში იქსელება ძალიან რთული პირობები, რომლებშიც მეტად ძნელია გარკვევა, ამასთან შესაძლებელია ომი დღე დღეზეც კი თავს მოგვახვიონ. მაგრამ ეს ომი, როდესაც თითქმის უზრუნველყოფილია პოლონეთთან ზავი და სავსებით ლიკვიდირებულია ვრანგელი, ძალიან საშიში არ უნდა იქნეს, ხოლო თუ თავს მოგვახვიეს, იგი ჩვენს მდგომარეობას წინანდელზე კიდევ უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს. გაზეთების ცნობები იმაზე, თუ რა ხდება სომხეთში, თურქეთში, ერთგვარ წარმოდგენას გაძლევთ

თქვენ ამის შესახებ. იქმნება მეტად დახლართული მდგომარეობა, მაგრამ მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ იქიდან ჩვენ გამოვალთ, ან შევინარჩუნებთ მშვიდობას ახლანდელ და, რასაკვირველია, ჩვენთვის ერთგვარად ძალიან ხელსაყრელ საფუძველზე, — იმ საფუძველზე, რომელიც ჩვენ გვაკმაყოფილებს და სამეურნეო არსებობის შესაძლებლობას გვაძლევს. და ამისათვის ჩვენ ყოველ ძალ-ღონეს ვხმარობთ. მაგრამ შესაძლებელია გარემოებამ პირდაპირ თავს მოგვახვიოს ომი ან პირდაპირ მიგვიყვანოს მასთან. ჩვენ ამას შეგვიძლია სრულიად დამშვიდებით ვუყუროთ — ეს იქნება ომი შორეულ განაპირა მხარეში, ჩვენი ძალების სრული უპირატესობით, რაც უზრუნველყოფს, ალბათ, იმაზე უფრო დიდ მოგებას, რომელიც მივიღეთ პოლონეთის ომიდან. პოლონეთის ომი იყო ორ ფრონტზე ომი, ვრანგელის მუქარით, ომი, რომლისთვისაც არ შეიძლებოდა განაპირა მხარეში მიმდინარე ომი გვეწოდებინა, იმიტომ რომ პილსუდსკის ხაზი მოსკოვიდან არც თუ ძალიან შორ მანძილზე გადიოდა. ამით ვამთავრებ საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვას.

ახლა გადავალ საშინაო მდგომარეობაზე. სამხედრო ჩარევის მთელი რიგი ცდების კრახთან დაკავშირებით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ფრიად საგრძნობლად გაუმჯობესდა. იმ საშინელი მდგომარეობის საფუძველი, რომელშიც ჩვენ წინათ ვიყავით, ის იყო, რომ ჩვენ, ცენტრალური რუსეთი, სამრეწველო რუსეთი, პროლეტარული რუსეთი, პეტროგრადი, მოსკოვი, ივანოვო-ვოზნესენსკი, მოწყვეტილი ვიყავით ყველაზე უფრო პურიან ყველა რაიონს — ციმბირს, სამხრეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთს, მოწყვეტილი ვიყავით სათბობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს — დონის აუზს, მოწყვეტილი ვიყავით ნავთობის წყაროებს, და სრულიად წარმოუდგენელი ამბავია, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩვენმა რესპუბლიკამ შეძლო ფაქტიურად გამაგრება. თქვენ იცით, რა საშინელი უბედურება და რა დიდი გასაჭირი, რა უპურობა და შიმშილი დაგვატყდა თავს ყველაზე პურიანი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონების ამ მოწყვეტასთან დაკავშირე-

ბით. და იმ გაუმჯობესების საფუძველს, რომელსაც ამჟამად ვხედავთ, საგრძნობწილად ამ რაიონების შემოერთება წარმოადგენს. სასურსათო დამზადება გვაძლევს ჩვენ ახლა, — ციმბირის, კავკასიის ჩაბმის შესაძლებლობის და უკრაინის სოციალურ ურთიერთობაში ჩვენს სასარგებლოდ მიმდინარე ცვლილების მეოხებით, — იმას, რომ უახლოეს, მომავალ სასურსათო კამპანიაში არათუ დახეული ტომრებით გამოვალთ, როგორც ეს მიმდინარე წელს იყო, არამედ საკმაოდ უზრუნველვყოფთ მრეწველობის ყველა მუშას სურსათის მხრივ. ეს — პირველი კამპანიაა, როდესაც ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, ტრანსპორტის დაწყებული უეჭველი გაუმჯობესების გამო, რომ სახელმწიფოს ხელში იქნება ისეთი სასურსათო ფონდი, 250-დან 300 მილიონამდე ფუთი პური, რომლის დროსაც სოციალისტურ მშენებლობაზე არათუ ვილაპარაკებთ და მცირეოდენ საქმესაც გავაკეთებთ, როგორც ახლა, არამედ მართლაც ავამოქმედებთ ნამდვილ შრომითს არმიებს, საშუალება გვექნება მრეწველობის ასიათასობით მუშა ან მრეწველობისათვის სასურსათო საქმის შემსრულებელი მუშები ნამდვილად დავაყენოთ გადაუდებელ, აუცილებელ არსებით სამუშაოზე და გავაუმჯობესოთ ეს სამუშაო ისე, როგორც სათბობის მდგომარეობის გაუმჯობესებამ, რაც ჩვენ მივიღეთ, საშუალება მოგვცა აღგვედგინა მანუფაქტურული მრეწველობა. ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიამ დაიწყო თავისი ფაბრიკების ამუშავება. თავდაპირველად მუშაობდა არა უმეტეს 1/4 მილიონი თითისტარი, ამჟამად მუშაობს უკვე ნახევარი მილიონი, 600 000-მდე, წლის ბოლომდე ჩვენ იმედი გვაქვს ავამუშაოთ მილიონამდე, ხოლო მომავალ წელს ვფიქრობთ ავიყვანოთ 4 მილიონ თითისტრამდე. იმ მდგომარეობიდან, როცა უდიდესი ვაივაგლახით ვაღწევდით თავს და ვხარჯავდით ძველ მარაგს, ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ გადასვლას ისეთ პირობებში, როდესაც რუსეთი ხელს კიდებს დანგრეული წარმოების აღდგენას და მიიღებს შესაძლებლობას, სოფლად პურის აკრეფის სანაცვლოდ, გლეხს მისცეს მარილი, ნავთი და, თუნდაც მცირე რაოდენობით, მანუფაქტურა.

უამისოდ სოციალისტურ მშენებლობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

თუ საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენ მოვიპოვეთ ბაზა, გავუმკლავდით მთელ რიგ სამხედრო შემოსევებს და საზავო ხელშეკრულებანი გამოვგლიჯეთ მთელ რიგ სახელმწიფოებს, ეკონომიურად მხოლოდ ახლა გვეძლევა შესაძლებლობა ვიქონიოთ პური მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, პური მრეწველობისათვის, ე. ი. სათბობი იმ რაოდენობით, რომ დავიწყოთ სოციალისტური მშენებლობა. და აქაა ჩვენი მთავარი ამოცანა, ამაშია საკითხის მთელი დედაარსი, აქაა გადასვლა, რაც ჩვენ რამდენიმეჯერ ვცადეთ. მე მახსოვს, 1918 წლის აპრილში სრულიად რუსეთის ცაკის კრების წინაშე ვლაპარაკობდი იმის შესახებ, რომ ჩვენი სამხედრო ამოცანები თითქოს თავდება, რომ ჩვენ რუსეთი არათუ დავარწმუნეთ, არათუ ბრძოლით წავართვით ის ექსპლოატატორებს მშრომელთათვის, არამედ ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ იმ ამოცანებზე, რომ რუსეთი ვმართოთ სამეურნეო მშენებლობისათვის[85]. შესვენება, რომელიც ჩვენ მაშინ გვქონდა, სულ უმნიშვნელო აღმოჩნდა. ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს, დაწყებული ჩეხ-სლოვაკთა აჯანყებიდან 1918 წლის ზაფხულზე, მეტად მძვინვარე გამოდგა. მაგრამ ეს ჩვენ რამდენიმეჯერ ვცადეთ; 1918 წ. გაზაფხულზედაც და, უფრო ფართო მასშტაბით, მიმდინარე წლის გაზაფხულზედაც, როდესაც შრომითი არმიების საკითხი პრაქტიკულად იყო დასმული. ახლა ჩვენ ეს გადასვლის საკითხი კიდევ უნდა დავაყენოთ ქვაკუთხედად და მთელი ძალები დავძაბოთ მის განსახორციელებლად. აქაა უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა მთელი სოციალისტური გადატრიალებისა საერთაშორისო თვალსაზრისით, საერთოდ კაპიტალიზმზე გამარჯვების თვალსაზრისით. საერთოდ კაპიტალიზმზე გასამარჯვებლად საჭიროა, ჯერ-ერთი, დავამარცხოთ ექსპლოატატორები და დავიცვათ ექსპლოატირებულთა ხელისუფლება — რევოლუციური ძალებით ექსპლოატატორთა დამხობის ამოცანა; მეორე, შემოქმედებითი ამოცანა—ახალი

ეკონომიური ურთიერთობის აშენება, იმის მაგალითის ჩვენება, თუ როგორ კეთდება ეს. სოციალისტური გადატრიალების განხორციელების ამოცანის ეს ორი მხარე განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ჩვენს რევოლუციას განასხვავებს ყველა წინანდელი რევოლუციისაგან, რომლებშიც დამანგრეველი მხარე საკმარისი იყო.

ხოლო თუ ჩვენ მეორე ამოცანას ვერ გადავწყვეტთ, ვერავითარი წარმატება, ვერავითარი გამარჯვება ექსპლოატატორთა დამხობის საქმეში, საერთაშორისო იმპერიალისტებისადმი სამხედრო წინააღმდეგობის გაწევის საქმეში ვერაფერს მოგვცემს, და ძველისაკენ დაბრუნება გარდუვალი დარჩება. ამის შესახებ თეორიულად ორი აზრი არ შეიძლება. აქ გადასვლა მეტად მძაფრი და ძნელია, იგი მოითხოვს სხვა წესებს, ძალთა სხვანაირ განაწილებასა და გამოყენებას, ყურადღების, ფსიქოლოგიის სხვაგვარ წარმართვას და სხვ... ექსპლოატატორთა რევოლუციური დამხობისა და მოძალადეებისადმი წინააღმდეგობის გაწევის მეთოდების ნაცვლად, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ორგანიზატორობის, მშენებლობის მეთოდები, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ თავი, უნდა დავიცვათ თავი მთელი მსოფლიოს წინაშე არა მარტო როგორც ისეთმა ძალამ, რომელსაც უნარი შესწევს წინააღუდგეს სამხედრო დახრჩობას, არამედ როგორც ისეთმა ძალამაც, რომელსაც შეუძლია მაგალითის ჩვენება. ყოველთვის, უდიდეს სოციალისტურ მწერალთა ყველა თხზულებაში შეიძლება მოინახოს მითითება სოციალისტური რევოლუციის ამოცანის ამ ორ მხარეზე, რომლებიც, როგორც ამოცანის ორი მხარე, ეხება გარეშე სამყაროსაც, იმ სახელმწიფოებს, რომლებიც კაპიტალისტების ხელში დარჩა, და აგრეთვე თავისი საკუთარი ქვეყნის არაპროლეტარულ მასებსაც. ჩვენ დავარწმუნეთ გლეხობა, რომ პროლეტარიატი მას აძლევს უკეთეს საარსებო პირობებს, ვიდრე აძლევდა ბურჟუაზია, დავარწმუნეთ პრაქტიკაში. როდესაც გლეხობამ, რომელიც თუმცა კმაყოფილი არ იყო ბოლშევიკური რეჟიმით, მაინც პრაქტიკულად შეადარა იგი დამფუძნებელი კრების, კოლჩაკისა და სხვა წყობილებას, ის

მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკებმა მისი არსებობა უკეთ უზრუნველყვეს და დაიცვეს ის მთელი მსოფლიოს იმპერიალისტთა სამხედრო ძალადობისაგან. ხოლო, ამავე დროს, ნახევარი გლეხობა ცხოვრობდა ბურჟუაზიის პირობებში ბურჟუაზიულად, და სხვანაირად არც შეეძლო ეცხოვრა. პროლეტარიატმა ახლა უნდა გადაწყვიტოს მეორე ამოცანა, აჩვენოს გლეხს, რომ შეუძლია მისცეს მას ისეთი ეკონომიური ურთიერთობის ნიმუში და პრაქტიკა, რომელიც იმაზე მაღალი იქნება, სადაც თვითეული გლეხური ოჯახი თავისებურად მეურნეობს. დღევანდლამდე გლეხობას მხოლოდ ეს ძველი წყობილება სწამს, აქამდე მას თვლის იგი ნორმალურად. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. გლეხობამ რომ ჩვენი პროპაგანდით შეცვალოს თავისი დამოკიდებულება ცხოვრების საკითხებისადმი, ეკონომიკისადმი, — ეს მიქარვაა. იგი მოლოდინის მდგომარეობაშია, ჩვენდამი ნეიტრალურ-მტრულიდან იგი გახდა ჩვენდამი ნეიტრალურ-თანამგრძნობი. მას ახლა ჩვენ ვურჩევნივართ ყოველგვარ სხვა მთავრობას, რადგან ხედავს, რომ მუშათა, პროლეტარული სახელმწიფო, პროლეტარული დიქტატურა, არ არის უხეში ძალმომრეობა, უზურპაცია, როგორც მას ასურათებდნენ, არამედ გლეხობის უკეთესი დამცველია, ვიდრე კოლჩაკელები, დენიკინელები და სხვ.

მაგრამ ეს ცოტაა, ჩვენ არ გაგვიკეთებია ის მთავარი, რაც უნდა გავაკეთოთ — დავანახვოთ ყველას, რომ პროლეტარიატი ისე აღადგენს მსხვილ წარმოებას და საზოგადოებრივ მეურნეობას, რომ გადაიყვანოს გლეხობა უმაღლეს ეკონომიურ წყობილებაზე. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ რევოლუციური ორგანიზაციით შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ ძალადობას ექსპლოატირებულთა მიმართ; ჩვენ ახლა იგივე უნდა დავამტკიცოთ სხვა დარგში, უნდა შევქმნათ ისეთი მაგალითი, რომელიც სიტყვით კი არ უნდა არწმუნებდეს, არამედ საქმით უჩვენებდეს გლეხების მთელ უზარმაზარ მასას და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, აგრეთვე დანარჩენ ქვეყნებს, რომ ომში გამარჯვებულ პროლეტარიატს შეუძლია კომუნისტური წესწყობილება შექმნას. ამ ამოცანას მსოფლიო

მნიშვნელობა აქვს. იმისათვის, რომ მოვიპოვოთ გამარჯვების მეორე ნახევარი საერთაშორისო აზრით, საჭიროა გადავჭრათ ამოცანის მეორე ნახევარი — სამეურნეო მშენებლობის საქმეში. ამაზე ჩვენ ვილაპარაკეთ უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე, ასე რომ, მე მგონია, ცალკე მხარეებზე დეტალურად შეჩერება აქ საჭირო არაა და არც შესაძლებელია, ეს ამოცანა მოიცავს ყველაფერს სამეურნეო მშენებლობის საქმეში. მე მოკლედ აღვნიშნე ის პირობები, რომლებიც საჭიროა მრეწველობაში ჩაბმული მუშების პურით და მრეწველობის — სათბობით უზრუნველსაყოფად. ასეთი პირობები ის საძირკველია, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომი მშენებლობის შესაძლებლობას. მე უნდა დავსძინო, რომ საბჭოების მომავალ ყრილობაზე, როგორც დაინახავდით გაზეთებში გამოქვეყნებულ დღის წესრიგიდან, ეს საკითხი სამეურნეო მშენებლობის შესახებ ცენტრალურ საკითხად უნდა გადაიქცეს. მთელი დღის წესრიგი ისეა შედგენილი, რომ ყველა თავმოყრილი დელეგატის, მთელი რესპუბლიკის საბჭოთა და პარტიულ მუშაკთა მთელი მასის მთელი ყურადღება და ზრუნვა განსაკუთრებით მიექცეს სამეურნეო მხარეს, ტრანსპორტის, მრეწველობის აღდგენას, იმას, რასაც ფრთხილად ეწოდება «გლეხური მეურნეობისადმი დახმარება», მაგრამ რაც ნამდვილად ნიშნავს გაცილებით მეტს — მთელ სისტემას, მთელ რიგ მოფიქრებულ ღონისძიებებს, რათა გლეხური მეურნეობა, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს იარსებებს, სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი.

ამასთან დაკავშირებით საბჭოების ყრილობაზე დასმულია მოხსენება რუსეთის ელექტროფიკაციის შესახებ, რათა ტექნიკის მხრივ დამყარდეს სახალხო მეურნეობის აღდგენის ერთიანი სამეურნეო გეგმა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით. თუ რუსეთი არ გადავიყვანეთ სხვა, წინანდელთან შედარებით უფრო მაღალ ტექნიკაზე, ისე შეუძლებელია ლაპარაკი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და კომუნიზმზე. კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, ვინაიდან უელექტროფიკაციოდ

მრეწველობის ამაღლება შეუძლებელია. ეს ამოცანა ხანგრძლივია, არა ნაკლებ 10 წლის საქმეა, იმ პირობით, რომ ამ მუშაობაში ჩავაბათ მრავალი ტექნიკოსი, რომლებიც საბჭოების ყრილობას მისცემენ მთელ რიგ დაბეჭდილ დოკუმენტებს, სადაც დეტალურად მუშავდება ეს გეგმა [86]. 10 წელიწადზე ადრე ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ ამ გეგმის საფუძვლები, შევქმნათ ელექტრონის სადგურების 30 უდიდესი რაიონი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ თანამედროვე საფუძველზე გადავიყვანოთ მთელი მრეწველობა. გასაგებია, რომ მთელი მრეწველობა თუ ასე არ გარდაიქმნა მსხვილი მანქანური წარმოების პირობების თვალსაზრისით, სოციალისტური მშენებლობა დარჩება მხოლოდ დეკრეტების კრებულად, დარჩება მუშათა კლასის პოლიტიკურ კავშირად გლეხობასთან, დარჩება გლეხობის ხსნად კოლჩაკოვშჩინისა და დენიკინშჩინისაგან, დარჩება როგორც მაგალითი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მას თავისი საფუძველი არ ექნება. კომუნიზმი გულისხმობს საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც პოლიტიკურ ორგანოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ჩაგრულთა მასებს გაუძღვენ მთელ საქმეებს, — უამისოდ კომუნიზმი წარმოუდგენელია. და მთელ მსოფლიოში ვხედავთ ამის დამამტკიცებელ საბუთს, იმიტომ რომ საბჭოთა ხელისუფლების იდეა, მისი პროგრამა მთელ მსოფლიოში აღწევს უდავო გამარჯვებას. ამას ჩვენ ვხედავთ ბრძოლის ყოველ ეპიზოდიდან II ინტერნაციონალის წინააღმდეგ, რომელიც ფეხზე დგას პოლიციის, ხუცების და მუშათა მოძრაობის ძველი ბურჟუაზიული მოხელეების დახმარებით.

ამით უზრუნველყოფილია პოლიტიკური მხარე, მაგრამ ეკონომიური მხარე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის პროლეტარულ სახელმწიფოში ნამდვილად იქნება თავმოყრილი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე აგებული მსხვილი მრეწველობის მანქანის ყველა ძაფი, ეს კი ნიშნავს — ელექტროფიკაციას, ხოლო ამისათვის საჭიროა გვესმოდეს ელექტრონის გამოყენების ძირი-

თადი პირობები და ამის შესაბამისად გვესმოდეს მრეწველობაც და მიწათმოქმედებაც. უზარმაზარი ამოცანაა, მის განსახორციელებლად საჭიროა გაცილებით უფრო დიდი ვადა, ვიდრე ის, რომლის განმავლობაშიც ჩვენ დავიცავით ჩვენი არსებობა სამხედრო შემოსევისაგან. მაგრამ ჩვენ ეს ვადა არ გვაშინებს, ჩვენ მონაპოვრად მიგვაჩნია ის, რომ ათობით და ასობით მოვიზიდეთ ბურჟუაზიული შეხედულებებით გამსჭვალული ინჟინრები და მეცნიერების წარმომადგენლები, დავავალეთ მათ მთელი მეურნეობის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეორგანიზაცია, გამოვიწვიეთ მათში ინტერესი და მივიღეთ დიდძალი მასალა, რომელიც მრავალ ბროშურას შეადგენს. თვითეული საელექტროფიკაციო რაიონი გაშუქებულია ცალკე ბროშურაში. ჩრდილოეთის რაიონის ელექტროფიკაციის გეგმა მზადაა, ვისაც აინტერესებს, მისი მიღება შეუძლია. საბჭოების ყრილობისათვის გამოიცემა ბროშურები, რომლებიც მიეძღვნება თვითეულ რაიონს და იძლევა რეორგანიზაციის მთელ გეგმას. ამოცანა ისაა, რომ ყოველი მხრიდან, თვითეულ პარტიულ უჯრედში, თვითეულ საბჭოთა დაწესებულებაში ამ ერთიანი, მრავალი წლისთვის გათვალისწინებული გეგმის მიხედვით სისტემატურად წარმოებდეს მუშაობა, რომ ახლო მომავალში შეგვეძლოს კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად და როგორ მივდივართ წინ, ისე რომ არ ვიტყუებდეთ თავს და არ ვმალავდეთ იმ სიძნელეებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ესაა ერთიანი სამეურნეო გეგმის ამოცანა; მისი განხორციელება, რადაც უნდა დაჯდეს, დგება მთელი რესპუბლიკის წინაშე. კომუნისტურმა პარტიამ ამ ამოცანასთან დაკავშირებით უნდა დააყენოს მთელი აგიტაცია, მთელი პროპაგანდა და პარტიული მუშაობა. ამის შესახებ არა ერთხელ ითქვა თეორიულად, არავინ ამის წინააღმდეგ არ დავობს, მაგრამ აქედან იმის მეასედიც არაა გაკეთებული, რაც უნდა გაკეთდეს.

ბუნებრივია, რომ ჩვენ მივეჩვიეთ პოლიტიკური ომის პერიოდს, ჩვენ ყველანი ვიწრთობოდით პოლიტიკურ-სამხედრო ბრძოლაში, და ამიტომ ახლა ის, რაც გაკეთებულია

ახლანდელი საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ეს მხოლოდ მიდგომაა იმ ამოცანისადმი, რომელიც ახლა მოითხოვს მატარებლის სხვა რელსებზე გადაყვანას, ამ მატარებელმა კი მრავალი ათეული მილიონი ადამიანი უნდა ზიდოს. ასეთი რამის სხვა რელსებზე გადასვლა, როდესაც ზოგან რელსებიც არაა, მოითხოვს დაძაბულ ყურადღებას, ცოდნას და ძალიან დიდ შეუპოვრობას. იმის გამო, რომ გლეხების და მუშათა მასის კულტურული დონე არ შეესაბამებოდა ამოცანას, და ამავე დროს ჩვენ თითქმის 99%-ით მივეჩვიეთ სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს, ჩვენში აღორძინდა ბიუროკრატიზმი. ეს აღიარებულია ყველას მიერ. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ისაა, რომ ძველი აპარატი მთლიანად მოსპოს, როგორც ის მოსპობილ იქნა ოქტომბერში, და გადასცეს ძალაუფლება საბჭოებს, მაგრამ ჩვენ უკვე საკუთარ პროგრამაში ვაღიარებთ, რომ ჩვენში აღორძინდა ბიუროკრატიზმი, რომ ეკონომიური საფუძვლები ნამდვილი სოციალისტური საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არაა. კულტურული პირობები, წერა-კითხვის ცოდნა, საერთოდ უფრო მაღალი კულტურა მუშათა და გლეხთა მასაში არაა. ეს მოხდა იმიტომ, რომ სამხედრო ამოცანებს მოუნდა ყოველივე საუკეთესო, რაც კი პროლეტარიატში იყო. პროლეტარიატმა უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო სამხედრო ამოცანებისათვის, რომლებსაც ათეულ მილიონობით შეეწირა გლეხები, და საჭირო იყო მუშაობაში ჩაგვება ბურჟუაზიული შეხედულებებით გაჟღენთილი ელემენტები, რადგან სხვა არავინაა. ამიტომაც უნდა გვეთქვა პროგრამაში, ისეთ დოკუმენტში, როგორიც პარტიის პროგრამაა, რომ ბიუროკრატიზმი აღორძინდა და საჭიროა მის წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა. გასაგებია, რომ საბჭოთა დაწესებულებებში აღორძინებულ ბიუროკრატიზმს არ შეეძლო გამხრწნელი გავლენა არ მოეხდინა პარტიულ ორგანიზაციებშიც, ვინაიდან პარტიის ზედაფენები ამავე დროს საბჭოთა აპარატის ზედაფენებია: ეს ერთი და იგივეა. მაშასადამე, თუ ჩვენ შევიგნეთ ბოროტება — ძველი ბიუროკრატიზმი, რომელსაც შეეძლო თავი ეჩინა პარტიულ აპარატში, — ცხადი

და ბუნებრივია, რომ პარტიულ ორგანიზაციებშიც დადგენილია ამ ბოროტების ყველა ნიშანი. და თუ ეს ასეა, ეს საკითხი დაყენებულია საბჭოების ყრილობის დღის წესრიგში, იგი ამ კონფერენციის დიდ ყურადღებასაც იპყრობს და კანონიერადაც იპყრობს იმიტომ, რომ პარტიული სენი, რომელიც აღიარებულია საერთო-პარტიული კონფერენციის რეზოლუციებში[87], არა მარტო მოსკოვშია, არამედ მთელ რესპუბლიკაშიც ვრცელდება. ეს დაკავშირებულია სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის წარმოების აუცილებლობასთან, როდესაც ჩვენ უნდა გაგვეტაცებინა გლეხთა მასები და როდესაც არ შეგვეძლო გაგვეძლიერებინა მოთხოვნა გლეხური ეკონომიკის დონის, გლეხთა მასების დონის განვითარებასთან დაკავშირებული უფრო ფართო გეგმის აზრით.

დასასრულ, ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა ვთქვა პარტიის შიგნით არსებულ იმ მდგომარეობაზე, იმ ბრძოლაზე, ოპოზიციის იმ გამოხატულებაზე, რომელსაც აქ დამსწრენი კარგად იცნობენ და რომელმაც მოსკოვის საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციაზე წაგვართვა ბევრი ძალ-ღონე და ყურადღება, შეიძლება, გაცილებით მეტი, ვიდრე ეს ყველა ჩვენგანისთვის სასურველი იყო. ბუნებრივია, რომ უდიდესმა გადასვლამ, რაც ახლა მოხდა იმ ძალების გამოფიტვის დროს, რომლებიც რესპუბლიკამ წაართვა პროლეტარიატს და პარტიას სამი წლის ბრძოლის განმავლობაში, მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა იმ ამოცანის წინაშე, რომლის ზუსტად გათვალისწინება არ ძალგვიძს. უნდა გამოვტყდეთ, რომ ბოროტების ნამდვილი სიდიდე ჩვენ არ ვიცით, რომ თანაფარდობანი და ზუსტი დაჯგუფებანი არ შეგვიძლია განვსაზღვროთ. პარტიული კონფერენციის მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ საკითხი დააყენოს, არსებული ბოროტება არ დაფაროს, მიაქციოს მას პარტიის ყურადღება და მოუწოდოს პარტიის ყველა წევრს იმაზე სამუშაოდ, თუ რანაირად გავთავისუფლდეთ ამ ბოროტებისაგან. ცხადია, როგორც ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისით, ისე, მე ვფიქრობ, პარტიულ ამხანაგთა უდიდესი უმრავლესობის თვალსაზრისითაც, ყოველ ეჭვს გარეშეა

(რამდენადაც მე კიცი ის შეხედულებანი, რომელთაც არავინ არ უარყოფს), რომ, პარტიაში არსებულ კრიზისთან დაკავშირებით, ოპოზიციაში, რომელიც არსებობს არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთშიც, ძალიან ბევრი რამ ჩნდება სრულიად ჯანსაღი, აუცილებელი და გარდუვალი პარტიის ბუნებრივი ზრდისა და გადასვლის დროს ისეთი მდგომარეობიდან, როდესაც მთელი ყურადღება ექცეოდა პოლიტიკურ და სამხედრო ამოცანებს, მშენებლობისა და ორგანიზაციის მდგომარეობაზე, როდესაც ჩვენ უნდა მოვიცვათ ათობით ბიუროკრატიული დაწესებულება და როდესაც პროლეტარიატისა და გლეხობის უმრავლესობის კულტურული დონე არ შეესაბამება ამოცანას. მუშურ-გლეხური ინსპექცია ხომ არსებობს უფრო, როგორც სურვილი, მისი ამოქმედება არ მოხერხდა იმიტომ, რომ საუკეთესო მუშები წაიყვანეს ფრონტზე, და იმიტომ, რომ გლეხთა მასების კულტურულმა დონემ ვერ შეძლო წამოეყენებინა მუშაკები საგრძნობი რაოდენობით.

ცხადია, ოპოზიციას, რომელიც თავის ლოზუნგად აყენებს რაც შეიძლება სწრაფ გადასვლას, რაც შეიძლება მეტი ცოცხალი და ახალგაზრდა ძალების ჩაბმას, ადგილობრივ მუშების უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაყენებას, — მეტად ჯანსაღი მისწრაფებანი, ტენდენცია და პროგრამა აქვს. არც ც. კ-ში და არც ცოტად თუ ბევრად პასუხისმგებელი ამხანაგების წრეებში, რამდენადაც შეიძლება ამაზე ვიმსჯელოთ მათ მიერ გამოთქმული შეხედულების მიხედვით, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ არც ისაა საეჭვო, რომ ამ ჯანსაღ საწყისთან ერთად, რომელიც სავსებით ერთიანდება კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების პლატფორმაზე, არის სხვა საწყისებიც. ვერც ერთ თათბირზე, აგრეთვე წინასწარ თათბირებზედაც, რომელთაც ამ კონფერენციის ჩვეულებრივ რაოდენობაზე მეტი შემადგენლობა ჰყავდათ, ვერ გაიგონებდით ორ აზრს ამ საკითხის შესახებ. ჩვენი საერთო პროგრამა უნდა განხორციელდეს, — ეს უეჭველია, და ახლა ჩვენ ძნელი სამუშაო მოგველის. რასაკვირველია, აქ არსებითად აღარ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ მოწი-

ნააღმდეგის დამხობით და ამ მოწინააღმდეგისადმი გამკლავებით. აქ ხომ ჩვენს წინ არის ის წვრილბურჟუაზიული სტიქია, რომელიც ათეული მილიონების რაოდენობით გვახვევია გარს; ჩვენ ნაკლები ვართ, ძალიან ცოტანი ვართ ამ წვრილბურჟუაზიულ მასასთან შედარებით. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ეს მასა, მოვამზადოთ იგი, ნამდვილად კი იძულებული ვიყავით მთელი მომზადებული, შეკავშირებული ძალები გადაგვესროლა სხვა საქმეზე, ძალიან საინტერესო, მძიმე და სახიფათო საქმეზე, რომელიც დაკავშირებულია დიდ მსხვერპლთან, — ომის საქმეზე. ასეთია ამ სამხედრო საქმის წესი, და მისგან თავის დაღწევა არ შეიძლება.

და აი, ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენს თავს — მოხდა თუ არა აქ პარტიის სრული გაჯანსაღება, მოვიპოვეთ თუ არა სრული გამარჯვება ბიუროკრატიზმზე სამეურნეო მშენებლობის უფრო სწორ საფუძველზე დასაყენებლად, მუშურ-გლეხური ინსპექციის განსახორციელებლად არა მარტო დეკრეტული აზრით, არამედ საქმეში მუშათა მასების ნამდვილი ჩაბმით? ეს ძნელი საქმეა. და ჩვენი მთავარი ამოცანა, თუ პარტიულ ამოცანებზე ვილაპარაკებთ, ის უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოვახდინოთ ოპოზიციის ეგრეთწოდებული ხაზის ლიკვიდაცია. თუ ვილაპარაკებთ სხვადასხვაგვარ შეხედულებაზე, რაც ხდება იმის სხვადასხვანაირ გაგებაზე, სხვადასხვა პროგრამებზე, თუნდაც შემდგომ მოქმედებაზე, — ც. კ. ამ საკითხს უდიდესი ყურადღებით უნდა მოეპყრას პოლიტბიუროს ყველა თათბირზე და პლენუმებზე, სადაც სხვადასხვანაირი შეხედულებანი არსებობს. ამ ამოცანას უზრუნველყოფს შეთანხმებული მუშაობა მთელ პარტიაში. ამას ჩვენ მეტად მნიშვნელოვნად ვთვლით. ჩვენ ამჟამად წინ გვიძევს სამეურნეო მუშაობა, უფრო ძნელი, ვიდრე სამხედრო მუშაობა, რომელიც ჩვენ შევასრულეთ გლეხების ენთუზიაზმით, იმიტომ რომ, უეჭველია, გლეხებმა მუშათა სახელმწიფო არჩიეს კოლჩაკის სახელმწიფოს. სულ სხვაა ახლა, როდესაც საჭიროა გლეხთა მასები გადავიყვანოთ მშენებლობაზე, რომელიც

მათთვის სრულიად უცხოა, რომელიც მათ არ ესმით და რომელსაც არ შეუძლიათ ერწმუნონ. ეს ამოცანა მოითხოვს მეტ სისტემატურობას, მეტ შეუპოვრობას, მეტ ორგანიზატორულ უნარს, ხოლო ორგანიზატორული უნარის მხრივ რუსი კაცი, მგონი, ყველაზე ცუდია. ეს — ჩვენი ყველაზე სუსტი მხარეა; ამიტომ თუ რამე ხელს უშლის ამ მუშაობას, უნდა შევეცადოთ რაც შეიძლება მალე მოვსპოთ იგი. ოპოზიცია, რომელიც გადასვლას წარმოადგენს, უეჭველად შეიცავს რაღაც ჯანსაღს, მაგრამ როდესაც ის იქცევა ოპოზიციად ოპოზიციისათვის, მაშინ ამას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ბევრი დრო დავკარგეთ შეხლა-შემოხლასა, სალანძღავ სიტყვებსა და კინკლაობაზე და ჩვენს თავს უნდა ვუთხრათ: «კმარა!» და შევეცადოთ ამა თუ იმ პირობით გავაჯანსაღოთ მუშაობა. დავუთმოთ ესა და ეს, — სჯობს დავუთმოთ მეტი, ვიდრე ნაკლები, — იმათ, ვინც უკმაყოფილოა, ვინც თავისთავს ოპოზიციას უწოდებს, მაგრამ აუცილებლად მივაღწიოთ იმას, რომ მუშაობა ერთსულოვანი იყოს, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია არსებობა ისეთ პირობებში, როდესაც გარშემორტყმული ვართ გარეშე და შინაური მტრებით.

უეჭველია, ძველი, წვრილბურჟუაზიული სტიქია, წვრილი მეპატრონენი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ. ისინი უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე სოციალისტური სამეურნეო წარმოება, რომელიც გაერთიანებულია მუშათა მოთხოვნილების მიხედვით. ყველას, ვისაც კი კავშირი ჰქონია სოფელთან და უნახავს სპეკულაცია ქალაქად, მშვენივრად ესმის, რომ ეს საზოგადოება, დამყარებული წვრილ სამეურნეო მშენებლობაზე, ჩვენზე მეტია, ამიტომ აქ საჭიროა აბსოლუტურად ერთსულოვანი მუშაობა, და ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას რადაც უნდა დაჯდეს. როდესაც ვხედავდი დავასა და ბრძოლას მოსკოვის ორგანიზაციებში, ვხედავდი, რამდენი კამათი იყო კრებებზე, რამდენი შეხლა-შემოხლა, გადაკვრ-გადმოკვრა ხდებოდა, იმ დასკვნამდე მივედი, რომ დროა ამას ბოლო მოვუღოთ და ყველანი გავერთიანდეთ კონფერენციის პლატფორმაზე. უნდა ითქვას, რომ ამ დასკვნამდე მისვლა ჩვენ ძვირი

დაგვიჯდა. სამწუხარო სანახავი იყო, მაგალითად, როცა პარტიულ კრებებზე საათები უნდებოდა კინკლაობას ასეთი საკითხის შესახებ — დროზე მოვიდა თუ არა კრებაზე ესა და ეს, მოიქცა თუ არა ასეთი პირი ასე და ასე. განა კრებებზე ამისთვის იკრიბებიან? ამისთვის არსებობს ცნობილი კომისია, რომელიც არკვევს, ასე მოიქცა თუ ისე სიით წარმოდგენილი პირი. მაგრამ აქ საკითხი ეხება კრების შინაარსს. მაგალითად, აიღეთ ისეთი გამოცდილი პარტიული ამხანაგი, როგორიც ბუბნოვია. მე მოვისმინე მისი სიტყვა კონფერენციის მიერ წამოყენებული პლატფორმის შესახებ. ეს პლატფორმა შეიცავს კრიტიკის დიდ თავისუფლებას. მაგრამ კონფერენცია ხომ სექტემბერში იყო, ახლა კი ნოემბერია. კრიტიკის თავისუფლება — მშვენიერი რამაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველამ მივიღეთ იგი, ცოდვა არ იქნებოდა კრიტიკის შინაარსის საკითხზეც გვეფიქრა. კრიტიკის თავისუფლებით ჩვენ დიდხანს გვაშინებდნენ მენშევიკები, ესერები და სხვები, მაგრამ ჩვენ ამას არ შევუშინდით. თუ კრიტიკის თავისუფლება კაპიტალიზმის დაცვის თავისუფლებას ნიშნავს, ასეთ კრიტიკას ჩვენ მიწასთან გავასწორებთ. ჩვენ წინ წავედით. კრიტიკის თავისუფლება გამოცხადებულია, მაგრამ უნდა ჩავუფიქრდეთ კრიტიკის შინაარსს.

და აქ უნდა ვაღიაროთ სამწუხარო რამ, ის, რომ კრიტიკის შინაარსი არა ჩანს. მიდიხარ რაიონში და ფიქრობ — როგორია კრიტიკის შინაარსი. შეუძლებელია პარტიული ორგანიზაციების საშუალებით დავამარცხოთ უმეცრება ძველი ბიუროკრატიული ხერხებით. სხვა რა საშუალებით შეგვიძლია მოვსპოთ ბიუროკრატიზმი, თუ არა მუშებისა და გლეხების ჩაბმით? რაიონულ კრებებზეც კრიტიკის შინაარსი ეხება წვრილმანებს, მუშურ-გლეხურ ინსპექციაზე კი სიტყვა, კრინტი არ გამიგონია. არ გამიგონია, რომ ამა თუ იმ რაიონს ჩაებას ამ საქმეში მუშები ან გლეხები. ნამდვილი მშენებლობის სამუშაო — ესაა კრიტიკის გამოყენება და მისი შინაარსი. ხოლო მოსკოვში პატარა სახლის ყოველ მეურნეობას, ყოველ დიდ ფაბრიკას, ყოველ ქარხანას თავისი გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

თუ გვინდა ბიუროკრატიზმს ვებრძოლოთ, ამისათვის ქვედაფენები უნდა მოვიზიდოთ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორი ცდა იყო ამა თუ იმ ფაბრიკასა ან ქარხანაში, რა გააკეთეს მათ ამა და ამ ბიუროკრატების გასაძევებლად, როგორი იყო საუბნო მეურნეობის, სამომხმარებლო საზოგადოების ცდა. საჭიროა მთელი სამეურნეო მექანიზმის ბრუნვის უდიდესი სისწრაფე, ნამდვილად კი ამაზე არაფერი ისმის, ხოლო კინკლაობა რამდენიც გნებავთ იმდენია. რასაკვირველია, ასეთი გიგანტური გადატრიალება არ შეიძლებოდა აცდენოდა ამ ნაგავს, ამ ქაფს, რომელიც ყოველთვის სუფთა როდია. დროა დავსვათ საკითხი არა მარტო კრიტიკის თავისუფლების, არამედ მისი შინაარსის შესახებაც. დროა ითქვას, რომ, ჩვენი გამოცდილების მიხედვით, ჩვენ მთელი რიგი რამ უნდა დავთმოთ, უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ შემდგომში აღარ დავუშვებთ არავითარ გადახრას კინკლაობისაკენ. ჩვენ ჯვარი უნდა დავუსვათ ჩვენს წარსულს და დავიწყოთ ნამდვილი სამეურნეო მშენებლობა, მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნა, რათა მან უხელმძღვანელოს საბჭოთა სამეურნეო მშენებლობას და პრაქტიკულ წარმატებებს, პროპაგანდა გასწიოს უფრო საქმით, ვიდრე სიტყვით. დღეს ხომ ვერც მუშას და ვერც გლეხს სიტყვით ვერ დაარწმუნებთ, მისი დარწმუნება შეიძლება მხოლოდ მაგალითით. ისინი უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ისინი შეძლებენ გააუმჯობესონ თავიანთი მეურნეობა უკაპიტალისტებოდ, რომ კონფლიქტების აღმოსაფხვრელად მათ არ ესაჭიროებათ არც პოლიციური ჯოხი და არც კაპიტალისტური შიმშილი, არამედ ესაჭიროებათ პარტიული ადამიანების ხელმძღვანელობა. აი ამ თვალსაზრისს უნდა დავადგეთ, და მაშინ შემდგომ სამეურნეო მშენებლობაში მივაღწევთ წარმატებას, რომელიც საერთაშორისო მხრივ ჩვენს გამარჯვებას უკვე მთლად ბოლომდე მიიყვანს.

დაიბეჭდა 1920 წ. ბროშურაში:
«პარტიის მიმდინარე მუშაობის
მორიგი საკითხები». რკპ(ბ)
მ. კ-ის გამოცემა

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე მოსკოვის კომიტეტის არჩევნების გამო 1920 წ. 21 ნოემბერს

ამხანაგებო, მე ძალიან ხშირად, იქნება მეტისმეტად ხშირადაც მიმიღია მონაწილეობა არჩევნებში: პარტიულ არჩევნებშიც — სხვადასხვა ჯგუფთა და მიმდინარეობათა და თვით ფრაქციათა ბრძოლის შემდეგ; ბრძოლის ყველაზე გააფთრებულ ფორმებშიც, რომელთაც თან ახლდა ისეთი ურთიერთ კონტროლი, რომ არც ერთ პარტიულ უჯრედში არც ერთი კენჭისყრა კანონიერად არ ითვლებოდა, თუ მას არ ესწრებოდნენ ბარათებით აღჭურვილი ორივე ფრაქციის წარმომადგენლები და არ ითვლიდნენ მიღებულ ხმებს, — მაგრამ ხელმძღვანელი ორგანოების — პეტროგრადის კომიტეტის თუ მოსკოვის კომიტეტის ან ც. კ-ის არჩევნების დროს არასოდეს არ ახორციელებდნენ პროპორციულობის პრინციპს. როცა არჩევნებში ორი ჯგუფი, ორი მიმდინარეობა ან ფრაქცია იბრძვის, მაშინ, იმისათვის, რომ შეიკრიბოს პარტიული კონფერენცია, როგორც გადამწყვეტი ორგანო, ან პარტიული ყრილობა, პროპორციული წარმომადგენლობა აუცილებელია. მაგრამ იმისათვის, რომ შეიქმნას აღმასრულებელი ორგანო, რომელიც პრაქტიკულ მუშაობას ეწევა, პროპორციულ წარმომადგენლობას არასოდეს არ იყენებდნენ და არა გვგონია, რომ ეს შეიძლებოდეს სწორად ჩაითვალოს. მე მგონია, რომ წინა ორატორმა ამ მხრივ უკვე თვითონვე დაიხია უკან პროპორციულობის პრინციპიდან, როცა იგნატოვთან ერთად განაცხადა, რომ მათ მიერ წამოყენებული სიის ღირსებაა თერთმეტის გაყვანა, როგორც ეს მან თვითონ თქვა. მე საშუალება

არა მაქვს შევამოწმო თერთმეტი 38-დან, მე ვფიქრობ, რომ დათმობა მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამას ისურვებდა კრების უშუალო უმრავლესობა ან ის ჯგუფი, რომელიც თავს მოსკოვის კომიტეტის მომხრეებად თვლიდა. ამ შეხედულების მოტივები მე უკვე განვავითარე, მაგრამ მთავარი ის უნდა იყოს, რომ ახლა უზრუნველვყოთ პიროვნებათა შერჩევა. სიაში შეტანილი ამხანაგების უმრავლესობა ჩემთვის უცნობია, მაგრამ თქვენ, რომელთაც ამ კონფერენციაზე გადამწყვეტი ხმები გაქვთ, რა თქმა უნდა, ყველა ამხანაგს იცნობთ, და მე ვფიქრობ, უეჭველად იხელმძღვანელებთ იმით, რომ პირადად თქვენთვის ცნობილი ამხანაგების შერჩევით შექმნათ ჯგუფი, რომელსაც შეთანხმებული მუშაობის უნარი ექნება, რომელშიაც თავის გამოხატულებას პოვებს ყოველი ჯანსაღი რამ, რაც კი შეიცავს როგორც გაფორმებულ, ისე გაუფორმებელ ან ზოგიერთი მხრივ ჯერ კიდევ გაურკვევლად დარჩენილ პარტიულ მიმდინარეობას, მაგრამ ისე კი, რომ მთლიანად ეს იყოს ისეთი ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს პრაქტიკულ პოლიტიკას და რომელიც ამ კრების ელფერებს პროპორციულად კი არ წარმოადგენს, არამედ საბრძოლო მუშაობას ეწევა — ჩვენი შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ იბრძვის კონფერენციის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით, იმ ვარაუდით, რომ უთანხმოებებს ადგილი არ დაურჩეს და შეუსაბამობა არ იყოს. აი ამიტომ გადამწყვეტი მოსაზრება ის უნდა იყოს, რომ თქვენ, კონფერენციის წევრები, პირადად იცნობდეთ თვითეულ კანდიდატს და უპირატესობას აძლევდეთ იმ ჯგუფს, რომლის შესახებაც დანამდვილებით იცით, რომ ის შეთანხმებულად იმუშავებს, — და არა აღმასრულებელი ორგანოს არჩევნების დროს პროპორციულობის ის პრინციპი, რომელიც არასოდეს არ გამოუყენებიათ და რომლის გამოყენება ახლაც არა გვგონია სწორი იყოს.

იბეჭდება პირველად,
სტენოგრამის მიხედვით

სიტყვა
პოლიგრაფიული წარმოების მოსკოვის საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენციაზე
1920 წ. 25 ნოემბერს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი ლენინი, რომელსაც მთელი აუდიტორია მქუხარე ოვაციით შეხვდა.) ამხ. ლენინმა აღნიშნა ის მიზეზები, რომლებმაც მსოფლიო იმპერიალიზმს ხელი შეუშალა განეხორციელებინა თავისი მისწრაფება — დაეხრჩო პროლეტარული რესპუბლიკა, — აღნიშნა უმთავრესი მიზეზები კაპიტალისტური წყობილების გახრწნისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდისა ყველა ქვეყნის მუშათა შორის. ჩვენი წითელი არმიის ენა ყველაზე უფრო დამაჯერებელი და გასაგები ენაა მტაცებელთა და მძარცველთათვის, — და ისინიც იძულებული არიან დაგვიწყონ ლაპარაკი ვაჭრობის შესახებ. მაგრამ წითელი არმიის გამარჯვება სრული და მტკიცე არ იქნება, თუ ჩვენ თავი ვერ გავართვით შემდგომ, უფრო ძნელ, უფრო გიგანტურ ამოცანას — მრეწველობის ამაღლებას და სახალხო მეურნეობის გაუმჯობესებას.

ლენინი შეეხო ელექტროფიკაციის საკითხს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის აღორძინება. მომხსენებელი შეჩერდა უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის, კონცესიების საკითხზე, გადავიდა პოლიგრაფიული წარმოების

როლზე საერთო სახალხო მეურნეობაში და დაამთავრა ამ რწმენის გამოთქმით, რომ რუსეთის მუშები და გლეხები გვიჩვენებენ მშვიდობიან ფრონტზე გამარჯვების ბრწყინვალე მაგალითს, როგორც ეს მათ უკვე არა ერთგზის გვიჩვენეს სამხედრო ფრონტებზე. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.)

«პრავდა» № 269,
1920 წ. 30 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედთა მდივნების კრებაზე 1920 წ. 26 ნოემბერს

საგაზეთო ანგარიში

პირველ ბარათში ამხანაგი მეკითხება, მართალია თუ არა, რომ ყველა დაწესებულება პიტერში გადადისო. ეს მართალი არაა. ეს ხმები იქიდან წარმოსდგა, რომ მოსკოვის საბჭოში დაებადათ აზრი არა აუცილებელ დაწესებულებათა გადატანისა მოსკოვიდან პიტერში საბინაო კრიზისთან დაკავშირებით. გამოირკვა, რომ პიტერს შეუძლია მიიღოს 10 000-მდე საბჭოთა მოსამსახურე, ისინი კი მოსკოვში არის 200 000. ამ საკითხის ყოველმხრივ გამოსარკვევად შექმნილია კომისია, რომელიც მუშაობს, და მისი გადაწყვეტილებანი განხილულ იქნება დიდ სახკომსაბჭოში. ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ეს ხმები ზოგიერთი მხრივ არაზუსტია.

მეორე და მესამე ბარათში ლაპარაკია კონცესიებზე. ნება მომეცით ამაზე შევჩერდე.

ამერიკელი სოციალისტი სპარგო, ჩვენი ალექსინსკის მაგვარი პიროვნება, რომელსაც საშინლად სძულს ბოლშევიკები, ერთ თავის წიგნში ლაპარაკობს კონცესიებზე როგორც კომუნიზმის კრახის დამამტკიცებელ საბუთზე. ამასვე ამბობენ ჩვენი მენშევიკებიც. გამოგვიწვიეს და ჩვენც მზადა ვართ ეს გამოწვევა მივიღოთ. განვიხილოთ საკითხი საქმიანი თვალსაზრისით. ვინ განიცადა კრახი — ჩვენ თუ ევროპის ბურჟუაზიამ? ეს ბურჟუაზია სამი წლის განმავლობაში ცილს გვწამებდა, უზურპატორებად და ბანდიტებად გვთვლიდა, ცდილობდა

ყოველნაირი საშუალებით დავემარცხებინეთ და ახლა იძულებულია აღიაროს, რომ ვერ დაგვამარცხა, და ჩვენთვის ეს უკვე გამარჯვებაა. მენშევიკები ამბობენ, თითქოს ჩვენ მარტონი ვაპირებდით მსოფლიო ბურჟუაზიის დამარცხებას. მაგრამ ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ ჩვენ მხოლოდ ერთ რგოლს წარმოვადგენთ მსოფლიო რევოლუციის ჯაჭვში და არასოდეს არ ვისახავდით მარტოოდენ ჩვენი ძალებით გამარჯვების ამოცანას. მსოფლიო რევოლუცია ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ჯერ ვერც ჩვენ დაგვამარცხეს. მილიტარიზმი იხრწნება, ჩვენ კი ვმაგრდებით, და კრახი ჩვენ კი არა, მათ განიცადეს.

ახლა მათ უნდათ ხელშეკრულების ნიადაგზე დაგვიმორჩილონ. ვიდრე რევოლუცია არ დაწყებულა, ბურჟუაზიული კაპიტალი ჩვენთვის ხელსაყრელია. როდესაც ჩვენ მეურნეობრივად ყველაზე უფრო სუსტი ქვეყნის მდგომარეობაში ვიმყოფებით, რანაირად შეიძლება დავაჩქაროთ მეურნეობის განვითარება? ბურჟუაზიული კაპიტალის დახმარებით. ახლა ჩვენ კონცესიის ორი პროექტი გვაქვს. ერთია პროექტი ხელშეკრულებისა კონცესიის შესახებ კამჩატკაზე 10 წლით. აქ იყო ამერიკელი მილიარდერი, რომელიც ძალიან გულახდილად ლაპარაკობდა ხელშეკრულების მოტივებზე, სახელდობრ იმაზე, რომ ამერიკას უნდა აზიაში ჰქონდეს ბაზა იაპონიასთან ომის შემთხვევისათვის. ეს მილიარდერი ამბობდა, რომ თუ ჩვენ ამერიკას მივყიდით კამჩატკას, მაშინ იგი შეერთებული შტატების მოსახლეობის ისეთ ენთუზიაზმს გვპირდება, რომ ამერიკის მთავრობა მყისვე სცნობს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას; ხოლო თუ მარტო იჯარით გავცემთ, მაშინ ენთუზიაზმი ნაკლები იქნებაო. ახლა იგი ამერიკაში მიდის იმის შესატყობინებლად, რომ საბჭოთა რუსეთი სრულიადაც ის არ არის, რასაც მის შესახებ ფიქრობდნენ.

ჩვენ მსოფლიო ბურჟუაზიას დღემდე იმიტომ ვამარცხებდით, რომ მას გაერთიანების უნარი არ შესწევს. მათ სთიშავდა როგორც ბრესტის, ისე ვერსალის ხელშეკრულება.

ახლა გააფთრებული მტრობა იზრდება ამერიკასა და იაპონიას შორის. ჩვენ ამას ვიყენებთ და იჯარით ვთავაზობთ კამჩატკას ნაცვლად იმისა, რომ იგი მუქთად მივცეთ: აკი წაგვართვა იაპონიამ სამხედრო დაპყრობის გზით უზარმაზარი მიწის ნაჭერი შორეულ აღმოსავლეთში. და ჩვენთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია რისკი არ გავწიოთ, კამჩატკა იჯარით მივცეთ და იქიდან მივიღოთ პროდუქტების ნაწილი, მით უმეტეს, რომ ფაქტიურად ის სულ ერთია ჩვენს განკარგულებაში არაა და მისი გამოყენება არ შეგვიძლია. ხელშეკრულება ჯერ კიდევ არაა ხელმოწერილი, იაპონიაში კი ამაზე უკვე გააფთრებული გაბოროტებით ლაპარაკობენ. ამ ხელშეკრულებით ჩვენ კიდევ უფრო გავაღრმავეთ უთანხმოებანი ჩვენს მტრებს შორის.

კონცესიის მეორე ტიპი — ჩვენ არხანგელსკის გუბერნიაში ვაძლევთ რამდენიმე მილიონ დესეტინა ტყეს, რომლის გამოყენება, მიუხედავად მთელი ჩვენი ღონისძიებებისა, არ შეგვიძლია. შემოგვაქვს ჭადრაკული წესი, ასე რომ საიჯარო ნაკვეთების გვერდით იქნება ჩვენი ნაკვეთები, რომლებიც შეგვიძლია დავამუშაოთ. ჩვენს მუშებს შეუძლიათ მათგან ტექნიკა ისწავლონ. ყოველივე ეს ჩვენთვის ფრიად ხელსაყრელია.

ახლა საკითხის უკანასკნელი მხარე.

კონცესიები — ეს ზავი როდია, ესეც აგრეთვე ომია, მხოლოდ სხვა, ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ფორმით. წინათ ომი წარმოებდა ტანკების, ზარბაზნებისა და სხვ. დახმარებით, რომლებიც მუშაობაში ხელს გვიშლიდნენ; ახლა ომი სამეურნეო ფრონტზე იქნება. შესაძლებელია, მათ სცადონ ვაჭრობის თავისუფლების აღდგენა, მაგრამ ისინი უჩვენოდ იოლად ვერ წავლენ. შემდეგ, ისინი ვალდებული არიან დაემორჩილონ ჩვენს ყველა კანონს, ჩვენს მუშებს შეუძლიათ მათგან ისწავლონ, ომის შემთხვევაში კი — ხოლო ბურჟუაზიასთან ომისათვის ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ — მთელი ქონება ჩვენ გვრჩება ომის კანონის თანახმად. ვიმეორებ,

კონცესიები — ეს არის ომის განგრძობა სამეურნეო ნიადაგზე, მაგრამ აქ კი აღარ ვანგრევთ, არამედ ვავითარებთ ჩვენს საწარმოო ძალებს. უეჭველია, ისინი შეეცდებიან მოგვატყუონ და ჩვენს კანონებს გვერდი აუარონ, მაგრამ საამისოდ ჩვენ მოგვეპოვება სათანადო დაწესებულებანი: სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, მოსკოვის საგანგებო კომისია, საგუბერნიო საგანგებო კომისიები და ა. შ., და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ.

წლინახევრის წინათ ჩვენ გვინდოდა ხელი მოგვეწერა ზავზე, რომლის მიხედვით ჩვენი მიწაწყლის უზარმაზარი ნაწილი დენიკინსა და კოლჩაკს რჩებოდა. მათ ამაზე უარი თქვეს და ყველაფერი დაკარგეს. ჩვენ სწორად დავსახეთ გზა საერთაშორისო რევოლუციისაკენ, მაგრამ ეს პირდაპირი გზა არაა, იგი მიხვეულ-მოხვეულად მიდის. ჩვენ დავაუძლურეთ ბურჟუაზია, და ის სამხედრო ძალით ვერ მოგვერევა. წინათ ისინი გვიკრძალავდნენ კომუნისტური პროპაგანდის წარმოებას; ახლა კი ეს გახუნდა, ამის მოთხოვნა სასაცილოა. მათთან მიმდინარეობს შიგნიდან გახრწნა, და ეს ჩვენ გვამაგრებს. ჩვენ არ ვფიქრობთ მარტოოდენ სამხედრო ძალით დავამარცხოთ მსოფლიო ბურჟუაზია, და მენშევიკები ტყუილუბრალოდ გვაწერენ ამას.

მე აქ არ მომისმენია ამხ. კამენევის მოხსენება კონფერენციის შესახებ, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს კონფერენცია ერთ გაკვეთილს გვაძლევს: როგორადაც უნდა ჩაიაროს ბრძოლამ, როგორიც უნდა იყოს მოგონებანი, საჭიროა ყველაფერი სავსებით დავაბოლოოთ; უნდა გვახსოვდეს, რომ ძალთა შემჭიდროება ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩვენ მოგველის გადასვლა სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე. ექვსი წლის ომის შემდეგ ეს გადასვლა ძნელია და საჭიროა შემჭიდროებულად ვიაროთ, სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუციების პლატფორმის მიხედვით, რომლებიც აუცილებლად საჭიროა საქმით გავატაროთ. ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, სამეურნეო და ადმინისტრაციული მუშაობა შემჭიდროებას მოითხოვს. ჩვენგან მოელიან პრო-

პაგანდას მაგალითით: უპარტიო მასას მაგალითი უნდა ვაჩვენოთ. რეზოლუციების განხორციელება ძნელი საქმეა, და აქ უნდა მოვუყაროთ თავი ძალებს და გადავიდეთ საქმიან მუშაობაზე, და მეც აქეთკენ მოგიწოდებთ.

«პრავდა» № 269,
1920 წ. 30 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

მოხსენება ზამოსკვორეჩიეს კომუნისტთა საერთო კრებაზე 1920 წ. 29 ნოემბერს [88]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინი საკმაოდ დაწვრილებით შეჩერდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხზე, რომელსაც ჩვენი, ეგრეთწოდებული, «ოპოზიცია» აყენებს თითქმის როგორც პრინციპულ საკითხს თავის უთანხმოებაში საგუბერნიო კონფერენციის უმრავლესობასთან. ლენინმა ჯანსაღ მოვლენად აღიარა «ოპოზიციაში» ამ საკითხის დღის წესრიგში წამოყენების ფაქტი, მაგრამ ამავე დროს შეუტია ოპოზიციას მისდამი ფუქსავატური მიდგომის გამო. ლენინმა აღნიშნა ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში ბიუროკრატიზმის აღორძინების მიზეზები და ამჟამად მისი მასაზრდოებელი ფესვები, ამავე დროს მეტად ენერგიულად გააფრთხილა ამხანაგები, რომ ამ ბოროტებასთან შეუძლებელია ბრძოლა ქაღალდის რეზოლუციებისა და ცარიელი, უშინაარსო კრიტიკის საშუალებით. მენშევიკებიც და ესერებიც, რომელთაც უნდათ ამ საკითხით კაპიტალის შეძენა, ხომ გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენ თითქოს ვერ მოვერევით ბიუროკრატიზმს ჩვენს საბჭოთა აპარატში. ერთ დროს ეს ვაებატონები ამბობდნენ, რომ ჩვენ თითქოს ვერ დავიცავთ ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, ახლა კი ამბობენ: «დაცვით კი დაიცვეს, მაგრამ აი ბიუროკრატიზმი საბჭოთა დაწესებულებებში მაინც დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ლენინი ამა და ამ წიგნში წერდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ბიუროკრატიზმი მოსპობილ იქნებაო».

ნამდვილად კი ეს ასე სულაც არაა.

უწინარეს ყოვლისა უნდა გაუმჯობესდეს ცხოვრების საერთო პირობები, რომ მუშამ არ ირბინოს ტომრით ხელში

პურისათვის, რომ ასიათასობით და მილიონობით მშრომელებმა გაიარონ მუშურ-გლეხური ინსპექციის სკოლა და ისწავლონ სახელმწიფოს მართვა (ეს ხომ ჩვენთვის არავის უსწავლებია), რომ მათ შეეძლოთ ასიათასობით ბურჟუაზიული ბიუროკრატების შეცვლა.

აქვე უნდა ითქვას მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ. ეს ორგანო შეიქმნა დაახლოებით ერთი წლის წინათ, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებად გამოიჩინა თავი, როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის მოსამზადებელმა სკოლამ. კარგი იქნება ამ დარგში იმუშაონ და სასარგებლო გაკვეთილები მიიღონ იმ ამხანაგებმა, რომელთაც ნამდვილად უნდათ დაიჩქარონ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმე.

ლენინმა აღნიშნა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას სწორედ მოსკოვში იმიტომ, რომ აქ ამხანაგებს საქმის დაჭერა უხდებათ არა მარტო მოსკოვის, არამედ სრულიად რუსეთის ბიუროკრატებთანაც, აქ ცენტრალურ დაწესებულებათა არსებობის გამო. მოსკოვში არის 200 000 საბჭოთა მოსამსახურე, რომელთაგან უახლოეს მომავალში შეიძლება სათანადო დაწესებულებებთან ერთად გადავიყვანოთ პიტერში მხოლოდ 10 000.

საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმი არ შეიძლებოდა არ შეჭრილიყო პარტიულ აპარატში, ვინაიდან ეს აპარატები მეტად მჭიდროდაა ერთმანეთზე გადახლართული. ამ ბოროტებასთან ბრძოლა ამჟამად შეიძლება და კიდეც უნდა დავაყენოთ დღის წესრიგში, მაგრამ დავაყენოთ არა იმნაირად, რომ იყოს კრიტიკა მხოლოდ კრიტიკისათვის, არამედ ამ ბრძოლის მეთოდების საქმიან მითითებათა ნიადაგზე, ხოლო კიდევ უკეთესია — ნამდვილი ბრძოლის ნიადაგზე იმ დაწესებულებებში, სადაც გამკრიტიკებელი ამხანაგები მუშაობენ,— ამ ბრძოლის შედეგებისა და გაკვეთილების შეტყობინების ნიადაგზე.

საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლენინმა საკმაოდ მკვეთრი ფორმით მიუთითა თავის «ოპონენტებს», რომ კომუნისტებს არ შეფერით ასეთი ლიტონი კრიტიკა, ასეთი უსაფუძვლო ბრალდებები ც. კ-ის წინააღმდეგ თუნდაც ერთი ფაქტის დაუსახელებლად, თუნდაც სპეცების წამდაუწუმ აბუჩად აგდება, მათი თავმოყრა «ბურჟუაზიული სპეცების» ერთ გროვაში ისე, რომ არ ცდილობენ გაიგონ, თუ რანი არიან ისინი. ლენინმა დაასახელა იმ მთელი რიგი მუშების გვარები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ერთობლივ მუშაობაში სპეცებთან, სათანადო დამოკიდებულება დაამყარეს მათთან და გამოიტანეს მათგან ის, რისი გამოტანაც საჭირო იყო. ასეთი მუშები სპეცებს არ უჩივიან; ბუზღუნებენ ისინი, ვინც სამუშაოზე თავი ვერ გაამართლა. ავიღოთ თუნდაც შლიაპნიკოვი (ერთ-ერთი ოპონენტი, რომელმაც თავი წარმოადგინა როგორც «მუშათა ოპოზიციის» წევრმა), რომელიც მთელი ძალ-ღონით ცდილობს, როგორც ლენინმა თქვა, «გამოჩეკოს უთანხმოებანი», როცა ილაშქრებს ლენინის მოხსენებაში ნათქვამის წინააღმდეგ, რომ ჩვენ ვალში ვართ გლეხობის წინაშე, და აღნიშნავს, რომ აქ «ოპოზიცია შორდება ამხ. ლენინსო». ანდა, იგივე შლიაპნიკოვი, რომელსაც ჯიუტად არ სურს დაინახოს თავისი უხეირო მუშაობა, ხოლო არხანგელსკს გამგზავრება უსათუოდ უნდა დასახოს როგორც გადასახლება ც. კ-ის მხრივ. ანდა, ამხ. ბუბნოვი, რომელმაც ამდენი ილაპარაკა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაზე და არაფერი შეგვატყობინა იმის შესახებ, თუ როგორ ებრძვის ის ბიუროკრატიზმს თუნდაც თავის «გლავტექსტილში», სადაც ეს ბიუროკრატიზმი ნაკლები კი არა, თითქმის უფრო მეტია, ვიდრე სხვა დაწესებულებებში. ამიტომ, — აფრთხილებდა ზამოსკვორეჩიელ ამხანაგებს ვლადიმერ ილიას-ძე, — როდესაც თქვენ გესმით ასეთი კრიტიკა, უშინაარსო კრიტიკა, კრიტიკა მხოლოდ კრიტიკისათვის, — ფრთხილად იყავით, გამოარკვიეთ, იქნებ, გამკრიტიკებელი ამხანაგის თავმოყვარეობა

რითიმე შელახეს, იქნებ, მას რითიმე პირადად შეეხენ ან გააღიზიანეს, რაც მას უბიძგებს კიდეც უსაფუძვლო ოპოზიციისაკენ, ოპოზიციისაკენ მხოლოდ ოპოზიციის გულისათვის.

დასასრულ ამხ. ლენინმა პასუხი გასცა შემოსულ ბარათებზე და უფრო დაწვრილებით შეჩერდა კონცესიების საკითხზე.

«პრავდა» № 273,
1920 წ. 4 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დეპეშა სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს [89]

ერევანი. სომხეთის რევოლუციური სამხედრო
კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კასიანს

თქვენი სახით მივესალმები იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ ძმური სოლიდარობის დასამყარებლად სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი, 1920 წ. 2 დეკემბერი

«პრავდა» № 273,
1920 წ. 4 დეკემბერი

იბეჭდება ი. ბ. სტალინის
მიერ დაწერილი ტექსტის
მიხედვით

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წ. 6 დეკემბერს

ამხანაგებო, მე დიდად კმაყოფილი ვარ და ამავე დროს, უნდა ვაღიარო, გაკვირვებულიც, რომ კონცესიის საკითხი ასეთ დიდ ინტერესს იწვევს. ყოველი მხრიდან შეძახილები ისმის, უმთავრესად ის მოდის ქვედაფენებიდან. კითხულობენ, ეს რა გამოდის: ჩვენი ექსპლოატატორები განვდევნეთ და სხვებისას კი მოვუხმობთო?

თუ რატომ იწვევს ეს შეძახილები ჩემში კმაყოფილებას, ეს გასაგებია. თუ ქვედაფენებიდან მოისმის სიფრთხილის შეძახილები, ძველი კაპიტალისტები არ დაგვიბრუნონო, თუ ეს ხმაურობა ატყდა ისეთი მეათეხარისხოვანი აქტის გამო, როგორიცაა დეკრეტი კონცესიის შესახებ, აშკარაა, ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ძლიერი ყოფილა იმის შეგნება, თუ რამდენად საშიშია კაპიტალიზმი და რამდენად დიდია მის წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელე. ეს, რასაკვირველია, ჩინებულია, და ჩინებულია მით უფრო, რომ, როგორც უკვე ვთქვი, გაფრთხილება ქვედაფენებიდან მოდის.

კონცესიების საკითხში ძირითადი, პოლიტიკურ მოსაზრებათა თვალსაზრისით, — აქ კი არის პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებანი, — კონცესიების საკითხში ძირითადი, პოლიტიკურ მოსაზრებათა თვალსაზრისით, ის წესია, რომელიც ჩვენ არათუ თეორიულად შევითვისეთ, არამედ პრაქტიკულად გამოვიყენეთ და რომელიც ჩვენთვის ძირითად წესად დარჩება დიდხანს, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე მთელ მსოფლიოში, სახელდობრ: უნდა გამოვიყენოთ

დაპირისპირებანი და წინააღმდეგობანი ორ იმპერიალიზმს შორის, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ორ ჯგუფს შორის, გადავკიდოთ ისინი ერთიმეორეს. ვიდრე ჩვენ მთელი მსოფლიო არ დაგვიპყრია, ვიდრე ჩვენ ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოზე უფრო სუსტნი ვართ, მანამდე უნდა ვიხელმძღვანელოთ წესით: უნდა შეგვეძლოს იმპერიალისტთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა და დაპირისპირებათა გამოყენება. ჩვენ რომ ამ წესით არ გვეხელმძღვანელა, დიდი ხანია ყველას ანდერძს აგვიგებდნენ — კაპიტალისტების სასიხარულოდ. ძირითადი გამოცდილება ამ მხრივ ჩვენ უკვე გვქონდა, როცა ბრესტის ხელშეკრულებას ვდებდით. არ უნდა დავუსკვნათ, რომ ხელშეკრულებანი შეიძლება იყოს ისეთი, როგორც ბრესტის ან ვერსალის ხელშეკრულებებია. ეს სწორი არაა. შესაძლებელია აგრეთვე მესამენაირი, ჩვენთვის ხელსაყრელი ხელშეკრულებაც.

ბრესტი იმით არის შესანიშნავი, რომ პირველად უდიდესი მასშტაბით, წარმოუდგენელ სიძნელეებში, შევძელით იმპერიალისტთა შორის არსებული წინააღმდეგობის იმგვარად გამოყენება, რომ საბოლოო ანგარიშით მოგებული დარჩა სოციალიზმი. ბრესტის დროს იმპერიალისტურ მტაცებელთა ორი გიგანტურად ძლიერი ჯგუფი არსებობდა: გერმანია—ავსტრიისა და ინგლის — ამერიკა — საფრანგეთისა. ისინი გააფთრებული ებრძოდნენ ერთმანეთს; ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა უახლოესი დროისათვის მსოფლიოს ბედიღბალი. თუ ჩვენ გავძელით, მაშინ როდესაც სამხედრო აზრით ნულს წარმოვადგენდით, არაფერი გვქონდა და ეკონომიურად განუწყვეტლივ დალმავალი ხაზით მივდიოდით დაშლის სიღრმისაკენ, — თუ ჩვენ მაინც გავძელით, ეს სასწაული მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სწორად გამოვიყენეთ გერმანიისა და ამერიკის იმპერიალიზმის შუღლი. ჩვენ ძალიან ბევრი დავუთმეთ გერმანიის იმპერიალიზმს და, დავუთმეთ რა ერთ იმპერიალიზმს, ერთბაშად დავიფარეთ თავი ორივე იმპერიალიზმის მხრივ დევნისაგან. გერმანიას არ შეეძლო დაეწყო

საბჭოთა რუსეთის დახრჩობა არც ეკონომიურად და არც პოლიტიკურად, მას ამისთვის არ სცალოდა. ჩვენ მას ვაძლევდით უკრაინას, საიდანაც შეეძლო, რამდენიც უნდოდა, წაეღო პური და ნახშირი, — რა თქმა უნდა, თუ მოახერხებდა წაღებას, თუ ექნებოდა სასიცოცხლო ძალა წასაღებად. ინგლის — საფრანგეთ — ამერიკის იმპერიალიზმს არ შეეძლო შემოეტია ჩვენთვის, ვინაიდან პირველად მას შევთავაზეთ ზავი. ახლა ამერიკაში გამოდის რობინსის სქელი წიგნი, რომელიც მოგვითხრობს: ლენინთან და ტროცკისთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდით და ზავის შესაკრავად თანხმობაც გვქონდაო. თუმცა ისინი ჩეხ-სლოვაკებს ეხმარებოდნენ და მათ ინტერვენციაში ითრევდნენ, მაგრამ თავისი ომით იყვნენ გართულნი და ჩარევა არ შეეძლოთ.

ერთი შეხედვით, გამოვიდა რაღაც ბლოკის მაგვარი პირველ სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის იმპერიალიზმს შორის წინააღმდეგ მეორე იმპერიალიზმისა. მაგრამ არავითარი ბლოკი არ შეგვიკრავს, არსად არ გადაგვილახავს ის საზღვარი, რომელიც ძირს უთხრიდეს ან ჩირქს ცხებდეს სოციალისტურ ხელისუფლებას, — ჩვენ მხოლოდ გამოვიყენეთ ორ იმპერიალიზმს შორის არსებული მტრობა ისე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ორივემ წააგო. გერმანიამ ბრესტის ზავით ვერაფერი წაიღო, გარდა რამდენიმე მილიონი ფუთი პურისა, გერმანიაში კი ბოლშევიკური გახრწნა შეიტანა. ჩვენ კი მოვიგეთ დრო, რომლის განმავლობაში დაიწყო წითელი არმიის ჩამოყალიბება. უკრაინის უდიდესი უბედურებანიც კი ისეთი აღმოჩნდა, რომ მათი განკურნვა შეიძლებოდა, თუმცა ძნელი და მძიმე საფასურით. ის, რისი იმედიც ჰქონდათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, — რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მალე დამხობა, — არ მოხდა. სწორედ ის დრო, რომელიც ისტორიამ მოგვცა შესასვენებლად, გამოვიყენეთ ისე გასამაგრებლად, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ჩვენი აღება სამხედრო ძალით. ჩვენ მოვიგეთ ტემპი, მოვიგეთ ცოტა დრო და ამაში მივეცით მხოლოდ მეტად დიდი სივრცე. მახსოვს, მაშინ ფილოსოფოსობდნენ, დროის მოსაგებად სივრცე უნდა მივცეთო.

სწორედ ფილოსოფოსთა თეორიას დროისა და სივრცის შესახებ ჩვენ პრაქტიკულად და პოლიტიკურად მოვექეცით; სივრცე ბევრი მივეცით, მაგრამ დრო მოვიგეთ იმდენი, რომ მის განმავლობაში გამაგრება შეგვძლებოდა. ამის შემდეგ კი, როცა ყველა იმპერიალისტმა მოინდომა დიდი ომი გაემართა ჩვენთვის, აღმოჩნდა, რომ ეს არ შეიძლება, — დიდი ომისათვის მათ არც სახსრები ჰქონდათ და არც ძალა. მაშინ ჩვენ ძირითადი ინტერესები არ მიგვიტანია მსხვერპლად; ჩვენ დავუთმეთ მეორეხარისხოვანი და შევინარჩუნეთ ძირითადი ინტერესები.

აქ, სხვათა შორის, დგება ოპორტუნიზმის საკითხი. ოპორტუნიზმი ის არის, როცა ძირითად ინტერესებს სწირავ და დროებითს, ნაწილობრივ სარგებლობას არჩევ. აი რა არის უმთავრესი, თუ ავიღებთ ოპორტუნიზმის თეორიულ განსაზღვრას. აქ ბევრი დაიბნა. ჩვენ ბრესტის ზავით, სოციალიზმის თვალსაზრისით, რუსეთის სწორედ მეორეხარისხოვან პატრიოტულად გაგებულ ინტერესებს ვწირავდით მსხვერპლად; ჩვენ უდიდესი მსხვერპლი მიგვქონდა, მაგრამ ეს მსხვერპლი მაინც მეორეხარისხოვანი იყო. გერმანელებს მთელი თავისი არსებით სძულდათ ინგლისი. მათ ბოლშევიკებიც ასევე ძალიან სძულდათ, მაგრამ ჩვენ ისინი ჩავიტყუეთ, ისინი ჩაეფლენ. ისინი მუდამ გვარწმუნებდნენ, რომ ისე შორს, როგორც ნაპოლეონი, არ წამოვლენ, — და მართლაც, ისინი მოსკოვამდე არ მოსულან, მაგრამ მათ უკრაინაზე გაილაშქრეს და იქ კიდეც დაიღუპნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ბევრი რამ ისწავლეს ნაპოლეონისაგან, მაგრამ ნამდვილად სხვანაირად გამოვიდა. ჩვენ კი ძალიან ბევრი მოვიგეთ.

ბრესტის ზავის მაგალითმა ბევრი რამ გვასწავლა. ამჟამად ჩვენ ორ მტერს შუა ვიმყოფებით. თუ ორივეს ვერ დავამარცხებთ, უნდა მოვახერხოთ და ისე დავაწყოთ ჩვენი ძალები, რომ მტრები წაიჩხუბონ, რადგანაც, ისე როგორც ყოველთვის, როდესაც ორი ქურდი ჩხუბობს, ამით პატიოსანი კაცი რჩება მოგებული; მაგრამ როგორც კი იმდენად ძლიერი გავხდებით, რომ შეგვეძლება მთელი კაპიტალიზმის

დამარცხება, მაშინვე, დაუყოვნებლივ ვწვდებით მას კისერში. ჩვენი ძალები იზრდება და ძალიან სწრაფადაც იზრდება. თუ ბრესტის ზავის მიმართ ეს ისეთი გაკვეთილია, რომელსაც არასოდეს დავივიწყებთ და რომელიც თავისი დასკვნებით ყოველ პროპაგანდასა და ქადაგებაზე უფრო მდიდარია, — ახლა ჩვენ მოვიგეთ იმ აზრით, რომ საკუთარ ფეხზე დავდექით. ჩვენ გარს გვარტყია იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომელთაც მთელი არსებით სძულთ ბოლშევიკები; ეს სახელმწიფოები ხარჯავენ უამრავ ფულს, ფლანგავენ იდეურ ძალებს, ბეჭდვითი სიტყვის ძალას და სხვ., და, მიუხედავად ამისა, სამი წლის განმავლობაში სამხედრო მხრივ ვერ მოგვერივნენ, თუმცა სამხედრო-ეკონომიური აზრით ჩვენ მათზე გაცილებით უფრო სუსტნი ვართ. ჩვენ იმის მეასედი ძალაც არ გაგვაჩნია, რაც შეერთებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს აქვთ, და, მიუხედავად ამისა, მათ არ ძალუძთ ჩვენი განადგურება. მათ არ ძალუძთ ჩვენი განადგურება იმიტომ, რომ მათ ჯარისკაცები არ ემორჩილებიან; ომით დაქანცულ მათ მუშებსა და გლეხებს არა სურთ ომი საბჭოთა რესპუბლიკასთან. ასეთია მდგომარეობა ამჟამად, და ჩვენც აქედან უნდა გამოვიდეთ. როგორი იქნება ეს მდგომარეობა რამდენიმე წლის შემდეგ, არ ვიცით, რადგან დასავლეთის სახელმწიფოები წლიდან წლამდე ისვენებენ ომისაგან.

III ინტერნაციონალის II კონგრესიდან დაწყებული, ჩვენ მტკიცედ შევიჭერით იმპერიალისტურ ქვეყნებში არა მარტო იდეურად, არამედ ორგანიზაციულადაც. ამჟამად ყველა ქვეყანაში არსებობს ისეთი ბირთვი, რომელიც დამოუკიდებელ მუშაობას აწარმოებს და მომავალშიაც გაუძღვება მას. ეს საქმე გაკეთებულია. მაგრამ რევოლუციის სიჩქარე, მისი განვითარების ტემპი კაპიტალისტურ ქვეყნებში გაცილებით უფრო ნელია, ვიდრე ჩვენში. ცხადი იყო, რომ როცა ხალხი ზავს მიიღებდა, ამას აუცილებლად მოყვებოდა რევოლუციური მოძრაობის შენელება. ამიტომ, მკითხაობას თუ არ დავიწყებთ მომავალზე, ჩვენ არ შეგვიძლია ამჟამად იმის იმედით ვიყოთ, რომ ეს ტემპი აჩქარდება. ჩვენი ამოცანაა გადავწყვიტოთ,

თუ როგორ მოვიქცეთ ამჟამად. ადამიანები სახელმწიფოში ცხოვრობენ, თვითეული სახელმწიფო კი ცხოვრობს სახელმწიფოთა სისტემაში, ხოლო ეს სახელმწიფონი ერთიმეორის მიმართ განსაზღვრული პოლიტიკური წინასწორობის სისტემაში იმყოფებიან.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთელი დედამიწის ზურგზე კაპიტალისტებს შესყიდული აქვთ ნედლეული მასალის უმდიდრესი წყაროების უმეტესი ნაწილი, ან, თუ შესყიდული არა, პოლიტიკურად მაინც აქვთ დაპყრობილი; რაკი არსებობს წინასწორობა კაპიტალისტურ საფუძველზე, უნდა შეგვეძლოს ამას ანგარიში გავუწიოთ, უნდა შეგვეძლოს ამის გამოყენება. თანამედროვე ანტანტის წინააღმდეგ ომის წარმოება ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენი აგიტაციის საქმე გაკეთებულია და კეთდება დიდებულად, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. პოლიტიკურად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მოწინააღმდეგეთა შორის არსებული უთანხმოებანი, და მხოლოდ ღრმა უთანხმოებანი, რომლებიც აიხსნება უღრმესი ეკონომიური მიზეზებით. თუ ჩვენ შევეცდებით წვრილმან, შემთხვევით წინააღმდეგობათა გამოყენებას, — წვრილფეხა პოლიტიკანისა და იაფფასიანი დიპლომატის მდგომარეობაში ჩავვარდებით. მაგრამ ამით დიდს ვერაფერს მოვიგებთ. ამით მოთამაშე დიპლომატები ფრიად მრავალრიცხოვანი არიან; ისინი თამაშობენ რამდენიმე თვე, იკეთებენ კარიერას, მერე კი უკვალოდ ქრებიან.

არსებობს თუ არა თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში ძირითადი წინააღმდეგობანი, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ? არსებობს სამი ძირითადი წინააღმდეგობა, რომლებიც მინდა დავასახელო. პირველი, ჩვენთან უახლოესი, ეს არის იაპონიისა და ამერიკის ურთიერთობა. მათ შორის ომი მზადდება. მათ არ შეუძლიათ მშვიდობიანად იცხოვრონ წყნარი ოკეანის სანაპიროებზე, თუმცა ამ სანაპიროებს 3 000 ვერსი აშორებს ერთმანეთისაგან. ეს მეტოქეობა უდავოდ მათი კაპიტალიზმების ურთიერთობიდან გამომდინარეობს. არსებობს დიდძალი ლიტერატურა, რომელიც იაპონია — ამე-

რიკის მომავალ ომს შეეხება. ომი რომ მზადდება, იგი რომ აუცილებელია, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. პაციფისტები ცდილობენ გვერდი აუარონ ამ საკითხს, მიჩქმალონ ის ზოგადი ფრაზებით, მაგრამ ყველასთვის, ვინც ეკონომიური ურთიერთობისა და დიპლომატიის ისტორიას სწავლობს, ცხადზე უცხადესია, რომ ომი ეკონომიურად მომწიფდა და პოლიტიკურად მზადდება. ერთ წიგნსაც ვერ ნახავთ ამ საკითხის შესახებ, რომ მასში არ იგრძნოთ ომის მომწიფება. დედამიწა დაყოფილია. იაპონიამ უამრავი კოლონიები დაიპყრო. იაპონიას 50 მილიონი მცხოვრები ჰყავს და იგი ეკონომიურად შედარებით სუსტია. ამერიკას 110 მილიონი მცხოვრები ჰყავს, არავითარი კოლონია არ გააჩნია, თუმცა იაპონიაზე ბევრჯერ უფრო მდიდარია. იაპონიამ ხელთ იგდო ჩინეთი, სადაც 400 მილიონი მოსახლეობაა და სადაც მსოფლიოში უმდიდრესი ნახშირის მარაგი არსებობს. როგორ შეინარჩუნებს ასეთ რამეს? სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ უფრო ძლიერი კაპიტალიზმი არ წაართმევს უფრო სუსტ კაპიტალიზმს ყოველივეს, რაც ამ უკანასკნელს ძარცვით წაუგლეჯია. ასეთ ვითარებაში განა შეიძლება ამერიკელები გულგრილნი დარჩნენ? განა შეიძლება ძლიერი კაპიტალისტები სუსტ კაპიტალისტთა გვერდით დატოვოთ და ამავე დროს იფიქროთ, რომ პირველნი არ წაართმევენ? მაშინ ისინი რაღა კაპიტალისტები იქნებიან? მაგრამ ასეთ მდგომარეობაში შეგვიძლია განა გულგრილად დავსხდეთ და ვთქვათ მხოლოდ, როგორც კომუნისტებმა: «ჩვენ კომუნიზმის პროპაგანდას გავწევთ ამ ქვეყნებში». ეს სწორია, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. კომუნისტური პოლიტიკის პრაქტიკული ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვიყენოთ ეს მტრობა, ერთმანეთს გადავკიდოთ ისინი. აქ ახალი ვითარება იქმნება. თუ აიღებთ ორ იმპერიალისტურ ქვეყანას: იაპონიას და ამერიკას — მათ უნდათ იომონ, ისინი იომებენ მსოფლიოში პირველობისათვის, ძარცვა-გლეჯის უფლებისათვის. იაპონია იომებს იმისათვის, რომ განაგრძოს კორეის ძარცვა, — კორეას ის

ძარცვავს გაუგონარი სიმხეცით, რომელშიც შეერთებულია ტექნიკის ყველა უახლესი გამოგონება და წმინდა აზიური წამებანი. ამას წინათ ჩვენ მივიღეთ კორეული გაზეთი, სადაც მოთხრობილია, თუ რას სჩადიან იაპონელები. აქ ცარიზმის ყველა მეთოდი, ტექნიკის ყველა უახლესი გაუმჯობესება შეერთებულია წამების წმინდა აზიურ სისტემასთან, გაუგონარ სიმხეცესთან. მაგრამ ამ კორეული გემრიელი ლუკმის გამოგლეჯა უნდათ ამერიკელებს. რა თქმა უნდა, სამშობლოს დაცვა ასეთ ომში უდიდესი დანაშაული, სოციალიზმის ღალატი იქნება. რა თქმა უნდა, ერთი ქვეყნისთვის მხარის დაჭერა მეორის წინააღმდეგ — დანაშაული იქნება კომუნიზმის წინაშე, მაგრამ ჩვენ, კომუნისტებმა, უნდა გამოვიყენოთ ერთი ქვეყანა მეორის წინააღმდეგ. დანაშაულს ჩავდივართ თუ არა ამით კომუნიზმის წინაღმდეგ? არა, იმიტომ რომ ჩვენ ამას ვშვრებით როგორც სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს კომუნისტურ პროპაგანდას და რომელიც იძულებულია გამოიყენოს გარემოებათა მიერ ბოძებული ყოველი საათი, რათა გამაგრდეს, განმტკიცდეს მაქსიმალური სისწრაფით. ჩვენ გამაგრება დავიწყეთ, მაგრამ მეტად ნელა ვმაგრდებით. ამერიკა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიური და სამხედრო ძლიერების მხრივ საშინელი სისწრაფით იზრდებიან. რაც უნდა ძალები მოვიკრიბოთ, ჩვენი ზრდა მაინც გაცილებით უფრო ნელი იქნება.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ შექმნილი მდგომარეობა: ამაშია კამჩატკის კონცესიების მთელი დედააზრი. ჩვენში ჩამოვიდა ვანდერლიპი, ცნობილი მილიარდერის შორეული ნათესავი, თუ მას დავუჯერებთ, მაგრამ რადგანაც ჩვენი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ჩინებულად დაყენებული კონტრდაზვერვა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მისწვდა ამერიკის ჩრდილოეთ შტატებს, ამიტომ ჯერჯერობით ვერ გავიგეთ ამ ვანდერლიპების ნათესაობა. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არისო. მე ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი: ჩემი ცოდნა იმით განისაზღვრება, რომ წავიკითხე ვანდერლიპის წიგნაკი, არა იმ ვანდერლიპისა, რომელიც

ჩვენში იყო და რომელსაც ისეთ წარჩინებულ კაცად სახავენ, რომ მას ყველა მეფე და მინისტრი დიდი პატივით იღებდა,— აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მისი ქისა ძალიან სქელი ყოფილა, — იგი კი ისეთი ტონით მსჯელობდა მათთან, როგორითაც ელაპარაკებიან ადამიანები ერთმანეთს იმისთანა კრებაზე, როგორც ჩვენი კრებაა, და იგი დამშვიდებით ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ აღვადგინოთ ევროპაო. თუ მინისტრები მას მოკრძალებით ელაპარაკებოდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვანდერლიპს კავშირი აქვს მილიარდერებთან: მისი წიგნაკი გვიჩვენებს იმ საქმოსნის თვალსაზრისს, რომელმაც მეტი არაფერი იცის, რომელიც ევროპას უკვირდება და ამბობს: «მგონი, არაფერი გამოვა და ყველაფერი უფსკრულში ჩაინგრევაო». ეს წიგნი გაჟღენთილია ბოლშევიზმისადმი სიძულვილით. ის მეტად საინტერესო წიგნაკია აგიტაციის აზრითაც, უკეთესია, ვიდრე ყოველგვარი სხვა კომუნისტური წიგნაკები, — რადგანაც საბოლოო დასკვნა ის არის, რომ «როგორც ვხედავთ, ეს ავადმყოფი აღარ განიკურნება, თუმცა მის სამკურნალოდ ფულიც ბევრი გვაქვს და საშუალებაცო».

ვანდერლიპმა თან ჩამოიტანა წერილი სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე. ეს წერილი ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ის მეტად გულახდილად, ცინიზმითა და ამერიკელი კულაკის უხეშობით ამბობს: «ჩვენ ძალიან ძლიერნი ვართ 1920 წელს; ჩვენი ფლოტი 1923 წელს კიდევ უფრო ძლიერი იქნება, მაგრამ ჩვენს ძლიერებას ხელს უშლის იაპონია, და მასთან ომი მოგვიხდება, ხოლო ომი არ შეიძლება ნავთისა და ნავთობის გარეშე. თუ თქვენ მოგვყიდით კამჩატკას, სიტყვას გაძლევთ, ამერიკელი ხალხის ენთუზიაზმი იმდენად დიდი იქნება, რომ ჩვენ გიცნობთ თქვენ. ახალი პრეზიდენტის არჩევნები მარტში ჩვენს პარტიას გამარჯვებას მოუპოვებს. ხოლო თუ კამჩატკას მოგვცემთ იჯარით, მე გიცხადებთ, რომ მაშინ ასეთი ენთუზიაზმი არ იქნება». სიტყვასიტყვით თითქმის ასეთია მისი წერილის შინაარსი. ჩვენს წინაშე დგას

სრულიად გაშიშვლებული იმპერიალიზმი, რომელიც არც კი თვლის საჭიროდ თავისი სიშიშვლე დაფაროს, რადგან უამისოდაც მშვენიერი ჰგონია თავისი თავი. როცა ასეთი წერილი მივიღეთ, ჩვენთვის ვთქვით: ამას ორივე ხელით უნდა ჩავეჭიდოთ-თქო. იგი რომ ეკონომიურად მართალია, ამას ამტკიცებს ის, რომ რესპუბლიკური პარტია ამერიკაში გამარჯვების წინ იმყოფება. ამერიკის ისტორიაში პირველად სამხრეთში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს დემოკრატების წინააღმდეგ. მაშასადამე, ცხადია, რომ ჩვენს წინაშეა იმპერიალისტის ეკონომიურად სწორი მსჯელობა. კამჩატკა ეკუთვნის ყოფილ რუსეთის იმპერიას. ეს მართალია. ვისღა ეკუთვნის იგი ამჟამად — არავინ იცის. თითქოს ის იმ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, რომელსაც შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა ეწოდება, მაგრამ თვით ამ სახელმწიფოს საზღვრები ზუსტად დადგენილი არ არის. მართალია, ზოგიერთი დოკუმენტი ამის თაობაზე იწერება, მაგრამ, ეს დოკუმენტები, ჯერ-ერთი, მზად არ არის, ხოლო, მეორე, ისინი ჯერ კიდევ დამტკიცებული არაა. შორეულ აღმოსავლეთში ბატონობს იაპონია, რომელსაც შეუძლია იქ აკეთოს ყველაფერი, რაც კი სურს. თუ ჩვენ კამჩატკას, — რომელიც იურიდიულად ჩვენ გვეკუთვნის, ფაქტიურად კი ხელთ იგდო იაპონიამ,— ამერიკას მივცემთ, ცხადია, ჩვენ მოვიგებთ. აი ჩემი პოლიტიკური მსჯელობის საფუძველი, და, ამაზე დაყრდნობით, ჩვენ ერთბაშად გადავწყვიტეთ აუცილებლივ დაგვედვა ამერიკასთან ხელშეკრულება. რა თქმა უნდა, ამასთანავე ჩვენ უნდა ვევაჭროთ, რადგან არც ერთი ვაჭარი არ გვცემს პატივს, თუ არ შევევაჭრებით. ამიტომ ამხ. რიკოვმა დაიწყო ვაჭრობა, და ჩვენ დავწერეთ ხელშეკრულების პროექტი. მაგრამ როცა საქმე ხელის მოწერაზე მიდგა, ჩვენ განვაცხადეთ: «ყველამ იცის, ვინ ვართ ჩვენ, — მაგრამ თქვენ ვინა ხართ?». აღმოჩნდა, რომ ვანდერლიპი გარანტიას ვერ მოგვცემს და მაშინ ჩვენ ვუთხარით — დათმობისთვის მზადა ვართ. ეს ხომ პროექტია მხოლოდ, თქვენ კი თვითონ თქვით, რომ

ის ძალაში შევა, როცა გაიმარჯვებს თქვენი პარტია, ხოლო მას ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია, ამიტომ ჩვენ დავიცდით.

ხელშეკრულების პროექტი არაფერს არ გვავალებს, ჩვენ ყოველ წუთში შეგვიძლია უარი ვთქვათ. ამ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ მხოლოდ დროს ვანდერლიპთან ლაპარაკზე და რამდენიმე ფურცელ ქაღალდს, — ხოლო ამჟამად ჩვენ უკვე მოვიგეთ. საკმარისია გადახედოთ ევროპულ ცნობებს იმის დასანახავად, რომ ჩვენ მოვიგეთ. იაპონიიდან არ მოსულა არც ერთი ცნობა, რომელიც არ ლაპარაკობდეს უდიდეს შეშფოთებაზე მოსალოდნელი კონცესიების გამო. იაპონია აცხადებს: «ჩვენ ამას არ მოვითმენთ, ეს არღვევს ჩვენს ინტერესებსო». — ბატონი ბრძანდებით, მოერიეთ ამერიკას, ჩვენ ამის საწინააღმდეგო არა გვექნება რა. ჩვენ იაპონია უკვე გადავკიდეთ ამერიკას, ტლანქად რომ ვთქვათ, და ამით მოგებული დავრჩით. ჩვენ მოგებული დავრჩით ამერიკელების მიმართაც.

ვინ არის ვანდერლიპი? ჩვენ ვერ გავარკვიეთ ვინ არის, მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროში დამტკიცებულია, რომ უბრალო მოქალაქეების შესახებ დეპეშებით არ ჰფენენ მთელ ქვეყნიერებას. ხოლო როცა იგი ჩვენგან წავიდა, მთელ ქვეყნიერებას მოეფინა დეპეშები. და აი იგი ამბობდა, რომ მიიღო ხელსაყრელი კონცესია, და დაუწყო ყველგან ქება ლენინს. ამას იუმორისტული ხასიათი აქვს, მაგრამ ნება მომეცით ვთქვა, რომ ამ იუმორისტიკაში არის ცოტაოდენი პოლიტიკა. როცა აქ ყველაფერი გაათავა, ვანდერლიპმა მოისურვა ჩემი ნახვა. მე დავეკითხე სათანადო უწყებათა წარმომადგენლებს, უნდა მიმეღო იგი თუ არა. მეუბნებიან: «დაე უფრო კმაყოფილი წავიდესო». ვანდერლიპი მოდის; ჩვენ ვბაასობთ ყველა ამ საქმეზე; ამასთანავე, როცა მან თქვა, რომ ის ციმბირში ნამყოფია, იცნობს ციმბირს, რომ მას მუშური ჩამომავლობა აქვს, როგორც ამერიკელ მილიარდერთა უმრავლესობას და სხვ., რომ ისინი აფასებენ მხოლოდ პრაქტიკულ საქმეს, რომ ისინი მხოლოდ მაშინ აფასებენ, როცა ნახავენ, — მე ვუპასუხე: «აი, თქვენ პრაქტიკული ხალხი ხართ, დაუკვირდით, რა არის

საბჭოთა სისტემა, და შემოიღეთ თქვენში». მან შემომხედა, ცოტა გაუკვირდა ლაპარაკის ასე წარმართვა, და მეუბნება რუსულად (მთელი ლაპარაკი ინგლისურ ენაზე წარმოებდა): «შეიძლება». მე გაკვირვებით ვეკითხები, საიდან იცის მან რუსული ენა. — «როგორ არა, ციმბირის ოლქების მომეტებული ნაწილი მე ცხენით შემოვიარე». როცა ვემშვიდობებოდით ერთმანეთს, მან თქვა: «მე ამერიკაში უნდა ვთქვა, რომ მისტერ ლენინს (მისტერი ჩვენებურად ნიშნავს — ბატონს), რომ ბატონ ლენინს რქები არა აქვს». მე უცბად ვერ გავიგე, რადგან საზოგადოდ ინგლისური ცუდად ვიცი. — «რა თქვით? გაიმეორეთ». იგი მკვირცხლი მოხუცია, ხელით მიჩვენა საფეთქლები და თქვა: «რქები არა აქვს». თარჯიმანი იქვე იყო, ის ამბობს: «დიახ, სწორედ ასეა». ამერიკაში ყველა დარწმუნებულია, რომ აქ უნდა იყოს რქები, ე. ი. მთელი ბურჟუაზია ლაპარაკობს, რომ მე ეშმაკისაგან ნიშანდებული ვარ. — «ახლა კი მე უნდა ვთქვა, რომ რქები არა აქვს»-ო, თქვა ვანდერლიპმა. ჩვენ მეტად თავაზიანად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. მე იმედი გამოვთქვი, რომ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული დამოკიდებულების ნიადაგზე არა მარტო კონცესია დაიდება, არამედ ურთიერთ ეკონომიური დახმარებაც ნორმალურად განვითარდება. სულ ამ კილოთი ვლაპარაკობდით. მერე კი ახმაურდნენ დეპეშები საზღვარგარეთიდან მოსული ვანდერლიპის ნაამბობის შესახებ. ვანდერლიპი ადარებდა ლენინს ვაშინგტონს და ლინკოლნს. ვანდერლიპმა მთხოვა ჩემი სურათი წარწერით. მე უარი ვუთხარი, იმიტომ რომ, როცა სურათს აძლევ, ზედ აწერ: «ამხანაგ ამასა და ამას», ხოლო «ამხანაგ ვანდერლიპს» ვერ დავწერდი. მიუხედავად ამისა მაინც მოვიდა ამგვარი დეპეშები: აქედან ჩანს, რომ იმპერიალისტურ პოლიტიკაში მთელმა ამ ისტორიამ ერთგვარი როლი ითამაშა. გარდინგმა,— იმ პირმა, რომელიც პრეზიდენტად არის არჩეული, მაგრამ თანამდებობის ასრულებას შეუდგება მხოლოდ მომავალი წლის მარტში, — როცა გამოქვეყნდა ცნობები ვანდერლიპის კონცესიების შესახებ, ოფიციალურად უარყო ეს: «მე არაფერი ვიცი, ბოლშევიკებ-

თან დამოკიდებულება არა მაქვს, არავითარ კონცესიაზე არ გამიგონიაო». ეს იყო არჩევნების დროს, ხოლო არჩევნების დროს იმის აღიარებას, რომ ბოლშევიკებთან მაქვს საქმეო, შეეძლო ხმების დაკარგვა გამოეწვია.

მთელი ეს გარიგება მოასწავებს იმპერიალისტურ ძალთა განრიდებას ჩვენგან, — ჯერჯერობით იმპერიალისტები სხვედან, ოხრავენ და უცდიან, როდის დადგება ხელსაყრელი მომენტი ბოლშევიკების დასახრჩობად, ჩვენ კი ეს მომენტი შორს გადაგვაქვს. როცა იაპონია ებმებოდა კორეის ავანტიურაში, იაპონელები ეუბნებოდნენ ამერიკელებს: «რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ ბოლშევიკები, მაგრამ რას მოგვცემთ თქვენ ამისათვის? ჩინეთს? ჩვენ მას ისედაც წავიღებთ, ხოლო აქ ჩვენ ათი ათასი ვერსი უნდა გავიაროთ და დავუწყოთ ცემა ბოლშევიკებს, ამერიკელები კი ზურგში გვყავს. არა, ასე პოლიტიკას არ აწარმოებენო». უკვე მაშინ იაპონელები რამდენიმე კვირაში დაგვამარცხებდნენ, ორლიანდაგიანი რკინიგზა რომ ყოფილიყო და ამერიკას რომ სატრანსპორტო დახმარება აღმოეჩინა მათთვის. ჩვენ იმან გვიშველა, რომ იაპონია ჩინეთს სჭამდა და დასავლეთისაკენ, მთელი ციმბირის გავლით, ვერ დაიძვროდა, რადგან ზურგში ამერიკა ჰყავდა და მას არ უნდოდა ნარი ეგლიჯა ამერიკის გულისათვის.

კიდევ უფრო გვიშველიდა ის გარემოება, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს რომ ომი აეტეხათ ერთმანეთისათვის. თუ ჩვენ იძულებული ვართ მოვითმინოთ ისეთი არამზადები, როგორიც არიან კაპიტალისტური ქურდები, რომელთაგან თვითეული ლესავს დანას ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ამ დანებით ისინი ერთმანეთს დაერიონ. როდესაც ორი ქურდი ერთმანეთს ეჩხუბება, პატიოსანი ადამიანები მოგებული რჩებიან. სხვა მოგება — წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა. ეს კონცესია კიდეც რომ არ იქნეს, მარტო კონცესიის პროექტი მოგვცემს შოგებას. მოგება ეკონომიურია: ის მოგვცემს პროდუქტების ნაწილს. ამერიკელებმა პროდუქტების ნაწილი რომ მიიღონ, ეს

ხელსაყრელი იქნება. კამჩატკაზე ნავთობი და მადანი იმდენია, რომ ჩვენ მას, ცხადია, ვერ დავამუშავებთ.

მე დაგისახელეთ ერთი იმპერიალისტური წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ,—ეს არის წინააღმდეგობა იაპონიასა და ამერიკას შორის; მეორე წინააღმდეგობა არსებობს ამერიკასა და მთელ დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. «გამარჯვებულთა» თითქმის მთელი კაპიტალისტური მსოფლიო ომიდან გიგანტური მოგებით გამოვიდა. ამერიკა ძლიერია, ახლა ყველა მისი მოვალეა, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, ის სულ უფრო მეტად სძულთ, იგი ძარცვავს ყველას და ძარცვავს ძალიან ორიგინალურად. მას კოლონიები არა აქვს. ინგლისმა ომში შეიძინა უზარმაზარი კოლონიები, აგრეთვე საფრანგეთმაც. ინგლისი ამერიკას თავაზობდა მანდატს ერთ-ერთ ნაძარცვ კოლონიაზე, — ახლა ასე ლაპარაკობენ, — მაგრამ მან არ მიიღო. ცხადია, ამერიკელი ვაჭრები რაღაც სხვანაირად მსჯელობენ. მათ ნახეს, რომ ომი როგორც აოხრების, ისე მუშათა სულისკვეთების მხრივ ძალიან გარკვეულ როლს ასრულებს, და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათთვის ხელსაყრელი არაა მანდატის მიღება. მაგრამ ცხადია, ისინი არ დაუშვებენ, რომ ამ კოლონიით სხვა სახელმწიფოებმა ისარგებლონ. მთელი ბურჟუაზიული ლიტერატურა მოწმობს ამერიკის წინააღმდეგ სიძულვილის ზრდას, ხოლო თვით ამერიკაში იზრდება რუსეთთან შეთანხმების მომხრეთა რიცხვი. ამერიკას ხელშეკრულება ჰქონდა კოლჩაკთან მისი ცნობისა და მისთვის მხარის დაჭერის შესახებ, მაგრამ აქ ისინი ერთხელ უკვე გაებენ, მხოლოდ ზარალი ნახეს და სირცხვილი ჭამეს. ამრიგად, ჩვენს წინ არის მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო, რომელსაც 1923 წელს ეყოლება ინგლისის ფლოტზე უფრო ძლიერი ფლოტი, მაგრამ ამ სახელმწიფოს სულ უფრო მეტი სიძულვილით ეკიდებიან სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. ასეთ ვითარებას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამერიკას არ შეუძლია შეურიგდეს დანარჩენ ევროპას, — ეს ფაქტია, რომელიც ისტორიამ დაამტკიცა. არავის არ აუწერია ისე კარგად ვერ-

სალის ხელშეკრულება, როგორც ეს ჰქნა თავის წიგნაკში კეინსმა, ინგლისის წარმომადგენელმა ვერსალში. ამ წიგნში მან სასაცილოდ აიგდო ვილსონი და ის როლი, რომელიც მან ითამაშა ვერსალის ხელშეკრულების საქმეში. ვილსონი იქ მთლად ბრიყვი აღმოჩნდა, რომელსაც კლემანსო და ლოიდ-ჯორჯი პაიკივით ატრიალებდნენ. ამრიგად, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ამერიკას სხვა ქვეყნებთან შერიგება არ შეუძლია, იმიტომ რომ მათ შორის უდიდესი ეკონომიური მტრობაა, იმიტომ რომ ამერიკა სხვებზე მდიდარია.

ამიტომ ჩვენ კონცესიების ყველა საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ. ამერიკა აუცილებლად მტრულად უყურებს კოლონიებს, ხოლო თუ ის უფრო ღრმად შეეხება მათ, იგი ჩვენ ათჯერ მეტ სამსახურს გაგვიწევს. კოლონიებში დუღს აღშფოთება და, როცა შეეხებით მათ, გინდა თუ არ გინდა, მდიდარი ხარ თუ ღარიბი, — ხოლო რაც უფრო მდიდარი ხარ, მით უკეთესი, ამით სამსახურს გაგვიწევ, და ბატონი ვანდერლიპები დაემხობიან. აი ამიტომ ჩვენთვის ეს უთანხმოება ძირითად მოსაზრებას წარმოადგენს.

და მესამე უთანხმოება ანტანტასა და გერმანიას შორის არსებობს. გერმანია დამარცხებულია, განადგურებულია ვერსალის ხელშეკრულებით, მაგრამ მას უდიდესი ეკონომიური შესაძლებლობანი აქვს. გერმანია ეკონომიური განვითარების დონით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში, თუ პირველად ამერიკას ჩავთვლით. სპეციალისტები იმასაც კი ამბობენ, რომ ელექტრონის მრეწველობაში ის ამერიკაზე მაღლა დგას, ხოლო თქვენ იცით, რომ ელექტრონის მრეწველობას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ელექტრონის გამოყენების სიფართოვით ამერიკა წინ დგას, მაგრამ ტექნიკური სრულყოფით გერმანია უფრო მაღლა დგას. და აი ასეთ ქვეყანას თავს მოახვიეს ვერსალის ხელშეკრულება, რომელსაც ის ვერ აიტანს. გერმანია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანაა, ის ვერსალის ხელშეკრულებას ვერ აიტანს, და გერმანია, თვითონ იმპერიალისტური ქვეყანა, მაგრამ ამჟამად

გათელილი, იძულებულია ეძიოს მოკავშირე მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აი სამი კვანძი, რომლებიც იმპერიალისტების მთელ თამაშს გამოუვალად ხლართავს. აი სად არის მთავარი მიზეზი. და აი პოლიტიკური თვალსაზრისით რატომ უნდა ვიყოთ მთელი სულითა და გულით, — ან სული და გული არ გვინდა, — მთელი ანგარიშით კონცესიების მომხრენი.

ახლა გადავდივარ ეკონომიკაზე. როდესაც გერმანიას შევეხეთ, ჩვენ უკვე ეკონომიკას მივუახლოვდით. გერმანია ვერსალის ზავის შემდეგ ეკონომიურად ვერ იარსებებს, და არა მარტო გერმანია, ვერ იარსებებს ვერც ერთი დამარცხებული ქვეყანა, როგორც ავსტრია-უნგრეთი თავის ძველ საზღვრებში, თუმცა მისი ნაწილი გამარჯვებულ სახელმწიფოებში მოხვდა, მაგრამ ვერსალის ხელშეკრულების პირობებში მას არსებობა არ შეუძლია. შუა ევროპაში ეს — უდიდესი გაერთიანებაა გიგანტური ეკონომიური და ტექნიკური ძლიერებით. ეკონომიური თვალსაზრისით ყველაფერი ეს საჭიროა მსოფლიო მეურნეობის აღსადგენად. თუ ყურადღებით წაიკითხავთ და გადაიკითხავთ 23 ნოემბრის დეკრეტს კონცედის და აცხადებს: ჩვენს თავზე ვიღებთ საერთაშორისო მეურნეობის მნიშვნელობას და ამას განზრახ ჩავდივართ. ეს უსათუოდ სწორი თვალსაზრისია. მსოფლიო მეურნეობის აღსადგენად გამოყენებულ უნდა იქნას რუსეთის ნედლეული. უამისობა შეუძლებელია, ეს ეკონომიურად მართალია. ამას აღიარებს წმინდა წყლის ბურჟუა, რომელიც ეკონომიკას სწავლობს და წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისით უდგება საკითხს, ამას აღიარებს კეინსი, რომელმაც დაწერა წიგნი «ზავის ეკონომიური შედეგები». და ვანდერლიპი, რომელმაც მოიარა მთელი ევროპა, როგორც ფინანსურმა მაგნატმა, ისიც აღიარებს, რომ მეურნეობის აღდგენა შეუძლებელია, იმიტომ რომ ნედლეული მთელ მსოფლიოში ცოტა აღმოჩნდა, რადგან ის ომმა გაფლანგა. იგი ამბობს, რუსეთს უნდა დავეყრდნოთო. და აი რუსეთი ახლა საქვეყნოდ გამოდის და აცხადებს: ჩვენს თავზე ვიღებთ საერთაშორისო მეურ-

ნეობის აღდგენას — აი ჩვენი გეგმა. ეს ეკონომიურად სწორია. საბჭოთა ხელისუფლება ამ ხნის განმავლობაში განმტკიცდა და არათუ თვითონ განმტკიცდა, არამედ მთელი მსოფლიო მეურნეობის აღდგენის გეგმითაც გამოდის. საერთაშორისო მეურნეობის კავშირი ელექტროფიკაციის გეგმასთან 'მეცნიერულად სწორად არის დაყენებული. ჩვენი გეგმით ჩვენ აშკარად ვპოულობთ არა მარტო ყველა მუშის თანაგრძნობას, არამედ 'გონიერ კაპიტალისტთა თანაგრძნობასაც, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის «ეს საშინელი ბოლშევიკი-ტერორისტები არიან» და სხვ.; ამიტომ ჩვენი ეკონომიური გეგმა სწორია, და მთელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, როცა 'ამ გეგმას წაიკითხავს, ჩვენკენ დაიწყებს გადმოხრას, ვინაიდან იმპერიალისტები უკვე წაეჩხუბნენ ერთმანეთს, აქ კი წამოყენებულია ისეთი გეგმა, რომლის წინააღმდეგ ტექნიკოსებსა და ეკონომისტებს არაფრის თქმა არ შეუძლიათ. ჩვენ გადავდივართ ეკონომიკის დარგში და მთელი მსოფლიოს წინაშე ვაყენებთ მშენებლობის დადებით პროგრამას.

ჩვენ საკითხი ანტიკაპიტალისტურ ნიადაგზე გადაგვაქვს. ჩვენ გამოვდივართ და ვამბობთ,—ჩვენ ვილებთ ჩვენს თავზე მთელი მსოფლიოს მოწყობას რაციონალურ ეკონომიურ საფუძველზე, ხოლო ეს რომ მართალია — ამაში ეჭვი არაა. უეჭველია, თუ მოვკიდებთ ხელს და ავამოქმედებთ, როგორც რიგი და წესია, 'თანამედროვე მანქანებს, მეცნიერების დახმარებით შეიძლება მთელი მსოფლიო მეურნეობის დაუყოვნებლივ აღდგენა.

აქ ჩვენ თავისებურ საწარმოო პროპაგანდას ვახორციელებთ, როცა ვეუბნებით კაპიტალისტებს: «თქვენ არაფრად არ ვარგიხართ, ბატონო კაპიტალისტებო; სანამ თქვენ ნადგურდებით, ჩვენ ჩვენებურად ვაშენებთ, — ამიტომ დრო არის, ბატონებო, დაგვეთანხმოთ», რაზედაც მთელი მსოფლიოს ყველა კაპიტალისტი, თუმცა თავის მოფხანით, იძულებულია ვეიპასუხოს: «მართლაც დროა, მოდით, მოვაწეროთ ხელი სავაჭრო ხელშეკრულებას».

ინგლისელებმა უკვე დაწერეს ერთი პროექტი და გამოგვიგზავნეს. ამ პროექტს ახლა იხილავენ, და აქ დგება ახალი ხანა. მათ ომში უკვე გაუმტყუნდათ იმედი და უნდათ ახლა ეკონომიურ დარგში გვეომონ. ჩვენთვის ეს სავსებით გასაგებია. ჩვენ არც კი ვოცნებობდით იმას, რომ აი ჩვენ ვიომეთ, ვიჩხუბეთ და ახლა დადგება მშვიდობა, და სოციალისტური ხბო და კაპიტალისტური მგელი ერთმანეთს გადაეხვევიან. არა. თქვენ რომ იძულებული ხართ გვეომოთ ეკონომიკის დარგში, ეს უკვე დიდი პროგრესია. ჩვენ წამოგიყენეთ მსოფლიო პროგრამა, განვიხილეთ რა კონცესიები მსოფლიო სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. ეს ეკონომიურად უდავოა. ვერც ერთი ინჟინერი, ვერც ერთი აგრონომი, რომელიც ეხება სახალხო მეურნეობის საკითხს, ვერ უარყოფს ამას. და მრავალი კაპიტალისტი ამბობს: «ურუსეთოდ შეუძლებელია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მტკიცე სისტემაო», მაგრამ ჩვენ გამოვდივართ ასეთი პროგრამით როგორც მსოფლიო მეურნეობის მშენებლები სულ სხვა გეგმის მიხედვით. ამას უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა აქვს. კიდეც რომ არ მოგვცენ არც ერთი კონცესია, — ეს მე სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, — მთელი ამ საკონცესიო ხმაურიდან რამდენიმე პარტიული კრებისა და დეკრეტის მეტი რომ არა გამოვიდეს რა, არ გამოვიდეს არც ერთი კონცესია, ჩვენ მაინც რაღაც უკვე მოვიგეთ. გარდა იმისა, რომ ჩვენ წამოვაყენეთ მეურნეობის აშენების გეგმა, ჩვენ ამასთანავე ვიმხრობთ ომისაგან გაჩანაგებულ ყველა სახელმწიფოს. III, კომუნისტური ინტერნაციონალის ყრილობაზე მე ვთქვი, რომ მთელი მსოფლიო იყოფა ჩაგრულ ერებად და გაბატონებულ ერებად, ჩაგრული ერები შეადგენენ დედამიწის მთელი მოსახლეობის არა ნაკლებ 70%-ს. ვერსალის ზავმა მათ ასი თუ 150 მილიონი ხალხი მიუმატა.

ჩვენ ახლა მართლაც გამოვდივართ არა მარტო ყველა ქვეყნის პროლეტართა წარმომადგენლებად, არამედ ჩაგრულ ხალხთა წარმომადგენლებადაც. ამას წინათ გამოვიდა კომუნისტური ინტერნაციონალის ჟურნალი, სათაურით: «აღმოსავ-

ლეთის ხალხები». კომუნისტურმა ინტერნაციონალმა აღმოსავლეთის ხალხთათვის ასეთი ლოზუნგი გამოსცა: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხნო, შეერთდით!». რომელიღაც ამხანაგმა იკითხა: «როდის მოახდინა აღმასკომმა განკარგულება ლოზუნგების შესაცვლელადო». ეს მე მართლაც არ მაგონდება. რასაკვირველია, «კომუნისტური მანიფესტის» თვალსაზრისით ეს სწორი არ არის, მაგრამ «კომუნისტური მანიფესტი» იწერებოდა სულ სხვანაირ პირობებში, დღევანდელი პოლიტიკის თვალსაზრისით კი ეს სწორია. ურთიერთობა გამწვავდა. მთელი გერმანია ბობოქრობს, მთელი აზია ბობოქრობს. თქვენ წაიკითხავდით, თუ როგორ ვითარდება რევოლუციური მოძრაობა ინდოეთში. ჩინეთში გააფთრებული სიძულვილია იაპონელთა მიმართ, აგრეთვე ამერიკელებისადმი. გერმანიაში ბობოქრობს ისეთი საშინელი სიძულვილი ანტანტისადმი, რომელიც გასაგები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ წარმოვიდგენთ გერმანელ მუშათა სიძულვილს თავიანთი კაპიტალისტებისადმი. ყოველივე ამის შედეგად მათ რუსეთისგან შექმნეს დედამიწის ჩაგრული მოსახლეობის მთელი მასის პირდაპირი წარმომადგენელი; ხალხები მოვლენათა მსვლელობით ეჩვევიან შეხედონ რუსეთს, როგორც მიზიდულობის ცენტრს. ამას წინათ მენშევიკური გაზეთი საქართველოში წერდა: «დედამიწაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთიო». ვინ არიან მენშევიკები? ეს ის ხალხია, რომელსაც ცხვირი ქარისაკენ აქვს აწეული. როდესაც ჩვენ საერთაშორისო მხრივ სუსტნი ვიყავით, ისინი ყვიროდნენ: «ძირს ბოლშევიკებიო». როდესაც ჩვენ გაძლიერება დავიწყეთ, ისინი ყვიროდნენ: «ჩვენ ნეიტრალურნი ვართო». როდესაც მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობენ: «დიახ, აქ ორი ძალააო».

საკონცესიო დეკრეტში ჩვენ მთელი კაცობრიობის სახელით გამოვდივართ ეკონომიურად უნაკლო პროგრამით მსოფლიოს ეკონომიური ძალების აღსადგენად მთელი ნედლეულის გამოყენების ნიადაგზე, სადაც უნდა იყოს ეს ნედლეული. ჩვენ გვინდა, რომ შიმშილი არსად არ იყოს. თქვენ,

კაპიტალისტებო, მისი მოსპობა არ შეგიძლიათ, ჩვენ კი შეგვიძლია. ჩვენ გამოვდივართ როგორც დედამიწის მოსახლეობის 70%-ის წარმომადგენლები. როგორც უნდა წავიდეს პროექტის საქმე, ის ეკონომიურად უდავოა. კონცესიის ეკონომიურ მხარეს მნიშვნელობა აქვს მიუხედავად იმისა, დაიდება ის თუ არა.

როგორც ხედავთ, მე ძალიან დიდი წინასიტყვაობის გაკეთება მომიხდა და კონცესიების სარგებლობის მტკიცება დამჭირდა. რასაკვირველია, კონცესიებს მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის პროდუქტების მიღების აზრითაც. ეს უდავოდ სწორია, მაგრამ მთავარი არსი პოლიტიკურ ურთიერთობაშია. საბჭოების ყრილობისათვის თქვენ მიიღებთ 600-გვერდიან ტომს, — ეს რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმაა. ეს გეგმა შეიმუშავეს საუკეთესო აგრონომებმა და ინჟინრებმა. მისი ცხოვრებაში გატარების დაჩქარება საზღვარგარეთული კაპიტალისა და წარმოების საშუალებათა დაუხმარებლად ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ დახმარება რომ მივიღოთ, ამისათვის საჭიროა გადავიხადოთ. დღევანდლამდე ჩვენ კაპიტალისტებს ვეომებოდით და ისინი გვეუბნებოდნენ: ან დაგახრჩობთ ან გადაგახდევინებთ 20 მილიარდსო. მაგრამ მათ ჩვენი დახრჩობა არ ძალუძთ და ვალებს ჩვენ მათ არ გადავუხდით. ჯერჯერობით ჩვენ ერთგვარი ვადის გადადება გვაქვს. სანამ ჩვენ გვესაჭიროება ეკონომიური დახმარება, თანახმა ვართ გაძლიოთ,— ასეა დასმული საკითხი და მისი ყოველგვარი სხვანაირი დაყენება ეკონომიურად უნიადაგო იქნება. რუსეთი მრეწველობის მხრივ გაჩანაგებულია, ომამდელ მდგომარეობასთან შედარებით იგი გაუარესდა ერთ მეათედამდე, თუ მეტად არა. სამი წლის წინათ რომ ეთქვათ ჩვენთვის, სამ წელიწადს იომებთ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოსთანო, ამას არ დავიჯერებდით. ახლა კი გვეტყვიან: როცა ომამდელი სახალხო სიმდიდრის ერთი მეათედი-ღა გაქვთ, ეკონომიურად აღდგენა ხომ კიდევ უფრო საძნელო ამოცანა იქნება თქვენთვისო. მართლაც, ეს უფრო ძნელია, ვიდრე ომი. ომის წარმოება შეიძლებოდა მუშათა მასისა და გლეხების აღფრთოვა-

ნების გზით, რომლებიც თავს იცავდნენ მემამულეებისაგან. ახლა კი აღარ არის საჭირო მემამულეებისაგან თავდაცვა, — ახლა საჭიროა მეურნეობის აღდგენა გლეხებისათვის უჩვეულო პირობებში. აქ გამარჯვება გატაცებაში, იერიშში, თავგანწირულებაში როდია; აქ გამარჯვება მდგომარეობს ყოველდღიურ, მოსაწყენ, წვრილმან, ჩვეულებრივ მუშაობაში. ეს საქმე უდავოდ უფრო ძნელია. საიდან უნდა ვიშოვოთ საჭირო საწარმოო საშუალებები? ამერიკელები რომ ჩავითრიოთ საქმეში, მათ ფული უნდა მივცეთ: ისინი ვაჭარი ხალხია. მერე რა მივცეთ? ოქრო? მაგრამ ოქროს გაბნევა ჩვენ არ შეგვიძლია. ნედლეულის მიცემა არ შეიძლება, რადგან ჯერ ჩვენებიც ყველა არ გამოგვიკვებავს. როდესაც სახკომსაბჭოში ისმება საკითხი იტალიელთათვის 100 000 ფუთი პურის მიცემის შესახებ, დგება სურსათის სახალხო კომისარი და ამაზე უარს ამბობს. ჩვენ ვვაჭრობთ ყოველი მატარებელი პურისათვის. უპუროდ შეუძლებელია საგარეო ვაჭრობის განვითარება. მაგრამ რა უნდა მივცეთ? ძველმანი? ძველმანი მათ თავისიც ბევრი აქვთ. გვეუბნებიან, მოდით, პურით ვივაჭროთო, პურის მიცემა კი არ შეგვიძლია. ამიტომ ჩვენ ამოცანას ვწყვეტთ კონცესიების საშუალებით.

გადავდივარ შემდეგ პუნქტზე. კონცესია ბადებს ახალ საფრთხეს. მე გაგახსენებთ იმას, რაც ვთქვი ჩემი სიტყვის დასაწყისში, — სახელდობრ იმას, რომ შეძახილები ისმის ქვედაფენებიდან, მუშათა მასებიდან: «არ ჩაგიტყუონ კაპიტალისტებმა, ისინი ჭკვიანი, მოხერხებული ხალხიაო». ეს ხმა სასიამოვნო გასაგონია, რადგან ხედავ, როგორ იზრდება უდიდესი მასა, რომელიც მზადაა კაპიტალისტებს ებრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამხ. სტეპანოვის სტატიებში, რომლებიც მან პედაგოგიურად დაალაგა (ჯერ კონცესიების საწინააღმდეგო ყველა მოსაზრებას მოვიყვან, მერე კი ვიტყვი, რომ კონცესიები უნდა მივიღოთო, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მკითხველი ამ კარგ ნაწილთან მისვლამდე დარწმუნდეს, რომ კონცესიები საჭირო არაა და დაანებოს თავი კითხვას), არის სწორი აზრები, მაგრამ როცა ის ამბობს, ინგლისს კონცესიები

არ უნდა მივცეთ, იმიტომ რომ ლოკარტი ჩამოვაო, მე ამის თანახმა არა ვარ. ჩვენ მას მაშინ მოვუარეთ, როცა საგანგებო კომისია ისეთი დაწესებულება იყო, რომელიც ჯერ კიდევ ისახებოდა, რომელსაც არ ჰქონდა ის სიმტკიცე, რაც ახლა აქვს. და თუ სამი წლის ომიანობის შემდეგ ჩვენ ჯაშუშებსაც ვერ დავიჭერთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ასეთმა ადამიანებმა ხელიც არ უნდა მოკიდონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ჩვენ განუზომლად უფრო ძნელ ამოცანებს ვწყვეტთ. მაგალითად, ამჟამად ყირიმში 300 000 ბურჟუაზიაა. ეს — მომავალი სპეკულაციის, ჯაშუშობის, კაპიტალისტებისადმი ყოველგვარი დახმარების წყაროა. მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია. ჩვენ ვამბობთ, რომ მათ მოვთოკავთ, გავანაწილებთ, დავიმორჩილებთ, გადავხარშავთ.

ამის შემდეგ იმის თქმა, რომ უცხოელები, რომელნიც მიწერილ იქნებიან განსაზღვრულ კონცესიებზე, ჩვენთვის საშიშნი არიან, ან, ვითომ მათ ვერ ვადევნებთ თვალყურსო, პირდაპირ სასაცილოა. თუ ასეა, არც უნდა დაგვეწყო, არც უნდა მოგვეკიდა ხელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის. აქ წმინდა ორგანიზაციული ამოცანაა, რომელზედაც არ ღირს დიდხანს შეჩერება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კონცესიები მშვიდობას ნიშნავს. სრულიადაც არა. კონცესიები—ეს მხოლოდ ომის ახალი ფორმაა. ევროპა ჩვენ გვეომებოდა, და ახლა ომი ახალ ნიადაგზე გადადის. წინათ ომი წარმოებდა იმ დარგში, რომელშიც იმპერიალისტები შეუდარებლად უფრო ძლიერნი იყვნენ, სამხედრო დარგში. რომ შევადაროთ მათი და ჩვენი ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევთა რიცხვი, ჯარისკაცთა რაოდენობა, რომელიც შეუძლია გამოიყვანოს ჩვენმა და მათმა მთავრობამ — ჩვენ უსათუოდ ორ კვირაში უნდა გავსრესილიყავით. მაგრამ მტერს ჩვენ ამ დარგში გავუძელით და ვაპირებთ ახალ ბრძოლას, გადავდივართ ეკონომიურ ომზე. ჩვენ გადაჭრით ვლაპარაკობთ, რომ საკონცესიო ნაჭერთან, საკონცესიო კვადრატთან ერთად იქნება ჩვენი კვადრატი, მერე ისევ მათი კვადრატი;

ჩვენ მათგან ვისწავლით სანიმუშო საწარმოთა შექმნას და მათ გვერდით მოვაწყობთ ჩვენსას. თუ ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ, მაშინ ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ. საქმის მოწყობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ახლანდელ მომენტში — ძნელი ამოცანაა, და ეს უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ პრაქტიკულად, ვინაიდან ვერავითარი სკოლით, ვერავითარი უნივერსიტეტით, კურსით ამას ვერ მივაღწევთ; ამიტომ ვიძლევით კონცესიებს ჭადრაკული წესით: მოდით და აქვე ისწავლეთ.

ეკონომიურად ჩვენთვის კონცესიებს მეტად დიდი სარგებლობა მოაქვს. რა თქმა უნდა, როცა ისინი გააშენებენ დასახლებულ უბნებს, თავიანთ კაპიტალისტურ ჩვევებსაც თან მოიტანენ, გამხრწნელ გავლენას მოახდენენ გლეხობაზე. მაგრამ მათ თვალყური უნდა ვადევნოთ, ყოველ ფეხის გადადგმაზე უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი კომუნისტური ზემოქმედება. ესეც თავისებური ომია, სამხედრო შეჯიბრებაა ორი წესისა, ორი ფორმაციისა, ორი მეურნეობისა — კომუნისტურის და კაპიტალისტურის. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ უფრო ძლიერნი ვართ. გვეუბნებიან: «ძალიან კარგი, თქვენ ხომ გაძელით საგარეო ფრონტზე, დაიწყეთ ახლა მშენებლობა, აშენეთ და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებსო»... რა თქმა უნდა, ძნელი ამოცანაა, ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: «სოციალიზმს მაგალითის ძალა აქვს». ძალმომრეობას აქვს თავისი ძალა იმათ მიმართ, ვისაც უნდა აღადგინოს თავისი ხელისუფლება. მაგრამ ამით ამოიწურება კიდეც ძალმომრეობის მნიშვნელობა, შემდეგ კი უკვე ძალა აქვს გავლენასა და მაგალითს. პრაქტიკულად, მაგალითით უნდა ვაჩვენოთ კომუნიზმის მნიშვნელობა. ჩვენ მანქანები არა გვაქვს, ომმა გაგვაჩანაგა, ომმა ჩაყლაპა რუსეთის ეკონომიური რესურსები, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვეშინია ამ შეჯიბრების, იმიტომ რომ ის ჩვენთვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იქნება.

ეს იქნება ომი, რომლის დროსაც აგრეთვე არ შეიძლება არავითარ დათმობაზე წასვლა. ეს ომი ხელსაყრელია ჩვენთვის ყოველმხრივ, ხელსაყრელია ძველი ომიდან ამ ახალ

ომზე გადასვლაც, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ არსებობს ზავის ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია. მე ვთქვი იმ კრებაზე, რომლის ამბავი ასე ცუდად არის გადმოცემული «პრავდაში», რომ ჩვენ ახლა ომიდან მშვიდობაზე გადავედით, მაგრამ არ გვავიწყდება, რომ ომი ისევ გვექნება. ვიდრე არსებობს კაპიტალიზმი და სოციალიზმი, მათ მშვიდობიანად ცხოვრება არ შეუძლიათ: ბოლოს და ბოლოს, ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე; ან საბჭოთა რესპუბლიკას გადაუხდიან პანაშვიდს, ან მსოფლიო კაპიტალიზმს. ეს ომის გადადებაა. კაპიტალისტები ომის საბაბს დაუწყებენ ძებნას. თუ ისინი მიიღებენ წინადადებას და დათანხმდებიან კონცესიას, მათთვის უფრო ძნელი იქნება. ერთი მხრივ, ომის შემთხვევაში ჩვენ საუკეთესო პირობები გვექნება; მეორე მხრივ, კონცესიას არ დათანხმდებიან ისინი, ვისაც ომი უნდა. კონცესიების არსებობა ეკონომიური და პოლიტიკური საბუთია ომის წინააღმდეგ. ის სახელმწიფოები, რომელთაც შეეძლოთ ჩვენთან ეომნათ, ველარ იომებენ, თუ კონცესიებს აიღებენ, ეს მათ ხელ-ფეხს შეუბორკავს. კაპიტალიზმისა და ბოლშევიზმის შეტაკების საფრთხის თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ კონცესიები ომის განგრძობაა, მაგრამ სხვა ასპარეზზე. საჭირო იქნება თვალყური ვადევნოთ მოწინააღმდეგის ყოველ ნაბიჯს. დაგვჭირდება მმართველობის, მეთვალყურეობის, გავლენის, ზემოქმედების ყველა საშუალება. ეს იგივე ომია. ჩვენ ვიბრძოდით უფრო დიდ ომში, ხოლო ამ ომში გამოვიყვანთ კიდევ მეტ ხალხს, ვიდრე იმ ომში. ამ ომში მობილიზებულ იქნება უკლებლივ ყველა, ვინც კი შრომობს; მათ ეტყვიან და აუხსნიან: «თუ კაპიტალიზმი ამასა და ამას აკეთებს, თქვენ, მუშებო და გლეხებო, კაპიტალისტები რომ ჩამოაგდეთ, მათზე ნაკლები არ უნდა გააკეთოთ. ისწავლეთ!».

დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაეწევა და გაუსწრებს კაპიტალისტებს, და ჩვენ მოგებული დავრჩებით არა მარტო წმინდა ეკონომიურად. ჩვენ მივიღებთ კარგ გამოცდილებას, ვისწავლით: არაფრად არა ღირს არა-

ვითარი სკოლა, არავითარი უნივერსიტეტი, თუ პრაქტიკული უნარი არ არის. იმ ბროშურისთვის თანდართულ რუკაზე, რომელსაც გაჩვენებთ ამხ. მილიუტინი, თქვენ ნახავთ, რომ ჩვენ კონცესიებს ვიძლევით უმთავრესად განაპირა მხარეებში. ევროპულ რუსეთში ჩრდილოეთის ტყე — 70 მილიონი დესეტინაა. 17 მილიონი დესეტინა საკონცესიოდ არის გათვალისწინებული. ჩვენი სატყეო მეურნეობანი ჭადრაკულადაა გამიჯნული: ტყეებია — დასავლეთ ციმბირში, შორეულ ჩრდილოეთში. ჩვენ სრულიად არაფერს დავკარგავთ. მთავარი საწარმოები იქნება დასავლეთ ციმბირში, რომლის სიმდიდრე განუზომელია. ჩვენ ამ სიმდიდრიდან ერთ მეასედსაც ვერ გამოვიყენებთ ათი წლის განმავლობაში. უცხოელ კაპიტალისტთა დახმარებით კი გავაკეთებთ საქმეს, — მათთვის ერთი მაღაროს მიცემით საშუალებას მივიღებთ დავამუშაოთ ჩვენი მაღაროები. კონცესიების გაცემის დროს ჩვენ ადგილებს ვირჩევთ.

როგორ მოვაწყოთ კონცესიები მეთვალყურეობის თვალსაზრისით? ისინი შეეცდებიან გახრწნან ჩვენი გლეხობა, ჩვენი მასები. გლეხი, როგორც წვრილი მეპატრონე, თავისი ბუნებით განწყობილია თავისუფალი ვაჭრობისათვის, ჩვენ კი ეს ბოროტმოქმედებად მიგვაჩნია. ეს არის სახელმწიფოებრივი ბრძოლის საქმე. და აი სწორედ აქ უნდა დავუპირისპიროთ ერთმანეთს მეურნეობის გაძღოლის ორი წესი — სოციალისტური და კაპიტალისტური. აქაც ომია, რომელშიაც ჩვენ სწორედ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავმართოთ. ჩვენში უდიდესი მოუსავლობაა, პირუტყვი გამოუკვებავია, იგი წყდება, — და ამავე დროს მიწის უდიდესი ფართობები დაუმუშავებელია. ამ დღეებში გამოვა დეკრეტი, რომლის ძალით ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ყანები რაც შეიძლება სრულად დაითესოს და სოფლის მეურნეობა გაუმჯობესდეს [50].

გარდა ამისა ჩვენ გვაქვს ერთი მილიონი დესეტინა ყამირი მიწა, რომელსაც ვერ გავტეხთ, რადგან არა გვყავს მუშა პირუტყვი, არა გვაქვს საჭირო იარაღები, ტრაქტორით კი ამ მიწას როგორც გინდა ისეთ სიღრმეზე გადააბრუნებ. ამიტომ ჩვენთვის ხელსაყრელია ამ მიწის იჯარით გაცემა. პროდუქტების

ნახევარი, სამი მეოთხედიც რომ მივცეთ, მაინც მოგებული ვიქნებით. აი ის პოლიტიკა, რომელიც წარმართავს ჩვენს მოქმედებას, და შემიძლია ვთქვა, რომ მოქმედებას საფუძვლად უნდა ედვას არა მარტო ეკონომიური მოსაზრებანი და მსოფლიო მეურნეობის კონიუნქტურა, არამედ ღრმა პოლიტიკური მოსაზრებანიც. საქმისადმი ყოველგვარი სხვანაირი მიდგომა სიბეცე იქნება. თუ საკითხი დგას კონცესიების ეკონომიური სარგებლიანობის თუ უსარგებლობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ ეკონომიური სარგებლიანობა უდავოა. უკონცესიებოდ ჩვენს პროგრამას და ქვეყნის ელექტროფიკაციას ვერ განვახორციელებთ; უმათოდ ჩვენ ათ წელიწადში ვერ აღვადგენთ ჩვენს მეურნეობას, ხოლო როცა მას აღვადგენთ, ჩვენ უძლეველნი ვიქნებით კაპიტალისათვის. კონცესია — ეს ზავი კი არ არის კაპიტალიზმთან, არამედ ომია ახალ ნიადაგზე. იარაღითა და ტანკებით ომი იცვლება ეკონომიური ომით. მართალია, ისიც შეიცავს ახალ სიძნელეებს და ახალ საფრთხეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მათ დავძლევთ. მე მწამს, რომ კონცესიების საკითხის ასეთი დაყენებით ჩვენ პარტიული ამხანაგების უდიდეს უმრავლესობას ადვილად დავაჯერებთ, რომ კონცესიები აუცილებელია, ხოლო ის ინსტინქტური შიში, რომელზედაც მე ვილაპარაკე, სასარგებლო და ჯანსაღი შიშია, რომელსაც მამოძრავებელ ძალად გადავაქცევთ, ეს ძალა კი მომავალ ეკონომიურ ომში ჩვენ უფრო სწრაფ გამარჯვებას მოგვანიჭებს.

პირველად გამოქვეყნდა
1923 წ.

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

მისალმება სრულიად რუსეთის საგუბერნიო ქალთა განყოფილებების თათბირს

ტელეფონოგრამა

ამხანაგებო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ მოვედი თქვენს ყრილობაზე. გთხოვთ გადასცეთ ყრილობის მონაწილე ქალებსა და კაცებს ჩემი გულწრფელი მისალმება და საუკეთესო წარმატების სურვილი.

პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში ქალთა მონაწილეობა უდიდეს მნიშვნელობას იღებს სწორედ ახლა, როცა ომი დამთავრდა და პირველ რიგში დადგა, — იმედი მაქვს, დიდი ხნით, — მშვიდობიანი ორგანიზატორული მუშაობა. ამ მუშაობაში კი ქალებმა პირველი როლი უნდა შეასრულონ და ისინი, რა თქმა უნდა, შეასრულებენ მას.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1920 წ. 6 დეკემბერი.

«პრავდა» № 286,
1920 წ. 19 დეკემბერი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობა [91]

1920 წ. 22 — 30 დეკემბერი

მოხსენება კონცესიების შესახებ, სიტყვა რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე 24 დეკემბერს და ყრილობის რეზოლუციების პროექტები პირველად დაიბეჭდა 1930 წელს; მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ და საბოლოო სიტყვა — 1921 წელს, წიგნში: «სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში»

იბეჭდება: მოხსენება კონცესიებ:ს შესახებ და სიტყვა რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე — სტენოგრამის მიხედვით; მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ და საბოლოო სიტყვა — წიგნის ტექსტის მიხედვით

1

მოხსენება კონცესიების შესახებ საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე 21 დეკემბერს

ამხანაგებო, იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ გვაქვს, კონცესიების საკითხმა ყველგან, არა მარტო პარტიულ წრეებში და მუშათა მასებში, არამედ გლეხობის ფართო მასებშიც ბევრი მღელვარება და შეშფოთებაც კი გამოიწვია. ყველა ამხანაგი აღნიშნავდა, რომ მეტწილ კრებებზე, რომლებიც მიმდინარე წლის 23 ნოემბრის დეკრეტის ძემდეგ გაიმართა და სხვადასხვა თემებისადმი იყო მიძღვნილი, ყველაზე ხშირად გაისმოდა შეკითხვები და შემოდიოდა ბარათები კონცესიების შესახებ, და როგორც ამ ბარათების, ისე მითქმა-მოთქმის საერთო ტონი იყო შიში: ჩვენი კაპიტალისტები გავრეკეთ, უცხო კაპიტალისტთა შემოშვება კი გვინდაო. მე ვფიქრობ, რომ ეს შიში, კონცესიებისადმი ეს ფართო ინტერესი, რაც მარტო პარტიულმა ამხანაგებმა როდი გამოიჩინეს, კარგი ნიშანია, რომელიც გვიჩვენებს, რომ განუზომლად მძიმე ბრძოლის სამი წლის განმავლობაში მუშურ-გლეხური ხელისუფლება იმდენად განმტკიცდა და კაპიტალისტების მიმართ გამოცდილება იმდენად გაიზარდა, რომ ფართო მასებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება საკმაოდ მტკიცედ მიაჩნიათ იმისათვის, რომ იოლად წავიდეთ უკონცესიებოდ, ხოლო თავისთავს ისინი იმდენად გამოწრთობილად თვლიან, რომ თუ უკიდურესი საჭიროება არ იქნება, ისე არავითარი გარიგება არ დასდონ კაპიტალისტებთან. ამგვარი ზედამხედველობა ქვემოდან, ამნაირი შიში, რომელიც მასებისგან

მომდინარეობს, გარეპარტიული წრეების ამგვარი მღელვარება მოწმობს, რომ განსაკუთრებით ფხიზელი ყურადღება ექცევა ურთიერთობას ჩვენსა და კაპიტალისტებს შორის. ვფიქრობ, ამ მხრივ ჩვენ უსათუოდ უნდა მივესალმოთ ასეთ შიშს, როგორც ფართო მასების სულისკვეთების ნიშანს.

მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, ჩვენ მაინც იმ რწმენამდე მივალთ, რომ კონცესიების საკითხში მარტოოდენ ამ რევოლუციური ინსტინქტით ხელმძღვანელობა არ შეიძლება. საკითხის ყველა მხარეს თუ ავწონ-დავწონით, დავრწმუნდებით იმ პოლიტიკის სისწორეში, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელიც კონცესიების გაცემის წინადადებაში მდგომარეობს. შემიძლია მოკლედ ვთქვა, რომ მთავარი თემა ჩემი მოხსენებისა ან, უფრო სწორად რომ ითქვას, იმ საუბრის განმეორებისა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ ჩატარდა მოსკოვში რამდენიმე ასეულ პასუხისმგებელ მუშაკთან [92], — რადგან მე მოხსენება არ მომიმზადებია და მისი წარმოდგენა არ შემიძლია, — ამ საუბრის მთავარი თემაა ორი დებულების დასაბუთება, სახელდობრ: ჯერ-ერთი, რომ ყოველი ომი მშვიდობიანი დროის პოლიტიკის განგრძობაა, ოღონდ სხვა საშუალებებით; მეორეც, რომ კონცესიები, რომელთაც ჩვენ ვაძლევთ, რომლებიც იძულებული ვართ მივცეთ, წარმოადგენს ომის განგრძობას სხვა ფორმით, სხვა საშუალებებით. ამ ორი დებულების ან, უფრო სწორად, მხოლოდ მეორე დებულების დასასაბუთებლად, — ვინაიდან პირველ დებულებას სპეციალური დასაბუთება არ ესაჭიროება, — დავიწყებ საკითხის პოლიტიკური მხარის განხილვით. შევჩერდები თანამედროვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იმ ურთიერთობაზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მთელი თანამედროვე საგარეო პოლიტიკის გაგებისათვის. ეს არსებითია იმის გასაგებად, თუ რატომ დავადექით ამ პოლიტიკას.

ამერიკელმა ვანდერლიპმა სახკომსაბჭოს მიმართა წერილით, სადაც იგი ამბობდა: «ჩვენ, რესპუბლიკელები, რომლებიც ამერიკის რესპუბლიკელთა პარტიას, უმსხვილესი ფინანსური კაპიტალის პარტიას ვეკუთვნით, ყველაზე ნაკლებად

ვართ დაკავშირებული სამხრეთის შტატების წინააღმდეგ განთავისუფლებისათვის წარმოებული ომის მოგონებასთან, ჩვენ ახლა ხელისუფლების სათავეში არ ვდგავართ». იგი ამას წერდა ჯერ კიდევ არჩევნებამდე, რაც ნოემბერში მოხდა: «ნოემბრის არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვებთ (ახლა მათ გაიმარჯვეს), და მარტში პრეზიდენტი ჩვენი იქნება. ჩვენი პოლიტიკა არ გაიმეორებს იმ სისულელეებს, რომლებიც ამერიკას ევროპის საქმეებში ითრევდა, ჩვენ ვიზრუნებთ ჩვენს ინტერესებზე. ჩვენი ამერიკული ინტერესები იწვევს ჩვენს შეტაკებას იაპონიასთან, ჩვენ იაპონიასთან ვიომებთ. თქვენთვის იქნებ ინტერესს მოკლებული არ იყოს იმის ცოდნა, რომ 1923 წელს ჩვენი ფლოტი ინგლისის ფლოტზე უფრო ძლიერი იქნება. იმისათვის, რომ ვიომოთ, ჩვენ უნდა გვქონდეს ნავთობი, უნავთობოდ თანამედროვე ომის წარმოება არ შეგვიძლია. არათუ ნავთობი უნდა გვქონდეს, არამედ ზომებიც უნდა მივიღოთ, რომ მოწინააღმდეგეს ნავთობი არ ექნეს. ამ მხრივ იაპონია ცუდ პირობებშია. იქვე, კამჩატკის მახლობლად არის რომელიღაც ყურე (მისი სახელი დამავიწყდა), სადაც ნავთობის წყაროებია, და ჩვენ გვინდა, რომ ეს ნავთობი იაპონელებს არ ექნეთ. თუ ამ მიწას მოგვყიდით, გარანტიას გაძლევთ, ჩვენს ხალხში ისეთი ენთუზიაზმი იქნება, რომ თქვენს მთავრობას მაშინვე ვიცნობთ. ხოლო თუ არ მოგვყიდით, არამედ მხოლოდ კონცესიებს მოგვცემთ, არ შემიძლია ვთქვა, რომ ამ პროექტის განხილვაზე უარს ვიტყოდით, მაგრამ ისეთ ენთუზიაზმს, რომელიც საბჭოთა მთავრობის ცნობას უზრუნველყოფდა, ვერ შეგპირდებით».

ვანდერლიპის წერილი სრულიად გულახდილად, გაუგონარი უტიფრობით გადმოსცემდა იმ იმპერიალისტის თვალსაზრისს, რომელიც ნათლად ხედავს, რომ იაპონიასთან ომი ახლოვდება, და პირდაპირ, აშკარად აყენებს საკითხს: მოგვირიგდით, მაშინ განსაზღვრულ სარგებლობას მიიღებთო. საკითხი ასე იდგა: შორეული აღმოსავლეთი, კამჩატკა და ციმბირის ნაწილი ამჟამად ფაქტიურად იაპონიის მფლობელობაშია, რამდენადაც იქ ბატონობენ მისი სამხედრო ძალები,

რამდენადაც, როგორც იცით, გარემოებებმა ძალაუნებურად გამოიწვიეს ბუფერული სახელმწიფოს შექმნა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახით, რამდენადაც ჩვენ მშვენივრად ვიცით, რა წარმოუდგენელ გაჭირვებას განიცდიან ციმბირელი გლეხები იაპონიის იმპერიალიზმისაგან, რა გაუგონრად დიდძალი მხეცობა ჩაიდინეს იაპონელებმა ციმბირში. ეს იციან ციმბირელმა ამხანაგებმა: ამის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი მათს ამასწინანდელ გამოცემებში. მაგრამ მიუხედავად ამისა იაპონიასთან ომის წარმოება ჩვენ არ შეგვიძლია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევეცადოთ არათუ გადავდოთ იაპონიასთან ომის დრო, არამედ, თუ შესაძლებელია, როგორმე თავიდან ავიცილოთ ის, იმიტომ რომ გასაგები პირობების გამო ახლა ჩვენ ომი არ ძალგვიძს. და ამავე დროს იაპონია, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს კავშირი ვიქონიოთ მსოფლიო ვაჭრობასთან წყნარი ოკეანის გზით, უდიდეს ზიანს გვაყენებს. ასეთ პირობებში, როდესაც ჩვენს წინაშეა ამერიკისა და იაპონიის მზარდი კონფლიქტი, მათი მზარდი შეტაკება, — ვინაიდან წყნარი ოკეანისა და მისი სანაპიროების ფლობის გამო უკვე მრავალი ათეული წელია იაპონიასა და ამერიკას შორის უსასტიკესი ბრძოლაა, და მთელი დიპლომატიური, ეკონომიური, სავაჭრო ისტორია, რომელიც წყნარ ოკეანეს და მის სანაპიროებს შეეხება, მთელი ეს ისტორია სავსეა სრულიად გარკვეული მითითებებით იმაზე, თუ როგორ იზრდება და გარდუვალს ხდის ეს შეტაკება ომს ამერიკასა და იაპონიას შორის, — ჩვენ იმავე მდგომარეობაში ვვარდებით, რომელშიაც სამი წლის განმავლობაში ვიყავით: სოციალისტური რესპუბლიკა, გარშემორტყმული იმპერიალისტური ქვეყნებით, რომელნიც სამხედრო მხრივ ჩვენზე შეუდარებლად უფრო ძლიერნი არიან, რომელნიც აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებას ხმარობენ საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ სიძულვილის გასაღვივებლად და არც ერთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ სამხედრო ჩარევისათვის, როგორც ისინი ამბობენ, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დასახრჩობად.

თუ ეს გვემახსოვრება და საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით საერთოდ თვალს გადავავლებთ განვლილ სამ წელს, ნათელი გახდება, რომ ჩვენ მხოლოდ იმიტომ გავძელით და დავამარცხეთ ანტანტის სახელმწიფოთა გაუგონრად ძლიერი კავშირი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ჩვენებური თეთრგვარდიელები, რომ ამ სახელმწიფოთა შორის [არავითარი ერთიანობა არ ყოფილა.] ჩვენ დღემდე ვიმარჯვებდით მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ უღრმეს უთანხმოებათა მეოხებით და მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ეს უთანხმოებანი შემთხვევითი პარტიული შინაგანი უთანხმოებანი კი არ იყო, არამედ ესაა [ეკონომიური ინტერესების უღრმესი, აღმოუფხვრელი მტრობა] იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, რომელთაც, რაკი ისინი მიწისა და კაპიტალის კერძო საკუთრების ნიადაგზე დგანან, არ შეუძლიათ არ აწარმოონ ის მტაცებლური პოლიტიკა, რომლის დროსაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი ძალების გაერთიანების ცდები ამაო გამოდგა. თუ ავიღებთ იაპონიას, რომელსაც თითქმის მთელი ციმბირი ხელში ეჭირა და, რა თქმა უნდა, შეეძლო ყოველთვის დახმარებოდა კოლჩაკს, — ძირითადი მიზეზი, თუ რატომ არ მოიქცა ის ასე, იმაში მდგომარეობს, რომ მისი ინტერესები ძირფესვიანად შორდება ამერიკის ინტერესებს, რომ მას არ უნდოდა ნარი ეგლიჯა ამერიკის კაპიტალისათვის. რაკი ასეთი სისუსტე ვიცოდით, ბუნებრივია, ჩვენ არ შეგვეძლო გვეწარმოებინა რაიმე სხვა პოლიტიკა, გარდა იმ პოლიტიკისა, რომელიც ამოცანად ისახავს ამერიკისა და იაპონიის ამ მტრობის იმგვარად გამოყენებას, რომ განვამტკიცოთ ჩვენი თავი და გადავწიოთ ჩვენს წინააღმდეგ იაპონიისა და ამერიკის შეთანხმების შესაძლებლობა, ხოლო ასეთი შეთანხმება რომ შესაძლებელია, ამის მაგალითი უკვე გვაქვს: ამერიკულ გაზეთებში დაიბეჭდა ტექსტი შეთანხმებისა ყველა ქვეყანას შორის, რომლებმაც მხარდაჭერა აღუთქვეს კოლჩაკს [23].

რა თქმა უნდა, ეს შეთანხმება ჩაიშალა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ ისინი პირველი

შესაძლებლობისთანავე შეეცდებიან ამ შეთანხმების აღდგენას. და, რაც უფრო ღრმა, რაც უფრო მრისხანე იქნება კომუნისტური მოძრაობის ზრდა, მით უფრო მეტად მიმართავენ ისინი განმეორებით ცდებს ჩვენი რესპუბლიკის დასახრჩობად. და აქედან გამომდინარეობს ჩვენი პოლიტიკაც — გამოვიყენოთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მტრობა იმისათვის, რომ გავაძნელოთ მათი შეთანხმება ან, შეძლებისამებრ, დროებით შეუძლებელი გავხადოთ ის. ეს — სამი წლის განმავლობაში ძირითადი ხაზია ჩვენი პოლიტიკისა, რომელმაც გამოიწვია ბრესტის ზავზე ხელმოწერის აუცილებლობა, გამოიწვია ზავისა და დროებითი ზავის შესახებ ბულიტთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის აუცილებლობაც, — იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც ჩვენთვის მეტად არახელსაყრელია. იგივე ხაზი განისაზღვრება ამჟამად ჩვენთვის იმგვარად, რომ მსგავს წინადადებას, როგორიც კონცესიებია, ორივე ხელით უნდა ჩავეჭიდოთ. ჩვენ ახლა ამერიკას ვაძლევთ კამჩატკას, რომელიც არსებითად სულ ერთია ჩვენი არ არის, რადგან იქ იაპონიის ჯარები იმყოფებიან. იაპონიასთან ბრძოლა ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ ამერიკას ეკონომიური უტილიზაციისათვის ვაძლევთ ისეთ ტერიტორიას, სადაც აბსოლუტურად არა გვყავს და არც შეგვიძლია ვიყოლიოთ არც საზღვაო და არც სამხედრო ძალები. და, ამას რომ ვაძლევთ, ჩვენ ამერიკის იმპერიალიზმს ვიყენებთ იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ჩვენთან ტერიტორიულად უახლოესი იაპონიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც დღემდე ხელთ უპყრია შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა.

ასე რომ, კონცესიებზე მოლაპარაკების დროს ჩვენი მთავარი ინტერესები პოლიტიკური ხასიათისა იყო. და ბოლოდროინდელმა ამბებმაც სრული სიცხადით დაადასტურეს, რომ ამ კონცესიებზე მარტოოდენ ლაპარაკითაც კი ჩვენ უკვე მოვიგეთ. კონცესიები ჩვენ ჯერ არ გაგვიცია და ვერც გავცემთ მანამდე, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტი მართვა-გამგეობას არ შეუდგება, ეს კი მარტზე ადრე არ იქნება, და, გარდა ამისა, ჩვენ შესაძლებლობას ვინარჩუნებთ ხელშეკრულების

დეტალური დამუშავების დროს უარი ვთქვათ მის ხელმოწერაზე.

მაშასადამე, ეკონომიურად ეს სრულიად მეორეხარისხოვანი საკითხია, და მთელი მისი დედაარსი პოლიტიკურ ინტერესში მდგომარეობს. ხოლო ჩვენ რომ მოვიგეთ, ამას ადასტურებს პრესაში გამოქვეყნებული ყველა მასალა, რომლებიც ჩვენ მივიღეთ. ვანდერლიპი თვითონ დაჟინებით მოითხოვდა, რომ კონცესიების პროექტი ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩენილიყო. ის საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო მანამდე, ვიდრე რესპუბლიკური პარტია არ გაიმარჯვებდა. და ჩვენ დავთანხმდით არ გამოგვექვეყნებია არც მისი წერილი და არც მთელი წინასწარი პროექტი. მაგრამ გამოირკვა, რომ ამგვარი საიდუმლოების დიდხანს დამალვა შეუძლებელია. და როგორც კი ვანდერლიპი ამერიკაში ჩავიდა, მაშინვე დაიწყო სხვადასხვანაირი მხილება. არჩევნებამდე ამერიკაში პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელმაც ახლა უკვე გაიმარჯვა, გარდინგი იყო. ამ გარდინგმა გაზეთებში მოათავსა იმის უარყოფა, რომ თითქოს მას ვანდერლიპის მეშვეობით ურთიერთობა ჰქონდეს საბჭოთა ხელისუფლებასთან. მისი ეს უარყოფა ძალიან კატეგორიული იყო, თითქმის შემდეგი ხასიათისა: ვანდერლიპს არ ვიცნობ და საბჭოთა ხელისუფლებასთან არავითარ ურთიერთობას არა ვცნობო. მაგრამ სავსებით გასაგებია, თუ რამ გამოიწვია ამგვარი უარყოფა. ბურჟუაზიულ ამერიკაში არჩევნების წინ საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმების მომხრის სახელის მოხვეჭა გარდინგისთვის, შესაძლოა, რამდენიმე ასეული ათასი ხმის დაკარგვას მოასწავებდა, ამიტომაც მან საჩქაროდ გამოაქვეყნა — არავითარ ვანდერლიპს არ ვიცნობო. მაგრამ როგორც კი არჩევნები დამთავრდა, ამერიკიდან სულ სხვა ხასიათის ცნობები მოგვივიდა. მთელ რიგ საგაზეთო სტატიებში ვანდერლიპი ყოველნაირად ურჩევს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმებას, და ერთ გაზეთში ისიც კი დაწერა, რომ იგი ლენინს ვაშინგტონს ადარებს. ამრიგად, გამოვიდა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვენ გვყავს ჩვენთან შეთანხმების მომხრე

პროპაგანდისტები, და ეს პროპაგანდისტები გამოგვიჩნდნენ არა საბჭოთა ელჩის სახით და არა ჟურნალისტთა რომელიმე წრეში, არამედ ისეთი უცუდესი ტიპის ექსპლოატატორთა წარმომადგენლების წრეში, როგორიც ვანდერლიპია.

როდესაც მე პასუხისმგებელ მუშაკთა კრებას ვუამბობდი იმას, რასაც ახლა გიამბობთ, ამერიკიდან დაბრუნებულმა ერთმა ამხანაგმა, რომელიც იქ ვანდერლიპის ქარხნებში მუშაობდა, გაგვიზიარა თავისი შეძრწუნება და თქვა, რომ ისეთი ექსპლოატაცია, როგორიც მან ვანდერლიპის ქარხნებში ნახა, სხვაგან არსად უნახავს. და აი, კაპიტალიზმის ასეთი ვეშაპის სახით ჩვენ გაგვიჩნდა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის პროპაგანდისტი, და კონცესიების შესახებ განზრახული ხელშეკრულების გარდა სხვა რომ არაფერი მივიღოთ, მაშინაც შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ მოვიგეთ. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი, რა თქმა უნდა, საიდუმლო ცნობები, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ მიუტოვებიათ განზრახვა — გაზაფხულზე კვლავ დაიწყონ ომი საბჭოთა რუსეთთან. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ცნობები, რომ ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა უკვე მოსამზადებელ ნაბიჯებს დგამს, ხოლო თეთრგვარდიელობა, შეიძლება ითქვას, მოსამზადებელ მუშაობას ეწევა ყველა სახელმწიფოში. ამიტომ ჩვენი მთავარი ინტერესია მივაღწიოთ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, ამისათვის კი საჭიროა ჩვენს მხარეზე გვყავდეს კაპიტალისტთა მცირეოდენი ნაწილი მაინც.

ინგლისში დიდი ხანია ბრძოლაა. ჩვენ უკვე იმით მოვიგეთ, რომ უბოროტესი კაპიტალისტური ექსპლოატაციის წარმომადგენელთაგან მივიღეთ ისეთი ადამიანები, რომლებიც რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის პოლიტიკას ემხრობიან. ინგლისთან ხელშეკრულება, ინგლისთან სავაჭრო შეთანხმება ჯერ კიდევ ხელმოუწერელია. კრასინს ამჟამად გაძლიერებული მოლაპარაკება აქვს ლონდონში ამის შესახებ. ინგლისის მთავრობამ თავისი პროექტი წარმოგვიდგინა, ჩვენ წავუყენეთ ჩვენი კონტრპროექტი, მაგრამ მაინც ვხედავთ, რომ ინგლისის მთავრობა შეთანხმებას აჭიანურებს, რომ იქ

გაძლიერებით მუშაობს რეაქციული სამხედრო პარტია, რომელიც დღემდე იმარჯვებდა და რომელიც ხელს უშლის საერაკრო შეთანხმებათა დადებას. ჩვენი პირდაპირი ინტერესი და პირდაპირი მოვალეობაა მხარი დავუჭიროთ ყოველივე იმას, რასაც კი შეუძლია გააძლიეროს ის პარტიები და ჯგუფები, რომლებიც ჩვენთან ამ ხელშეკრულების დადებას ესწრაფვიან. ვანდერლიპის სახით ჩვენ ასეთი მომხრე გაგვიჩნდა, და ეს მხოლოდ შემთხვევითი როდია; არ შეიძლება ეს მარტო იმით აიხსნას, რომ ვანდერლიპი განსაკუთრებით ყოჩაღია, ანდა რომ ვანდერლიპი ძალიან კარგად იცნობს ციმბირს. აქ არის უფრო ღრმა მიზეზები, დაკავშირებული ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესთა განვითარებასთან, რომელიც ურიცხვ კოლონიებს ფლობს. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმს შორის აქ ღრმა უთანხმოებაა და ამაზე დაყრდნობა ჩვენს უდავო მოვალეობას შეადგენს.

მე ვთქვი, რომ ვანდერლიპი განსაკუთრებით კარგად იცნობს ციმბირს. როცა ჩვენი ლაპარაკი მთავრდებოდა, ამხანაგმა ჩიჩერინმა აღნიშნა, ვანდერლიპი უნდა მიიღოთ იმიტომ, რომ ეს ჩინებულად იმოქმედებს მის შემდგომ გამოსვლაზე დასავლეთ ევროპაშიო. და თუმცა ასეთ კაპიტალისტურ ვეშაპთან საუბრის პერსპექტივა, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი თანამდებობის მიხედვით განსვენებულ მირბახთანაც კი მომიხდა ფრიად თავაზიანი საუბარი, რასაკვირველია, მე ვერც ვანდერლიპთან ლაპარაკი შემაშინებდა. საინტერესოა, რომ, როცა ვანდერლიპი და მე ყოველგვარი თავაზიანობით მივმართავდით ერთმანეთს და როცა მან ხუმრობით თქვა, ამერიკელები მეტად პრაქტიკული ხალხია და სანამ თვითონ საკუთარი თვალით არ ნახავენ, არავის დაუჯერებენო, მეც ნახევრად ხუმრობით მივუგე: «აი ახლა თქვენ ნახეთ, რა კარგადაა საქმე საბჭოთა რუსეთში, და შემოიღეთ ეს ამერიკაში». ამაზე მან მიპასუხა, მაგრამ უკვე არა ინგლისურად, არამედ რუსულად: «შესაძლებელიაო». «როგორ, თქვენ რუსულიც კი იცით?». ის ამბობს: «მე ხუთი ათასი ვერსი გავიარე ციმბირში მრავალი წლის წინათ, და

ციმბირმა მეტისმეტად დამაინტერესა». ასეთი ურთიერთ თავაზიანი ხუმრობა ვანდერლიპთან იმით დამთავრდა, რომ წასვლისას ვანდერლიპმა თქვა: «დიახ, უნდა გამოვტყდე, რომ მისტერ ლენინს რქები არა აქვს, და ეს უნდა ვუთხრა ყველა ჩემს ნაცნობს ამერიკაშიო». რა თქმა უნდა, ეს უბრალო ხუმრობა კი არ იქნებოდა, ჩვენ რომ ევროპის პრესიდან არ მიგვეღო შემდგომი ცნობები, რომ საბჭოთა ხელისუფლება თითქოს რაღაც ურჩხულია, რომ მასთან ურთიერთობა არ შეიძლებაო. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გადაგვესროლა აბ ჭაობში ქვა, ვანდერლიპის — ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მომხრის სახით.

მოსულა თუ არა იაპონიიდან თუნდაც ერთი ისეთი ცნობა, რომელშიც ლაპარაკი არ იყოს იაპონიის სავაჭრო წრეების მეტისმეტ აღელვებაზე. იაპონიის საზოგადოებრივი აზრი ამბობს, რომ ის არასოდეს თავის ინტერესებს არ დათმობს, რომ ის საბჭოთა ხელისუფლებასთან კონცესიების წინააღმდეგია. ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ იაპონიასა და ამერიკას შორის მტრობის უდიდესი გამწვავება და ამით მივიღეთ ჩვენს წინააღმდეგ იაპონიისა და ამერიკის შემოტევის უეჭველი შესუსტება.

მოსკოვის პასუხისმგებელ მუშაკთა იმ კრებაზე, რომელსაც ამ ფაქტის შესახებ შევატყობინე, დისკუსიის დროს ასეთი შეკითხვა შემოიტანეს: «ისე გამოდის, — როგორც ერთი ამხანაგი წერდა, — რომ ჩვენ ერთმანეთთან საომრად ვუსისიანებთ იაპონიას და ამერიკას, მაგრამ იომებენ მუშები და გლეხები. და თუმცა ესენი იმპერიალისტური სახელმწიფოებია, მაგრამ განა ჩვენ, სოციალისტებს, შეგვშვენის ორი სახელმწიფო ერთმანეთს საომრად მივუსიოთ და მუშათა სისხლისღვრა გამოვიწვიოთ?». მე ამაზე ვუპასუხე, რომ თუ ჩვენ მართლაც საომრად წავუსისიანებდით მუშებსა და გლეხებს, ეს დანაშაული იქნებოდა. მაგრამ მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა მიმართულია სრულიადაც არა იქითკენ, რომ ხალხებს საომრად წავუსისიანოთ, არამედ იქითკენ, რომ ომს ბოლო მოვუღოთ. და გამოცდილებამ საკმაოდ ცხადყო, რომ

მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენს გამოსავალს მუდმივი ომებიდან. ამრიგად, ჩვენი პოლიტიკა საომრად წასისიანებაში არ მდგომარეობს. არაფერი ისეთი ჩვენ არ ჩაგვიდენია, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაამართლებდა ომს იაპონიასა და ამერიკას შორის. მთელი ჩვენი პროპაგანდა და ყველა საგაზეთო სტატია სავსებით იმ ჭეშმარიტების გარკვევას ემსახურება, რომ ამერიკასა და იაპონიას შორის ომი ისეთივე იმპერიალისტური ომი იქნება, როგორიც იყო ინგლისის ჯგუფის ომი გერმანიის ჯგუფთან 1914 წელს, რომ სოციალისტებმა სამშობლოს დაცვაზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობაზე, მუშათა რევოლუციაზე. მაგრამ თუ ჩვენ, რომლებიც ამ რევოლუციის დასაჩქარებლად ჩვენი ძალღონისათვის ყოველივე მისაწვდომს ვაკეთებთ, სუსტი სოციალისტური რესპუბლიკის მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელსაც ავაზაკი იმპერიალისტები თავს ესხმიან, სწორია თუ არა ჩვენი პოლიტიკა მათ შორის არსებული მტრობის გამოყენებისა იმისათვის, რომ გავუძნელოთ მათ ჩვენს წინააღმდეგ შეერთება? რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკა სწორი პოლიტიკაა. ჩვენ მას ვაწარმოებდით ოთხი წლის განმავლობაში. და ამ პოლიტიკის გამოვლინების მთავარი ფაქტი ბრესტის ხელშეკრულება იყო. ვიდრე გერმანიის იმპერიალიზმი წინააღმდეგობას გვიწევდა, ჩვენ, იმპერიალისტების ურთიერთ წინააღმდეგობათა გამოყენებით, შევძელით გაგვეძლო მაშინაც კი, როცა წითელი არმია შექმნილი არ იყო.

აი ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩამოყალიბდა ჩვენი საკონცესიო პოლიტიკა კამჩატკის მიმართ. ამგვარი კონცესია საგრძნობი გამონაკლისია. შემდეგ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ ყალიბდება კონცესიის დანარჩენი ობიექტები. ახლა კი საკითხის პოლიტიკურ მხარეს დავჯერდები. მინდა აღვნიშნო, რომ იაპონიისა და ამერიკის ურთიერთობაში იმალება იმის ახსნა, თუ რატომაა ჩვენთვის ხელსაყრელი კონცესიების შეთავაზება ან კონცესიებით შემოტყუება. კონცესია გულისხმობს მშვიდობიან შეთანხმებათა ასე თუ ისე აღდგენას,

სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, გულისხმობს იმას, რომ ჩვენ პირდაპირი და ფართო შესაძლებლობა მოგვეცეს ჩვენთვის საჭირო მანქანების შესაყიდად. და ჩვენ მთელი ძალ-ღონე იქითკენ უნდა წარვმართოთ, რომ ეს განვახორციელოთ. ეს ჯერ კიდევ განხორციელებული არ არის.

ამხანაგი, რომელსაც შემოაქვს შეკითხვა ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ, მეკითხება, რატომ ბრკოლდება ინგლისთან შეთანხმების ხელმოწერაო. ვუპასუხებ: იმიტომ ბრკოლდება, რომ ინგლისის მთავრობა ყოყმანობს. სავაჭრო და სამრეწველო ინგლისის ბურჟუაზიის უმრავლესობა ურთიერთობის აღდგენის მომხრეა და ნათლად ხედავს, რომ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც ხელს შეუწყობდა ომს, მეტისმეტი რისკის გაწევას და რევოლუციის დაჩქარებას ნიშნავს. თქვენ გახსოვთ, რომ ვარშავაზე ჩვენი ლაშქრობის დროს ინგლისის მთავრობა ულტიმატუმით დაგვემუქრა და განაცხადა, ფლოტს ბრძანებას მივცემთ პეტროგრადის წინააღმდეგ დაიძრასო. თქვენ გახსოვთ, რომ მთელი ინგლისი მოიფინა «მოქმედების კომიტეტებით», და მენშევიკურმა ბელადებმა განაცხადეს, ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ, ჩვენ ამ ომს არ დავუშვებთო. მეორე მხრივ, ინგლისის ბურჟუაზიის რეაქციული ნაწილი და სამეფო კარის სამხედრო ჩროვა ომის განგრძობას ემხრობიან. უეჭველია, მათ გავლენას უნდა მიეწეროს, რომ სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერა ბრკოლდება. ინგლისთან ამ სავაჭრო ურთიერთობის, ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის ამ ხელშეკრულების ცალკეულ პერიპეტიებს აღარ გიამბობთ, რადგან ეს ძალიან შორს წამიყვანდა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ბოლო დროს მოგვიხდა ამ საჩოთირო საკითხის განხილვა ძალიან გულმოდგინედ. ჩვენ მას ძალიან ხშირად ვუბრუნდებოდით, ამასთან ჩვენი პოლიტიკა აქ ნათლად განისაზღვრა მაქსიმალური დამთმობლობის სასარგებლოდ. ამჟამად ჩვენი მიზანია მივაღწიოთ სავაჭრო შეთანხმებას ინგლისთან, რათა დავიწყოთ საქონლის უფრო სწორი გაცვლა, რათა სახალხო მეურნეობის აღდგენის ჩვენი ფარ-

თო გეგმისათვის შესაძლებლობა მივიღოთ რაც შეიძლება ჩქარა შევისყიდოთ საჭირო მანქანები. რაც უფრო ჩქარა გავაკეთებთ ამას, მით უფრო მეტი საფუძველი გვექნება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ახლა, როცა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო შემოსევაზე ხელი დაეწვათ, დაუყოვნებლივ ფიქრი ომის განახლებაზე მათ არ შეუძლიათ; უნდა ვისარგებლოთ მომენტით და მთელი ძალები იქითკენ წარვმართოთ, რომ თუნდაც მაქსიმალურ დათმობათა ფასად მივაღწიოთ სავაჭრო ურთიერთობას, ვინაიდან იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან მტკიცე სავაჭრო ურთიერთობა ჩვენ ერთი წამითაც არა გვჯერა: ეს იქნება დროებითი შესვენება. რევოლუციების, დიდი კონფლიქტების ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ომები, მთელი რიგი ომები გარდუვალია, ხოლო ისეთი საკითხი, როგორიცაა კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა, — კაპიტალისტური ქვეყნებით გარშემორტყმული საბჭოთა რესპუბლიკა, — კაპიტალიზმისათვის ეს ისეთი შეუწყნარებელი რამაა, რომ ისინი ომის განახლების ყოველგვარ შესაძლებლობას ჩაებღაუჭებიან. ახლა ხალხები იმპერიალისტური ომისაგან დაიქანცნენ, თუ ომი გაგრძელდა, ისინი აღშფოთებით იმუქრებიან, მაგრამ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ კაპიტალისტები მის განახლებას შეძლებენ. აი რატომ უნდა წარვმართოთ მთელი ძალები იქითკენ, რომ გამოვიყენოთ შესაძლებლობა, რამდენადაც ის გვეძლევა, და დავდოთ სავაჭრო ხელშეკრულებანი.

ივლისში, როცა პოლონეთს სრული დამარცხება ემუქრებოდა, როცა პოლონეთს წითელი არმიისაგან განადგურება მოელოდა, ინგლისმა წამოაყენა შეთანხმების სრული ტექსტი, რომელშიც ნათქვამი იყო: თქვენ პრინციპულად უნდა განაცხადოთ, რომ ოფიციალურ პროპაგანდას არ გასწევთ და აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ არავითარ ნაბიჯს არ გადადგამთ. ამას შემდგომი პოლიტიკური კონფერენცია შეიმუშავებს, ახლა კი ჩვენ ამა და ამ სავაჭრო

შეთანხმებას ვდებთ. გინდათ ხელი მოაწეროთ? ჩვენ ვუპასუხეთ: გვინდა. ჩვენ ახლაც ვამბობთ, რომ ამ შეთანხმებას ხელს ვაწერთ. პოლიტიკური კონფერენცია უფრო ზუსტად განსაზღვრავს ინგლისის ინტერესებს აღმოსავლეთში. ერთგვარი ინტერესები აღმოსავლეთში ჩვენცა გვაქვს და, როცა ეს საჭირო იქნება, მათ დაწვრილებით გადმოვცემთ. ინგლისს არ შეუძლია პირდაპირ თქვას, რომ თავისი ივლისის წინადადებიდან უკან იხევს. ამიტომ ის აჭიანურებს საქმეს და თავის საკუთარ ხალხს უმალავს სიმართლეს მოლაპარაკების შესახებ. მოლაპარაკება გაურკვეველ მდგომარეობაშია, იმის დაბეჯითებით თქმა, რომ შეთანხმება ხელმოწერილ იქნება, ჩვენ არ შეგვიძლია. ინგლისში უძლიერესი გავლენა — სამეფო კარისა და სამხედრო წრეებისა — ამ შეთანხმების წინააღმდეგ მუშაობს. მაგრამ ჩვენ ახლა მაქსიმალურ დათმობებზე ვთანხმდებით და ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის საინტერესოა მივიღოთ სავაჭრო შეთანხმება და რაც შეიძლება ჩქარა შევისყიდოთ ზოგი რამ იქიდან, რაც ძირითადია ტრანსპორტის აღსადგენად, ე. ი. ორთქლმავლები, მრეწველობის აღსადგენად, ელექტროფიკაციისათვის. ჩვენთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. თუ ჩვენ ეს მივიღეთ, რამდენიმე წლის განმავლობაში ისე გავმაგრდებით, რომ უარეს შემთხვევაშიც კი, თუ ვინიცობაა რამდენიმე წლის შემდეგ სამხედრო ინტერვენცია მოხდა, იგი ჩაიფუშება, იმიტომ რომ უფრო ძლიერი ვიქნებით, ვიდრე ახლა ვართ. ჩვენი პოლიტიკა ცენტრალურ კომიტეტში — ინგლისისადმი მაქსიმალურ დათმობათა ხაზით მიდის. და თუ ეს ვაჟბატონები ფიქრობენ რაიმე დაპირებაში გამოგვიჭირონ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი მთავრობა არავითარ ოფიციალურ პროპაგანდას არ გასწევს, ჩვენ განზრახვა არა გვაქვს შევეხოთ ინგლისის რაიმე ინტერესებს აღმოსავლეთში. თუ მათ იმედი აქვთ ამით ქურქი შეიკერონ, დაე სცადონ, ჩვენ ამით არ დავზარალდებით.

მე მივადექი საფრანგეთისადმი ინგლისის დამოკიდებულების საკითხს. აქ დახლართული ურთიერთობაა. ერთი მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი ერთა ლიგაში შედიან და ვალდებული

არიან ერთად იმოქმედონ, მეორე მხრივ, ყოველი გამწვავების დროს, ისინი ერთად არ მოქმედებენ. ეს ნათლად გამომჟღავნდა, როცა ამხ. კამენევი ლონდონში იყო და კრასინთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებდა. საფრანგეთი იმის მომხრე იყო, რომ მხარი დაეჭირათ პოლონეთისა და ვრანგელისათვის, ინგლისის მთავრობამ კი განაცხადა: «ჩვენ საფრანგეთთან ერთად არ წავალთო». ინგლისისათვის კონცესიები უფრო მისაღებია, ვიდრე საფრანგეთისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ვალების მიღებაზე ოცნებობს, ინგლისში კი რამდენადმე საქმიანი კაპიტალისტები ამაზე აღარ ფიქრობენ. და ამ მხრივაც ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთ უთანხმოების გამოყენება ჩვენთვის ხელსაყრელია, ხოლო ამიტომ დაჟინებით უნდა დავიცვათ ინგლისისათვის კონცესიების მიცემის პოლიტიკური წინადადება. ახლა ჩვენ გვაქვს ხელშეკრულების პროექტი შორეული ჩრდილოეთის სატყეო კონცესიების შესახებ. ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა, იმის მეოხებით, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის პოლიტიკური ერთიანობა არაა, მოვალე ვართ განსაზღვრულ რისკზედაც კი უარი არა ვთქვათ, ოღონდ კი იმას მივაღწიოთ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო კავშირი გავუძნელოთ. ახალი ომი, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი ჩვენს წინააღმდეგ მხარს დაუჭერენ, უზარმაზარ სიძნელეებს შეგვიქმნის (მაშინაც კი, თუ ჩვენ მას სავსებით ძლევამოსილად დავამთავრებთ, ისევე, როგორც ახლა ვრანგელთან ომი დავამთავრეთ), გააძნელებს ჩვენს ეკონომიურ-სამეურნეო განვითარებას, გააუარესებს მუშათა და გლეხთა მდგომარეობას. ამიტომ ჩვენ უნდა დავთანხმდეთ ყველაფერს, რაც კი ნაკლებ ზარალს მოგვაყენებს. ხოლო კონცესიებით გამოწვეული ზარალი რომ არაფერია იმასთან შედარებით, ვიდრე ჩვენი სამეურნეო მშენებლობის შეფერხება და ათასობით მუშისა და გლეხის დაღუპვა იქნებოდა, თუ იმპერიალისტთა კავშირს წინ არ აღვუდგებოდით, — ეს ცხადია. და მათი კავშირისადმი წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი

ასეთი საშუალებაა ინგლისთან მოლაპარაკება კონცესიების შესახებ. აი საკითხის პოლიტიკური მხარე.

დასასრულ, ავიღოთ ინგლისისა და მთელი ანტანტის დამოკიდებულება გერმანიისადმი. გერმანია, თუ ამერიკას ან მივიღებთ მხედველობაში, ყველაზე მოწინავე ქვეყანაა. ელექტრობის განვითარების მხრივ ტექნიკის დონით ის ამერიკაზე მაღლაც კი დგას. და აი, ეს ქვეყანა, ვერსალის ხელშეკრულებით შებორკილი, წარმოუდგენელ საარსებო პირობებში იმყოფება. და ასეთი მდგომარეობა გერმანიას, ბუნებრივია, რუსეთთან კავშირისაკენ უბიძგებს. როდესაც რუსეთის ჯარები ვარშავას უახლოვდებოდნენ, მთელი გერმანია აღგზნებული იყო. რუსეთთან ამ ქვეყნის კავშირი, ქვეყნისა, რომელსაც ახრჩობენ, რომელსაც შესაძლებლობა აქვს უზარმაზარი საწარმოო ძალები აამოქმედოს, — ეს უბიძგებდა იქითკენ, რომ გერმანიაში პოლიტიკური აღრევა მოხდა: რუსეთის ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობაში გერმანელი შავრაზმელები სპარტაკელებთან ერთად იყვნენ. და ეს სავსებით გასაგებია, რადგან ეს გამომდინარეობს ეკონომიური მიზეზებიდან, ეს შეადგენს მთელი ეკონომიური მდგომარეობისა და ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ვიდრე ჩვენ მარტონი ვართ და კაპიტალისტური სამყარო ძლიერია, ერთი მხრივ, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უთანხმოებანი (ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო რომ დაგვემარცხებია, ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ამას საკმაოდ დიდხანს ვერ შევძლებთ). ჩვენი არსებობა დამოკიდებულია იმაზე, რომ, ერთი მხრივ, არსებობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ძირითადი უთანხმოება, ხოლო, მეორე მხრივ, იმაზე, რომ ანტანტის გამარჯვებამ და ვერსალის ზავმა უკან გადაისროლა და ცხოვრების შესაძლებლობა წაართვა გერმანელი ერის უდიდეს უმრავლესობას. ვერსალის ზავმა ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ გერმანიას არ შეუძლია იოცნებოს შესვენებაზე, იოცნებოს იმაზე, რომ მას არ ძარცვავდნენ, რომ მას საარსებო საშუალებებს არ ართმევ-

დნენ, რომ მის მოსახლეობას შიმშილსა და ამოწყდომას არ უმზადებდნენ, — ამაზე ოცნება გერმანიას არ შეუძლია. და ბუნებრივია, რომ გერმანიისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან კავშირი, და ისიც სწორედ მას აპყრობს თვალს. ისინი გააფთრებულნი მოდიან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მათ სძულთ ბოლშევიკები, ისინი ხვრეტენ თავიანთ კომუნისტებს, როგორც ნამდვილი თეთრგვარდიელები. გერმანიის ბურჟუაზიულ მთავრობას საშინლად სძულს ბოლშევიკები, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობის ინტერესები მას აიძულებენ ზავი ჰქონდეს საბჭოთა რუსეთთან თავისი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს, ამხანაგებო, ჩვენი საერთაშორისო, საგარეო პოლიტიკის მეორე ვეშაპია: დავუმტკიცოთ ხალხებს, რომელთაც ბურჟუაზიული ჩაგვრა შეუგნიათ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე მათთვის ხსნა არ არის. და რამდენადაც საბჭოთა რესპუბლიკა სამი წლის განმავლობაში გაუმკლავდა იმპერიალისტების შემოტევას, ეს იმას მეტყველებს, რომ დედამიწაზე არსებობს ერთი ქვეყანა, მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომელიც იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრას წარმატებით იგერიებს. დაე ეს იყოს «ავაზაკების», «მძარცველების», «ბანდიტების», ბოლშევიკებისა და სხვ. ქვეყანა, დაე ასე იყოს, მაგრამ უამქვეყნოდ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მაინც შეუძლებელია.

ასეთ მდგომარეობაში კონცესიების საკითხს კიდევ ერთი მხარე ემატება. აი ეს ბროშურა, რომელიც ხელში მიჭირავს, ეს 23 ნოემბრის დეკრეტია კონცესიების შესახებ. ის ყრილობის ყველა წევრს დაურიგდება. ჩვენ განზრახვა გვაქვს საზღვარგარეთ რამდენიმე ენაზე გამოვცეთ ბროშურა კონცესიების შესახებ. ჩვენი მიზანია დაუყოვნებლივ გავაკეთოთ ყველაფერი, რათა კონცესიებით დავაინტერესოთ რაც შეიძლება მეტი ქვეყნების — და სწორედ ყველაზე უფრო ჩაგრული ქვეყნების — მოსახლეობა. იაპონიისა და ამერიკის ინტერესთა უთანხმოება ძალიან დიდია. მათ ურთიერთ შორის ვერ გაუყვიათ ჩინეთი, მთელი რიგი კუნძულები და ა. შ.. გერმანიასა და

ანტანტას შორის ინტერესთა უთანხმოება სხვანაირია. გერმანიის არსებობა შეუძლებელია იმ პირობების გამო, რომლებიც მას ანტანტამ შეუქმნა. იქ ხალხი იხოცება, რადგან ანტანტას მიაქვს ძრავები და მიჰყავს პირუტყვი. ასეთი მდგომარეობა გერმანიას საბჭოთა რუსეთთან დაახლოებისაკენ უბიძგებს. გერმანიასა და ანტანტას შორის დადებული ხელშეკრულების დეტალები მე არ ვიცი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობა ამ ხელშეკრულებით აკრძალულია. არსებობის პირობები გერმანიის მთელ ხალხს, მათ შორის გერმანელ შავრაზმელებსა და კაპიტალისტებსაც, აიძულებს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობა ეძებონ. ამრიგად, ცხადია, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა წამოვაყენოთ კონცესიები როგორც ეკონომიური საშუალება, იმის მიუხედავადაც კი, მოხერხდება თუ არა პროექტის განხორციელება. კონცესიებისადმი ინტერესი იმდენად აშკარაა, რომ, თუნდაც არც ერთი კონცესიის გაცემა არ მოხერხდეს, თუნდაც არც ერთი ჩვენი ხელშეკრულება არ განხორციელდეს (ეს კი ჯერ კიდევ სავსებით შესაძლებელია), ასედაც რომ მოხდეს, ჩვენ მაინც მოგებული ვიქნებით, ჩვენ მაინც ეს პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, იმიტომ რომ ამით ვაძნელებთ იმპერიალისტური ქვეყნების ლაშქრობას ჩვენს წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველა ჩაგრულ ხალხს მთლიანად უნდა მივმართოთ მითითებით, — და ეს ვერსალის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, — რომ თითო-ოროლა ქვეყანა ახრჩობს სხვა ხალხებს, და ეს ხალხები დახმარებას გვთხოვენ ჩვენ აშკარად თუ ფარულად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მაგრამ ისინი ეჩვევიან იმის შეგნებას, რომ ეკონომიურად აუცილებელია საბჭოთა რუსეთთან კავშირი საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამიტომ სასურსათო კონცესიები სცილდება ძველი ბურჟუაზიული კონცესიების ჩარჩოებს, ისინი უკვე აღარ გვანან ძველ კაპიტალისტურ კონცესიებს. ისინი კაპიტალისტური რჩებიან, რამდენადაც გერმანელ კაპიტალისტებს ვეუბნებით: მოიტანე ამდენი

და ამდენი ტრაქტორი, ჩვენ კი მოგცემთ ჩინებულ ყამირ მიწას და პურს. ჩვენ იმით ვიზიდავთ კაპიტალს, რომ მას ეს უდიდეს მოგებას მისცემს. ამ მხრივ კონცესია წმინდა წყლის კაპიტალისტურ საწარმოდ რჩება, მაგრამ მას განუზომლად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც გერმანია, როგორც ერი, ავსტრია და სხვა ქვეყნები ვერ იარსებებენ, რამდენადაც მათთვის სასურსათო დახმარება აუცილებელია და რამდენადაც მთელი ხალხი, მიუხედავად იმისა, კაპიტალისტი ას თუ ორას პროცენტს იჯიბავს, რამდენადაც მთელი ხალხი ხედავს, მიუხედავად ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ცრურწმენებისა, რომ ბოლშევიკები ქმნიან სულ სხვანაირ საერთაშორისო ურთიერთობას, რომელიც ყველა ჩაგრულ ხალხს შესაძლებლობას აძლევს იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლდეს. ამიტომ გასული სამი წლის განმავლობაში მიღწეული ჩვენი წარმატება კიდევ უფრო დიდი წარმატება იქნება უახლოესი ერთი წლის მანძილზე ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. ჩვენი პოლიტიკა საბჭოთა რესპუბლიკის გარშემო აჯგუფებს იმ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომელთაც იმპერიალიზმი ახრჩობს. აი ამიტომ კონცესიების ამ წინადადებას მარტო კაპიტალისტური მნიშვნელობა როდი აქვს, აი ამიტომ ეს მარტო გერმანელი კაპიტალისტებისაკენ გაწვდილი ხელი როდია: «მოგვიტანეთ ასობით ტრაქტორი და მიიღეთ მანეთზე თუნდაც სამასი პროცენტი», — არამედ ეს არის ჩაგრული ხალხებისაკენ გაწვდილი ხელი, ეს არის ჩაგრული მასების კავშირი, რომელიც მომავალი პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი ფაქტორია. ეჭვები და შიში, რაც ჯერ კიდევ არსებობს მოწინავე ქვეყნებში, რომლებიც ამბობენ: რუსეთს იმიტომ შეეძლო სოციალისტური რევოლუციის რისკი გაეწია, რომ იგი დიდია და თავისი საარსებო საშუალებანი აქვს, ჩვენ კი, ევროპის სამრეწველო ქვეყნები, ამის გაკეთებას ვერ შევძლებთ, რადგან მოკავშირენი არა გვყავსო, — უსაფუძვლოა, და ჩვენ ვამბობთ: «მოკავშირე თქვენ უკვე გყავთ — საბჭოთა რუსეთი». და რამდენადაც ჩვენ განვახორციელებთ კონცესიას, ეს იქნება ის კავშირი,

რომელიც განამტკიცებს კავშირს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. არ შეიძლება ეს მდგომარეობა მხედველობიდან გავუშვათ, იგი ამართლებს ჩვენს საკონცესიო პოლიტიკას და მიუთითებს ამ კონცესიების გაცემის აუცილებლობაზე.

კიდევ რამდენიმე წმინდა ეკონომიური ხასიათის მოსაზრება. ახლა გადავდივარ ეკონომიურ მოსაზრებებზე და წავიკითხავ ზოგიერთ დებულებას კანონიდან; თუმცა იმედი მაქვს, რომ აქ დამსწრე ამხანაგებს 23 ნოემბრის ეს კანონი წაკითხული აქვთ, მაგრამ მოკლედ მოგაგონებთ მას. ის ლაპარაკობს იმაზე, რომ კონცესიონერებს საზღაური მიეცემათ პროდუქტების წილის სახით, რომ, განსაკუთრებულ ტექნიკურ გაუმჯობესებათა შემთხვევაში, ჩვენ მზადა ვართ მივცეთ საკაჭრო უპირატესობანი, რომ კონცესიების ვადები ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი იქნება დანახარჯების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით. ჩვენ გარანტიას ვიძლევით, რომ საწარმოში დაბანდებული ქონების კონფისკაცია და რეკვიზიცია არ მოხდება.

უამისოდ, რა თქმა უნდა, კერძო კაპიტალი და კერძო მესაკუთრე ჩვენთან ურთიერთობას არ იქონიებს. მაგრამ აქ ამოღებულია სასამართლოების საკითხი, რომელზედაც თავდაპირველად ლაპარაკი იყო ხელშეკრულების პროექტში. შემდეგ დავინახეთ, რომ ჩვენთვის ეს ხელსაყრელი არაა. ამრიგად, სასამართლო ხელისუფლება ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენ ხელში რჩება. შეხლა-შემოხლის შემთხვევაში საკითხს ჩვენი მოსამართლენი გადაწყვეტენ. ეს რეკვიზიცია კი არ იქნება, არამედ ჩვენი სასამართლო დაწესებულებების კანონიერი სასამართლო უფლებების გამოყენება.

მეხუთე მუხლი ლაპარაკობს შრომის კანონთა კოდექსზე. ვანდერლიპთან, ხელშეკრულების თავდაპირველი პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო, რომ შრომის კანონთა კოდექსი არ გავრცელდებოდა იმ ადგილებზე, სადაც ცხოვრობენ, ჩვენ არ ვიცით რომელი, სუსტად განვითარებული ტომები. ამ ადგილებში შრომის კანონთა კოდექსის გამოყენება შეუძლებელია. გამონაკლისი ის იქნება, რომ შრომის

კანონთა კოდექსის ნაცვლად დაიდება სპეციალური ხელშეკრულება მუშათა გარანტიების შესახებ.

უკანასკნელი მუხლი ისაა, რომლითაც ჩვენ კონცესიონერს გარანტიას ვაძლევთ, რომ დაშვებული არ იქნება ცალმხრივი ცვლილება. უამისოდ, რა თქმა უნდა, კონცესიების დაშვებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ხოლო თუ რას ნიშნავს არა ცალმხრივი ცვლილება, — ეს საკითხი დატოვებულია ღიად. ეს დამოკიდებულია ხელშეკრულების ტექსტზე თვითეული კონცესიისათვის. შესაძლებელია სამედიატორო გარჩევა რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოების მონაწილეობით. ეს ისეთი მუხლია, რომელმაც შეიძლება უთანხმოების საბაბი შექმნას და რომელიც ერთგვარ სარბიელს ტოვებს თვით კონცესიის პირობების განსაზღვრის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, მუშათა მენშევიკი ბელადები კაპიტალისტურ სამყაროში საიმედო ადამიანებად ითვლებიან. ისინი ბურჟუაზიულ მთავრობებში შედიან, და ბურჟუაზიული მთავრობებისთვის ძალიან ძნელია თავიდან აიცილონ ისეთი შუამავლები ან მედიატორეები, როგორიც ევროპის ქვეყნების მენშევიკები ანუ სოციალ-გამცემნი არიან. ამავე დროს კი გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მდგომარეობის რამდენადმე სერიოზული გამწვავებისას ამ ვაჟბატონმა ამერიკელმა და ევროპელმა მენშევიკებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ და იძულებული არიან რევოლუციური მასების ზეგავლენას დაემორჩილონ, თუმცა ისინი რევოლუციის მოწინააღმდეგეებად რჩებიან. ეს საკითხი ღიად რჩება. ჩვენ მას წინასწარ არ ვწყვეტთ.

ამ პირობებიდან, რომლებიც მე წაგიკითხეთ, თქვენ ხედავთ, რომ კონცესიონერ კაპიტალისტებსა და სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ეკონომიური ურთიერთობა არაა მტკიცე და მყარი. გასაგებია, რომ კაპიტალისტი, რომელიც კერძო საკუთრებას და ექსპლოატაციის ურთიერთობას ინარჩუნებს, არ შეიძლება სოციალისტურ რესპუბლიკაში გარესხეულს არ წარმოადგენდეს. და აქედან გამომდინარეობს ის, რაც ჩემი მოხსენების ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს: ის, რომ

კონცესია ომის განგრძობაა, ოღონდ სხვა ფორმით. ახლა დაწვრილებით გადავალ ამაზე, მაგრამ ჯერ მინდა გადმოვცე კონცესიების სამი მთავარი სახე ანუ ობიექტი.

ამ ბროშურაში ჩვენ ჩამოვთვალეთ კონცესიების მთავარი ობიექტები, და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მომუშავე ამხანაგებმა, რომლებმაც ამ ბროშურის მასალა მოგვცეს და მას რედაქცია გაუკეთეს, თან დაურთეს რუკები, სადაც ნათლად ჩანს კონცესიების ეს ობიექტები. ამ რუკებზე ჩანს, რომ კონცესიების ობიექტები სამ მთავარ სახედ იყოფა: სატყეო კონცესიები შორეულ ჩრდილოეთში — ეს ერთი, სასურსათო კონცესიები — ეს მეორე და სამთამადნო კონცესიები ციმბირში — მესამე.

ევროპული რუსეთის შორეული ჩრდილოეთის სატყეო კონცესიების ეკონომიური ინტერესები ჩვენთვის აშკარაა. იქ არის ათობით, ასობით მილიონი დესეტინა ტყე, რომლის დამუშავება ჩვენ სრულიად არ შეგვიძლია, რადგან არა გვაქვს გზები, წარმოების საშუალებანი, შესაძლებლობა არა გვაქვს მივზიდოთ სურსათი იქაური მუშებისათვის. ისეთ სახელმწიფოს კი, რომელსაც ძლიერი ფლოტი ჰყავს, შეუძლია იქ წესიერად დაამზადოს ხე-ტყის საქონელი და უდიდესი ოდენობით გაზიდოს ის.

თუ ჩვენ გვინდა საზღვარგარეთთან საქონლის გაცვლა გვქონდეს, — ჩვენ კი ეს გვინდა, ჩვენ გვესმის მისი აუცილებლობა, — მაშინ ჩვენი ძირითადი ინტერესია რაც შეიძლება ჩქარა მივიღოთ კაპიტალისტური ქვეყნებიდან წარმოების ის საშუალებანი (ორთქლმავლები, მანქანები, ელექტრონის აპარატები), ურომლისოდაც ჩვენი მრეწველობის რამდენადმე სერიოზულად აღდგენას ვერ შევძლებთ, ზოგჯერ კი სულაც ვერ შევძლებთ, რადგან საშუალება არა გვაქვს, რომ ჩვენი ფაბრიკებისათვის საჭირო მანქანები ვიქონიოთ. საჭიროა მოვისყიდოთ კაპიტალიზმი იმით, რომ მივცეთ მას დიდი მოგება. იგი ზედმეტ მოგებას მიიღებს, — ჯანდაბას ეს ზედმეტი მოგება, — ჩვენ მივიღებთ იმ ძირითადს, რომლის საშუალებითაც განვმტკიცდებით, საბოლოოდ ფეხზე დავდგებით და

მას ეკონომიურად დავამარცხებთ. საუკეთესო მანქანები და სხვ. რომ მივიღოთ, ჩვენ ფული უნდა გადავიხადოთ. რით გადავიხადოთ? ჩვენ გვაქვს რამდენიმე მილიონი ოქროს ფონდი, რომელიც დაგვრჩა. რუსეთის ელექტროფიკაციის სპეციალურ გეგმაში თქვენ ნახავთ, რომ ეს გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია ათეული წლებისათვის, მრეწველობის აღდგენის დამატებით სამუშაოსთან ერთად, დაახლოებითი გამოანგარიშებით გამოიწვევს 17 მილიარდ ოქროს მანეთამდე აუცილებელ ხარჯს. მარტო ელექტროფიკაცია უშუალოდ ერთ მილიარდ ოქროს მანეთზე მეტი დაჯდება. ჩვენი ოქროს ფონდით ამის დაფარვა არ შეგვიძლია, სასურსათო პროდუქტების გატანა ჩვენთვის უაღრესად არასასურველი და საშიშია, რადგან ჩვენი მრეწველობა სურსათით სრულად უზრუნველყოფილი არ არის, ეს ხარჯი კი უნდა დავფაროთ. და აქ ჩვენთვის არ არის ეკონომიურად იმაზე უფრო ხელსაყრელი ობიექტი, ვიდრე შორეული ჩრდილოეთის ტყეები, რომლებიც აურაცხელი გვაქვს, ეს ტყეები იქ ლპება, იღუპება, რადგან ეკონომიურად არ ძალგვიძს მათი ექსპლოატაცია. ამავე დროს საერთაშორისო ბაზარზე ხე-ტყე უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს. ამ მხრივ შორეული ჩრდილოეთი ჩვენთვის პოლიტიკურადაც ხელსაყრელია, იმიტომ, რომ ეს შორეული განაპირა მხარეა. ეს კონცესია ჩვენთვის პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც ხელსაყრელია და მას ყველაზე მეტად უნდა მივეძალოთ. მოსკოვში გამართულ თათბირზე, რომლის შესახებაც გელაპარაკებოდით, მილიუტინმა გვაცნობა, რომ ინგლისთან მოლაპარაკება ჩრდილო-ევროპული რუსეთის ამ კონცესიის შესახებ წინ მიდის. იქ რამდენიმე ათეული მილიონი დესეტინა ტყეა. თუ ჩვენ სამ ან ხუთ მილიონ დესეტინა ტყეს მივცემთ კონცესიონერებს ჭადრაკული წესით, ჩვენთვის კი შევქმნით გაუმჯობესებულ საწარმოთა გამოყენების შესაძლებლობას, ჩვენი ტექნიკოსების მონაწილეობის უზრუნველყოფით გამოვიყენებთ სწავლის შესაძლებლობას, — ჩვენ ბევრს მოვიგებთ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც გაგვირიგდნენ, გავუძნელებთ ჩვენს წინააღმდეგ

ომის წამოწყებას, რადგან ომი ყველაფერს არღვევს, ომის დროს შენობები, ნაგებობანი, გზები ჩვენ დაგვრჩება. ახალი მოსალოდნელი კოლჩაკების, დენიკინებისა და სხვ. გამოსვლების შესაძლებლობანი ჩვენს წინააღმდეგ არ მოხსნილა.

კონცესიების მეორე სახეა სასურსათო კონცესია. გარდა დასავლეთ ციმბირისა, სადაც პირველხარისხოვანი მიწის უდიდესი ფართობია, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია იმიტომ, რომ იგი ძალიან დაშორებულია გზებს, მარტო ევროპულ რუსეთში და მდინარე ურალის გაყოლებით, — ჩვენი მიწათმოქმედების კომისარიატმა სათანადო დავალება მისცა და გამოარკვია, რომ იმ მიწების რაოდენობა, რომელთა დამუშავებას ჩვენ ვერ შევძლებთ, სულ ცოტა 3 მილიონ დესეტინას შეადგენს მდინარე ურალის გაყოლებით; ეს მიწები კაზაკებმა მიატოვეს სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად, — ჩინებული მიწებია, რომლებიც უნდა დავამუშაოთ, მაგრამ რადგან პირუტყვი არ გვყოფნის და საწარმოო ძალები დასუსტებულია, ჩვენ მათ ვერ დავამუშავებთ.

დონის ოლქის საბჭოთა მეურნეობებში 800 000 დესეტინამდეა, რომელიც არ შეგვიძლია დავამუშაოთ, რადგან მის დასამუშავებლად საჭიროა დიდძალი პირუტყვი ან მთელი სატრაქტორო რაზმები, რომელთა ამოქმედება არ ძალგვიძს. ამავე დროს კი ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ავსტრიას, გერმანიას და ბოჰემიას, რომელთაც ძლიერ ესაჭიროებათ სურსათი, შეეძლოთ ეს რაზმები აემუშავებინათ და ზაფხულის კამპანიაში ჩინებული ხორბალი მიეღოთ. რამდენად მოგვიხერხდება ამის განხორციელება, არ ვიცით. ჩვენში ახლა ორი სატრაქტორო ქარხანა მუშაობს, მოსკოვსა და პეტროგრადში, მაგრამ არსებულ ძნელ პირობებში ისინი ტრაქტორებს დიდი რაოდენობით ვერ მოგვცემენ. მდგომარეობის შემსუბუქება შეგვეძლო ტრაქტორების გადიდებული რაოდენობის შეყიდვით. ტრაქტორები უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ძველი მიწათმოქმედების რადიკალურად გარდაქმნისა და ნახნავის გაფართოებისათვის. ამ კონცესიე-

ბით შეიძლება მთელ რიგ ქვეყნებს დავანახვოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია გიგანტური ოდენობით განვავითაროთ მსოფლიო მეურნეობა.

ჩვენი პროპაგანდა და ჩვენი წინადადება წარმატებითაც რომ არ დაგვირგვინდეს, ჩვენი წინადადება რომ არც მიიღონ. მასში მაინც რჩება არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალისტური სარგებლობაც. ის, რაც კაპიტალისტურ სამყაროში ხდება, არა მარტო სიმდიდრის დატაცება, არამედ უგუნურება და დანაშაულია, რადგან ერთ წყება ქვეყნებში ჭარბადაა სურსათი, რომელიც სავალუტო რევოლუციების გამო არ იყიდება, იმიტომ რომ მთელ რიგ დამარცხებულ ქვეყნებში ფული გაუფასურებულია. დიდძალი სურსათი ლპება, ამავე დროს კი ისეთ ქვეყნებში, როგორც გერმანიაა, ათეული მილიონობით მოსახლეობა პირდაპირ იღუპება. ეს უაზრობანი, კაპიტალიზმის ეს დანაშაული აშკარა ხდება ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის და რუსეთის მეზობელი პატარა ქვეყნებისათვის. გამოდის საბჭოთა რესპუბლიკა და ამბობს: «ჩვენ გვაქვს ასი ათასობით დესეტინა ჩინებული მიწა, რომელიც შეიძლება ტრაქტორებით დამუშავდეს, თქვენ კი გაქვთ ტრაქტორები, გაქვთ ბენზინი და გყავთ გაწვრთნილი ტექნიკოსები; და აი ჩვენ ყველა ხალხს, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებსაც წინადადებას ვაძლევთ ქვაკუთხედად გაიხადონ სახალხო მეურნეობის აღდგენა და ყველა ხალხის შიმშილისაგან ხსნა». თუ კაპიტალისტებს ეს ვერ შეუგნიათ, ეს კაპიტალისტური წყობილების სიდამპლის, უგუნურებისა და დანაშაულებრივი ხასიათის საბუთია. ამას მარტო პროპაგანდისტული მნიშვნელობა როდი ექნება; ეს იქნება კომუნისტური მოწოდება რევოლუციისაკენ, რადგან იგი ისეთი სიცხადით, რომელიც ყველა ხალხის შეგნებაში სულ უფრო მეტად ინერგება, ააშკარავებს, რომ კაპიტალიზმი ინგრევა, რომ მას მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლია. იმპერიალისტური ქვეყნების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა ჯიბეს ისქელებს, მთელი რიგი სხვა ქვეყნები კი პირდაპირ დაღუპვის პირას დგანან. მსოფლიო მეურნეობა რეორგანიზაციას მოითხოვს. და

საბჭოთა რესპუბლიკა გამოდის რეორგანიზაციის ამ გეგმით, ამ სავსებით საქმიანი, უდავო, განსახორციელებელი წინადადებით «თქვენ შიმშილით იხოცებით კაპიტალიზმის დროს, მიუხედავად ტექნიკის უდიდესი სიმდიდრისა, — ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ჩვენს ნედლეულთან თქვენი ტექნიკის შეერთებით მოვსპოთ კრიზისი, მაგრამ კაპიტალისტები ხელს გვიშლიან. ჩვენ მათ წინადადებას ვაძლევთ გააკეთონ ეს, ისინი კი აფერხებენ, საქმეს ჰფუშავენ». ეს კონცესიის — სასურსათო თუ სატრაქტორო კონცესიის — მეორე სახეა.

კონცესიების მესამე სახეა სამთამადნო კონცესიები. ისინი ჩამოთვლილია ციმბირის რუკაზე, სადაც დაწვრილებითაა აღნიშნული თვითეული ადგილი, რომელზედაც ლაპარაკია კონცესიაში. ციმბირის სამთამადნო სიმდიდრე აურაცხელია, და ჩვენ უკეთეს შემთხვევაში, დიდი წარმატების დროსაც კი, რამდენიმე წელიწადს ვერ შევძლებდით მათი მეასედის დამუშავებას. ეს სიმდიდრე ისეთ პირობებშია, სადაც საჭიროა საუკეთესო მანქანების მოწყობა. აქ არის ისეთი პროდუქტები, როგორც სპილენძის მადანი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებს, ელექტრონის მრეწველობას ძალიან ესაჭიროება, ამ პროდუქტების დიდი ნაკლებობის გამო. მსოფლიო მეურნეობის აღდგენისა და მსოფლიო ტექნიკის ამაღლების შესაძლებლობა არის, თუ კი ჩვენთან წესიერ ურთიერთობას დაამყარებენ.

ეს კონცესიები მათი განხორციელების მხრივ, რა თქმა უნდა, ძნელი კონცესიებია, ე. ი. ისინი უფრო მეტ სიძნელეს შეიცავენ, ვიდრე სატყეო და სასურსათო კონცესიები. იქ, სასურსათო კონცესიებში, საქმე ეხება ხანმოკლე სატრაქტორო კამპანიებს. სატყეო კონცესიებიც ისე ძნელი არაა, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენთვის მიუწვდომელი ობიექტია. მაგრამ სამთამადნო კონცესიების ნაწილი რკინიგზიდან შორს არაა, ნაწილი კი დიდად დასახლებულ ადგილებშია, და აქ მეტი საფრთხეა, ამიტომ ჩვენც უფრო გულდასმით ავწონ-დავწონით, მივცეთ თუ არა ისინი, და განსაზღვრულ პირობებს წავუყენებთ, ვინაიდან არავითარი ეჭვი არაა, რომ კონცესიე-

ბი — ეს ახალი ომია. კაპიტალისტები ჩვენთან ახალი ომისათვის მოდიან, თვით კაპიტალისტების არსებობა უკვე ომია სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ. ეკონომიურად კაპიტალისტური საწარმოები სოციალისტურ სახელმწიფოში — ესაა ომი თავისუფალი ვაჭრობისათვის, გაწერის პოლიტიკის წინააღმდეგ, ომი კერძო საკუთრებისათვის, იმ რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელმაც ეს საკუთრება გააუქმა. და ამ ეკონომიურ ფესვზე იზრდება მთელი რიგი ურთიერთდამოკიდებულებანი (როგორიცაა, მაგალითად, სამხედრო ურთიერთობა «სუხარევკასა» [94] და ჩვენს დაწესებულებებს შორის). შეუძლიათ გვითხრან, თქვენ «სუხარევკას» კეტავთ და მთელ წყება ახალ «სუხარევკებს» ხსნით, რაკი ჩვენში კაპიტალისტებს უშვებთო. ჩვენ ამაზე თვალს არ ვხუჭავთ და ვამბობთ: თუ ჩვენ დღემდე გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ მაშინ, როდესაც ჩვენი მტრები ყველა საშუალებას მიმართავდნენ ჩვენი წამოწყებების ჩასაშლელად, როდესაც ეს ჩაშლა შიგნიდან ხდებოდა გარედან ჩაშლასთან ერთად, ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ თავი გავართვათ და თვალყური ვადევნოთ განსაზღვრულ უბნებზე, როცა განსაზღვრული პირობები და ურთიერთობა გვექნება? სამხედრო ჯაშუშობასთან, კაპიტალისტურ საბოტაჟთან ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილება ჩვენ მოგვეპოვება. ჩვენ ვიბრძოდით მაშინ, როდესაც ისინი ჩვენს საკუთარ დაწესებულებებში იმალებოდნენ, — ნუთუ ჩვენ საქმეს ვერ მოვაგვარებთ მაშინ, როდესაც კაპიტალისტებს შემოვუშვებთ განსაზღვრული სიების მიხედვით, განსაზღვრული პირობებით? რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ისინი ამ პირობებს დაარღვევენ, ამ დარღვევათა წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოლებთ. მაგრამ, ამხანაგებო, კაპიტალისტურ საფუძვლებზე დამყარებული კონცესიები — ეს ომია. ვიდრე არ დაგვიმხვია კაპიტალი სხვა ქვეყნებში, ვიდრე ის ჩვენზე გაცილებით უფრო ძლიერია, ის შეძლებს ყოველთვის დაძრას ჩვენს წინააღმდეგ თავისი ძალები, კვლავ გამოვიდეს ჩვენს წინააღმდეგ საომრად. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენ უფრო ძლიერნი გავხდეთ, ამისათვის კი უნდა განვავითაროთ მსხვილი მრეწველობა, უნდა ავამაღლოთ

ტრანსპორტი. ამას რომ ვატარებთ, ჩვენ რისკზე მივდივართ, აქ ისევ საომარი ურთიერთობაა, ისევ ბრძოლაა, და თუ ისინი ჩვენს პოლიტიკას ძირს გამოუთხრიან, ჩვენ მათ წინააღმდეგ ვიომებთ. დიდი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მშვიდობიანი ხელშეკრულება კონცესიების შესახებ თითქოს მშვიდობიანი ხელშეკრულება იყოს კაპიტალისტებთან. ესაა ხელშეკრულება ომის შესახებ, მაგრამ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ჩვენთვის ნაკლებ საშიშია, მუშებისთვისაც და გლეხებისთვისაც ნაკლებ მძიმეა, ნაკლებ მძიმეა, ვიდრე იმ მომენტში იყო, როდესაც ჩვენ საუკეთესო ტანკებითა და ზარბაზნებით გვებრძოდნენ, და ამიტომ ჩვენ ყველა ხერხი უნდა ვიხმაროთ, იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ეკონომიურ დათმობათა ფასად განვავითაროთ ჩვენი ეკონომიური ძალები, გავაადვილოთ ჩვენი ეკონომიური აღდგენის საქმე. თქმა არ უნდა, კაპიტალისტები ხელშეკრულებებს არ შეასრულებენო, — ამბობენ ის ამხანაგები, რომელთაც კონცესიებისა ეშინიათ. თავისთავად ცხადია, თავის დაიმედება, რომ კაპიტალისტები ხელშეკრულებას შეასრულებენ — ყოვლად შეუძლებელია. ეს იქნება ომი, და უკანასკნელი საბუთი, რომელიც საერთოდ სოციალისტურ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში შემავალ საბუთად რჩება, — ესაა ომი.

ეს ომი ახლა ჩვენ ყოველ საათს გვემუქრება. ჩვენ საზავო მოლაპარაკებას ვაწარმოებთ პოლონეთთან, და ყველა შანსი გვაქვს, რომ ზავი ხელმოწერილ იქნება ან, ყოველ შემთხვევაში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შანსების უდიდესი უმრავლესობა ამ ზავის შეკვრის სასარგებლოდაა მიმართული. მაგრამ სავინკოვები და საფრანგეთის კაპიტალისტები რომ ამ ხელშეკრულების ჩასაშლელად მუშაობენ, ეს უეჭველია. დღეს თუ არა ხვალ მაინც კაპიტალისტებისათვის ომი შესაძლებელია, და ისინი მას უკვე ახლაც ხალისით დაიწყებდნენ, სამი წლის გამოცდილებას რომ მათთვის ჭკუა არ ესწავლებინა. კონცესიები — ეს გარკვეული რისკია; კონცესიები — ეს ზარალია; კონცესიები — ეს ომის განგრძობაა. ეს უეჭველია, მაგრამ ჩვენთვის ეს ომი უფრო ხელსაყრელია. როდესაც

წარმოების საშუალებათა, ორთქლმავლებისა და მანქანების განსაზღვრულ მინიმუმს მივიღებთ, მაშინ ეკონომიურად ის აღარ ვიქნებით, რაც დღემდე ვიყავით, და მაშინ იმპერიალისტური ქვეყნები ჩვენთვის კიდევ უფრო ნაკლებ საშიშნი იქნებიან.

ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ კონცესიონერები განსაკუთრებულ პირობებს შეუქმნიან თავიანთ მუშებს, ჩამოუტანენ მათ კარგ ტანსაცმელს, კარგ ფეხსაცმელს, კარგ სურსათს. ასეთი იქნება მაშინ მათი პროპაგანდა ჩვენს მუშებში, რომლებმაც გაჭირვება უნდა აიტანონ და კიდევ დიდხანს მოუხდებათ მისი ატანა. მივიღებთ, ერთი მხრივ, სოციალისტურ რესპუბლიკას, სადაც მუშები გაჭირვებულნი არიან, მის გვერდით კი — კაპიტალისტურ კუნძულს, სადაც მუშები მშვენივრად ცხოვრობენო. ასეთი შიში ძალიან ხშირად გაისმის ჩვენს პარტიულ კრებებზე. რა თქმა უნდა, ამგვარი საფრთხე რჩება და იმას მოწმობს, რომ კონცესია ომის განგრძობაა და არა მშვიდობა. მაგრამ თუ ჩვენ ბევრად მეტი გაჭირვება გადავიტანეთ და ამასთან ერთად ვნახეთ, რომ მუშები კაპიტალისტური ქვეყნებიდან მაინც მოდიან ჩვენთან, თუმცა იციან, რომ ეკონომიური პირობები, რაც მათ რუსეთში მოელის, გაცილებით უარესია, — მაშინ ნუთუ ჩვენ ასეთი პროპაგანდისაგან აქ თავს ვერ დავიცავთ ჩვენი კონტრპროპაგანდით, ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ დავუმტკიცოთ მუშებს, რომ კაპიტალიზმს, რა თქმა უნდა, შეუძლია თავისი მუშების განსაზღვრულ ჯგუფებს უკეთესი პირობები შეუქმნას, მაგრამ რომ ამით მუშათა დანარჩენი მასის პირობები არ უმჯობესდება? დასასრულ, რატომ იყო, რომ ბურჟუაზიულ ევროპასა და ამერიკასთან ყოველგვარი ურთიერთობის დროს ყოველთვის მოგებული ვრჩებოდით ჩვენ და არა ისინი? რატომ არის, რომ მათ დღემდე ეშინიათ დელეგაციების გამოგზავნისა ჩვენში, ჩვენ კი მათთან დელეგაციების გაგზავნისა არ გვეშინია? დღემდე იმ დელეგაციებიდან, რომელთაც ისინი ჩვენში გზავნიდნენ, ჩვენ ყოველთვის გადმოგვყავდა ხოლმე ჩვენს მხარეზე მცირე ნაწილი მაინც, მიუხედავად იმისა, რომ

დელეგაციები უმთავრესად მენშევიკური ელემენტისაგან შედგებოდნენ და ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ჩვენში დროებით ჩამოდიოდნენ. და განა ჩვენ იმის შეგვეშინდება, რომ ვერ შევძლებთ მუშებს სიმართლე განვუმარტოთ?! ჩვენ ყოველად უხეირო ხალხი ვიქნებოდით, თუ ამას შევუშინდებოდით, ამ მოსაზრებებს თუ იმ პირდაპირ ინტერესზე მაღლა დავაყენებდით, რომელსაც კონცესიებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი გლეხებისა და მუშების მდგომარეობა ისევ მძიმეა; ის უნდა გავაუმჯობესოთ. ამ მხრივ არ შეიძლება რაიმე ეჭვი გვქონდეს. მე ვფიქრობ, ჩვენ შევთანხმდებით იმაზე, რომ კონცესიების პოლიტიკა აგრეთვე ომის განგრძობის პოლიტიკაა, მაგრამ ჩვენი ამოცანაა შევინარჩუნოთ კაპიტალისტური მტრებით გარშემორტყმული განცალკევებული სოციალისტური რესპუბლიკის არსებობა, შევინარჩუნოთ რესპუბლიკა, რომელიც განუზომლად უფრო სუსტია, ვიდრე მის გარშემო მყოფი კაპიტალისტური მტრები, ამით წავართვათ მტრებს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად ურთიერთკავშირის შექმნის შესაძლებლობა, ხელი შევუშალოთ მათ პოლიტიკას, არ მივცეთ მათ გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობა. ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ რუსეთისათვის საჭირო იარაღები და საშუალებანი მეურნეობის აღსადგენად, ვინაიდან, როდესაც ჩვენ ამას მივიღებთ, მაშინ ისე მაგრად დავდგებით ფეხზე, რომ არავითარი კაპიტალისტური მტერი ჩვენთვის საშიში აღარ იქნება. აი ის თვალსაზრისი, რომლითაც ვხელმძღვანელობდით ჩვენს პოლიტიკაში კონცესიების შესახებ და რომელიც მე გადმოვეცი.

2

მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ 22 დეკემბერს

(შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი დ ა ნ: «გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს!» მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი. ძ ლ ი ე რ ი ო ვ ა ც ი ა.) ამხანაგებო, მე უნდა გავაკეთო მოხსენება მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. ჩემი მოხსენების ამოცანა მე ისე არ მესმის, რომ ჩამოგითვალოთ თქვენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების თუნდაც უდიდესი ან უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები და ღონისძიებანი. ვფიქრობ, თქვენ არ დაგაინტერესებდათ აგრეთვე და არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ მოვყოლოდი ამ ხნის განმავლობაში მომხდარ ამბებს. ვფიქრობ, რომ უნდა შევეცადოთ იმ მთავარი გაკვეთილების განზოგადებას, რაც მივიღეთ ამ ერთ წელიწადში, რომელიც არა ნაკლებ მდიდარია პოლიტიკის მკვეთრი შემობრუნებებით, ვიდრე რევოლუციის წინა წლები, და ერთი წლის გამოცდილების გაკვეთილების განზოგადებიდან გამოვიყვანოთ ყოვლად გადაუდებელი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას და რომლებზედაც ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება როგორც თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად შემოტანილი თავისი კანონპროექტებით, ისე თავის ღონისძიებათა მთელი ერთობლიობით ყველაზე მეტ იმედებს ამყარებს, ყველაზე მეტ მნიშვნელობას აძლევს მათ და მათი შესრულებისაგან მოელის სერიოზულ წარმატებებს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის საქმეში. ამიტომ ნება მომეცით დავკმაყოფილდე მხოლოდ

მოკლე შენიშვნებით რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაზე და გასული წლის მთავარ შედეგებზე საგარეო პოლიტიკის დარგში.

რა თქმა უნდა, თქვენ ყველამ იცით, თუ როგორ მოგვახვიეს თავს ომი პოლონეთის მემამულეებმა და კაპიტალისტებმა დასავლეთ ევროპის, და არა მარტო დასავლეთ ევროპის, კაპიტალისტური ქვეყნების ზემოქმედებისა და მიძალების მეოხებით. თქვენ იცით, რომ ჩვენ მიმდინარე წლის აპრილში ზავს ვთავაზობდით პოლონეთის მთავრობას მისთვის იმაზე შეუდარებლად უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ახლანდელი პირობებია, და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის ზეგავლენით, მას შემდეგ, რაც სრულიად წარუმატებლად დამთავრდა ჩვენი მოლაპარაკება პოლონეთთან დროებითი ზავის შესახებ, იძულებული ვიყავით დაგვეწყო ომი, რომელიც, მიუხედავად უკიდურესად მძიმე დამარცხებისა, რაც ჩვენმა ჯარებმა ვარშავასთან განიცადეს ომით მათი უეჭველი გადაქანცვის გამო, მაინც ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ზავით დამთავრდა, ვიდრე ჩვენ აპრილში ვთავაზობდით პოლონეთს. წინასწარი ზავი პოლონეთთან ხელმოწერილია და ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება საბოლოო ზავის ხელმოწერის შესახებ. ჩვენ სრულიად არ ვუმალავთ ჩვენს თავს იმ საფრთხეს, რომელიც მდგომარეობს ზოგიერთი ყველაზე შეუპოვარი კაპიტალისტური ქვეყნის ზემოქმედებაში, აგრეთვე რუს თეთრგვარდიელთა განსაზღვრული წრეების ზემოქმედებაში იმ მიზნით, რომ შეუძლებელი გახადონ ამ მოლაპარაკების ზავით დამთავრება. მაგრამ უნდა ვთქვათ, ანტანტის პოლიტიკა, რომელიც იქითაა მიმართული, რომ სამხედრო ძალით ჩაერიოს საქმეში და დათრგუნოს საბჭოთა ხელისუფლება, სულ უფრო და უფრო მეტად განიცდის კრახს, და ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის მხარეზე ვიზიდავთ სულ უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უეჭველად მტრულ პლატფორმაზე დგანან. იზრდება იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, და დიდად მოსალოდნე-

ლია, რომ საბოლოო საზავო ხელშეკრულება პოლონეთთან უახლოეს დროში ხელმოწერილ იქნება, და ამგვარად კიდევ ერთი მეტად სერიოზული ლახვარი ჩაეცემა იმ კაპიტალისტური ძალების კავშირს, რომლებიც ცდილობენ სამხედრო ძალით გამოგვგლიჯონ ხელიდან ძალაუფლება.

ამხანაგებო, თქვენ აგრეთვე იცით, რა თქმა უნდა, რომ ჩვენი დროებითი წარუმატებლობანი პოლონეთთან ომში და ჩვენი მდგომარეობის სიმძიმე ომის ზოგიერთ მომენტში დამოკიდებული იყო იმაზე, რომ ჩვენ უნდა გვებრძოლნა ვრანგელის წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალურად სცნო ერთმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ [95] და რომელიც მატერიალური, სამხედრო და სხვა დახმარების კოლოსალურ საშუალებებს იღებდა. და ჩვენ იძულებული ვიყავით ომის რაც შეიძლება მალე დასამთავრებლად მიგვემართნა ჯარების სასწრაფო თავმოყრისათვის, რათა გადამწყვეტი ლახვარი ჩაგვეცა ვრანგელისთვის. რა თქმა უნდა, თქვენ იცით, რა არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა წითელმა არმიამ, დაძლია რა ისეთი დაბრკოლებანი და ისეთი სიმაგრეები, რომელთაც სამხედრო სპეციალისტები და ავტორიტეტებიც კი მიუვალად თვლიდნენ. წითელი არმიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენს სრული, გადამწყვეტი და შესანიშნავად სწრაფი გამარჯვება ვრანგელზე. ამრიგად, ის ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს თეთრგვარდიელებმა და იმპერიალისტებმა, ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

ჩვენ ახლა შეგვიძლია გაცილებით მეტი რწმენითა და სიმტკიცით მოვკიდოთ ხელი სამეურნეო მშენებლობის საქმეს, რომელიც ჩვენთვის ახლობელია, აუცილებელია და უკვე დიდი ხანია გვიზიდავს, იმ რწმენით, რომ კაპიტალისტი მეპატრონეები ამ საქმეს ისე ადვილად ვეღარ ჩაშლიან, როგორც წინათ. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომისაგან უკვე გარანტირებული ვართ. და ამ გარანტიის უკმარობა მდგომარეობს სრულიადაც არა იმაში, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ფორმალური საზავო ხელშეკრულებანი.

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ვრანგელის არმიის ნაშთები მოსპობილი არ არის, არამედ გადამალულია არც თუ ძალიან შორს და მეურვეობისა და მფარველობის ქვეშ იმყოფება და წარმოებს მათი აღდგენა კაპიტალისტური სახელმწიფოების დახმარებით, რომ რუს თეთრგვარდიელთა ' ორგანიზაციები გაძლიერებით მუშაობენ, რათა შეეცადონ კვლავ შექმნან ესა თუ ის ჯარის ნაწილები და იმ ძალებთან ერთად, რომლებიც ვრანგელს ჰყავს, მოამზადონ ისინი ხელსაყრელ მომენტში ახალი შემოტევისათვის რუსეთის წინააღმდეგ.

ამიტომ სამხედრო ძალები ყოველ შემთხვევაში უნდა შევინარჩუნოთ და მზად გვყავდეს. არ უნდა დავენდოთ იმპერიალიზმისათვის უკვე ჩაცემულ ლახვარს, რადაც უნდა დაჯდეს უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი წითელი 'არმია მთელი მისი საბრძოლო მზადყოფნით და გავაძლიეროთ მისი საბრძოლო უნარი. ამას, რა თქმა უნდა, ხელს არ შეუშლის არმიის განსაზღვრული ნაწილის განთავისუფლება და მისი სწრაფი დემობილიზაცია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წითელი არმიისა და მისი ხელმძღვანელების მიერ ომის განმავლობაში მიღებული უზარმაზარი გამოცდილება დაგვეხმარება ახლა მისი თვისებების გაუმჯობესებაში. და ჩვენ მივაღწევთ 'იმას, რომ არმიის შემცირებისას შევინარჩუნებთ მის ისეთ ძირითად ბირთვს, რომელიც აუტანელ სიმძიმეს არ დააკისრებს რესპუბლიკას შენახვის მხრივ, და ამავე დროს არმიის შემცირებული რაოდენობის პირობებში უკეთ, ვიდრე წინათ, უზრუნველვყოფთ იმის შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში კვლავ ფეხზე დავაყენოთ კიდევ უფრო მეტი სამხედრო ძალა და მობილიზაცია ვუყოთ მას.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მეზობელმა სახელმწიფომ, რომლებმაც უკვე ბევრი დაკარგეს ჩვენს წინააღმდეგ თეთრგვარდიელთა შეთქმულებების მხარისდაჭერით, საკმაოდ გაითვალისწინა გამოცდილების ურყევი გაკვეთილი და როგორც საჭიროა ისე შეაფასა ჩვენი შერიგების სურვილი, რასაც ყველანი განმარტავდნენ როგორც ჩვენს სისუსტეს.

სამი წლის გამოცდილების შემდეგ ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ, როცა ჩვენ ვიჩენთ უაღრესად მყარ და მშვიდობიან განწყობილებას, ამავე დროს სამხედრო მხრივ მზადა ვართ. და ჩვენს წინააღმდეგ ომის ყოველი ცდა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ასეთ ომში ჩაებმებიან, იმ პირობების გაუარესების მომასწავებელი იქნება, რაც მათ შეეძლოთ ჰქონოდათ უომრად და ომამდე, იმასთან შედარებით, რასაც ისინი ომის შედეგად და მის შემდეგ მიიღებენ. ეს დამტკიცებულია რამდენიმე სახელმწიფოს მიმართ. და ეს არის ჩვენი მონაპოვარი, რაზედაც უარს არ ვიტყვით და რასაც არც ერთი სახელმწიფო, რომელიც ჩვენი მეზობელია ან რუსეთთან პოლიტიკურ დამოკიდებულებაში იმყოფება, არ დაივიწყებს. ამის მეოხებით ჩვენი ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან განუწყვეტლივ უმჯობესდება. თქვენ იცით, რომ ზავი საბოლოოდ ხელმოწერილია რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე მდებარე მთელ რიგ სახელმწიფოებთან, რომლებიც წინათ ყოფილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ და რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებისაგან, ჩვენი პოლიტიკის ძირითადი პრინციპების თანახმად, მიიღეს თავიანთი დამოუკიდებლობის, თავიანთი სუვერენობის უყოყმანო აღიარება. ამ საფუძვლებზე ზავს ყველა შანსი აქვს უფრო მტკიცე იყოს, ვიდრე ეს სურთ კაპიტალისტებს და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს.

ლატვიის მთავრობის მიმართ უნდა ვთქვა, რომ ერთ დროს თითქოს გვემუქრებოდა ურთიერთობის გაუარესება, რაც იქამდეც კი მიდიოდა, რომ შესაძლებელი ხდებოდა წარმოშობილიყო აზრი დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ლატვიაში მყოფი ჩვენი წარმომადგენლის სწორედ უკანასკნელი მოხსენება მოწმობს იმას, რომ უკვე მოხდა პოლიტიკის შეცვლა, თავიდან აცილებულია მრავალი გაუგებრობა და უკმაყოფილების კანონიერი საბაბი. სერიოზული იმედია, რომ უახლოეს დროში მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა გვექნება ლატვიასთან, რომელიც დასავლეთ ევროპასთან საქონლის გაცვლის დროს, აშკარაა,

კიდევ უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის, ვიდრე ესტონეთი და რსფსრ-ის მოსაზღვრე სხვა სახელმწიფოები.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე, ამხანაგებო, რომ აღმოსავლეთში ჩვენმა პოლიტიკამ ამ წლის განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩვენ უნდა მივესალმოთ ბუხარის, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნასა და განმტკიცებას, რომლებმაც არა მარტო სრული დამოუკიდებლობა აღადგინეს, არამედ მუშებმა და გლეხებმა ძალაუფლებაც ხელში აიღეს. ეს რესპუბლიკები იმის დამამტკიცებელი და დამადასტურებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების იდეები და პრინციპები მისაწვდომი და დაუყოვნებლივ განსახორციელებელია არა მარტო მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, არა მარტო ისეთი სოციალური დასაყრდენით, როგორიც პროლეტარიატია, არამედ ისეთი საფუძვლითაც, როგორიც გლეხობაა. გლეხთა საბჭოების იდეამ გაიმარჯვა. ხელისუფლება გლეხების ხელში უზრუნველყოფილია; მათ ხელშია მიწა, წარმოების საშუალებანი. გლეხური საბჭოთა რესპუბლიკების მეგობრული ურთიერთობა რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან უკვე განმტკიცებულია ჩვენი პოლიტიკის პრაქტიკული შედეგებით.

შეგვიძლია მივესალმოთ აგრეთვე ხელშეკრულების მომავალ ხელმოწერას სპარსეთთან, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა უზრუნველყოფილია ყველა იმ ხალხის ძირითადი ინტერესების თანადამთხვევის გამო, რომლებიც იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან იტანჯებიან.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ სულ უფრო და უფრო გვარდება და მტკიცდება ჩვენი მეგობრული ურთიერთობა ავღანისტანთან და კიდევ უფრო — თურქეთთან. ამ უკანასკნელი სახელმწიფოს მიმართ ანტანტის ქვეყნები თავის მხრივ ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შეუძლებელი გაეხადათ რამდენადმე ნორმალური ურთიერთობა თურქეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ეს გარემოება, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო უზრუნველყოფს იმას, რომ, მიუხედავად ბურჟუა-

ზიის მთელი წინააღმდეგობისა და ყველა ინტრიგისა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ირგვლივ დარჩენილია ბურჟუაზიული ქვეყნები, — რუსეთის კავშირი და მეგობრული ურთიერთობა აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებთან მტკიცდება, რადგან მთელ პოლიტიკაში უმთავრესი ფაქტია იმპერიალისტური ძალადობა იმ ხალხთა მიმართ, რომელთაც არ ჰქონდათ ბედნიერება გამარჯვებულთა რიცხვში მოხვედრილიყვნენ, და იმპერიალიზმის ეს მსოფლიო პოლიტიკა იწვევს ყველა ჩაგრული ხალხის დაახლოებას, კავშირსა და მეგობრობას. და წარმატება, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ ამ მხრივ დასავლეთშიც ჩვენზე უფრო ევროპიზებულ სახელმწიფოთა მიმართ, გვიჩვენებს, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ნამდვილი საფუძვლები სწორია და რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება მტკიცე ბაზას ემყარება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენის მხრივ მშვიდობისმოყვარეობის პოლიტიკის განგრძობით, იმ დათმობათა გზით, რომლებზეც ჩვენ წავედით (ჩვენ კი ამ დათმობებზე უნდა წავიდეთ, რათა ომი თავიდან ავიცილოთ), მიუხედავად ყველა ინტრიგისა და ზრახვებისა იმპერიალისტების მხრივ, რომელნიც, რასაკვირველია, ყოველთვის შეძლებენ გადაგვკიდონ ჩვენ ესა თუ ის სახელმწიფო, ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენი პოლიტიკის ძირითადი ხაზი და ძირითადი ინტერესები, გამომდინარენი თვით იმპერიალისტური პოლიტიკის არსიდან, თავისას შვრება და სულ უფრო და უფრო აიძულებს რსფსრ-ს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მეზობელ სახელმწიფოებს, რომელთა რიცხვი მის ირგვლივ იზრდება. ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენ საფუძვლიანად შეგვიძლია მოვკიდოთ ხელი სამეურნეო მშენებლობის საქმეს, შეგვიძლია მშვიდად, მტკიცედ და დარწმუნებით ვიმუშაოთ უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

უნდა ვთქვა აგრეთვე, რომ ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება ინგლისთან სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ. სამწუხაროდ, ეს მოლაპარაკება გაცილებით უფრო დიდხანს ჭიანურდება, ვიდრე ჩვენ გვსურს, მაგრამ ამაში ჩვენ

აბსოლუტურად ბრალი არ მიგვიძღვის. ჯერ კიდევ ივლისში, როცა ინგლისის მთავრობამ საბჭოთა ჯარების უდიდესი წარმატების მომენტში ოფიციალურად შემოგვთავაზა შეთანხმების ტექსტი, რომელიც უზრუნველყოფდა სავაჭრო ურთიერთობის შესაძლებლობას, ჩვენ სრული თანხმობით ვუპასუხეთ, მაგრამ მას შემდეგ მიმდინარეობათა ბრძოლამ ინგლისის მთავრობაში და ინგლისის სახელმწიფოში შეაფერხა ეს საქმე. ჩვენ ვხედავთ ინგლისის მთავრობის მერყეობას, ჩვენთან ურთიერთობის სრული გაწყვეტის, პეტროგრადის წინააღმდეგ ფლოტის დაუყოვნებლივ გამოგზავნის მუქარას. ჩვენ ამას ვხედავდით, მაგრამ ამავე დროს ვხედავდით, რომ ამ მუქარის საპასუხოდ მთელი ინგლისი იფარებოდა «მოქმედების კომიტეტებით». ჩვენ ვხედავდით, რომ ოპორტუნისტული მიმართულების უკიდურესი მომხრეები და მათი ბელადები მუშების ზეგავლენით იძულებული იყვნენ დადგომოდნენ სრულიად «არაკონსტიტუციური» პოლიტიკის ამ გზას, რომელსაც თვითონ ისინი გუშინ გმობდნენ. აღმოჩნდა, რომ მშრომელი მასების ზეგავლენისა და შეგნებულობის ძალამ, წინააღმდეგ ყველა მენშევიკური ცრურწმენისა, რაც აქამდე ბატონობდა ინგლისის პროფესიულ მოძრაობაში, იმდენად გაიკაფა გზა, რომ მახვილს უმსხვრევდა იმპერიალისტების მებრძოლ პოლიტიკას. და ახლაც, განვაგრძობთ რა მშვიდობიან პოლიტიკას, ჩვენ ვდგავართ ივლისის პროექტის ნიადაგზე, რომელიც ინგლისის მთავრობამ შემოგვთავაზა. ჩვენ მზადა ვართ დაუყოვნებლივ მოვაწეროთ ხელი სავაჭრო შეთანხმებას, ხოლო თუ იგი დღემდე ხელმოუწერელია, ბრალი ედება მხოლოდ და მხოლოდ იმ მიმდინარეობებსა და განწყობილებებს ინგლისის მმართველ წრეებში, რომელთაც სურთ ჩაშალონ სავაჭრო შეთანხმება, რომელთაც სწადიათ, არა მარტო მუშების უმრავლესობის ნებასურვილის წინააღმდეგ, არამედ ინგლისის ბურჟუაზიის უმრავლესობის ნებასურვილის წინააღმდეგაც, კიდევ ერთხელ იქონიონ შესაძლებლობა თავისუფლად დაესხან თავს საბჭოთა რუსეთს. ეს მათი საქმეა.

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ასეთი პოლიტიკა ინგლისის ზოგიერთ გავლენიან წრეში, ფინანსური კაპიტალისა და იმპერიალისტების წრეებში, მით უფრო მეტად გაამწვავებს იგი ფინანსურ მდგომარეობას, მით უფრო მეტად გააჭიანურებს ნახევრადშეთანხმებას, რაც ახლა აუცილებელია ბურჟუაზიულ ინგლისსა და საბჭოთა რესპუბლიკას შორის, მით უფრო დააახლოებს იგი იმპერიალისტებს იმას, რომ შემდეგ ისინი იძულებული იქნებიან მიიღონ არა ნახევრადშეთანხმება, არამედ სრული შეთანხმება.

ამხანაგებო, უნდა ვთქვა, რომ ინგლისთან ამ სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით დგას საკითხი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი საკითხია ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში, — ეს არის კონცესიების საკითხი. საანგარიშო დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს კანონთა რიცხვს ეკუთვნის მიმდინარე წლის 23 ნოემბრის კანონი კონცესიების შესახებ. რა თქმა უნდა, თქვენ ყველანი იცნობთ ამ კანონის ტექსტს. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენ ახლა გამოვაქვეყნეთ დამატებითი მასალები, რომელთაც შეუძლიათ ყველაზე მეტად გააცნონ ეს საკითხი საბჭოების ყრილობის ყველა წევრს. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ცალკე ბროშურა არა მარტო ამ დეკრეტის ტექსტით, არამედ კონცესიების უმთავრესი ობიექტების სიაც, სახელდობრ — სასურსათო, სატყეო და სამთამადნო ობიექტებისა. ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ ამ დეკრეტის ტექსტი რაც შეიძლება მალე გამოქვეყნდეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საკონცესიო პოლიტიკა წარმატებას მიაღწევს პრაქტიკული მხრივაც. ჩვენ სრულიად არ ვუმალავთ ჩვენს თავს იმ საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია ამ პოლიტიკასთან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში და ამასთანავე სუსტსა და ჩამორჩენილ ქვეყანაში. ვიდრე ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა დარჩება მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს განცალკევებულ განაპირა მხარედ, მანამდე ჩვენს სრულ ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე და ამა თუ იმ საფრთხის გაქრობაზე ფიქრი სრულიად

სასაცილო ფანტაზიორობა და უტოპიზმი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ვიდრე დარჩენილა ასეთი ძირითადი წინააღმდეგობანი, — რჩება საფრთხეც, და მას ვერსად გაექცევი. ჩვენ მხოლოდ მტკიცედ უნდა ვიდგეთ, რომ ის გადავიტანოთ, უნარი გვქონდეს გავარჩიოთ მეტი მნიშვნელობის საფრთხე ნაკლები მნიშვნელობის საფრთხისაგან და ნაკლებ მნიშვნელოვანს უპირატესობა მივანიჭოთ უფრო მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე.

ამას წინათ ჩვენ გვაცნობეს, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის არზამასის მაზრის საბჭოების ყრილობაზე ერთმა უპარტიო გლეხმა კონცესიების გამო განაცხადა: «ამხანაგებო, ჩვენ გგზავნით თქვენ სრულიად რუსეთის ყრილობაზე და ვაცხადებთ, რომ ჩვენ, გლეხები, მზადა ვართ კიდევ სამი წელიწადი ვიშიმშილოთ, სიცივეში ვიყოთ, გადავიხადოთ ბეგარა, ოღონდ კი დედა-რუსეთს კონცესიებზე ნუ გაყიდითო». მეტად მოხარული ვარ მივესალმო ამგვარ განწყობილებას, რაც ძალიან ფართოდ არის გავრცელებული. ვფიქრობ, ჩვენთვის სწორედ ის არის საყურადღებო, რომ უპარტიო — არა მარტო მუშების, არამედ აგრეთვე გლეხების — მშრომელ მასებში სამი წლის განმავლობაში მომწიფდა ის პოლიტიკური და სამეურნეო გამოცდილება, რომელიც ნებას იძლევა და გვაიძულებს ყველაზე მეტად დავაფასოთ კაპიტალისტებისაგან განთავისუფლება, გვაიძულებს სამმაგი სიფხიზლით და მეტისმეტი ეჭვიანობით მოვეპყრათ ყოველ ნაბიჯს, რომელსაც თან მოაქვს შესაძლებელი ახალი საფრთხე კაპიტალიზმის აღდგენის აზრით. უეჭველია, ამგვარ განცხადებებს ჩვენ მთელი გულისყურით ვეკიდებით, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ კაპიტალისტებზე რუსეთის მიყიდვის შესახებ ლაპარაკიც კი არ არის, რომ ლაპარაკია კონცესიებზე, ამასთანავე ყოველი ხელშეკრულება კონცესიებზე განპირობებულია განსაზღვრული ვადით, განსაზღვრული შეთანხმებით და გარემოცულია ყველა გარანტიით, რომლებიც გულმოდგინედ მოფიქრებულია, რომლებიც კიდევ არა ერთხელ იქნება მოფიქრებული და განხილული თქვენთან ერთად ამ

ყრილობაზე და ყოველგვარ შემდგომ თათბირებზე, და ეს დროებითი შეთანხმებანი გაყიდვას არა გავს. რუსეთის გაყიდვასთან მათ საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ერთგვარ ეკონომიურ დათმობას კაპიტალისტებისადმი იმ ანგარიშით, რომ ამ გზით მივიღოთ შესაძლებლობა რაც შეიძლება მალე შევიძინოთ ის აუცილებელი მანქანები და ორთქლმავლები, ურომლისოდაც ჩვენი მეურნეობის აღდგენას ვერ განვახორციელებთ. ჩვენ უფლება არა გვაქვს უგულებელვყოთ რაიმე, რასაც ოდნავ მაინც შეუძლია ხელი შეუწყოს მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

უნდა გავაკეთოთ იმის მაქსიმუმი, რის გაკეთებაც კი შესაძლებელია სავაჭრო ურთიერთობის სწრაფი აღდგენისათვის. და იგი, ეს მოლაპარაკება, ამჟამად ნახევრადლეგალურად წარმოებს. ჩვენ ვუკვეთავთ ორთქლმავლებს, მანქანებს სულაც არა საკმაო რაოდენობით, მაგრამ ჩვენ დავიწყეთ მათი შეკვეთა. თუ ჩვენ მოლაპარაკებას ლეგალურად ვაწარმოებთ, ამ შესაძლებლობებს უზარმაზარ ფარგლებში განვავითარებთ. მრეწველობის დახმარებით ჩვენ ბევრს მივაღწევთ და ამასთან უფრო მოკლე ვადაში, მაგრამ უფრო დიდი წარმატების დროსაც ეს ვადა წლებით, მთელი რიგი წლებით იზომება. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ ახლა სამხედრო გამარჯვება მოვიპოვეთ, ზავი მივიღეთ, მეორე მხრივ, ისტორია გვასწავლის, რომ არც ერთი დიდი საკითხი, არც ერთი რევოლუცია არ წყდებოდა ისე, თუ არა მთელი რიგი ომების გზით. და ამ გაკვეთილს არ დავივიწყებთ. ამჟამად ჩვენ მთელი რიგი ძლიერი სახელმწიფოები გადავაჩვიეთ ჩვენთან ომს, მაგრამ დიდი ხნით იქნება ეს თუ არა, ამის თავდებობა არ შეგვიძლია. მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ მდგომარეობის სულ მცირეოდენი შეცვლისას იმპერიალისტური მტაცებლები კვლავ წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ. მზად უნდა ვიყოთ ამისათვის. ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა აღვადგინოთ მეურნეობა, მტკიცედ უნდა დავაყენოთ იგი ფეხზე. თუ იგი არ მოვაწყვეთ, თუ კაპიტალისტური ქვეყნებიდან მანქანები არ შემოვიტანეთ, ამის სწრაფად გაკეთება არ შეიძლება. და აღარ ვნანობთ

ამასთან ზედმეტ მოგებას კაპიტალისტებისათვის, ოღონდ კი ამ აღდგენას მივაღწიოთ. საჭიროა, რომ მუშები და გლეხები ისე იყონ განწყობილი, როგორც ის უპარტიო გლეხები, რომლებმაც თქვეს, რომ მათ მსხვერპლისა და გაჭირვების არ ეშინიათ. შეგნებული აქვთ რა კაპიტალისტური ჩარევის საფრთხე, ისინი კონცესიებს სენტიმენტალური თვალსაზრისით არ უცქერიან, არამედ მათში ხედავენ ომის განგრძობას, ულმობელ, მხოლოდ სხვა ნიადაგზე გადატანილ ბრძოლას, ხედავენ ძველი კაპიტალიზმის აღსადგენად ბურჟუაზიის ახალი ცდების შესაძლებლობას. ეს ჩინებულია, ეს გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ჩვენი ინტერესების ზედამხედველობა და დაცვა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების საქმე კი არ იქნება, არამედ თვითეული მუშისა და გლეხის საქმეც. და მაშინ, დარწმუნებული ვართ, ჩვენ შევძლებთ ჩვენი ინტერესების დაცვა, საკონცესიო ხელშეკრულებათა შესრულების დროსაც კი, ისეთ ბაზაზე დავამყაროთ, რომელზედაც კაპიტალისტების ხელისუფლების დაბრუნების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება; და ჩვენ იმას მივაღწევთ, რომ ამ საფრთხეს მინიმუმამდე დავიყვანთ, რომ იგი უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ომის საფრთხე, რომ ეს გააძნელებს ომის განახლებას და გაგვიადვილებს ჩვენ შესაძლებლობას უფრო მოკლე ვადაში, ნაკლები წლების განმავლობაში (ლაპარაკია საკმაოდ მრავალ წელზე) აღვადგინოთ და განვავითაროთ ჩვენი მეურნეობა.

ამხანაგებო, სამეურნეო ამოცანები, სამეურნეო ფრონტი ახლა ჩვენს წინაშე ისევ და ისევ წინ დგება, როგორც ყველაზე მთავარი და როგორც ძირითადი. როდესაც ვიხილავდი იმ საკანონმდებლო მასალას, რომლის შესახებაც მიხდება ანგარიშის გაკეთება თქვენთვის, დავრწმუნდი, რომ როგორც სახალხო კომისართა საბჭოს, ისე თავდაცვის საბჭოს ღონისძიებათა და დადგენილებათა უდიდესი უმრავლესობა ამჟამად მდგომარეობს კერძო, დეტალურ, ძალიან ხშირად სრულიად წვრილმან ღონისძიებებში, რომლებიც დაკავშირებულია ამ სამეურნეო საქმიანობასთან. თქვენ, რასაკვირველია,

არ მოელით ჩემგან ამ ღონისძიებათა ჩამოთვლას, ეს მეტად მოსაწყენი და სრულიად არასაინტერესო იქნებოდა. მე მინდოდა მხოლოდ მომეგონებინა, რომ ჩვენ უკვე სრულიადაც არა პირველად ვუბრუნდებით შრომის ფრონტის ამ წამოწევას პირველ ადგილზე. გავიხსენოთ რეზოლუცია, რომელიც გამოიტანა სრულიად რუსეთის ცაკ-მა 1918 წლის 29 აპრილს [96]. ეს იყო დრო, როდესაც ბრესტის ზავმა, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, რუსეთი ეკონომიურად გაკვეთა და უზომოდ მტაცებლური ხელშეკრულების ძალით ჩვენ უაღრესად მძიმე პირობებში აღმოვჩნდით. მაშინ გამოირკვა, რომ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა შესვენებისა, რაც ჩვენ გვიქმნიდა პირობებს მშვიდობიანი სამეურნეო მუშაობის აღსადგენად, და მაშინვე — თუმცა ჩვენ ახლა ვიცით, რომ შესვენება მეტად ხანმოკლე იყო — სრულიად რუსეთის ცაკ-მა 29 აპრილის რეზოლუციაში მთელი ყურადღება ამ სამეურნეო მშენებლობაზე გადაიტანა. ეს რეზოლუცია, რომელიც არ გაუქმებულა და ჩვენს კანონად რჩება, სწორ პერსპექტივებს გვაძლევს იმის შესაფასებლად, თუ როგორ ვუდგებოდით ამ ამოცანას და რას უნდა მივაქციოთ ახლა მეტი ყურადღება ჩვენი მუშაობისათვის, ბოლომდე მის მისაყვანად.

ამ რეზოლუციის განხილვიდან ნათელია, რომ მრავალი იმ საკითხთაგანი, რომლებზედაც ჩვენ ახლა გვიხდება მუშაობა, სრულიად გარკვევით, მტკიცედ და საკმაოდ გადაჭრით იყო დასმული ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში. ვიგონებთ რა ამას, ჩვენ ვამბობთ: განმეორება სწავლის დედაა. და ჩვენ არ გვაშფოთებს ის, რომ ახლა ვიმეორებთ სამეურნეო მშენებლობის ამ ძირითად ჭეშმარიტებებს. ჩვენ კიდევ მრავალჯერ გავიმეორებთ მათ, მაგრამ შეხედეთ, რა განსხვავებაა განყენებული პრინციპების იმ გამოცხადებასა, რაც 1918 წელს მოხდა, და იმ სამეურნეო მუშაობას შორის, რომელიც პრაქტიკულად უკვე დაიწყო. და, მიუხედავად გიგანტური სიძნელეებისა და ჩვენი სამუშაოების მუდმივი ჩაშლისა, სულ უფრო ახლოს და უფრო კონკრეტულად ვუდგებით სამეურნეო ამოცანების პრაქტიკულ დაყენებას. ჩვენ ჯერ კიდევ

ბევრჯერ და ბევრჯერ მოგვიხდება განმეორება. უამრავჯერ განმეორების, ერთგვარი უკანდაბრუნების, შემოწმების, ცალკეული შესწორებების, ახალი ხერხების, ჩამორჩენილთა და მოუმზადებელთა დასარწმუნებლად ძალთა დაძაბვის გარეშე მშენებლობისათვის თავის გართმევა შეუძლებელია.

ამჟამად პოლიტიკური მომენტის მთელი დედააზრი ის არის, რომ ჩვენ განვიცდით სწორედ გარდამტეხ, გარდამავალ პერიოდს, ერთგვარ ზიგზაგზს, — პერიოდს, როცა ომიდან სამეურნეო მშენებლობაზე გადავდივართ. ეს წინათაც ყოფილა, მაგრამ არ ყოფილა ასეთ ფართო ფარგლებში. ამან კიდევ და კიდევ უნდა მოგვაგონოს ჩვენ, როგორია საბჭოთა ხელისუფლების საერთო-პოლიტიკური ამოცანები, რაშია ამ გადასვლის თავისებურება. პროლეტარიატის დიქტატურამ იმიტომ მიაღწია წარმატებას, რომ მან იცოდა ძალდატანებისა და დარწმუნების შეერთება. პროლეტარიატის დიქტატურას არ ეშინია ძალდატანებისა, არ ეშინია სახელმწიფოებრივი ძალდატანების მკვეთრი, გადამწყვეტი, ულმობელი გამოხატულებისა, რადგან მოწინავე კლასს, რომელსაც ყველაზე მეტად ჩაგრავდა კაპიტალიზმი, უფლება აქვს განახორციელოს ეს ძალდატანება, ვინაიდან ის მას ახორციელებს ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ინტერესების გულისათვის და ფლობს ძალდატანებისა და დარწმუნების ისეთ საშუალებებს, როგორიც არ ჰქონია არც ერთ წინანდელ კლასს, თუმცა მათ ჰქონდათ პროპაგანდისა და აგიტაციის შეუდარებლად მეტი მატერიალური შესაძლებლობა, ვიდრე ჩვენა გვაქვს.

თუ დავსვამთ საკითხს ჩვენი სამი წლის გამოცდილების შედეგის შესახებ (რადგან ძნელია ზოგიერთი ძირითადი პუნქტის მიხედვით ერთი წლის ჯამის გაკეთება), თუ დავსვამთ ჩვენს წინაშე საკითხს: საბოლოო ანგარიშით რით აიხსნება ჩვენი გამარჯვებები გაცილებით უფრო ძლიერ მტერზე, უნდა ვუპასუხოთ: იმით, რომ წითელი არმიის ორგანიზაციაში საუცხოოდ განხორციელდა თანამიმდევრობა და სიმტკიცე პროლეტარული ხელმძღვანელობისა მუშათა და მშრომელი

გლეხობის კავშირში ყველა ექსპლოატატორის წინააღმდეგ. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? რატომ დათანხმდა ამას ასეთი ხალისით გლეხობის უზარმაზარი მასა? იმიტომ, რომ იგი, რომლის უდიდესი ნაწილი უპარტიოა, დარწმუნებული იყო, რომ არ არის სხვა ხსნა, თუ არა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერა. და იგი ამაში დარწმუნდა, რა თქმა უნდა, არა წიგნებით, არა პროპაგანდით, არამედ გამოცდილებით. იგი დაარწმუნა სამოქალაქო ომის გამოცდილებამ, კერძოდ — ჩვენებური მენშევიკებისა და ესერების კავშირმა, რომელიც უფრო ენათესავებოდა წვრილი გლეხური მეურნეობის განსაზღვრულ ძირითად ნიშნებს. მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ამ წვრილმესაკუთრული პარტიების კავშირის გამოცდილებამ, აგრეთვე კოლჩაკისა და დენიკინის გამოცდილებამ გლეხობის მასა დაარწმუნა, რომ არაფერი საშუალო არ შეიძლება, რომ საბჭოთა სწორხაზოვანი პოლიტიკა სწორია, რომ პროლეტარიატის რკინისებური ხელმძღვანელობა არის ერთადერთი საშუალება, რომელიც გლეხს ექსპლოატაციისა და ძალდატანებისაგან ათავისუფლებს. და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეძლო გლეხობის დარწმუნება ამაში, მხოლოდ ამიტომ ჰქონდა ასეთი გიგანტური წარმატება ჩვენს ამ მტკიცე და უეჭველ დარწმუნებაზე დაყრდნობილ ძალდატანების პოლიტიკას.

ახლა ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის ფრონტზე გადასვლისას ჩვენს წინაშე ისმება იგივე ამოცანა ახალ ვითარებაში, უფრო ფართო მასშტაბით, მაგრამ იგივე ამოცანა, რომელიც დასმული იყო ჩვენს წინაშე, როცა ვაწარმოებდით ომს თეთრგვარდიელებთან, როცა ვხედავდით მუშურ-გლეხური მასების ისეთ ენთუზიაზმს და ენერგიის ისეთ დაძაბვას, როგორიც სხვა სახელმწიფოებში არავითარი ომის დროს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. უპარტიო გლეხებმა, იმ არზამასელი გლეხის მსგავსად, რომლის სიტყვებიც მე ამას წინათ მომყავდა, ნამდვილად, ცხოვრების დაკვირვებიდან და ცოდნიდან, გამოიტანეს იმის რწმენა, რომ ექსპლოატატორები ულმობელი მტერია და რომ საჭიროა

ულმობელი ხელისუფლება მათი დათრგუნვისათვის. და ჩვენ ომისადმი შეგნებული დამოკიდებულებისა და მისდამი აქტიური დახმარებისათვის მოვიზიდეთ იმდენი ხალხი, როგორც წინათ არასოდეს არ მოგვიზიდია. არც ერთი პოლიტიკური რეჟიმის დროს მეათედი წილითაც კი არ ყოფილა, რომ ომისათვის ასეთი ერთიანი თანაგრძნობა გაეწიოთ, ასე გაეგოთ იგი პარტიულ და უპარტიო მუშებს და უპარტიო გლეხებს (ხოლო გლეხობის მასა უპარტიოა), როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. ამაში იყო იმის საფუძველი, თუ რატომ დავამარცხეთ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ძლიერი მტერი. აქ მართლდება მარქსიზმის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა დებულება, რომელიც ამავე დროს ყველაზე მარტივი და გასაგებია. რაც უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებებში მონაწილეობენ, და, პირიქით, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები. საბოლოო ანგარიშით ჩვენმა რევოლუციამ იმიტომ მოიტოვა შორს ყველა დანარჩენი რევოლუცია, რომ მან საბჭოთა ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის აამოძრავა იმ ადამიანთა ათეული მილიონები, რომლებიც წინათ დაინტერესებული არ იყვნენ ამ მშენებლობით. ახლა ამ მხრივ მივუდგეთ იმ ახალი ამოცანების საკითხს, რომლებიც ჩვენს წინაშე დადგა, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების ათეულ და ასეულ ცალკე დადგენილებათა სახით გაიარეს თქვენს წინაშე ამ ხნის განმავლობაში, რომლებიც ცხრა მეათედით შეადგენდნენ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობას (ამაზე ქვემოთ მოგვიხდება ლაპარაკი) და, ალბათ, სახკომსაბჭოს მუშაობის ნახევარზე მეტს, — სამეურნეო ამოცანების საკითხს: ერთიანი სამეურნეო გეგმის შედგენის, რუსეთის ეკონომიკის თვით საფუძვლების, წვრილი გლეხური მეურნეობის თვით საფუძ-

ვლების ხელახალი ორგანიზაციის შესახებ. ეს ისეთი ამოცანებია, რომლებიც მოითხოვენ პროფკავშირების უკლებლივ ყველა წევრის ჩაბმას ამ სრულიად ახალ საქმეში, რომელიც კაპიტალიზმის დროს მათთვის უცხო იყო. ახლა დასვით კითხვა, არის თუ არა აქ სწრაფი უცილობელი გამარჯვების ის პირობა, რომელიც შეიქმნა ომის დროს, ის პირობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მასები ჩაბმულ იქნან მუშაობაში. დარწმუნებული არიან თუ არა ისინი, პროფკავშირების წევრები და უპარტიოთა უმრავლესობა, ჩვენი ახალი ხერხების, სამეურნეო მშენებლობის ჩვენი დიადი ამოცანების აუცილებლობაში, დარწმუნებული არიან თუ არა ისინი ყოველივე ამაში ისევე, როგორც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ აუცილებელია ყველაფრის მიცემა ომისათვის, ყველაფრის გაწირვა ომის ფრონტზე გამარჯვებისათვის? თუ ასე დავაყენებთ კითხვას, თქვენ უნდა უპასუხოთ: უეჭველია, არა. ისინი სრულიადაც არ არიან ამაში იმდენად დარწმუნებული, როგორც ეს საჭიროა.

ომი ისეთი საქმე იყო, რომელიც გასაგებსა და ჩვეულ მოვლენას წარმოადგენდა ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში. მემამულური ძალადობისა და მხეცობის ძველი აქტები ისე ცხადად ჩანდა, რომ დარწმუნება ადვილი იყო, და თვით მრეწველობასთან ყველაზე ნაკლებ დაკავშირებული, პურის მხრივ ყველაზე უფრო მოსავლიანი განაპირა მხარეების გლეხობის, თვით ამ გლეხობის დარწმუნებაც კი ადვილად შეიძლებოდა იმაში, რომ ჩვენ ომს ვაწარმოებთ მშრომელთა ინტერესებისათვის, და ამრიგად შეგვეძლო თითქმის საყოველთაო ენთუზიაზმის გამოწვევა. უფრო ძნელი იქნება იმის მიღწევა, რომ გლეხთა მასებმა და პროფესიული კავშირების წევრებმა ეს ამოცანები გაიგონ ახლა, გაიგონ, რომ ძველებურად ცხოვრება არ შეიძლება, რომ, რარიგ არ დამკვიდრებულა ათეული წლების განმავლობაში კაპიტალისტური ექსპლოატაცია, საჭიროა მისი დაძლევა. საჭიროა მივაღწიოთ, რათა ყველამ გაიგოს, რომ რუსეთი ჩვენ გვეკუთვნის, რომ ჩვენ, მუშათა და გლეხთა მასებს, ჩვენი მოქმედებით, ჩვენი

მკაცრი შრომითი დისციპლინით, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია არსებობის ძველი ეკონომიური პირობების გარდაქმნა და დიადი სამეურნეო გეგმის განხორციელება. ამის გარეშე ხსნა არ არის. ჩვენ ჩამორჩენილი ვართ და კვლავაც ჩამოვრჩებით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს; ჩვენ დაგვამარცხებენ, თუ არ მივაღწიეთ ჩვენი მეურნეობის აღდგენას. აი ამიტომ ძველი ჭეშმარიტებანი, რომლებიც მე თქვენ ეს-ეს არის მოგაგონეთ, ძველი ჭეშმარიტებანი ორგანიზაციული ამოცანების მნიშვნელობის, შრომის დისციპლინის, პროფესიული კავშირების განუზომლად დიდი როლის შესახებ, რომელიც ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულია, — ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს სხვა, ფართო მასების გამაერთიანებელი ორგანიზაცია, — ეს ძველი ჭეშმარიტებანი ჩვენ არათუ უნდა ვიმეოროთ, არამედ მთელი ძალით უნდა შევიგნოთ, რომ დადგა სამხედრო ამოცანებიდან სამეურნეო ამოცანებზე გადასვლის დრო.

ჩვენ სრული წარმატება გვქონდა სამხედრო დარგში, და ახლა უნდა მოვამზადოთ ასეთივე წარმატება უფრო ძნელი ამოცანებისათვის, რომლებიც ენთუზიაზმსა და თავგანწირულებას მოითხოვენ მუშათა და გლეხთა უდიდესი უმრავლესობისაგან. უნდა დავარწმუნოთ ახალ ამოცანებში ასობით მილიონი ადამიანი, რომლებიც თაობიდან თაობამდე მონობისა და ჩაგვრის, ყოველგვარი თვითმოქმედების ჩახშობის პირობებში ცხოვრობდნენ; მუშათა მილიონები, რომლებიც პროფკავშირებში გაერთიანებული, მაგრამ პოლიტიკურად ჯერ კიდევ შეუგნებელი არიან, მიჩვეული არ არიან იმას, რომ თავი საქმის ბატონ-პატრონად მიაჩნდეთ; უნდა დავრაზმოთ ისინი არა ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, არამედ მხარის დასაჭერად, თავისი მუშათა ხელისუფლების ღონისძიებათა განსავითარებლად, მათ ბოლომდე გასატარებლად. ეს გადასვლა დაკავშირებულია სიძნელეებთან, ეს არ არის ახალი ამოცანა უბრალო ფორმულირების თვალსაზრისით. მაგრამ ეს არის ახალი ამოცანა, რამდენადაც ახლა სამეურნეო ამოცანა პირველად ისმება მასობრივი მასშტაბით, და ჩვენ უნდა შევიგნოთ და გვახსოვდეს, რომ სამეურნეო

ფრონტზე ომი უფრო ძნელი და უფრო ხანგრძლივი იქნება; ამ ფრონტზე გამარჯვებისათვის საჭირო იქნება მუშებისა და გლეხების მეტი რაოდენობა გავხადოთ თვითმოქმედი, აქტიური და ერთგული. და ამის გაკეთება შეიძლება, — ამის სასარგებლოდ მეტყველებს სამეურნეო მშენებლობის გამოცდილება, რომელიც ჩვენ შევიძინეთ, — იმიტომ რომ უბედურების, სიცივის, შიმშილისა და ყოველგვარი გაჭირვების შეგნება, საწარმოო ძალთა ნაკლებობასთან დაკავშირებით, ღრმად იდგამს ფესვს მასებში. ჩვენ ახლა ყურადღება იმაზე უნდა მივაპყრათ, რომ პოლიტიკური და სამხედრო ინტერესებიდან მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა გადავიყვანოთ სამეურნეო მშენებლობის რელსებზე. ჩვენ ბევრჯერ განვაცხადეთ საჯაროდ ეს, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმაოდ, და მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან საწარმოო პროპაგანდის ცენტრალური ბიუროს შექმნა, მისი გაერთიანება მთავპოლიტგანის მუშაობასთან, დამატებითი გაზეთების შექმნა, რომლებიც აგებულია საწარმოო გეგმის მიხედვით, ყურადღების გადატანა არა მარტო საწარმოო პროპაგანდაზე, არამედ მისი საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით ორგანიზაციაც.

საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით მისი ორგანიზაციის აუცილებლობა გამომდინარეობს პოლიტიკური მომენტის ყველა თავისებურებიდან. ეს საჭიროა მუშათა კლასისთვისაც, პროფესიული კავშირებისთვისაც და გლეხობისთვისაც; ეს არის ყველაზე უდიდესი საჭიროება ჩვენი სახელმწიფო აპარატისათვის, რომელიც ჩვენს მიერ ამ მიზნით სრულიად არასაკმაოდ არის გამოყენებული. იმის ცოდნა, თუ როგორ გავუძღვეთ მრეწველობას, როგორ დავაინტერესოთ მასები, ამის მწიგნობრული ცოდნა ჩვენ ათასჯერ მეტი გვაქვს, ვიდრე ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა. ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ პროფკავშირების უკლებლივ ყველა წევრი დაინტერესებული იყოს წარმოებით და მათ ახსოვდეთ,

რომ საბჭოთა რუსეთი მხოლოდ მაშინ შეძლებს გაიმარჯვოს, თუ გავადიდებთ წარმოებას, ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას. და საბჭოთა რუსეთი მხოლოდ ასეთი გზით შეამცირებს ათი წლით იმ საშინელ პირობებს, რომლებშიც ის იმყოფება, იმ შიმშილსა და სიცივეს, რომელსაც ის ახლა განიცდის. თუ ეს ამოცანა ვერ გავიგეთ, შეიძლება ყველანი დავიღუპოთ, იმიტომ რომ ჩვენი აპარატის სისუსტის გამო იძულებული ვიქნებით უკან დავიხიოთ, რადგან კაპიტალისტებს ყოველთვის შეუძლიათ ომის განახლება მას შემდეგ, რაც ცოტას შეისვენებენ, ჩვენ კი მაშინ აღარ შეგვეძლება ამ ომის განგრძობა. მაშინ აღარ შეგვეძლება ჩვენი მილიონიანი მასების აქტივობის გამომჟღავნება, და ამ უკანასკნელ ომში ჩვენ დაგვამარცხებენ. საკითხი სწორედ ასე დგას, — დღემდე ომების გრძელი რიგი წყვეტდა ყველა რევოლუციის, ყველა უდიდესი რევოლუციის ბედს. ასეთ უდიდეს რევოლუციას წარმოადგენს ჩვენი რევოლუციაც. ჩვენ დავამთავრეთ ომების ერთი წყება, უნდა ვემზადოთ მეორისათვის; მაგრამ როდის დაიწყება ის, არ ვიცით, და ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მაშინ, როცა ის დაიწყება, ჩვენ სათანადო სიმაღლეზე ვიყოთ. აი რატომ არ უნდა ვთქვათ უარი იძულების ღონისძიებებზე არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ვინარჩუნებთ პროლეტარულ დიქტატურას, რომელიც უკვე გაიგეს გლეხობის მასებმაც და უპარტიო მუშებმაც, რომლებმაც ყველაფერი იციან ჩვენი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და იგი მათ არ აფრთხობს, არ აშინებს, ისინი მასში ხედავენ დასაყრდენსა და სიმტკიცეს, ე. ი. იმას, რაც მათ შეუძლიათ დაუპირისპირონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს და ურომლისოდაც გამარჯვება შეუძლებელია.

ეს შეგნება, ეს რწმენა, რომელიც უკვე შეისისხლხორცეს გლეხთა მასებმა სამხედრო და პოლიტიკური ამოცანების მიმართ, უნდა გადავიტანოთ სამეურნეო ამოცანებზეც. შეიძლება ეს გადასვლა ერთბაშად ვერ მოხერხდეს. შეიძლება ის ერთგვარ მერყეობათა და ძველი უთავბოლობისა და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის რეციდივების გარეშე არ ჩატარ-

დეს. საჭიროა კიდევ უფრო მეტი დაძაბულობითა და გულმოდგინებით მოვკიდოთ ხელი ამ მუშაობას, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ უპარტიო გლეხებს და პროფესიული კავშირების ნაკლებად შეგნებულ წევრებს დავარწმუნებთ, ვინაიდან სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ვინაიდან იმის უარყოფა, რომ ომების მეორე წყებაში ჩვენს მტრებზე ვერ გავიმარჯვებთ სამეურნეო ცხოვრების აღუდგენლად — შეუძლებელია; მოდით, მხოლოდ მივაღწიოთ იმას, რომ მრავალი მილიონი ადამიანი უფრო შეგნებულად მოეკიდოს ომს სამეურნეო ფრონტზე. ესაა საწარმოო პროპაგანდის ცენტრალური ბიუროს ამოცანა, ესაა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ამოცანა, ესაა ყველა პარტიული მუშაკის ამოცანა, ესაა საბჭოთა ხელისუფლების ყველა და ყოველგვარი აპარატის ამოცანა, ესაა ამოცანა მთელი ჩვენი პროპაგანდისა, რომლითაც მივაღწიეთ ჩვენს მსოფლიო წარმატებებს, რადგან ჩვენი პროპაგანდა მთელ მსოფლიოში ყოველთვის ეუბნებოდა და ეუბნება მუშებსა და გლეხებს სიმართლეს, ხოლო ყოველგვარი სხვა პროპაგანდა მათ სიცრუეს ეუბნება. ახლა ჩვენი პროპაგანდა იმაზე უნდა გადავიტანოთ, რაც გაცილებით უფრო ძნელია, — იმაზე, რაც ეხება მუშათა ყოველდღიურ მუშაობას სახელოსნოში, რარიგ ძნელიც უნდა იყოს ამ მუშაობის პირობები და რარიგ ძლიერიც უნდა იყოს მოგონებანი გუშინდელი კაპიტალისტური წყობილებისა, რომელიც ნერგავდა ხელისუფლებისადმი უნდობლობას მუშებისა და გლეხების მხრივ. საჭიროა როგორც მუშების, ისე გლეხების დარწმუნება იმაში, რომ ძალთა ახალი შეხამების, სახელმწიფოებრივი გაერთიანების ახალი ფორმების გარეშე, ამ იძულებასთან დაკავშირებული ახალი ფორმების გარეშე ჩვენ ამ ჭაობიდან, სამეურნეო ნგრევის იმ უფსკრულიდან, რომლის პირასაც ვდგავართ, ვერ გამოვალთ, ხოლო აქედან გამოსვლა ჩვენ უკვე დავიწყეთ.

ამხანაგებო, მე გადავალ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ზოგიერთ მონაცემზე და ჩვენს სამეურნეო ამოცანებზე, რომლებიც, ვფიქრობ, იძლევიან ახლანდელი პოლიტიკური

მომენტისა და მთელი იმ გადასვლის დახასიათებას, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელო ჩვენი აგრარული პროექტი, სახალხო კომისართა საბჭოს კანონ-პროექტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განმტკიცებისა და განვითარების და გლეხური მეურნეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ, — კანონპროექტი, რომელიც დაიბეჭდა მიმდინარე წლის 14 დეკემბერს; კანონპროექტის საფუძვლები ჯერ კიდევ ადრე ეცნობა ყველა ადგილობრივ მუშაკს სპეციალური რადიოთი, რომელიც აშუქებდა ამ კანონპროექტის დედაარსს.

საჭიროა ერთბაშად დავაყენოთ საქმე ისე, რომ ეს კანონ-პროექტი, — ადგილობრივი გამოცდილების საფუძველზე (ის კი ამ გამოცდილებიდან გამომდინარეობს), ადგილებზე ეს უკვე იგრძნეს, — უაღრესი გულმოდგინებით იქნას განხილული ყრილობაზე, ისევე როგორც ადგილობრივი აღმასკომებისა და აღმასკომთა განყოფილებების წარმომადგენლებს შორის. ალბათ, ახლა უკვე აღარ იქნება არც ერთი ამხანაგი, რომელსაც ეჭვი შედიოდეს იმაში, რომ საჭიროა დახმარების სპეციალური და განსაკუთრებით ენერგიული ღონისძიებანი არა მარტო წახალისების აზრით, არამედ იძულების აზრითაც, რათა სამიწათმოქმედო წარმოება ამაღლდეს.

ჩვენ ვიყავით და დავრჩით წვრილგლეხურ ქვეყნად, და კომუნიზმზე გადასვლა ჩვენთვის განუზომლად უფრო ძნელია, ვიდრე ყოველგვარ სხვა პირობებში. ამ გადასვლის მოსახდენად საჭიროა თვით გლეხების ათჯერ უფრო მეტი მონაწილეობა, ვიდრე ომში. ომს შეეძლო და უნდა მოეთხოვა მოზრდილ მამაკაცთა მოსახლეობის ნაწილი. მაგრამ ჩვენმა გლეხურმა, ამჟამადაც დაუძლურებულმა ქვეყანამ მობილიზაცია უნდა გაუკეთოს მუშათა და გლეხთა უკლებლივ მთელ მოსახლეობას, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. ჩვენი, კომუნისტების, სამიწათმოქმედო განყოფილებათა მუშაკების დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა სახელმწიფოებრივი ბეგარა — ძნელი არ არის. ამის გამო, მგონია, პრინციპული უთანხმოების ნატამალსაც არ ექნება ადგილი 14 დეკემბრის კანონ-

პროექტის გარჩევისას, რომელიც წარმოდგენილია აქ იმისათვის, რომ თქვენ განიხილოთ. უნდა გავიგოთ მეორე სიძნელე: ესაა უპარტიო გლეხთა დარწმუნება. გლეხები სოციალისტები არ არიან. და ჩვენი სოციალისტური გეგმების ისე აგება, თითქოს გლეხები სოციალისტები იყვნენ, ნიშნავს ამ გეგმების ქვიშაზე აგებას, ნიშნავს ჩვენი ამოცანების გაუგებლობას, ნიშნავს იმას, რომ სამი წლის განმავლობაში ვერ ისწავლო ჩვენი პროგრამების შეფარდება და ჩვენი წამოწყებების გატარება იმ ღატაკური, ხანდახან უბადრუკი სინამდვილის შესაბამისად, რომელშიც ვიმყოფებით. აქ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები. პირველი ამოცანა— ესაა სამიწათმოქმედო განყოფილებათა კომუნისტ-მუშაკების გაერთიანება, მათი გამოცდილების განზოგადება, იმის გათვალისწინება, რაც ადგილზე გაკეთებულია, და მისი შეტანა იმ კანონპროექტებში, რომლებიც გამოიცემა ცენტრში სახელმწიფო დაწესებულებათა სახელით, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის სახელით. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამას თქვენთან ერთად გავაკეთებთ. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ხოლო მეორე ნაბიჯია — დავარწმუნოთ უპარტიო გლეხები, სწორედ უპარტიონი, რადგან ისინი შეადგენენ მასას, და რადგან იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც ჩვენ ძალგვიძს, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასაში, რომელიც თავისთავად აქტიურია, თვითმოქმედია, გავაძლიერებთ იმის შეგნებას, რომ აუცილებელია ხელი მოჰკიდონ საქმეს. გლეხური მეურნეობის ძველებურად არსებობა აღარ შეიძლება. თუ ჩვენ შეგვეძლო ომების პირველი წყებიდან გამოსვლა, ომების მეორე წყებიდან ჩვენ ასე ადვილად ვეღარ გამოვალთ, და ამიტომ აუცილებელია ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

საჭიროა, რომ ეს უეჭველი ჭეშმარიტება თვითეულმა უპარტიო გლეხმა გაიგოს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი მას გაიგებს. მან მთელი ეს მტანჯველი და მძიმე ექვსი წელიწადი ტყუილად როდი გადაიტანა. ის ომამდელ გლეხს არა გავს. ის ძლიერ იტანჯებოდა, ის ბევრს ფიქრობდა და მან

ბევრი ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური გაჭირვება გადაიტანა, რამაც იგი აიძულა ბევრი რამ ძველი დაევიწყნა. მე ვფიქრობ, უკვე თვითონ მასაც ესმის, რომ ძველებურად ცხოვრება არ შეიძლება, რომ საჭიროა სხვაგვარად ცხოვრება, და ჩვენ პროპაგანდის ყველა ჩვენი საშუალება, მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი შესაძლებლობა, მთელი ჩვენი განათლება, ყველა ჩვენი პარტიული საშუალება და ძალა, ყველაფერი ეს დაკვრითი წესით უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ დავარწმუნოთ უპარტიო გლეხი, და მხოლოდ მაშინ შევუქმნით ნამდვილ ბაზას ჩვენს აგრარულ კანონპროექტს, რომელსაც თქვენ, იმედი მაქვს, ერთხმად მიიღებთ, მიიღებთ მას, რა თქმა უნდა, სათანადო შესწორებებითა და დამატებებით. ის მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე, როგორც მტკიცეა ჩვენი პოლიტიკა, როცა დავარწმუნებთ და ამ საქმეში ჩავაბამთ გლეხთა უმრავლესობას, რადგან, — როგორც სამართლიანად თქვა ამხ. კურაევმა ერთ სტატიაში, თათართა რესპუბლიკის გამოცდილების საფუძველზე, — მშრომელი საშუალო გლეხი და ღარიბი — საბჭოთა ხელისუფლების მეგობრები არიან, ზარმაცები კი — მისი მტრები. აი ნამდვილი ჭეშმარიტება, რომელშიც სოციალისტური არაფერია, მაგრამ რომელიც იმდენად უდავო და ნათელია, რომ სოფლის ყოველ ყრილობაზე, უპარტიო გლეხთა ყოველ კრებაზე ის შევა შეგნებაში და გლეხური მშრომელი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის რწმენად იქცევა.

ამხანაგებო, აი რას მინდა ყველაზე მეტად გავუსვა ხაზი თქვენს წინაშე ამჟამად, როდესაც ჩვენ ომების ხანიდან პირი ვიბრუნეთ სამეურნეო მშენებლობისაკენ. წვრილი გლეხობის ქვეყანაში ჩვენი მთავარი და ძირითადი ამოცანაა — შევძლოთ სახელმწიფოებრივ იძულებაზე გადასვლა, რათა ავამაღლოთ გლეხური მეურნეობა, დავიწყოთ უაღრესად აუცილებელი, გადაუდებელი, გლეხისათვის სავსებით მისაწვდომი, მისთვის სავსებით გასაგები ღონისძიებებით. და ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენ შევძლებთ ამისათვის მოუმზადებელი ახალი მილიონების დარწმუნებას. ამას უნდა

მოვახმაროთ მთელი ძალები და ვიზრუნოთ იმაზე, რომ იძულების აპარატს, გამოცოცხლებულსა და განმტკიცებულს, შეექმნას ბაზა და გაიშალოს ის დარწმუნების ახალი გაქანებისათვის, და მაშინ ჩვენ ამ სამხედრო კამპანიას გამარჯვებით დავამთავრებთ. ახლა იწყება სამხედრო კამპანია გლეხურ მასებში უძრაობის, სიბნელისა და უნდობლობის ნაშთების წინააღმდეგ. ძველი ზომებით აქ ვერ გაიმარჯვებ; ხოლო პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზებული ზემოქმედების ზომებით, რაც ჩვენ ვისწავლეთ, გავიმარჯვებთ და იმას მივაღწევთ, რომ არა მარტო დეკრეტები იქნას მიღებული, დაწესებულებები შეიქმნას და ქაღალდი ამუშავდეს, — ეს ცოტაა, რომ ბრძანებები ცხვებოდეს, — არამედ რომ გაზაფხულისათვის ყველაფერი უკეთ იყოს დათესილი, ვიდრე წინათ, რომ გარკვეული გაუმჯობესება იყოს წვრილი გლეხის მეურნეობაში, დაე სულ ელემენტარული, — რაც უფრო მეტი სიფრთხილე იქნება, მით უკეთესი, — მაგრამ, რადაც უნდა დაჯდეს, ის მასობრივი მასშტაბით უნდა გატარდეს. თუ ჩვენს ამოცანას სწორად გავიგებთ და მთელ ყურადღებას უპარტიო გლეხს მივაქცევთ, თუ ამას მოვახმართ მთელ ხელოვნებას, მთელ გამოცდილებას, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში შევიძინეთ, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ. ასეთი გამარჯვების გარეშე, წვრილი გლეხობის მეურნეობის პრაქტიკული მასობრივი გაუმჯობესების გარეშე ჩვენი ხსნა არ არის: ამ ბაზის გარეშე შეუძლებელია რაიმე სამეურნეო მშენებლობა, და რა დიდი გეგმებიც უნდა იყოს — ამაოა. დაე ამხანაგებს ეს ახსოვდეთ და ეს შთაუნერგონ გლეხებს; დაე უთხრან არზამასელ უპარტიო გლეხებს, რომელთა რიცხვი ათი, თხუთმეტი მილიონია, რომ დაუსრულებლივ შიმშილი და სიცივეში ყოფნა არ შეიძლება, ვინაიდან ომების შემდგომ წყებაში ჩვენ დაგვამხობენ. ეს არის სახელმწიფოებრივი ინტერესი, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესი. ვინც აქ თუნდაც სულ მცირე სისუსტეს, სულ მცირე უთავბოლობას გამოიჩენს, ის უდიდესი დამნაშავეა მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე, ის ეხმარება მემამულესა და კაპიტალისტს, ხოლო მემამულესა და კაპიტალისტს

ახლოს ჰყავთ თავისი არმია, ის მათ მზადა ჰყავთ, რათა თავს დაგვესხან, როგორც კი შეამჩნევენ, რომ ჩვენ ვსუსტდებით. და არ არსებობს საშუალებანი, რომ გავძლიერდეთ, გარდა ჩვენი მთავარი დასაყრდენის —მიწათმოქმედების და ქალაქის მრეწველობის — აღორძინებისა, ხოლო მისი აღორძინება შეუძლებელია ისე, თუ ამაში არ დავარწმუნეთ უპარტიო გლეხი, თუ არ მოვახდინეთ მთელი ძალების მობილიზაცია მის დასახმარებლად, თუ საქმით არ გავუწიეთ მას ეს დახმარება.

გლეხის წინაშე ჩვენ მოვალედ ვრაცხთ თავს. ჩვენ მისგან მიგვქონდა პური, სამაგიეროდ კი ფულის ნიშანს ვაძლევდით, მიგვქონდა სესხად, ჩვენ ეს სესხი უნდა დავაბრუნოთ, და მას დავაბრუნებთ, აღვადგენთ რა ჩვენს მრეწველობას. მაგრამ მის აღსადგენად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაჭარბი. აი ამიტომ ჩვენს აგრარულ კანონპროექტს აქვს არა მარტო ის მნიშვნელობა, რომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ პრაქტიკულ მიზნებს, არამედ ისიც, რომ მის ირგვლივ, როგორც ფოკუსის ირგვლივ, თავს იყრის საბჭოთა ხელისუფლების ასობით დადგენილება და კანონპროექტი.

ახლა გადავალ იმაზე, თუ როგორ იქმნება ამჟამად ჩვენში ბაზა ჩვენი სამრეწველო მშენებლობისათვის, იმისათვის, რომ დავიწყოთ რუსეთის სამეურნეო ძალების აღდგენა. და აქ უწინარეს ყოვლისა თქვენი ყურადღება იმ უამრავი ანგარიშებიდან, რომლებიც მიიღეთ ან ამ დღეებში მიიღებთ ყველა კომისარიატში, უნდა მივაქციო ერთ ადგილს ჩვენი სასურსათო კომისარიატის ანგარიშიდან. უახლოეს დღეებში თვითეული კომისარიატი მოგცემთ თქვენ უამრავ ფაქტიურ საანგარიშო მასალას, რომელიც, ერთიანად აღებული, გამძიმებთ თავისი სიმრავლით, მაგრამ იქიდან უნდა გამოვყოთ ის, რაც ყველაზე არსებითია წარმატების მისაღწევად, რარიგ მცირეც უნდა იყოს ეს წარმატება, გამოვყოთ ის, რაც ძირითადია მთელი ჩვენი სამეურნეო გეგმის განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ აღვადგინოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა და ჩვენი მრეწველობა. და აი ერთ-ერთი ასეთი ბაზა — ეს არის ჩვენი

სასურსათო დამზადების მდგომარეობა. ამ წიგნაკში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ — სასურსათო კომისარიატის სამი წლის ანგარიშში — არის ცხრილი, რომლიდანაც წაგიკითხავთ მხოლოდ შეჯამებულ ციფრებს და ისიც დამრგვალებულს, იმიტომ რომ ციფრების კითხვა და განსაკუთრებით მოსმენა ძნელია. ეს არის დამზადებათა შეჯამებული ციფრები წლების მიხედვით. 1916 წ. 1 აგვისტოდან 1917 წ. 1 აგვისტომდე დამზადებულია 320 მილიონი ფუთი, შემდგომ წელს 50, შემდეგ 100 და 200 მილიონი ფუთი. ეს ციფრები — 320, 50, 100 და 200 — იძლევა საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო ისტორიის, სამეურნეო დარგში საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის საფუძველს, იმ საძირკვლის მომზადებას, რომლის დაუფლებითაც ნამდვილად ვიწყებთ ჩვენს მშენებლობას. 320 მილიონი ფუთი რევოლუციამდე — აი დაახლოებით მინიმუმი, ურომლისოდაც შენება შეუძლებელია. რევოლუციის პირველი წელი — 50 მილიონი — შიმშილი, სიცივე, უაღრესი სიღატაკე; მეორე წელი — 100 მილიონი; მესამე წელი — 200 მილიონი. ყოველწლიურად გაორკეცებაა. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გუშინ სვიდერსკიმ გადმომცა, 15 დეკემბრისათვის არის 155 მილიონი. ჩვენ პირველად ვდგებით ფეხზე. ჩვენს განკარგულებაში იქნება დაახლოებით 300 მილიონი ფუთი პურის ფონდი, შეიძლება მეტიც, ხოლო ასეთი ფონდის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღდგენა, შეუძლებელია ტრანსპორტის აღორძინებაზე ფიქრი, შეუძლებელია მიდგომაც კი რუსეთის ელექტროფიკაციის დიდი ამოცანებისადმი. არავითარი სოციალისტური ქვეყანა არ შეიძლება, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო, თუ მას მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალ-ღონით არ შეუძლია ისეთი სასურსათო ფონდის შეგროვება, რომ უზრუნველყოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა გამოკვება, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ათი და ასი ათასობით მუშა დაძრას იქით, საითაც ეს საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროება. უამისოდ მხოლოდ ლაპარაკი იქნება. მეურნეობის ნამდვილი საფუძვლები — ეს სასურსათო ფონდია.

და აქ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ. გამოვდივართ რა ამ წარმატებებიდან, გვაქვს რა ეს ფონდი, ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ სახალხო მეურნეობის აღდგენას. ჩვენ ვიცით, რომ ეს წარმატებანი მიღწეულია გლეხობის უდიდესი გაჭირვების, შიმშილისა და საკვების უქონლობის ფასად, რაც შეიძლება კიდევ გაძლიერდეს. ჩვენ ვიცით, რომ გვალვიანმა წელიწადმა გაუგონრად გაამწვავა გლეხების უბედურება და გაჭირვება. ამიტომ ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ ჩემ მიერ მითითებულ კანონპროექტში ჩამოთვლილ დახმარების ღონისძიებებს. ამ სასურსათო ფონდს ჩვენ განვიხილავთ როგორც მრეწველობის აღდგენის ფონდს, როგორც გლეხობისადმი დახმარების ფონდს. თუ ეს ფონდი არა აქვს, სახელმწიფო ხელისუფლება — არარაა. ასეთი ფონდის გარეშე სოციალისტური პოლიტიკა მარტო სურვილად დარჩება.

და ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საწარმოო პრაპაგანდას, რომლის გატარებაც მტკიცედ გადავწყვიტეთ, უერთდება კიდევ სხვაგვარი ზემოქმედების საშუალება — ეს არის ნატურით პრემიის გაცემა [57]. სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს ერთ-ერთი უდიდესი დეკრეტი და დადგენილება იყო კანონი პრემიის ნატურით გაცემის შესახებ. ჩვენ ერთბაშად სულაც ვერ შევძელით მისი გამოცემა. თუ თქვენ ნახავთ, აპრილიდან იწყება გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა ძალიან გრძელი ჯაჭვი, და იგი მხოლოდ მაშინ გამოიცა, როცა ჩვენი ტრანსპორტის უდიდესი ღონისძიებებით მოვახერხეთ ნახევარმილიონიანი სასურსათო ფონდის შექმნა. ნახევარი მილიონი ფუთი — ძალიან მცირე ციფრია. ის ანგარიშები, რომლებიც თქვენ გუშინ, უეჭველია, წაიკითხეთ «იზვესტიაში», გვიჩვენებენ, რომ ამ 500 000 ფუთიდან 170 000 უკვე დახარჯულია. როგორც ხედავთ, ფონდი თვალსაჩინო არაა და სრულიად არ არის საკმარისი, მაგრამ ჩვენ მაინც დავადექით იმ გზას, რომლითაც წინ წავალთ. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ მუშაობის ახალ წესებზე ჩვენ გადავალთ არა მარტო დარწმუნებით. ცოტაა გლეხებსა და მუშებს ეუბნებოდე: აამაღლეთ შრომის დისციპლინა. საჭიროა, ამას გარდა, მათ დაეხმარო, უნდა

დააჯილდოვო ისინი, რომლებიც განუზომელ გაჭირვებათა შემდეგ განაგრძობენ გმირობის გამოჩენას შრომის ფრონტზე. ფონდი ჩვენში შექმნილია, მაგრამ ის გამოყენებულია ჯერ კიდევ სრულიადაც არადამაკმაყოფილებლად: ჩვენ სახკომსაბჭოში გვაქვს მთელი რიგი მითითებანი, რომ პრაქტიკაში ნატურით პრემიის გაცემა ხშირად ნიშნავს ხელფასის უბრალო წამატებას. აქ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. და ცენტრში თათბირებთან და დამატებით პროექტებთან ერთად უნდა წარმოებდეს ყველაზე მნიშვნელოვანი მუშაობა, — ეს არის ადგილებზე და ფართო მასებში მუშაობა. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ სახელმწიფო არა მარტო არწმუნებს, არამედ კიდევაც აჯილდოებს კარგ მუშაკებს ცხოვრების უკეთესი პირობებით, და ამის გასაგებად საჭირო არ არის სოციალისტი იყო, და აქ ჩვენ წინასწარ უზრუნველყოფილი ვართ უპარტიო მუშათა და გლეხთა მასების თანაგრძნობით. ჩვენ გვმართებს მხოლოდ ამ აზრის უფრო ფართოდ გავრცელება და ამ მუშაობის უფრო პრაქტიკულად დაყენება ადგილებზე.

თუ ახლა სათბობზე გადავალთ, ამხ. რიკოვის თეზისებიდან თქვენ დაინახავთ ციფრებს, რომლებშიაც გამოხატულია მიღწეული გაუმჯობესება, გაუმჯობესება არა მარტო შეშის, არამედ ნავთობის მხრივაც. ახლა, იმ უდიდესი ენთუზიაზმის დროს, რომელსაც იჩენენ მუშები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, იმ მეგობრული ურთიერთობის დროს, რომელიც ჩვენს შორის დამყარდა, უნარიან ხელმძღვანელთა დროს, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭომ მოგვცა, ნავთობის საქმე კარგად მიდის, და ჩვენ ვიწყებთ საკუთარ ფეხზე დგომას სათბობის მხრივაც. დონეცის ნახშირის მიღებას 25 მილიონი ფუთიდან თვეში ჩვენ ვადიდებთ 50 მილიონამდე, იმ სრულუფლებიანი კომისიის მუშაობის მეოხებით, რომელიც გაგზავნილია დონბასში ამხ. ტროცკის თავმჯდომარეობით და რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება — გაგზავნოს იქ სამუშაოზე პასუხისმგებელი და გამოცდილი მუშაკები. ახლა იქ ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილია ამხ. პიატაკოვი.

ამრიგად, სათბობის მხრივ წარმატების მისაღწევად ჩვენ მივიღეთ ერთგვარი ზომები. დონეცის აუზი, ერთ-ერთი უდიდესი ბაზა, უკვე ჩვენს განკარგულებაშია. ჩვენ შეგვიძლია სახკომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს ოქმებში ვნახოთ დადგენილებანი, რომელნიც დონბასს ეხებიან. მათში ლაპარაკია ადგილებზე ისეთი უმაღლესი ავტორიტეტული კომისიების გაგზავნის შესახებ, რომლებიც აერთიანებენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მუშაკებს. ჩვენთვის აუცილებელია მივაღწიოთ მუშაობის გაცხოველებას ადგილებზე, და მე ვფიქრობ, რომ ამ გაცხოველების მიღწევას მოახერხებენ აი ეს კომისიები. თქვენ დაინახავთ ამ კომისიების მუშაობის შედეგებს, კომისიებისა, რომლებსაც ჩვენ მომავალშიც შევქმნით.

მე უნდა გითხრათ, რომ სათბობის დარგში ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უდიდესი წარმატება ტორფის მოპოვების ჰიდრავლიკური წესის სახით. ტორფი ეს ის სათბობია, რომელიც ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს, მაგრამ რომლის გამოყენება არ შეგვეძლო იმის გამო, რომ დღემდე გვიხდებოდა აუტანელ პირობებში მუშაობა. და აი ეს ახალი წესი დაგვეხმარება თავი დავაღწიოთ ამ სათბობის შიმშილობას, რომელიც ერთ-ერთი მრისხანე საფრთხეა ჩვენს სამეურნეო ფრონტზე. ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვერ შევძლებთ ამ ჩიხიდან გამოსვლას, თუ ჩვენში მეურნეობის გაძღოლის ძველებური წესი დარჩება. ჩვენი ტორფის კომიტეტის მუშაკები დაეხმარენ ორ რუს ინჟინერს ბოლომდე მიეყვანათ ეს ახალი გამოგონება, და მათ მიაღწიეს იმას, რომ ამ ახალი წესის შემუშავების დამთავრება ძალიან ახლოსაა. ამრიგად, ჩვენ ისეთი დიდი რევოლუციის წინ ვიმყოფებით, რომელიც სამეურნეო მხრივ დიდ დასაყრდენს მოგვცემს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ გვაქვს ტორფის თვალუწვდენელი სიმდიდრე. მაგრამ არ შეგვიძლია მისი გამოყენება იმიტომ, რომ არ შეგვიძლია ხალხის გაგზავნა ამ საკატორღო სამუშაოზე. კაპიტალისტურ წყობილებას შეეძლო ხალხის საკატორღო სამუშაოზე გაგზავნა. კაპიტალისტური სახელმწიფოს დროს ხალხი იქ სამუშაოდ

მიდიოდა შიმშილის გამო, სოციალისტური სახელმწიფოს დროს კი ამ საკატორღო სამუშაოზე გაგზავნა ჩვენ არ შეგვიძლია, ხოლო ნებაყოფლობით არავინ წავა. კაპიტალისტური წყობილება ყველაფერს ზედაფენებისათვის აკეთებდა; ქვედაფენებზე ის არ ზრუნავდა.

ყველგან მეტი მანქანა უნდა შემოვიღოთ, გადავიდეთ მანქანური ტექნიკის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებაზე. ტორფის ჰიდრავლიკური წესით მოპოვება, რაც ასეთი წარმატებით დაძრა წინ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, შესაძლებელს ხდის დიდძალი რაოდენობით მოვიპოვოთ სათბობი და თავიდან გვაცილებს გაწვრთნილი მუშების ჩაბმის აუცილებლობას, რადგან ასეთი წესის დროს მუშაობა შეუძლიათ გაუწვრთნელ მუშებსაც. ჩვენ ეს მანქანები დავამზადეთ, მე პირადად ვურჩევდი ამხანაგ დელეგატებს ენახათ ტორფის მოპოვების სამუშაოთა კინემატოგრაფიული ასახვა, რაც მოსკოვში უჩვენეს და შეიძლება დემონსტრირებულ იქნას ყრილობის დელეგატებისათვის. ის მოგვცემს იმის კონკრეტულ წარმოდგენას, თუ სად არის სათბობის შიმშილობაზე გამარჯვების ერთ-ერთი საფუძველი. ჩვენ დავამზადეთ მანქანები, რომელთაც ხმარობენ ახალი წესის დროს, მაგრამ ცუდად დავამზადეთ. საზღვარგარეთ მივლინება, როცა გვარდება საქონლის გაცვლა საზღვარგარეთთან, თუნდაც ნახევრადლეგალურად არსებული სავაჭრო ურთიერთობის პირობებში, დაგვეხმარება მივიღოთ ეს ჩვენი გამომგონებლების მიერ შედგენილი მანქანები შესანიშნავად შესრულებული სახით. და ამ მანქანების რაოდენობით, ტორფის მთავარი კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მუშაობის წარმატებით ამ დარგში განიზომება ყველა ჩვენი სამეურნეო წარმატება, ვინაიდან თუ სათბობის შიმშილობაზე არ გავიმარჯვეთ, ისე შეუძლებელია გამარჯვების მიღწევა სამეურნეო ფრონტზე. ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე უმნიშვნელოვანესი წარმატებანი ტრანსპორტის აღდგენის დარგში.

სხვათა შორის, თქვენ უკვე დაინახეთ ამხ. ემშანოვისა და ტროცკის თეზისებიდან, რომ აქ ამ დარგში ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ, მრავალი წლისათვის დამუშავებულ გეგმასთან. ბრძანება № 1042 ნავარაუდევი იყო ხუთი წლისათვის, და ხუთ წელიწადში ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ტრანსპორტის აღდგენა, შეგვიძლია დაზიანებული ორთქლმავლების რაოდენობის შემცირება და, შეიძლება ითქვას, როგორც ყველაზე ძნელს, მე მინდა ხაზი გავუსვა მე-9 თეზისში მოხსენიებულ იმ მითითებას, რომ ჩვენ ეს ვადა უკვე შევამცირეთ.

და აი, როცა ჩნდება მრავალი წლისათვის ნავარაუდევი დიდი გეგმები, არც თუ იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე სკეპტიკოსები, რომლებიც ამბობენ: აბა, სად შეგვიძლია ჩვენ მრავალი წლის ვარაუდი; ღმერთმა ქნას და ის გავაკეთოთ, რაც ახლაა საჭიროო. ამხანაგებო, უნდა შეგვეძლოს ორივეს შეერთება: არ შეიძლება ისე მუშაობა, თუ არა გვაქვს ხანგრძლივი პერიოდისათვის და სერიოზული წარმატებისათვის ნავარაუდევი გეგმა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას გვიჩვენებს ტრანსპორტის მუშაობის უეჭველი გაუმჯობესება. მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ მე-9 თეზისის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ტრანსპორტის აღდგენისათვის ვადა იყო ხუთი წელიწადი, მაგრამ ის უკვე შემცირებულია, რადგან ჩვენ ნორმაზე მეტს ვმუშაობთ; ვადა განსაზღვრულია სამნახევარი წლით. ასე უნდა ვიმუშაოთ დანარჩენ სამეურნეო დარგებშიც. და აქეთ მიდის სულ უფრო და უფრო მეტად შრომისა და თავდაცვის საბჭოს პრაქტიკული, რეალური ამოცანა. თვალყურს უნდა ვადევნებდეთ მეცნიერებისა და პრაქტიკის გამოცდილებას და ამასთანავე ადგილებზე განუხრელად უნდა მივისწრაფოდეთ იქითაკენ, რომ გეგმა დანიშნულ ვადაზე ადრე სრულდებოდეს, რათა მასები ხედავდნენ, რომ ის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც გვაშორებს მრეწველობის სრული აღდგენისაგან, გამოცდილებას შეუძლია შეამციროს. ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მოდით, ყოველ სახელოსნოში, ყოველ დეპოში, ყოველ დარგში გავაუმჯობესოთ მეურნეობა და მაშინ ჩვენ ვადას შევამცირებთ. და ჩვენ მას ვამცირებთ. ნუ გეშინიათ მრავალი

წლისათვის ნავარაუდევი გეგმებისა: უმათოდ სამეურნეო აღორძინებას ვერ მიაღწევ, და მოდით, ადგილებზე დავაწვეთ მათ შესრულებას.

აუცილებელია, რომ სამეურნეო გეგმები განსაზღვრული პროგრამის მიხედვით სრულდებოდეს და რომ ხდებოდეს ამ პროგრამის შესრულების ზრდის აღნიშვნა და წახალისება: მასებმა არა მარტო უნდა იცოდნენ, არამედ ისინი უნდა გრძნობდნენ კიდეც, რომ შიმშილობის, სიცივისა და სიღატაკის პერიოდის შემცირება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, რომ მათ ჩვენი სამეურნეო გეგმები რაც შეიძლება სწრაფად შეასრულონ. წარმოების ცალკეული დარგების ყველა გეგმა მკაცრად კოორდინებული და შეკავშირებული უნდა იყოს და ერთად უნდა შეადგენდეს იმ ერთიან სამეურნეო გეგმას, რომელიც ჩვენ ასე გვესაჭიროება.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე დგას ეკონომიური სახალხო კომისარიატების ერთიან ეკონომიურ ცენტრად გაერთიანების ამოცანა. ჩვენ ამ ამოცანას მივადექით და თქვენს განსახილველად წარმოვადგინეთ სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ამ უკანასკნელი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ.

თქვენ განიხილავთ ამ პროექტს და, იმედი მაქვს, რომ იგი აუცილებელი შესწორებებით ერთხმად იქნება მიღებული. ის ძალიან მოკრძალებითია თავისი შინაარსით, მაგრამ მას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს, იმიტომ რომ ჩვენ გვესაჭიროება ორგანო, რომელსაც უფრო მტკიცედ ეცოდინება თავისი მდგომარეობა და რომელიც გააერთიანებს პირველ რიგში წამოყენებულ მთელ სამეურნეო მუშაობას.

ამავე ამოცანას მიადგა ყრილობისწინა ლიტერატურაში ამხ. გუსევი თავის ბროშურაში, რომელიც, სხვათა შორის, ისე კარგი არ არის, როგორც მისი წინა ბროშურა იყო. ამ ბროშურაში იყო მეტად ფართო გეგმა შრომისა და თავდაცვის საბჭოს შექმნისა, სადაც უნდა გადასულიყო ბევრი თვალსაჩინო მუშაკი, მათ რიცხვში ჩვენ აქ ვხედავთ ტროცკისა და რიკოვის სახელს. მე ვიტყოდი, ასეთი ფანტაზიორობა ნაკლები

უნდა იყოს. ჩვენ არ შეგვიძლია გამოვხტეთ იმ აპარატიდან, რომელიც შექმნილია სამი წლის განმავლობაში. ჩვენ ვიცით მისი უდიდესი ნაკლოვანებანი, ჩვენ დაწვრილებით ვილაპარაკებთ მათ შესახებ ამ ყრილობაზე. ეს საკითხი დღის წესრიგში დასმულია როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი. მე მხედველობაში მაქვს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საკითხი. მაგრამ ჩვენ ახლა უნდა ვიმუშაოთ ფრთხილად, აუცილებლობის კვალობაზე, ამასთან პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე უნდა შევცვალოთ ჩვენი აპარატი. ამხ. გუსევი სასაცილოდ იგდებს ჩვენს მიერ წარმოდგენილ პროექტს და ამბობს, რომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიემატოს მიწსახკომი. მართალია, ჩვენ სწორედ ასეთ პროექტს ვაყენებთ. პროექტში ჩვენ ძალიან მცირე ადგილს ვუთმობთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სახკომსაბჭოსთან არსებული შრომისა და თავდაცვის კომისიის სახით. აქამდე შრომისა და თავდაცვის საბჭოში ჩვენ ყოველგვარი კონსტიტუციის გარეშე ვმუშაობდით. სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამგებლობის ჩარჩოები ცუდად იყო განსაზღვრული; ზოგჯერ ფარგლებს ვცილდებოდით და ისე ვიქცეოდით, როგორც საკანონმდებლო დაწესებულება. მაგრამ ამ ნიადაგზე არც ერთხელ არ ყოფილა კონფლიქტი. ამ შემთხვევებს ვწყვეტდით მათი დაუყოვნებლივ გადატანით სახკომსაბჭოში. როდესაც გამოირკვა შრომისა და თავდაცვის საბჭოდან ისეთი ორგანოს შექმნის აუცილებლობა, რომელიც უფრო მეტად გააერთიანებს სამეურნეო პოლიტიკას, ჩვენ წინაშე დაისვა საკითხი, როგორ გაგვესაზღვრა საკანონმდებლო წესით ეს ურთიერთობა. ორი გეგმა დგას ჩვენს წინაშე: პირველი, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამგებლობის წრის გამიჯვნა. მაგრამ ამის განსახორციელებლად უნდა გამოვიყენოთ მრავალი კოდიფიკატორული ძალა, დავხარჯოთ უამრავი ქაღალდი, და ეს მაინც არ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ შეცდომას თავიდან ავიცილებთ.

წავიდეთ სხვა გზით. შრომისა და თავდაცვის საბჭო ითვლებოდა რაღაც თითქმის სახკომსაბჭოს თანასწორად. ხელი ავიღოთ ამ აზრზე. დაე ეს იყოს კომისია სახკომსაბჭოსთან. ჩვენ მოვსპობთ უამრავ შეხლა-შემოხლას და მივაღწევთ იმას, რომ საქმეს ფაქტიურად უფრო მალე განვახორციელებთ. თუ სახკომსაბჭოს რომელიმე წევრი უკმაყოფილოა, — შეიტანეთ განცხადება სახკომსაბჭოში, მისი მოწვევა ხომ რამდენიმე საათში შეიძლება. ამით მოვსპობთ შეხლა-შემოხლას უწყებებს შორის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადავაქცევთ სწრაფად მომუშავე ორგანოდ. ეს ადვილი ამოცანა არ არის. ის დაკავშირებულია ერთიანი სამეურნეო გეგმის ნამდვილად შექმნასთან. ამოცანა, რომლისთვისაც ჩვენ ცოტაოდნავ მაინც ვიმუშავეთ და რომელიც ორი წლის განმავლობაში მზადდებოდა, ის არის, რომ მივაღწიოთ ეკონომიური სახალხო კომისარიატების გაერთიანებას. აი რატომ მივაქცევ თქვენს ყურადღებას ამ კანონპროექტს შრომისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ, და იმედი მაქვს, რომ აუცილებელი შესწორებებით თქვენ მას დაამტკიცებთ, და მაშინ მუშაობა ეკონომიური სახალხო კომისარიატების გასაერთიანებლად წავა უფრო უმტკივნეულოდ, უფრო სწრაფად, მტკიცედ და გადაჭრით.

შევჩერდები უკანასკნელ პუნქტზე — ელექტროფიკაციის საკითხზე, რომელიც დასმულია ყრილობის დღის წესრიგში, როგორც განსაკუთრებული საკითხი, და თქვენ მოგიხდებათ მოხსენების მოსმენა ამ საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ აქ ვხედავთ ძალიან დიდ გარდატეხას, რომელიც ყოველ შემთხვევაში მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების დიდ წარმატებათა დასაწყისს. სრულიად რუსეთის ყრილობათა ტრიბუნაზე ამიერიდან გამოჩნდებიან არა მარტო პოლიტიკოსები და ადმინისტრატორები, არამედ ინჟინრებიცა და აგრონომებიც. ეს არის უბედნიერესი ეპოქის დასაწყისი, როცა პოლიტიკოსები სულ უფრო და უფრო ნაკლები იქნებიან, პოლიტიკაზე ნაკლებად ილაპარაკებენ და არა ისე გრძლად, ხოლო მეტს ილაპარაკებენ

ინჟინრები და აგრონომები. სამეურნეო მშენებლობის საქმეზე ნამდვილად გადასვლისათვის საჭიროა ეს ჩვეულება დავიწყოთ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობიდან და გავატაროთ იგი თავიდან ბოლომდე ყველა საბჭოში და ორგანიზაციაში, ყველა გაზეთში, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა ორგანოში, ყველა დაწესებულებაში.

პოლიტიკა ჩვენ, უეჭველია, ვისწავლეთ, აქ ჩვენ ვერ შეგვაცდენენ, აქ ჩვენ ბაზა გვაქვს. ხოლო მეურნეობის საქმე ცუდადაა. ამიერიდან ყველაზე უკეთესი პოლიტიკაა — ნაკლები პოლიტიკა. წამოწიეთ მეტი ინჟინერი და აგრონომი, მათგან ისწავლეთ, მათი მუშაობა შეამოწმეთ, ყრილობები და თათბირები გადააქციეთ არა მიტინგობიის ორგანოებად, არამედ სამეურნეო წარმატებათა შემოწმების ორგანოებად, ისეთ ორგანოებად, სადაც ჩვენ შეგვეძლება სამეურნეო მშენებლობის ნამდვილად სწავლა.

თქვენ მოისმენთ სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1920 წლის 7 თებერვლის დადგენილებით შექმნილი ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის მოხსენებას. 21 თებერვალს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხელი მოაწერა საბოლოო დადგენილებას ამ კომისიის შემადგენლობის შესახებ, და პირველ რიგში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთელი რიგი საუკეთესო სპეციალისტები და მუშაკები, რიცხვით ასზე მეტი, მთლიანად ამ საქმეში ჩაებნენ, გზათა სახალხო კომისარიატისა და მიწსახკომის საუკეთესო ძალებთან ერთად. ჩვენს წინაშეა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგები ამ პატარა ტომის სახით, რომელიც ყველა თქვენგანს დღეს ან ხვალ დაურიგდება [58]. იმედი მაქვს, თქვენ ამ პატარა ტომის არ შეგეშინდებათ. ვფიქრობ, ჩემთვის ძნელი არ იქნება დაგარწმუნოთ ამ პატარა ტომის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში. ჩემი შეხედულებით, ეს არის ჩვენი მეორე პროგრამა პარტიისა. ჩვენ გვაქვს პარტიის პროგრამა, საუცხოოდ განმარტებული ამხ. პრეობრაჟენსკისა და ბუხარინის მიერ ნაკლებად სქელ, მაგრამ უაღრესად ძვირფას წიგნში. ეს არის პოლიტიკური პროგ-

რამა, ეს არის ჩვენი ამოცანების ჩამოთვლა, ეს არის განმარტება ურთიერთობისა კლასებსა და მასებს შორის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ დროა ამ გზას ნამდვილად დავადგეთ და გავზომოთ მისი პრაქტიკული შედეგები. ჩვენი პარტიის პროგრამა არ შეიძლება მარტო პარტიის პროგრამად დარჩეს. ის უნდა გადაიქცეს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროგრამად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უვარგისია აგრეთვე როგორც პარტიის პროგრამა. მას უნდა დაემატოს პარტიის მეორე პროგრამა, მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და თანამედროვე ტექნიკამდე მისი მიყვანის სამუშაოთა გეგმა. ელექტროფიკაციის გეგმის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია ნამდვილ მშენებლობაზე გადასვლა. როცა მიწათმოქმედების, მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენაზე, მათ ჰარმონიულ შეერთებაზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ ფართო სამეურნეო გეგმაზე. ჩვენ იქამდე უნდა მივიდეთ, რომ ერთგვარი გეგმა მივილოთ; რასაკვირველია, ეს იქნება გეგმა, რომელიც მიღებულია მხოლოდ პირველი მიახლოების წესით. პარტიის ეს პროგრამა არ იქნება ისე უცვლელი, როგორც ჩვენი ნამდვილი პროგრამა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ პარტიის ყრილობებზე. არა, ეს პროგრამა ყოველდღე, ყოველ სახელოსნოში, ყოველ თემში გაუმჯობესდება, დამუშავდება, სრულქმნილი გახდება და შეიცვლება ხოლმე. ის ჩვენ გვესაჭიროება როგორც პირველი მონასახი, რომელიც მთელი რუსეთის წინაშე აღიმართება, როგორც დიადი სამეურნეო გეგმა, ნავარაუდევი სულ ცოტა ათი წლისათვის, გეგმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გადავიყვანოთ რუსეთი კომუნიზმისათვის აუცილებელ ნამდვილ სამეურნეო ბაზაზე. თუ ჩვენ ვიბრძოდით და წარმატებით გავიმარჯვეთ ომის ფრონტზე, როგორი იყო ერთ-ერთი მძლავრი, მამოძრავებელი ბიძგი, რომელმაც გააათკეცა ჩვენი ძალები, ჩვენი ენერგია? საფრთხის შეგნება. ყველანი კითხულობდნენ: შეუძლიათ თუ არა მემამულეებსა და კაპიტალისტებს დაბრუნდნენ რუსეთში? და უპასუხებდნენ: შეუძლიათ.

ამიტომ ვძაბავდით ჩვენ ძალებს ასკეცად, დავძაბეთ ეს ძალები და გავიმარჯვეთ.

აიღეთ სამეურნეო ფრონტი და იკითხეთ: ეკონომიურად შეუძლია თუ არა კაპიტალიზმს დაბრუნდეს რუსეთში? ჩვენ ვებრძოდით «სუხარევკას». ამ დღეებში, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის გახსნისათვის, მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭომ დახურა ეს ნაკლებად სასიამოვნო დაწესებულება. (ტ ა შ ი.) «სუხარევკა» დახურულია, მაგრამ საშიშია არა ის «სუხარევკა», როძელიც დახურულია. დახურულია ყოფილი «სუხარევკა» სუხარევაიას მოედანზე, მისი დახურვა ძნელი არ არის. საშიშია «სუხარევკა», რომელიც ცოცხლობს ყოველი წვრილი მეპატრონის სულსა და მოქმედებაში. ეს «სუხარევკა» უნდა დაიხუროს. ეს «სუხარევკა» კაპიტალიზმის საფუძველია. ვიდრე ის არსებობს, კაპიტალისტებს შეუძლიათ რუსეთში დაბრუნდნენ და შეუძლიათ უფრო ძლიერი გახდნენ, ვიდრე ჩვენა ვართ. ეს ნათლად უნდა შევიგნოთ. ეს უნდა იყოს მთავარი მამოძრავებელი ჩვენს მუშაობაში და ჩვენი ნამდვილი წარმატებების პირობა, საზომი. ვიდრე ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზაა, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს უნდა დაიხსომოთ. ყველამ, ვისაც ყურადღებით უდევნებია თვალყური სოფლის ცხოვრებისათვის, ქალაქის ცხოვრებასთან შედარებით, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ აღმოგვიფხვრია და საძირკველი, საფუძველი შინაური მტრისათვის არ გამოგვიცლია. ეს უკანასკნელი ეყრდნობა წვრილ მეურნეობას და მას რომ ნიადაგი გამოვაცალოთ, არსებობს ერთი საშუალება — ქვეყნის მეურნეობის, მათ შორის აგრეთვე მიწათმოქმედების გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე. ასეთ ბაზას მხოლოდ ელექტრობა წარმოადგენს.

კ ო მ უ ნ ი ზ მ ი — ე ს ა რ ი ს ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა პ ლ უ ს მ თ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ე ლ ე ქ ტ რ ო ფ ი კ ა ც ი ა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წვრილ-

გლეხური რჩება, და საჭიროა ეს ნათლად შევიგნოთ. ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე კაპიტალიზმი, არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ჩვენი ქვეყნის შიგნითაც. ეს ყველამ იცის. ჩვენ ეს შევიგნეთ და საქმეს იქამდე მივიყვანთ, რომ სამეურნეო ბაზა წვრილგლეხურიდან მსხვილ სამრეწველო ბაზად იქცეს. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ.

ჩვენ მიერ უკვე დამუშავებულია ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის წინასწარი გეგმა, ამ გეგმაზე მუშაობდა ორასი ჩვენი საუკეთესო მეცნიერული და ტექნიკური ძალა. დამუშავებულია გეგმა, რომელიც მრავალი წლის პერიოდისათვის, სულ ცოტა ათი წლისათვის, გვაძლევს მატერიალურ და ფინანსურ გაანგარიშებას. ეს გეგმა მიუთითებს, რამდენი მილიონი კასრი ცემენტი და რამდენი მილიონი აგური გვესაჭიროება ელექტროფიკაციის გასატარებლად. ელექტროფიკაციის ამოცანების განსახორციელებლად ფინანსური მხრივ, გაანგარიშება უდრის 1—1,2 მილიარდ ოქროს მანეთს. თქვენ იცით, რომ ჩვენი ოქროს ფონდით სრულიადაც ვერ შევძლებთ მთელი ამ ციფრის დაფარვას. დიდი არ არის აგრეთვე ჩვენი სასურსათო ფონდი. ამიტომ ჩვენ ეს ანგარიში უნდა დავფაროთ კონცესიებით იმ გეგმის მიხედვით, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი. თქვენ ნახავთ გაანგარიშებას, თუ ამ საფუძველზე როგორ არის დაგეგმილი ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი ტრანსპორტის აღდგენა.

ძალიან დიდი ხანი არ არის რაც მე მომიხდა ყოფნა გლეხთა ერთ დღესასწაულზე მოსკოვის გუბერნიის შორეულ ადგილას, ვოლოკოლამსკის მაზრაში, სადაც გლეხებს ელექტრონის განათება აქვთ [99]. ქუჩაში გაიმართა მიტინგი, და აი ერთ-ერთი გლეხი გამოვიდა და დაიწყო სიტყვა, რომელშიც იგი მიესალმა გლეხთა ცხოვრების ამ ახალ მოვლენას. იგი ამბობდა, რომ ჩვენ, გლეხები, ბნელი ვიყავით და აი ახლა

გამოჩნდა სინათლე, «არაბუნებრივი სინათლე, რომელიც გაანათებს ჩვენს გლეხურ სიბნელესო». მე პირადად ეს სიტყვები არ გამკვირვებია. რასაკვირველია, უპარტიო გლეხური მასისათვის ელექტრონის სინათლე «არაბუნებრივი» სინათლეა, მაგრამ ჩვენთვის არაბუნებრივია ის, რომ გლეხებსა და მუშებს შეეძლოთ ასეული და ათასეული წლები ეცხოვრათ ასეთ სიბნელეში, სილატაკეში, მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრის პირობებში. ამ სიბნელეს მალე ვერ დააღწევ თავს. მაგრამ ამჟამად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მიერ აშენებული თვითეული ელექტროსადგური ნამდვილად იქცეოდეს განათლების საყრდენად, რომ იგი, ასე ვთქვათ, მასების ელექტრონულ განათლებას ეწეოდეს. ჩვენ გვაქვს ელექტროფიკაციის დამუშავებული გეგმა, მაგრამ ამ გეგმის შესრულება წლებისათვის არის ნავარაუდევი. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს გეგმა უნდა განვახორციელოთ და მისი შესრულების ვადა შევამციროთ. აქ უნდა მოხდეს იგივე, რაც დაემართა ჩვენს ერთ-ერთ პირველ სამეურნეო გეგმას, ტრანსპორტის აღდგენის გეგმას — № 1042 ბრძანებას, რომელიც გათვალისწინებული იყო ხუთი წლისათვის, მაგრამ ახლა უკვე შემცირებულია სამნახევარ წლამდე, რადგან ნორმის გადაჭარბებით სრულდება.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ელექტროფიკაციის გატარება შეუძლებელია, როცა ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარნი გვყვანან. ცოტაა ის, რომ ჩვენი კომისია შეეცდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. მან ბევრი რამ გააკეთა იმასთან შედარებით, რაც იყო, მაგრამ ცოტა გააკეთა იმასთან შედარებით, რაც საჭიროა. გარდა წერა-კითხვის ცოდნისა, საჭირონი არიან კულტურული, შეგნებული, განათლებული მშრომელნი; საჭიროა, რომ გლეხების უმრავლესობას გარკვეულად ჰქონდეს წარმოდგენილი ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. პარტიის ეს პროგრამა უნდა გახდეს ძირითად წიგნად, რომელიც ყველა სკოლას უნდა მივაწოდოთ. თქვენ მასში, ელექტროფიკაციის გატარების საერთო გეგმის გვერდით, მიიღებთ სპეციალურ გეგმებს,

რომლებიც დაწერილია რუსეთის თვითეული რაიონისათვის. და თვითეულ ამხანაგს, რომელიც ადგილზე წავა, ექნება მის რაიონში ელექტროფიკაციის გატარების, სიბნელიდან ნორმალურ არსებობაზე გადასვლის განსაზღვრული გეგმა. და, ამხანაგებო, შეიძლება და აუცილებელია ადგილზე შეადაროთ, დაამუშაოთ, შეამოწმოთ თქვენთვის მოცემული დებულებანი, უნდა ეცადოთ მიაღწიოთ, რომ თვითეულ სკოლაში, თვითეულ წრეში კითხვაზე — რა არის კომუნიზმი, უპასუხებდნენ არა მარტო იმას, რაც დაწერილია პარტიის პროგრამაში, არამედ იმაზედაც ლაპარაკობდნენ, თუ როგორ გამოვიდეთ სიბნელის მდგომარეობიდან.

საუკეთესო მუშაკებმა, სამეურნეო მუშაკმა-სპეციალისტებმა შეასრულეს მათთვის მიცემული დავალება რუსეთის ელექტროფიკაციისა და მისი მეურნეობის აღდგენის გეგმის შემუშავების შესახებ. ახლა იმას უნდა მივაღწიოთ, რომ მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ, რა დიდია და ძნელი ეს ამოცანა, როგორ უნდა მივუდგეთ მას და როგორ უნდა მოვკიდოთ მას ხელი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული ფაბრიკა, თვითეული ელექტროსადგური გადაიქცეს განათლების კერად, და თუ რუსეთი დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრი ტექნიკური მოწყობილობის ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა ნიმუშად გადაიქცევა მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც დ ი დ ხ ა ნ ს ა რ ც ხ რ ე ბ ა.)

3

საბოლოო სიტყვა სახალხო კომისართა საბჭოს მოლვაწეობის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 23 დეკემბერს

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო, მე მომიხდება დავჯერდე მცირე შენიშვნებს იმ სიტყვებისა და დეკლარაციების გამო, რომლებიც თქვენ ახლა მოისმინეთ. ერთ-ერთი ბარათი, რომელიც მე მივიღე, გაკვირვებას გამოთქვამს და კითხვას აყენებს, რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს საბჭოების ყრილობას ასეთი დეკლარაციებისა და სიტყვების მოსმენამ. მე ვფიქრობ, თქვენი უმრავლესობა ამ აზრს არ დაეთანხმება. უეჭველია, იმის გახსენება, თუ საითკენ მიყავს საქმე ზოგიერთ — შესაძლოა, ახლა საკმაოდ პოპულარულ — სიტყვას ჩვენს პოლიტიკურ ვითარებაში იმ პარტიების გადმოცემით, რომელთა ნაწილმა ახლა გამოაქვეყნა თავისი დეკლარაციები, ამის გახსენება არასოდეს არ შეიძლება უსარგებლო იყოს. მაგალითად, აიღეთ მენშევიკების პარტიის ან, უფრო სწორად, ამ პარტიის ერთი ნაწილის წარმომადგენლის მსჯელობა. ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის იმაში, რომ მენშევიკებისა და ესერების პარტიები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ სახელწოდებას, წარმოადგენენ სხვადასხვანაირი ნაწილების ისეთ დაჯგუფებას, ერთი ნაწილიდან მეორისაკენ ისეთ მუდმივ გადასვლას, რომელიც მათ საერთაშორისო იმპერიალიზმის ნებსით თუ უნებლიე, შეგნებულ თუ შეუგნებელ ხელშემწყობებად აქცევს. ეს ჩანს მათი დეკლარაციებიდან და სიტყვებიდან, რომლებიც ყრილობამ მოისმინა.

მე, მაგალითად, მისაყვედურებდნენ იმას, რომ წამოვაყენე ახალი თეორია ომების მომავალი ახალი წყების შესახებ. ისტორიაში შორს წასვლა არ დამჭირდება იმის ცხადსაყოფად, თუ რას ემყარებოდა ჩემი სიტყვები. ჩვენ ეს-ეს არის ბოლო მოვუღეთ ვრანგელს, მაგრამ სადღაც, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიდან არც თუ ძალიან შორს, ვრანგელის ჯარები ისევ არსებობენ და რაღაცას ელოდებიან. ამიტომ, ვინც დაივიწყებს საფრთხეს, რომელიც ჩვენ მუდამ გვემუქრება და მანამდე არ გაქრება, სანამ მსოფლიო იმპერიალიზმი არსებობს, — ვინც ამას დაივიწყებს, ის ჩვენს მშრომელთა რესპუბლიკასაც დაივიწყებს. ხოლო ჩვენ მიერ იმის თქმა, რომ საიდუმლო დიპლომატიას ვაწარმოებთ, იმის თქმა, რომ ჩვენ მხოლოდ თავდაცვითს ომს უნდა ვეწეოდეთ, როდესაც ჩვენს თავზე დღემდე აღმართულია მახვილი, როდესაც, შიუხედავად ჩვენი ასობით წინადადებისა და გაუგონარი დათმობებისა, რომელთაც ჩვენ ვთანხმდებით, დღემდე არც ერთ დიდ სახელმწიფოს ჩვენთან ზავი არ შეუკრავს, — ჩვენ მიერ ამის თქმა წვრილბურჟუაზიული პაციფიზმის იმ ძველი ფრაზების განმეორება იქნებოდა, რომლებმაც დიდი ხანია აზრი დაკარგეს. ჩვენდამი ასეთი გამუდმებით აქტიურად-მტრული ძალების წინაშე რომ ფიცი დაგვედო, როგორც ამის წინადადებას გვაძლევენ, რომ არასოდეს არ დავიწყებთ ერთგვარ მოქმედებას, რომელიც სამხედრო-სტრატეგიული მხრივ შეიძლება შეტევითი მოქმედება აღმოჩნდეს, ჩვენ არათუ ბრიყვები, დამნაშავენიც ვიქნებოდით. აი საითკენ მივყავართ ამ პაციფისტურ ფრაზებსა და რეზოლუციებს. ისინი იმას იწვევენ, რომ უნდათ მტრებით გარშემორტყმულ საბჭოთა ხელისუფლებას ხელ-ფეხი შეუბორკონ და ის დასაგლეჯად მიუგდონ მსოფლიო იმპერიალისტურ მტაცებლებს.

შემდეგ, როდესაც ლაპარაკობენ პროლეტარიატის ერთიანობაზე, იმაზე, რომ ჩვენ მას ვარღვევთ, — ძნელია ამას უსმენდეთ და არ გაიღიმოთ. პროლეტარიატის ერთიანობაზე ჩვენ აქ მოვისმინეთ და ახლა საქმით დავინახეთ, რომ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატის

ერთიანობა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ მარქსიზმის უკიდურესი რევოლუციური პარტიის მიერ, ჰხოლოდ ულმობელი ბრძოლით ყველა დანარჩენი პარტიის წინააღმდეგ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

შემდეგ, ჩვენ გველაპარაკებიან მთელი ხალხის შეიარაღებაზე, რითაც კვლავ ღეჭავენ ძველ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ლოზუნგს, — მაშინ როდესაც ამ ხალხში უაღრესად გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლაა გაჩაღებული.

გუშინ მე სიამოვნება მქონდა დავსწრებოდი ჩვენი ყრილობის უპარტიო დელეგატების — გლეხების პატარა კერძო თათბირს და ფრიად ბევრი რამ გამოვიტანე მათი კამათიდან სოფლის ცხოვრების ყველაზე მტკივნეული საკითხების გამო, ყველა თქვენგანისთვის ცნობილი საკითხების — სურსათის, გაჩანაგების, გაჭირვების საკითხების გამო. ამ კამათიდან მე ყველაზე მეტად თვალში მეცა ის, თუ რამდენად ღრმაა ბრძოლა, ერთი მხრივ, ნამდვილად მშრომელ ღარიბსა და, მეორე მხრივ, კულაკსა და მუქთახორას შორის. ჩვენი რევოლუციის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ დავეხმარეთ სოციალური რევოლუციის ამ ძირითადი საკითხის არა მარტო თეორიულ, არამედ აგრეთვე ფართო პრაქტიკულ დაყენებას სოფლის ყველაზე უფრო ქვედაფენებში, პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებ შეგნებულთა მასაში, უპარტიო გლეხობის მასაში. თვალუწვდენელი საბჭოთა რუსეთის ყველა სოფელში ამჟამად არკვევენ, დავობენ და რწმუნდებიან, თუ ვისთვის მოაქვს სარგებლობა ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებებს; ყველგან, ყველაზე მივარდნილ ადგილებში ერკვევიან მშრომელი გლეხობისა და კულაკის საკითხში. ხანდახან ერთიმეორეს ბრალსა სდებენ მეტად ცხარედ და გაშმაგებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასე თუ ისე ერკვევიან და შეგნებული აქვთ, რომ აუცილებელი და სავალდებულოა დავეხმაროთ და ფეხზე დავაყენოთ მშრომელი გლეხი და მოვიგერიოთ გათავხედებული კულაკის ყველა გამოხდომა.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად, გლეხობის შუაგულ მასაში სინამდვილედ იქცა, და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და

ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს შეგნებული ბრძოლა იყოს. და, როდესაც ამის შემდეგ ერთგვარი თავისებური «ინტერნაციონალის» ბელადები გვევლინებიან და ხალხის შეიარაღებაზე ლაპარაკობენ, თავს ისე გრძნობ, თითქოს მარქსიზმისა და სოციალიზმის საკითხებში მოსამზადებელი კლასის მოწაფე გამხდარიყო. მთელ მსოფლიოში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის დავიწყება იმას ნიშნავს, რომ ძალაუნებურად დაეხმარო მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებს მებრძოლი პროლეტარიატის წინააღმდეგ. ჩვენი მტრების ლოზუნგია ხალხის შეიარაღება, ჩვენ კი კლასობრივი შეიარაღების ბაზაზე ვდგავართ, ამ გზით ვიმარჯვებდით და ამ გზით გავიმარჯვებთ ყოველთვის. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები აქ იმაზე გველაპარაკებოდნენ, თუ რანაირად შეგვიძლია საგანგებო სახალხო მოთათბირების გარეშე დავუშვათ ისეთი რამ, როგორც კონცესიებია, და გვეკითხებოდნენ, რატომ არ ვაყენებთ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში უმთავრეს საკითხად შრომითს თანასწორობას (ესერების რეზოლუციაში ამ შრომითს თანასწორობას «შრომის ხელისუფლება» ეწოდებოდა, მენშევიკების რეზოლუციაში კი ის გადასხვაფერებულია და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა თანასწორობა ეწოდება). მაგრამ რას ნიშნავს ეს ფრაზები «შრომის ხელისუფლების» შესახებ, თუ არა აგიტაციას კლასობრივი პროლეტარული ხელისუფლებისაგან პროფესიული კავშირების დამოუკიდებლობის სასარგებლოდ? პროფესიული კავშირების ამ «დამოუკიდებლობის» შესახებ მენშევიკებთან და ესერებთან ერთად სწუხს და მოთქვამს დასავლეთ ევროპის მთელი ბურჟუაზიული პრესა.

რა მოხდა მაშინ, როცა მარტოვი დამოუკიდებელთა ჰალეს ყრილობაზე გამოჩნდა და იქ, მისთვის არასასიამოვნო ბოლშევიკთა დიქტატურით შეუზღუდველი, რაც კი უნდოდა ყველაფერზე ლაპარაკობდა? მოხდა ის, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მარტოვის სიტყვა, როგორც გემრიელი ლუკმა, მთლიანად დაიბეჭდა ინგლისის ყველაზე რეაქციულ და იმპერია-

ლისტურ პრესაში. ეს პრესა მადლობას ეუბნებოდა მოქალაქე მარტოვს იმის გამო, რომ მან ბოლშევიკების ზრახვები გადმოშალა. როდესაც ასეთ სიტყვებს წარმოთქვამენ ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიო ბრძოლის ვითარებაში, რას წარმოადგენენ ისინი, თუ არა ანტანტის პოლიტიკის პატარა ნაჭერს? თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიათ თქვათ, რომ შრომის ხელისუფლებისა და სხვ. შესახებ თქვენი იდეის ეს გამოხატულება წვრილბურჟუაზიული მიჭარვაა, მაგრამ ნამდვილად ეს, ვიმეორებ, სხვა არაფერია, თუ არა ანტანტის პოლიტიკის პატარა ნაჭერი. ხვალ, თუ აქ ანტანტის შუამავალი არის, ამ თქვენს სიტყვას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას მიაწვდიან და იქ მილიონობით ეგზემპლარებად დაბეჭდავენ, რათა თქვენი სიტყვით, მოქალაქე დანო, მოატყუონ და გააბრიყვონ ევროპის შეუგნებელ მუშათა ერთი ნაწილი.

მოქალაქე დანს ისე გამოუვიდა, თითქოს მე ჩემ სიტყვებში შრომის დისციპლინის შესახებ მხოლოდ იძულებას ვიცავდე; ესერების პარტიის წარმომადგენელი უფრო ზუსტი იყო და მან თქვა, რომ მე ვიცავ იძულებას დარწმუნების საფუძველზე. მთელი ჩვენი პოლიტიკა ამაზე ნათელ პასუხს იძლევა. ჩვენ სრულიადაც არ ვთვლით, რომ საქმეს შეუცდომლად ვუძღვებით, მაგრამ, კეთილ ინებეთ და დაგვანახვეთ ეს შეცდომები, გვიჩვენეთ სხვანაირი მიდგომა. მაგრამ ამ სხვანაირ მიდგომაზე აქ არაფერი გვსმენია. არც მენშევიკები და არც ესერები არ ამბობენ: «აი გაჭირვება, აი გლეხებისა და მუშების სიღატაკე, ხოლო აი ის გზა, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ამ სიღატაკეს». არა, ისინი ამას არ ამბობენ. ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს — იძულებაა. დიახ, ამის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ გეკითხებით თქვენ, მოქალაქე დანო: მხარს უჭერთ თუ არა თქვენ ამას? აი რაშია დედაარსი, აი რა არის თავიდათავი. კონკრეტულად გვიპასუხეთ: კი თუ არა? «არც კი, არც არა». მათ, თურმე ნუ იტყვით, სურთ მხოლოდ ილაპარაკონ შრომის ხელისუფლებაზე, იმაზე, რომ ჩვენ ხელვყოფთ გლეხთა თავისუფლებას. მერე და ვინ არიან გლეხები? განა ჩვენს საბ-

ჭოთა კონსტიტუციაში ნათქვამი არაა, რომ გლეხები — ეს მშრომელები, შრომის ადამიანები არიან? ასეთ გლეხებს ჩვენ პატივსა ვცემთ და მუშათა სრულუფლებიან ძმებად ვთვლით. ასეთი გლეხობა რომ არა, ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით ჩვენს საბჭოთა პოლიტიკაში. მშრომელ გლეხსა და მუშას შორის არსებობს ძმური ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ჩვენს კონსტიტუციაში. მაგრამ არის გლეხობის მეორე ელემენტი, ეს ის ელემენტია, რომლისგანაც მრავალმილიონიანი «სუხარევკა» შედგება. მე იმედი მაქვს, რომ ყოველი კრება, უპარტიოთა კრებაც კი, შეძლებს ამაში გულდასმით გაერკვეს. განა ის გლეხები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან, განა ისინი მშრომელთა წარმომადგენლები არიან? აი რაშია სოფლის ეკონომიური საკითხების მთელი დედაარსი. გლეხები, წვრილი მეპატრონეები და მუშები — ეს სხვადასხვა კლასებია, და მათ შორის განსხვავებას ჩვენ მაშინ მოვსპობთ, როდესაც წვრილი მეურნეობის საფუძვლებს მოვსპობთ და გიგანტური მსხვილი მანქანური მეურნეობის ახალ საფუძვლებს შევქმნით, როგორც ეს უკვე მოხსენებაში აღვნიშნე. ეს ეკონომიურად აუცილებელია, აქ გამოსული მენშევიკები და ესერები კი უმწეოდ ტიტინებენ ყველა გლეხისა და მუშის რაღაც შრომითი თანასწორობის შესახებ. მაგრამ ეს ხომ ლიტონი სიტყვებია, თანაც ეკონომიურად არასწორი და მეცნიერული მარქსიზმის მიერ უარყოფილი. აიღეთ ჩვენი რევოლუცია ციმბირში, საქართველოში, აიღეთ საერთაშორისო რევოლუციის გამოცდილება, და თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ ეს მყვირალა სიტყვები შრომითი თანასწორობის შესახებ — სიცრუეა. ეს სიტყვები გამოხატავენ ბურჟუაზიის პოლიტიკას ჩვენს წინააღმდეგ და სხვას მეტს არაფერს შეიცავენ.

დანი აქ ლაპარაკობდა, თითქოს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კანცელარიაში იყოს ქაღალდი იმის შესახებ, რომ ოქტომბრის ამნისტია მენშევიკებზე არ ვრცელდება, და მოქალაქე დანს აქედან ის დასკვნა გამოყავს, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია ჭკუას ასწავლის

და ბატონობს სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმზეო. განა შეგვიძლია ჩვენ, ხელისუფლების სათავეში მდგომთ, დავიჯეროთ ეს? განა აქ მყოფმა კომუნისტებმა, რომლებიც დამსწრეთა 70—80 პროცენტს შეადგენენ, არ იციან, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სათავეში დგას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ძერჟინსკი, ხოლო სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ექვსი წევრია? იმის ფიქრი, რომ ასეთ პირობებში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის პრეზიდიუმი ან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ოპერატიული სამმართველო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ჭკუას ასწავლის და მასზე ბატონობს, რა თქმა უნდა, ზედმეტია: ეს პირდაპირ სასაცილოა. გასაგებია, რომ ამაში საინტერესო არაფერია, და მენშევიკების პარტიის წარმომადგენელმა აქ მხოლოდ ოინი გაითამაშა. მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ რამდენიმე დღის შემდეგ გადახედოთ დასავლეთ ევროპის ან ამერიკის რომელიმე ბურჟუაზიულ გაზეთს, რომლის ტირაჟი ნახევარი ან ერთი მილიონი ეგზემპლარია, და დაინახავთ, რომ იქ უზარმაზარი, არშინიანი ასოებით იქნება დაბეჭდილი შემდეგი: მოქალაქე დანმა გამოამჟღავნა, რომ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია მითითებებს აძლევს და ბატონობს სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმზეო.

4

სიტყვა საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე 24 დეკემბერს [100]

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ორიოდე სიტყვას ვიტყვი ძალადობის საკითხის უმართებულო განმარტების შესახებ. ეს უმართებულობა რომ დაგანახოთ, წავიკითხავ სამ სტრიქონს VIII ყრილობის ოქმიდან [101].

ძალადობის წინააღმდეგ მთელი ლაპარაკი იყო კომუნის საკითხთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ მცირეოდენი ძალადობაც კი ამ დარგში საზიანოა. ცდილობენ, კომუნის საკითხის მიმართ გამოყენებული ეს სიტყვა, რომელიც კომუნების დანერგვის საქმეში ძალადობის უაზრობაზე მიუთითებს, ცდილობენ გამოიყენონ ის საზოგადოდ დარწმუნებისა და იძულების საკითხის მიმართ. ეს აშკარად ნაძალადევი და უსწორო განმარტებაა. ჩვენი კანონპროექტისა და დაწყებული აზრთა გაცვლა-გამოცვლის გამო უნდა ვთქვა, რომ საკითხის ის დაყენება, როცა უნდათ მას მეტი მემარცხენე იერი მიანიჭონ, მე ნაკლებ საქმიან დაყენებად მიმაჩნია. მე ვერაფერი კონკრეტული და საქმიანი ვერ დავინახე იმ წინადადებაში, რაც წამოაყენა ამხ. ხანოვმა, რომელიც თავის თავს უკიდურეს მემარცხენეს უწოდებდა. მე უაღრესად მავნედ მიმაჩნია ამხ. შლიხტერის ის რჩევა, რომ ეს კანონპროექტი კანონად კი არ გადავაქციოთ, არამედ დაე ის სრულიად რუსეთის ცაკის შემდგომმა სესიამ მიიღოსო. ჩვენ სახკომსაბჭოში ვცდილობდით მალე მიგვეცა ამ კანონპროექტისათვის რაც შეიძლება უფრო მზა ფორმები, რათა საბჭოების

ყრილობას, სადაც ყველაზე მეტად იქნებიან წარმომადგენლები ადგილებიდან, მოესწრო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ამ კამპანიის ადგილზე ჩატარების დაგვიანების საფრთხე გვემუქრება. ამისათვის საჭიროა გვქონდეს ინსტრუქციები. ინსტრუქციების შემუშავებას სულ ცოტა ორი — სამი კვირა მოუნდება. არაფერია იმაზე უფრო საზიანო, ვიდრე ის რჩევა, რაც მოგვცა შლიხტერმა, რომელიც ლაპარაკობდა დღის წესრიგის სხვა მუხლის გამო, საგუბერნიო აღმასკომის უფლებათა შესახებ. კანონპროექტის დედაარსი ისაა, რომ ახლა გადავიდეთ დახმარების პრაქტიკულ ზომებზე გლეხური ერთპიროვნული მეურნეობისადმი, რომელიც სჭარბობს, ისეთი დახმარებისა, რაც გამოიხატებოდა არა მარტო წაქეზებით, არამედ იძულებითაც.

უნდა ვთქვა, რომ აქ კანონპროექტში გარკვევითაა მითითებული, თუ რა ღონისძიებებზე ვლაპარაკობთ ჩვენ. ყველაზე მნიშვნელოვანი მე-11 მუხლი ამბობს, რომ საგუბერნიო თესვის კომიტეტს მიწსახკომის ხელმძღვანელობითა და კონტროლით შეუძლია გამოსცეს «სავალდებულო წესები, რომლებიც ეხება მინდვრების მექანიკური დამუშავებისა და მდელოების გაუმჯობესების ხერხებს, თესვის წარმოების ძირითად ხერხებს და ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების შენარჩუნების საშუალებებს». საიდან ავიღოთ ეს სავალდებულო წესები? შემდეგ ნათქვამია, რომ მაგალითი უნდა ავიღოთ უმთავრესად ბეჯით მიწათმოქმედთა მიერ გამოყენებული ხერხებიდან. როგორი ხერხები უნდა დავაკანონოთ ჩვენ? ცნობილი ხერხები, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების ხერხები უნდა დავაკანონოთ და ცნობილი გავხადოთ. დასასრულ ჩვენ ვკითხულობთ: «აკრძალულია ისეთი წესებისა და მოთხოვნების შემოღება, რომლებიც: 1) იწვევენ გლეხური მეურნეობის ძირფესვიანად გადაკეთებას, თუ ასეთები შემოაქვთ არა სათემო ყრილობების წინადადებით ან თუ სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ამა თუ იმ ადგილს გაუმჯობესებული საწარმოო იარაღებითა და საშუალებებით; 2) ისეთი მოთხოვნების წამოყენება, რომელთა შესრულება საშუალო

შეძლების მეურნეობისათვის ძნელია, და 3) რისკთან დაკავშირებული მოთხოვნების წამოყენება».

აქ გამოსული ამხანაგი ფიქრობდა, რომ ამხ. ოსინსკის მოხსენების ნაკლია მეტისმეტად პრაქტიკული, კონკრეტული მითითებანი, — ეს ეწინააღმდეგება საკითხის მართებულ დაყენებას. პირიქით, ამხ. ოსინსკის მოხსენებაში ყველაზე ძვირფასი ის იყო, რომ მან პირდაპირ ჩასჭიდა ხელი უმთავრესს, მოგიწოდათ თქვენ უშუალოდ შეუდგეთ საქმიანი საკითხების განხილვას — როგორ მოვიქცეთ თესლის საკითხში, არ უნდა დავუშვათ, რომ თესლი შეჭამონ. სწორედ ევროპულ რუსეთში ეს ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე უმდიდრეს ალტაის მხარეში, სადაც, თურმე, ასე ადვილია ბრძანების გაცემა. თუ იქ ბრძანების გაცემა ადვილია, ბრძანების გაცემით მიაღწევთ პრაქტიკულ წარმატებებს. მაშინ ყოველი საგუბერნიო სამიწათმოქმედო განყოფილება — ალტაისა და სხვა — უდიდესი წაქეზების ღირსი იქნება.

სამწუხაროდ, საქმე სულაც არ არის ასე ევროპული რუსეთის გაცილებით უფრო ღარიბ გუბერნიებში. აქ ახლანდელი კამპანიის მთელი ამოცანა, სწორედ ისევე, როგორც ჩვენი ყრილობის მთელი ამოცანა, იმაში მდგომარეობს, რომ დავაყენოთ საკითხი რაც შეიძლება შორს ყოველგვარი ზოგადი ხასიათის მსჯელობისაგან, რომლისკენაც მოგვიწოდებდნენ შლიხტერიც და სხვა ამხანაგებიც. მე მინდა მოგიწოდოთ საკითხების გაცილებით უფრო პრაქტიკული და საქმიანი დაყენებისაკენ და მივესალმები საქმის იმ მიმართულებას, რომელიც ოსინსკიმ მოგვცა. მოდით, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ მოვიქცეთ თესლის საკითხში. მას შეჭამენ. საჭიროა ის გადავარჩინოთ. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში უფრო პრაქტიკულად? საჭიროა ის მოვაგროვოთ საზოგადოებრივ ბეღლებში და გლეხი უზრუნველვყოთ და დავარწმუნოთ, რომ ეს თესლი საქმის გაჭიანურებასა და არასწორ განაწილებას კი არ შეეწირება, არამედ ჩვენი მიზანი ახლა ის არის, რომ დასათესად საჭირო თესლის მთელი რაოდენობა დასაცავად გადაეცეს სახელმწიფოს. ამაში საშუალო

გლეხს უსათუოდ დავარწმუნებთ, იმიტომ რომ ეს ყველაზე აშკარა საჭიროებაა. თუ საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ და იტყვიან, ჩვენ არ შეგვიძლია ციურუპასთვის ვიმუშაოთო, და მას ერთ-ერთი მტაცებელი მხეცის სახით დაგვიხატავენ, ჩვენ ვეტყვით: «თავი დაანებეთ თქვენს ხუმრობას, პირდაპირ გვიპასუხეთ საკითხზე — როგორ აღადგენთ მრეწველობას?». მიეცით გლეხს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ინვენტარი. თუ სახელმწიფოს საკმარისი ექნება მთელი აუცილებელი ფონდი სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მთელი სამიწათმოქმედო და ტექნიკური ინვენტარი, — ამისათვის საჭირო იქნება სულ უფრო მზარდი ფონდი, ჩვენ კი ჯერჯერობით ძლივძლივობით ვუახლოვდებით იმ წუთს, როცა ასეთი ფონდი გვექნება. აი რატომ მიმაჩნია არასწორად სიტყვები იმის შესახებ, რომ აქ ურევენ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ამოცანებს. კოლმეურნეობათა საკითხი მორიგ საკითხად არა დგას. მე ვიცი, კოლმეურნეობანი ჯერ კიდევ იმდენად მოუგვარებელია, ისეთ სავალალო მდგომარეობაში არიან, რომ ისინი დავრდომილთა თავშესაფრების სახელწოდებას ამართლებენ. მე იმის წინააღმდეგი არა ვარ, რომ სრულიად რუსეთის VIII ყრილობის დელეგატებმა მითითება მისცენ სახკომსაბჭოს ან სრულიად რუსეთის ცაკს იმის შესახებ, რომ აუცილებელია სპეციალური ზომების მიღება სრულიად რუსეთის მიწისა და ტყის მუშაკთა კავშირის მუშაობის ასამაღლებლად. ამ მხრივ ეს კავშირი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია, ოღონდ კი იგი აერთიანებდეს მართლაც ნახევრადპროლეტარულ ელემენტებს, რომელთაც უნარი შესწევთ დაგვეხმარონ, რომ ჩვენ საქმის ნამდვილი ბატონ-პატრონები გავხდეთ. ამისი ოდნავადაც წინააღმდეგი არა ვარ.

მაგრამ ამ კანონპროექტის მიერ დასახული ამოცანა სხვანაირია. საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობა ამჟამად უმეტეს შემთხვევებში საშუალოზე დაბალია. უნდა ვეყრდნობოდეთ ერთპიროვნულ გლეხს, იგი ასეთია და უახლოეს ხანში სხვანაირი არ იქნება, და სოციალიზმსა და კოლექტივი-

ზაციაზე გადასვლის შესახებ ვერ ვიოცნებებთ. საერთო მსჯელობიდან უნდა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ გადავდგათ პირველი პრაქტიკული ნაბიჯი აუცილებლივ ამ გაზაფხულზე და არასგზით არა ამაზე უფრო გვიან, და საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენება იქნება საქმიანი. და იმისათვის, რომ ეს განვახორციელოთ, აუცილებლად საჭიროა კანონპროექტი ახლავე დავამტკიცოთ, რადგან ის სახკომსაბჭოს მიერ უკვე მომზადებულია, ახლავე შევიტანოთ მასში სათანადო შესწორებანი და ცვლილებანი, მაგრამ საქმე არასგზით არ გავაჭიანუროთ.

რაც შეეხება ინვენტარის განსაზოგადოებას, თქვენ უკეთ იცით, თუ როგორი საერთო-სავალდებულო წესების შემოღება შეიძლება სახელმწიფოს სახელით. მე კი ამისგან წინასწარ გაგაფრთხილებდით. კანონი, რომელიც შეძლებულ გლეხთა ინვენტარის განსაზოგადოების უფლებას იძლევა, ჩვენ გვაქვს[102]. ადგილებზე, სადაც ამის გაკეთება წარმატებით შეიძლება, მუნიციპალიზების უაღრესად სრული თავისუფლება ამ მხრივ უზრუნველყოფილია ამ კანონის არსებობით. მაგრამ ყველგან და ყოველთვის სავსებით დადგენილი როდია ხერხები, თუ როგორ გაკეთდეს ეს; ამიტომ ამის შეტანა კანონში, რომლის უშუალო მიზანი სხვანაირია, იმ საფრთხის შექმნას ნიშნავს, რომ ღობე-ყორეს მოვედოთ, თავი არ მოვუყაროთ ჩვენს ძალებს იმ საქმეზე, რომელსაც პირველ რიგში უნდა მივეძალოთ და სადაც შეიძლება აუცილებელი იქნეს ძალის დატანება. მოდით, სჯობს მთელ ძალებს თავი მოვუყაროთ აბსოლუტურად გადაუდებელ საქმეზე, იმაზე, რომ თესლი საკმაო რაოდენობით შეგროვდეს რადაც უნდა დაჯდეს, რომ დაუთესავი არა დარჩეს რა, რომ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება, რაც შემოწმებულია ცდებით, მასობრივად ინერგებოდეს მასობრივი მასშტაბით იქ, სადაც მშრომელთა უმეტეს რიცხვს ღარიბი და საშუალო გლეხები შეადგენენ. ამაშია საქმე. რაც უფრო ნაკლებს დავსახავთ ასეთ ღონისძიებებს ახლა, მით უკეთესია, იმიტომ რომ მცირერიცხოვან ღონისძიებათა მტკიცედ განხორციელებით მიწათმოქმედების აღმავლობის მთელ

მანქანას სწორ ლიანდაგზე დავაყენებთ და გლეხებში იმ რწმენას განვამტკიცებთ და დავამკვიდრებთ, რომ ეს სწორი გზაა. ხოლო თუ უფრო დიდ საქმეს გამოვედევნებით, ვიდრე ამის გაკეთება შეგვიძლია, მხოლოდ სახელს გავიტეხთ გლეხთა თვალში. თუკი არის ისეთი გუბერნიები, რომელთაც ბრძანების გაცემის მხრივ შეუძლიათ უფრო შორს წავიდნენ, — ეს აკრძალული არაა. იქ ნათქვამია: ანგარიში გაუწიე გლეხთა მთელ გამოცდილებას, ანგარიში გაუწიე იმას, რის გაკეთებაც შეგიძლია ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის შეგროვების მხრივ. თუ გუბერნიაში სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი ინვენტარი კარგ მდგომარეობაშია დარჩენილი, იქ ამას წარმატება ექნება. ხოლო თუ კანონს გავავრცელებთ იმ გუბერნიებზე, სადაც ამ მხრივ უფრო სავალალო მდგომარეობაა და გლეხს ამის შესრულება არ ძალუძს, მაშინ ბრძანება მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი დარჩება, ის ჰაერში გამოეკიდება, და გლეხები, იმის ნაცვლად, რომ ამ გზის მნიშვნელობა გაიგონ, გულგატეხილნი იქნებიან, და აი მომავლისათვის მე ყველაზე მეტად ამის მეშინია, ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია დავიწყოთ უწინარეს ყოვლისა იმით, რაც აბსოლუტურად საჭიროა, ე. ი. თესლის შენახვით.

ახლა გადავიდეთ წვრილი გლეხური ერთპიროვნული მეურნეობის გაუმჯობესების იმ ზომებზე, რომლებიც სავსებით შესაძლებელია და რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განვიხილოთ, განვიხილოთ დაწვრილებით და აქ დეკრეტის სახით მივიღოთ, დავაკანონოთ სავალდებულო წესებით, იძულებისა და მომთხოვნელობის სავალდებულო გამოყენებით, ისე რომ ის, რაც მრავალგზის განხილვის შემდეგ გადაწყდა, რადაც უნდა დაჯდეს შესრულებულ იქნას. ჩემი წინადადება იქნებოდა სექციებად დავყოფილიყავით სწორედ ახლავე, არ დაგვეცადა იმ დრომდე, როცა, ყრილობის პლენარულ კრებაზე მოხსენების შემდეგ, შესაძლებელი იქნება ამ სექციების შექმნა ფორმალურად. ამ არაფორმალური სექციიდან, რომელიც შეიძლება ახლა ან, ყოველ შემთხვევაში, დღეს შეიქმნას, შეიძლება გადავიდეთ ფორმალურად შექმნაზე, მაგრამ სწორი

არ იქნება, თუ ამას ერთი ან ნახევარი დღით გადავდებთ. ჩვენ ხომ სულ ორიათასხუთასი დელეგატი გვყავს, და ვფიქრობ, რომ მათგან მეათედმა ნაწილმა პრაქტიკულად შეითვისა ეს საკითხი რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ; და თუ ჩვენ გვყავს ორასორმოცდაათი კაცი, ე. ი. თითო რაიონზე ოცდახუთ კაცზე მეტი, რადგან ჩვენი რესპუბლიკა დაყოფილია ცხრა სასოფლო-სამეურნეო რაიონად, ვფიქრობ, რომ წარმომადგენელთა ამ რაოდენობით შეგვიძლია ახლა შევუდგეთ საქმიანი საკითხის განხილვას, იმ კონკრეტული ზომების განხილვას, რომლებზედაც უნდა გადავიდეთ.

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების სახელდობრ რა ზომები უნდა მივიღოთ და დავაკანონოთ და რომელ რაიონში? ერთ რაიონში, შესაძლოა, გადავდგათ ნაბიჯები თესლის სავალდებულო შეგროვების მხრივ, მეორეში შეიძლება მომზადდეს ნიადაგი უფრო ენერგიული ბრძანებისათვის, იმ ბრძანების მსგავსად, რაზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი, რომელიც მხოლოდ გაზაფხულზე გაცნობია ალტაის გუბერნიას. მესამე რაიონში, იქნებ, შესაძლებელი იყოს ისეთი ზომების გატარება, რომლებიც შეეხება უფრო თავისდროულ ხვნასა და ფარცხვას, აგრონომებისა და უპარტიო გლეხების მოზიდვით. მე მგონია, საჭიროა ახლავე შევქმნათ სექციები ისე, რომ ოლქები რაიონებად იყოს დაყოფილი, რადგან სხვადასხვა რაიონში ერთნაირი ზომების გატარება არ შეიძლება, და ნახევარი ან ერთი დღე მოვანდომოთ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც დეკრეტში პირდაპირ მოხსენიებული არ არის, მაგრამ რომლებიც კანონპროექტში ყველაზე მნიშვნელოვანს შეადგენენ. ეს კანონპროექტი ამბობს: სათანადოდ მოამზადეთ უპარტიო გლეხთა რწმენა, და თუ ჩვენ ამ მხრივ ჩამოვრჩით, მაშინ, ამ მასობრივ აგიტაციაზე დაყრდნობით, რომელსაც ვავითარებთ და ასკეც უფრო მეტად და მძლავრად განვავითარებთ, ვიდრე დღევანდლამდე, მასზე დაყრდნობით ჩვენ შევძლებთ თვითეული რაიონისა და თვითეული გუბერნიისათვის შევიმუშაოთ ის ზომები, რომელთა წარმატების მოპოვებას შეეცდებით უდიდესი დაძაბულობით, ისეთივე

და არა ნაკლები დაძაბულობით, როგორსაც ვაღწევდით სასურსათო პოლიტიკის გატარების დარგში. იქ არ იყო ესოდენ რთული ამოცანა, რომელიც გლეხებისგან მოითხოვდა პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობის დათმობას, აქ კი გლეხებს მოეთხოვებათ, რომ მათ თავიანთ საკუთარ მეურნეობაში შეჰქონდეთ ის ცვლილებანი, რომლებიც საერთოსახელმწიფოებრივმა ხელისუფლებამ აუცილებლად სცნო...* არ დავუშვათ შეცდომები ამ ცვლილებათა განსაზღვრაში. აი რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ის, რომ ამხ. კურაევმა კონკრეტულად წამოაყენა ეს საკითხები, ამაში მე სწორ მიმართულებას ვხედავ, ხოლო გადასვლა ამ მსჯელობიდან და კოლექტივიზაციის საერთო გეგმიდან, საბჭოთა მეურნეობების როლიდან, რომლებიც ხანდახან ძალიან ცუდ როლს ასრულებენ, მიდგომის მარქსისტული მეთოდიდან...* დამზადებები, ეს იმას ნიშნავს, რომ უშუალო პრაქტიკული საქმიდან გვეწეოდნენ უკან ზოგადი მსჯელობისაკენ, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს კიდეც, მაგრამ არა საბჭოების ყრილობაზე, რომელმაც უდიდესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი აქტი უნდა გამოსცეს. ამ ნაბიჯის მოსამზადებლად საჭიროა ძალიან გულდასმით მოვიფიქროთ, როგორი უნდა იყოს სასოფლო საბჭოების საქმიანობა და როლი. საჭიროა კარგად მოვიფიქროთ, ხომ არ წარმოადგენს ახლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ისეთ პირს, ვინც გლეხობაში უმთავრესად იმგვარ ზომებს ატარებს, რომელთა შესახებაც ჩვენ შეგვიძლია მას მოვეთათბიროთ? სასარგებლო იქნება თუ არა, ერთი პიროვნების სახით გავაერთიანოთ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და ხელშემწყობი კომიტეტის თავმჯდომარე? მე აქ კითხვის ნიშანს ვსვამ. მე მინდა, რომ ამხანაგები, რომლებიც ადგილობრივ მუშაობას იცნობენ, ამ საკითხს ყურადღებით მოეკიდონ. საჭიროა ხელშემწყობმა კომიტეტებმა განიხილონ, როგორი ზომები უნდა დაკანონდეს. ამ განხილვის დროს არც უპარტიოთა მონაწილეობისა

* სტენოგრამაში გამოტოვებულია ადგილი. რედ.

არ უნდა გვეშინოდეს. ყველა მათ წინადადებას ჩვენ ავწონ-დავწონით და კონკრეტულად გვეცოდინება, ვინაა ჩვენი მო-მხრე და ვინ — მოწინააღმდეგე. აუცილებლად უნდა მივაღ-წიოთ იმას, რომ თვითეულ თემში, თვითეულ სოფელში სიცხადე იყოს. ხოლო დასახული მოთხოვნების შესრულება ნამდვილად შესაძლებელია, და თუ ერთგვარი დაძაბულობა იქნება, ისინი შეიძლება ამ გაზაფხულზევე განხორციელდეს. ჩემი წინადადება იქნებოდა დაგვემთავრებინა ფრაქციის თათ-ბირი. როდესაც თქვენ საერთო კამათს ამოწურულად ჩათ-ვლით, — საჭიროა შეიქმნას სექციები რაიონების მიხედვით და აქვე დაუყოვნებლივ დაიწყოს საკითხის განხილვა სექციებში ცალკე რაიონების მიხედვით, რომლებიც ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო თავისებურებებით განსხვავდებიან. პრაქტიკულად ეს სწორი იქნება და უზრუნველყოფს კანონპროექტის წარმა-ტებას.

5

პროექტი საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციისა ელექტროფიკაციის შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო

სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობა,

მოისმინა რა ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, მადლობას უცხადებს პირველ რიგში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, შემდეგ მიწსახკომსა და გზათა სახალხო კომისარიატს და განსაკუთრებით რუსეთის ელექტროფიკაციის კომისიას რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის შემუშავებისათვის.

ყრილობა ავალებს სრულიად რუსეთის ცაკს, სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აგრეთვე სხვა სახკომატებს, დაამთავრონ ამ გეგმის შემუშავება და დაამტკიცონ ის, ამასთან აუცილებლივ უმოკლეს ვადაში.

შემდეგ, ყრილობა ავალებს მთავრობას და თხოვს სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობას ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ გასწიონ ამ გეგმის უაღრესად ფართო პროპაგანდა და გააცნონ იგი ქალაქისა და სოფლის უაღრესად ფართო მასებს. ამ გეგმის შესწავლა შემოღებულ უნდა იქნას რესპუბლიკის უკლებლივ ყველა სასწავლებელში; თვითეული ელექტროსადგური და თვითეული რამდენადმე გვარიანად დაყენებული ქარხანა და საბჭოთა მეურნეობა უნდა გახდეს ელექტრობის, თანამედროვე მრეწველობის გაცნობის ცენტრი, ელექტროფიკაციის გეგმის პროპაგანდისა

და მისი სისტემატური სწავლების ცენტრი. ყველანი, ვისაც კი საკმაო მეცნიერული ან პრაქტიკული მომზადება აქვს, უკლებლივ მობილიზებულ უნდა იქნან ელექტროფიკაციის გეგმის პროპაგანდისათვის და მის გასაგებად საჭირო ცოდნის სწავლებისათვის.

ყრილობა ურყევ რწმენას გამოთქვამს, რომ ყველა საბჭოთა დაწესებულება, დეპუტატთა ყველა საბჭო, ყველა მუშა და მშრომელი გლეხი მთელ თავის ძალებს დაძაბავს და არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის განსახორციელებლად რადაც უნდა დაჯდეს და მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

6

პროექტი საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის რეზოლუციისა

დაევალოს რკპ-ის ყველა წევრს რკპ-ის X ყრილობისათვის (6/II 1921):

1) გაეცნოს მისთვის მაქსიმალურად მისაწვდომი სახით ელექტროფიკაციის გეგმას;

2) მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ადგილებზე რაც შეიძლება უფრო ფართოდ და დაწვრილებით იქნას შესწავლილი თვითეული რაიონული გეგმა;

3) მოამზადოს რკპ-ის X ყრილობისათვის პრაქტიკული წინადადებანი

როგორც ყველა მშრომელისათვის ელექტროფიკაციის გეგმის უფრო ფართოდ გაცნობის საშუალებათა შესახებ,

ისე ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელების ყოველი მხრიდან დაუყოვნებლივ დაწყების საშუალებათა შესახებ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი კრასნაია პრესნიას მუშებს
1920 წ. 25 დეკემბერი

თხუთმეტი წლის წინათ მოსკოვის პროლეტარიატმა აღმართა ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების დროშა. ეს იყო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული მუშათა პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლესი პუნქტი. მუშები დამარცხდნენ და პრესნია მუშათა სისხლით შეიღება. მოსკოვის მუშათა დაუვიწყარმა გმირობამ ბრძოლის ნიმუში მისცა რუსეთის მთელ მშრომელ მასებს. მაგრამ ეს მასები მაშინ ჯერ კიდევ მეტად განუვითარებელი, მეტად დაქსაქსული იყვნენ და მათ მხარი არ დაუჭირეს პრესნიასა და მოსკოვის გმირებს, რომლებიც იარაღით ხელში აღსდგნენ მეფის მონარქიის, მემამულური მონარქიის წინააღმდეგ.

მოსკოვის მუშათა დამარცხებას მოჰყვა მთელი პირველი რევოლუციის დამარცხება. ყველაზე ველური მემამულური რეაქციის თორმეტი ხანგრძლივი წელიწადი ტანჯავდა რუსეთის ყველა მუშასა და გლეხს, ყველა ხალხს.

პრესნიას მუშათა საგმირო საქმეს ფუჭად არ ჩაუვლია. მათი მსხვერპლი ამაო არ ყოფილა. მეფის მონარქიის კედელი პირველად იქნა შენგრეული და ეს მისი ნგრევა ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მატულობდა და ძველ, შუასაუკუნურ წესწყობილებას ასუსტებდა.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასებში მოსკოვის მუშათა საგმირო საქმემ დიდი მღელვარება გამოიწვია, რომლის კვალი, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა, აღარ გამქრალა.

1905 წ. დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე რუსეთში ხალხს არ შესწევდა უნარი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მასობრივი, შეიარაღებული ბრძოლისათვის.

დეკემბრის შემდეგ ეს უკვე ის ხალხი აღარ იყო. იგი გარდაიქმნა. მან მიიღო საბრძოლო ნათლობა. ის გამოიწრთო აჯანყებაში. მან მოამზადა მებრძოლთა რიგები, რომლებმაც გაიმარჯვეს 1917 წელს და რომლებიც ახლა — ყველა წარმოუდგენელი სიძნელის პირობებში, ძლევენ რა იმპერიალისტური ომით გამოწვეულ მტანჯველ შიმშილსა და ნგრევას, — იცავენ სოციალიზმის მსოფლიო გამარჯვების საქმეს.

გაუმარჯოს კრასნაია პრესნიას მუშებს, მსოფლიო მუშათა რევოლუციის მოწინავე რაზმს!

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობის ყოველდღიური ბიულეტენი» № 5, 1920 წ. 25 დეკემბერი

იბეჭდება «ბიულეტენის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 წიგნი ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» ლენინმა დაწერა 1920 წლის აპრილში, მისი დამატება კი — 12 მაისს; გამოვიდა 8 — 10 ივნისს რუსულ ენაზე და, თითქმის იმავე დროს, ივლისში — გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ლენინი პირადად ადევნებდა თვალყურს წიგნის წყობისა და ბეჭდვის გრაფიკს იმ ანგარიშით, რომ ის დაბეჭდილიყო კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის მუშაობის დაწყებამდე. წიგნი დაურიგდა II კონგრესის ყველა დელეგატს. 1920 წლის ივლის—ნოემბრის განმავლობაში წიგნი ხელახლა გამოიცა გერმანულ ენაზე ლაიპციგში, ფრანგულ ენაზე პარიზში და ინგლისურზე ლონდონში.

წიგნის ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» ხელნაწერ ტექსტში არის ქვესათაური: «(ცდა პოპულარული საუბრისა მარქსისტულ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე)». წიგნის ყველა გამოცემაში, რომლებიც კი ლენინის სიცოცხლეში გამოვიდა, ქვესათაური მოხსნილი იყო. ვ. ი. ლენინის თხზულებათა ამ გამოცემაში ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» ქვეყნდება წიგნის პირველი გამოცემის მიხედვით, რომელსაც კორექტურას უკეთებდა ლენინი. — **1.**

2 ლონგეტიზმი — ცენტრისტული მიმდინარეობა ფრანგული სოციალისტური პარტიის შიგნით ჟან ლონგეს მეთაურობით.

პირველი მსოფლიო ომის დროს ლონგეტისტებს სოციალ-პაციფისტური პოზიცია ეჭირათ. რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლონგეტისტებმა სიტყვით თავი გამოაცხადეს პროლეტარიატის დიქტატურის მომხრეებად, ხაქმით კი მის მტრებად დარჩნენ. ისინი განაგრძობდნენ სოციალ-შოვინისტებთან შერიგების პოლიტიკას, მხარს უჭერდნენ მძარცველურ

ვერსალის ზავს. 1920 წლის დეკემბერში ლონგეტისტები აშკარა რეფორმისტებთან ერთად ჩამოშორდნენ პარტიას და მიემხრნენ ეგრეთწოდებულ 2½ ინტერნაციონალს, მისი დაშლის შემდეგ კი დაბრუნდნენ II ინტერნაციონალში. — **16.**

3 ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია (Independent Labour Party) დაარსდა 1893 წელს. პარტიის სათავეში იდგნენ ჯემს კეირ-ჰარდი, რ. მაკდონალდი და სხვ.. დამოუკიდებელი მუშათა პარტია ბურჟუაზიული პარტიებისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრეტენზიას აცხადებდა, ნამდვილად კი იყო «სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული» (ლ ე ნ ი ნ ი). — **16.**

4 ფაბიელები — წევრები რეფორმისტული, უკიდურესად ოპორტუნისტული «ფაბიელთა საზოგადოებისა», რომელიც დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა ინგლისში 1884 წელს. ფაბიელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ზეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 12, გვ. 451 — 452); «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 202 — 203); «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 311 — 312) და სხვა. — **16.**

5 გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტია — ცენტრისტული პარტია, შეიქმნა 1917 წლის აპრილში.

1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ჰალეში მოხდა განხეთქილება. პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გაერთიანდა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან. მემარჯვენე ელემენტებმა შექმნეს ცალკე პარტია და მიიღეს ძველი სახელწოდება — დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1922 წელს «დამოუკიდებელნი» კვლავ შევიდნენ გერმანიის ს.-დ. პარტიაში. — **17.**

6 სპარტაკელები — წევრები «სპარტაკის» კავშირისა, რომელიც შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში — 1916 წლის იანვარში კ. ლიბკნეხტის, რ. ლუქსემბურგის, ფ. მერინგის, კ. ცეტკინისა და სხვ. ხელმძღვანელობით. სპარტაკელები ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას მასებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ააშკარავებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის დაპყრობით პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადთა გამცემლობას. მაგრამ სპარტაკელები, გერმანიის მემარცხენეები, ვერ განთავისუფლდნენ ნახევრად-მენშევიკური შეცდომებისაგან თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. გერმანიის მემარცხენეთა შეცდომების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 385 — 405), «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 23, გვ. 22 — 90) და სხვ. და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციისადმი «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», მე-11 გამოცემა, გვ. 438 — 452). 1917 წლის აპრილში სპარტაკელები შევიდნენ გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ შეინარჩუნეს მასში თავიანთი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ სპარტაკელებმა კავშირი გაწყვიტეს «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსეს გერმანიის კომუნისტური პარტია. — **22.**

7 «ლ ა ბ უ რ ი ს ტ ე ბ ს» ლენინი უწოდებს ლეიბორისტებს, ინგლისის მუშათა პარტიის (**Labour Party**) წევრებს. — **26.**

8 ჰ ო ლ ა ნ დ ი ე ლ «ტ რ ი ბ უ ნ ი ს ტ ე ბ ს» ლენინი უწოდებს ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის წევრებს. თავდაპირველად ტრიბუნისტები წარმოადგენდნენ ჰოლანდიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ჯგუფს, რომელმაც 1907 წელს დააარსა გაზეთი «ტრიბუნა» (**«De Tribune»**). 1909 წელს ტრიბუნისტები მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხეს და მათ შექმნეს დამოუკიდებელი პარტია (ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია). ტრიბუნისტები წარმოადგენდნენ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას, მაგრამ ისინი არ იყვნენ თანამიმდევრულ-რევოლუციური პარტია. 1918 წელს ტრიბუნისტები მონაწილეობას იღებდნენ ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის დაარსებაში. — **32.**

9 ჰ ო რ ნ ე რ ი — ა. პანეკუკი. — **34.**

10 «კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ უ შ ა თ ა გ ა ზ ე თ ი» (**«Kommunistische Arbeiterzeitung»**) — ორგანო «მემარცხენე» კომუნისტების წვრილ-ბურჟუაზიული, ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფისა, რომელიც 1919 წელს გამოეყო გერმანიის კომუნისტურ პარტიას (სპარტაკელებს).

გაზეთი გამოდიოდა 1919 — 1927 წლებში. გერმანიის «მემარცხენე» კომუნისტებმა არ შეასრულეს გადაწყვეტილება კომინტერნის III კონგრესისა, რომელმაც მათ მოსთხოვა ხელი აეღოთ სექტანტურ ტაქტიკაზე და შეერთებოდნენ გერმანიის კომუნისტურ პარტიას, და ისინი გარიცხულ იქნენ კომუნისტური ინტერნაციონალიდან. «მემარცხენე» კომუნისტების ზედაფენა კონტრრევოლუციისაკენ დაექანა. — **34.**

11 პარტიის წევრთა რიცხვი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან ვიდრე 1919 წლამდე ჩათვლით, შემდეგნაირად იცვლებოდა: რსდმპ სრულიად რუსეთის 1917 წლის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციისათვის ითვლებოდა პარტიის 80 000 წევრი; რსდმპ მეექვსე ყრილობისათვის 1917 წლის ივლის — აგვისტოში — დაახლოებით 240 000; რკპ(ბ) მეშვიდე ყრილობისათვის 1918 წლის მარტში — არა ნაკლებ 270 000; რკპ(ბ) მერვე ყრილობისათვის 1919 წლის მარტში — პარტიის 313 766 წევრი. — **39.**

12 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 30, გვ. 296 — 297. — **46.**

13 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 105. — **46.**

14 «მსოფლიოს სამრეწველო მუშები» (**«Industrial Workers of the World». I. W. W.**) — ამერიკელ მუშათა ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა 1905 წელს. ორგანიზაციის საქმიანობაში თავს იჩენდა ნათლად გამოხატული ანარქო-სინდიკალისტური ნიშნები: იგი არ სცნობდა პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას; უარყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს, შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას კაპიტალიზმის დასამხობად და ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურისათვის; უარს ამბობდა მუშაობის წარმოებაზე მუშათა პროფკავშირებში, რომელნიც ამერიკის შრომის ფედერაციაში შედიოდნენ. შემდგომში ორგანიზაცია «მსოფლიოს სამრეწველო მუშები» იქცა სექტანტურ ანარქო-სინდიკალისტურ ჯგუფად, რომელსაც არავითარი გავლენა არ ჰქონდა მუშებში. — **49.**

15 იტალიის სოციალისტური პარტია დაარსდა 1892 წელს როგორც «იტალიელ მუშათა პარტია»; 1893 წელს მან მიიღო სახელწოდება «იტალიის სოციალისტური პარტია». რუსეთში დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებში გაძლიერდა მემარცხენე

ფრთა. 1921 წლის იანვარში პარტიის ლივორნოს ყრილობაზე მემარცხენეებმა კავშირი გაწყვიტეს სოციალისტურ პარტიასთან, მოაწყვეს თავიანთი ყრილობა და დააარსეს იტალიის კომუნისტური პარტია.

იტალიაში ფაშისტური დიქტატურის პერიოდში სოციალისტურ პარტიაში კვლავ შეიქმნა გავლენიანი მემარცხენე ფრთა. 1934 წელს იტალიის სოციალისტურმა პარტიამ იტალიის კომუნისტურ პარტიასთან დადო შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ. ეს შეთანხმება იყო ორივე პარტიის თანამშრომლობის საფუძველი მეორე მსოფლიო ომის დროს და ომისშემდგომ პერიოდში. 1947 წლის იანვარში იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებიდან გამოვიდა მემარჯვენეთა ჯგუფი ამერიკის იმპერიალიზმის აგენტის სარაგატის მეთაურობით და ჩამოაყალიბა ეგრეთწოდებული «იტალიელ მშრომელთა სოციალისტური პარტია». — **64.**

16 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 229. — **65.**

17 ლენინს მხედველობაში აქვს ის ადგილი ფ. ენგელსის 1886 წლის 29 ნოემბრის წერილიდან ფ. ა. ზორგესადმი, სადაც ენგელსი აკრიტიკებს ამერიკაში მცხოვრებ გერმანელ სოციალ-დემოკრატ ემიგრანტებს და ამბობს, რომ მათთვის თეორია არის «დოგმა და არა სახელმძღვანელო მოქმედებისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 396). — **71.**

18 იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული ეკონომიური ნაწერები, ტ. II, 1948, გვ. 550. — **71.**

19 «ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (**British Socialist Party**) დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. პარტია ეწეოდა პროპაგანდას და აგიტაციას მარქსისტული სულისკვეთებით და წარმოადგენდა «არა ოპორტუნისტულ, ლიბერალებისაგან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დამოუკიდებელ» (ლ ე ნ ი ნ ი) პარტიას. პარტიის მცირერიცხოვნობა და მასებისაგან მოწყვეტა მას ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პარტიაში დაისახა ორი მიმდინარეობა: ერთი — აშკარად სოციალ-შოვინისტური ჰაინდმანის მეთაურობით და მეორე — ინტერნაციონალისტური ა. ინკპინისა და სხვ. მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტიაში მოხდა გათიშვა. ჰაინდმანი და მისი მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გამოვიდნენ პარტიიდან. ამ დროიდან ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას

სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია იყო ინიციატორი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს. — **79.**

20 «სოციალისტური მუშათა პარტია» შეიქმნა 1903 წელს იმ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ჯგუფისგან, რომელნიც სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციას გამოეყვნენ. «სამხრეთ უელსის სოციალისტური საზოგადოება» — მცირე ჯგუფი, რომელიც უმთავრესად უელსის ქვანახშირის მაღაროების მუშებისაგან შედგებოდა. «მუშათა სოციალისტური ფედერაცია» — მცირერიცხოვანი ორგანიზაცია, რომელიც წარმოიშვა «ქალის საარჩევნო უფლებათა დამცველი საზოგადოებისაგან» და უმთავრესად ქალებისაგან შედგებოდა.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბების დროს (დამფუძნებელი ყრილობა შედგა 1920 წლის 31 ივლისს — 1 აგვისტოს), რომელმაც თავის პროგრამაში შეიტანა მუხლი პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობისა და მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ, ყველა «მემარცხენე» ორგანიზაცია როდი შევიდა კომპარტიაში. კომუნისტური პარტიის ყრილობაზე 1921 წლის იანვარში სამხრეთ უელსის სოციალისტური საზოგადოება და მუშათა სოციალისტური ფედერაცია (რომლებმაც ამ დროისათვის მიიღეს სახელწოდებანი: კომუნისტური მუშათა პარტია და კომუნისტური პარტია) გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიასთან, რომელმაც მიიღო სახელწოდება — დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია. სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ გაერთიანებაზე უარი განაცხადა. — **79.**

21 «საბჭოთა» «უფლებამოსარჩლეები» — უფლებამოსარჩლეთა კოლეგიები; დაარსდა 1918 წლის თებერვალში მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოებთან. 1920 წლის ოქტომბერში უფლებამოსარჩლეთა კოლეგიები გაუქმებულ იქნა. — **128.**

22 სიტყვა პოლონეთის ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებისადმი ლენინმა წარმოთქვა 1920 წლის 5 მაისს თეატრალურ მოედანზე (ახლა სვერდლოვის სახელობის მოედანი), სადაც მიმდინარეობდა მოსკოვის გარნიზონის ჯარების აღლუმი. აღლუმს ესწრებოდნენ აგრეთვე პოლონეთის ფრონტზე მიმავალი პეტროგრადელი კომუნისტები. — **142.**

23 სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის საბჭოს, ქ. მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელიც შედგა 1920 წლის 5 მაისს, მოწვეულ იქნა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ თეთრ პოლონელთა შემოტევასთან დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდა აგრეთვე პეტროგრადის 300 მუშა-კომუნისტი, რომელნიც პოლონეთის ფრონტზე მიდიოდნენ. სხდომამ განიხილა ერთი საკითხი — პოლონეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელიც მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა მთელი ძალ-ღონის მობილიზაციისაკენ ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის გასანადგურებლად. — **144.**

24 იგულისხმება ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა სან-რემოში (იტალია) 1920 წლის აპრილს. კონფერენციაზე განხილულ იქნა საკითხები: თურქეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტი, გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების შესრულების შესახებ და სხვ.. — **147.**

25 1920 წლის დამდეგს წითელი არმიის ზოგიერთი ნაწილი გადაყვანილ იქნა შრომითი არმიის მდგომარეობაზე სამეურნეო მშენებლობის დარგში გამოსაყენებლად. ბურჟუაზიულ-მემამულურ პოლონეთთან და ვრანგელთან ომმა საჭირო გახადა შრომითი არმიების გადაყვანა საბრძოლო მდგომარეობაზე. — **149.**

26 ლენინს მხედველობაში აქვს ბულიტის ჩამოსვლა მოსკოვში 1919 წლის მარტში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ლოიდ-ჯორჯის დავალებით; მან თან ჩამოიტანა წინადადება საბჭოთა მთავრობისადმი — შეეკრა ზავი თეთრგვარდიულ მთავრობებთან, რომელნიც იმ მომენტში არსებობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. შემუშავებულ იქნა შეთანხმების პროექტი. მაგრამ იმპერიალისტებმა, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკის განადგურების იმედი ჰქონდათ, კოლჩაკის არმიის დროებით წარმატებებთან დაკავშირებით უარი თქვეს საზავო მოლაპარაკებაზე. — **154.**

27 ლენინის მისალმება «ინდოეთის რევოლუციურ ასოციაციას» თარგმნილ იქნა ინგლისურ ენაზე და რადიოთი გაიგზავნა იმ რეზოლუციის პასუხად, რომელიც მიიღეს 1920 წლის 4 მარტს ინდოეთის რევოლუციონერთა მიტინგზე და გამოგზავნეს რუსეთში ლენინის სახელზე. ინდოეთის რევოლუციონერთა

რეზოლუციაში გამოთქმული იყო ღრმა მადლობა საბჭოთა რუსეთისადმი, რომელიც ეწევა დიად ბრძოლას ჩაგრული კლასებისა და ხალხების განთავისუფლებისათვის. — **156.**

28 «წ ე რ ი ლ ი ინ გ ლ ი ს ე ლ მ უ შ ე ბ ს» 1920 წლის ივნისში გამოქვეყნდა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ყოველკვირეულ ორგანოში «The Call» («მოწოდება»): დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტიის გაზეთში «The Daily Herald» («ყოველდღიური მოამბე»); ბურჟუაზიულ გაზეთში «The Manchester Guardian» («მანჩესტერის დარაჯი») და სხვ. — **157.**

29 «პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ი მ ო ნ ა ს ა ხ ი თ ე ზ ი ს ე ბ ი ს ა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ დ ა კ ო ლ ო ნ ი უ რ ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე» ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა ი. ბ. სტალინს, რომელიც მაშინ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა. თავისი შენიშვნები თეზისებზე ი. ბ. სტალინმა გადმოსცა 1920 წლის 12 ივნისის წერილში ვ. ი. ლენინისადმი. თეზისები გამოქვეყნდა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესისათვის 1920 წლის ივნისში. — **103.**

30 **გ. ლ.** — გიორგი ლუკაჩი, უნგრეთის კომუნისტური პარტიის წევრი. — **190.**

31 **ბ. კ.** — ბელა კუნი; უნგრეთის კომუნისტური პარტიის წევრი იყო, შემდეგ გამომეღავნებულ იქნა როგორც მუშათა კლასის საქმის გამცემი. — **190.**

32 ს ო ფ ლ ა დ მ უ შ ა ო ბ ი ს პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს მ ე ო რ ე თ ა თ ბ ი რ ი, რომელიც მოწვეული იყო რკპ(ბ) ც. კ-ის მიერ, მიმდინარეობდა 1920 წლის 10—15 ივნისს. მას ესწრებოდნენ სოფლად მუშაობის საგუბერნიო, სამაზრო და სათემო ორგანიზატორები, სულ 300 დელეგატზე მეტი 61 გუბერნიიდან. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა 12 ივნისს. სრულიად რუსეთის ცაკ-ის სახელით მისალმებით გამოვიდა **მ. ი. კალინინი.**

თათბირმა მიიღო მოწოდება «მსოფლიოს ყველა მუშისადმი», რითაც მიესალმებოდა ინგლისის, უნგრეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების მუშებს, რომლებმაც გადაწყვიტეს ხელი შეეშალათ სამხედრო საჭურვლისა და ჯარების გაგზავნისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მეომარი ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის დასახმარებლად. — **194.**

33 ლენინს მხედველობაში აქვს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 28 იანვრის განცხადება პოლონეთის მთავრობისა და პოლონელი ხალხისადმი და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1920 წლის 2 თებერვლის მიმართვა პოლონელი ხალხისადმი. — **195.**

34 ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) IX ყრილობის გადაწყვეტილები «კოოპერაციისადმი დამოკიდებულების შესახებ» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 340 — 342). — **211.**

35 «პროექტი (ანუ თეზისები) რკპ-ის პასუხისა გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის წერილზე» იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 30, გვ. 404 — 413. — **231.**

36 ტ ო რ ი ნ ი ს ს ე ქ ც ი ა იტალიის სოციალისტურ პარტიას, რომლის სათავეში შემარიგებლები იყვნენ, ბრალად სდებდა იმას, რომ მან — იტალიაში (რევოლუციური აღმავლობის (1919 — 1920 წწ.) პირობებში, რამაც პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობა შექმნა — სწორი ანალიზი არ გაუკეთა მოვლენებს; არ წამოაყენა რევოლუციური მასებისათვის მისაღები არც ერთი ლოზუნგი; არ გააძევა თავისი რიგებიდან რეფორმისტები. სექციამ წამოაყენა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი: პარტიიდან ოპორტუნისტების გაძევება; კომუნისტური ჯგუფების შექმნა ყველა ფაბრიკაში, პროფკავშირებში, კოოპერატივებში, ყაზარმებში; საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შექმნა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების კონტროლის მოსაწყობად. სექცია მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ ხალხის მასების მომზადება საბჭოების შესაქმნელად. — **233.**

37 «პ ა ს უ ხ ი დ ი დ ი ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს დ ა მ ა ა რ ს ებ ე ლ ი შ ე ე რ თ ებ უ ლ ი დ რ ო ებ ი თ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს წ ე რ ი ლ ზ ე» გადაცემულ იქნა რადიოთი და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ორგანო «The Gall»-ში («მოწოდება») № 224, 1920 წლის 22 ივლისს. პასუხი წაკითხულ იქნა აგრეთვე ინგლისის კომუნისტთა ყრილობაზე, რომელიც შედგა 1920 წლის 31 ივლისს — 1 აგვისტოს. — **336.**

38 ლაპარაკია პარიზის საზავო კონფერენციის შესახებ, რომელიც მოწვეულ იქნა 1914 — 1918 წწ. მსოფლიო იმპერიალისტური ომის

შემდეგ და დამთავრდა ვერსალის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით. კონფერენციაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა პოლონეთის საზღვრების საკითხი. პოლონეთის დროებითი აღმოსავლეთი საზღვრები თვითნებურად იქნა განსაზღვრული მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს დადგენილებით 1919 წლის 8 დეკემბერს. — **238.**

39 ი. ბ. სტალინის საპასუხო დეპეშა ვ. ი. ლენინს გაეგზავნა 1920 წლის 13 ივლისს ხარკოვიდან. დეპეშაში ი. ბ. სტალინმა, რომელიც სავსებით დაეთანხმა ვ. ი. ლენინის მიერ კერზონის 12 ივლისის ნოტის შეფასებას, წამოაყენა თავისი წინადადებანი საბჭოთა მთავრობის პასუხისათვის კერზონის ნოტაზე. — **239.**

40 იგულისხმება ლენინის წინადადებანი კერზონის 1920 წლის 12 ივლისის ნოტის გამო; ეს წინადადებანი მიიღო ც. კ-ის პლენუმმა 1920 წლის 16 ივლისს. ვ. ი. ლენინის წინადადებანი თანაემთხვეოდა ი. ბ. სტალინის წინადადებებს, რომლებსაც შეიცავდა 1920 წლის 13 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილი დეპეშა. ლენინის წინადადებათა საფუძველზე შედგენილ იქნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის 1920 წლის 17 ივლისის რადიოდეპეშა ინგლისის მთავრობისადმი. — **240.**

41 «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების მეოცე მუხლი» ლენინმა შეიტანა კომინტერნის II კონგრესის კომისიის სხდომაზე 1920 წლის 25 ივლისს, როცა იხილავდნენ ლენინის თეზისებს კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ, და ეს მუხლი მიიღო კომისიამ და კონგრესმა. ლენინის თეზისები — «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები», რომლებიც კონგრესის მუშაობის დაწყებამდე გამოქვეყნდა, ცხრამეტ პირობას შეიცავდა. კონგრესმა მიიღო ოცდაერთი პირობა. მეოცდაერთე პირობაში ნათქვამი იყო: «პარტიის ის წევრები, რომელნიც პრინციპულად უარყოფენ კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ წამოყენებულ ვალდებულებებსა და თეზისებს, გარიცხულ უნდა იქნან პარტიიდან.

ეს შეეხება აგრეთვე სასწრაფო პარტიულ ყრილობათა დელეგატებსაც». — **250.**

42 კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი შედგა 1920 წლის 19 ივლისს — 7 აგვისტოს. კონგრესი გაიხსნა პეტროგრადში; შემდგომი სხდომები მიმდინარეობდა მოსკოვში. II კონგრესს ესწრებოდა 200-ზე მეტი დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდნენ 37 ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებს. კომუნის-

ტური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად (31 ქვეყნიდან) კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, იტალიისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიების, მსოფლიოს (ავსტრალიის, ინგლისის, ირლანდიის) ინდუსტრიული მუშების, ესპანეთის შრომის ნაციონალური კონფედერაციისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კონგრესის მოწვევის მთელ მოსამზადებელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ლენინი. კონგრესის პირველ სხდომაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ. კონგრესზე ლენინმა ულმობელი ბრძოლა გააჩაღა ოპორტუნისტული, ცენტრისტული პარტიების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ შემძვრალიყვნენ III ინტერნაციონალში, და მკაცრად გააკრიტიკა ანარქო-სინდიკალისტური ტენდენციები და «მემარცხენე» სექტანტობა მთელ რიგ კომუნისტურ ორგანიზაციებში. ლენინი გამოვიდა მოხსენებებითა და სიტყვებით (იხ. ეს ტომი, გვ. 251 — 315) და მონაწილეობა მიიღო შემდეგი კომისიების მუშაობაში: საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ძირითადი ამოცანების შესახებ, ნაციონალური და კოლონიური საკითხების შესახებ, აგრარული საკითხის შესახებ, კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ. ლენინის თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის ძირითად ამოცანებზე, ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე, აგრარულ საკითხზე და კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები დამტკიცებულ იქნა როგორც კონგრესის დადგენილებანი.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) დელეგაციამ აირჩია კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში.

II კონგრესმა საფუძველი ჩაუყარა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამას, ორგანიზაციულ პრინციპებს, სტრატეგიას და ტაქტიკას. — **251.**

43 იხ. ეს ტომი, გვ. 231 — 233. — **281.**

44 იხ. ეს ტომი, გვ. 93 — 95. — **281.**

45 ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი დ ა კ ო ლ ო ნ ი უ რ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს კ ო მ ი ს ი ა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესმა შექმნა შემდეგი ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან: რუსეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთის ინდოეთის,

სპარსეთის, ჩინეთის, კორეის, ინგლისისა და სხვ.. კომისია მუშაობდა ლენინის ხელმძღვანელობით. ლენინის თეზისები ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე განიხილეს კომისიის მეოთხე და მეხუთე სხდომაზე და მიიღეს 28 ივლისს. — **285.**

46 კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები წინასწარ განიხილეს კონგრესის მიერ არჩეულ კომისიაში. კომისიაში შეიდნენ რუსეთის, გერმანიის, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, უნგრეთის, ავსტრიის, ჰოლანდიის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები; ირლანდიის მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების, შვეიცარიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის და საფრანგეთის კომუნისტური ჯგუფის წარმომადგენლები. კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედო ლენინის თეზისები — «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები». ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა კომისიის მუშაობაში. კომინტერნში მიღების პირობები განიხილეს კონგრესის სამ სხდომაზე 29 და 30 ივლისს და კონგრესმა მიიღო 6 აგვისტოს სხდომაზე. — **293.**

47 იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 20. — **294.**

48 მუშათა პარტიაში ინგლისის კომუნისტური პარტიის შესვლის საკითხი წყდებოდა მაშინ, როცა 6 აგვისტოს კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე იხილავდნენ ლენინის თეზისებს კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ. ლენინის გამოსვლის შემდეგ კონგრესმა ხმების უმრავლესობით (58 ხმა 24-ის წინააღმდეგ, ორმა თავი შეიკავა) აზრი გამოთქვა მუშათა პარტიასთან კომუნისტური პარტიის შეერთების სასარგებლოდ. მაგრამ მუშათა პარტიამ უარი განაცხადა ინგლისის კომუნისტური პარტიის მიღებაზე თავისი ორგანიზაციის შემადგენლობაში. — **307.**

49 1920 წლის 4 აგვისტოს დეპეშაში ი. ბ. სტალინი უპასუხებს ვ. ი. ლენინის დეპეშაზე და დაწვრილებით აშუქებს ყირიმის ფრონტის მდგომარეობას, აწვდის ცნობებს საბჭოთა ჯარებისა და ვრანგელის ჯარების რაოდენობის, მათი შეიარაღებისა და რეზერვების შესახებ. ი. ბ. სტალინმა დააყენა ყირიმის ფრონტის გაძლიერების საკითხი და თავის წერილში აღნიშნა, რომ ტროცკი ფრონტისადმი დახმარების დაპირების შესრულებას აყოვნებდა სწორედ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო ვრანგელისათვის. იტყობინებოდა რა ყირიმის ფრონტის პერსპექტივების შესახებ, ი. ბ. სტალინი წერდა, უახლოეს დღეებში ვრანგელი განდევნილ იქნება მისი პოზიციებიდან

და, თუ საბჭოთა ჯარების გასაძლიერებლად გამოიგზავნება კავალერია, ეს ფრონტი ლიკვიდირებულ იქნება შემოდგომის დამდეგისათვისო. შუა ნოემბერში ვრანგელის ჯარები განადგურებულ იქნენ. — **316.**

50 ცხენოსანთა პირველ არმიაში დროებითი შეფერხებების მიზეზთა შესახებ ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს სწერდა 1920 წლის 4 და 5 აგვისტოს დეპეშებში. თეთრმა პოლონელებმა ბროდის რაიონში ცხენოსანთა პირველი არმიის წინააღმდეგ გამოიყვანეს ლიტვის, ლუცკისა და გალიციის ჯარების ჯგუფები, რათა წითელი არმია არ გაეშვათ ლვოვისაკენ. ცხენოსანთა პირველი არმია შეტევიდან დროებით გადავიდა თავდაცვაზე. — **317.**

51 დეპეშა გაეგზავნა ი. ბ. სტალინს, რომელიც მაშინ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა. — **318.**

52 «წ ე რ ი ლ ი ა ვ ს ტ რ ი ე ლ კ ო მ უ ნ ი ს ტ ებ ს» ლენინმა დაწერა პარლამენტის არჩევნების ბოიკოტის შესახებ ავსტრიის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. 1920 წლის 1 სექტემბერს მოწვეულ იქნა საერთო-პარტიული კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის შესახებ. არჩევნებში ავსტრიის კომუნისტური პარტია გამოვიდა მუშათა კლასის რევოლუციური ერთიანობის ლოზუნგით. — **319.**

53 რ კ პ (ბ) ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს მ ე ც ხ რ ე კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შედგა მოსკოვში 1920 წლის 22 — 25 სექტემბერს. კონფერენციაში მონაწილეობდა 241 დელეგატი (116 — გადამწყვეტი ხმით და 125 — სათათბირო ხმით). კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიში, ც. კ-ის ორგანიზაციული ანგარიში, პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ, პარტიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის მოხსენება, ანგარიში კომინტერნის II კონგრესის შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე პოლონეთის კომუნისტთა წარმომადგენლის მოხსენება. ლენინმა გახსნა კონფერენცია, გამოვიდა ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშით და წარმოთქვა სიტყვა კამათში პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ. ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშის ძირითადი შინაარსი იყო პოლონეთთან ომისა და ზავის და ვრანგელის განადგურების ორგანიზაციის საკითხი. ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშის გამო კამათში გამოვიდა ი. ბ. სტალინი. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია პოლონეთთან ზავის შეკვრის პირობების შესახებ. კონფერენციამ მოიწონა სრულიად რუსეთის ცაკ-ის განცხადება პოლონეთთან ზავის

კონკრეტული პირობების შესახებ; ეს განცხადება შედგენილი იყო ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით და რედაქტირებული იყო ლენინის მიერ. რეზოლუციაში «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» კონფერენციამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ზომები შინაპარტიული დემოკრატიის გასაშლელად, პარტიის ერთიანობისა და მისი დისციპლინის განსამტკიცებლად, საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად და პარტიის ახალგაზრდა წევრების კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის გასაძლიერებლად. კონფერენციამ საჭიროდ სცნო შექმნა საკონტროლო კომისიისა, რომელსაც აირჩევდა პარტიის ყრილობა, ხოლო პარტიის საგუბერნიო კომიტეტებთან — პარტიული კომისიებისა, რომელთაც აირჩევდნენ საგუბერნიო კონფერენციებზე. კონფერენციამ სასტიკად დაგმო «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ანტიპარტიული ჯგუფი, რომელმაც გაილაშქრა პარტიული დისციპლინის და საბჭოებისა და პროფკავშირების მიმართ პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ. — **328.**

54 ლენინს მხედველობაში აქვს «მოქმედების კომიტეტი», რომელიც ინგლისელმა მუშებმა 1920 წლის აგვისტოში შექმნეს ლონდონში ტრედ-უნიონების კონგრესის, მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტისა და საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელთა გაერთიანებულ კონფერენციაზე. «მოქმედების კომიტეტი» შეიქმნა საბჭოთა რუსეთთან ომში ინგლისის ჩაბმის წინააღმდეგ მუშათა ბრძოლის ორგანიზაციის მიზნით. — **330.**

55 ლენინის წერილი გამოქვეყნდა გერმანიის კომპარტიის ორგანოში **«Die Rote Fahne»** («წითელი დროშა»), საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანოში **«L'Humanité»** («კაცობრიობა») და დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ორგანოში **«The Communist»** («კომუნისტი») 1920 წლის სექტემბერ-ნოემბერში. — **334.**

56 რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობა მიმდინარეობდა 1920 წლის 2 — 10 ოქტომბერს მოსკოვში; ყრილობას ესწრებოდა 600-მდე დელეგატი. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა ყრილობის პირველ სხდომაზე, 2 ოქტომბერს საღამოს. — **338.**

57 პროლეტკულტის სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში, ლუნაჩარსკიმ მოითხოვა პროლეტკულტის სრული ავტონომია განსახკომის სისტემაში. ლენინის მითითებით ყრილობისათვის შემუშავებულ იქნა რეზოლუცია იმ დირექტივების სულისკვეთებით,

რომლებიც ლენინმა გადმოსცა თავის პროექტში. რეზოლუცია ყრილობამ მიიღო ერთხმად. — **880.**

58 ლენინს მხედველობაში აქვს აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის 1 — 7 სექტემბერს ბაქოში. ყრილობას ესწრებოდა 1891 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ 37 ეროვნებას. დელეგატთა შორის 1273 კომუნისტი იყო. ყრილობამ ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებში სოლიდარობა გამოუცხადა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის რეზოლუციას. — **898.**

59 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 8, გვ. 437 — 438. — **412.**

60 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. **468** — 492, 493 — 528. — **412.**

61 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 444. — **417.**

62 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 123. — **418.**

63 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 9, გვ. 149 — 152. — **419.**

64 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 10, გვ. 248— 250. — **420.**

65 **Dampfersubvention** — ნაოსნობის სუბსიდია. ლაპარაკია გერმანიის რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციაში არსებულ უთანხმოებაზე აღმოსავლეთ აზიასა, ავსტრალიასა და აფრიკასთან სანაოსნო რეისების მოსაწყობად კერძო მეწარმეთა სუბსიდირების საკითხის გამო. ს.-დ. ფრაქციის მარჯვენა ფრთა მხარს უჭერდა სუბსიდირების პოლიტიკას, რომელსაც ბისმარკის მთავრობა ატარებდა. 1884 წლის 31 დეკემბრის წერილში ზორგესადმი ენგელსმა დაგმო მემარჯვენეთა ოპორტუნისტული პოზიცია (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 443 — 445). — **434.**

66 «**ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი**» გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში — წვრილბურჟუაზიული ნახევრადანარქისტული ჯგუფი; შეიქმნა 1890 წელს. ჯგუფის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ახალგაზრდა ლიტერატორები (აქედან წარმოსდგა კიდეც ჯგუფის სახელწოდება).

ჯგუფი გამოვიდა პლატფორმით, რომელიც უარყოფდა სოციალ-დემოკრატების ყოველგვარ მონაწილეობას პარლამენტში. ფ. ენგელსი «ახალგაზრდებს» უწოდებდა «რევოლუციური ფრაზის» გმირებს, რომლებიც ცდილობდნენ «კინკლაობითა და ინტრიგებით გამოეწვიათ პარტიის დეზორგანიზაცია». 1891 წლის ოქტომბერში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერფურტის ყრილობაზე, «ახალგაზრდები» პარტიიდან გარიცხეს. — **434.**

67 «ს ე ვ ე რ ნ ი გ ო ლ ო ს» — ყოველდღიური ლეგალური გაზეთი, რსდმ პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის 6 (19) დეკემბრიდან ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებული რედაქციით. მესამე ნომერზე 1905 წლის 8 (21) დეკემბერს გაზეთი დახურეს. — **435.**

68 «ნ ა ჩ ა ლ ო» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში. — **435.**

69 «ნ ო ვ ა ი ა ე ი ზ ნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ყოველდღე 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. ემიგრაციიდან პეტერბურგში ლენინის ჩამოსვლის შემდეგ, ნოემბრის დამდეგიდან, გაზეთი გამოდიოდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით. «ნოვაია ჟიზნ» ფაქტიურად რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო იყო. — **435.**

70 «პ ო ლ ი ა რ ნ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა» — ყოველკვირეული ჟურნალი, კადეტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 — 1906 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით.

«ნ ა შ ა ჟ ი ზ ნ» — ყოველდღიური გაზეთი, ახლოს იდგა კადეტების პარტიის მემარცხენე ფრთასთან; გამოდიოდა დროგამოშვებით — 1904-დან 1906 წლამდე პეტერბურგში. — **437.**

71 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 10, გვ. 282—300. — **438.**

72 ვ. ი. ლენინის დეპეშა წარმოადგენდა პასუხს ი. ბ. სტალინის 1920 წლის 26 ოქტომბრის დეპეშაზე, რომელშიც ი. ბ. სტალინმა ვარაუდი გამოთქვა, რომ შეიძლებოდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ბათუმი ანტანტისთვის ჩაებარებინა. — **441.**

73 პროექტი რეზოლუციისა «პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი დ ა მ ა თ ი გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ე ბ ი» საფუძვლად დაედო სრულიად რუსეთის პროფესიული კავ-

შირების V კონფერენციის რკპ(ბ) ფრაქციის რეზოლუციას. რეზოლუცია მიღებულ იქნა ფრაქციის სხდომაზე 1920 წლის 8 ნოემბერს. — **456.**

74 იხ. ეს ტომი, გვ. 334 — 337. — **461.**

75 «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დააარსა ჟ. ჟორესმა 1904 წელს როგორც ფრანგული სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი ფრანგული სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში იმყოფებოდა და სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირა. მალე მას შემდეგ, რაც 1920 წლის დეკემბერში შემდგარ კონგრესზე მოხდა სოციალისტური პარტიის გათიშვა და შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, გაზეთი ამ უკანასკნელის ორგანო გახდა; ამჟამადაც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **465.**

76 იხ. ეს ტომი, გვ. 222 — 223. — **473.**

77 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 195. — **478.**

78 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1950, გვ. 100 — 101. — **478.**

79 გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობა შედგა ჰალეში 1920 წლის 12 — 17 ოქტომბერს. ყრილობის ძირითადი საკითხი იყო კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების საკითხი. გაფთრებული ბრძოლის შემდეგ «დამოუკიდებელთა» პარტია გაითიშა: 237 ხმის უმრავლესობით, 156 ხმის წინააღმდეგ, ყრილობამ აზრი გამოთქვა კომინტერნთან შეერთების სასარგებლოდ. მემარჯვენეებმა მოაწყვეს თავისი ცალკე ყრილობა და აირჩიეს ცენტრალური გამგეობა, ამასთან შეინარჩუნეს ძველი სახელწოდება. დამოუკიდებელი პარტიის მემარცხენე ნაწილმა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან (სპარტაკელებთან) ერთად შექმნა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია. — **487.**

80 1920 წლის 15 ნოემბრის დეპეშაში ბაქოდან ი. ბ. სტალინმა შეატყობინა ვ. ი. ლენინს, რომ კავკასიაში წარმატებით მიმდინარეობდა ბრძოლა ბანდების წინააღმდეგ და რომ აუცილებელი იყო კავკასიის ფრონტის დამხმარე ძალების გაძლიერება ბაქოს წარმატებით დასაცავად შესაძლო თავდასხმისაგან მენშევიკური საქართველოს მხრივ, რომელიც ფაქტიურად ანტანტის იარაღს წარმოადგენდა. — **492.**

81 ლენინის ეს თეზისები საფუძვლად დაედო მთავპოლიტგანის თეზისების პროექტს, რომელიც «პრავდის» 1920 წლის 27 ნოემბრის 267-ე ნომერში გამოქვეყნდა სახელწოდებით: «საწარმოო პროპაგანდა. (მთავპოლიტგანის თეზისების პროექტი)». — **493.**

82 «ბ ე დ ნ ო ტ ა» — ყოველდღიური გაზეთი, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 27 მარტიდან 1931 წლის 31 იანვრამდე. 1931 წლის 1 თებერვლიდან «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს», რომელიც ამჟამადაც გამოდის. — **494.**

83 აქ გამოქვეყნებული დოკუმენტი წარმოადგენს ვ. ი. ლენინის პასუხს ი. ბ. სტალინის შეკითხვაზე დირექტივების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ანტანტა, მენშევიკური საქართველოს მეშვეობით, ამზადებდა ომს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ, და თურქების მიერ სომხეთის ოკუპაციის საფრთხის შესახებ. ამ დროს ი. ბ. სტალინი ვლადიკავკაზში იმყოფებოდა. ინფორმაცია ანტანტისა და მენშევიკური საქართველოს საომარი მზადების შესახებ ი. ბ. სტალინმა მიიღო გ. კ. ორჯონიკიძისაგან. 1920 წლის 20 ნოემბერს ი. ბ. სტალინი ვლადიკავკაზიდან მოსკოვს გაემგზავრა. — **497.**

84 რ კ პ (ბ) მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შედგა 1920 წლის 20 — 22 ნოემბერს; კონფერენციას ესწრებოდა 289 დელეგატი — გადამწყვეტი ხმით და 89 — სათათბირო ხმით.

სიტყვა «ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები» ლენინმა წარმოთქვა კონფერენციის მეორე დღეს — 1920 წლის 21 ნოემბერს. იმავე წელს სიტყვა ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

კონფერენციის დელეგატების არჩევნებისა და თვით კონფერენციის მუშაობის დროს პარტიული ხაზის წინააღმდეგ გაილაშქრეს «დემოკრატიული ცენტრალიზმისა» და «მუშათა ოპოზიციის» ანტიპარტიულმა ჯგუფებმა. ლენინის ხელმძღვანელობით კონფერენციამ უკუაგდო პარტიის მტრების ანტიპარტიული გამოხდომები. — **498.**

85 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 27, გვ. 283—284. — **510.**

86 ლენინს მხედველობაში აქვს მასალების კრებული ელექტროფიკაციის შესახებ: «რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმა. რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის მოხსენება საბჭოების მე-8 ყრილობას», მოსკოვი, 1920. — **514.**

87 ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის რეზოლუციები (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც.კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 349 — 354). — **517.**

88 ზამოსკვორეჩიეს რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება იხილავდა მოსკოვის საგუბერნიო პარტიული კონფერენციის მუშაობის შედეგების საკითხს; მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. კამათში, ც. კ-ის და პარტიის ხაზის წინააღმდეგ მიმართული ანტიპარტიული სიტყვებით, გამოვიდნენ «მუშათა ოპოზიციისა» და «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთაც ლენინმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია თავის საბოლოო სიტყვაში. ლენინმა პასუხი გასცა აგრეთვე პარტიის წევრთა ბარათებს და დაწვრილებით შეჩერდა კონცესიების საკითხზე. — **532.**

89 დეპეშა გაიგზავნა პასუხად სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის მისალმებისა ლენინისადმი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო. რევოლუციური სამხედრო კომიტეტის მისალმება გაგზავნილ იქნა 1920 წლის 30 ნოემბერს. — **536.**

90 ლენინს მხედველობაში აქვს კანონპროექტი, რომელიც სახკომსაბჭომ შეიტანა სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმში საბჭოების VIII ყრილობაზე დასამტკიცებლად, — «გლეხური სოფლის მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ზომების შესახებ»; გამოქვეყნდა «იზვესტიაში» № 281, 1920 წლის 14 დეკემბერი. — **561.**

91 სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წლის 22 — 29 დეკემბერს. ყრილობას ესწრებოდა 2 537 დელეგატი, მათგან 1 728 — გადამწყვეტი ხმით და 809 — სათათბირო ხმით.

ლენინის მოხსენების გამო სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას.

საბჭოების VIII ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ წამოყენებული გეგმა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისა — «გოელროს» (რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის) გეგმა და ელექტროფიკაციის შესახებ მოხსენების გამო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია (იხ. ეს ტომი, გვ. 654 — 655). ყრილობის მუშაობის დროს ლენინი არა ერთხელ გამოვიდა რკპ(ბ) ფრაქციის სხდომებზე. ფრაქციის პირველ სხდომაზე 21 დეკემბერს ლენინმა მოხსენება გააკეთა კონცე-

სიების შესახებ. ფრაქციის სხდომაზე 22 დეკემბერს ლენინმა წარმოთქვა სიტყვა საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე.

ყრილობას განსახილველად წარედგინა გლეხური მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ზომების კანონპროექტი, რომელიც მიიღო სახალხო კომისართა საბჭომ 1920 წლის 14 დეკემბერს. კანონპროექტის ძირითადი დებულებანი განხილულ იქნა ლენინის მონაწილეობით გლეხ-დელეგატთა თათბირზე 1920 წლის 22 დეკემბერს და ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე 24 და 27 დეკემბერს. კანონპროექტი ყრილობამ ერთხმად მიიღო 1920 წლის 28 დეკემბერს.

საბჭოების VIII ყრილობამ დაამტკიცა სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთის სფსრ-სა და უკრაინის სსრ-ს შორის. — **565.**

92 ლენინს მხედველობაში აქვს «სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წლის 6 დეკემბერს» (იხ. ეს ტომი, გვ. 537 — 562). — **568.**

93 ლენინს მხედველობაში აქვს მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს 1919 წლის 26 მაისის ნოტა კოლჩაკისადმი; ამ ნოტაში საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ამერიკისა და იაპონიის მთავრობებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან დაეხმარონ კოლჩაკს და ცნონ იგი «სრულიად რუსეთის მთავრობის» მეთაურად. — **571.**

94 «ს უ ხ ა რ ე ვ კ ა» — ბაზარი მოსკოვში სუხარევაიას მოედანზე (ამჟამად საკოლმეურნეო მოედანი). სიტყვა «სუხარევკა» სპეკულაციისა და მეტომრეობის სინონიმი იყო. სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის წინ სუხარევის ბაზარი დახურულ იქნა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის 1920 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით. — **598.**

95 1920 წლის 10 აგვისტოს საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ცნობს ვრანგელს სამხრეთ რუსეთის მმართველად. — **599.**

96 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 27, გვ. 375 — 379. — **609.**

97 საბკომსაბჭოს დეკრეტი — «დროებითი დებულება ნატურით პრემირების შესახებ» გამოიცა 1920 წლის 23 ოქტომბერს. — **624.**

98 VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკ-მა პირველ სესიაზე (1920 წლის 2 — 7 თებერვალი) გამოიტანა დადგენილება: დაევალოს

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიწსახკომთან ერთად შეიმუშაოს ელექტროსადგურების ქსელის აგების პროექტი. 1920 წლის 21 თებერვალს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მიწსახკომთან შეთანხმებით, დაამტკიცა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია («გოელრო»). კომისია მუშაობას შეუდგა 1920 წლის 20 მარტს და საბჭოების VIII ყრილობის დასაწყისისათვის შეიმუშავა რსფსრ-ის ელექტროფიკაციის საერთო გეგმა. ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და მითითებით. — **632.**

99 1920 წლის 14 ნოემბერს ლენინი გლეხების მიწვევით დაესწრო ელექტროსადგურის გახსნას ვოლოკოლამსკის მაზრის იაროპოლეცის თემის სოფელ კაშინოში. გახსნაზე ლენინი ესაუბრა გლეხებს, შემდეგ კი გამოვიდა სიტყვით ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ სახალხო მეურნეობაში. — **635.**

100 საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომა, რომელიც შედგა 1920 წლის 24 დეკემბერს დილით, მიეძღვნა სახკომსაბჭოს კანონპროექტის განხილვას გლეხური მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ზომების შესახებ. — **645.**

101 ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი სიტყვები თავისი მოხსენებიდან სოფლად მუშაობის შესახებ რკპ(ბ) VIII ყრილობაზე 1919 წლის 23 მარტს: «ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ ო ბ ი ს მ ი მ ა რ თ ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ა უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ზ ი ა ნ ო ა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 29, გვ. 238). — **645.**

102 იგულისხმება მიწის სოციალიზაციის კანონი, რომელიც 18 (31) იანვარს მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ (შედგა 1918 წლის 10 — 18 (23 — 31) იანვარს). კანონის მეექვსე მუხლში ნათქვამია: «მთელი კერძომფლობელური ცოცხალი და მკვდარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი არაშრომითი მეურნეობებიდან სრულიად გამოუყიდავად გადადის, მათი მნიშვნელობის კვალობაზე, სამაზრო, საგუბერნიო, საოლქო და ფედერაციული საბჭოების მიწათმოქმედების განყოფილებათა განკარგულებაში». — **649.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1920* წლის აპრილი — დეკემბერი)

1920

აპრილი, 27.	ლენინი ამთავრებს მუშაობას წიგნზე «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში».
	ლენინი კ. ა. ტიმირიაზევისადმი წერილში მაღალ შეფასებას აძლევს მის წიგნს «მეცნიერება და დემოკრატია».
აპრილი, 29.	ლენინი მინა-ფაიფურის წარმოების მუშათა სრულიად რუსეთის IV ყრილობაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.
აპრილი, 29 — მაისი, 2.	ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობენ რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისების დამუშავებაში თეთრ პოლონელთა წინააღმდეგ ომთან დაკავშირებით აგიტაციის დაყენების შესახებ.
მაისი, 1.	ლენინი დილით მონაწილეობას იღებს საპირველმაისო შაბათობაში კრემლში.
	ლენინი დღის 2 საათზე გამოდის სიტყვით კ. მარქსის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისას თეატრალურ მოედანზე (ახლა სვერდლოვის სახელობის მოედანი).
	ლენინი დღის 3 საათზე გამოდის სიტყვით განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისას მდინარე მოსკოვის სანაპიროზე; ნახულობს მომავალი ძეგლის ესკიზთა გამოფენას კაზმული ხელოვნების მუზეუმში (ახლა ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი).
	ლენინი გამოდის სიტყვებით მიტინგებზე ზამოსკვორეჩიეს და ბაუმანის რაიონებში, ზაგორსკის სახე-

ლობის მუშათა სასახლის გახსნაზე ბლაგუშე-ლეფორტის რაიონში და პროხოროვის მანუფაქტურის მუშათა მიტინგზე კრასნაია პრესნიას რაიონში.

მაისი, 2. ლენინის სტატია «მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის პირველი შაბათობიდან სრულიად რუსეთის შაბათობამაისობამდე» ქვეყნდება ერთდღიურ გაზეთ «პერვომაისკია სუბბოტნიკში».

მაისი, 4. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: დასავლეთის ფრონტისადმი დახმარების შესახებ; თათართა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ (შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ); აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკისადმი მისასალმებელი დეპეშის შესახებ (შეტანილია ვ. ი. ლენინის მიერ) და სხვ.. ი. ბ. სტალინი ინიშნება თათართა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საკითხზე გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარედ.

მაისი, 4 ან 5. ლენინი დეპეშას უგზავნის ყველა საგუბერნიო აღმასკომს, მოსკოვისა და პეტროგრადის საქალაქო აღმასკომებს და საგუბერნიო რევკომებს განკარგულებით — დაეხმარონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს მოსახლეობის სრულიად რუსეთის აღწერის ჩატარებაში.

მაისი, 5. ლენინი გამოდის სიტყვით თეატრალურ მოედანზე პოლონეთის ფრონტზე მიმავალი ჯარების აღლუმზე.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნიან გ. კ. ორჯონიკიძეს ბაქოში და დირექტივას აძლევენ გამოიყვანოს საბჭოთა ჯარები საქართველოს ფარგლებიდან საზღვრისაკენ.

ლენინი სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის საბჭოს, პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის შემოტევასთან დაკავშირებით საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის ამოცანების შესახებ.

ლენინი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობას უგზავნის მისასალმებელ დეპეშას აზერბაიჯანის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის გამო.

ლენინი წერს წერილს მ. ნ. პოკროვსკის თანამედროვე რუსული ენის ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობის შესახებ.

მაისი, 7. ლენინი წერს წერილს თურქესტანის ფრონტის წითელ კომუნართა ოცდამეათე პოლკს და მადლობას უცხადებს მაკარონისა და ფქვილის გამოგზავნისათვის. საჩუქარი გადაეცა მოსკოვის ბავშვებს.

მაისი, 8. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნიან ლ. ბ. კრასინს და მ. მ. ლიტვინოვს კოპენჰაგენში და მითითებას აძლევენ მოაწერონ ხელი სავაჭრო ხელშეკრულებებს შვეციის ლითონდამმუშავებელ და ორთქლმავალმშენებელ ქარხნებთან.

მაისი, 10. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სასწრაფო სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: დასავლეთის ფრონტის არმიების მომარაგების შესახებ საჭურვლით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით; მოსკოვის საარტილერიო საწყობებში აფეთქებათა შესახებ; სამხედრო საწყობების პირადი შემადგენლობის გადასინჯვის შესახებ მთელ რუსეთში. ორი უკანასკნელი საკითხი შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ. ი. ბ. სტალინი ინიშნება დასავლეთის ფრონტის არმიების ტანსაცმლით მომარაგების კომისიის თავმჯდომარედ.

მაისი, 12. ლენინი წერს «დამატებას» ბროშურისადმი ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში».

ლენინი დირექტივას აძლევს კავკასიის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს, რომ დაუყოვნებლივ გაგზავნოს დივიზიები დასავლეთის ფრონტის დასახმარებლად.

მაისი, 13. ლენინი როგოუსკ-სიმონოვის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა ფართო კონფერენციაზე გამოდის სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მაისი, 14. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: დასავლეთის ფრონტის არმიების ტანსაცმლით მომარაგების შესახებ (ი. ბ. სტალინის მოხსენება); დონბასის სასურსათო მდგომარეობის შესახებ; ვაზნების, შაშხანების და ტყვიამფრქვევებისა და სხვ. წარმოების მდგომარეობის შესახებ; შეაქვს საკითხი ხე-ტყის გამოსაზიდი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზების აგების შესახებ. ი. ბ. სტალინი ინიშნება შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის თავმჯდომარედ; კომისია შექმნილია არმიის ვაზნებით, შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით მომარაგებისა და სავაზნე და საიარაღო ქარხნების მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხზე.

მაისი, 18. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მრეწველობისათვის 1920 — 1921 წწ. საჭირო ნედლეულის დამზადების შესახებ; ჩვენი ქვეყნის პურის რესურსების შესახებ და სხვ.; შეაქვს წინადადებანი: ი. ბ. სტალინის დანიშვნის შესახებ რესპუბლიკის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს წევრად, აგრეთვე იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავკასიის მთელი ტერიტორია შეყვანილ იქნას დონის ოლქის შრომითი არმიის საბჭოს მოქმედების სფეროში.

მაისი, 20. ქვეყნდება ლენინის პასუხი «ინდოეთის რევოლუციურ ასოციაციას».

მაისი, 21. ლენინი წერს წერილს ა. ს. სერაფიმოვიჩს და თანაგრძნობას უცხადებს მას ვაჟის დაღუპვის გამო.

ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: არმიის მომარაგების შესახებ ვაზნებით, შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით (ი. ბ. სტალინის მოხსენება); სამხედრო უწყებისათვის ავტომობილების მობილიზაციის შესახებ; «გლავკოჟეის» და ბაქოსა და ასტრახანის ნავთობის სარეწების მუშათა სურსათით მომარაგების შესახებ; პეტროგრადის სათბობით მომარაგების შესახებ და სხვ.

მაისი, 23. ლენინი წერს წერილს «პიტერელ ამხანაგებს» და იძლევა მითითებებს მისი ბროშურის — «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» გამოცემის შესახებ.

მაისი, 25. ლენინი წერს შენიშვნებს პროექტისადმი დეკრეტისა მშრომელ მოსახლეობას შორის საცხოვრებელი ბინების სწორად განაწილების ზომების შესახებ.

მაისი, 26. ლენინი წერს სურსათის დამზადებათა შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების მონასახს.
ლენინი ესაუბრება ინგლისის მუშათა დელეგაციას.

მაისი, 27. ლენინი წერს შენიშვნებსა და დამატებებს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისადმი.

მაისი, 30. ლენინი წერს «წერილს ინგლისელ მუშებს».

ივნისი, 1. ლენინი წერს თეზისების გეგმას ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე კომინტერნის II კონგრესისათვის.

ივნისი, 2. ვ. ი. ლენინი დეპეშას უგზავნის ი. ბ. სტალინს კრემენჩუგში — დასავლეთის ფრონტის მძიმე მდგომარეობისა და იმის შესახებ, რომ აუცილებელია გაიგზავნოს იქ დივიზიები, რომლებსაც ი. ბ. სტალინი ითხოვდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისათვის; მითითებას აძლევს განაგრძოს დაწყებული შეტევა.

ივნისი, 4. ლენინი იღებს გაზეთების «ოსაკა მაინიციისა» და «ტოკიო ნიცი-ნიციის» იაპონელ კორესპონდენტს ბ-ნ ფუსეს.

ლენინი წერს ბარათს სახელმწიფო გამომცემლობისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსადმი და თხოვს, მიიღონ ყირგიზეთის წარმომადგენლები და დაეხმარონ მათ ასოთჩამოსასხმელის, სტამბისა და ქაღალდის შოვნაში.

ივნისი, 5. ლენინი წერს «პირვანდელ მონასახს თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)».

ივნისის დამდეგი. ლენინი წერს «პირვანდელ მონასახს თეზისებისა აგრარულ საკითხზე (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)».

ივნისი, 8 — 10. გამოვიდა ლენინის ბროშურა ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში».

ივნისი, 12. ლენინი წერს რეცენზიას ჟურნალ «კომუნიზმის» 1 — 18 ნომრებზე (ჟურნალი იყო კომუნისტური ინტერნაციონალის ორგანო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, გამოდიოდა ვენაში გერმანულ ენაზე).

ლენინი სოფლად მუშაობის პასუხისმგებელ ორგანიზატორთა სრულიად რუსეთის მეორე თათბირზე გამოდის სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობისა და სოფლად პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ.

ივნისი, 13. ლენინი წერს შენიშვნებსა და დამატებებს თურქესტანში რკპ(ბ) ამოცანების შესახებ რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილების პროექტისადმი.

ივნისი, 18. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: თავდაცვის ორგანიზაციის შესახებ თეთრ პოლონელთა შემოტევასთან დაკავშირებით; მილიტარიზებულ საწარმოთა სიების გადასინჯვის შესახებ და სხვ.

ივნისი, 19. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოდის სიტყვით, რომელშიც აკრიტიკებს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის და იტალიის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ფრთის პოლიტიკას.

ივნისი, 20. ლენინი მითითებას აძლევს განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს პულკოვოს ობსერვატორიისადმი დახმარების შესახებ.

ივნისი, 29. ლენინი წერს ბარათს რკპ(ბ) ც. კ-ის სამდივნოს წინადადებით: დაევალოს სახელმწიფო გამომცემლო-

გას მოაწყოს ახალ ეკონომიურ თხზულებათა თარგმნა და გამოცემა, გამოსცეს XVII და XVIII საუკუნეების მატერიალისტთა წიგნების მთელი რიგი თარგმანები.

ივნისი. ლენინი წერს «გეგმას რეზოლუციისა «პროლეტარიატის დიქტატურის» ცნების შინაარსის შესახებ და ამ ლოზუნგის «მოდური» დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ».

ივლისი, 2. ლენინი წერს მიმართვას «დავეხმაროთ დაჭრილ წითელარმიელს!».

ივლისი, 4. ლენინი წერს «თეზისებს კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ».

ივლისი, 6. ლენინი წერს წინასიტყვაობას თავისი წიგნის — «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი» — ფრანგული და გერმანული გამოცემებისადმი.

ივლისი, 8. ლენინი აძლევს მითითებებს, რომ შეამოწმონ თარგმანები ბროშურისა ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ივლისი, 11. ვ. ი. ლენინი აწერს რეზოლუციას ი. ბ. სტალინის წერილზე (ყირიმის ფრონტისათვის შევსების გაგზავნის შესახებ), წინადადებას აძლევს რესპუბლიკის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს პირადად აცნობოს მას ი. ბ. სტალინის მოთხოვნათა შესრულების შესახებ.

ივლისი, 12. ან 13. ვ. ი. ლენინი ხარკოვში ტელეფონოგრამით ატყობინებს ი. ბ. სტალინს პოლონეთთან ზავის პირობებს, რომლებიც გადმოცემულია კერზონის ნოტაში; ეკითხება ი. ბ. სტალინს აზრს ამ საკითხზე და თხოვს დააჩქაროს საბჭოთა ჯარების შეტევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

ივლისი, 17. ვ. ი. ლენინი დეპეშით ატყობინებს ი. ბ. სტალინს ხარკოვში, რომ ც. კ-ის პლენუმმა მიიღო ლენინის

წინადადებანი კერზონის ნოტაზე პასუხის გამო; თხოვს კვირაში ორჯერ აცნობოს სამხედრო ოპერაციების მსვლელობა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

ივლისი, არა უგვიანეს 18-ისა. ლენინი წერილში კომინტერნის აღმასკომისადმი გადმოსცემს საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის თეზისების გეგმას III ინტერნაციონალის II კონგრესისათვის.

ივლისი, 18. ლენინი მიემგზავრება პეტროგრადს კომინტერნის II კონგრესის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

ივლისი, 19 — აგვისტო, 7. კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი. ლენინი ხელმძღვანელობს კონგრესის მუშაობას.

ივლისი, 19. ლენინს ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში კონგრესის პირველ სხდომაზე; იგი გამოდის მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ.

ლენინი გამოდის სიტყვით მიტინგზე, რომელიც მიძღვნილია კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი ურიცკის სახელობის მოედანზე პეტროგრადში. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს კომინტერნის II კონგრესის დელეგატებმა.

ლენინი II კონგრესის დელეგატებთან ერთად გვირგვინებით ამკობს რევოლუციისათვის მებრძოლთა საფლავებს მარსის ველზე პეტროგრადში.

ივლისი, 20. ლენინი პეტროგრადიდან ბრუნდება მოსკოვში.

ივლისი, 23. ლენინი თავმჯდომარეობს მეორე სხდომას კომინტერნის II კონგრესისას, რომელმაც თავისი სხდომები მოსკოვში გადაიტანა; გამოდის სიტყვით კომუნისტური პარტიის როლის შესახებ.

ივლისი, 23-ის შემდეგ. ლენინი შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრებს წერს წერილს, რომელშიც გადმოსცემს კავკასიიდან დასავლეთის ფრონტზე გადასაყვანი ჯარების გამოყენების გეგმას; წინადადებას იძლევა გეგმაში დასახულ

ღონისძიებათა დასამუშავებლად შეიქმნას კომისია ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით.

ივლისი, 24. ლენინს კონგრესის მესამე სხდომაზე ირჩევენ კომისიებში: საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ძირითადი ამოცანების საკითხზე, ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე და აგრარულ საკითხზე.

ივლისი, 25. ლენინი ხელმძღვანელობს II კონგრესის ნაციონალური და კოლონიური საკითხების კომისიის მუშაობას; გამოდის კომისიაში სიტყვით.

ლენინის თეზისებს კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ და მის წინადადებას კომინტერნში შესვლის მსურველი პარტიების ხელმძღვანელ ორგანოთა ჩამოყალიბების საკითხზე (კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების მეოცე მუხლს) იხილავენ და იღებენ II კონგრესის სხდომაზე.

ლენინი წერს კრიტიკულ შენიშვნებს პ. ლევის თეზისებისადმი ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე და ააშკარავებს მის ნაციონალისტურ პოზიციას.

ივლისი, 26. ლენინი ხელმძღვანელობს კონგრესის შემდეგი კომისიების მუშაობას: აგრარულ საკითხზე და კომინტერნის ძირითადი ამოცანების საკითხზე; კომისიებში იხილავენ და იღებენ მის თეზისებს ამ საკითხებზე.

ლენინი კონგრესის მეოთხე სხდომაზე გამოდის მოხსენებით ნაციონალური და კოლონიური საკითხების კომისიისაგან და დასამტკიცებლად შეაქვს მის მიერ დაწერილი და კომისიის მიერ მიღებული თეზისები.

ლენინი რკპ(ბ) ც. კ-ის წერილის პროექტზე «ყველა პარტიულ ორგანიზაციას», რომელიც დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ, აკეთებს წარწერას: «მე მხარს ვუჭერ, რომ **დაუყოვნებლივ** დაიგზავნოს, როგორც უდავო რამ». წერილის პროექტში მოცემული იყო დირექტივები ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლის

გაძლიერებისა და ყირიმის ფრონტზე კომუნისტების გაგზავნის ორგანიზაციის შესახებ. ც. კ-ის წერილი დაეგზავნა პარტიულ ორგანიზაციებს.

ივლისი, 28. ლენინის თეზისებს ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე ერთხმად იღებენ II კონგრესის მეხუთე სხდომაზე.

ივლისი, 30. ლენინი კონგრესის მერვე სხდომაზე გამოდის კამათში კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების საკითხზე. კონგრესი იღებს ლენინის მიერ დაწერილ თეზისებს.

ივლისი. ლენინი წერს ბარათს დ. ი. კურსკის და ეკითხება, მიღებულია თუ არა ზომები საბჭოთა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შესაქმნელად, მემამულეთა გასაძევებლად და მათი მიწების გადასაცემად ღარიბებისათვის და მოჯამაგირეთა საბჭოებისათვის იმ ადგილებში, რომლებსაც წითელი არმია ათავისუფლებს.

ლენინი წერს კრიტიკულ შენიშვნებს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის განცხადებაზე კომინტერნის II კონგრესისადმი.

აგვისტო, 2. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც იღებენ გადაწყვეტილებას ვრანგელის ფრონტის დამოუკიდებელ ფრონტად გამოყოფის შესახებ; პოლიტბიურო ავალებს ი. ბ. სტალინს შეადგინოს ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო და მთელი ყურადღება მიაქციოს ამ ფრონტს.

ვ. ი. ლენინი უგზავნის ი. ბ. სტალინს დეპეშას პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შესახებ და თხოვს მისცეს დასკვნა ვრანგელის ფრონტის მდგომარეობაზე.

ლენინი კომინტერნის კონგრესის მეათე სხდომაზე გამოდის კამათში პარლამენტარიზმის საკითხზე.

აგვისტო, 4. ლენინის თეზისებს აგრარულ საკითხზე იხილავენ და ერთხმად იღებენ კომინტერნის II კონგრესის მეცამეტე სხდომაზე.

ვ. ი. ლენინი წერს დეპეშას ი. ბ. სტალინისადმი და თხოვს გამოგზავნოს მისი დასკვნა სამხედრო პერსპექტივების შესახებ სამხრეთ-დასავლეთისა და ვრანგელის ფრონტებზე.

აგვისტო, არა უგვიანეს 6-ისა. ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს II კონგრესის რკპ(ბ) დელეგაცია ირჩევს კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობაში.

აგვისტო, 6. ლენინი კომინტერნის II კონგრესის მეთექვსმეტე სხდომაზე გამოდის სიტყვით მუშათა (ლეიბორისტულ) პარტიაში ინგლისის კომუნისტური პარტიის შესვლის საკითხზე.

აგვისტო, 7. ლენინი მონაწილეობას იღებს კომინტერნის ახალი შემადგენლობის აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაში.

აგვისტო, 8. ლენინი სახელმწიფო გამომცემლობისადმი წერს წერილს, რომელშიც წინადადებას იძლევა გამოყენებულ იქნას საბჭოთა გაზეთების, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური და ბურჟუაზიული გაზეთების მასალები უცხოურ ენებზე სათარგმნად და ყოველთვიურად ბროშურების გამოსაცემად ანტანტის იმპერიალისტური პოლიტიკის გამოაშკარავების მიზნით.

აგვისტო, 11. ვ. ი. ლენინი წერს დეპეშას ი. ბ. სტალინისადმი, რომელშიც ატყობინებს მას პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობას და აძლევს მითითებას გააძლიეროს შეტევა ყირიმის ფრონტზე, რათა საბოლოოდ გაანადგურონ ვრანგელი და გაათავისუფლონ მთელი ყირიმი.

აგვისტო, 15. ლენინი წერს «წერილს ავსტრიელ კომუნისტებს».

აგვისტო, 18. ლენინი წერს დეპეშას დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოსადმი და მითითებას აძლევს გააძლიერონ შეტევა თეთრ პოლონელთა წინააღმდეგ.

ლენინი მცირე სახკომსაბჭოს განსახილველად გზავნის ა. მ. გორკის თხოვნას პეტროგრადელ

მეცნიერთათვის აკადემიური ულუფების შესახებ წინადადებით — დააკმაყოფილონ ეს თხოვნა.

აგვისტო, 19. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით აძლევენ დირექტივებს: უკრაინის კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და რკპ(ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიუროს — ვრანგელის წინააღმდეგ მოქმედი ფრონტისათვის საუკეთესო კომუნისტების გამოყოფის შესახებ; რკპ(ბ) ც. კ-ის ციმბირის ბიუროს — ვრანგელისა და პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედი ფრონტისადმი დახმარების ორგანიზაციის შესახებ.

ლენინი უგზავნის დეპეშას დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს და მითითებას აძლევს დაუყოვნებლივ შეავსონ ფრონტის არმიები ბელორუსი მუშებითა და გლეხებით.

აგვისტო, 20. ვ. ი. ლენინი ეთანხმება ი. ბ. სტალინის წინადადებას გ. კ. ორჯონიკიძის გამგზავრების შესახებ ბაქოდან დონის როსტოვში კავკასიის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოში სამუშაოდ. რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო იღებს ი. ბ. სტალინის წინადადებას.

ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: კაშირმშენის შესახებ; ვრანგელის ფრონტზე საბჭოთა ჯარების შესაძლო უკანდახევის დროს სპეციალური ზომების შესახებ (შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ); მოსკოვის შეშით მომარაგების შესახებ და სხვ.

აგვისტო, 28. ლენინი ავსებს მოსახლეობის სრულიად რუსეთის აღწერის პირად ფურცელს.

სექტემბერი, 1. ლენინი ბარათში რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკისადმი (ახლა ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა) თხოვს გასცენ ბერძნული ენის ორი საუკეთესო ლექსიკონი, ბერძნულიდან გერმანულ, ფრანგულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე; საუკეთესო ფილოსოფიური ლექსიკონები, ფილოსოფიური ტერმინების ლექსიკონები გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; წიგნები ბერძნული ფილოსოფიის ისტორიის შესახებ.

ლენინი განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირის სრულიად რუსეთის II

ყრილობაზე გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ.

სექტემბერი, 2. ლენინი წერს წინასიტყვაობას წიგნის — «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის» მეორე გამოცემისათვის.

სექტემბერი, 3. ვ. ი. ლენინი უგზავნის ი. ბ. სტალინს აზრის გამოსათქმელად სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტს თურქესტანის საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ.

სექტემბერი, 6. ლენინი პოდოლსკის მაზრის სასურსათო კომიტეტს უგზავნის სოფელ ბოგდანოვოს გლეხთა თხოვნას სასურსათო გაწერის შემცირების შესახებ და წერს ტელეფონოგრამას მითითებით — დაუყოვნებლივ განიხილონ თხოვნა და შესაძლებლობისამებრ შეამცირონ სასურსათო გაწერა.

სექტემბერი, 14. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: პურის გაწერის შესახებ; თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ და სხვ.

სექტემბერი, 17. ლენინი იღებს ციმბირელ გლეხთა დელეგატს; საუბრის დროს აკეთებს ჩანაწერს ციმბირის გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.

სექტემბერი, 20. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ; რკპ(ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციის შესახებ და სხვ.

სექტემბერი, 22 — 25. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის მეცხრე კონფერენციის მუშაობას.

სექტემბერი, 22. ლენინი ხსნის კონფერენციას, მას ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში. ლენინი გამოდის ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშით; შეაქვს შესწორებანი რეზოლუციისადმი პოლონეთის საკითხზე.

ლენინი კონფერენციის საღამოს სხდომაზე გამოდის საბოლოო სიტყვით ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშის გამო.

სექტემბერი, 23-მდე. ლენინი რედაქციას უკეთებს პოლონეთთან ზავის პირობების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის განცხადების პროექტს.

სექტემბერი, 24. ლენინი წერს წინადადებებს რეზოლუციის პროექტისადმი «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» რკპ(ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციისათვის.

ლენინი კონფერენციის საღამოს სხდომაზე გამოდის სიტყვით კამათში მოხსენების გამო პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ.

ლენინი წერს «წერილს გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო».

სექტემბერი, არა უგვიანეს 28-ისა. ლენინი წერს წერილს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის კონგრესს.

ოქტომბერი, 2. ლენინი რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე გამოდის სიტყვით ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანების შესახებ.

ლენინი ტყავის წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი წერს მიმართვას — «უკრაინის ღარიბ სოფლელებს».

ოქტომბერი, 8. ლენინი წერს რეზოლუციის პროექტს პროლეტკულტის ყრილობისათვის და განსახილველად შეაქვს ის რკპ(ბ) ც. კ-ში.

ოქტომბერი, 12. ლენინი ესწრება ინესა არმანდის დაკრძალვას წითელ მოედანზე.

შუა ოქტომბერი. ლენინი ღებულობს ინგლისელ მწერალს ჰ. უელსს.

ოქტომბერი, 15. ლენინი მოსკოვის გუბერნიის საბჭოების სამაზრო, სათემო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირზე გამოდის მოხსენებით საბ-

ჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ოქტომბერი, 16. ლენინი დეპეშაში მ. ვ. ფრუნზესადმი იძლევა დირექტივას ყირიმის აღებისათვის მომზადების შესახებ.

ოქტომბერი, 19. ლენინი წერს შენიშვნებს პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ვრანგელთან ომის დამთავრების შემდეგ.

ოქტომბერი, 20. ლენინი წერს სტატიას «დიქტატურის საკითხის ისტორიისათვის».

ოქტომბერი, 21. ლენინი წერილში პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმისადმი იძლევა მითითებას, რომ მეცნიერთათვის ბინების მიცემისას გამოყონ სადგომები კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის.

ლენინი ღებულობს სტავროპოლის გლეხთა დელეგაციას, რომელმაც ჩამოუტანა პური მოსკოვის ბავშვებს; ესაუბრება მას გლეხთა საჭიროებებზე და წერს წერილს სასურსათო სახალხო კომისარიატს წინადადებით — მეორე დღისათვის მისცენ მას დასკვნა გლეხთა თხოვნის შესრულების შესაძლებლობის შესახებ.

ოქტომბერი, 24. ლენინი უგზავნის დეპეშას I ცხენოსანი არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს და დირექტივას აძლევს მიიღონ ზომები ვრანგელის განადგურების დასაჩქარებლად.

ოქტომბერი, 27. ლენინი ესაუბრება ვლადიმირის გუბერნიის ალექსანდროვსკის მაზრის პარტიული კონფერენციის დელეგაციას; გაიგო რა ტროიცკის ქარხანაში მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ, წერს წერილს პარტიის ვლადიმირის საგუბერნიო კომიტეტს და გზავნის დელეგაციას ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ფ. ე. ძერჟინსკისთან.

ლენინი ესწრება ინჟინერ რ. ე. კლასონის ახალი ჰიდრავლიკური ტორფშემწოვის მუშაობის შესახებ გადაღებული კინოფილმის გასინჯვას, რის შემდეგ ხელმძღვანელობს თათბირს, სადაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოგონების შესახებ.

ოქტომბერი, 28. ლენინი დეპეშაში მ. ვ. ფრუნზესადმი მითითებებს იძლევა საჩქაროდ განიხილონ ყირიმის ფრონტის ხაზზე მძიმე არტილერიის მიზიდვის საშუალებანი ყირიმის ნახევარკუნძულის დაუფლების ოპერაციათა წარმატებით გასავითარებლად.

ოქტომბერი, 29. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს ბაქოში უგზავნის დეპეშას, რომლითაც წინადადებას აძლევს საჩქაროდ მიიღოს ზომები ბაქოს სახმელეთო და საზღვაო მისადგომების გასამაგრებლად.

1 ნოემბრამდე. ლენინი წერს დამატებებსა და შესწორებებს რსფსრ-ში საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ დეკრეტის პროექტისადმი.

ნოემბრის დამდეგი. ლენინი წერს თეზისებს რეზოლუციისადმი «პროფესიული კავშირების ამოცანებისა და მათი განხორციელების მეთოდების შესახებ» და რეზოლუციის პროექტს პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის V კონფერენციის რკპ(ბ) ფრაქციისათვის.

ნოემბერი, 3. ლენინი სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე გამოდის სიტყვით მთავპოლიტგანისა და ადგილობრივი პოლიტგანების ძირითადი ამოცანების შესახებ.

ნოემბერი, 4. ლენინი წერს სტატიას «იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლის შესახებ».

ნოემბერი, 6. ლენინი გ. მ. კრჟიჟანოვსკის წერს წერილს რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის ამოცანების შესახებ.

ლენინი გამოდის სიტყვით მოსკოვის საბჭოს პლენუმის, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილია ოქტომბრის რევოლუციის მე-3 წლისთავისადმი.

ნოემბერი, 7. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის მე-3 წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვით გამოდის სოკოლნიკის რაიონული საბჭოს პლენუმზე, რომელშიც მონაწი-

ლეობენ აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები.

ნოემბერი, 9. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის სხდომას, რომელზედაც იხილავენ და საფუძვლად იღებენ ლენინის მიერ დაწერილ თეზისების პროექტს პროფკავშირთა ამოცანების შესახებ.

ნოემბერი, 12. ლენინი დეპეშას უგზავნის სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს და მითითებებს აძლევს ვრანგელის კაპიტულაციის პირობების შესახებ.

ნოემბერი, 13. ვ. ი. ლენინი დეპეშით ეკითხება ი. ბ. სტალინს კავკასიაში ბანდებთან ბრძოლის მიმდინარეობისა და ბაქოს მისადგომების გამაგრების შესახებ; თხოვს მას აცნობოს აზრი საქართველოსა და სომხეთთან რსფსრ-ის ურთიერთობის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობის შესახებ.

ლენინი ღებულობს გროზნოს ნავთობის სარეწების ჯგუფური კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც მასთან ჩავიდა და გადასცა მუშათა მისალმება.

ნოემბერი, 14. ლენინი ესწრება ელექტროსადგურის გახსნას მოსკოვის გუბერნიის ვოლოკოლამსკის მაზრის სოფელ კაშინოში; ესაუბრება გლეხებს, გამოდის სიტყვით სახალხო მეურნეობაში ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ; საღამოს გამოდის გლეხთა კრებაზე სოფელ იაროპოლეცის სახალხო სახლში.

ნოემბერი, 16. ლენინი ესაუბრება გლეხს, კალუგის გუბერნიის მოსალსკის მაზრის დელეგატს; საუბრის დროს აკეთებს შენიშვნებს გლეხების საჭიროებათა შესახებ; სასურსათო სახალხო კომისარიატსა და მიწსახკომში გზავნის წერილს, რომლითაც მოითხოვს გაუგზავნონ მას ცნობა გლეხების საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ.

ნოემბერი, 18. ლენინი წერს «თეზისებს საწარმოო პროპაგანდის შესახებ. (შავი მონასახი)».

ლენინი გამოდის სიტყვით ბაუმანის რაიონის პარტიული ორგანიზაციების დელეგატთა კრებაზე.

ნოემბერი, 19. ლენინი ხელმძღვანელობს და გამოდის სიტყვით მოსკოვის საგუბერნიო პარტიული კონფერენციის დელეგატთა თათბირზე, რომელზედაც იხილავენ რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის წევრობის კანდიდატურებს.

ნოემბერი, არა უგვიანეს 20-ისა. ვ. ი. ლენინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკება ი. ბ. სტალინს, რომელიც ვლადიკავკაზში იმყოფება.

ნოემბერი, 20. ლენინი წერს შენიშვნებს მოსკოვის გუბერნიის ვოლოკოლამსკის მაზრის იარიპოლეცის თემის ელექტროფიკაციის შესახებ.

ნოემბერი, 20—22. ლენინი მონაწილეობს მოსკოვის საგუბერნიო პარტიული კონფერენციის მუშაობაში.

ნოემბერი, 21. ლენინი მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე გამოდის სიტყვით «ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები».

ლენინი კონფერენციაზე გამოდის სიტყვით რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის არჩევნების გამო.

ნოემბერი, 25. ლენინი პოლიგრაფიული წარმოების მოსკოვის საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენციაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ნოემბერი, 26. ლენინი რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედთა მდივნების კრებაზე გამოდის სიტყვით კონცესიების საკითხზე.

ნოემბერი, 29. ლენინი წერს წერილს ა. ვ. ლუნაჩარსკის განსახკომის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.

ლენინი ზამოსკვორეჩიეს რაიონის კომუნისტთა საერთო კრებაზე გამოდის მოხსენებით მოსკოვის საგუბერნიო პარტიული კონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ და საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო.

დეკემბერი, 2. ლენინი უგზავნის დეპეშას სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს და მიესალ-

მება იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ საბჭოთა სომხეთს.

დეკემბერი, 6. ლენინი რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის სადისკუსიო კრებაზე გამოდის სიტყვით კონცესიების შესახებ.

ლენინი წერს მისალმებას სრულიად რუსეთის საგუბერნიო ქალთა განყოფილებების თათბირისადმი.

დეკემბერი, 7. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის სხდომას, რომელზედაც ირჩევა წყლის მუშაკთა კონფლიქტი რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან. პლენუმი იღებს ლენინის წინადადებას რკპ(ბ) X ყრილობის მოწვევის შესახებ 1921 წლის 6 თებერვლისათვის.

დეკემბერი, 8. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის სხდომას, შეაქვს თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ, წერს პროექტს ც. კ-ის დადგენილებისას — «დებულება განსახკომის შესახებ».

დეკემბერი, 11. ლენინი წერს ბოლოსიტყვაობას «ყალბი სიტყვები თავისუფლებაზე» სტატიისადმი: «იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლის შესახებ».

დეკემბერი, 15. ლენინი მოსკოვის გუბერნიის ვერეისკის მაზრის ბოგოროდსკის თემის სოფელ მოდენოვოს გლეხთა კრებაზე გამოდის მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

დეკემბერი, 18. ლენინი უგზავნის დეპეშას ვლადიკავკაზის რევკომს მითითებით, რომ საჩქაროდ აღმოუჩინონ დახმარება სამოქალაქო ომის ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებლად მოწყობაში.

19 და 21 დეკემბერს შუა. ლენინი გორკაში მუშაობს მოხსენების გეგმაზე სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობისათვის.

ვ. ი. ლენინი გ. მ. კრჟიჟანოვსკისადმი წერილში სახავს ელექტროფიკაციის პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმას.

დეკემბერი, 21. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე გამოდის მოხსენებით კონცესიების შესახებ. მოხსენების შემდეგ პასუხს აძლევს დელეგატების შეკითხვებზე.

დეკემბერი, 22 — 29. სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობა. ლენინი ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას.

დეკემბერი, 22. ლენინს საბჭოების ყრილობის პირველ სხდომაზე ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმში, გამოდის მოხსენებით სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

ლენინი საბჭოების ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე.

ლენინი ესწრება საბჭოების VIII ყრილობის უპარტიო გლეხ დელეგატთა თათბირს.

დეკემბერი, 23. ლენინი ყრილობის მეორე სხდომაზე გამოდის საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

დეკემბერი, 24. ლენინი გამოდის სიტყვით საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე.

დეკემბერი, 26. ლენინი წერილში პენზის გუბერნიის ჩემბარის სამაზრო აღმასკომისადმი თხოვს დაეხმარონ სოფელ სობოლევკის ღარიბ გლეხს პართენ დუდკინს და გაგზავნონ მისი ვაჟი სკოლაში.

დეკემბერი, 27. ლენინი საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე გამოდის სიტყვით, როცა იხილავენ კანონ-პროექტს გლეხური მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების ზომების შესახებ, და პასუხს აძლევს დელეგატთა ბარათებზე.

დეკემბერი, 29. ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას ელექტროფიკაციის შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო იღებენ საბჭოების VIII ყრილობის მეშვიდე სხდომაზე.

ლენინს ყრილობის მეშვიდე სხდომაზე ირჩევენ სრულიად რუსეთის მერვე მოწვევის ცაკ-ის წევრად.

დეკემბერი, 30. ლენინი რკპ(ბ) წევრების — საბჭოების VIII ყრილობის დელეგატების, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს წევრების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით პროფესიული კავშირების შესახებ, მიმდინარე მომენტის შესახებ და ტროცკის შეცდომების შესახებ.

დეკემბერი, 31. ლენინს სრულიად რუსეთის მერვე მოწვევის ცაკ-ის პირველ პლენარულ სხდომაზე ამტკიცებენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ.

დეკემბერი. ლენინი გ. მ. კრჟიჟანოვსკის წერს წერილს იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქნას რსფსრ-ის თვითეული სახლის ელექტრონით განათების გეგმა.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

«მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში . 1 — 131

I. რა აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე? . . 5
II. ბოლშევიკების წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობა 8
III. ბოლშევიზმის ისტორიის მთავარი ეტაპები . . 12
IV. მუშათა მოძრაობის შიგნით რომელ მტრებთან ბრძოლაში გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო ბოლშევიზმი? 18
V. «მემარცხენე» კომუნიზმი გერმანიაში. ბელადები — პარტია — კლასი — მასა 29
VI. უნდა იმუშაონ თუ არა რევოლუციონერებმა რეაქციულ პროფკავშირებში? 38
VII. მივიღოთ თუ არა მონაწილეობა ბურჟუაზიულ პარლამენტებში? 50
VIII. არავითარი კომპრომისი? 64
IX. «მემარცხენე» კომუნიზმი ინგლისში . . . 79
X. ზოგიერთი დასკვნა 95

დამატება . . . . . 115 — 131
I. გერმანელი კომუნისტების გათიშვა 117
II. კომუნისტები და დამოუკიდებლები გერმანიაში . 119
III. ტურატი და კომპანია იტალიაში 122
IV. არასწორი დასკვნები სწორი წანამძღვრებიდან . . 124
V. 130

ვაინკოპის წერილი 130

სიტყვა მინა-ფაიფურის ფარმოების მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1920 წ. 29 აპრილს . . 132 — 136

მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის პირველი შაბათოგბიდან სრულიად რუსეთის შაბათოგბა-მაისოგბამდე . . 137 — 140

სიტყვა განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წ. 1 მაისს. საგაზეთო ანგარიში 141

სიტყვა პოლონეთის ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებისადმი 1920 წ. 5 მაისს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 142 — 143

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს, პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე 1920 წ. 5 მაისს . . . . . 144 — 151

დეპეშა აზერგაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობას 152

სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა ფართო კონფერენციაზე როგოჟსკ-სიმონოვის რაიონში 1920 წ. 13 მაისს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 153 — 155

ინდოეთის რევოლუციურ ასოციაციას . . . 156

წერილი ინგლისელ მუშებს . . . . . 157 — 162

პირვანდელი მონასახი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის) . 163 — 172

პირვანდელი მონასახი თეზისებისა აგრარულ საკითხზე (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის) . . . . . 173 — 189

«კოლუნიზმი». «კომუნისტური ინტერნაციონალის ჟურნალი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის

„ქვეყნებისათვის» (გერმანულ ენაზე). ვენა, რვეულები 1/2, 1920 წ. 1 თებერ. 18-მდე, 1920 წ. 8 მაისი . . . . . 190 — 193

სიტყვა სოფლად მუშაობის პასუხისმგებელ ორგანიზატორთა სრულიად რუსეთის მე-2 თათბირზე 1920 წ. 12 ივნისს . . . . . 194 — 209

ტელეფონოგრამა სრულიად რუსეთის სასურსათო თათბირის პრეზიდიუმის სახელზე. 1920 წ. 1 ივლისი . 210 — 211

დავეხმაროთ დაჭრილ წითელარმიელს! . . . 212

თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ . . 213 — 235

I. პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების რაობა 214

II. რაში უნდა მდგომარეობდეს დაუყოვნებლივი და საყოველთაო მზადება პროლეტარიატის დიქტატურისათვის? 219

III. ამ პარტიების ხაზის — ნაწილობრივ აგრეთვე შემადგენლობის — გამოსწორება, რომელნიც ემხრობიან და სურთ მიემხრონ კომუნისტურ ინტერნაციონალს 230

პასუხი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი შეერთებული დროებითი კომიტეტის წერილზე . . . . . 236 — 237

ტელეფონოგრამა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 12 ან 13 ივლისს . . . . . 238 — 239

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 17 ივლისს . . . 240

კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები . . . . . 241 — 249

კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების მეოცე მუხლი 250

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. 1920 წ. 19 ივლისი — 7 აგვისტო . . . . 251 — 315

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ 19 ივლისს . . 253

2. სიტყვა კომუნისტური პარტიის როლის შესახებ 23 ივლისს 279

3. ნაციონალურ და კოლონიურ საკითხთა კომისიის მოხსენება 26 ივლისს 285

4. სიტყვა კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ 30 ივლისს . . 293

5. სიტყვა პარლამენტარიზმის შესახებ 2 აგვისტოს 301

6. სიტყვა ბრიტანეთის მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ 6 აგვისტოს 307

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 2 აგვისტოს . . . 316

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 4 აგვისტოს . . . 317

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 11 აგვისტოს . . . 318

წერილი ავსტრიელ კომუნისტებს . . . . . 319 — 322

კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი . 323 — 325

პასუხი გაზეთ «დეილი-ნიუსის» კორესპონდენტს ბ-ნ სეგრიუს . . . . . 326 — 327

სიტყვა რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციაზე 1920 წ. 22 სექტემბერს. საგაზეთო ანგარიში 328 — 333

წერილი გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო . . . . . 334 — 337

ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები (სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე). 1920 წ. 2 ოქტომბერი . . . . . 338 — 360

სიტყვა ტყავის წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს . . . . . 361 — 377

უკრაინის ღარიბ სოფლელებს . . . . . 378 — 379

√ პროლეტარული კულტურის შესახებ . . . . 380 — 382

რეზოლუციის პროექტი 380

სიტყვა მოსკოვის გუბერნიის სამაზრო, სათემო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირზე 1920 წ. 15 ოქტომბერს . 383 — 403

საბოლოო სიტყვა მოსკოვის გუბერნიის სამაზრო, სათემო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირზე 1920 წ. 15 ოქტომბერს . . . . . 404 — 409

დეპეშა უკრაინის საბჭოთა მთავრობას და სამხრეთის ფრონტის შტაბს 410

დიქტატურის საკითხის ისტორიისათვის (შენიშვნა). . . . . 411 — 438

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 29 ოქტომბერს . . 441

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე 1920 წ. 3 ნოემბერს . . 442 — 455

პროექტი რეზოლუციისა «პროფესიული კავშირების ამოცანები და მათი განხორციელების მეთოდები» . . . . . 456 — 457

იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლის შესახებ . . . . . 459 — 476

ყალბი სიტყვები თავისუფლებაზე (ბოლოსიტყვაობის მაგიერ) . . . . . 477 — 486

სიტყვა მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის პროფკავ-

შირთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე ოქტომბრის რევოლუციის მე-3 წლისთავის აღსანიშნავად 1920 წ. 6 ნოემბერს . . . . . 484 — 491

დეპეშა ი. ბ. სტალინს 1920 წ. 13 ნოემბერს . . . 492

თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ (შავი შონასახ) . . . . . (493 — 496

პირდაპირი მავთულით ლაპარაკიდან ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის 497

ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები (სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე 1920 წ. 21 ნოემბერს) . . . . . 498 — 522

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე მოსკოვის კომიტეტის არჩევნების გამო 1920 წ. 21 ნოემბერს . . . . . 523 — 524

სიტყვა პოლიგრაფიული წარმოების მოსკოვის საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენციაზე 1920 წ. 25 ნოემბერს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 525 — 526

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედთა მდივნების კრებაზე 1920 წ. 26 ნოემბერს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 527 — 531

მოხსენება ზამოსკვორეჩიეს კომუნისტთა საერთო კრებაზე 1920 წ. 29 ნოემბერს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 532 — 535

საბოლოო სიტყვა 534

დეპეშა სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს 536

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1920 წ. 6 დეკემბერს . . . . . 537 — 562

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲝ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲡ. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ . 563

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ. 1920 Წ. 22 — 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ . . . 565 — 656

1. ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲙᲐ(Ბ) ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ 21 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ 567

2. ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ . . . 597

3. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ 638

4. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲙᲐ(Ბ) ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ . . . 645

5. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 654

6. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲙᲐ(Ბ) ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ 656

ᲧᲠᲘᲚᲘ ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲞᲠᲔᲡᲜᲘᲐᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ. 1920 Წ. 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ . . . . . 657 — 658

ᲡᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ . . . . . 659 — 682

. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ 683

ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ

Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ. — 1920 Წ. ᲛᲐᲘᲡᲘ . . . . . XIV — 1

ᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ «ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔᲝᲑᲘᲡ» ᲧᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲡᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲨᲘ» ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡᲐ. — 1920 Წ. ᲐᲠᲘᲚᲘ — ᲛᲐᲘᲡᲘ 3

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲡᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ. — 20 Წ. 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 439

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-1952.
უე 05339. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 45,5.
ფასი 8 მან.

•

საქპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი. თბილისი,
მარჯანიშვილის ქ., № 5.
შეკვეთის № 536.